შორენა თავაძე, ნინო მეგენეიშვილი
თამარ აბულაძე, ლიანა ახობაძე, იზო ჯიძიძე

ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდიკოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა

CODICOLOGICAL ANALYSIS OF FRAGMENTARY MANUSCRIPTS PERFORMED ON PARCHMENT AND STRUCTURAL RESEARCH OF MATERIAL

შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნუ-
ლი ცენტრი
Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts

თბილისი
Tbilisi
2023

UDC(უაკ)091(=353.1)
ო-159

Consultant: Professor Erich Renhart, PhD, Karl-Franzens-University of Graz, Department of Manuscripts – Special Collection & VESTIGIA – Manuscript Research Centre, Austria

უცხოელი კონსულტანტი: პროფესორი ერიხ რენჰარტი, გრაცის უნივერსიტეტი, სპეციალური კოლექციების დეპარტამენტი და VESTIGIA - ხელნაწერი, გრაცის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი

მონოგრაფია განხორციელდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის პროექტის ფარგლებში (FR-19-7472, 2020–2023) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

Monograph was implemented under the project (FR-19-7472, 2020–2023) of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts with financial support of Shota Rustaveli Natioanal Science Foundation of Georgia. The views and ideas expressed in the present publication belongs to the authors and may not represent the views of the Shota Rustaveli National Science Foundation.

მონოგრაფიაში გამოქვეყნებული ფოტომასალისა და თითოეული მონაკვეთის რაიმე ფორმით (ელექტრონული, ბეჭდური) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საავტორო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

The photos published in the monograph and each section in any form (electronic, printed) may be used only with the written permission of the copyright holder.

პროექტის მონაწილეები: თამარ აბულაძე (ხელმძღვანელი), შორენა თავაძე (კოორდინატორი), ნინო მეგენეიშვილი, ლია ახობაძე, იზოლდა ჯიქიძე.

Project participants: Tamar Abuladze (head of the project), Shorena Tavadze (coordinator), Nino Megeneishvili, Lia Akhobadze, Izolda Jikidze.

პროექტი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის საქართველოს სვანეთის ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმსა (მესტია) და გრაცის უნივერსიტეტს (ავსტრია).

The project thanks Svaneti Historical-Ethnographic Museum and Karl-Franzens-Universität Graz (Austria) for cooperation.

მთავარი რედაქტორები:	ლიანა ახობაძე, ნინო მეგენეიშვილი
რედაქტორი:	შორენა თავაძე
Editors-in-Chief:	Liana Akhobadze, Nino Megeneishvili
Editor:	Shorena Tavadze

ლიანა ახობაძე, ნინო მეგენეიშვილი - ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევა

Liana akhobadze, Nino Megeneishvili, - Textological-codicological study

შორენა თავაძე, იზოლდა ჯიქიძე - არქეოგრაფიული აღწერილობა, მასალის სტრუქტურული კვლევა

Shorena Tavadze, Izolda Jiqidze - Archeographic description, structural research of the material

მთარგმნელი: თამარ ბალამწარაშვილი

Translator: Tamar Balamtsarashvili

დიზაინი: დალი ჯვარშეიშვილი

Design: Dali Jvarsheishvili

ISBN 978-9941-9884-1-7

@ კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

@ ახობაძე ლ., თავაძე შ., მეგენეიშვილი ნ.

სარჩევი

შორენა თავაძე, ნინო მეგენეიშვილი
ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევის მნიშვნელობისათვის 5

საძიებლები:
ფონდების მიხედვით..... 41
ქრონოლოგიის მიხედვთ..... 50
თემატიკის მიხედვით 59

თამარ აბულაძე, ლიანა ახობაძე, იზო ჯიქიძე
თანამედროვე ფრაგმენტოლოგიის პრინციპები:
ტექსტოლოგიის საკითხები, შენიშვნები მელნის შესახებ 71

Shorena Tavadze, Nino Megeneishvili
FOR THE IMPORTANCE OF FRAGMENTARY MANUSCRIPTS RESEARCH.... 88

INDEXES:
COLLECTION INDEX..... 117
CHRONOLOGICAL INDEX..... 125
THEMATIC INDEX..... 135

Tamar Abuladze, Liana Akhobadze, Izolda Jikidze
ISSUES OF TEXROLOGY AND INK 146

ტექსტები..... 160
texts
ბიბლიოგრაფია..... 830
BIBLIOGRAPHY

შორენა თავაძე, ნინო მეგენეიშვილი

ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევის მნიშვნელობისათვის

შესავალი

პროექტი - „ფრაგმენტული ხელნაწერების კოდიკოლოგიური ანალიზი და მასალის სტრუქტურული კვლევა" - დაეყრდნო კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და გრაცის უნივერსიტეტის ხელნაწერთა დეპარტამენტის ფონდებში დაცული 1-დან 5 ფურცლამდე მოცულობის ეტრატის საწერ მასალაზე გადაწერილი ქართული ფრაგმენტული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიურ და სტრუქტურულ კვლევას.

ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით: შედგა ყოველი ერთეულის არქეოგრაფიული აღწერილობა, ფრაგმენტები დაჯგუფდა ამჟამინდელი დაცულობის ადგილისა და ფონდების, ქრონოლოგიური და თემატური თავისებურებების მიხედვით, თითოეული საკვლევი ერთეულის მნიშვნელობის გამოკვეთის მიზნით შესრულდა ფრაგმენტების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და სტრუქტურული ანალიზი. ეტრატის საწერ მასალაზე გადაწერილი ხელნაწერი სიძველეების დაცვაში არსებული სირთულეების გამოვლენის, მათი დაძლევისა და ოპტიმალური სამომავლო პირობების დადგენის მიზნით განისაზღვრა ფრაგმენტების დაზიანების ხარისხი, შესაძლებლობის ფარგლებში გაიმიჯნა როგორც ადრეული (სიძველეთა დაცვის ცენტრებში ერთეულთა შეტანამდე არსებული), ასევე შემდეგდროინდელი დაზიანებები და მათი გამომწვევი ფაქტორები, ცალკეულ ფრაგმენტზე ფიქსირებული ადრეული რესტავრაციის შედეგების მდგრადობის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები ფრაგმენტულ ხელნაწერთა პრევენციული კონსერვაციისთვის. შესრულებული კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და საკონსერვაციო სამუშაოების საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

პროექტი წარმოადგენს კვლევითი სამუშაოს ნაწილს, დაგეგმილია ხუთ ფურცელზე მეტი მოცულობის ეტრატსა და ქაღალდზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა.

ხელნაწერთმცოდნეობის ახალი დარგი - ფრაგმენტოლოგია, რომელიც სწავლობს ხელნაწერი ფრაგმენტის რაობას, წარმომავლობას, მის მიგრაციას, საწერი მასალის თავისებურებებს, დეკორირების პრინციპებს, მიმართებას როგორც შესაბამისი შინაარსის ხელნაწერ კრებულებთან,

ასევე, ზოგადად, წარმომშობ კულტურულ-ისტორიულ გარემოსთან, თანამედროვე კოდიკოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. ის ითვალისწინებს ხელნაწერი ფრაგმენტების მულტიდისციპლინურ შესწავლას: არქეოგრაფიულ აღწერას, ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიურ კვლევას, საწერი მასალის (ეტრატი, ქაღალდი, მელანი) სტრუქტურის თავისებურებების გამოვლენასა და მიმდინარე ცვლილებების დიაგნოსტიკას, დაცვის პირობებისა და რეჟიმების განსაზღვრას, მონაცემთა ბაზის შექმნასა და არსებული მასალის ჩართვას საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში **(დუბა, ფლუელერ 2018)**.

ქართულ ენაზე არსებულ ფრაგმენტულ ხელნაწერთა ქრონოლოგიური ჩარჩო მეტად ფართოა. მათი უძველესი ნიმუშები ქართული სამწერლობო ტრადიციის სათავეებს უკავშირდება. ქართული სამწიგნობრო კულტურა კი დადასტურებულად V საუკუნიდან „შუშანიკის წამებით" იწყება. სწორედ ეს თხზულება იძლევა ინფორმაციას, რომ საქართველოში V ს-ში უკვე არსებობდა ქრისტიანული მოძღვრების უმნიშვნელოვანესი წიგნების - ბიბლიური, ძველი და ახალი აღთქმის, ფსალმუნის, სახარების, პავლეს ეპისტოლეებისა და ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა შემცველი ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევიათ. ის ფაქტი, რომ სახარებისა და ფსალმუნის სრული ტექსტების შემცველი ადრეული ხელნაწერები IX-X სს-ით (897 წ-ის ადიშის სახარება Svan.- 478 (კ 82), 936-940 წწ-ის ჯრუჭის პირველი სახარება H-1660, X ს-ის მცხეთის ფსალმუნი A-38) თარიღდება, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ „შაშუნიკის წამების" ზემოთ მოხმობილი ცნობა გვიანდელ ინტერპოლაციად აღვიქვათ[1]. სწორედ ადრეული პალიმფსესტური ფრაგმენტები წარმოადგენენ არა მხოლოდ ამ აგიოგრაფიულ თხზულებაში დაცული ინფორმაციის დოკუმენტურ დადასტურებას, არამედ გაცილებით ფართო წარმოდგენას გვიქმნიან V-VIII სს-ის ქართული ხელნაწერი წიგნის რეპერტუარზე. პალიმფსესტურ ფრაგმენტებზე დაცულია ფსალმუნის, სახარების, წინასწარმეტყველთა წიგნების, ლიტურგიკული კრებულების ტექსტები. ადრეული პალიმფსესტური ფრაგმენტების შინაარსობრივი ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: V-VI სს-ით თარიღდება სახარებისა (H-999, A-89, A-844-1,3) და ესაიას წიგნის ფრაგმენტები (A-844-2), VII-VIII სს-ით - იერუსალიმური ლექციონარისა (H-999-1) და ჰაგიოგრაფიული კრებულის (A-737-2) შემორჩენილი ტექსტები (**პალიმფსესტი, 2017**). როგორც ვხედავთ, ფრაგმენტულ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ქართული სამწიგნობრო კულტურის წარმოშობისა და განვითარების სურათის აღდგენის საქმეში, მაგრამ მათი კვლევის შედეგები სცილდება მხოლოდ ეროვნული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობის ჩარჩოებს, ვინაიდან ქართული ხელნაწერი ტრადიცია შუა საუკუნეების ქრისტიანული მწიგნობრობის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენს. იგი ვითარდება ისტორიული პალეს-

[1] როგორც ცნობილია, ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ამ თხზულების უძველესი ტექტი შემორჩენილია X ს. ხელნაწერ კრებულში, პარხლის მრავალთავში A-95.

ტინისა და ბიზანტიის სამწერლობო გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობების პირობებში და ასახავს ვრცელი პერიოდის განმავლობაში (V-XIV სს.) ამ წერილობითი კულტურების განვითარების სურათს საწერი მასალის (ეტრატი, ქაღალდი, მელანი) დამუშავებისა და შედგენილობის თავისებურებებიდან დაწყებული ნაწერის სტრუქტურირება-დეკორირებისა და ტექსტების რედაქციული თავისებურებების ჩათვლით. შესაბამისად, ქართული ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევა შუა საუკუნეების ქრისტიანული მწიგნობრობის ისტორიის დოკუმენტური ილუსტრაციის ფუნქციასაც იძენს. სწორედ ამ თვალსაზრისით იპყრობს იგი უცხოელ მკვლევართა ყურადღებას, რის დასტურსაც წარმოადგენს საქართველოს საზღვრებს გარეთ დაცული ამგვარი ტექსტებისადმი მათი მაღალი ყურადღება. დღეს ქართული ხელნაწერი ფრაგმენტები ინახება ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის (Vien.Geo.2), გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (Graz. Geo,2058/1, Graz.Geo.2058/5, Graz.Geo.2058/A,B,C,D), საფრანგეთის ნაციონალური ბუბლიოთეკის (Geo.30, Geo.31), კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (Georgian Ms.1/Taylor-Scherter Ms.12,183; Georgian Ms.2/Taylor-Scherter Ms.12,741; Georgian Ms.3/Ms.add. 1890), ლაიფციგის უნივერსიტეტის (Cod.Ms. V. 1095, Cod.Ms. V 1096 UB), ჰილის მუზეუმისა და ხელნაწერთა ბიბლიოთეკის (Schøyen Collection Ms. 1599) ფონდებში **(ჩხიკვაძე, კარანაძე, კეკელია, შათირიშვილი 2018: 15, 21-22, 29, 37-38, 211-212)**.

ქართული ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევისას ჩვენ უმთავრესად ვეყრდნობოდით კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცულ ერთეულებს, ვინაიდან სწორედ ეს ცენტრი წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის ერთ-ერთ მსხვილ საცავს, არამედ ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ-ტექტოლოგიური კვლევისა და წერილობით სიძველეთა კონსერვაცია-რესტავრაციის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ცენტრს. მისი სამეცნიერო მიმართულებების საფუძველში დევს ხელნაწერები მემკვიდრეობის დაცვა-აღრიცხვისა და ფუნდამენტური კვლევის საუკუნე-ნახევრის გამოცდილება. ცენტრი აერთიანებს XIX-XX სს-ში ხელნაწერი მემეკვიდრეობის დაცვა-აღრიცხვის მიზნით მოქმედი მუზეუმებისა და საზოგადოებების (ყოფილი საეკლესიო მუზეუმი - ამჟამად A ფონდი; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ამჟამად S ფონდი; საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, ამჟამად H ფონდი; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ახალი კოლექციის მზარდი Q ფონდი) ოთხ ფონდს, რომლებშიც დაცულია V-XX სს-ის 10 000–მდე ქართული ხელნაწერი[2], მათგან 1300-მდე ერთეული ეტრატსა (300 ერთ.) და ქაღალდზე (1000 ერთ.) გადაწერილი ფრაგმენტული ხელნაწერია. მათი ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს V-XVI საუკუნეებს.

[2] გარდა ქართული ხელნაწერი წიგნებისა, ცენტრში დაცულია სხვადასხვაენოვანი (ბერძნული, სომხური, არაბული, ებრაული, ოსმალური, სირიული, ლათინური, ეთიოპური, ფრანგული, გერმანული) ხელნაწერი წიგნები, ქართული და უცხოენოვანი ისტორიული დოკუმენტები და საზოგადო მოღვაწეთა არქივები.

ფრაგმენტების ფონდი მუდმივად განახლებადია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს ცენტრში მიმდინარე კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევები. ხელნაწერი კოდექსების ყდების შესწავლის ან კერძო პირთა პირადი საარქივო ფონდების დამუშავებისას აღმოჩენილა ხელნაწერთა ფრაგმენტები, მათ შორის - ეტრატზე გადაწერილიც კი. 2010 წელს ალ. ლომთათიძის პირადი საარქივო ფონდის დამუშავებისას აღმოჩნდა ეტრატზე დაწერილი ერთი ფურცელი, რომელიც პალეოგრაფიული თავისებურებების საფუძველზე XV-XVI სს-ით დათარიღდა[3]. აღსანიშნავია, რომ ფრაგმენტების ფონდში ინახება სოფ. მუშკიერიდან (სვანეთი, მულახის თემი) შემოსული ქაღალდზე შესრულებული თავბოლონაკლული ხელნაწერი (46 ფ.), რომლის ყდის ზედა და ქვედა ფრთებზე საცავ ფურცლად გამოყენებულია ნუსხურითა და სხვადასხვა ხელით გადაწერილი ეტრატის ორი ფურცელი, რომლებიც, დიდი ალბათობით, სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტებს წარმოადგენენ. ქაღალდზე შესრულებული თავბოლონაკლული ხელნაწერი XVI ს-ის ლოცვანია, ხოლო ყდის ფრთებზე დაკრული ეტრატის ფრაგმენტების სავარაუდო თარიღი XI-XII სს-ით განისაზღვრა (Fr -121, XVI სს.). ფრაგმენტული ხელნაწერების რაოდენობის ზრდისა და ყდების საცავ ფურცლებად გამოყენებული ფრაგმენტების ცალკე ერთეულებად გამოყოფასა და კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესტავრატორის საქმიანობას. ყდის დაფებიდან გამოთავისუფლებული საცავი ფურცლების ამოკითხვა შეუძლებელი იქნება საცავ ფურცლად გამოყენებული ფრაგმენტისათვის ძველი წებოების, რიგ შემთხვევებში, ნესტის ლაქებისა და მჭვარტლის ფენისაგან გაწმენდის გარეშე. ხელნაწერების დამუშავება ხორციელდება შემუშავებული სტანდარტების დაცვით.

ფრაგმენტული ხელნაწერების რაოდენობის ზრდამ აუცილებელი გახადა, შექმნილიყო ცალკე ფონდი ფრაგმენტებისათვის (Fr), რომელშიც ამჟამად აღნუსხულია 295 ერთეული, აქედან ეტრატზე შესრულებულია 45 ფრაგმენტული ხელნაწერი.

1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სვანეთში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციიდან ა.შანიძემ თბილისში ჩამოიტანა 23 ფრაგმენტული ხელნაწერი, რომლებიც ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სვანეთის პალიმფსესტების კოლექციაში (Svan). XX საუკუნის 60-იან წლებში პალიმფსესტების ზედა შრის აღწერლობა მოამზადა ც.ჭანკიევმა, ხოლო ქვედა შრე 2017 წელს შეისწავლა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფმა **(ოთხმეზური, 2019; ჭანკიევი 2019)**.

ფრაგმენტთა კვლევასთან დაკავშირებული საკითხები. ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევა, უპირველეს ყოვლისა, დაგვაფიქრებს ამგვარ ერთეულთა წარმოშობის განმაპირობებელ მიზეზებზე. ამ პრობლემაზე დაფიქრებას თავად ხელნაწერი ფრაგმენტებისა და, რაც მთავარია, მათი

[3] არქივი დაამუშავა და ფრაგმენტული ხელნაწერი აღმოაჩინა ცენტრის მეცნიერმა თანამშრომელმა თ.იმნაძემ.

შემცველი კრებულების რაობისა და მნიშვნელობის საკითხებამდე მივყავართ. ჩვენ მიერ შესწავლილი ფრაგმენტების უმეტესობა სასულიერი შინაარსისა და ლიტურგიკული დანიშნულების ხელნაწერის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ შუა საუკუნეებში ეტრატზე გადაწერილი კრებულები საეკლესიო-სამონასტრო სივრცის კუთვნილებას წარმოადგენდა. ამგვარი მფლობელის არსებობის პირობებში ქრისტიანული მოძღვრების შესწავლა-ათვისებასა და საღვთისმსახურო პრაქტიკასთან დაკავშირებული კრებული შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაშლილიყო, თუკი მასში შესული ტექსტი დროთა განმავლობაში რედაქციულად არ უპასუხებდა ეკლესიის მოთხოვნებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამგვარი დარტყმის ქვეშ სწორედ ადრექრისტიანული, პალესტინური რედაქციის კრებულები იდგა. პალიფსესტური ფურცლების ქვედა ფენაზე შენარჩუნებული ტექსტების კვლევამ ეს სავსებით ნათელი გახადა. მაგრამ, გარდა ადრეული (V-IX სს.) ტექსტებისა, პალიმფსესტური ფურცლების ქვედა ფენასა და სხვა სახის ფრაგმენტულ ხელნაწერებზე გვხვდება არა ადრეული იერუსალიმური რედაქციის, არამედ შემდეგდროინდელი ტექსტებიც. მაგრამ თუკი რედაქციული არააქტუალურობით შეიძლება აიხსნას ჩვენი სამწერლობო ტრადიციის კონსტანტინოპოლიზაციამდელი პერიოდის (V-X სს.) ფრაგმენტების წარმომავლობა, რა მიზეზს უნდა განეპირობებინა შედარებით გვიანდელი (XII-XVI სს.) ხელნაწერების დაშლა-დანაწევრება (A-257ე, XIII-XIV სს., A-492გ, XVI ს., H-2084ბ, XV ს., Q-223, XV-XVI სს. და სხვ.). ერთ-ერთი მიზეზი ამგვარი ფრაგმენტებს არსებობისა უკავშირდება თავდაპირველი ხელნაწერის როგორც კინძვის ხარვეზებს, ასევე მისი დაცვის პირობებს. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი ხდება მხოლოდ რესტავრატორის მიერ შესრულებული სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე.

ფრაგმენტთა დიდი რაოდენობის არსებობის ერთ-ერთი მიზეზი ხელნაწერთა იძულებით მიგრაციაშიც უნდა ვეძებოთ. შესაძლოა, ხელნაწერის ძირითადი ნაწილი ინახებოდეს ერთ გარკვეულ ფონდში, ხოლო მისი ფრაგმენტული ნაწილი - სხვა ქვეყნის კერძო თუ სამუზეუმო კოლექციაში.

როგორც ცნობილია, ხელნაწერები ინახებოდა ეკლესია–მონასტრებში, ან კერძო პირთა პირად ბიბლიოთეკებში. ორივე შემთხვევაში მტრის შემოსევებისას საცავები მომხვდურთა სამიზნე იყო, ამიტომ „ევაკუაციის" დროს უსაფრთხო ადგილებზე სხვა საგანძურთან ერთად წიგნებსაც გადამალავდნენ, ასევე დადასტურებულია, რომ მომხვდური საგანძურს ანადგურებდა, ან გაჰქონდა.

პირველი ცნობა საქართველოდან ქართული განძისა და ხელნაწერების გატანის შესახებ გვხვდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში", საიდანაც ვიგებთ, რომ თემურ ლენგმა ორი ურემი ხელნაწერი გაიტანა საქართველოდან: „მეისტორიენი და მოგზაურნი კაცნი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომელ ლანგთემურმა, რაიცა საღმრთო და სხვანი წერილნი წაიღო საქართველოდან თურქისტანსა შინა, გააკეთებინა ქვიტკირისა დიდი სახლი და რკი-

ნისა ფანჯრიანი და კარნი შეასხა, და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და შიგნნი და დასდო წყევა, რომელ არავინ გაიღოს მუნიდგან იგი წერილნი და არც აწცა ისევ ისე დაკრძალული" **(იოანე ბატონიშვილი, 1948)**.

შაჰ-აბასმა საქართველოში პირველი ლაშქრობის დროს 1616 წელს ეკლესია- მონასტერები ააოხრა და გაძარცვა. სპარსეთში გატანილ იქნა საეკლესიო განძი და უნიკალური ხელნაწერები, მათ შორის - უძვირფასესი სახარებები, რომლებიც მდიდრულად იყო შემკობილი ძვირფასი თვლებით, მოჭედილი ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით.

მეფის რუსეთის რეჟიმის დროს კი საქართველოს ეკლესია-მონასტრების ძარცვამ არნახულ მასშტაბს მიაღწია. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი თედო ჟორდანია წერდა, რომ 1882 წელს მცხეთაში გაუგზავნიათ ნამესტნიკის ბრძანებით რუსი ოფიცრები და ორი ურმით წაუღიათ უნიკალური ხატები, კვერთხები, თვალ-მარგალიტი და წიგნები.

„ეს ნივთები ახლა ყველა გამქრალია და არ მოიპოვება. თურმე რადეს გაუყიდია. საბინინს უნახავს ბრილიანტის ჯვარი ქართული წარწერით ლაიპციგის მუზეუმში. მიუნხენში, პარიზსა და ვენის მუზეუმებშიც ბევრი ნივთი უნახავს, რაც თბილისის მუზეუმში ყოფილა წინათ შენახული. ქართული წიგნები უმეტესად გაყიდულია შვეიცარიაში, ინგლისში, ლონდონში და პარიზში. პარიზის სამეფო მუზეუმში უნახავს ნიქოზის ეკლესიის კუთვნილი ოქროთი ნაწერი ძველი წირვა წმინდის იაკობის", - წერდა თედო ჟორდანია 1884 წელს **(დურნოვი1907)**.

ხელნაწერები საქართველოდან გაედინებოდა ქართველთა ემიგრაციაში წასვლისას, როდესაც სხვა ნივთებთან ერთად პირადი ბიბლიოთეკაც გაჰქონდათ. მაგ., ასე გავიდა ბატონიშვილების კუთვნილი ხელნაწერი კოლექცია. ასეთ შემთხვევებში ხელნაწერები ხშირად ზიანდებოდა და იკარგებოდა გარკვეული ფურცლები (C9, C12) **(ცერაძე, ხოფერია 2016)**.

ხელნაწერების დიდი რაოდენობის ფრაგმენტებად ქცევის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური გარემო, ისტორიული პირობები, მიგრაცია და არასათანადო შენახვის პირობები იყო **(რენჰარტ 2013)**.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, მოხვდება თუ არა ადგილგადანაცვლებული ხელნაწერი არახელსაყრელ სოციალურ გარემოში. როდესაც ვსაუბრობთ არახელსაყრელ გარემოზე, ჩვენ ვგულისხმობთ სხვაენოვან სოციალურ სივრცეს, რომლისთვისაც გაუგებარია ქართული ხელნაწერი წიგნის მნიშვნელობა და ვერ ხედავს მისი შენარჩუნების საჭიროებას. ამ საკითხებზე დაგვაფიქრებს არაქართულ ხელნაწერ წიგნთა ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული ფრაგმენტების არსებობა. ამჯერად შეგვიძლია, მოვიყვანოთ ორი მაგალითი: საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის X ს-ის ქართული ფრაგმენტი Geo. 31, რომელიც სომხური ხელნაწერის ყდაზე, როგორც მისი საცავი ფურცელი, აღმოაჩინა ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ. ასეთივეა ამავე ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული გვიანდელი სირიული სახარების Arabe 53 ყდის საცავ ფურცლებად გამოყენებული IX-X სს-ის მთავრულით გადაწერილი ლექციონარის ოთხი ფურ-

ცელი. საყურადღებოა, რომ სირიული ხელნაწერი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, ქ. დიარბაქირში არის შეძენილი **(ჩხიკვაძე, კარანაძე, კეკელია, შათირიშვილი, 2018: 212-213)**. ამ სახის მაგალითების კვლევის დროს რთულია, მკვლევარმა პასუხი გასცეს კითხვას: საიდან და როგორ მოხვდა ეს ფრაგმენტები ან მათი შემცველი ხელნაწერი ამჟამინდელი თურქეთის ამ რეგიონში. ან კიდევ: შესაძლებელია თუ არა, კვლავ ველოდოთ უცხოეთში გადაწერილი ან გვიან აკინძული სხვაენოვანი ხელნაწერების ყდის საცავ ფურცლებად არსებული ქართული ფრაგმენტების გამოვლენას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ სინამდვილეშიც ღვთისმსახურებისთვის არაპრაქტიკული დანიშნულების ტექსტების შემცველ და დაზიანებული ხელნაწერი ფურცლების ფრაგმენტებს იყენებდნენ საცავ ფურცლად, ან რამდენიმე ფენის შეწებებით (ქაღალდი, ეტარტი) ამზადებდნენ ახალი ყდისთვის მასალას (ფიცრის ან მუყაოს მაგივრად). ამიტომაც დღემდე ყდების დაშლისას ხშირად აღმოჩენილა ეტრატის ფრაგმენტი.

კვლევის სირთულეები. ფრაგმენტულ ხელნაწერებზე კვლევისას მნიშვნელოვანია ფრაგმენტების დეფინიცია. უპირველესად უნდა აღინიშნოს სხვაობა და სტრუქტურული მახასიათებლები ფრაგმენტულსა და ნაკლულ ხელნაწერებს შორის. თუკი მოცულობითი თავბოლონაკლული კოდექსების შემთხვევაში შესაძლებელია თავად ხელნაწერის რაობის განსაზღვრა, სხვაგვარ ვითარებას ვაწყდებით ფრაგმენტების შესწავლისას. კვლევამ გვიჩვენა, რომ ჩვენ ხელთ არსებული ფრაგმენტების დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზის გამო (ტექსტის მცირე მოცულობის ან სხვადასხვაგვარი დაზიანების ხარისხის გამო ტექსტის წაკითხვა შეუძლებელია), არ იძლევა საშუალებას, განვსაზღვროთ არც ტექსტის რაობა და არც რედაქციის ტიპი. შეუძლებელია ფრაგმენტული ტექსტის შინაარსობრივი ნაწილის სრულად აღქმა, რადგან ტექსტის ძირითადი ნაწილი დაკარგულია, ასევე ფრაგმენტები ხშირად ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ნაწილსაც შეიძლება წარმოადგენდეს. ეს ეხება არა მხოლოდ 1-5 - ფურცლიან ფრაგმენტებს, არამედ შედარებით დიდი მოცულობის ხელნაწერს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულია. ამგვარ ერთეულსაც, შესაძლოა, ვუწოდოთ ფრაგმენტული და არა თავბოლონაკლული ხელნაწერი (H-1437, XII-XIII სს. 64ფ., H-1830, XIII ს. 68 ფ. და სხვ.).

არსებით სხვაობას ფრაგმენტულ და თავბოლონაკლულ ხელნაწერს შორის ქმნის არა მხოლოდ შემორჩენილი ტექსტის მოცულობა, ანუ ფურცელთა რაოდენობა, არამედ ფაქტი, თუ რამდენ სრულ ინფორმაციას ვიღებთ საკვლევი ერთეულიდან. ნაკლული ტექსტი, ფრაგმენტულისგან განსხვავებით, უნდა იძლეოდეს ვრცელ და სანდო ინფორმაციას ხელნაწერის სრულ ტექსტოლოგიურ სტრუქტურასა და არქეოგრაფიულ მახასიათებლებზე, ასევე ზუსტი რედაქციულობისა და რაობის განსაზღვრის საშუალებას. მარტივი დასადგენი უნდა იყოს ნაკლული ტექსტის მოცულობა, მისი მთლიანი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კონტურის აღდგენა.

მაგალითად, X საუკუნით დათარიღებული კალის ლექციონარი (Q-1653, X ს.) არ არის სრული სახით მოღწეული ჩვენამდე, ნაკლულია (222 ფ.), მაგრამ დასახელებული ნიშნებითა და პარამეტრებით არ ითვლება ფრაგმენტულ ხელნაწერად. აქედან გამომდინარე, თავბოლონაკლულ ხელნაწერად მიიჩნევა ის ხელნაწერები, რომლებიც შეიცავს ტექსტის ძირითად ნაწილს, ადვილი შესაძლებელია რედაქციულობის განსაზღვრა და გვაძლევს კვლევისათვის საკმარის ტექსტოლოგიურ მასალას. შედარებით მცირე მოცულობისაა (ძირითადად 5-7 კეფისგან შედგება) გრაგნილი კონდაკების ტექსტი, მათი უმეტესი ნაწილი თავბოლონაკლულია, მაგრამ გვხვდება ფრაგმენტული ნაწილებიც, სადაც ხშირ შემთხვევაში რთული დასადგენია რედაქციული თავისებურება (H-2431, XI-XII სს.), ტექსტი წარმოადგენს ჟამისწირვის ფრაგმენტს, თუმცა მისი მოცულობა და ტექსტოლოგიური შემადგენელი არ იძლევა საშუალებას, განვსაზღვროთ, ლიტურგიის რომელ სახეს განეკუთვნება.

ფრაგმენტის არსიდან გამომდინარე, ფრაგმენტულ ხელნაწერში შემორჩენილი ტექსტი უნდა წარმოადგენდეს სრული კოდექსის მცირე ნაწილს, რომელშიც ხშირ შემთხვევაში რთულია რედაქციულობისა და ზოგჯერ თავდაპირველი კოდექსის, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენდა, რაობის დადგენაც კი. თუკი ვისაუბრებთ პალიმფსესტურ ფრაგმენტებზე, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში საწერი მასალის ხელმეორედ გამოყენებისას ფრაგმენტის ერთ მხარეს ტექსტის სრულად გადაშლილია, ამიტომ ტექსტის წაკითხვა და სრული შინაარსის აღქმა შეუძლებელია. მართალია, ფრაგმენტთა არსებულ აღწერილობებში უმეტეს შემთხვევაში მითითებულია ტექსტის რაობა, მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ თავად დედახელნაწერის შესახებ. შესაძლოა, ფრაგმენტის აღწერილობაში მითითებული ოთხთავი იყოს ლექციონარის, საწელიწდო სახარების ან ეგზეკეტიკური შინაარსის ფრაგმნტი; ასევეა ჰაგიოგრაფიული შინაარსის ტექსტის შემთხვევაშიც; შესაძლოა, ის წარმოადგენდეს მრავალთავის, სვინაქსარის ან სადღესასწაულოს ფრაგმენტს. ამდენად, მკვლევარს მართებს არა მხოლოდ ფრაგმენტზე შემორჩენილი ტექსტის, არამედ ყოველი სახის მარგინალური ნიშნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაანალიზება.

ფრაგმენტები, შემორჩენილი ტექსტების მოცულობის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ჯგუფებად: 1. მცირე ზომის ფრაგმენტი, რომელზეც შეუძლებელია რაობის და სტრუქტურის განსაზღვრა, გაირკვეს კოდექსის ფურცელია თუ გრაგნილის (H-2093ვ, XVIს.); 2. ფრაგმენტული ხელნაწერები, რომლებშიც ტექსტის ამოკითხვა შესაძლებელია, თუმცა ზუსტი რაობის განსაზღვრა - რთული (A-1287ე, XII-XIII ს.); 3. ფრაგმენტული ხელნაწერები, მათ შორის გრაგნილებიც, სადაც შესაძლებელია ტექსტის წაკითხვა და რაობის დადგენა, თუმცა რედაქციულობის განსაზღვრა რთულია (A-493დ, XII ს.; H-146, XI-XII ს.); 4. სრული ფორმატით მოღწეული ხელნაწერები, სადაც შედარებით მარტივი დასადგენია რაობა, ხშირად რედაქციულობაც

კი, მაგრამ ის წარმოადგენს სრული ტექსტის მცირე ნაწილს (S-1699, XIII-XIV სს, მარხვანი, 34 ფ.; H-1813, XV-XVI სს. კურთხევანი, 33 ფ.).

ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური და სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით ფრაგმენტული ხელნაწერების შესწავლამ გვიჩვენა კვლევის განსხვავებული მიდგომისა და მეთოდოლოგიის აუცილებლობა გრაგნილი ფორმატისა და კოდექსის ტიპის ერთეულებს შორის. გრაგნილ ხელნაწერებზე დაცული ტექსტოლოგიური მასალა თემატურად მწირია, არ არის მრავალფეროვანი. ძირითადად შემორჩენილია ლიტურგიკული (ჟამისწირვა, ლოცვანი, წირვის წესი), დამცავი ანუ თილისმის ფუნქციის (ავგაროზები) და საერო (სულთა მატიანე) შინაარსის ტექსტები (მეგენეიშვილი, თავაძე 2022).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ხელნაწერ ფონდებში არ არის შემონახული დიდი მოცულობის გრაგნილი ხელნაწერები, რომლებზეც შესაძლებელი იქნებოდა ვრცელი რედაქციების დატანა. აქედან გამომდინარე, გრაგნილის ფორმატზე იწერებოდა შედარებით მცირე მოცულობის ტექსტები, ამიტომ, როცა ვსაუბრობთ მათ ფრაგმენტულ ნაწილებზე, უპირველესად დასადგენია გრაგნილებში მოყვანილი ტექსტების თემატური რაობა, მათი რედაქციული თავისებურება, საწერი მასალის სტრუქტურისა და კეფების გადაბმის ხერხი, რაც მოგვცემს საშუალებას, განვსაზღვროთ, ტექსტები ფრაგმენტული სახითაა მოღწეული თუ ნაკლულია.

კვლევის შედეგები. ფრაგმენტულ ხელნაწერებზე მუშაობამ ტექსტოლოგიურ, კოდიკოლოგიურ და სტრუქტურულ თავისებურებებთან ერთად მოგვცა რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი, კერძოდ, რაოდენობრივი, თემატური და ქრონოლოგიური სხვადასხვაობა (იხ. ცხრილები).

ფრაგმენტების ყველაზე დიდი რაოდენობა შემორჩენილია H ფონდში. აქ გვხვდება როგორც ლიტურგიკული (H-1357, XIV-XV სს.), ბიბლიოლოგიური (H-1409, XI-XII სს.) და ეგზეგეტიკური (H-3186, XV-XVI სს.) შინაარსის ფრაგმენტები, ისე საერო შინაარსისა, ე.წ. სულთა მატიანეს რამდენიმე ნუსხა (H-2093ა, XV-XVI სს.; H-2093ბ, XV-XVI სს.). გვხვდება აგრეთვე შერეული ხასიათის ერთეულები ე.წ. კრებულები და 2 მინიატურა. პირველ მინიატურაში - H-2065, X ს. ტექსტი გადაშლილია, შემორჩენილია ფრაგმენტის 4 ფურცელი. მინიატურების გამოსახულება გადასულია, იკითხება მხოლოდ წარწერები - გამოსახულების ქვემოთ იკითხება წმიდა იოანე ნათლისმცემელი - 1v; წმიდა ლუკა - 2r; წმიდა იოანე - 3v; მინიატურა და წარწერა მოხეულია - 3r-v; მიქაელი - 4r; ორი გამოსახულება წარწერით „დედა ღვთისა", „წმიდა ივ..."; მეორე მინიატურა H-2805, XIII საუკუნისაა, გამოსახულია ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება, მინიატურაზე სახეები თითქმის გადაშლილია, კონტურის სახით, წითელი წრეხაზით შეინიშნება შარავანდედი, ხელნაწერის v-ზე, ქვედა მარჯვენა კუთხეში მითითებულია პაგინაცია 281, სავარაუდოდ, ეტრატის ეს ფრაგმენტი ამოვარდნილი უნდა იყოს დიდი მოცულობის ხელნაწერიდან. ფრაგმენტი

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მიიღო ექვთიმე თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდთან ერთად. H ფონდში შემორჩენილია გრაგნილი ხელნაწერის ფრაგმენტები - H-146 (XI-XII სს.), H-2431 (XIII-XIV სს.) და სხვ **(აღწერილობა (H))**.

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდში (A) ყველა ფრაგმენტული ხელნაწერი სასულიერო, ძირითადად, ლიტურგიკული (A-257გ, XII-XIII სს.; A-493დ, XII ს.) შინაარსისაა (საგალობლები, მარხვანი და ა.შ.) ასევე გვხვდება ბიბლიური წიგნები - სახარების (A-492ბ, XII-XIII სს.), ლექციონარის (A-257დ, X ს.) ტექსტების და ეგზეგეტიკური (A-371, XI ს.) და მცირე რაოდენობის ჰაგიოგრაფიული შინაარსის და კრებულების (A-492გ, XVI ს.) შემცველი ფრაგმენტები **(აღწერილობა (A))**.

S ფონდში დაცულია შერეული შინაარსის ფრაგმენტული ხელნაწერები, ძირითადად, ლიტურგიკული (S-3477ბ, XV ს.) და აპოკრიფული (S-5221, X ს.) შინაარსის თხზულებათა ფრაგმენტები. გვხვდება რამდენიმე ბიბლიური შინაარსის თხზულება (S-2855, XII ს.), ასევე დაცულია ერთი გრაგნილის ფრაგმენტი - S-3485დ (XVI-XVII სს.), რომელშიც შემორჩენილია გრაგნილის ერთი სრული კეფი და მეორე კეფის მცირე ნაწილი. ხელნაწერი ძლიერ დაზიანებულია, ძნელად იკითხება ოთხივე კიდე, ნაწერი თითქმის გადაშლილია **(აღწერილობა (S))**.

Q ფონდში შემორჩენილია, ძირითადად, ბიბლიური (Q-208ს, X ს.; Q-208ბ, X ს.) ლიტურგიკული (Q-215, XI ს.) შინაარსის თხზულებები, შედარებით მცირეა ჰაგიოგრაფიული (Q-189ბ, XV-XVI სს.) და დოგმატიკური (Q-209, X ს.; Q-2017, XIს.) თხზულებები **(აღწერილობა (Q))**.

რაც შეეხება ფრაგმენტების ფონდს (Fr), ძირითადად გვხვდება ლიტურგიკული და ბიბლიური შინაარსის ტექსტები, ასევე მცირე რაოდენობით ჰიმნოგრაფიული, ჰაგიოგრაფიული და ეგზეგეტიკური შინაარსის თხზულებები **(ხეც. ფრაგმენტების კატალოგი 1978)**.

სვანული პალიმფსესტურ კოლექციაში (Svan) 23 ერთეულიდან 5 ფურცლამდე დაცულია 9 ერთეული. აქედან თემატურად ყველაზე მეტია ჰიმნოგრაფიული შინაარსის ფრაგმენტული ხელნაწერი, სამი სახარების, ლიტურგიკული და აპოკრიფული (იხ. ცხრილი).

ფრაგმენტულ ხელნაწერებზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა მრავალი სიახლე, კონკრეტულად, აღმოჩნდა დღემდე უცნობი და შეუსწავლელი პალიმფსესტების ნიმუშები[4]. ფრაგმენტებში ზოგჯერ ქვედა ფენა იმდენად კარგად არის შემორჩენილი, რომ მისი ამოკითხვა მარტივადაა შესაძლებელი, უფრო მეტიც, ქვედა ფენა მკვეთრია (H-1893ა (XIII-XIVსს), H-1893ბ (XIV-XV სს.), H-2084ვ (XV ს.), H-2093გ (XV-XVI სს.), H-2093დ (XVI ს.), H-2093ვ (XVI ს.) და სხვ.).

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფმა შეისწავლა პალიმფსესტური ხელნაწერები (V-VII სს.). თუმცა ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევისას აღმოჩნდა შეუსწავლელი პალიმფსესტები (A-257ე, A-836ბ, H-3014, H-3170 და სხვ) და მეცნიერთა მიერ გაკეთდა შესაბამისი ფრაგმენტის სტრუქტურული, კოდიკოლოგიური, არქეოგრაფიული და ტექსტოლოგიური ანალიზი.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ფრაგმენტულ ხელნაწერებში გვხვდება ბიბლიური (491(კ-8), XII ს.,), ლიტურგიკული (3386 (კ-68), XI-XII სს., 3383 (კ-39), XIV ს.), საერო (723 (კ-16), XVI ს. კალანდა), ჰიმნოგრაფიული (727 (კ-20), XVI ს.) შინაარსის ტექსტები **(რეგიონები 2015).**

გრაცის უნივერსიტეტში დაცულია სამი ფრაგმენტული ხელნაწერი: იოანეს სახარება (AI 2058), მამათა სწავლანი (CIII 2058) და მრავალთავი (BI 2058). ტექსტები გამოცემულია ი. იმნაიშვილის მიერ. პროექტის ფარგლებში, გრაცის უნივერსიტეტში დაცული ფრაგმენტული ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევის მიზნით განხორციელდა სამეცნიერო მივლინება **(იმნაიშვილი 2001; 2004)**.

ფრაგმენტული ხელნაწერების გარდა კვლევითი ექსპედიციის მონაწილეები გაეცნენ გრაცის უნივერსიტეტში დაცულ ქართულ ხელნაწერ კოლექციას. აღმოჩნდა, რომ Graz.2058$_3$ იოანე ზოსიმეს X ს-ის ხელნაწერის ყდის ორივე ფრთაზე საცავ ფურცლად გამოყენებულია სხვადასხვა ხელითა და დამწერლობით შესრულებული ფრაგმენტების ნაწილები. ზედა ფრთის საცავ ფურცლად გამოყენებულია ეტრატის ფრაგმენტი, სადაც შეიმჩნევა დიდი ზომის, კალიგრაფიული ასომთავრულით სიმეტრიულად შესრულებული ტექსტი, შეიმჩნევა მხოლოდ ასოთა მოხაზულობის კონტურები, ტექსტის წაკითხვა რთულია. საცავი ფურცლის მხოლოდ ქვედა კიდეზე გაირჩევა სიტყვის ნაწილი „სადიდებ[...]".

ქვედა ფრთაზე შემორჩენილია საცავი ფურცლის ორი ფენა. ფრაგმენტის ქვედა ფენა შესრულებულია კალიგრაფიული ნუსხურით, შავი მელნით, ხოლო ზედა ფრაგმენტი - ბერძნულად ყავისფერი მელნით **(ნინო მეგენეიშვილი).**

ფრაგმენტული ხელნაწერების ზომოთ დასახელებული კვლევის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ფრაგმენტული ხელნაწერების შესწავლამ მოიცვა შემდეგი კომპონენტები: პალეოგრაფიული ნაწილი, ტექსტოლოგიური თავისებურებები, ქრონოლოგიური თანამიმდევრობა, სტრუქტურული ელემენტები. კვლევით ნაწილში გათვალისწინებულია ყველა ეს კომპონენტი.

პალეოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი. როგორც ცნობილია, პალეოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს დამწერლობის წარმოშობა-განვითარების თანამიმდევრობასა და ეტაპებს. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „წერის ხელოვნებას ქართულად დამწერლობა ეწოდება და ამიტომ ამ ძველ ქართულ მწერლობაზე დამყარებული დამწერლობათმცოდნეობა მნიშვნელობით ევროპულ მეცნიერებაში მიღებულ პალეოგრაფიას უდრის (ჯავახიშვილი, 1949). პალეოგრაფია იკვლევს დამწერლობასთან დაკავშირებულ თავისებურებებსა და კომპონენტებს - საწერ მასალას, ხელნაწერის შემკულობას, დაკანონვას, დაქარაგმებას, სასვენ, ე.წ. განკვეთის, ნიშნებს, ამიტომ ფრაგმენტების შესწავლისას აუცილებელია მათი საფუძვლიანი პალეოგრაფიული აღწერა, ყველა კანონზომიერების გათვალისწინება.

ეტრატზე შესრულებულ ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტულ ხელნაწერებში გვხვდება მხოლოდ ასომთავრული და ნუსხური დამწერლობა, მასში დადასტურებული მხედრული წერის ნიმუშები არის მოგვიანო პერიოდის მინაწერები და არა ხელნაწერის ძირითადი ტექსტის ნაწილი. ეს პალეოგრაფიული მახასიათებელი, ფონეტიკურ თავისებურებებთან ერთად, ფრაგმენტის დათარიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია, რადგან XI საუკუნიდან აქტიურად მკვიდრდება ნუსხური დამწერლობა, ასევე გვხვდება ასომთავრულით დაწერილი, ძირითადად, ბიბლიური ტექსტები ძველი (Q-208ა, X ს. გამოსვლათა წიგნი; Q-208ბ, X ს. ბიბლიის საკითხავები) და ახალი აღთქმის ტექსტების ფრაგმენტები (Fr-294 XV ს., Fr-221 XI ს. A-1090ა, X ს; A-1287ა, X ს.; H-1326, X ს. და სხვ.), ლექციონარები (A-257დ, X ს.). ასე რომ, დამწერლობის ტიპი გვიადვილებს ხელნაწერის სავარაუდო დათარიღებას, რადგან X ს. შემდეგ, ბიბლიური წიგნების გარდა, ასომთავრულით ნაწერი სხვა სასულიერო შინაარსის თხზულებები თითქმის აღარ გვხვდება.

კვლევისას გამოვლინდა, რომ რამდენიმე ფურცლით შემორჩენილ ფრაგმენტულ ხელნაწერებში იშვიათია ტექსტების უწყვეტობისა და თანამიმდევრობის დაცვის შემთხვევები. ხშირ შემთხვევაში გვხვდება ერთი ხელნაწერის სხვადასხვა ფურცლის ფრაგმენტი (H-2084დ, XV ს.) თავდაპირველი პაგინაციის აღნიშვნის გარეშე.

კვლევის დროს გამოიკვეთა ადრე შედგენილ აღწერილობებში ფრაგმენტული ხელნაწერების პაგინაციის ხარვეზები, სადაც ტექსტის თანამიმდევრობა და განაწილება (r-v) დარღვეულია. ერთფურცლიან ფრაგმენტებზე r-v არასწორადაა მითითებული (Q-213, X ს., H-2431, XI-XII სს.), ხოლო რამდენიმე ფურცლის შემთხვევაში დარღვეულია ტექსტის შინაარსობრივი თანამიმდევრობა. მაგალითად, H-2084დ, XV ს. 1r-2v ზე იკითხება იოანეს თავის სახარება, ხოლო 3r-4v მათეს - სახარება. ფრაგმენტის ოთხივე გვერდი შესრულებულია ერთი ხელით. ფრაგმენტის პაგინაცია შეიცვალა ჩვენ მიერ.

ფრაგმანტებზე შემორჩენილი რვეულებრივი პაგინაცია საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, რა მოცულობის ხელნაწერის ნაწილი იყო ჩვეთვის საინტერესო ფურცელი/ფურცლები. მაგ., A-492გ (XVI ს.) სვინაქსარია (2 ფ.), ფრაგმენტზე შემორჩენილია რვეულებრივი პაგინაციის კვალი. 1v-ზე, ქვედა მხარეს, შუაში ასომთავრულით წერია „გ„, ანუ მესამე რვეულის დასასრული, ხოლო 3r-ს ზედა კიდის შუაში მითითებულია მეჩვიდმეტე რვეულის დასაწყისი „იზ".

როგორც ვხედავთ, ფრაგმენტული ხელნაწერების პალეოგრაფიული, კოდიკოლოგირი და ტექსტოლოგიური კვლევა საშუალებას იძლევა, გამოვთვალოთ, სავარაუდოდ, რა მოცულობის ტექსტი აკლია. ამის საინტერესო მაგალითს ვაწყდებით XIII ს-ის ფრაგმენტულ სვინაქსარში A-1090გ, რომელშიც გვხვდება გადაწერის თანადროული ფურცლობრივი პაგინაციის ნიმუშიც: ქვედა მხარეს, ფურცლის შუაში ტექსტის ხელით, ნუსხურით

აღნიშნულია „სკბ"-222, „სკგ"-223, „სკდ"-224, „სკე"-225. ამ მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია, აღვნიშნოთ, რომ XIII ს-ში ქართულ სამწერლობო კულტურაში ფურცლობრივი პაგინაცია მიღებული ტრადიცია ყოფილა.

ფრაგმენტული ხელნაწერების დათარიღებისა და სრულყოფილი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ე.წ განკვეთისა და სასვენი ნიშნების შესწავლა. ძველ წერილობით ძეგლებში ტექსტი, სიტყვები და წინადადებები, ხშირად ინტერვალის გარეშე იწერებოდა. არ იყო სასვენი ნიშნების გამოყენების ტრადიცია. სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში VI ს-დან ჩნდება, ამას ადასტურებს სახარების ხანმეტი ძეგლები, მაგრამ VII საუკუნიდან განკვეთა ანუ სასვენი ნიშნები თითქმის აღარ გვხვდება. ჩვენ მიერ შესწავლილ X ს-ის ფრაგმენტულ ხელნაწერებში - Q-209, X ს., Q-210 X ს., Q-211 X ს., Q-212 X ს., Q-213 X ს. და სხვ. რომლებიც შესრულებულია ასომთავრულით, განკვეთის ნიშნები არ დასტურდება.

როგორც ლ.ქაჯაია აღნიშნავს, განკვეთის ნიშნების აღდგენა ქართულ მწერლობაში ეფრემ მცირეს მიეწერება. ხოლო შედარებით უფრო გვიან ჩნდება ახალი სისტემა, რომელიც ანტონ პირველის სახელთან არის დაკავშირებული. წერილობით ძეგლებში დადასტურებულია განკვეთის შემდეგი ნიშნები: >; -; /; .; : ; :. ; ::: ; :-; >:, ასევე სხვადასხვა კომბინაციაში გამოიყენებოდა ერთწერტილი, ორწერტილი, კერძოდ, ტირეს შემდეგ, ზემოთ, ქვედა მხარეს და სხვ. სასვენ ნიშანთა ხმარება იცვლებოდა დროის მიხედვით. მაგალითად, V-VI სს-ში აბზაცის, თავის დასაწყისისა და ტექსტის ბოლოს იწერებოდა ერთწერტილი (.), შემდგომ პერიოდში კი შეიცვალა სამწერტილით (∴ ∴ ∴), ოთხწერტილით, ექვსწერტილითაც. ეს ნიშნები გვხვდება ნუსხური დამწერლობით შესრულებულ თითქმის ყველა ფრაგმენტულ ხელნაწერში, მაგრამ გვაქვს გამონაკლისები. მაგალითად, არაკალიგრაფიული ნუსხურით შესრულებულ ფრაგმენტებში: H-146 (XI-XII ს.) ჟამისწირვა, H-1807 (XV-XVI სს.) კურთხევანი და სხვ. არ გვხვდება განკვეთის არცერთი ნიშანი **(ქაჯაია, 2018: 12)**.

ტექსტში სიმეტრიისა და ასოთა თანაბრობის დასაცავად საჭირო იყო გარკვეული საორიენტაციო დანაყოფების შექმნა, რაც ხელს უწყობდა ასოების, წინადადებების, სტრიქონების, სვეტების თანაბარ დაშორებას, ასევე საჭირო იყო ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ტექსტის თანაბარ დაშორებას ფურცლის ოთხივე კიდიდან. ამ მეთოდს ეწოდებოდა ფურცლის **დაკანონვა**. მსგავსი სიმეტრიული სტრუქტურის გამოყენება ხელს უწყობდა ხელნაწერის მაღალ კალიგრაფიულ სტანდარტსა და მხატვრულ ღირებულებას. დაკანონვა სრულდებოდა ბასრი იარაღით ფრთხილად როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად. ვერტიკალური დაკანონვა გამოიყენებოდა სიმეტრიის დასაცავად, ჰორიზონტალური კი - საზედაო ასოებისთვის. ხშირ შემთხვევაში დაკანონვა იმდენად ფრთხილად და მაღალკვალიფიციურად არის შესრულებული, რომ შეუიარაღებელი თვალისთვის ძნელად შესამჩნევია, თუმცა ხშირად გვხვდება დაკანონვის შედეგად მიღებული ღრმად ჩასერილი ადგილები. ზოგიერთი ფურცლის

კიდეებზე გვხვდება თანაბრად დაშორებული ნაჩხვლეტი ადგილები, რაც აუცილებელი იყო ფურცლის თანაბრად დახაზვისთვის, დაკანონვისთვის.

გვხვდება ისეთი ფრაგმენტული ხელნაწერებიც, რომელთა კალიგრაფიული მხარე და ასიმეტრიული წერის კულტურა მიგვანიშნებს დაკანონვის არარსებობაზე, ასეთი მაგალითები დასტურდება, ძირითადად, ერთ სვეტად დაწერილ ფრაგმენტებში: H-2085გ (XV ს.), H- 2085ბ (XV ს.), H-2093ე (XVI ს.), H-2093ვ (XVI ს.), H-3169 (XVI-XVII სს.), H-2093ზ (XVI ს.), Q-487გ (X ს.), 723(კ-16) XVI ს., 727(კ-20) XVI ს. და სხვ.

ძველი წერილობითი ძეგლებისათვის დამახასიათებელია **დაქარაგმება**. ქარაგმული, ანუ შემოკლებული, წერის გაჩენას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა - სწრაფი წერა, მასალის ეკონომიური გამოყენება. დაქარაგმებისას ზოგჯერ იწერებოდა სიტყვის პირველი ასო, მაგ: ხ~ - ხოლო, რ~-რამეთუ; ან პირველი და ბოლო ასო - ა~დ- არამედ; რ~ი-რომელი; წ~ე-წინაშე; იყო შემთხვევა, როდესაც სიტყვაში მხოლოდ პირველ მარცვალს დააქარაგმებდნენ: ზ~და-ზედა; ც~ცხლსა-ცეცხლსა; ზოგჯერ იწერებოდა მხოლოდ ერთი ხმოვანი სიტყვის ბოლოს და ყველა თანხმოვანი იყო დატოვებული წ~წმტყვლი-წინაჲსწარმეტყუელი; ქ~კზი-ქართლის კათალიკოზი. აღსანიშნავია, რომ ფრაგმენტულ ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური სურათის, სტრუქტურულ, ლინგვისტურ ღირებულებასა და დათარიღებაში დაქარაგმება მნიშვნელოვან ინფორმაციას არ იძლევა.

ენობრივი თავისებურებანი. დათარიღებისას მნიშვნელოვანია ხელნაწერთა ფონეტიკური და ენობრივი მახასიათებლები. ზ. სარჯველაძე აღნიშნავს: „სალიტერატურო ენას, ზოგადად, ახასიათებს მისი განვითარების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: მისწრაფება მოქმედი ნორმის შენარჩუნებისა და განმტკიცებისა და ამავე დამკვიდრებული ენობრივი ნორმის შეცვლისა„ **(სარჯველაძე, 1975: 11)**. ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებამ განვითარების სხვადასხვა ეტაპი განვლო. ზ.სარჯველაძის აზრი, რომ ქართული ენის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბება ჩვ.წ.აღ-მდე VII საუკუნიდან დაწყებულა, არარსებული ფაქტობრივი მასალის ათსაუკუნოვანი ისტორია იძლევა ვარაუდების და არა დასკვნების გაკეთების საშუალებას. ძველი ქართული ენის ძეგლები იყოფა ჯგუფებად: ხანმეტი, ჰაემეტი, სანნარევი. გვხვდება ხმოვანმეტობაც (ი-მეტობა, ა-მეტობა) **(სარჯველაძე, 1975: 24-25).**

ეს დაყოფა ემყარება იმას, თუ რომელი პრეფიქსები გამოხატავენ ზმნაშიმეორე სუბიექტურსა და მესამე ობიექტურ პირებს. ხმოვანმეტობის შემთხვევაში ამეტობა არის დიალექტური მახასიათებელი, ხოლო ი-მეტობა - ქრონოლოგიური მოვლენა. ე.წ. ხანმეტი ძეგლები ძირითადად გვხვდება V-VIII სს-ში, ჰაემეტი ძეგლების უმრავლესობა - VII საუკუნიდან, ე.წ. სანნარევი ფორმები - IX ს-ში. ჩვენ მიერ შესწავლილ ფრაგმენტულ ხელნაწერებში გამოვლინდა შემდეგი ენობრივი თავისებურებანი: ფრაგმენტულ ხელნაწერებში ხ, ს, ჰ მეტობა არ დასტურდება, თუმცა გვაქვს ა და ი მეტობის

შემთხვევები (H-1795ბ, H-1808, H-1811, H-1823). X ს-ით დათარიღებულ ფრაგმენტებში, რომლებიც, ძირითადად, ასომთავრულითაა შესრულებული, გვხვდება ო-უ გრაფემების მონაცვლეობის შემთხვევები (GRAC-b, Xს.; Q-213, Xს. მარკოზის სახარება). მოგვყავს რამდენიმე მაგალითი: . ...რაჲ ეგოდენ ძუირი **ოქმნიეს** და ეგენი **ოჴმობდეს**, ჯუარს-აცუ ეგე" (Q-213, X ს.). მსგავსი ფორმა, ო - უ ხმოვნების მონაცვლეობა, გვხვდება გრაცის უნივერსიტეტში დაცულ X ს-ით დათარიღებულ ქართულ ფრაგმენტულ ხელნაწერში, მრავალთავში (B I 2058, გრაცი): „თავნი თოისნი შეწერვად მსხოერპლად სათნოდ ღმრთისა...". XII ს-დან დასტურდება ამეტობის შემთხვევები (H-1866ბ, XIV-XVსს., (722კ-32ბ (XV-XVI სს.), Fr-83 (XV-XVI სს.).

ზ.სარჯველაძის მოსაზრებით, ხელნაწერ წერილობით ძეგლებში ხშირად ენობრივი ნორმებიდან გადახვევა გადამწერის კონსერვატიულ, სალიტერატურო ენასა და ყოფით, საკომუნიკაციო ენას შორის არსებული დაპირისპირების შედეგი შეიძლება ყოფილიყო **(სარჯველაძე, 1975: 9-10).**

ტექსტოლოგიური ანალიზი და მისი სირთულეები. ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევისას მნიშვნელოვანია ტექსტოლოგიური ანალიზი. სრულყოფილმა ტექსტოლოგიურმა ანალიზმა მოგვცა ფრაგმენტულ ხელნაწერთა რაობის დაზუსტების საშუალება. მაგალითად, A-492გ (XVI ს.) ფრაგმენტი აღწერილობაში მითითებულია, როგორც „კრებული", მაგრამ თხზულების ლექსიკოგრაფიულ-ტერმინოლოგიური თავისებურება და ტექსტოლოგიური მახასიათებლები მიუთითებენ იმაზე, რომ ფრაგმენტი არის „სვინაქსარი". ფრაგმენტში დაცული ტექსტი უცვლელად მისდევს დიდ სვინაქარში დაცულ მონაკვეთებს **(დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი, 2017: 84, 295)**. მსგავსი უზუსტობა დასტურდება A-493გ, აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი თარიღდება XII-XIII საუკუნეებით და არის „სადღესასწაულო", თუმცა ცნობილია, XII-XIII საუკუნეებში ლიტურგიკული ღვთისმსახურების კრებული იწოდებოდა, როგორც „სვინაქსარი" და არა „სადღესასწაულო" **(დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი, 2017: 004)**. ფრაგმენტის ტექსტოლოგიურმა და პალეოგრაფიულმა ანალიზმაც გვიჩვენა, რომ ხელნაწერი წარმოადგენს XII-XIII საუკუნეებით დათარიღებულ სვინაქსარს.

ფრაგმენტული ხელნაწერების ანალიზისას დიდ სირთულეს წარმოადგენს ფრაგმენტებში დაცული ტექსტების რედაქციის განსაზღვრა. ფრაგმენტებზე დაცული ბიბლიური და ლიტურგიკული წიგნების უმრავლესობა გიორგი მთაწმიდლის რედაქციას თითქმის უცლელად მიჰყვება. გიორგი მთაწმიდლის რედაქციისაა სვინაქსარის შემორჩენილი ფრაგმენტები, თუმცა გვაქვს ორი განსხვავებული ნუსხა A-492გ (XVI ს.) და A-1090გ (XIII ს.), რომლებიც ახლოს დგას ე.წ. შიომღვიმის რედაქციასთან. როგორც ცნობილია, ადრექრისტიანულ ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში გამოიყენებოდა ე.წ. „იერუსალიმური კანონები", რომელიც ჩაანაცვლა კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონმა. კ.კეკელიძის აზრით **(კეკელიძე, 1960),** „იერუსალიმური ტიპიკონი" სრულად ვერ აკმაყოფილებდა ლიტურგიკულ მოთხოვნებს, ამიტომ გიორგი მთაწმინდელმა თარგმნა „დიდი სვი-

ნაქსარი". ქართული საღვთიმსახურო პრაქტიკა XI-XII სს-დან ხელმძღვანელობდა ორი მეტად მნიშვნელოვანი რედაქციის ლიტურგიკული კრებულით, ესენია გიორგი ათონელის რედაქციის სვინაქსარი და სვიმეონწმინდის რედაქციის ე.წ. საბაწმინდური ტიპიკონი, რომელიც დავით აღმაშენებლის დროს შემოიღეს შიომღვიმის მონასტერში **(კოჭლამაზაშვილი, გიუნაშვილი, 2005)**. ამ რედაქციამ ჩვენში XVIII საუკუნის შუა პერიოდამდე იარსება, შემდეგ ის სლავური ტიპიკონების მიხედვით ჩაუსწორებია ანტონ კათალიკოსს. დასახელებული ფრაგმენტული ხელნაწერები არცერთ რედაქციას არ მისდევს, მათი გადაწერის თარიღი ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ჩვენში ორი რედაქცია, გიორგი მთაწმინდლისა და საბაწმნიდური რედაქციები, გამოიყენებოდა პრაქტიკაში. შესაძლოა, ეს ფრაგმენტები არ განეკუთვნებოდეს არცერთ რედაქციას და იყოს სხვა, გარდამავალი რედაქციისა.

ფრაგმენტულ ხელნაწერებში მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი ჰაგიოგრაფიული-ჰომილეტიკური თხზულებები. ძირითადად გვხვდება ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულებები. მათი დიდი ნაწილი მეტაფრასული რედაქციისაა (მაგ. Q-189ბ, XXVI სს.). ესაა დეკემბრის თვის მეტაფრასული თხზულებები - წმინდა ბარბარასა და ივლისის თვის - წმინდა მარინას მარტვილობები. უძველესი ჰაგიოგრაფიული თხზულებები ე.წ. კიმენური რედაქციის იყო. კიმენური რედაქციის ჰაგიოგრაფიული თხზულებები X საუკუნიდან თითქმის აღარ გვხვდება. ამ პერიოდიდან ქართულ მწერლობაში უმეტესად ჩანს ე.წ მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. აქედან გამომდინარე, ჰაგიოგრაფილ ტექსტთა რედაქციულობა მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია ხელნაწერთა დათარიღებაში **(ახობაძე, 2017)**.

ხაზგასასმელია ერთი დეტალი, ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევისას აღმოჩნდა ნიმუშები (ჟამისწირვა H-1852, XV-XVI სს., H-2431, XI-XII სს., Q-213, X ს.) ლიტურგიკული, დოგმატიკური, ბიბლიური შინაარსის ტექსტები (Q-209, X ს.), რომლებიც დღემდე ცნობილი ყველა რედაქციისა და ნუსხისგან განსხვავდება, რაც გვაძლევს დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ქართული ხელნაწერი კორპუსი კიდევ უფრო მდიდარი იყო რედაქციულობის თვალსაზრისით, ვიდრე დღემდე სამეცნიერო მიმოქცევაში დადასტურებული ერთეულებიდან ჩანს **(რაფავა, ჩიკვატია, შენგელია, 2015)**.

ფრაგმენტთა დეკორი. ხელნაწერი წიგნის ხელოვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე, კერძოდ, V-VIII საუკუნეებში, ხელნაწერები შეიცავდა ნაკლები გაფორმების ნიმუშებს. შემდგომ პერიოდში კი გვხვდება ორნამენტული და მინიატურული მხატვრობით გაფორმებული არაერთი ხელნაწერი, თუმცა შემორჩენილი ფრაგმენტული ხელნაწერები ღარიბია მხატვრული გაფორმებით.

ფრაგმენტული ხელნაწერები ძირითადად შესრულებულია ყავისფერი ან შავი მელნით. ხოლო მათ გაფორმებას წარმოადგენს მხოლოდ ტექსტის

მელნითა და სინგურით გამოყოფილი საზედაო ასოები (A-492ზ, კ-51 და სხვ). იშვიათად გვხვდება უხეშად შესრულებული დაბალი მხატვრული ღირებულების თავსამკაულები.,ძირითადად შესრულებული სინგურითა და ტექსტის მელნით (Q-189იგ და სხვ).

ფრაგმენტულ ხელნაწერებში შემორჩენილია სამი ერთეული, რომლებზეც მინიატურაა შესრულებული. აქედან ორი - ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება (H-2805, XIII ს.) და გადაშლილი ჩანახატი (H-2065, X ს.) - ორი ერთეული დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ერთი კი - სვანეთში, სოფ. ნესგუნის ეკლესიაში დაცული XII-XIII ს-ის ხლნაწერის ფრაგმენტი, მინიატურა, ვედრების კომპოზიცია, მინიატურაზე გამოსახულია მაცხოვარი მარცხნივ ღვთისმშობელით და მარჯვნივ იოანე მახარებლით.

მარგინალური ნიშნები, რომლებიც ხელნაწერებში უმეტესად ტექსტის სტრუქტურირებისა თუ კომენტართა მონიშვნის მიზნით ერთვის ნაწერს, რიგ შემთხვევებში ერთგვარი მხატვრული დეკორის ფუნქციასაც ასრულებენ. ფრაგმენტული ხელნაწერების ტექსტში ამა თუ იმ საკითხავის ან თავის გამოსაყოფად გვხვდება სხვადასხვა ნიშანი, ჰორიზონტალურად დასმული სამწერტილი (...), გამოყენებულია კლაკნილი ხაზები (~), საზედაო ასოს მუცელსა და თავში გვხვდება ასეთი ნიშნები ※, ∴ ,⁜, ⁖. დასახელებულ ფრაგმენტთა კვლევამ წარმოაჩინა მათ შორის საერთო ნიშნები და განსხვავებები. დეკორის ფუნქციას ასრულებს, ასევე, მომდევნო სტრიქონამდე ჩამოგრძელებული ზოგიერთი საზედაო ასოც (H-1807, 1v; H-2084დ, 2r; A-492ზ, 2r).

ფრაგმენტულ ხელნაწერთა კონსერვაცია-რესტავრაცია

ხელნაწერების კვლევა მოიცავს ინტერდისციპლინურ მიდგომას და მოითხოვს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების (პალეოგრაფების, კოდიკოლოგების, ტექსტოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, კონსერვატორ-რესტავრატორების და სხვ.) ჩართულობას. უცხოეთის წამყვან სარესტავრაციო კვლევით ცენტრებში რესტავრატორებთან ერთად მუშაობენ საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტები. ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების ზედაპირის სტრუქტურისა და მელნის მდგომარეობის, დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესწავლის მიზნით, გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობითა და კონსულტაციით პროექტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სპექტრული ანალიზი, რის საფუძველზეც შემუშავდა დაცვის რეკომენდაციები. კვლევის ახალი მეთოდი - X-ray რენტგენის დიფრაქციის (XRD), ფურიეს ტრანსფორმაციის ინფრაწითელი სპექტროსკოპიის (FT-IR) და FT-Raman სპექტროსკოპიის, UV-vis-NIR რეფლექტოგრაფიისა და რენტგენის ფლუორესცენციის (XRF) მეთოდების გამოყენება - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაინერგა და განხორციელდა 2018 წელს (შორენა თავაძე)[5], კერძოდ, XVII საუკუნის დაზიანებულ ხელნაწერზე მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით

[5] ქ.კოლნის რესტავრაციისა და კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტი (CICS) 2014-2015 წწ.

ჩატარდა მელნის მორფოლოგიური და ელემენტური ანალიზი[6] **(თავაძე, კლდიაშვილი, ჯიქიძე)**.

სწორედ ამ პრინციპებით ვიხელმძღვანელეთ ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევისას. კვლევის შედეგად თითოეული ფრაგმენტული ხელნაწერისთვის შედგა დეტალური არქეოგრაფიული აღწერა და შეფასდა დაზიანებების ხარისხი, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ხელნაწერი წიგნების რესტავრაციის პროცესი იძლევა იშვიათ შესაძლებლობას, შევისწავლოთ ხელნაწერი წიგნის ტექნიკური მახასიათებლები - კინძვის, ყდის წარმოების, კონსერვაცია-რესტავრაციის შუა საუკუნეების ან ახალი ისტორიის (XVI-XVIII სს.) მეთოდები და საშუალებები - დავინახოთ და გავარკვიოთ ხელნაწერის შექმნის სახელოსნო ისტორია და ტექნოლოგია, რაც ზედაპირული დათვალიერებით სრულყოფილად ვერ ხერხდება. ხელნაწერების რესტავრაციისას სპეციალისტები ადგენენ, რა მეთოდებითა და მასალით იქმნებოდა ხელნაწერი წიგნი. მაგ., A 1090გ, XIII ს. - ამ ფრაგმენტის ორივე გვერდი კარგად იკითხება, მაგრამ არის ზედმეტად გამომშრალი და მსხვრევადი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის, სავარაუდოდ, ამოვარდნილი იყო ბლოკიდან და არასათანადო პირობებში ინახებოდა, მას მღრღნელებისგან მიყენებული დაზიანებებიც აღენიშნება. ამავე ფრაგმენტზე შემორჩენილია ადრეული რესტავრაციის ნიშნები, შესრულებული ქაღალდით. მასზე კარგადაა გამოხატული ადრეული აკინძვის კვალი, ხუთი რომბისებური ჭრილით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ხელნაწერი წიგნის ბლოკი „ჯაჭვური„ პრინციპით იყო აკინძული. ეს დამახასიათებელი იყო XIII საუკუნის ქართული წიგნის კინძვის პრაქტიკისთვის (**კარანაძე, 2002**). ხელნაწერის ყდისა და აკინძვის კვლევა დამატებით ინფორმაციას იძლევა ხელნაწერის დათარიღებისათვის.

ძველი ქართული ხელნაწერები მდიდარ და საინტერესო მასალას გვაძლევენ წიგნის კინძვის ტექნოლოგიის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც. ფრაგმენტულ ხელნაწერებზე შემორჩენილია თანაბრად დაშორებული 2, 3, 4 ან 5 რომბისებური ან ოვალური ასაკინძი ჭრილი. აკინძვა ძირითადად ხდებოდა „ჯაჭვისებური" პრინციპით, რაც არ იყო მყარი და იწვევდა ხელნაწერის ბლოკის დაშლას. შესაძლებელია, ესეც გამხდარიყო ფრაგმენტული ხელნაწერების გაჩენის მიზეზი. XVI-XVII საუკუნიდან გვხვდება ფურცელთა ე.წ. თასმებზე აკინძვა, რაც უფრო მყარი ტექნოლოგიაა და ბლოკის მთლიანობის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ფრაგმენტულ ხელნაწერზე შემორჩენილია სხვადასხვაგვარი ძაფის კვალი (H-1866ბ, XIV-XV სს. და სხვ.). გრაგნილ ფრაგმენტულ ხელნაწერებში დაცულია არაკალიგრაფიული ნუსხურით შესრულებული სულთა მატიანე (H-2093ვ, XVI ს.), რომელშიც სხვადასხვა შინაარსის ტექსტების შემცველი კეფები უხეშად არის გადაბმული წითელი ძაფით.

შევისწავლეთ ეტრატზე შესრულებული ქართული ფრაგმენტული

[6] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური მასალათმცოდნეობისა და მასალათა ტექნოლოგიების ინსტიტუტის ლაბორატორია.

ხელნაწერების მდგომარეობა. მათი უმრავლესობა დაზიანებულია სხვადასხვა მიზეზითა და ხარისხით, ზოგიერთ გვერდზე ტექსტი ძნელად ან საერთოდ არ იკითხება (Q-219, XIII-XIV სს.), აღენიშნება ასევე ნესტის, სანთლის პიგმენტური ლაქები.

რამდენიმე ფრაგმენტზე გვხვდება ადრეული რესტავრაციის კვალი - ძაფით გაკერილი და გამაგრებული ადგილები, რაც იმ დროს ფურცლის შეკეთება-გამაგრების ერთ-ერთი მეთოდი იყო, მოგვიანო პერიოდში კი მიკალენტი და ქაღალდი გამოუყენებიათ (Q-189იგ, XVს. და სხვ.).

პრევენციული კონსერვაციისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები გულისხმობს აუცილებლობის შემთხვევაში მექანიკური დაზიანებების გამაგრებას, მათ სწორად განთავსებასა და შესაბამისი პირობების შექმნას.

ფრაგმენტული ხელნაწერები დაჯგუფდა დაზიანებები ხარისხის მიხედვით.

1. ა) გვხვდება დაუზიანებელი ფრაგმენტული ხელნაწერები, ტექსტი ადვილად იკითხება, თუმცა ფურცლის უმნიშვნელო ნაწილია შემორჩენილი, ამიტომ შეუძლებელია ტექსტის შინაარსის აღდგენა (H-2093ზ, XVI ს.). ბ) ბასრი საგნით ჩამოჭრილია ფრაგმენტების გვერდები, სავარაუდოდ, მომზადებული სხვა ხელნაწერის ყდის საცავ ფურცლად (A-1090ა, X ს., Q-218, XII-XIV სს.).

2. ა) ხელნაწერები, რომელთა ცალი მხარე მთლიანად გადარეცხილია; ბ) ფურცლის ორივე მხარე სინესტისგან გადარეცხილია და შეუძლებელია ტექსტის გარჩევა: იკითხება მხოლოდ რამდენიმე ასო; გ) გვხვდება ყდიდან ამოღებული ფრაგმენტები, რომლებზეც შეიმჩნევა წებოს კვალი, შესაბამისად, მასზე ტექსტი არ იკითხება (H-2703, XVს., H-1885დ, XIს.); დ) ძირითადი ტექსტის გარჩევა შესაძლებელია, მაგრამ მელნის გაუფერულების გამო არ იკითხება სინგურით შესრულებული ადგილები (A-929ა, XV-XVI სს.).

3. შესწავლილ ფრაგმენტებზე გვხვდება მექანიკური, მღრღნელებისა და მწერებისგან მიყენებული დაზიანებები (A-1287გ, XIV ს., სვან. 3383 (კ-39),XIV ს.).

ფრაგმენტული ხელნაწერების კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურებების საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე ნიმუში:

1. H-2093ე, სულთა მატიანე, XVI ს.

ეს ფრაგმენტი საინტერესო აღმოჩნდა მრავალი პარამეტრით. აღწერილობის მიხედვით, XVI საუკუნით დათარიღებული H-2093დ შედგებოდა ოთხი სხვადასხვა ფურცლისგან, თუმცა კვლევისას აღმოჩნდა, რომ ოთხივე ფურცელი არის სხვადასხვა ხელნაწერის ოთხი ფრაგმენტი. ხელნაწერი დაიყო ცალკე ერთეულებად (H-2093 დ, ე, ვ, ზ). H-2093ე წარმოადგენს პალიმფსესტურ გვერდს, ზედა ფენა არის XVI საუკუნით დათარიღებული საერო შინაარსის თხზულება, სულთა მატიანე, ხელნაწერის ქვედა შრე კი - ორ სვეტად დაწერილი ლუკას სახარება 23, 48-52. ფრაგმენტის სტრუქტურა შემდეგნაირია: ფურცლის ზომა 22,5X12,5; r -არშიებზე დაშორება

ტექსტამდე: ყუიდან 2,5 სმ, კიდიდან-3,5; ზედა არშია-0,7 სმ, ქვედა - 1,5 სმ; სვეტი - 17,5x7,5; v -არშიებზე დაშორება ტექსტამდე: ყუიდან 5 სმ, კიდიდან- ჩამოჭრილია; ზედა არშია-2 სმ, ქვედა-4,5 სმ; სვეტი-5×16; სვეტებს შორის დაშორება 1,5 სმ; სტრიქონთა რაოდენობა -24; საზედაო ასოები ტექსტის მელნით; მელანი - ყავისფერი; შეიმჩნევა დაკანონვის ხაზები; ეტრატის ფურცელი - მუქი ფერის; სისქე - 003 მმ; ფორმატი - არასრული, არაკონსერვირებული.

r-ზე ქვედა ფენა ძლიერ გადარეცხილია, ძნელად გაირჩევა რამდენიმე ასოს კონტური თავისუფალ ადგილებში. ზედა შრე გამოყენებულია მხოლოდ r-ზე; v-ზე შემორჩენილი სახარების ტექსტი არ არის გადარეცხილი, მაგრამ ჩამოჭრილია სახარების მე-2-ე სვეტი, იკითხება მხოლოდ ასოების დასაწყისი. სახარების ქვედა ფენა ნაწერია კალიგრაფიული ნუსხურით მუქი ყავისფერი მელნით, ხელის მიხედვით შესაძლებელია დათარიღდეს XII-XIII საუკუნეებით. რთული დასადგენია ხელნაწერის ფრაგმენტებად ქცევის მიზეზი. ფრაგმენტზე ტექსტების განაწილება ორივე, ზედა და ქვედა, შრეზე სხვადასხვაგვარია. ხელნაწერი ფურცელი დაჭრილია სიგრძით, ვერტიკალურად, თავდაპირველი ფურცლის შუაში, ამიტომ ზედა შრე, სულთა მატიანე, ნაწერია სიგანით, ხოლო ქვედა შრე, სახარება, ნაწერია სიგრძით. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პალიმფსესტური ფურცელი წარმოადგენს ხმარებიდან გამოსული (დაშლილი, დაზიანებული ან მიგრირებული) ძველი ხელნაწერის ფრაგმენტს. სავარაუდოდ, დაკარგული უნდა ყოფილიყო სრული კოდექსი, ამიტომ გამოიყენეს სხვა ტექსტისთვის, ხოლო მეორე გვერდი არ დასჭირდათ და არ გადაფხიკეს.

ფრაგმენტის ტექსტოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ v-ზე შემორჩენილი სახარება ტექსტოლოგიური და მუხლობრივი წყობით გიორგი მთაწმინდლის რედაქციის თანხვედრილია. გიორგი მთაწმინდლისეულ რედაქციის ხელნაწერებსა და ამ ფრაგმენტში ტექსტი ასე იკითხება:

„ლუკა 23,51. ესე არა თანაშერთულ იყო ზრახვასა მათსა..." (Q-908, XII ს., 122v). იგივე მუხლი წყაროსთავის სახარებაში შემდეგნაირადაა გადმოცემული: „ესე არა იყო ზრახვასა..." (A-98, Xს. 164v), აქ „თანაშერთული" გამოტოვებულია, ანალოგიური მონაკვეთი ბერძნულ რედაქციაში ამგვარადაა:

„οὗτος οὐκ ἦν συγκατατεθειμένος τῇ βουλῇ..." συγκατατεθειμένος ნიშნავს თანხმობას, დასტურს;

„ლუკა 23,52. ესე მივიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იგი იესუჲსი". ეს ტექსტი სიტყვასიტყვით მისდევს ფრაგმენტის იმავე მუხლს (A-98, Xს. 164v). მაგრამ, ძველი რედაქციის სახარებებში აღნიშნული მუხლი სხვაგვარად იკითხება: ადიშის სახარებაში _ „[ე]სე წარდგა წინაშე პილატესა...", ხოლო H-1660, X ს. (ჯრუჭის სახარება 223v)[7], A-1453, 973 წ. (პარხლის

[7] H-1660, X ს ჯრუჭის სახარება - წინაათონური, ე.წ. ოპიზური რედაქციის.

სახარება, 182v)[8], A-98, X ს. (წყაროსთავის სახარება, 164v)[9] მუხლი იწყება შემდეგნაირად: „ესე მოუჴდა...„ შესაბამისი მუხლი ბერძნულ რედაქციაში ასეა ფორმულირებული: „οὗτος προσελθὼν τῷ Πιλάτῳ ..." ბერძნულად προσελθὼν-Προσερχομαι ნიშნავს მისვლას. სწორედ ამ ფორმითაა დაცული 52-ე მუხლი ფრაგმენტში. ამ შედარებების გათვალისწინებით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ფრაგმენტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა, ამას ადასტურებს მუხლობრივი დაყოფა და სხვაობებიც ჩამოთვლილ ნუსხებთან. კერძოდ, A-98-ში 48 მუხლს მოსდებს 49 მუხლი, არ არის ცალკე მუხლად გამოყოფილი. ფიქსირდება მორფოლოგიური განსხვავება, მაგ. ჰხედვიდეს A98 164v, A-1453 182v (49 მუხლი), H-2093ე ხედვიდეს (ხედვიდეს მას). არის სტილისტური განსხვავებაც - „51. და იყო კაცი იგი (H-2093ე), კაცი გამოტოვებულია H-1660, X ს. 223v; A-98, X ს. 164v; A-1453, 973 წ. 182v.

ლუკას სახარება 23, 48-52

ქართული	ბერძნული
1v	
48. იხილეს ხილვაჲ ესე და საქმენი ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს.	Λουκ. 23,48a καὶ πάντες οἱ συμπαραγενόμενοι ὄχλοι ἐπὶ τὴν θεωρίαν ταύτην, θεωροῦντες τὰ γενόμενα, τύπτοντες ἑαυτῶν τὰ στήθη ὑπέστρεφον.
49. და დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილეაჲთ, ხედვიდეს მას	Λουκ. 23,49 εἱστήκεισαν δὲ πάντες οἱ γνωστοὶ αὐτοῦ ἀπὸ μακρόθεν, καὶ γυναῖκες αἱ συνακολουθήσασαι αὐτῷ ἀπὸ τῆς Γαλιλαίας, ὁρῶσαι ταῦτα.
50. და აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, მზრახვალი, იყო კაცის სახიერი და მართალი.	Λουκ. 23,50 Καὶ ἰδοὺ ἀνὴρ ὀνόματι Ἰωσήφ, βουλευτὴς ὑπάρχων καὶ ἀνὴρ ἀγαθὸς καὶ δίκαιος - Λουκ.
51. ესე არა თანაშერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა. იყო კაცი იგი არიმათიაჲთ, ქალაქისაგან ჰურითაჲსა, რომელი იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა.	Λουκ. 23,51 οὗτος οὐκ ἦν συγκατατεθειμένος τῇ βουλῇ καὶ τῇ πράξει αὐτῶν- ἀπὸ Ἀριμαθαίας πόλεως τῶν Ἰουδαίων, ὃς προσεδέχετο καὶ αὐτὸς τὴν βασιλείαν τοῦ Θεοῦ,
52. ესე მივიდა პილატესა და მოითხოვა გუამი იგი იესუჲსი ...	Λουκ. 23,52 οὗτος προσελθὼν τῷ Πιλάτῳ ᾐτήσατο τὸ σῶμα τοῦ Ἰησοῦ ...

[8] A-1453, 973 წ. პარხლის სახარება - წინაათონური, ე.წ. ოპიზური რედაქციის.

[9] A-98, X ს. წყაროსთავის სახარება - წინაათონური, ე.წ. ოპიზური რედაქციის.

ფრაგმენტის ზედა შრე, სულთა მატიანე, მცირე მოცულობის, 9 სტრიქონისგან შემდგარი ტექსტია, რომელშიც მოხსენიებული არიან ოჯახის წევრები, ვინმე შგერანი მეუღლითა და შვილებით, ასევე მისი ძმის ოჯახი. ტექსტის მიხედვით რთული დასადგენია, რომელ გეოგრაფიულ არეალს ეკუთვნის აღნიშნული ფრაგმენტი.

ფრაგმენტის ინტერდისციპლინური, ტექსტოლოგიური-კოდიკოლოგიური, კვლევის შედეგად ფრაგმენტული ხელნაწერი გამოეყო H-2093დ და მიენიჭა „H-2093ე".

2.ფრაგმენტულ ხელნაწერებზე მუშაობამ გამოკვეთა ერთი დეტალი, აღწერილობებში ხშირად რაობა არასწორადაა მითითებული. მაგალითად მოგვყავს Fr-294.

აღნიშნული ფრაგმენტი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა კვლევის თვალსაზრისით. კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფრაგმენტების კატალოგში აღნიშნული ფრაგმენტის შენიშვნებში მითითებულია, რომ ფრაგმენტი შემოწირულია დ.მეგრელაძის მიერ[10], საქაღალდის დამცავ ფურცელზე კი მითითებულია, რომ ის ილია აბულაძეს 1962 წლის აგვისტოში სოფ. არგვეთში გადასცეს. ილ. აბულაძემ ხელის მიხედვით ფრაგმენტი XV საუკუნით დაათარიღა. მისი მოსაზრებით, ფრაგმენტი ოთხთავის ტექსტის შემცველი უნდა ყოფილიყო, თუმცა მიმდინარე ტექსტოლოგიური კვლევისას აღმოჩნდა, რომ ფრაგმენტი წარმოადგენს არა სახარებას, არამედ ფსალმუნს, კერძოდ, არის მე-14 კანონის, 104, 39-45 მუხლი და მე-15 კანონის, 105, 1-9 მუხლი.

ფრაგმენტის არქეოგრაფიული კვლევისას მივიღეთ შემდეგი სურათი: ტექსტი ნაწერია ყავისფერი მელნით, კალიგრაფიული ნუსხურით, ერთ სვეტად და იკითხება თავისუფლად. ფრაგმენტის ზომებია: სიგანე – 9,4, სიგრძე – 14,2; სიტყვებს შორის მანძილი – 0,3 მმ.; ასოებს შორის მანძილი – 0,1 მმ; ასოები სხვადასხვა ზომისაა – 0,2-0,3-0,4 მმ.

ფრაგმენტზე დაკანონვა შესრულებულია ფრთხილად და ფაქიზად, ამიტომ ეტრატი არ არის დაზიანებული, გაჭრილი. როგორც წესი, ხელნაწერებში დაკანონვა სრულდებოდა თანაბარი დაშორებით, თუმცა აღნიშნულ ფრაგმენტში ეს პარამეტრი დარღვეულია და სტრიქონებს შორის მანძილი სხვადასხვაა.

ფრაგმენტი დაზიანებულია: ფერი შეცვლილია, გაშავებული, შემოჭრილია გარშემო, ამის გამო ტექსტი ნაკლულია. ყუის მხარეს გამოკვეთილია რამდენიმე საზედაო ასო, რომლებიც ტექსტის მელნით არის შესრულებული უფრო მუქად. თითოეული მუხლი იწყება აბზაცით. r-ზე, ქვედა ნაწილში, მითითებულია მე-15 კანონის ნომერი ნუსხურით, ქარაგმის გამოყენებით. აღნიშნული ფრაგმენტის კვლევამ აჩვენა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინტერდისციპლინურ მიდგომას, ხელნაწერის კომპლექსურ, სტრუქტურულ და ტექსტოლოგიურ ანალიზს **(თავაძე, 2020)**.

10. შემოწირულობის N 1231/1.

ფსალმუნი 104, მე-14 კანონის 39-45 მუხლი
ფსალმუნი 105 მე-15 კანონის 1-9 მუხლი.

ქართული	ბერძნული
39. 1 r: [განჰმარტა ღრუბელი სა] გრილა [დ მათდა და ცეცხლი მნათო] ბჲდ მათდა ღამე.	Ψαλ. 104,39 διεπέτασε νεφέλην είς σκέπην αὐτοῖς καὶ πῦρ τοῦ φωτίσαι αὐτοῖς τὴν νύκτα.
40. [ითხო]ვეს, და მოჴდა მწყერ-მარ[ხილი, და პ]ურითა ზეცისაჲთა განაძღნაჲ იგ[ინი;	Ψαλ. 104,40 ᾔτησαν, καὶ ἦλθεν ὀρτυγομήτρα, καὶ ἄρτον οὐρανοῦ ἐνέπλησεν αὐτούς·
41. სცა] კლდესა, და გამოეცნეს წყალნი, [და] ვიდოდეს ურწყულსა მდინარე[ნი.	Ψαλ. 104,41 διέῤῥηξε πέτραν, καὶ ἐῤῥύησαν ὕδατα, ἐπορεύθησαν ἐν ἀνύδροις ποταμοί.
42. რამეთუ მო]იჴსენა სიტყჳსა წმიდისა თჳსისა, [რომელ] ჰყო აბრაჰამის მიმართ მონისა თჳსისა.	Ψαλ. 104,42 ὅτι ἐμνήσθη τοῦ λόγου τοῦ ἁγίου αὐτοῦ τοῦ πρὸς Ἀβραὰμ τὸν δοῦλον αὐτοῦ
43. [და გა]მოიყვანა ერი თვისი სიხარულით [და] რჩეულნი მისნი შუჱბით.	Ψαλ. 104,43 καὶ ἐξήγαγε τὸν λαὸν αὐτοῦ ἐν ἀγαλλιάσει καὶ τοὺς ἐκλεκτοὺς αὐτοῦ ἐν εὐφροσύνῃ.
44. [და] მისცა მათ სოფლები წარმართთაჲ, და ნაშრომი ერთა დაიმკჳდრეს,	Ψαλ. 104,44 καὶ ἔδωκεν αὐτοῖς χώρας ἐθνῶν, καὶ πόνους λαῶν κατεκληρονόμησαν,
45. [რაითა და]იცვნენ სამართალნი მისნი [და] შჯული მისი მოიძიონ.	Ψαλ. 104,45 ὅπως ἂν φυλάξωσι τὰ δικαιώματα αὐτοῦ, καὶ τὸν νόμον αὐτοῦ ἐκζητήσωσιν.
[1. აუ]ვარებდით უფალსა, რამეთუ ტკბილ არ[ს, რამეთუ] უკუნისამდე [არს წყალო]ბაჲ მისი. [2. ვინ-მე იტყოდეს ძლიერებათა უფლისათა, სასმენელ-ჰყვნეს ყოველნი ქებულებანი მისნი? 3. ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ჰყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა. 4.]	Ψαλ. 105,1 Ἐξομολογεῖσθε τῷ Κυρίῳ, ὅτι χρηστός, ὅτι εἰς τὸν αἰῶνα τὸ ἔλεος αὐτοῦ. Ψαλ. 105,2 τίς λαλήσει τὰς δυναστείας τοῦ Κυρίου, ἀκουστὰς ποιήσει πάσας τὰς αἰνέσεις αὐτοῦ;

1v:[მ]ომიჴსენენ ჩუენ, უფალო, სათნოებ[ითა] ერ[ისა შენისაითა და მ]ომჴედენ ჩუენ მაცხოვარებითა [შენითა.	Ψαλ. 105,3 μακάριοι οἱ φυλάσσοντες κρίσιν καὶ ποιοῦντες δικαιοσύνην ἐν παντὶ καιρῷ. Ψαλ. 105,4 μνήσθητι ἡμῶν, Κύριε, ἐν τῇ εὐδοκίᾳ τοῦ λαοῦ σου, ἐπίσκεψαι ἡμᾶς ἐν τῷ σωτηρίῳ σου
5. რაით]ა ვიხილოთ ჩუენ სიტკბოებაჲ რჩე[ულთა შენთაი დ]ა ვიხარებდეთ ჩუენ სიხარულითა [ნათე]სავისა შენისაითაჲ, [რაით]ა ვიქებოდით ჩუენ სამკჳდრებელთა [შენთა თანა.]	Ψαλ. 105,5 τοῦ ἰδεῖν ἐν τῇ χρηστότητι τῶν ἐκλεκτῶν σου, τοῦ εὐφρανθῆναι ἐν τῇ εὐφροσύνῃ τοῦ ἔθνους σου, τοῦ ἐπαινεῖσθαι μετὰ τῆς κληρονομίας σου.
6. ვცოდეთ მამათა ჩუენთა თანა, უშჯულ[ო] ვიქმნენით და გეცრუვენით [შენ].	Ψαλ. 105,6 ἡμάρτομεν μετὰ τῶν πατέρων ἡμῶν, ἠνομήσαμεν, ἠδικήσαμεν.
7. მამათა ჩუენთა ეგჳპტეს შინა არა [გული]ს ჴმაჲ-ყვნეს საკჳრველებანი შენნი, არცა მოიჴსენნეს მრავალნი წყალობანი შ[ენნი დ]ა განგამწარეს წიაღსლვასა [ზღჳსა] მის მეწამულისასა.	Ψαλ. 105,7 οἱ πατέρες ἡμῶν ἐν Αἰγύπτῳ οὐ συνῆκαν τὰ θαυμάσιά σου καὶ οὐκ ἐμνήσθησαν τοῦ πλήθους τοῦ ἐλέους σου καὶ παρεπίκραναν ἀναβαίνοντες ἐν τῇ ἐρυθρᾷ θαλάσσῃ.
8. და იჴსნა იგინი სახელისა მისისათ[ჳს, რაითამცა] გულისჴმა-ყვეს ძლიერებაჲ [მისი;	Ψαλ. 105,8 καὶ ἔσωσεν αὐτοὺς ἕνεκεν τοῦ ὀνόματος αὐτοῦ τοῦ γνωρίσαι τὴν δυναστείαν αὐτοῦ·
9. და შეჰ]რისჴნა [ზღუასა] მეწამულსა.	Ψαλ. 105,9 καὶ ἐπετίμησε τῇ ἐρυθρᾷ θαλάσσῃ,

3. X საუკუნით დათარიღებული ფრაგმენტი Q 213 (X ს.) ერთ-ერთი საინტერესო ერთეულია როგორც რედაქციული თვალსაზრისით, ასევე ტექსტოლოგიური, პალეოგრაფიული, ლინგვისტური თავისებურებითა და საწერი მასალის სტრუქტურით.

ეს ერთეული სხვა მრავალ ფრაგმენტთან -Q-209 (X ს.), Q-210 (X ს.), Q-212 (X ს.) და ა.შ.- ერთად აღმოჩნდა მხითარისტ კალატოზიშვილის საარქივო მასალაში, რომელიც შეძენილია მისი მემკვიდრეებისგან.

ფრაგმენტის სტრუქტურა შემდეგნაირია: ტექსტი და საზედაო ასოები ნაწერია ასომთავრულით, ყავისფერი მელნით; შეიმჩნევა ჰორიზონტალუ-

რი და ვერტიკალური დაკანონვაის ხაზები; ფურცელთა რაოდენობა- 2, ნაწერი ერთ სვეტად, ორივე ფურცელზე შემორჩენილია ასაკინძად მონიშნული ოთხი რომბისებური ჭრილი; ფურცლების ფორმატი არასრული და არაკონსერვირებულია; ორივე ფურცლის ზომა და სტრიქონთა რაოდენობა დაზიანების გამო განსხვავებულია: I ფურცელი: სტრიქონი 12; ზომა 14,2x11,5 არშიებზე დაშორება ტექსტამდე: ზედა-0,7სმ; ქვედა და ყუის მხარე ჩამოჭრილია, მარჯვენა მინდორი--3,0სმ; სვეტის სიმაღლე-13სმ.

II ფურცელი: სტრიქონი - 11; ზომა 13,5x11,7 არშიებზე დაშორება ტექსტამდე: ზედა-1,4სმ. ქვედა - ჩამოჭრილია; ყუიდან--1,5 სმ; მარჯვენა მინდორი--1,7სმ; სვეტის სიმაღლე-11,3სმ; ეტრატი მუქი ფერის; სისქე -0,4.

რედაქციული თვალსაზრისით საინტერესოა Q-213-ში დაცულია მარკოზის სახარების 14,72; 15, 1-15 მუხლები. 14 თავის 72-ე მუხლიდან შემორჩენილია მხოლოდ ბოლო ფრაზა: „... და იწყო ტირილად". ფრაგმენტში დაცული ტექსტი შედარდა ქართულ მწერლობაში დაცულ ყველა რედაქციას. აღნიშნული ტექსტი განსხვავდება ყველა მათგანისგან. ამიტომ დანარჩენი საკვლევი ერთეულებისგან განსხვავებით ცხრილში მთლიანად მოგვყავს აღნიშნული ტექსტი და მის პარალელურად შესაბამისი მონაკვეთები გიორგი მთაწმინდლის თარგმანიდან და ბერძნული ტექსტიდან, რომელიც ცხადყოფს ხელნაწერის ტექსტოლოგიურ სახესხვაობას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: მე-15 თავი იწყება - „და მუნ თქუეს-ვე ხვალისაგან ძრახვა-ყვეს მღდელთმოძღუართა..." ეს მუხლი ყველა დასახელებულ ხელნაწერში შემდეგნაირადაა გადმოცემული - „და მეყსეულად განთიად ზრახვა-ყვეს (Q-908, 72v, XIIს. გელათის სახარება, A-98, 58r, Xს. წყაროსთავი და სხვ.), აღნიშნული მონაკვეთი ბერძნულ ნუსხაში კი შემდეგნაირადაა „Καὶ εὐθέως ἐπὶ τὸ πρωΐ" συμβούλιον ποιήσαντες οἱ ἀρχιερεῖς...". τὸ πρωΐ" - ნიშნავს „დილით ადრე, გამთენიისას" და არა ხვალინდელ ანუ მომდევნო დღეს, როგორც აღნიშნულ ფრაგმენტშია მოცემული.

საინტერესოა ფრაგმენტში დაცული მარკოზის სახარების დანარჩენი მუხლები, რომელებიც განსხვავდება ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ყველა ნუსხისგან, არა მარტო ტერმინოლოგიურად და ცალკეული სიტყვებით, არამედ მთელი წინადადებით: „4. და იგი არა სმიოდა სახე მერმე ეტყოდა მას: არა სმიოდენსა ესე იტყოიან (Q-213)- 4. ხოლო პილატე კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: არარას მიუგება? აჰა, რაოდენსა შეგწამებენ შენ! (Q-908, A-98) 15,4 ὁ δὲ Πιλᾶτος πάλιν ἐπηρώτα αὐτὸν λέγων· οὐκ ἀποκρίνῃ οὐδέν; ἴδε πόσα σου καταμαρτυροῦσιν. ამგვარია ფრაგმენტის სრული ტექსტოლოგიური სურათი.

საინტერესოა ფრაგმენტში დაცული სახარების ენობრივი თავისებურებები. ზოგჯერ „უ"-ს ნაცვლად გამოიყენება „ო" „14. ...რაჲ ეგოდენ ძუირი ოქმნიეს და ეგენი ოჴმობდეს, ჯუარს აცუ ეგე".

თავისებურია ტექსტის განაწილება გვერდებზე. როგორც აღვნიშნეთ,

შემორჩენილი ფრაგმენტი იწყება მარკოზის სახარების მე-14 თავის 72-ე მუხლის ბოლო ფრაზით და გრძელდება მე-15 თავის 1-ლი მუხლით. აღნიშნული ტექსტი შემორჩენილია ფრაგმენტის 2v-ზე, ამ გვერდის r-ზე დატანებულია ამავე სახარების 15 თავის მე-13 და მე-15 მუხლები, ხოლო შემორჩენილი მე-2 ფურცლის r-ზე მარკოზის სახარების 15 თავი 4-6 მუხლი, აკლია მე-7-8 მუხლები, ხოლო v-ზე მე-9-11 მუხლი, აკლია მე-12 მუხლი. შემორჩენილი ფრაგმენტი ნაწერია ერთი ხელით, ასომთავრულით შუაში გაკეცილ ფურცლებზე. საინტერესოა, როგორ გაანაწილეს r-სა და v-ზე ტექსტი იმგვარად, რომ სახარების თანამიმდევრობის დადგენა საკმაოდ რთულია, რადგანაც შემორჩენილი ფრაგმენტის დასაწყისი, 14 თავის 72 მუხლი და 15 თავის 1 მუხლი, 2v გვერდზეა, რომლის წინა გვერდზე, ანუ 2r-ზე - 15 თავის 13-15 მუხლებია. ფრაგმენტზე შემორჩენილი აკინძვის ჭრილები და მიკროსკოპული დათვალიერებისას აღმოჩენილი ბეწვის მიმართულების კვალი საშუალებას გვაძლევს, შეუცდომლად განვსაზღვროთ ფურცლის r და v გვერდები.

ხაზგასასმელია, რომ 1r-v ტექსტი ნაწერია ჩარჩოს გარეშე და სცდება ასაკინძ ჭრილებს. ტექსტის არათანაბარი განაწილებით ფურცლებზე და დაუგეგმავად შესრულებული ნაწერით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იყო კალიგრაფის სავარჯიშო ფურცელი და არა რომელიმე ხელნაწერის ნაწილი.

მარკოზი 14,72; 15, 1-15

ქართული Q-213	გიორგი მთაწმინდლის რედაქცია	ბერძნული
2v მუხლი1 14.72 და იწყო ტირილად	14.72 და იწყო ტირილად	Μαρκ.14,72 καὶ ἐπιβαλὼν ἔκλαιε.
15.1 და მუნ თქუეს-ვე ხვალისაგან ძრახვაყვეს მღდელთ-მოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოვლისა კრებულსა. და შეკრეს იესუ, წარიყვანეს და მისცეს	15.1 და მეყსეულად განთიად ზრახვა-ყვეს მღდელთმოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოველმან კრებულმან. და შეკრეს იესუ და წარიყვანეს და მისცეს იგი პილატეს.	Μαρκ. 15,1 Καὶ εὐθέως ἐπὶ τὸ πρωῒ συμβούλιον ποιήσαντες οἱ ἀρχιερεῖς μετὰ τῶν πρεσβυτέρων καὶ γραμματέων καὶ ὅλον τὸ συνέδριον, δήσαντες τὸν Ἰησοῦν ἀπήνεγκαν καὶ παρέδωκαν τῷ Πιλάτῳ.
1r 4.და იგი არა სმიოდა სახე მერმე ეტყოდა მას: არა სმიოდენსა ესე იტყოდიან:	4.ხოლო პილატე კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: არარას მიუგებ̈ა? აჰა, რაოდენსა შეგწამებენ შენ!	Μαρκ. 15,4 ὁ δὲ Πιλᾶτος πάλιν ἐπηρώτα αὐτὸν λέγων· οὐκ ἀποκρίνῃ οὐδέν; ἴδε πόσα σου καταμαρτυροῦσιν.

5. შენ … არაჲ მიუგო და საკურველებამდე …ტესა.	5.ხოლო იესუ არარაჲ მიუგო, ვიდრემდის უკჳრდაცა პილატეს.	Μαρκ. 15,5 ὁ δὲ Ἰησοῦς οὐκέτι οὐδὲν ἀπεκρίθη, ὥστε θαυμάζειν τὸν Πιλᾶτον.
6. ხოლო დღესასწაულად მიოტევეს ერთი პყრობილიცა [მი]თხოიან	6.და რაჲ დღესასწაულსა მიუტევის მათ ერთი პყრობილი, რომელიცა გამოითხოიან.	Μαρκ. 15,6 Κατὰ δὲ ἑορτὴν ἀπέλυεν αὐτοῖς ἕνα δέσμιον, ὅνπερ ἠτοῦντο.
1v		
9.ვითარცა ყვეს მამამ… მიმართ, პილატე მიუგო და ჰრქუა მას: გნებავს, მიგიტეო … ჳნ მეოფჲ ჰორიათაჲ.	9 ხოლო პილატე მიუგო და ჰრქუა მათ: გნებავსა, რაჲთა მიგიტეო თქუენ მეუფჳ ჰურიათაჲ?	Μαρκ. 15,9 ὁ δὲ Πιλᾶτος ἀπεκρίθη αὐτοῖς λέγων· θέλετε ἀπολύσω ὑμῖν τὸν βασιλέα τῶν Ἰουδαίων;
10.ოწყოდა, რამეთუ შურით მიეცა მღდელთ-მთავართა.	10.რამეთუ იცოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი მღდელთა-მოძღუართა მათ.	Μαρκ. 15,10 ἐγίνωσκε γὰρ ὅτι διὰ φθόνον παραδεδώκεισαν αὐτὸν οἱ ἀρχιερεῖς...
11.ხოლო მღდელთ-მთავართა, რომელთა მათ აღძრეს ერი იგი, რაჲთა ბარაბა მიუტეოს მათ.	11.ხოლო მღდელთ-მოძღუართა მათ აღძრეს ერი იგი, რაჲთა ბარაბა მიუტეოს მათ.	Μαρκ. 15,11 οἱ δὲ ἀρχιερεῖς ἀνέσεισαν τὸν ὄχλον ἵνα μᾶλλον τὸν Βαραββᾶν ἀπολύσῃ αὐτοῖς...
2r		
13 .ხ[ოლო] იყვნეს მღვდელთ-მოძღუართაგან და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე და	13.ხოლო მათ კუალად ღაღატ-ყვეს და ჰრქუეს: ჯუარს-აცუ ეგე.	Μαρκ. 15,13 οἱ δὲ πάλιν ἔκραξαν· σταύρωσον αὐτόν...
14. პილატე ეტყოდა მათ: რაჲ ეგოდენ ძუირი ოქმნიეს და ეგენი ოჴმობდეს, ჯუარს-აცუ ეგე.	14 ხოლო პილატე ეტყოდა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს? და იგინი უმეტესად ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუ ეგე.	Μαρκ. 15,14 ὁ δὲ Πιλᾶτος ἔλεγεν αὐτοῖς· τί γὰρ ἐποίησε κακόν; οἱ δὲ περισσοτέρως ἔκραξαν· σταύρωσον αὐτόν...
15. ხოლო პილატე იზრახა.	15 ხოლო პილატეს უნდა ერისა მის მომადლებაჲ,	Μαρκ. 15,15 ὁ δὲ Πιλᾶτος βουλόμενος τῷ ὄχλῳ τὸ ἱκανὸν ποιῆσαι ...

4. საინტერესოა გრაგნილზე შესრულებული ფრაგმენტული ხელნაწერის კვლევის თავისებურება. არის შემთხვევები, როცა აღწერილობაში კეფების ნაცვლად მითითებულია ფურცელი, ანუ ხელნაწერის სტრუქტურა (კოდექსი, გრაგნილი) შეცდომითაა განსაზღვრული.

H-2093ვ, სულთა მატიანე, XVI ს. შედგება სამი ერთმანეთზე გადაკერებული კეფისგან, თუმცა აღწერილობაში მითითებულია, როგორც ერთი ფურცელი. ფრაგმენტული ხელნაწერი საინტერესოა სტრუქტურის თვალსაზრისითაც.

ფრაგმენტის სამი ნაწილი, კეფი, გადაკერილია წითელი ძაფებით. ზედა და ქვედა მხარეს შეიმჩნევა სხვა კეფებთან გადაბმის ნახვრეტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შემორჩენილი ნაწილი წარმოადგენს ვრცელი ტექსტის ფრაგმენტს. საწერი მასალა, ეტრატი, ასიმეტრიულია, ზედა და ქვედა ნაწილი ჩამოჭრილია. ეტრატი მუქი ფერისაა, 002 მმ სისქის, არაკონსერვირებული, არასრული ფორმატის. არქეოგრაფიული პარამეტრებით განისაზღვრა ფურცლის სავარაუდო ზომა - 17×16 სმ; კეფების ზომები სხვადასხვაა: I კეფი - 4,7×16,6; II კეფი - 4,4×16,5; III კეფი - 6,9×17. გრაგნილის r-სა და v-ზე შემორჩენილია სხვადასხვა ტექსტი, ამიტომ განსხვავებულია კეფებზე ტექსტების განაწილება და მათი კოდიკოლოგიური სურათი. r-ზე არშიების ზომა ერთნაირია: ყუიდან - 1სმ., კიდიდან - 0,5სმ; სვეტი - 16×13; სტრიქონთა რაოდენობა - 17, კეფების მიხედვით: I-5, II-5, III-7; r-ზე ტექსტი ნაწერია ერთ სვეტად, არაკალიგრაფიული ნუსხურით, ყავისფერი მელნით, ასიმეტრიულად. არ შეიმჩნევა დაკანონვის ხაზები.

r-ზე შემორჩენილია საერო შინაარსის ტექსტი „მოსახსენებელი, სულთა მატიანე„. ტექსტი ნაკლულია, ნახევრად გადაშლილი პირველი და მეორე კეფი, შედარებით მარტივად იკითხება მესამე კეფი, სადაც შეინიშნება ძველი ტექსტის დაკანონვის ხაზები. სულთა მატიანე შეიცავს საქართველოს აღმოსავლეთ-მთიანეთის დიალექტისთვის დამახასიათებელ ფორმას: „ღმერთმან ... არს ... შასწირს", ამიტომ ის, შესაძლოა, იყოს ამ კუთხეების ერთ-ერთი გვარის მოსახსენებელი:

v-ზე 1-ლი და მე-2 კეფი გადაშლილია, შეიმჩნევა რამდენიმე ასოს კონტური. მე-2 კეფის სამ სტრიქონზე განირჩევა რამდენიმე ასო: 1-ელ სტრიქონზე - ო, ჴ; მე-2-ეზე - ო, ა; მე-3-ეზე - მ. კეფებზე არ შეინიშნება დაკანონვის ხაზები. მე-3-ე კეფზე შემორჩენილია მათეს სახარების ფრაგმენტი (I სვეტი - მათე 12, 2-3; II სვეტი - მათე 12, 7-10). ტექსტი განაწილებულია ორ სვეტზე. პირველი სვეტი ჩამოჭრილია. სვეტებს შორის დაშორება - 2 სმ; სვეტის სიგანე - 6 სმ; სვეტზე სტრიქონთა რაოდენობა - 8; მელანი - ყავისფერი; კეფზე შეიმჩნევა მკვეთრად შესრულებული დაკანონვის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები; ტექსტი ოდნავ გადაშლილია, მაგრამ მარტივად იკითხება. ნაწერია კალიგრაფიული ნუსხურით. ოთხთავი უცვლელად მისდევს გიორგი მთაწმინდლის რედაქციას.

ფრაგმენტული ხელნაწერის არქეოგრაფიული, ტექსტოლოგიური, კო-

დიკოლოგიური და სტრუქტურული კვლევის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამივე კეფი წარმოადგენს ხმარებიდან გამოსული სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტს, რაზეც მიუთითებს მე-3-ე კეფის v-ზე შემორჩენილი სახარების ფრაგმენტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, H-2093დ ერთეული დაიყო ოთხ სხვადასხვა ერთეულად. კვლევის შედეგად დასახელებულ ერთეულს მიენიჭა შიფრი H-2093ვ.

1 კეფი	პირველი სვეტი. დასაწყისი ჩამოჭრილია.
ღმერთმან გ…ა ლ… ევედრა	„… შენნი იქმან, რომელი არა
…ინ დ… რ… სახლისათვის	ჯერ-არს შაბათსა
სოფელსა შინა მოსული …	შინა საქმედ.
… შინ ღმერთმან დ…ლს	…ო თავადმან ჰრქუა მათ:
… ღმერმან მის შვილ შორის შედ… არს	არა აღმოგიკითხ … რაჲ-იგი …ო დავით, ოდეს-იგი შეემშია და მის…
	(მეორე სვეტი)
2 კეფი	სხუერპლი, არამცა
ღმერთმან არს შ…, ღმერთმან	დასაჯენით უბრა
ოს …რ … შ…ს ერთგულს	ლონი. უფალ არს ძე კაცისაჲ
შინა ღმერთმან … არს … შასწირს … რს	შაბათისაცა. და წარმო ვიდა მიერ იესუ და მო
სა… ლ ო… ცჴრი და ვერძი დაკლეს	ვიდა შესაკრებელ
ისხ ლ… ო … …ნარვლი შვილების	სა მათსა და იყო მუნ კაცი ერთი, რომელსა ჴელი ..."
3 კეფი	
დღეგრძელობ უძ გაბრიელ	
და ერ ანგელოზისა დიდის მამის,	
უფალო, შინა ღმერთმან სიბიზოს ბდერ	
ჯუარსა ღმერთმან საგმზ…ს ბიბუოს მხო…	
ღმერთს ბ…შის შ…ღ ღმერთმან ქადაგის,	
მის … უნას შინა ღმერთმან"	

5. უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილობებში ზოგიერთ ფრაგმენტულ ერთეულზე მითითებული არ არის რაობა.

H-2431-ის აღწერილობაში რაობის ნაცვლად მითითებულია „ფრაგმენტი", XI-XII სს. ფრაგმენტის ტექსტოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ის არის ჟამისწირვა. შემორჩენილია 1 კეფი, კეფის ზომა 55×17,5; აშიებ-

ზე დაშორება ტექსტამდე: ყუიდან - 2სმ, კიდიდან-3სმ., ზედა არშია-1,4სმ, ქვედა-1,5სმ; სვეტი-11×48სმ. ნაწერია ერთ სვეტად ნუსხურად, ყავისფერი მელნით, საზედაო ასოები - სინგურით. სტრიქონთა რაოდენობა - 71. დაკანონვის ხაზები არ შეიმჩნევა. სტრიქონებს შორის სიმეტრია დარღვეულია, არ გამოირჩევა კალიგრაფიული ხელით, ტექსტი შესრულებულია ნუსხური დამწერლობით. გრაგნილის ფორმატი არასრული, არაკონსერვირებულია, სისქე - 001-002 მმ.

ეტრატის ფურცელის მარცხენა კიდე მთელ სიგრძეზე დაზიანებულია, სავარაუდოდ, მღრღნელებისგან და ნაკლულია ტექსტთან ერთად. ეტრატის ზედაპირზე შეიმჩნევა ბზარები, სინესტის, ჭუჭყისა და ცხიმის ლაქები. კიდეები არათანაბარია. კეფის ზედა და ქვედა ნაწილში შეიმჩნევა სხვა კეფთან გადაბმის ნახვრეტები, რაც ადასტურებს, რომ ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს გრაგნილის შუა ნაწილს. ზედა ნაწილში შემორჩენილია მოწითალო ძაფის ფრაგმენტი. ხელნაწერი, სავარაუდოდ, შენახული იყო მოკეცილი, ფურცლისთვის და არა გრაგნილისთვის დამახასიათებელი დახვეული ფორმით. გადაკეცვის ადგილი მცირედ ჩახეულია, აღენიშნება მექანიკური დაზიანებები.

ეტრატის ზედაპირზე სხვადასხვა შეფერილობის ლაქების შედეგად მელნის მდგომარეობა და შეფერილობა სხვადასხვაა. ზოგიერთ ადგილას მელანი გაღიავებულია და ტექსტის გარჩევა რთულია. ტექსტში რამდენიმე ადგილას ასოები გაცხოველებულია.

საინტერესოა ხელნაწერი ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. როგორც აღვნიშნეთ, იგი ძალიან დაზიანებულია, ტექსტი თითქმის გადაშლილი და მისი ამოკითხვა რთული, მაგრამ მაინც შესაძლებელია გარკვეული ნაწილების ამოკითხვა. ტექსტის სტრუქტურა იძლევა საშუალებას, დავადგინოთ მისი რაობა, რადგან აღწერილობაში რაობა აღნიშნული არ არის და მითითებულია, როგორც ფრაგმენტი. ტექსტოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ის არის ლიტურგიკული შინაარსის თხზულება - ჟამისწირვა. ქრისტიანულ ლიტურგიკაში ცნობილი იყო წირვის რამდენიმე წესი: იერუსალიმური ანუ მოციქულთა ჟამისწირვა; კონსტანტინოპოლური ანუ ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამისწირვა და პირველშეწირული ანუ გრიგოლ დიალოღოსის ჟამისწირვა. ქართულ წერილობით წყაროებში შემორჩენილია იაკობის ჟამისწირვა (A-81, A-86, sin-53, ვატიკანის ბიბლიოთეკასა Vat. და გრაცის უნივერსიტეტში Graz.Geo. 2058/4), პეტრე მოციქულის ჟამისწირვა (A-81 (XVIII ს.), ვატიკანის ბიბლიოთეკაში), ასევე დაცულია ე.წ. კონსტანტინოპოლური იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის ჟამისწირვები (შიფრები). ფრაგმენტი შედარდა დასახელებულ ლიტურგიკულ კრებულებს: პეტრე მოციქულის ჟამისწირვას (A-81, XVIII ს.), იაკობის (A-86, XIს.), ბასილი დიდისა (H-531, ს.) (ქაჯაია, 1992) და იოანე ოქროპირის ჟამისწირვებს. ფრაგმენტის r-ზე შემორჩენილი ტექსტი ზოგან

გადაშლილია და ამოკითხვა შეუძლებელია, ზოგიერთ ადგილას ტექსტი გაცხოველებულია, მაგრამ ამგვარი მცირე მონაკვეთი ვერ იძლევა ტექსტოლოგიური ანალიზის საშუალებას. ფრაგმენტული ხელნაწერის v-ზე შემორჩენილი მონაკვეთი შედარებით კარგად იკითხება, სავარაუდოდ, უნდა იყოს „ლოცვაჲ მორწმუნეთაჲ", რომელიც ენობრივი თავისებურების მიუხედავად, ავლენს გარკვეულ მსგავსებას იოანე ოქროპირის ჟამისწირვის შემცველ ტექსტებთან (H-512, H-513, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში K-605, K-606), გრაცის უნივერსიტეტსა და ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები[11]). დასახელებული ხელნაწერები XV-XVI საუკუნეებით თარიღდება.

მართალია, H-2431 XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ ხელნაწერი საწერი მასალის სტრუქტურითა და პალეოგრაფიული თვისებურებებით ახლოს დგას დასახელებულ გრაგნილ ხელნაწერებთან, ამიტომ, შესაძლოა, ისიც უფრო მოგვიანო პერიოდს, XVI-XVII საუკუნეებს, განეკუთვნებოდეს.

H-2431	ბერლინის ბიბლიოთეკის ხელნაწერი
დიაკონ. მერმე და მერმე მშჯადობით უფალი საჲ ...სა ამის ჴსნად ჩუენდა და ყოველთათჳს მინ ...ალად და მრავალგზის შენ გევედრებით და შენ შეგივრდებით, სახიერო, და კაცთმოყვაროო, რაჲთა მოხედვითა ვედრებათა ჩუენთა და განწმიდენ ჩუენი სულნი და ჴორცნი ყოვლისაგან შეგინებისა სულისა და ჴორცისაჲ და მომეც ჩუენ უბრალოდ დაუსჯელად წარდგომად წმიდისა შენსა საკურთხევლისაჲ და მომადლე ჩუენთა მლოველთაცა წარმატებაჲ ცხორებისა და სარწმუნუნოებისაჲ და გულისჴმისყოფისა მოეც მათ ყოვლადვე შუათაჲ ...თა ძუელითა მსახურთა შენთა უბრალო ...ყსეულად მოღებად წმიდათა შენთასაჲ მო ...ლოთაჲ და ზეცისა სასუფეველსა ღირსყოფად.	დიაკონმან. მერმეცა. მღდელმან ლოცვაჲ მორწმუნეთაჲ: კუალადცა და მრავალგზის შენ შეგივრდებით და შენ გევედრებით, სახიერო და კაცთმოყვარეო, ღმერთო, რაჲთა მოიხილო ვედრებასა ჩუენსა ზედა. განწმიდენ ჩუენნი სულნი და ჴორცნი ყოვლისაგან შეგინებისა ჴორცთაისა და სულისა და მომეც ჩუენ უბრალოდ და დაუსჯელად წარდგომად წინაშე წმიდასა შენსა საკურთხევლისა. **მოანიჭე, ღმერთო, თანამლოცველთა** ამათ ჩუენთა წარმატებული ცხორებაჲ და სარწმუნუნოებაჲ და გულისჴმისყოფაჲ სულიერი და მოეც მათ ყოვლადვე შიშით და სიყუარულით მსახურებად შენდა, უბრალოდ და დაუსჯელად ზიარებად წმიდასა შენსა საიდუმლოსა და ზეცისა შენსა სასუფეველსა ღირსყოფად.

[11] შეისწავლა და გამოსცა შ. გუგუშვილმა. https://www.academia.edu/. შედარებისთვის სწორედ ბერლინში დაცული ხელნაწერი გამოვიყენეთ.

ამღბჲ. რაჲთა ძლიერებათა შენთა მიერ დაცულნი ყოვლადვე შენდაჲ დიდებასა აღვავლენთ მამისა და ძისა და რომელმან ლოცვა მოდრეკითაჲ, ვიდრე რომელნი …ა ქერობინთასა …გალობებოდეს ერისგა …რავინ არს ღირს თანაშეკრული ჴორ …ლთაჲ გულისთქმათაჲ და გემოთაჲ წარ დგომად ანუ მიახლებად შინა მსახურებ ად შენდაჲ მეუფეო დიდებისაო.	ამაღლებაჲ. რაჲთა ძლიერებათა შენთა ყოვლადვე დაცვულნი, შენდა დიდებასა შევსწირვიდეთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. ერმან: ამენ. და იწყონ „რომელნი ქერაბინთა". მღდელი მზავრ ამას ლოცვასა იტყოდის, ოდეს სიწმიდე შემოყვანდეს: არავინ არს ღირს, რომელი შეკრულ არს ჴორციელთაგან გულისთქმათა და გემოთა. წარდგომად გინა მიახლებად ანუ მსახურებად შენდა, მეუფეო დიდებისაო.

გრაგნილი ხელნაწერი H-2431 არ არის ფუნდამენტურად შესწავლილი, იგი უცნობია სამეცნიერო წრეებისთვის. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი დაზიანებულია, გადაშლილი, განსაკუთრებით recto, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენული ტექსტი არ მისდევს ჟამისწირვის არცერთ რედაქციას, ამიტომ დაზუსტებით რთული სათქმელია, რომელი ლიტურგიის ტექსტს შეიცავს ის.

5. არქეოგრაფიული აღწერილობებისა და საკონსერვაციო-სარესტავრაციო თვისებურებების გათვალისწინებით საინტერესო მაგალითია ფრაგმენტული გრაგნილი ხელნაწერი H-1852 (XV-XVI სს.) **(აღწერილობა (H), 1950: 243)**.

ფრაგმენტი წარმოადგენს XVI საუკუნით დათარიღებული გრაგნილი ხელნაწერის ორი სხვადახვა ზომის კეფს; ეტრატი თავბოლონაკლულია, გრაგნილის ერთიანი ზომაა 69x17,5; I კეფი -29x17,5; II კეფი -40x17,8; ნაწერის ზომა - I 27x12; II -39x12; სტრიქონთა რაოდენობა - r - I კეფი-42; II კეფი -70; v - I კეფი - 40; II კეფი -68; არშიებზე დაშორება ტექსტამდე: ზედა არშია-1,5სმ, ქვედა-0,8სმ; მარჯვენა - 2,5სმ; მარცხენა 1,5-2,5 სმ; დამწერლობის ტიპი - ნუსხური; მელანი- ყავისფერი; დასაწყისები სინგურით; პაგინაცია - არ აქვს; სისქე -003; ფორმატი - არასრული; არაკონსერვირებული; ნაწერის მიმართულება გვერდზე (r-v) - ტექსტი r-დან v-ზე გადადის შებრუნებული თანამიმდევრობით. კეფები ერთმანეთთან გადაკერებულია ძაფით თანაბარი დაშორებით, ირიბად; ტექსტი ნაწერია ერთ სვეტად, ხელნაწერი მხატვრული გაფორმებით, ორნამენტული შემკულობებითა და მინიატურებით არ გამოირჩევა. მის შემკულობას წარმოადგენს სინგურით შესრულებული საზედაო ასოები. გრაგნილზე დაკანონვა შესრულებულია ფრთხილად და ფაქიზად, ამიტომ ეტრატი დაკანონვის შედეგად არ არის დაზიანებული.

ხელნაწერის საერთო მდგომარეობა იყო სავალალო. გრაგნილის კე-

ფებზე შეიმჩნეოდა შემდეგი ტიპის დაზიანებები: ეტრატის მთელი ზედაპირი დაფარულია პიგმენტებით, სინესტისა და ჭუჭყის ლაქებით. პიგმენტების ადგილებში მელანი დაშლილი და გადარეცხილია. მუქი ფერის ლაქების ადგილებში ტექსტის გარჩევა შეუძლებელია, ზოგიერთ ადგილას მხოლოდ ცალკეული ასოები იკითხება, ზოგან შემორჩენილია მხოლოდ კონტური. ალაგ-ალაგ კი გაცხოველებულია შავი მელნით. ტექსტი რთულად წასაკითხია. გრაგნილი იყო სამ ნაწილად გადაკეცილი. 1 კეფი - ოვალურად შუაზე გახეული; ეტრატს აღენიშნებოდა მექანიკური დაზიანებები, მრავლობითი პატარ-პატარა ჩახევები, ზედა მარჯვენა კიდის დიდი ნაწილი იყო ჩახეული და პატარა ნაწილით მიმაგრებული, შესაძლებელი იყო კეფს მოსცილებოდა; კიდეზე ზოგიერთი ჩახეული ნაწილი იყო გადაკეცილი. ზედაპირზე შეიმჩნეოდა მრავლობითი ბზარი, რაც დროთა განმავლობაში გამოიწვევდა გახევას. ეტრატი იყო გამომშრალი, ეს ქმნიდა გადატეხის საშიშროებას; ნესტიან ადგილებში ეტრატის სტრუქტურა იყო დაშლილი. მეორე კეფის ბოლოში შემორჩენილი, თანაბრად დაშორებული ნახვრეტები, რაც უნდა იყოს მომდევნო კეფის გადაკერების კვალი.

აღწერილობის მიხედვით, გრაგნილის არქეოგრაფიული სურათი შემდეგნაირია: არ არის მითითებული კეფების რაოდენობა, მაგრამ ხელნაწერის საქაღალდეს აწერია „2 ფ.„ ეს კი ნიშნავს, რომ ფრაგმენტი შედგება არა კეფებისგან, არამედ ფურცლებისგან, რაც არასწორი ინფორმაციაა. აღწერილობის მიხედვით, ფრაგმენტი ბოლონაკლულია, ტექსტის ანალიზისა და სტრუქტურის შედეგად გაირკვა, რომ გრაგნილი წარმოადგენს ჟამისწირვის შუა ნაწილს.

ფრაგმენტის სავალალო მდგომარეობის გამო, გადაწყდა გრაგნილის რესტავრაცია. დაიგეგმა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების მეთოდები და ეტაპები კონსოლიდირებულად კოდიკოლოგთან ერთად.

ვინაიდან ყოველი ხელნაწერის დაზიანების გამომწვევი მიზეზებიცა და ხარისხიც სხვადასხვანაირია, ნებისმიერი სტრუქტურის ხელნაწერი და ბეჭდური გამოცემა მოითხოვს მდგომარეობის საგანგებო, ინდივიდუალურ დიაგნოსტიკასა და საკონსერვაციო პროცესს. სასურველია ხელნაწერის დათვალიერება ულტრაიისფერი (UV) შუქით **(თავაძე, 2016: 216-223)**.

რესტავრაციამდელი ვიზუალური დიაგნოსტიკის, მდგომარეობის აღწერისა და ფოტოფიქსირების შემდეგ გრაგნილს ჩაუტარდა პირველადი დამუშავება. პირველ რიგში, ეტრატის ტექსტის ნაწილი გაიწმინდა მშრალად, ხოლო არშიები და დაუწერელი ადგილები დამუშავდა სველი წესით.

ეტრატის დარბილებამდე შემოწმდა და ტესტირება ჩაუტარდა მელანს წყალში ხსნადობაზე, რათა თავიდან აგვეცილებინა მელნის შესაძლო დაზიანება დატენიანებისას. დატენიანებისა და დარბილების შემდეგ გრაგნილი გასწორდა. ზოგადად, დატენიანების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ეტრატის სტრუქტურაზე - სისქესა და სიმკვრივეზე. ეტრატი დარბილდა ე.წ. „სენდვიჩის მეთოდის" გამოყენებით. კონსერვაცია-რესტავრაციის პროცესში, ბზარების ამოვსების დროს გავითვალისწინეთ ეტრატის სისქე. აღსანიშნავია, რომ წინა

საკონსერვაციო პერიოდში დაკვირვებამ დაგვარწმუნა, აღნიშნული ეტრატისთვის სასურველი იყო მსუბუქი წნეხის გამოყენება. გადაწყდა, ამოვსებულიყო მხოლოდ ის ბზარები, რომლებიც ერთეულის სტაბილურობისთვის არის აუცილებელი, ხოლო ის ბზარები, რომლებიც არ დაარღვევენ გრაგნილის ფორმატის მთლიანობას, ხელშეუხებლად დარჩენილიყო. რესტავრაციისას გავითვალისწინეთ და შევაფასეთ თითოეული ბზარის დაზიანების ხარისხი, მდგომარეობა და ისიც, რამდენად გაუძლებდა მცირე ზომის ბზარები დამატებით წებოს, რამდენად სტაბილური იქნებოდა სიმძიმის მოხსნის შემდეგ და არ მივიღებდით რესტავრაციიდან მოკლე დროში დამატებით დაზიანებას ან დეფორმაციას. საბოლოოდ კონსერვაცია წარმატებით განხორციელდა (**თავაძე, 2023: 32**).

ამრიგად, ჩატარებულმა სამუშაომ ნათელყო, რომ ხელნაწერის შესწავლა, დიაგნოსტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა და ის კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ სტრუქტურულ-კოდიკოლოგიურ კვლევას მოითხოვს.

საქართველო ადრექრისტიანული ქვეყანაა, სადაც პირველი საუკუნიდან ცხოვრობდნენ მისი მიმდევრები და, შესაბამისად, იქმნებოდა ქრისტიანული კულტურა. ფრაგმენტულ ხელნაწერებზე, მათ შორის, გრაგნილებზე, მუშაობამ გვიჩვენა, რომ ამგვარი ხელნაწერები, მცირე მოცულობის მიუხედავად, შეიცავს მდიდარ და საინტერესო ტექსტოლოგიურ მასალას, რომლის კვლევამ, გამოქვეყნებამ და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვამ, შესაძლოა, გამოავლინოს ჯერ კიდევ უცნობი ტექსტები და სხვადასხვა თხზულების რედაქციული სხვადასხვაობა.

ფრაგმენტულ ხელნაწერებზე კომპლექსურად მუშაობამ გამოავლინა აგრეთვე ერთეულები, რომელთა ძირითადი ტექსტის მიგნება შეუძლებელია. ეს შეეხება ან პალიმფსესტური ხელნაწერის ნაწილს, ან სპეციალურად დაშლილ და სხვა ხელნაწერის საცავ ფურცლად გამოყენებულ ფრაგმენტს, რომლის სრული კორპუსი დაკარგულია. ზოგიერთი ფრაგმენტული ხელნაწერის დაზიანების ხარისხის მიხედვით ირკვევა, რომ ის უნდა იყოს ძირითადი ტექსტიდან ამოვარდნილი. ამიტომ მისი სრული არქეოგრაფიული აღწერა, კოდიკოლოგიური შესწავლა, ტექსტოლოგიური ანალიზი და რედაქციულობის განსაზღვრა დაგვეხმარება სრული კორპუსის მიგნებასა და ტექსტის აღდგენაში, რისი არაერთი შემთხვევა ფიქსირდება ხელნაწერთმცოდნეობაში (A-345, პავლე მოციქულის ეპისტოლენი X ს. შეუერთდა S-1138-ს.) ამ მხრივ ფრაგმენტების კომპლექსურ შესწავლას მაღალი კულტურული ღირებულებაც აქვს, რაც ფრაგმენტებზე მომუშავე მკვლევართა ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

ფრაგმენტული ხელნაწერების ფუნდამენტური, მულტიდისციპლინური კვლევა უზრუნველყოფს აგრეთვე ფრაგმენტების პრევენციულ კონსერვაციასა და შესაბამისი პირობების განსაზღვრას, რაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

კონსერვაციამდე და კონსერვაციის შემდეგ

BEFORE AND AFTER CONSERVATION











საძიებლები

ფონდების მიხედვით

N	A
1	A-257-ა, საწელიწდო საწინასწარმეტყველო, XI ს., 2 ფ., 24,5X17,5; ნუსხური
2	A-257გ, სვინაქსარი, XII-XIII სს., 3 ფ., 31ხ21,4; ნუსხური
3	A-257დ, ლექციონარი, X ს., 2 ფ., 31X23; ასომთავრული
4	A-257ე, საგალობელი, XIII-XIV სს., 2 ფ., 16,5X14; პალიმფსესტი, ნუსხური
5	A-371, იოანე ოქროპირი, იოანეს თავის თარგმანება, XI ს., 2 ფ., 29,2X23; ნუსხური
6	A-492ა, ჟამნი, X ს., 2 ფ., 24,3x18,2; ნუსხური
7	A-492ბ, ოთხთავი, XII-XIII სს., 2 ფ., 22,5X20; ნუსხური
8	A-492გ, სვინაქსარი, XVI ს., 2ფ., 22X14,2; ნუსხური
9	A-492დ, ოთხთავი, XIV ს., 2 ფ., 21X16; ნუსხური
10	A-492ე, იოანე ოქროპირი, იოანეს თავის თარგმანება, XI ს., 3 ფ., 31X22,5; ნუსხური
11	A-492ვ, იოანე ოქროპირი, მათეს თავის თარგმანება, XI-XII სს., 2 ფ., 32,5X23; ნუსხური
12	A-492ზ, სწავლანი, XI ს., 2 ფ., 23,2X17,3; ნუსხური
13	A-493გ, სადღესასწაულო, XII-XIII სს., 4 ფ., 25,5X19,5; ნუსხური
14	A-493დ, თვენი, XII ს., 1 ფ., 23X17,8; ნუსხური
15	A-494, სახარების საკითხავების საძიებელი, XII-XIII სს., 4 ფ., 22,5x19,5; ნუსხური
16	A-764, იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X14,7; ნუსხური
17	A-765ა (1), იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური
18	A-765ა (2), იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური
19	A-765ა (3), იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური
20	A-765ა (4), იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური
21	A-765ა (5), იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური
22	A-765ა (6), იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური
23	A-765ბ, იოანე ოქროპირი, სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 33X15; ნუსხური, XI ს., 5ფ., 29X24; ნუსხური
24	A-836ა, პარაკლიტონი, XI-XII სს., 1ფ., 25,6X17; ნუსხური
25	A-836ბ, შესხმა სტეფანესი, XI-XII სს., 1ფ., 28,3X17,6; პალიმფსესტი, ნუსხური

26	A-836გ, საკითხავები ძველი და ახალი აღთქმიდან, XI-XII სს., 3 ფ., 24,5X18,3; ნუსხური
27	A-836დ, ზატიკი, XI-XII სს., 1ფ., 25,3X19; ნუსხური
28	A-836ე, ქრისტეს შობის საგალობელი, XI-XII სს., 1ფ., 26,4X17,1; ნუსხური
29	A-836ვ, ტექსტი ძველი აღთქმიდან, XI-XII სს., 1ფ., 24,3X18,5; ნუსხური
30	A-836ზ, ტექსტი ძველი აღთქმიდან, XI-XII სს., 1ფ., 24,2X18,3; ნუსხური
31	A-923, მარხვანი, XII-XIII სს., 2ფ., 25,7X21,3; ნუსხური
32	A-929ა, თვეთა მეტყველება, XV-XVI სს., 2ფ., 17X12.3; ნუსხური
33	A-929ბ, საგალობელი, XV ს., 1ფ., 15,5X11; ნუსხური
34	A-1090ა, სახარება, X ს., 1 ფ., 8,4X17,6; ასომთავრული
35	A-1090ბ, სახარება, XIII ს., 1ფ., 19,7X20; ნუსხური
36	A-1090გ, საგალობელი, XIII ს., 4 ფ., 22,7X17,2; ნუსხური
37	A-1090დ, თეოფილაქტე ბულღარელი, იოანეს სახარების თარგმანება, XI ს., 1 ფ., 27X20; ნუსხური
38	A-1119ბ, ბიბლიის ფრაგმენტი, X ს., 1 ფ., 12.5X17,6; ასომთავრული
39	A-1248, საქმე მოციქულთა, XI ს., 3 ფ., 20X12,8; ნუსხური
40	A-1287ა, სახარება, X-XI სს., 1ფ., 15ხ12; ასომთავრული
41	A-1287ბ, სახარება, XII-XIII სს., 3ფ., 18,5ხ25; ნუსხური
42	A-1287გ, საგალობლები; XIV ს., 1ფ., 25,5ხ15,3; ნუსხური
43	A-1287დ, მათეს სახარების თარგმანება, XI ს., 2ფ., 12X25,5; ნუსხური
44	A-1287ე, სახარება; XII-XIII სს., 1ფ., 19,5X17; ნუსხური
45	A-1423ა, საგალობელი, XI-XII სს., 2ფ., 15X13; ნუსხური
46	A-1529ა, ზატიკი, XV ს., 4 ფ., 19X15 ნუსხური
47	A-1538, ბიბლია, X ს., 1 ფ., 21,5x15; ასომთავრული
48	A-1608, პარაკლიტონი, XI ს., 2 ფ., 23,8X14,8; ნუსხური
49	A-1769, სწავლანი, X ს., 2 ფ., 16,2ხ13; ნუსხური

N	H
1	H-41, საწელიწდო, XII-XIII სს., 4 ფ., 26X21,6; ნუსხური
2	H-146, ნაწყვეტი, XI-XII სს., 1 ფ., 20,8X12,2; ნუსხური
3	H-362, სახარება, XIII ს., 1 ფ., 24,3X19; ნუსხური
4	H-536, კონდაკი, XIV-XV სს., 2 ფ., 11,8x9,2; ნუსხური
5	H-536ა, კონდაკი, XIV-XV სს., 2 ფ., 11,7x9; ნუსხური
6	H-536ბ, ლოცვანი, XIV-XV სს., 2 ფ., 12,3x9,3; ნუსხური
7	H-1326, სახარება მათესი, X ს., 2 ფ., 23X18; ასომთავრული
8	H-1357, მარხვანი, XIV-XV სს., 2 ფ., 28X21; ნუსხური
9	H-1395, სახარება, პალიმფსესტი XIII-XIV სს., 3 ფ., 20X17; ნუსხური
10	H-1396, სახარება, XIII-XIV სს., 4 ფ., 21,7X18,4; ნუსხური

11	H-1409, იოანეს სახარება, XI-XII სს., 2 ფ., 14X14,6; ნუსხური
12	H-1410, სინანულის ლოცვა, XIV-XV სს., 1 ფ., 16,2X12; ნუსხური
13	H-1411, კონდაკი, XIV-XV სს., 1 კეფი, გრაგნილი, 58X17; ნუსხური
14	H-1558დ, საგალობლები, XV-XVI სს., 1ფ., 13X10,5; ნუსხური.
15	H-1694ა, საგალობლები, XII-XIII სს., 4ფ., 22,5ხ17,8; ნუსხური
16	H-1699ბ, კონდაკი, XV-XVI სს., 1ფ., 7X14; ნუსხური
17	H-1723ა, კონდაკი, XVI-XVII სს., 1 ფ., 9,8x7,8; ნუსხური
18	H-1723ბ, კონდაკი, XVI-XVII სს., 1 ფ., 14,3x10; ნუსხური
19	H-1725ა, სახარება-სამოციქულოს საკითხავები, XVს., 2ფ., 12X8,5; ნუსხური
20	H-1725ბ, ლოცვანი, XVII ს., 2ფ., 14X10,3; ნუსხური
21	H-1725გ, კურთხევანი, XVI-XVII სს., 2ფ., 12,7X9,5; ნუსხური
22	H-1793, ოთხთავი, XV-XVI სს., 4 ფ., 20,4X13,4; ნუსხური
23	H-1795ბ, ფსალმუნი, XIV-XV სს., 5 ფ., 21X10; ნუსხური
24	H-1795გ, ფსალმუნი, XIV-XV სს., 2 ფ., 18X13; ნუსხური
25	H-1795დ, ფსალმუნი, XIV-XV სს., 1 ფ., 14,5X14; ნუსხური
26	H-1795ე, ფსალმუნი, XV-XVI სს., 1 ფ., 18X13,5; ნუსხური
27	H-1801ა, ლოცვანი, XIV-XV სს., 4 ფ., 13,5x10; ნუსხური
28	H-1803ბ ,ფსალმუნი, XIV-XV სს., 1 ფ., 12,5ხ16,5; ნუსხური
29	H-1807, კურთხევანი, XV-XVI სს., 2 ფ., 20,5X16,5; ნუსხური
30	H-1811, კურთხევანი, XIII-XIV სს., 4 ფ., 13X9,8; ნუსხური
31	H-1814გ, კონდაკი, XV-XVI სს., 4 ფ., 15X10; ნუსხური
32	H-1814დ, კურთხევანი, XVI ს., 2 ფ., 14X11; ნუსხური
33	H-1815ბ, კურთხევანი, XV-XVI სს., 1 ფ., 15,5X11; ნუსხური
34	H-1816გ, კურთხევანი, XV-XVI სს., 2 ფ., 15X12; ნუსხური
35	H-1820ბ, კურთხევანი, XV-XVI სს., 4ფ., 13X9,5; ნუსხური
36	H-1821ბ, კურთხევანი, XIV-XV სს., 4ფ., 13,5X11; ნუსხური
37	H-1824, კურთხევანი, XV-XVI სს., 5ფ., 14X11,5; ნუსხური
38	H-1829, ზატიკნი, XII-XIII სს., 4ფ., 10,3X13,5; ნუსხური
39	H-1833, საკითხავები, XI ს., 4ფ., 12,5X15; ნუსხური
40	H-1835ა, საგალობელი, XI ს., 4ფ., 19,8ხ25,4; ნუსხური
41	H-1837, საგალობლები, XI ს., 2ფ., 18X14,2; ნუსხური
42	H-1850, საკითხავები, პალიმფსესტი, XIII-XIV სს., 2ფ., 20,5X16; ნუსხური
43	H-1851ა, სახარების საკითხავთა საძიებელი, პალიმფსესტი, XIII-XIV სს., 4ფ., 21,5X18; ნუსხური
44	H-1851ბ, საგალობლები, XII-XIII სს., 1ფ., 21X19,5; ნუსხური
45	H-1852, ჟამისწირვა, XV-XVI სს., 2ფ., 69x17,5; ნუსხური
46	H-1853ა, საგალობლები, პალიმფსესტი XIII-XIV სს., 2ფ., 15X14; ნუსხური
47	H-1853ბ, ოთხთავი, XIV-XV სს., 1ფ., 18,5x14; ნუსხური
48	H-1853გ, საკითხავები, XIII-XIV სს., 2 ფ., 16x14; ნუსხური

49	H-1855ა, საგალობლები XI ს., 2ფ., 17X21,5; ნუსხური
50	H-1857, საგალობლები, XIV-XV სს., 4ფ., 12,5x10,5; ნუსხური
51	H-1862, ლოცვანი, პალიმფსესტი, XVIII ს., 4(5) ფ., 8,5X8; ნუსხური
52	H-1863, საკითხავები, XI ს., 2ფ., 14X12,3; ნუსხური
53	H-1864ბ, ლოცვა, XV-XVI სს., 1 ფ., 13,5X9; ნუსხური
54	H-1866ბ, სულთა განმანათლებელი მატიანე, XIV-XV სს., 2 ფ., 14x12; ნუსხური
55	H-1867გ, ლოცვანი, XIV-XV სს., 1 ფ., 14,7X11,5; ნუსხური
56	H-1868, ლოცვანი, პალიმფსესტი, XV-XVI სს., 4 ფ., 15,5X11; ნუსხური
57	H-1885ა, ფსალმუნი, XV-XVI სს., 3 ფ., 18ხ20,8; ნუსხური
58	H-1885ბ სახარება, XVI ს., 2 ფ., 20,5X14; ნუსხური
59	H-1885გ, მარკოზის სახარების თავები, XI ს., 1 ფ., 21X14,5; ნუსხური
60	H-1885დ, საგალობლები, XI ს., 1 ფ., 19X15,7; ნუსხური
61	H-1885ე, საგალობლები, XI ს., 1 ფ., 18,2X16,2; ნუსხური
61	H-1888, საკითხავები, X ს., 2 ფ., 24X19,5; ასომთავრული
63	H-1889, საგალობლები, X-XI სს., 3 ფ., 27,5X21,5; ნუსხური
64	H-1890, ოთხთავი, პალიმფსესტი, XIV-XV სს., 2 ფ., 26X25; ნუსხური
65	H-1891ა, საგალობლები, XI ს., 2 ფ., 20,5X16,7; ნუსხური
66	H-1891ბ, საგალობლები, XI ს., 2 ფ., 23,3X16; ნუსხური
67	H-1892, ოთხთავი, XI ს., 2 ფ; 21,5X15; ნუსხური
68	H-1893ა, საკითხავები, პალიმფსესტი, XIII-XIV სს., 3 ფ., 18X13,7; ნუსხური
69	H-1893გ, საკითხავები, X-XI სს., 2 ფ., 18X14; ნუსხური
70	H-1893დ, სიტყვა გულისთქმისათვის, XII-XIII სს., 1 ფ., 24X14; ნუსხური
71	H-1893ე, ფრაგმენტი, XI ს., 2 ფ., 14,5X10,7; ნუსხური
72	H-1897ბ, საეკლესიო კალენდარი, XIV-XV სს., 4 ფ., 13X9,5; ნუსხური
73	H-1899, საკითხავები, XIII-XIV სს., 4 ფ., 15,5X13,4; ნუსხური
74	H-1900ა, კურთხევანი, XIV-XV სს., 4 ფ., 11,9X9; ნუსხური
75	H-1900ბ, საგალობლები, XIII-XIV სს., 4 ფ., 14X10; ნუსხური
76	H-1900გ, ფსალმუნი, XV ს., 2 ფ., 13X10,5; ნუსხური.
77	H-1900დ, ლოცვანი, XV-XVI სს., 1 ფ., 10,7X11,2; ნუსხური
78	H-1900ე, კონდაკი, XIV-XV სს., 2 ფ., 9ხ10,7; ნუსხური
79	H-1900ვ, საკითხავები, X ს., 1 ფ., 14X10; ნუსხური
80	H-1900ზ, საგალობლები, XIV-XV სს., 2 ფ., 12,3X10,5; ნუსხური
81	H-1900ჱ, საგალობლები, XIV-XV სს., 1 ფ., 13X12; ნუსხური
82	H-2065, ფრაგმენტები (სახარებიდან) X ს., 4 ფ., 25X25; ასომთავრული, ნუსხური
83	H-2083, ფსალმუნი, XI-XII სს., 2 ფ., 11,7X15,2; ნუსხური
84	H-2084ბ, სახარება, XV ს., 2 ფ., 24,2X12; ნუსხური
85	H-2084დ, სახარება, XV ს., 4 ფ., 26,2X19,4; ნუსხური
86	H-2084ე, სახარება, XV ს.; 2 ფ., 20X27,2; ნუსხური

87	H-2084ვ, სახარება, XV ს., 4 ფ., 21,5X25,5; ნუსხური
88	H-2084ზ, სახარების საძიებელი, XV ს., 2 ფ., 19,9X24,5; ნუსხური
89	H-2085ბ, ნაწყვეტი გამოკრებილ სახარება-სამოციქულოდან, XV ს., 4 ფ., 10X14,2; ნუსხური
90	H-2085გ, ლოცვანი, XV ს., 2 ფ., 7X10,5; ნუსხური
91	H-2093ა, სულთა მატიანე, XV-XVI სს., 1 კეფი; 13,6X18,5; ნუსხური
92	H-2093ბ, სულთა მატიანე, XV-XVI სს., 1 კეფი; 20X22; ნუსხური
93	H-2093გ, კურთხევანი, პალიმფსესტი, XV-XVI სს., 1 ფ., 17X16; ნუსხური
94	H-2093დ, სულთა მატიანე, პალიმფსესტი, XVI ს., 1 კეფი; 30X28; ნუსხური
95	H-2093ე, სულთა მატიანე, XVI ს., 1 ფ., 22,5X12,5; ნუსხური
96	H-2093ვ, სულთა მატიანე, XVI ს., 1 კეფი; 17X16; ნუსხური
97	H-2093ზ, სულთა მატიანე, XVI ს., 1 ფ., 9,2X5; ნუსხური
98	H-2129, სახარება, XIII ს., 2 ფ., 16X20,5; ნუსხური
99	H-2431, ჟამის წირვა, XIII-XIV სს., 1 ფ., 55X17,5; ნუსხური
100	H-2432, სახარების საკითხავები, პალიმფსესტი, XIV-XV სს., 2 ფ., 18,4X27,5; ნუსხური
101	H-2433, ჟამისწირვა, X-XI სს., 1 ფ., 28X21; ნუსხური
102	H-2701, შესხმა ღვთისმშობლისა, XI ს., 2 ფ., 22X16; ნუსხური
103	H-2702, სახარება, XII ს., 1 ფ., 21X14,9; ნუსხური
104	H-2703, საგალობელი XIV ს., ½ ფ., 16,6X15,5; ნუსხური
105	H-2704, სახარება, XI ს., 1 ფ., 16,5X11,8; ნუსხური
106	H-2805, მინიატიურა, XIII ს., 1 ფ., 21X16; ნუსხური
107	H-3014, სახარება, პალიმფსესტი, XVI-XVII სს., 1 ფ., 11,5X9; ნუსხური
108	H-3098გ, სახარება, პალიმფსესტი, XIV-XV სს., 2 ფ., 21,2x19; ნუსხური
109	H-3098დ, სახარება, პალიმფსესტი, XIV-XV სს., 1 ფ., 18,5x17,5; ნუსხური
110	H-3168, ლოცვა, XVI-XVII სს., 1ფ., 10,8X7,5; ნუსხური
111	H-3169, კურთხევანი, XVI-XVII სს., 1ფ., 11X8,7; ნუსხური
112	H-3170, ქადაგების, პალიმფსესტი, XVI-XVII სს., 1ფ., 11X10; ნუსხური
113	H-3171, კურთხევანი, XVI ს., 1ფ., 10X12,5; ნუსხური
114	H-3172, კვიმატი დღეები, XVI-XVII სს., 1 ფ., 12X8,5; ნუსხური
115	H-3173, საკითხავები, XIV-XV სს., 1 ფ., 12,2X10,5; ნუსხური
116	H-3174, კურთხევანი, XVI ს., 1 ფ., 13,3X10; ნუსხური
117	H-3175, ფსალმუნი, XIV-XV სს., 1 ფ., 13,3X11,3; ნუსხური
118	H-3176, შელოცვა, XV-XVI სს., 1 ფ., 13,5X11,7; ნუსხური
119	H-3177, კურთხევანი, XIV-XV სს., 1ფ., 12,3X11,7; ნუსხური
120	H-3178, ფსალმუნი, პალიმფსესტი, XVI ს., 1ფ., 15X17; ნუსხური
121	H-3179, ლოცვა, XIII-XIV ს., 1 ფ., 14,5X16,7; ნუსხური
122	H-3180, საგალობლები, XV-XVI სს., 1 ფ., 17,1X16; ნუსხური
123	H-3181, ოთხთავი, XI ს., 1ფ., 15,7X8,4; ნუსხური
124	H-3182, კურთხევანი, XIV-XV სს., 2ფ., 11,5X8,1; ნუსხური
125	H-3183, ფსალმუნი, XV-XVI სს., 2ფ., 12,2X8,8; ნუსხური

126	H-3184, ფსალმუნი, XIV-XV სს., 2 ფ., 11,5ხ10,5; ნუსხური
127	H-3185, კურთხევანი, XIV-XV სს., 4 ფ., 12,8X9,7; ნუსხური
128	H-3186, ფსალმუნი, XV-XVI სს., 2 ფ., 10X12,5; ნუსხური
129	H-3187, ათანასე ჰრომთა პაპის ცხოვრება, პალიმფსესტი, XVI ს., 2 ფ., 14,5X12; ნუსხური
130	H-3188, საგალობლები, XV-XVI სს., 2 ფ., 15,3X12,2; ნუსხური
131	H-3189, ღვთისმშობლის მიმოსვლა, პალიმფსესტი, XVI ს., 2 ფ., 14X12; ნუსხური
132	H-3190, საკითხავები, XV-XVI სს., 2 ფ., 17,4X14,5; ნუსხური
133	H-3230, სადღესასწაულო; XIII ს., 1ფ., 26X17; ნუსხური
134	H-3231, ჟამისწირვა, XIV-XV სს., 1 ფ., 34X20,7; ნუსხური
135	H-3232, სადღესასწაულო, XV ს., 1 ფ., 26X19,7; ნუსხური
136	H-3247, თვეთა მეტყველება, XVI-XVII სს., 2 ფ., 16,8X12,3; ნუსხური
137	H-3261, საგალობლები, XV-XVI სს., 2 ფ., 26X19,7; ნუსხური

N	**S**
1	S-2855, ოთხთავი, XIII ს., 2 ფ., 23,5X22,5; ნუსხური
2	S-3280ა, მათეს თავის სახარება, XII-XIII სს., 4ფ., 25,5X17; ნუსხური
3	S-3280ბ, თვენი, XIV-XV ს., 3ფ., 20X13,5, ნუსხური
4	S-3477ბ, სვინაქსარი, XV ს., 2ფ., 23X16; ნუსხური
5	S-3479გ, შესხმანი ღვთისმშობლისანი, XI ს., 4ფ., 21X16; ნუსხური
6	S-3480ბ, მარხვანი, XII ს., 2ფ., 22,5X18; ნუსხური
7	S-3485ა, საკითხავები სახარებისა და სამოციქულოსი, XIV-XV სს., 1 ფ., 14,8X13; ნუსხური
8	S-3485ბ, კურთხევანი, XV ს., 2 ფ., 13,9X12,8; ნუსხური
9	S-3485გ, საგალობელი, XV-XVI სს., 2 ფ., 15X11; ნუსხური
10	S-3485დ, წირვის წესი, XVI-XVII სს., 2 კეფი, გრაგნილი, 30,3X17; ნუსხური
11	S-3947, კურთხევანი, XVI-XVII სს., 2 ფ., 12X9; ნუსხური
12	S-5221, ღვთისმშობლის აპოკრიფი, X ს., 1/2 ფ., 19,5X32; ასომთავრული
13	S-5222, ფსალმუნი, X ს., 5 ფ., 15,5X15; ასომთავრული
14	S-5224, მარხვანი, XV ს., 2 ფ., 26,5X18,5; ნუსხური
15	S-5231, სადღესასწაულო, XI ს., 2ფ., 26X20,5; ნუსხური

N	**Q**
1	Q-182ბ, კითხვა-მიგება, XI ს., 1 ფ., 9,5X15; ნუსხური
2	Q-182გ, საგალობლები, XI ს., 2 ფ., 16,7X22,3; ნუსხური
3	Q-182დ, ფსალმუნი, XIV-XV სს., 1 ფ., 15,5X11,7; ნუსხური
4	Q-186ა, საგალობლები, XV ს., 2 ფ., 13,3X10,2; ნუსხური
5	Q-186დ, კურთხევანი, XV-XVI სს., 2 ფ., 11,3X9,4; ნუსხური
6	Q-189ბ, ბარბარას წამება, XV-XVI სს., 1 ფ., 10,3X11,5; ნუსხური
7	Q-189იგ, კონდაკი, XV ს., 2 ფ., 9,7X14,5; ნუსხური

8	Q-208ა, გამოსვლათა წიგნი, X ს., 1 ფ., 12X16,2; ასომთავრული
9	Q-208ბ, ბიბლიის საკითხავები, X ს., 1 ფ., 21X29; ასომთავრული
10	Q-209, დოგმატიკური კრებული, X ს., 2 ფ., 34,5X27,5; ასომთავრული
11	Q-210, დაზიანებული ფრაგმენტი, X ს., 1 ფ., 13,8ხ23; ასომთავრული
12	Q-211, მათეს თავის სახარება, X ს., 1 ფ., 16,8ხ20,8;ასომთავრული
13	Q-212, სწავლანი, X ს., 1 ფ., 13ხ17,8; ასომთავრული
14	Q-213, მარკოზის თავის სახარება, X ს., 2 ფ., 14,2ხ11,5; ასომთავრული
15	Q-214, მარკოზის თავის სახარება, XI ს., 2 ფ., 8,5X13,5; ნუსხური
16	Q-215, თვენი, XI ს., 4 ფ., 19,6X14,8; ნუსხური
17	Q-217, დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის, XI ს., 2 ფ., 17,8X13,9; ნუსხური
18	Q-218, მარკოზის თავის სახარება, XIII-XIV სს., 1ფ., 9,3X14,9; ნუსხური
19	Q-219, დაზიანებული ფრაგმენტი, XIII-XIVსს., 1 ფ., 20,8X15,2; ნუსხური
20	Q 221, საგალობლები, XIV ს., 1 ფ., 20,7X14,8; ნუსხური
21	Q-222, საგალობლები, XIV-XV სს., 4 ფ., 16,3X12; ნუსხური
22	Q-223, საგალობლები, XV-XVI სს., 2 ფ., 12,5X13; ნუსხური
23	Q-275, სვინაქსარი, XI ს., 1 ფ., 23X16,5; ნუსხური
24	Q-486ა, დაბადება, X ს., 2 ფ., 22,9X14; ნუსხური
25	Q-486ბ, იოანეს თავის სახარება, X ს., 1 ფ., 25,3X21,5; ასომთავრული
26	Q-486გ, ქადაგებათა კრებული, XI ს., 2 ფ., 36,4X27,5; ნუსხური
27	Q-487გ, საკითხავები, XVI-XVII სს., 4 ფ., 11,5X8,4; ნუსხური
28	Q-637ა, სვინაქსარი, XIV-XV სს., 1 ფ., 27,8X21,5; ნუსხური
29	Q-637ბ, ოთხთავი, XIII ს., 5 ფ., 23,5ხ18; ნუსხური
30	Q-783, ოთხთავი, XIII ს., 3 ფ., 25,9ხ19,8; ნუსხური
31	Q-987, თომა მოციქულის წამება, XIII ს., 2 ფ., 34,4X24,5; ნუსხური
32	Q-996, ფსალმუნი, XI ს., 1 ფ., 19,8X14,7; ნუსხური.
33	Q-1054, ოთხთავი, XIII-XIV სს., 1 ფ., 25,2X19,3; ნუსხური
34	Q-1126ა, თვენი, XIII ს., 2 ფ., 22,2X16,6; ნუსხური
35	Q-1126ბ, მარხვანი, XIII-XIV სს., 1 ფ., 23X17,7; ნუსხური
36	Q-1126გ, ლიტურგიკული ხასიათის, XII ს., 1 ფ., 30X17,5; ნუსხური
37	Q-1126დ, ლიტურგიკული ხასიათის, X-XI სს., 1 ფ., 11,5X8,5; ნუსხური
38	Q-1126ე, სახარების თარგმანება, XII ს., 1ფ., 32,2X21,5; ნუსხური
39	Q-1153, იადგარი, X ს., 1 ფ., 33,5X23,5; ნუსხური

N	**FR**
1	Fr-43, საგალობელი, XII-XIII სს. 1ფ., 22x16; ნუსხური
2	Fr-55, სადღესასწაულო, 1ფ., 19,7x13,7; ნუსხური
3	Fr-56, საგალობელი, XIს., 2 ფ., 19,5x16; ნუსხური
4	Fr-83, საგალობელი, XV-XVI ს., 4 ფ., 11x8,6; ნუსხური

5	Fr-91ა, სასულიერო შინაარსის თხზულებები, XIV ს., 3 ფ., 14,8x 6,8; ნუსხური
6	Fr-91გ, ჰაგიოგრაფიულ ჰომილეტიკური კრებული, X ს., 4 ფ., 21x12,8; ნუსხური
7	Fr-91დ, ლექციონარი, X ს., 1ფ., 25x17,4; ნუსხური
8	Fr-91ე, მრავალთავის საკითხავი, X-XI სს., 1ფ., 39x31,6; ნუსხური
9	Fr-91ვ, ჰაგიოგრაფიული თხზულება, X ს., 1ფ., 21x12,8 ნუსხური
10	Fr-92ბ, პავლეს ეპისტოლე, XI ს., 1 ფ., ნუსხური
11	Fr-119, ჰომილეტიკური ხასიათი, XIV ს., 1 ფ., 15,6x13; ნუსხური
12	Fr-121, ლოცვა, XVI ს., 2 ფ., 13,6x9; ნუსხური
13	Fr-122, მარხვანი, XII-XIII სს., 1 ფ., 12,4x20,2; ნუსხური
14	Fr-148, მარხვანი, XIII ს., 1ფ., 28,7x20,3; ნუსხური
15	Fr-148ა, მარხვანი, XII-XIII სს., 1 ფ., 16,5x14,5; ნუსხური
16	Fr-148ბ, ლოცვა, XIII ს., 1ფ., 7,5x7 ნუსხური
17	Fr-150, დიდი სჯულისკანონი, XI-XII სს. 1 ფ., 8,5x13,5; ასომთავრული
18	Fr-151, კოზმან და დამიანეს ცხოვრება, XI ს., 2ფ., 18,4x13,8; ნუსხური
19	Fr-153, საგალობლი გიორგი მთაწმინდელის ანდერძით, XI ს., 2 ფ., 24,9x17; ნუსხური
20	Fr-154, მარხვანი, XI ს., 4 ფ., 25x16; ნუსხური
21	Fr-156, ლოცვანი, 2 ფ., 11x9,4; ნუსხური
22	Fr-157, მარხვანი, 4 ფ., 20,7x16,5; ნუსხური
23	Fr-184, „ეტრატოვანი„, XIII-XIV სს., 4(5) ფ., 13,5x15; ნუსხური
24	Fr-184ა, „ეტრატოვანი„, XIII-XIV სს., 1(5) ფ., 16,4x13; ნუსხური
ფრაგმენტი ვერ ამოწურავს ინფორმაციას სრული კოდექსის შესახებ, მას შეუძლია მხოლოდ შეავსოს არსებული მონაცემები მცირე დეტალებით, მინიმალური მონაცემებით; უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფრაგმენტი ხშირად გვერდზე უფრო მცირე ზომისაა, შემორჩენილია უმნიშვნელო ნახევით.

თანამედროვე ფრაგმენტოლოგიაში გამოიყოფა ფრაგმენტის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები: რამდენად წარმოადგენს ფრაგმენტი სრულ ერთეულს (კოდექსს); დაცულობის/შენარჩუნების ხარისხი; ფრაგმენტი, როგორც ხელნაწერის მტკიცებულება; ტექსტისა და წიგნის ტიპის განსაზღვრა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ტექსტის რაობის, მწერლობის კონკრეტული დარგისადმი კუთვნილების დადგენას, კოდიკოლოგიურ, პალეოგრაფიულ შესწავლას, არამედ საარქივო კონტექსტის გენეზისის გაცნობას (კოლექციები) და რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვებას ერთეულის ფრაგმენტაციისა და მისი შენარჩუნების პროცესის შესახებ.

ფრაგმენტის აღწერა პირველ ეტაპზე ეფუძნება მის ვიზუალურ სახეს, თუმცა შემდეგ გადის კვლევის სხვა ეტაპებს - ხელისა და ტექსტის იდენტიფიკაცია, პალეოგრაფიული თავისებურებები, პერსონალია და სხვ.

ქართულ ხელნაწერთა ეტრატზე შესრულებული ფრაგმენტების აღწერა/კატალოგიზაცია განხორციელდა ფრაგმენტოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი სქემის მიხედვით. იგი შედგება შემდეგი პარამეტრებისაგან:

არქეოგრაფიული აღწერილობა, შედგენილობა, მოხატულობა, ტექსტოლოგიური შენიშვნები, მასალის დახასიათება, ეტრატისა და მელნის დაზიანებების დეტალური აღწერა, რეკომენდაციები - შენახვის/განთავსების პირობების განსაზღვრა. ყოველ ერთეულს დაერთვის ფრაგმენტის ტექსტი, რამდენადაც შესაძლებელია მისი ამოკითხვა და ბიბლიოგრაფია.

აღნიშნული სქემის მიხედვით შეიქმნა მონაცემთა ბაზის მოდელი, რომელიც ჩამოთვლილი პარამეტრების შესაბამისი ველების გარდა შეიცავს PDF ფაილებს ფრაგმენტის სრული აღწერილობით, დიგიტალურ ფოტოებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრაგმენტის ინფორმაციული ღირებულების განსაზღვრა,რაც უკავშირდება ავტორს/მთარგმნელს/შემდგენელს, ტექსტის კვლევისას გამოვლენილ საკითხებს - რაობას, რედაქციულობას, მოხატულობის - მინიატურების, საზედაო ასოების - სტილურ თავისებურებებს, თარიღის განსაზღვრას და სხვ.

ფრაგმენტის კვლევის უმთავრესი საკითხი ტექსტის რაობის, მისი კონკრეტული დარგისადმი კუთვნილების დადგენას უკავშირდება. არსებობს იდენტიფიკაციის სხვადასხვა დონე - ტექსტი ან ტექსტის ნაწილები (რაც შეიძლება - დეტალურად) და კონკრეტული შინაარსი, რომელიც წარმოაჩენს ხელნაწერი წიგნის ტიპს, სოციოკულტურულ კონტექსტს.

კვლევისას საგანგებო ყურადღება სწორედ ფრაგმენტების ტექსტებს დაეთმო. გამოვლინდა ზოგიერთი ტექსტის რაობა, რედაქცია, დაზუსტდა დეტალები ტექსტებისა და კოლოფონების მიხედვით.

ერთ-ერთი ფრაგმენტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფრაგმენტების კოლექციიდან, Fr-151 **(ფრაგმენტების კატალოგი)**, წარმოადგენს „კოზმან და დამიანეს ცხოვრების" ტექსტს. ფრაგმენტი 2 ფურცლიანია, მეორე ფურცელი არასრულადაა შემონახული, ძლიერ დაზიანებულია; დათარიღებულია მე-11 ს-ით. არ იყო ცნობილი, რომელი რედაქციის იყო ფრაგმენტით შემონახული ტექსტი. კვლევისას გავარკვიეთ, რომ იგი უშუალოდ მიჰყვება სინურ ხელნაწერს - Sin.Geo. 62-ს **(Mapp 1940, ჩხიკვაძე, 2018)**, ჰაგიოგრაფიულ კრებულში დაცულ ტექსტს. ჟერარ გარიტი აღნიშნულ ხელნაწერს 983 წლის შემდგომი პერიოდით ათარიღებს; გადამწერია იოვანე (გარიტის მიხედვით, იოვანე ზოსიმე). „კოზმან და დამიანეს ცხოვრების" ტექსტი სინური ხელნაწერიდან გამოქვეყნებულია ივანე იმნაიშვილის მიერ **(იმნაიშვილი 1963)**.

ასევე, თანამედროვე საძიებო სისტემების გამოყენებით, დადგინდა ერთ-ერთი ფრაგმენტის რაობა - Q-208/ბ, რუთის წიგნი, 1:9.

ეტრატზე შესრულებულ ქართულ ხელნაწერ ფრაგმენტთა მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ის არავერბალური ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება კალიგრაფიას, ტექსტის დანაწილებას, საზედაო ასოებსა და მინიატურებს.

როგორც ცნობილია, ხელნაწერის მხატვრული არქიტექტონიკის ჩამოყალიბებაში გადამწერს განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა. ფრაგმენტებში, როგორც ასომთავრულით, ისე ნუსხურით ნაწერ ერთეულებში, საზედაო ასოები (ძირითადად, ასომთავრულით შესრულებული) აბზაცის თავში იწერებოდა, ხშირად მუხლებისა და სხვა მისათითებელი ადგილების გამოსაყოფად და მკითხველისათვის ერთგვარ ორიენტირს ქმნიდა. ძირითადი ტექსტისაგან ისინი განირჩეოდა ზოგჯერ მხოლოდ მოზრდილი ზომით, ზოგჯერ კი ფერითაც — ასეთი საზედაო ასოები, უმეტესად, სინგურითაა შესრულებული **(მაჭავარიანი, 2012)**.

თანამედროვე ფრაგმენტოლოგიაში მოხატული ინიციალებისა და მინიატურების შემცველ ხელნაწერ ფრაგმენტებს „ჩამონაჭრებს" *(cutting)* უწოდებენ. ისინი ხშირად დეკორისა და მინიატურის გადასარჩენად იყო

ჩამოჭრილი ძირითადი ხელნაწერიდან - ეს იყო მთელი ფურცელი ან ფურცლის ნაწილი. თანამედროვე ეტაპზე ილუმინირებული ხელნაწერი ფრაგმენტების ერთ-ერთ საუკეთესო კატალოგად მიჩნეულია Peter Kidd-ის მიერ შედგენილი სამტომეული McCarthy -ის კოლექციის მიხედვით **(Kidd, 2019, 2021)**.

რაც შეეხება იმას, თუ რა ხასიათის თხზულებათა ფრაგმენტებია შემორჩენილი, ამაზე შეიძლება პირდაპირი პასუხის გაცემა. ძირითადად ეს არის საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რაც გამოიყენებოდა პრაქტიკულ ღვთისმსახურებაში.

ღვთისმსახურება კი სამი უმთავრესი ელემენტისაგან შედგება: საკითხავები საღმრთო წერილიდან, ლოცვები და საგალობელი ჰიმნები. სწორედ ამ მასალის შემცველი ხელნაწერები ზიანდებოდა უმეტესად მათი გამოყენების სიხშირის გამო და ეს იყო ფრაგმენტების წარმოქმნის მიზეზიც.

ამ გარემოებამ განსაზღვრა ის ფაქტიც, რომ ფრაგმენტულ ხელნაწერებში ნაკლებად გვხვდება ჰაგიოგრაფიული მასალა, განსაკუთრებით-ბოლო პერიოდის ფრაგმენტებში.

როგორც ცნობილია, X საუკუნის გასულამდე ქართული ლიტერატურული ძეგლები ასომთავრულით იწერებოდა, XI საუკუნიდან ბატონობს ნუსხური; ჩვენი განსახილველი მასალის დიდი ნაწილი სწორედ ნუსხური ანბანით არის შესრულებული.

ფრაგმენტები სხვადასხვა მოცულობისაა. ერთი ნომრის ქვეშ ზოგჯერ მოქცეულია 2 ან მეტი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი. მუშაობის პროცესში ეს ფრაგმენტები გავაცალკევეთ და საკუთარი ნომრები მივანიჭეთ.

ფრაგმენტულ ხელნაწერებში, განსაკუთრებით ადრეული პერიოდის ტექსტებში, მათი მოცულობითი სიმცირის მიუხედავად, ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო და მრავალმნიშვნელოვანი ფაქტები დასტურდება.

საყურადღებოა X ს. ფრაგმენტი A1769, რომლის ტექსტი უნდა იყოს ეფრემ ასურის „მამათა სწავლანის" ნაწილი. კ.კეკელიძეს აღნიშნული აქვს, რომ ექვთიმე ათონელმა თარგმნა ეფრემ ასურის „სწავლანი", რიცხვით ხუთი **(კეკელიძე, 1980, 204)**, აქედან ერთ-ერთია „იოვანეს მიმართ, მონაზონისა და მამასახლისისა", რომელიც უთარგმნია ექვთიმე ათონელს. დასახელებულ ფრაგმენტში წარმოდგენილ ტექსტს ერთვის ექვთიმეს ანდერძი (1v), რომელიც სინგურით არის დაწერილი და, შეიძლება, ავტოგრაფული იყოს. აი, ეს ანდერძი: „ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთჳმისთჳს, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი ვთარგმნე".

XI საუკუნისაა Fr151, რომელიც შეიცავს ჰაგიოგრაფიული თხზულების, „კოზმან და დამიანეს ცხოვრების", ფრაგმენტს. ქართულ ხელნაწერებში ამ თხზულების სხვადასხვა ნაწილი, როგორც კიმენური, ისე მეტაფრასული რედაქციისა, ძალიან ბევრ ხელნაწერშია წარმოდგენილი. დასახელებული ხელნაწერის ფრაგმენტში მოთხრობილია კაცისა და გველის ეპიზოდი; ლაპარაკია იმ სასწაულზე, რომელიც კოზმან და დამიანეს სახელებს უკავშირდება. ეს ვარიანტი ემთხვევა Sin62 ხელნაწერში დაცულ ტექსტს,

რომელიც კიმენური რედაქციისაა და თარიღდება 983 წლის შემდგომი პერიოდით.

ძალიან საინტერესოა XI საუკუნის Fr153, რომელშიც საგალობლების („მარხვანი„)ტექსტია დაცული. ტექსტის ბოლოს იოანეს სახელით დართულია საკმაოდ ვრცელი ანდერძი: „სხუანი გალობანი ამისვე დღისანი თავედნი წმიდისა იოანე დამასკელის იამბიკონი ამას გუარსა ზედა არიან თჳნიერ, რომელ მათ ყოველსა დასდებულსა ხუთითავე ზის. ხოლო მათ უმრავლესნი სხედან და ამას უფროჲსი ჭირი უნა. და ვინაჲთგან ამათი თარგმნაჲ უღონოჲ არს ყოვლადვე შეუძლებელი, ამისთჳს მე, გლახაკმან იოანე, ქართულად აღვწერენ ესე გალობანი დიდითა შრომითა. ლოცვა-ყავთ ღმრთისათჳს, რაჲთა უფალმან შემიწყალოს თქუენითა წმიდითა ლოცვითა. ამინ."

ვინ არის იოანე? ანდერძში იოანე წერს, რომ მან ქართულად აღწერა „ესე გალობანი" . აქ საყურადღებოა სიტყვა ა ღ წ ე რ ა. ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული და ძველი ტექსტებიდან მოხმობილი მასალით საფუძვლიანად დამტკიცებული ც.კახაბრიშვილს **(კახაბრიშვილი, 2016-85)**. სიტყვა ა ღ წ ე რ ა ძველ ქართულში ნიშნავს შექმნას, შეთხზვას, დაწერა კი - გადაწერას. ე.ი. აღმწერელი არის ავტორი.

თუ ამ აზრს გავითვალისწინებთ, ანდერძის დამწერი იოანე არის საგალობლების ავტორი. ხომ არ არის ეს იოანე მინჩხი, რომელიც ერთერთი იმ ავტორთაგანია, რომელთაც, როგორც კ.კეკელიძე ამბობს: „ხელი შეუწყვეს ქართული ჰიმნოგრაფიის აყვავებას X საუკუნეში" **(კეკელიძე, 1980, 171)**. იოანეს დაწერილი აქვს „თავედნი" ანუ აკროსტიქული საგალობლები. სწორედ ამ ტიპის საგალობლებზე არის ლაპარაკი ანდერძში.

როგორც ზემოთ ვთქვით, ფრაგმენტი, აღწერილობის მიხედვით, XI ს-ით თარიღდება მაგრამ, ჩვენი აზრით, უფრო გვიანდელი უნდა იყოს, რადგან ტექსტში ბევრი ორთოგრაფიული და სხვა სახის შეცდომა ფიქსირდება, რაც ამ პერიოდის ტექსტებისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. სიტყვები, რომლებშიც გამოტოვებულია ასოები, უქარაგმოდ არის დაწერილი: ნესით(=ნებსით), სლისაგან(=სულისაგან), დაძუებულსა (=დაძუელებულსა), შ ე მ ო ს ა, როცა კონტექსტით უნდა იყოს შ ე ი მ ო ს ა.

ო-----ჳ : ბჳნება, ვარსკჳლავი, უწყებჳლნი. გვაქვს ჲ -მეტობის ფაქტიც: ჲ შემასმენლის ბოლოს - „ევაჲს წყევაჲ დაჰჴსნაჲ". სიტყვაში ა ღ გ ზ ნ ე ბ უ ლ ი (რა ფორმითაც ეს ლექსემა ამ ტექსტში გვხვდება) ასო ნ გვიანდელი გაჩენილია. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ფრაგმენტი XI ს-ზე გვიანდელი უნდა იყოს.

Fr91-ის ქვეშ გაერთიანებული იყო 6 სხვადასხვა ტექსტის ფრაგმენტები, მათგან ერთ-ერთი, რომელიც ცალკე ნომრით- Fr91/ვ-გამოვყავით, წარმოადგენს იოვანეს სახელით დაწერილ ანდერძს:

„მამისაჲთა და... ისა წმიდისაჲთა მეოხე.....სა ღმრთისმშობელისაჲთა ...ებითა ცხოველსმყოფელისა [პატიო]სნისა ჯუარისაჲთა და მეოხე[ბითა] წმიდათა მისთაჲთა

ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და უღირსი იოვანე, აღსრულებად საქმისა [ა] მის, რომელი ჰმატდ[ა] უ[ღი]რსე[ბასა] ჩემსა და დ ა ვ წ ე რ ე

....ე და უაღრესი .... სამონათურთ ..... აჲ ..... მეტესი მაქუნდა ...უა ....ყოველთა წიგნთასა რავ ..... არს იგი საქმე სამო.... ...რს ამას შინა არა ..... სალოცველად სულიერი ...[ჴო]რციელისა მამისა ჩე[მისა] სარგებელად ...ისა სულისა ჩემისა ....მარადის ჩუენ ყოველთა, რამეთუ ა .... არ .... თე...ა .... სათნოებათა სა..... და შეერთებ.... ხარ ..... უარულ .... ხ.... ლი არს ..... რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე . ამინ."

ფრაგმენტი (Fr91/ვ), რომლის მხოლოდ ერთი ფურცელია შემორჩენილი, ძალიან არის დაზიანებული, რის გამოც ანდერძი სრულად არ იკითხება და ძნელია თქმა, სახელდობრ, რომელი ტექსტი დ ა წ ე რ ა იოვანემ. სიტყვა დ ა წ ე რ ა კი, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ძველ ქართულში გ ა დ ა წ ე რ ა ს ნიშნავს, ე.ი. იოვანეს გადაუწერია ტექსტი, რომლის რაობაც, როგორც ვთქვით, ამ ფრაგმენტის მიხედვით ნათელი არ არის. მაგრამ ანდერძში ნახსენები ს ა მ ო ნ ა ს სახელი გვაფიქრებინებს, რომ იოვანე უნდა იყოს გადამწერი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა „წამებაჲ წმიდათა აღმსარებელთა-სამონა, გურია და აბიბოჲსი". სახელის ფორმა ს ა მ ო ნ ა თ უ რ თ გულისხმობს სამონასთან ერთად სხვებსაც, ვფიქრობთ, ესენი უნდა იყვნენ გურია და აბიბოსი.

დასახელებული თხზულების მეტაფრასული რედაქცია წარმოდგენილია ხელნაწერებში: A128(XII-XIIIსს.) და S384(XI-XIIსს.), კიმენური რედაქცია-A95(XIს.) Sin11(Xს.), H341(XIს.). რადგან Fr191/ვ XIს-ით თარიღდება, იოვანე (რომლის ვინაობაც უცნობია) ამ თხზულების კიმენური რედაქციის ტექსტის გადამწერი უნდა იყოს.

საინტერესოა XI ს. ფრაგმენტი A371, რომელშიც დაცულია იოანე ოქროპირის იოანეს სახარების თარგმანების ტექსტის ნაწილი. აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად ყველგან გამოყენებულია ჱ, რაც არცთუ ხშირია ძველ ტექსტებში: უფიცხლჱსად. მაგრამ ჱ არ გვხვდება უჱ კომპლექსში, რაც ამ შემთხვევაში იყო მოსალოდნელი. ამავე ფრაგმენტში დასტურდება სიტყვაწარმოების საინტერესო ფორმა: უშემაწუხებელჱსად. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ X ს. ფრაგმენტში A257/დ („ლექციონარი") სიტყვაში „გულისხმისყოფა„ დასტურდება ხ და არა ჴ, ე.ი. ხუმა და არა ჴმა, რაც ენათმეცნიერული თვალსაზრისით არის საინტერესო. XI საუკუნის ფრაგმენტში H 1229 („თვენი") გვხვდება ზმნის საინტერესო ფორმა: „ზაკუვისა ისარნი დ ა გ ა ს რ ი ნ ა". მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს XII საუკუნის ფრაგმენტული ხელნაწერი H1854 („საგალობლები"). 1r-ს მარჯვენა კიდეზე საგალობლის გვერდით მიწერილია სავარაუდო ავტორის დაქარაგმებული სახელი: თფნეჲ, 5v -ს მარცხენა კიდეზე - ...ფანე, 7r-ს მარჯვენა კიდეზე - თფნე. ეს არის საგალობლების ცნობილი ავტორი თეოფანე აღმსარებელი.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ პერიოდის (X-XIსს.) ფრაგმენტულ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტების ძირითადი ნაწილი ენობრივად და

აზრობრივად გამართულია. მაგრამ არის გამონაკლისებიც, მაგ., ასეთია X საუკუნის ფრაგმენტი H1888, რომელშიც ახალი აღთქმის ტექსტებია დაცული. ამ ტექსტებში გვხვდება არც თუ მცირე რაოდენობის ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები: მაქქუს, მათჯს, მოვიდ, განვიდა შემთხუვათ.

X საუკუნის ფრაგმენტული ხელნაწერის H1887 ტექსტში, რომელიც აგრეთვე ახალი აღთქმის საკითხავებს წარმოადგენს, შემდეგი ენობრივი თავისებურებები შეინიშნება: უ-ს ნაცვლად არის ჳ : თჳმცა(=თუმცა), გამოჳცხადე(=გამოუცხადე).

ე ხმოვნის შემდეგ სისტემურად გვხვდება ჱ : ძეჱ, მძიმეჱ, სიბრძნეჱ, ჰეროდეჱსნი.

ჳ გადმოცემულია ორი ასოთი: ტუირთი, მშუიდი, გეტყუი.

უ და ო ხმოვნები გამოყენებულია შენაცვლებით: უ-ს ნაცვლად არის ო და პირიქით, თუმცა ამ ფაქტს სისტემური სახე არა აქვს: ჴოვილი(=ჴუვილი), ოფალი (=უფალი). ტექსტში ბევრია ორთოგრაფიული შეცდომა, როგორიც არის, მაგ.: შეემხია(=შეემთხჳა). არ არის გამორიცხული, რომ ეს ფრაგმენტი გვიანდელი იყოს.

H1229 (XIს.თვენი) ხასიათდება მცირე ორთოგრაფიული შეცდომებით: სუალთა(=სულთა). ზოგიერთ სიტყვაში დაკარგულია ვ სპირანტი: ახოანი, ითხოენ. ზოგჯერ სიტყვები არასწორად არის დაქარაგმებული. დაკარგულია მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი მ: განმზადებული. არის ბგერათა შენაცვლების შემთხვევები: სურმილისაგან(=სურვილისაგან), უბულთა (=ობოლთა). გვხვდება აღმავალი და დამავალი დიფთონგები: ჲოვანე, მიჲღე, მოჲსთულეს. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს ფრაგმენტიც გვიანდელია.

ფრაგმენტი Q 214, რომელიც XI საუკუნეს მიეკუთვნება და შეიცავს მარკოზის სახარების გამოკრებილ ტექსტს, ნაწერია ძალიან განსხვავებული, დამახასიათებელი ნუსხურით, ერთი შეხედვით, არაპროფესიული ხელით. ტექსტში დარღვეულია ენობრივი ნორმები, ადგილი აქვს ო-სა და უ-ს შენაცვლების ფაქტს: მეყსეოლად (=მეყსეულად), მონ(=მუნ). ი-ს ნაცვლად ო: დათესოლნი. უჱ კომპლექსში არ არის ჱ, მაგრამ: აღდგის ღამჱ. არასწორად არის ნახმარი პირის ნიშანი: დაჰბრკოლდინ.

H1889 (X-XIსს.), რომელიც წარმოადგენს საგალობლების კრებულის ფრაგმენტებს, საერთოდ არ იყენებს ჱ-ს, მის ნაცვლად ყველგან გვაქვს ეჲ: ძეჲ, მტკიცეჲ. სადაც საჭიროა, არ გვხვდება არც ჳ: კაცთათუის, ვიტყუით. ვ----უ : იყაუ, ჴმა-ჰყაუ.

შემდგომი პერიოდის, XIII საუკუნის, ფრაგმენტულ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტები წინა პერიოდის ტექსტებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

სრულიად გამართულია და უშეცდომო Q637/ბ, ოთხთავის ტექსტი-ნაწყვეტები მათეს და ლუკას სახარებებიდან. არცერთი შეცდომა არ არის ამ პერიოდის ფრაგმენტის ტექსტში - H419 („საწელიწდოჲ"). მაგრამ ყოველთვის ასე არ არის; მაგ., ფრაგმენტი H1835/ბ, რომელიც საგალობლებს წარმოადგენს, მნიშვნელოვანი ორთოგრაფიული შეცდომებით ხასიათდება,

სიტყვებში გამოტოვებული ასოები („სამნათობი"). ამ ტექსტისათვის დამახასიათებელია უ---ჯ: სიკჯდილი. შეცდომები გვხვდება აგრეთვე Q1126/ა („თვენი") ფრაგმენტულ ხელნაწერშიც.

XIII-XIV სს., რომელიც, ძირითადად, საღვთისმსახურებო ტექსტებს წარმოადგენს (უკვე აღარ გვხვდება ჰაგიოგრაფიული მასალა, რომელიც წინა პერიოდებშიც მცირე რაოდენობით იყო), უკვე განსხვავდება ენობრივი ნორმების დაცვის თვალსაზრისით. ბევრია შეცდომა, ტექსტობრივი თუ ენობრივი, თითქმის აღარ გვხვდება გამართული და უშეცდომო ტექსტები, შეცდომები სისტემურ ხასიათს იღებს. დამახასიათებელია ჲ-მეტობა, ა-მეტობა, ე-მეტობა, არასწორად არის დაქარაგმებული სიტყვები. მაგ., XII-XIV საუკუნეების ფრაგმენტული ხელნაწერისათვის H1811 („კურთხევანი") დამახასიათებელია ჲ-მეტობა: ჲ გვხვდება სიტყვის უკიდურეს ბოლოში: განმტკიცებითჲ(=განმტკიცებითა), დამდაბლებულჲ (=დამდაბლებული). უსისტემოდ არის დასმული ქარაგმის ნიშნები. ამავე პერიოდისაა H1394 („საგალობლები"). ეს ტექსტიც გაუმართავია აზრობრივად და ენობრივად: ჯ---- უ: დაიმკუდრე (=დაიმკჱდრე), თუსი(=თჯსი). და პირიქით უ--ჯ: მეჯფე (=მეუფე), დაგლახაკებულთა (=დაგლახაკებულთა). სიტყვებში გამოტოვებულია ასოები: აწნდელი, უკნაჲსკნელი. გაუმართავია ფრაზები: ამან დაჰჯსნა ადამის ცოდვისაჲ.

Q1054 („ოთხთავი") - ახასიათებს ე-მეტობა: მკელობელესა. დამავალი დიფთონგი: მოჲკუჱთე. ყველაზე მეტი ფრაგმენტი მაინც უფრო გვიანდელია. ორიოდე გამონაკლისის გარდა, ამ დროის ტექსტები გაუმართავია და შეცდომებით სავსე.

XIV-XV სს. ფრაგმენტი H 3098/ა („მათეს სახარების" ფრაგმენტი). ხშირად გამეორებულია სიტყვები: ძისა(+ძისა)აბრაჰამასი, აბრაჰამ (+აბრაჰამ) შვა ისაკ. სიტყვებში გამოტოვებულია ასოები და მარცვლებიც კი: ნსომ(=ნაასომ), სულონ(=სოლომონ), რობამ(=რობოამ). უ----ვ: მოვჯდეს (=მოუჯდეს). ობიექტის რიცხვი არ არის ასახული ზმნაში: ბრმანი განკურნა. სხვადასხვა ხასიათის შეცდომებია H 3098/ბ ფრაგმენტის ტექსტშიც, რომელშიც აგრეთვე სახარების საკითხავებია. მართლწერის არავითარი ნორმა არ არის დაცული: ყჯიან, მაგრამ-მოიკითხჯდეს; ქუველის საქმე, მაგრამ იქვე -ქველის საქმე, ილოცჯდე, მოჯდა. ამ ტექსტშიც ი-ს და ა-ს ნაცვლად გვხვდება ჲ: ალჲლოჲ. უ---ო : მოგომადლე.

ა-მეტობა ახასიათებს ფრაგმენტს H 1824 („კურთხევანი"), ისე, როგორც ამ პერიოდის ბევრ სხვა ტექსტს, მაგრამ ამ მხრივ ეს ფრაგმენტი განსაკუთრებულია: მაგალითების მოხმობაც არ არის საჭირო, რადგან ყველა სიტყვა-სახელი იქნება თუ ზმნა-ასეა დაწერილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ტექსტის დამწერმა ქართული არ იცის.

ა-მეტობისა და ე-მეტობის თვალსაზრისით გამორჩეულია აგრეთვე H 1867/ა-ს ტექსტი: ვექამენენით, ჟამამადე, ვდევანებით, მაქუნადეს, ბარათალაომეოს, შემუსრენეს, საკადემელჲ. თანხმოვნის შემდეგ ზოგჯერ ა-ს ნაცვლად წერს ჲ-ს, გამორჩეულად--- ბ-სა და ლ-ს შემდეგ : დაუსაბჲმოდ, არაქმნილჲდ.

გაუგებრად და არასტანდარტულად არის დაქარაგმებული ლექსიკური ერთეულები H 536 („ლოცვანი")-ის ტექსტში, რის გამოც ჭირს სიტყვის სწორი ფორმის ამოკითხვა, მაგ.: წერია წ ა (ქარაგმის ნიშნის გარეშე), რაც გულისხმობს ფორმას წ მ ი დ ა ს ა, თუმცა შინაარსის მიხედვით უნდა იყოს სიტყვის ნათესაობითი ფორმა. ძალიან ბევრი ორთოგრაფიული შეცდომაა H 523 ფრაგმენტში წარმოდგენილ „კურთხევანის" ტექსტში. გვხვდება შეუთანხმებლობა ბრუნვებსა და რიცხვში. არასწორია დაქარაგმებაც. სიტყვებში არა მხოლოდ ასოები, მარცვლებია გამოტოვებული, ამის გამო აზრი ხშირად გაუგებარია. ფრაგმენტული ხელნაწერი H 1801 („კრებული") ორ ნაწილად გავყავით. ორივე ნაწილში იმდენი შეცდომაა, რომ აზრის გაგება ჭირს. არეულია ჯ და ვ-ს ადგილი: შთაიცჯ, მაგრამ: დაიმკვიდრონ, შეგვიწყალენ. ბ-ს შემდეგ ა-ს ნაცვლად იხმარება ჲ: ლიბჲნისანი, დაბჲდებულთა. უწიგნურად არის დაწერილი საგალობლების ტექსტი ფრაგმენტში H 1814 v (XV ს.), ვ--უ: ვესაუთ, აღუსებაჲ, აღვისუენით, ვითხოუთ. უ ასო პირველი სუბიექტური პირის ნიშნადაც არის გამოყენებული: უდღესასწაულობდით.

H 1893/ბ („საგალობლები")-ნაწერია ძალიან ცუდი ნუსხურით. ამ ტექსტში ისე, როგორც ბევრგან - ვ---უ: უნება (ვნება), მაუნებელი (მავნებელი).

ტექსტში მიმღეობის საინტერესო ფორმა დადასტურდა: მ ტ ი რ ა ლ ე. მ-ე ფორმანტის გამოყენების იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ, რა თქმა უნდა, მექანიკური შეცდომა არ არის.

იშვიათი გამონაკლისია XV საუკუნის H 3178 („დავითნი"), რომელიც გამართულია და უშეცდომო.

განსაკუთრებით გაუმართავი ტექსტებია წარმოდგენილი XV-XVIსს. ფრაგმენტულ ხელნაწერებში: ამ ტექსტებისთვის დამახასიათებელია ა - მეტობა, ე - მეტობა, ჲ - მეტობა და მისთ. რის გამოც შინაარსი უმეტეს შემთხვევაში გაუგებარია. მაგ.: ამ პერიოდის ფრაგმენტი H1838 („კურთხევანი"): განაუსუნე, აბარმისა, თავანი, აღასრაულა, უცოდველად, საწაუთარაოსა...

გინა-ს ნაცვლად გვხვდება ი გ ი ნ ა: იგინა საქმითა, იგინა გონებითა.

დამახასიათებელია ბ-ს შემდეგ ჲ-ს ხმარება: დასულებჲსა, ჰბჲრაძანე, დიდებჲსა. აქ უნდა ვიფიქროთ, რომ ა---ჲ, - მეტობა ჲ - მეტობაში გადავიდა.

XV-XVI საუკუნეებს განეკუთვნება ფრაგმენტული ხელნაწერი H 1810, რომელშიც დაცულია „კურთხევანის" ნაწილი. ხელი არაკალიგრაფიულია, დარღვეულია მართლწერის ნორმები ტექსტში არ არის დაცული დაქარაგმების წესი, აქაც ბ-ს შემდეგ გვხვდება ჲ მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში: გონებჲსა, უნდა ყოფილიყო : გონებისა. ამ ა-ს ყველგან ენაცვლება ჲ.

უ---ო: შემოსრვითა

უ---ჯ: გჯლი

ამავე პერიოდის ფრაგმენტისათვის H 1868 დამახასიათებელია ე-მეტობა: მეცნებათა (=მცნებათა). იკარგება I პირის ობიექტის ნიშანი მ: მომადლე.

ო---უ: მაცხუვნე.

სიტყვის ბოლოში გვხვდება უფუნქციო ჲ.

ძალიან თავისებური კალიგრაფიით ხასიათდება XV ს. ფრაგმენტი Q991 („საგალობლები"). აქაც გვხვდება ა და ე-მეტობა, ხანდახან - ი-მეტობაც: კილდისა (=კლდისა), გალხაკთა (=გლახაკთა), ძამად (=ძმად), სერეაბინთასა (=სერაბინთასა). ბ-ს შემდეგ არის ჲ, ზოგჯერ ჲ ენაცვლება ა-ს: დამბჲდებელი, განვიბჲნო, იდევჲ. დაქარაგმება არის უსისტემო, წინადადებები - გაუგებარი.

გაუმართავია და შეცდომებით სავსე XVI ს-ის ფრაგმენტი H 1814ბ („ლოცვანი„). ახასიათებს ა-მეტობა და ე-მეტობა: ნაუმცა (=ნუმცა), დიდასა (=დიდსა), საყდარანი (=საყდარნი), ძრაწიან (=ძრწიან), რატო (=რტო).

უფუნქციო ა გვხვდება სიტყვათა უკიდურეს ბოლოში როგორც სახელებში, ისე ზმნებში: გაწჳმებისა, თავადა. ჲ- სიტყვის ბოლოს და შუა ნაწილში: კოლჲტი, ბჲრძანება, ჭურჭელსაჲ. ზოგჯერ ჲ გამოიყენება ა-ს ფუნქციით, მაგრამ არც ეს არის სისტემური. ბევრია ასოთა გადანაცვლების ფაქტები, რაც ტექსტის შინაარსს გაუგებარს ხდის: მსგვასად (=მსგავსად), ღურბელჲთა (ღრუბელთა), კრაძლულნი (=კრძალულნი), კარვანი (=კარავნი), ნათესვასაჲ (=ნათესავსა), ეშამაკისა (=ეშმაკისა). გვხვდება სახელისა და ზმნის შეუთანხმებლობა ბრუნვასა და რიცხვში: შექმნა ცანი, რომელმან ვიდოდა ზღუა ზედა.

ა - მეტობა ახასიათებს H 3247 („თვეთა მეტყველება", XVI-XVII სს.) ფრაგმენტში წარმოდგენილ ტექსტსაც: ქანარი, მაღდელობისა, ქმანა. სიტყვის ბოლოში გვხვდება უფუნქციო ჲ: მიანიჭებ მადლსაჲ, მეოხებითა შენითაჲ.

XVIII ს-ისაა ფრაგმენტი H 1862 („ლოცვანი"). ამ პატარა ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია, იკითხება მხოლოდ ცალკეული ასოები. და ეს იმიტომ კი არა, რომ ტექსტი გადარეცხილია ან სხვა რაიმე მიზეზით არის დაზიანებული, არამედ ხელწერაა გაურკვეველი. ასეთია ამ პერიოდის თითქმის ყველა ტექსტი; მაგ.: H 1801/ა, Q 186/ა, H 1723, H 3187 და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს XVIII ს-ში სვანეთში დაწერილი მცირე ზომის სულთა მატიანეები, რომელთა წაკითხვა ძალიან ჭირს ცუდი კალიგრაფიისა და უამრავი შეცდომის გამო.

აქედან ჩანს, რომ წერისა და წიგნიერების ძველი კულტურა და ტრადიციები დაკარგული და დავიწყებულია, ახალი კი არ არის ჩამოყალიბებული.

ასეთია გზა, რომელიც გაიარეს ქართულმა ხელნაწერებმა და, შესაბამისად, მათგან ჩამოცილებულმა და მათთვის დაკარგულმა ფრაგმენტებმა. ეს გზა კარგად გვიჩვენებს იმ ქარტეხილების კვალს, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა, ქართული ხელნაწერი კი ამ ისტორიის სარკეა.

ფრაგმენტზე შემორჩენილი ტექსტის ამოკითხვა და მისი იდენტიფიკაცია დიდად არის დამოკიდებული საწერ მასალასა და მისი დაცულობის ხარისხზე; კერძოდ, იმაზე თუ როგორი მელნით არის შესრულებული ტექსტი და როგორ არის ის შერწყმული საწერ მასალასთან.

პროექტის ფარგლებში კვლევა ჩატარდა Agilent Technologies ფირმის

ფურიე ინფრაწითელ სპექტრომეტრ Cary 630 FTYR-ზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური პროცესების კვლევით ლაბორატორიაში.

ფურიე ი.წ. სპექტროსკოპიული მეთოდით შესწავლილია XI, XII, XIII და XV საუკუნეების პერგამენტების ქიმიური აღნაგობა. დადგენილია, რომ მათი სტრუქტურა, ძირითადად, ცილოვანი ნივთიერებისაგან, ამიდებისაგან შედგება. შესამჩნევი განსხვავება პერგამენტის ი.წ. სპექტრებს შორის მათი წარმოშობიდან გამომდინარეობს (ცხოველის ასაკის და სხეულის ნაწილის, საიდანაც პერგამენტია დამზადებული). ამასთანავე, ეს დროთა განმავლობაში პერგამენტის შიგა სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების შედეგია. შესწავლილია ამ პერგამენტებზე არსებული მელნის (შავი და წითელი ფერის) შემადგენლობა. დავადგინეთ, რომ ორივე სახის მელანში ბუნებრივი მთრიმლავი ნივთიერებებია, კერძოდ, გალუს მჟავა, ასევე გუმიარაბიკი. შავი მელნის შემთხვევაში გვხვდება რკინის სულფატი, ხოლო წითელი მელნის შემთხვევაში - სამვალენტიანი რკინის ჟანგი. მელანში არსებული რკინის სულფატი რეაქციაში შევიდა პერგამენტზე არსებულ კალციუმის ჰიდროქსიდთან, კალციუმის სულფატის წარმოქმნით, რომელიც შემდგომში პერგამენტის სტრუქტურაში განაწილდა. აღსანიშნავია, რომ რკინის მარილებმა დროთა განმავლობაში ეტრატის ჟანგვითი დესტრუქცია არ გამოიწვია.

ქართულ ხელნაწერებში, ძირითადად, გამოყენებულია: ღია ყავისფერი, ყავისფერი, შავი, ოქრომელანი, წითელი მელნი (სინგური). ძალიან იშვიათად გვხვდება მწვანე მელანი. ადრეულ პერიოდში მელნის მიღების რეცეპტები იმდენად ყოფილა დახვეწილი, რომ უმეტესობა ხელნაწერების ტექსტებისა დღესაც კარგად იკითხება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა უხარისხო მელნის გამო ზოგიერთი ხელნაწერი აღარ იკითხება და ბევრი ძვირფასი ცნობა სამუდამოდაა დაკარგული (გაუფერულებული ტექსტები, მელნისგან დაზიანებული).

ხელნაწერთა ფრაგმენტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა საწერად გამოყენებული მელნის ტონალობის სხვადასხვა სპექტრი. ძირითადად, გვხვდება მელანი ღია ყავისფერი და მუქი ყავისფერი შეფერილობის, ასევე შავი მელანი, ძალიან მუქი და შედარებით ღია ტონალობის. მელნის მდგომარეობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია მისი დამაგრების მდგომარეობა საწერ მასალაზე-ეტრატზე **(გოგაშვილი, 2004)**. აქ დიდ როლს ასრულებს როგორც გამოყენებული მელნის დამზადების ტექნოლოგია, ასევე ის, თუ რამდენად კარგადაა ეტრატი დამუშავებული, მისი სისქე, ზედაპირის სიგლუვე. ფრაგმენტებში გვხვდება სხვადასხვა სახის ეტრატი, რომლებმაც უკვე განიცადეს გარემოს და დროის გავლენა, მათი დიდი ნაწილი დაზიანებულია.

საწერად გამოყენებულ მელანს სხვადასხვა სახის დაზიანება ახასიათებს: დაზიანება, რომელიც გამოიწვია ეტრატის არასახარბიელო პირობებში მოხვედრამ, დატენიანებამ და ამის შედეგად შეიცვალა ეტრატის სტრუ-

ქტურა - ზედა მხარეს მომჩვარული და თხელია დაზიანებული ადგილები, ფურცლებზე შეინიშნება სინესტის, ჭუჭყისა და ცხიმის ლაქები. სინესტის ლაქებზე კი ზოგან რუხი ფერის პიგმენტაციებია. ყოველივე ამის შედეგად დაზიანებულ ადგილებზე გაუფერულდა და გადაიცრიცა მელნის ფენა, არ იკითხება ტექსტი. ამის მაგალითია ფრაგმენტები: H 1854, H 1803/ბ, H 1851/ბ, H 1885/ე, H 1900/გ, A 765/ა, A 1287/ბ, Q 1126/ე, Q 219 და სხვ.

ზოგიერთ ფრაგმენტზე ტექსტის მელანი ფურცლის დიდ მონაკვეთზე გადაცრეცილი და ჩამოშლილია, მაგ., H 1411, რომელიც ნაწერია ღია ყავისფერი მელნით, საზედაო ასოები კი სინგურითაა შესრულებული. v-ს დიდ ნაწილზე. ტექსტი არ იკითხება, გარდა ცალკეული სიტყვებისა. r-ზე ნაწერი ტექსტი უფრო მკვეთრი და ადვილად გასარჩევია. თუმცა აქაც ცალკეულ სიტყვებზე მელანი გაღიავებული და გადაცრეცილია. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ პერიოდში ღია ყავისფერი მელნით შესრულებული ტექსტები კარგი მდგრადობით გამოირჩევა. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია ეტრატის ზედაპირის დამუშავების ან მელნის შექმნის არასწორი ტექნოლოგიით, რამაც გამოიწვია აღნიშნული დაზიანება. ასეთი დაზიანებებია ასევე შემდეგ ფრაგმენტებში: A 257/დ, A 492/ზ, A 836/დ, Q 1126/ბ და სხვ.

მელნის დაზიანებების ფართო სპექტრია მოცემული ფრაგმენტების ფონდისა და სვანური პალემფსესტების ფონდის ერთეულებზეც.

ადრეულ პერიოდში ქართველი გადამწერლები იყენებდნენ ყავისფერ მელანს. საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემადგენლობის მაღალხარისხოვან მელანს ამზადებდნენ და იყენებდნენ. VI-VII საუკუნის პალიმფსესტთა ნაწერის ქიმიური ანალიზით ი. ქუთათელაძემ ცხადყო, რომ იმხანად რკინის ფხვნილის მინარევით დამზადებული მელანი უხმარიათ **(ქუთათელაძე, 1949)**.

ქართულ ხელნაწერებში მელნის დამზადების წესებზე ადრინდელი რაიმე ცნობები ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, თუმცა ცნობილია გვიანდელი რეცეპტები ქართულ ხელნაწერებში: S 3730 (XVIII ვახტანგ VI-ის წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა"), H2157(XIXს.), H1103(XIXს.), Q 841(XXს.) **(გოგაშვილი)**.

S-269 ხელნაწერის ერთ მინაწერში მელნის სიავეზე ჩივილით ნათქვამია: „ვინცა ესე ჩემი ნაშრომი წიგნი ნახოთ, ღმერთს გულისათვის, ნუ დამწყევლით და ნუცა მაგინებთ, მის გულისათვს რომ ჯერ სხვაი მართებული წიგნი არაფერი დამიწერია, მერმე მართებული მელანი ვიშოვე. სადაც ურიგო ხელი ნახოთ, მელნის ბრალია, თუ არა მოსწავლე ვიყავ, მაგრამ უკეთესს ხელს ვიქმოდი, კარგი მელნით რატომ არ წერეო, თუ მიბრძანებთ, აჯასფი ვერ ვიშოვე და ამის გულისა კარგი არა იქნა და ნუ გამიწყრებით" (320v).

ადრეულ პერიოდში (X-XIIIსაუკუნეები) შესრულებული ხელნაწერთა ფრაგმენტები, რომელთა ნაწილი წარმოადგენს პალემფსესტებს, დაწერილია ღია და მუქი ყავისფერი მელნით. ჩვენი ანალიზიდან ჩანს, რომ პალიმფსესტებში გამოყენებული მელანი კარგად შეღწევადია საწერი

მასალის ფორებში, ღრმად არის ჩამჯდარი სტრუქტურაში, რასაც ვერ ვიტყვით, სავარაუდოდ, სხვადასხვა სახის მურისაგან დამზადებულ მელანზე. მურისგან დამზადებული მელანი რელიეფურად ჯდება საწერი მასალის ზედაპირზე. თუ საწერი მასალის ზედაპირი პრიალაა, მისი დამაგრება ზოგჯერ გაძნელებულია. სავარაუდოდ, ამის გამოა, რომ რიგ შემთხვევებში მელანი ჩამოცვენილია და ასოთა კონტურებიც არ შეინიშნება, თუმცა ამასაც აქვს დადებითი მხარე - მურისგან დამზადებული მელანი სინათლისა და სითბური ზემოქმედების შედეგად არ იცვლის ფერს.

საზედაო ასოების და დასაწყისების გამოსაყოფად და მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებულია სინგურის სხვადასხვა ტონალობა: ღია და მუქი წითელი, ჯოლოსფერი და მოყავისფრო. –იმ საღებავებს შორის, რომელთაც შუასაუკუნეების ხელნაწერი წიგნის ოსტატები ხმარობენ, განსაკუთრებული ადგილი სინგურს უკავია. წითელი საღებავი სამი ტონალობისაა. ეს არის ფორთოხლისფერი, შინდისფერი და სინგური ანუ ცეცხლისფერი, როგორც ეს სულხან-საბა ორბელიანს აქვს განმარტებული თავის ლექსიკონში **(ორბელიანი, 1949, 449)**.

თვით სინგურით ნაწერი ტექსტი, როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, განსაკუთრებული ბრწყინვალებით ხასიათდება. იგი განირჩევა ჩვეულებრივ წითელი მელნით ნაწერისაგან **(ჯავახიშვილი, 1949, 46)**.

ეტრატის შესწავლამ და მათზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ფრაგმენტების ნაწილი შესრულებულია კარგად დამუშავებულ ეტრატზე, მაგალითად, Fr158 (საუკუნე არ არის დადგენილი). ამ ფრაგმენტზე ლ. ქავჯაიას აქვს შენიშნვა მიწერილი, „ათონურ ხელწერას გავს. ხომ არ არის ქართველთა მონასტრიდან?" ტექსტი კი შესრულებულია განსხვავებული წვრილი ნუსხურით, საწერად გამოყენებულია ყავისფერი მელანი, საზედაო ასოები და დასაწყისები ნაწერია სინგურით და ტექსტისავე მელნით. ტექსტის მელანი, ძირითადად, ყველა ფურცელზე კარგ მდგომარეობაშია, კარგადაა შერწყმული ეტრატის სტრუქტურასთან და იკითხება, მხოლოდ ზოგან მელანი და სინგური უმნიშვნელოდაა გადაცრეცილი. მიუხედავად მრავალი ქარტეხილისა, ამ ფრაგმენტმა ჩვენამდე მოაღწია, შეიძლება ითქვას, დაუზიანებლად.

ფრაგმენტი Fr 92 (XI საუკუნე) ამოღებულია ხელნაწერის რესტავრაციის დროს ყდიდან. წებომ დააზიანა ეტრატის ზედაპირი და ხელნაწერის ტექსტის მელანი.

Q 132 ყდის რესტავრაციის დროს აღმოჩნდა ყდაში ჩაკრული. ამ ფრაგმენტის მელანი ასე უნდა დავახასიათოთ: ფურცლის ორივე მხარეს ტექსტი შესრულებულია ნუსხურით, შავი მელნით, საზედაო ასოები და დასაწყისები ნაწერია სინგურით და ტექსტისვე მელნით. თუ არ ჩავთვლით ეტრატის დაზიანებულ ადგილებს, შავი მელნის მდგომარეობა კარგია, ტექსტზე არ შეინიშნება მელნის ზედაპირის გადაცრეცვა და ჩამოცვენა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წებოს გამოყენებამ გაამაგრა მელნის ზედაპირიც. ეტრატის დაზიანებულ ადგილებზე ზოგან ტექსტი არ არის, ძალიან ძნელად ან საერთოდ არ იკითხება.

XI-XII სს-ის სვანური ხელნაწერი 3386 კ-68, პარაკლიტონი, დაცულია მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში. ტექსტი შესრულებულია ნუსხურად, ყავისფერი მელნით, საზედაო ასოები და სათაურები ნაწერია ყავისფერი მელნით და სინგურით. 1r-ზე ზოგან მელანი უმნიშვნელოდ გადაცრეცილია. სინგური და ტექსტის სხვა ადგილებზე მელანი კარგადაა ჩამჯდარი ეტრატის სტრუქტურაში, დაზიანებული და გადაცრეცილია ეტრატის დაზიანების ადგილების მიმდებარედ.

Fr 202, სადღესასწაულო. ამ ფრაგმენტს წარმოშობის საინტერესო ისტორია აქვს: შემომწირველია ნ.შონია, გალის რაიონის სოფელ წარჩედან. ფრაგმენტი ნ. შონიას წერილიდან: „1952-1953 წელს სოფ. წარჩეში დიტო შონიასთან ცხოვრობდა ბერი (ილორის ეკლესიის მსახური) იაკიმე შენგელაია, რომელიც ერთ დროს ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა (ეს მისი ეპიტაფიიდანაც ჩანს-ილორის ეკლესიის შესასვლელთან). ი. შენგელაიას მრავალი ხელნაწერი და წიგნები ჩამოუტანია ს. წარჩეში. სიკვდილის შემდეგ (1953წ.) მისი ბიბლიოთეკა დაიტაცეს, ზოგი დაწვეს კიდეც, მხოლოდ იმის გამო, რომ ის ბერი იყო. სინამდვილეში ის იყო განათლებული პიროვნება და ქართული კულტურისათვის თავდადებული. ი.შენგელაიას კოლექციიდან „ჩვენც მივიღეთ სამი ფურცელი ეტრატისა, რომელიც გადმოცემით კუთვნებია ლიხნის მონასტერს (აფხაზეთი). მეორე ხელნაწერი მაგარ ყდაში, იწოდება „საყვავილედ", რომელიც შეუდგენია მღვდელ ალექსი ბაქრაძეს 1906 წელს ათონის ივერთა მონასტერში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იაკინთე შენგელაიამ გარდა ზემოთ აღნიშნული ხელნაწერებისა სხვაც ჩამოიტანა ალბათ. პირველი გადავეცით ხელნაწერთა ინსტიტუტს, მეორე ჩვენთან ინახება- ნოდარ იასონის ძე შონია სოფ. ნარჩე, გალის რაიონი-06.10. 1969წელი".

ფრაგმენტის ტექსტი შესრულებულია ნუსხურით, ყავისფერი მელნით. საზედაო ასოები და დასაწყისები ნაწერია სინგურით. ტექსტის მელანი, ძირითადად, ყველა ფურცელზე კარგ მდგომარეობაშია, ტექსტის მელანი კარგადაა შერწყმული ეტრატის სტრუქტურასთან და იკითხება,

ფრაგმენტულ ხელნაწერებზე დაკვირვებამ და მათმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ საწერად გამოყენებული მელანი განსხვავებულია ფერით, მდგრადობით და ეტრატის ზედაპირის სტრუქტურასთან შერწყმით. ადრეული პერიოდში გამოყენებული იყო უფრო მეტად ღია ყავისფერი მელანი, რომელიც უფრო კარგადაა ჩამჯდარი ეტრატის ზედაპირის სტრუქტურაში. თუმცა აქაც შეინიშნება ტექსტის გაუფერულება. განსხვავებულია მუქი ყავისფერი მელნის და შავი მელნის მდგომარეობა. აქ შეიძლება შეგვხვდეს როგორც კარგად შემორჩენილი ტექსტები, ასევე ეტრატის ზედაპირიდან ატკეჩილი და მთლიანად ჩამოშლილი მელნის ფენა, რომლის ახსნაც მრავალგვარია. სავარაუდოდ, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ გარემო პირობებით, რომელშიც მოხვდა ხელნაწერი, მასალის მექანიკური ცვეთით, მიკოლოგიური და ენტომოლოგიური დაზიანებებით, ჭარბი ტენის გარემოში მოხვედრით, მელნის დამზადების ტექნოლოგიაში არსებული ან ეტრატის არასწორი დამუშავების გამო. მელნის დაზიანება,

მისი გაუფერულება და სრულიად გაქრობა ზოგ შემთხვევაში გამოწვეულია ეტრატზე მიკროორგანიზმების მოქმედების შედეგად: H1829(XII-XIII ს.), Q 4867/ბ(X ს), A493/გ(XII-XIII ს.), A765/ა(XI ს.) და სხვ.

რამდენიმე შემთხვევა და ისიც ძალიან მცირე ზომით იყო ეტრატის მელნის ჟანგვით გამოწვეული დაზიანება, ისიც მხოლოდ ცალკეული რამდენიმე ასოსი. Fr 91/დ (X ს), A 257/გ(XII-XIII ს), A1090/ბ(XIIIს.), Q 209(X/ს.). აღსანიშნავია, რომ ეტრატის ხელნაწერებში მელნით გამოწვეული დაზიანება, ქაღალდზე შესრულებული ხელნაწერებისაგან განსხვავებით, ვლინდება განსხვავებულად.

მელნის დაზიანება რიგ შემთხვევებში იყო გამოწვეული ეტრატის ზედაპირზე არსებული ლაქებით და მასალის სტუქტურის ცვლილებებით. ფრაგმენტებში საზედაო ასოების და დასაწყისების გამოსაყოფად გამოყენებულია წითელი ფერის საწერი საშუალება-სინგური. გვხვდება წითელი, მკვეთრი წითელი, ჟოლოსფერი, მოყავისფრო ტონალობის სინგური. ეს უკანასკნელი სავარაუდოდ გამოწვეულია გარე ფაქტორების და მინერალში შემავალი ელემენტების ურთიერთმოქმედების შედეგად. ფრაგმენტებში მოყავისფრო სინგურის ნიმუშებია: H1814/ბ, H1815/ბ, H 1803/ა, Q214 და სხვ.

ნატურალური სინგური მთის სინგურად იწოდება, იგი სხვადასხვა ელფერისაა – ღია წითელიდან მუქ წითლამდე. შედგება გოგირდისა და ვერცხლისწყლისაგან (HgS). ის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ვერცხლისწყლის მისაღებად. ხელოვნური სინგურის დამზადება დაიწყეს ალქიმიკოსებმა XIII საუკუნეში. შუა საუკუნეებში იცნობდნენ ხელოვნური სინგურის წარმოებას ჩინეთში. თუმცა სინგური, როგორც საღებავი, ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველეს დროში. სინგურის საბადოები საქართველოში ცნობილია აფხაზეთში (ახეის, ავადჰარის, ახახჩოს, აღურაფსთისა და ბითაგის საბადოები) **(ფოფხაძე, 2005)**, სვანეთში (ენგურის ზემოწელი), მთიან რაჭაში (კოდისძირ-ის, ტალახიანის, მამისონის, გომისა და სხვ. საბადოები), ჯავის მუნიციპალიტეტში (ერწოს საბადო, ყემულთის მადან გამოვლინება).

ჩვენ წარმოვადგენთ ფრაგმენტულ ხელნაწერებში დაცული ტექსტების დიპლომატურ-ინტერპრეტაციულ გამოცემას. ტექსტებში ჩარევა მინიმალურია: გახსნილია ქარაგმები, სადაც კი ეს შესაძლებელია; გამოყენებულია სასვენი ნიშნების თანამედროვე სისტემა; ტექსტებში გასწორებულია მხოლოდ მექანიკური შეცდომები, მაგრამ ეს უმთავრესად ადრეულ ტექსტებს ეხება. შემდგომი პერიოდების ტექსტებში იმდენად არის დარღვეული ენობრივი ნორმები, რომ შეცდომების გასწორება შეუძლებელია და არც არის მიზანშეწონილი. ადგილები, რომლებიც ფრაგმენტების მნიშვნელოვანი დაზიანების გამო არ იკითხება, შევსებულია წერტილებით.

Shorena Tavadze Nino Megeneishvili

FOR THE IMPORTANCE OF FRAGMENTARY MANUSCRIPTS

INTRODUCTION

The project "Codicological analysis of fragmentary manuscripts and structural research of material" was based on the codicological-textological and structural research of Georgian fragmentary manuscripts transcribed on the writing material of 1 to 5 folios preserved in the funds of Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, Svaneti Museum of History and Ethnography and the Department of Manuscripts of the University of Graz.

The research of fragmentary manuscripts was carried out in the following directions: an archeographic description of each unit was made, the fragments were grouped according to the current place of preservation and funds, chronological and thematic features, a codicological-textological and structural analysis of the fragments was performed in order to outline the meaning of each research unit. In order to identify the existing difficulties in the protection of manuscript antiquities transcribed on parchment writing material, to overcome them and to determine the optimal future conditions, the degree of damage of the fragments was determined, within the scope of the possibility, both early (existing before the inclusion of the units in the Antiquities Protection Centers) and later damages and their causing factors were distinguished, recommendations for the preventive conservation of fragmentary manuscripts were developed based on the stability analysis of the early restoration results fixed on individual fragments. Electronic database was created based on the codicological-textological and conservation works.

The project is a part of the research work, it is planned to conduct an interdisciplinary study of fragmentary manuscripts made on parchments and paper of more than five folios.

For the importance of the research of fragmentary manuscripts

New and complex field of manuscript studies, fragmentology, which studies origin, composition, migration, material and issues connected to it, direct relation with the manuscript and, generally, with the generating culture in combination, is one of the important fields of modern codicology.

It provides for the multidisciplinary study of manuscript fragments: archeographic description, textological-codicological research, revealing the peculiarities of the structure of the writing material (parchment, paper, ink) and diagnosing current changes, determining the conditions and modes of protection, creating a database and including the existing material in the international scientific circulation.

The chronological framework of the fragmentary manuscripts transcribed in the Georgian language is very broad. Their oldest samples are related to the beginnings of the Georgian writing tradition. The Georgian literary culture has been proven to start from the 5th century with "The Martyrdom of the Holy Queen Shushanik". It is the work that provides information that in the 5th century in Georgia there were already manuscripts containing the most important books of Christian teachings - the Bible, Psalms, Gospels, Paul's epistles and hagiographic works, which have not reached us in their complete form. The fact that the early manuscripts containing the complete texts of the Gospels and Psalms date by the 9th-10th centuries (Gospels of Adischi 897 y. Svan.- 478 (K 82); the first Gospel of Jruchi, 936-940 yy. H-1660; Psalm of Mtskheta, 10th c. A-38) does not give us a reason to consider the above mentioned "The Martyrdom of the Holy Queen Shushanik" as a later interpolation12. It is the early palimpsest fragments that represent not only the documentary confirmation of the information preserved in this hagiographic work, but also give us a much broader idea of the Georgian manuscript book repertoire of the V-VIII centuries. The texts of the Gospels, books of prophets, psalms, and liturgical collections are preserved on palimpsest fragments. The content analysis of the early palimpsest fragments gives the following picture: the fragments of the Gospels (H-999, A-89, A-844-1,3) and the Book of Isaiah (A-844-2) date by V-VI centuries, surviving texts of the Jerusalem lectionary (H-999-1) and the hagiographic collection (A-737-2) – date by VII-VIII centuries (Palimpsest, 2017). As we can see, fragmented manuscripts are of great importance in restoring the image of the origin and development of the Georgian literary culture, but the results of their research go beyond the framework of the importance of the national written culture, since the Georgian manuscript tradition is one of the branches of the Christian scribes of the Middle Ages. It develops in the conditions of close relations with the literary environment of historical Palestine and Byzantium and reflects the picture of the development of these written cultures over a long period (V-XIV cc.) starting from the peculiarities of processing and composition of writing materials (parchment, paper, ink) including the structuring-decoration of the writing and the editorial peculiarities of the texts. Accordingly, the research of Georgian fragmentary manuscripts acquires the function of a documentary illustration of the history of medieval Christian scribes. This is the reason why it attracts the attention of foreign researchers, which is evidenced by their high attention to such texts preserved outside the borders of Georgia. Today Georgian manuscript fragments are kept at foundations of National Library of Austria (Vien.Geo.2), Graz University Library (Graz.Geo,2058/1, Graz.Geo.2058/5, Graz.Geo.2058/A,B,C,D), National Library of France (Geo.30, Geo.31), Cambridze University Library (Georgian Ms.1/ Taylor-Scherter Ms.12,183; Georgian Ms.2/Taylor-Scherter Ms.12,741; Georgian Ms.3/Ms.add. 1890), Leipzig University (Cod.Ms. V. 1095, Cod.Ms. V 1096 UB),

[12] As it is known, the oldest text of these poems of the original Georgian hagiography is preserved in Parkhali Polycephalon manuscript A-95 dated by the 10th century..

Hill Museum and Manuscript Library (Schøyen Collection Ms. 1599) (ჩხიკვაძე, კარანაძე, კეკელია, შათირიშვილი 2018: 15, 21-22, 29, 37-38, 211-212).

In the research of Georgian fragmentary manuscripts, our project mainly relied on the units preserved in the funds of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts as this center is not only one of the great repositories of Georgian manuscript heritage, but also the most important scientific center for the codicological-tectological research of manuscripts and the conservation-restoration of written antiquities. Its scientific directions are based on a century and a half of experience in manuscript heritage protection-accounting and fundamental research. The center unites four funds of museums and societies (Former church museum - now A fund; Literacy Society- now S fund; Historical-ethnographic society- now H fund; Manuscripts department of the State Museum of Georgia, new collection Q fund) operating for the preservation and registration of manuscripts in the 19th-20th centuries, in which there are preserved up to 10,000 Georgian manuscripts13 dated by the 5th-20th centuries. From them 1300 are performed on parchment (300 pieces) and others (1000 each.) are copied fragmentary manuscripts. Their chronological framework covers the V-XVI centuries.

The fund of fragments is constantly updated, which is primarily facilitated by the ongoing codicological and source studies at the center. During the study of the covers of manuscript codices or the processing of personal archival funds of private individuals, fragments of manuscripts were found, including those copied on parchment. In 2010 during the processing of Al. Lomtatidze's personal archival fund, one folio written on parchment was found, which was dated to the 15th-16th centuries based on paleographic features. It should be noted that the fragments fund contains a manuscript (46 folios) written on paper that lacks its beginning and ending and is from the village of Mushkieri (Svaneti, Mulakhi community). Two folios of parchment copied by different hands are used as endpapers on the upper and lower wings of the cover. Presumably they represent fragments of different manuscripts. The headless manuscript written on paper is a prayer of the 16th century, and the approximate date of the parchment fragments affixed to the wings of the cover was determined as 11th-12th centuries (Fr -121, 16th century). Great importance is attached to the work of the restorer in increasing the number of fragmentary manuscripts and in separating and researching the fragments used as cover endpapers into separate units. It will be impossible to read endpapers released from the cover boards without cleaning the fragment used as an endpaper from old glues, in some cases, moisture stains and a layer of soot. Processing of manuscripts is carried out in compliance with the developed standards.

The increase in the number of fragmentary manuscripts made it necessary to create a separate fund for fragments (Fr), which currently contains 295 units, of which 45 fragmentary manuscripts were written on parchment.

[13] In addition to Georgian handwritten books, the center preserves handwritten books in different languages (Greek, Armenian, Arabic, Hebrew, Ottoman, Syriac, Latin, Ethiopian, French, German), Georgian and foreign language historical documents and archives of public figures.

In 1920, A. Shanidze brought 23 fragmentary manuscripts to Tbilisi from the scientific expedition organized by Tbilisi State University in Svaneti, which are currently kept in the National Center of Manuscripts in the collection of palimpsests of Svaneti (Svan). In the 60s of the 20th century, the description of the upper layer of palimpsests was prepared by T. Chankiev, and the lower layer was studied in 2017 by a group of scientists of Georgian National Centre of Manuscripts. (ოთხმეზური, 2019).

Issues related to fragment research. The study of fragmentary manuscripts will, first of all, make us think about the reasons for the origin of such entities. Thinking about this problem leads to issues about the number and significance of the manuscript fragments themselves and, more importantly, the collections containing them. Most of the fragments studied by us should have been part of a manuscript with spiritual content and liturgical purpose, which in itself implies that the collections transcribed on parchment in the Middle Ages belonged to the church-monastic space. In the presence of such an owner, the collection related to the study and assimilation of Christian doctrine and liturgical practice could be dismantled only if the text included in it did not respond editorially to the requirements of the church over time. It is widely known that the pre-Christian, Palestinian editorial collections were under such a blow. A study of the texts preserved on the lower layer of the palipsest folios made this quite clear. But in addition to the early (V-IX centuries) texts, on the lower layer of palimpsest folios and other types of fragmentary manuscripts, there are texts not only of the early Jerusalem redaction, but also of later times. But if the origin of the fragments of the pre-Constantinople period (V-X centuries) of our writing tradition can be explained by editorial irrelevance, what reason should have led to the disintegration of relatively later (XII-XVI centuries) manuscripts? (A-257ე, XIII-XIV cc., A-492გ, XVI c., H-2084ბ, XV c., Q-223, XV-XVI cc. etc.). One of the reasons for the existence of such fragments is related to the binding defects of the original manuscript, as well as its preservation conditions. The answer to this question becomes possible only on the basis of the structural analysis performed by the restorer.

One of the reasons for the existence of a large number of fragments should be found in the forced migration of manuscripts. It is possible that the main part of the manuscript is kept in one certain fund, and its fragmentary part - in a private or museum collection of another country.

As is known, manuscripts were kept either in churches-monasteries or in private libraries of private individuals. In both cases, during the enemy's invasion, the storehouses were the target of the invaders, therefore, during the "evacuation", they hid books along with other treasures in safe places, and it is also confirmed that the invaders either destroyed the treasure or took it away.

The first information about the export of Georgian treasures and manuscripts from Georgia can be found in "Kalmasoba" by Ioane Batonishvili, from which we learn that Temur Leng exported two cartloads of manuscripts from Georgia: "I have

heared from historians and travellers that Langtemur, who took Bible and other letters from Georgia to Turkestan, built a big house from mortared stone that had iron windows and door, and he put all the letters inside and put a curse on it that nobody could open it." (იოანე ბატონიშვილი, 1948).

During his first invasion in Georgia in 1616, Shah-Abbas looted churches and monasteries. Ecclesiastical treasures and unique manuscripts were brought to Persia, including the most precious gospels, which were richly decorated with precious stones, covered with gold and silver leaves.

During the regime of Tsar Russia, the looting of Georgian churches and monasteries reached an unprecedented scale. The famous Georgian historian Tedo Zhordania wrote that in 1882 Russian officers were sent to Mtskheta by the order of viceroy and took two carts with unique icons, wands, eye-pearls and books.

"These things are now all gone and cannot be found. It turns out that Rade sold it. Sabinin saw a diamond cross with a Georgian inscription in the Leipzig museum. He has also seen many things in the museums of Munich, Paris and Vienna, which were stored in the Tbilisi museum beforeGeorgian books are mostly sold in Switzerland, England, London and Paris. In the Royal Museum of Paris, he saw the old liturgy of St. James written in gold belonging to the Church of Nicosia" - wrote Tedo Jordania in 1884. (ჟორდანია).

Manuscripts flowed out of Georgia when Georgians emigrated, when they took their personal library along with other things. For example, this is how the manuscript collection belonging to Batonishvili's dynasty passed away. In such cases, the manuscripts were often damaged and some pages were lost.

One of the reasons for the fragmentation of a large number of manuscripts was the social environment, historical conditions, migration and improper storage conditions.

უფალო, ჰურიათა: რომლისა საქმისათჳს
გნებავს მოკლვაჲ ჩემი, ჰ ჰურიანო?
განრღუეულნი განვჰკურნენ და მკუდარნი,
ვითარცა ძილისაგან, აღვადგინენ, წიდოვანი
განვწმიდე, ქანანელი შევიწყალე, რომლისა
საქმისათჳს გნებავს მოკლვაჲ ჩემი, ჰ
ჰურიანო? არამედ იხილეთ, რომელსა უგუ
მირეთ ქრისტესა, ჰ უშჯულონო.
დიდებაჲ და იგივე.

2v / აწ და გიხაროდენ, ბჭეო განუღებელო,
გიხაროდენ!
და კუერექსი და ლოცვაჲ და ჳსამაღ
ლებელი და, უფალო, რომელმან ყოვლად
წმიდაჲ სული შენი.
ამის წილ ესე.

წარდგომაჲ. ჴმაჲ ბ˜ გუერდი


მხოლოჲ დაენერგა ძელი ჯუარისა შენისაჲ,
უფალო, და საფუძველნი შეიძრნეს სიკუდილისანი,
რამეთუ რომელნი შთანთქნა ჯოჯოხეთმან
სურვილით, განუტევნა იგინი ძრწოლით,
რომლითა გჳჩუენე ჩუენ მაცხოვარებაჲ შენი,
წმიდაო, და დიდების-გმეტყუელებთ შენ, ძეო
ღმრთისაო, შეგჳწყალენ ჩუენ!

მუჳლი. განჳურიტნეს და დიდების-გმეტ
ყუელებთ. მუჳლი. მათ მიხილეს მე

და დიდების-გმეტყუ. …
დიდებაჲ აწ და.
ღმრთისმშობელო ქალწულო, მეოხ-გუეყავ.
წარდგომაჲ. ჴმაჲ დ˜ გუერდი.
რამეთუ მე გუემად განმზადებულ ვ.
დასდებელი. უფალო, ნუ გულისწყრომი…
წინაწარმეტყუელებაჲ ესაიასი, საკი[თ]ხავი.

A 492 ბ

რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22,5x20



Content:	Four Gospels
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	22,5x20

ტექსტი

მათეს სახარება 21, 39-46; 22, 1-11

1r

და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე ვენაჯისა მის და მოკლეს. რაჟამს უკუჱ მოვიდეს უფალი სავენაჯისაჴ მის, რაჲ-მე უყოს ქუეყანისმოქმედთა მათ. ჰრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიდნეს და ვენაჯი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის-მოქმედთა, რომელთა მოსცენ მას ნაყოფი ჟამსა თჳსსა.

ჰრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხავსა წიგნთა შინა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

ამისთჳს გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: მიგ(მეორე სვეტი)ეღოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა.

და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი. და ესმნეს რაჲ მღდელთმოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავნი ესე მისნი, ცნეს, რამეთუ მათთჳს თქუნა.

და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა მათ იგი.

და მერმე მიუგო მათ იესუ იგავით და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეუფესა, რომელმან-ყო ქორწილი ძისა თჳსისაჲ. და წარავლინნა მონანი თჳ(1v)სნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ:

აჰა ესერა პური ჩემი მზა მიყოფიეს, ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას, ხოლო მათ უდებ-ყვეს და წარ-

ვიდეს, რომელიმე თჳსსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თჳსსა, ხოლო სხუათა შეიპყრეს მონანი იგი მისნი, აგინეს და მოსწყჳდნეს.

ხოლო მეუფე იგი განრისხნა, ესმა რაჲ ესე, და მია(მეორე სვეტი)ვლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის მკლველნი იგი და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლითა. მაშინ ჰრქუა მონათა თჳსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვნეს. წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას.

და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რაოდენი პოვეს ბოროტი და კეთილი. და აღივსო ქორწილი იგი მეინაჴითა.

ხოლო შე-რაჲ-ვიდა მეუფე იგი ხილვად მეინაჴეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი ...

მათეს სახარება 24, 44-51; 25, 1

2r

...დებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს.

ვინმე არს სარწმუნოჲ იგი მონაჲ და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თჳსმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თჳსსა.

ნეტარ არს მონისა მის, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი. ამინ გეტყჳ თქუენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.

ხოლო უკუეთუ თქუას ბოროტმან მონამან მან გულსა თჳსსა: ჰყოვნის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუჱმად მისთანათა მათ მონათა და ჭამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა, მო(მეორე სვეტი)ვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის და ჟამსა, რომელი არა უწყოდის და ორგან განკუჱთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა.

ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი და ხუთნი – სულელნი. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა ზეთი, (2v) ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა.

და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს. ხოლო შუაღამეს ოდენ ღაღადებაჲ იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა.

მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი, ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან.


მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუჱ ვე(მეორე სვეტი)რ კმა-გუჱყოს ჩუენ და თქუენ, არამედ უფროჲსღა წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა.

და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განმზადებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეჴშა კარი.

შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგჳღე ჩუენ! ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: არა გიცნი თქუენ. იღჳძებდით უკუჱ, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოვიდეს.

ვითარცა იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესის მონა...

A 492 გ



რაობა:	სვინაქსარი
თარიღი:	XVI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22x14,2
Content:	Synaxarion
Date:	XVI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	22x14,2

ტექსტი

1r

წმიდა ბარბარას წამება

ყოველნი არა უგულებელს-ჰყვნი.

ხოლო მე, უძლური ესე და გლახაკი, გესავ შენ და გევედრები, ღმერთო ჩემო, რომელმან გარდაართხენ ცანი და დაამყარე ქუეყანაჲ წყალთა ზედა და დაჰბადენ მთანი და ბორცუნი და აღასრულე ესე ყოველნი სიტყჳთა შენითა ჭეშმარიტითა. ეგრეთვე შენ, უფალო, მჴსნელო ჩუენო და განმაძლიერებელო ჩემო და ღმერთო ჩემო, შენ მეცნიერ ხარ, რაჲ გნებავს ყოფად ჩემდა მომართ? უღმრთოჲთა ამათ და უსჯულოჲთა, რომელთა არა გიცან შენ, რომელი დამბადებელი ყოველთა და შემოქმედი, რამეთუ დაბრმობილ არიან თუალნი მათნი და განფიცხებულ არიან გულნი მათნი, რაჲთა არა გიცნან, რამეთუ შეცთომილ არიან გზათა შენთა ჭეშმარიტთა და შედგომილ არიან მამისაჲ მათისა (მეორე სვეტი) ეშმაკისა და განიზრახვენ მორწმუნეთა შენთა ზედა განზრახვათა ბოროტთაჲ.

არამედ შენ განაქარვე განზრახვა მათი, ვითარცა განაქარვე განზრახვაჲ აქიტოფელისაჲ და ნუ მისცემ მათ ძლევასა ჩემ ზედა, უფალო, არამედ წარწყმიდენ იგინი, ვითარცა წარსწყმიდენ ყოველნი წინააღmდგომნი ნებისა შენისანი და შენ, უფალო, შემეწიე მე დღესა ამას, სადა იგი მიწაჲ-ყავ.

რანეთუ არა ვიცი, რაჲ სიტყუაჲ უგო მათ, არამედ მოსავ არს სული ჩემი სიტყჳთა მათ სახარებისათა, რომელ სთქუ შენ მათ შინა, ვითარმედ რაჟამს წარგადგინენ თქუენ წინაშე მეფეთა და მსაჯულთა სახელისა ჩემისათჳს საწამებელად თქუენდა. ნუ წინასწარ განიზრახავთ, რაჲ მიუგოთ მათ, რამეთუ არა თქუენ ხართ მეტყუ֍ლნი, არამედ სული მამისაჲ თქუენისა, რომელი იტყჳს თქუენთჳს და იგი არს მომცემელი ძუელისა და სიტყჳსაჲ, ხოლო (1v) მე მხიარულ ვარ აღთქმათა შენთა ზედა, არამედ მოყავ ყური შენი ვედრებათაჲ ჩემთა მომართ და ნუ მარცხუ֍ნ ჟამსა მას წამებისა ჩემისასა.

და ვითრცა წარდგა წმიდაჲ ბარბარა წინაშე მსაჯულისა უსჯულოჲსაჲ, განუკჳრდა მას შუ֍ნიერებაჲ იგი მისი და ხატი პირისა მისისა, მიუგო და ჰქუა: „დედოფალო ჩემო, შეჰგავს ხატისა ამის შენისა შუ֍ნიერებასა მორჩილებაჲ მეფეთა, არამედ დაემორჩილე განზრახვასა ჩემსა, რომელსა მე გიბრძანებ შენ. მინებს შენგან, რაჲთა შესწირო შესაწირავი ღმერთთა მიმართ და უზოროჲ მიმართ, რომელ შეგიწყალონ შენ, რამეთუ არავინ არს კაცთაგანი, რომელიმცა შეიწევდა მათ და

არამცა შეიწევნეს იგინი. აწ დამემორჩილე მე, რაჲთა წარვიდეთ მე და შენ და თაყუანის-ვცეთ მათ.

(მეორე სვეტი) მიუგო წმიდამან ბარბარა და ჰრქუა მათ: „არა გარცხუ⳩ნანა? ჰ, უღთოო და მემრუშევო და მეძავო, რამეთუ მე სჯულსა ზედა ქრისტესსა ვარ, ხოლო პირნი შენნი, ვითარცა წინასწარმეტყველსა დავით და თქუა: „პირ-ათქუს და არა იტყჳან, თუალ-ასხენ და არა ესმის, ჴელ-ასხენ და არა იქმან, ფერჴ-ასხენ და არა ვლენან. ემსგავსნენ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვიდნენ მათ. ესე არიან პირნი თქუენნი„.

ვითარცა ესმაჲ ესე უღმრთოჲსა მას სიტყუაჲ მისი, იცვალა ფერი პირისა მისისა და უბრძანა გულისწყრომითა დიდითა ოთხთა განრთხმაჲ მისი, დაცემაჲ შოლტთა ზროხისაჲთა და ვითარცა სცემდეს წმიდასა ბარბარას, წარსდიოდა სისხლი მისი ქუეყანასა ზედა.

და ბრძანაჲ მოღებად უროჲ რკინისაჲ და ცე

2r

წმიდა მარინას წამება

რომელთა გრწამს სახელი უფლისაჲ ჩუენისა, იესუ ქრისტესი, თუ ვითარ აღესრულაჲ წმიდაჲ ესე ქალწული. ესე ნეტარი მარინა იყო ვისიმე ემესიოჲსი სახელით იყო მამაჲ მისი მღდელი ეშმაკთაჲ. ერთი მხოლოდშობილი ესუა მას ასული და ვითარცა იშვა, მისცეს იგი მზარდულსა სწავლად ათხუთმეტსა მილიონსა ქალაქისაგან ანტიოქიაჲსა.

ხოლო განიზრახა სახელსა მზარდულისა თჳსისსა და იყოფვოდა შემდგომად აღსრულებისა დედისა წმიდისა წმიდისა მარინასა უფროჲსი პატივი აქუნდა მზარდულისა თჳსისაგან, ვითარცა ქრისტიანე იყო, ხოლო მამასა მისსა სძულდა, რამეთუ იყო იგი მისათხუველ ჭეშმარიტისა ზეცათა მეფისაჲ და უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესა.


და ვითარ იქმნა იგი ათხუთმეტისა წლის, წარემატებოდა მადლით ქრისტესითა, ესმა მას ღუაწლი (მეორე სვეტი) წმიდათა მოწამეთა, რამეთუ მრავალი ბრძოლაჲ დაითმინეს მათ დღთა შინა უფლისაჲ ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს, ილოცჳდა და თქუაჲ: „უფალო, კაცმოყუარეო, შენ უწყი ერთობაჲ კაცთა, შეგივრდები, განმაძლიერე მე წინააღდგომისა მიმართ, რაჲთა ვსძლო მას და დავთრგუნო და დიდებასა შევსწირვიდე შენდა უკუნითი უკუნისამდე".

მათ დღეთა შინა წარმოვიდა ლომბრიოზ მთავარი. მოვიდა ასიათ ანტიოქიაჲდ, ჭირად და ტანჯვად რაოდენთა ჰპოებდა ქრისტიანეთაჲ. ხოლო წმიდაჲ მარინა იქცეოდა სამწყსოთაჲ თანა დიდისა მეუფისაჲთა სხუათა თანა ქველთა და ემსგავსებოდა დედასა ნეტარისა იოსებისსა. რაქაელის დასა თანა წარვიდოდა უშვილოჲ ლორბიოს კერპთმსახური და იხილაჲ ნეტარი ქალწული შუ⳩ნიერი ფრიად და ბრძანაჲ და ჰრქუა, უკუეთუ აზნაური არს, ეპყრაჲ იგი ცოლად ჩემდა და უკეთუ მჴევალი არს, მივსცე (2v) სასყიდელი მისი და იყოს იგი ხარჭად ჩემდა. და ვითარცა შეიპყრეს, იწყო ახალმან სძალმან ქრისტესმიერმან სიტყვად, ილოცვიდა და იტყოდა: „მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე, და ნუ წარსწყმედ უსჯულოჲთა თანა სულსა ჩემსა და კაცთა მოსისხლეთა თანაცხორებასა ჩემსა და განმაგდებ მე, უფალო იესო ქრისტე, და ნუ დაუტეობ სულსა ჩემსა შეგინებად და ნუმცა დაითრგუნვის სარწმუნოებაჲ ჩემი და ნუმცა შეიბღალებიან სასმენელნი ჩემნი და ნუმცა იცვალების გულისჴმისყოფა ჩემნი და ნუ შთააგდებ სარწმუნოებასა ჩემსა თიჴასა და უყუსა და ნუმცა შეიძრვიან ფერჴნი ჩემნი მხარისაგან კეთილისმოძულისა ეშმაკისა.

არამედ მოავლინე მაღლით წმიდით შენით შენი სიბრძნე აღებასა პირისა ჩემისასა, რაჲთა განვმტკიცდე (მეორე სვეტი) მე ძალითა შენითა, რაჲთა უშიშ ვიყო და მივსცე სიტყუაჲ, რომელსა მკითხვიდეს უღირსი მძლავრი, რამეთუ ესერაჲ ვხედავ თავსა ჩემსა, ვითარცა ცხოვარსა შორის მჴეცთა და ვითარცა შეწყდომილსა მახესა და ვითარცა თევზსა - ბადესა შინა. მოვედ, უფალო იესო ქრისტე, და მიჴსენ მე, რამეთუ შუეჱნის შენდა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

და მიუთხრეს მჴედართა მათ ესე ყოველი მთავარსა მას და ჰრქუეს: ჩუენ ვერშემძლებელ ვართ ცვად მისსა, რამეთუ არა არს იგი ჩუენისა ნათესავისა, არამედ ძლიერსა ღმერთსა იესუ ქრისტესა ჰხადის, რომელი ჰურიათა მიერ ჯუარს -ეცუა. ხოლო მთავარსა რაჲ ესმა ესე შეძრწუნდა და ბრძანაჲ დადებაჲ საჭურველისა და წარმოდგინებაჲ მისი და ჰრქუა მას: „მითხარ მე, აწ რომლისა ნათესავისა ხარ?" ხოლო მან ჰრქუაჲ მას: „მე..."

A 492 დ



რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XIV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	21x16
Content:	Four Gospels
Date:	XIV c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	21x 16

ტექსტი

1r / რომელმან მოსწყჳდენ წინაჲსწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა, რაოდენგზის მინდა შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ მფრინველმან თჳსნი მართუჱნი ფრთეთა ქუჱშე და არა ინებეთ.

აჰა ესერა, დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი ოჴრად. გეტყჳ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

და იყო, მო-რაჲ-ვიდა იესუ სახლსა ვისსამე მთავრისა ფარისეველისასა დღესა შაბათსა ჭამად პურისა, და იგინი უმზირდეს მას.

და, აჰა ესერა, იყო კაცი ვინმე წყლითმანკიერი წინაშე მისსა. მიუგო იესუ და ჰრქუა სჯულისმოძღუართა მათ და ფარისეველთა: უკუჱთუ ჯერ-არს შაბათსა განკურნებაჲ?

ხოლო იგინი დუმნეს.

და მოიყვანა კაცი იგი, განკურნა, განუტევა და ჰრქუა მათ: ვისი თქუენგანისაჲ შვილი გინა ჴარი შთავარდეს ჯურღმულსა, არა მეყსეულად აღმოიქუას იგი დღესა შაბათსა?

და ვერარაჲ მიუგეს მას ამისთჳს.

და ეტყოდა ჩინებულთა მათ იგავსა და შეასწავებდა, ვითარ-იგი ზემოჯდომასა ირჩევდეს და ეტყოდა მათ: რაჟამს გხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები პირ-

ველსა საინაჴესა, ნუუკუ̃ უპატიოსნეს შენსა იყოს ჩინებული მისგან; და მოვიდეს, რომელმან-იგი შენ და მას გხადა და გრქუას შენ: ადგილ-ეც ამას!

მაშინ იწყო სირცხჳლით უკუანაჲსკნელსა ადგილსა დაპყრობად, არამედ ოდეს გხადოს ვინმე, მივედ და დაჯედ უკუანაჲსკნელსა ადგილსა,

1v რაჲთა მოვიდეს, რომელმან- /იგი გხადა შენ და გრქუას: მეგობარო, აღმოგუალე ზემოკერძო! მაშინ იყოს შენდა დიდებაჲ წინაშე ყოველთა მეინაჴეთა შენთა.

რამეთუ ყოველმან, რომელმან აღ[ი]მაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს.

ეტყოდა მასცა, რომელმან-იგი ხადა მას: ოდეს ჰყოფდე სამხარსა, გინა სერსა, ნუ ხდი მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა მდიდართა, ნუუკუ̃ მათცა კუალად გხადონ შენ და გექმნეს შენ მოსაგებელ.

არამედ ოდეს ჰყოფდე შენ სამხარსა, ხადე გლახაკთა, უმეცართა, მკელობელთა და ბრმათა და ნეტარ იყო, რამეთუ არარაჲ აქუს, რაჲმცა მოგაგეს შენ და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა.

ესმა ვისმე მის თანამეინაჴესა ესე და ჰრქუა მას: ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა.

ხოლო თავადმან მან ჰრქუა მას: კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა. და წარავლინა მონაჲ თჳსი ჟამსა პურისასა, რაჲთა ჰრქუას ჩინებულთა მათ მოსლვად, რამეთუ: აჰა ესერა, პური ჩემი, მზა არს ყოველი.

და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰქრუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმიტევე, ჯმნულმცა ვარ შენგან. და სხუამან ჰრქუა: უღლეული ჴართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათთა. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ.

და სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ ჴელ-მეწიფების მოსლვად.

და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა ესე უფალსა თჳსსა.

2r / მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონასა მას თჳსსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოხადე აქა.

და თქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანებაჲ შენი და ადგილი არსღა.

და ჰრქუა უფალმან მან მონასა მას: განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე შემოსლვად, რაჲთა აღივსოს სახლი ჩემი.

ხოლო გეტყჳ თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემოჲ იხილოს სერობისა ამის ჩემისაჲ, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი - რჩეულ.

და შეკრბებოდა მისსა ერი მრავალი, მიექცა და ჰრქუა მათ: რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფეყოფად ჩემდა.

და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფეყოფად ჩემდა. ვის-მე უკუე თქუენგანსა უნდეს გოდოლი შენებად, არა-მე-ა პირველად დაჯდეს და აღირაცხოს, რაოდენი წარაგოს?

უკუ̃თუ აქუს, რაჲთა კმა-ეყოს მას აღსრულებადმდე.

ნუუკუ̃ დადვას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად მისსა. და ყოველნი, რომელნი ხედვიდენ მას, იწყონ კიცხევად მისსა და თქუან, ვითარმედ: კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ შეუძლო აღსრულებად. ანუ რომელი მეფე მივალნ სხჳსა მეფისა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჯდის და განიზრახის, უკუ̃თუ

2v შემძლებელ არს ათითა / ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალსა მის ზედა. უკუჱთუ არა, ვიდრე შორსღა არნ, მოციქული მიუვლინის და მოიკითხის იგი მშჯდობით.

ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან, რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თჳსისა, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფეყოფად ჩემდა.

კეთილ არს მარილი, უკუჱთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა დაიმარილოს? არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე განდვან იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისსა და ისმენდეს მისსა და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს.

და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა: ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვის, ვიდრემდე პოოს იგი? და პოოს რაჲ, დაისუას იგი მჴართა თჳსთა ზედა სიხარულით. და მო-რაჲვიდეს იგი სახიდ თჳსსა, მოუწოდოს მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული.

გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა არა ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უჴმს სინანული; გინა დედაკაცსა, რომელსა

A 492 ე*


რაობა:	იოანე ოქროპირი, იოანეს თავის თარგმანება
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	3 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	31x22,5

Content:	John Chrysostom, Commentary on the Gospel of John
Date:	XI c.
Number of folia:	3 folios
Script:	Nuskhuri
Size:	31x22,5

A 492 ვ

რაობა:	იოანე ოქროპირი, მათეს თავის თარგმანება
თარიღი:	XI- XII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	32,5x23

Content:	John Chrysostom, Commentaries on the Gospel of Matthew
Date:	XI- XII cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	32,5x23



* შენიშვნა: A-492ე შეუერთდა A-765.

ტექსტი

1r */[45] … … … თლი

… … … ა განმცემელ … … … ლ ექმნნით. [დ]ა აწ სიტყუათა მათ საწინაჲსწარმეტყუელოთა ბირებითა მამისა თქუენისა ეშმაკისაჲთა გარდააქცევთ და ალაგთა უფლისათა წრფელთა გულარძნილებითა თქუენითა ღირღლოან-ჰყოფთ.

აღმოიკითხეთ, უკეთურნო, ზემოჲთრე სიტყუაჲ წინაჲსწარმეტყუელისაჲ და აღიხილენით, ბრმანო, თუალნი თქუენნი, რასა იტყჳს ესაია.

და შესძინა უფალმან სიტყუად აქაზისა და ჰრქუა … … …

… … აჲ

თგ … დი

სასწაული და უცხოჲ აღუთქუა ჩუენებად. უკუეთუ არა ქალწულისა უქორწინებელისა მოასწავებს უთესლოდ მუცლადღებასა და უხრწნელად შობასა, ვითარ-ეგე თქუენ წარჰ … ევთ, რაჲ სასწაული არს, ანუ რაჲ საკჳრველი ქალწულისა ქორწინებაჲ და შეერთებითა მამაკაცისათა მიდგომილებაჲ, რაჲთამცა ესე სასწაულად უცხოდ და განსაკჳრვებელად შემოიღო წინაჲსწარმეტყუელმან. არამედ წინაჲსწარმეტყ … … … … … …

1v / [46]… … …

… … …

სახ … … … … … … ვდ

ღმერთი, მოსრული ჩუენდა მომართ, ვითარცა მცირედ ქუემორე იტყჳს განცხადებულადრე. და ვითარმცა მუნ მდგომარე იყო სულითა მით წინაჲსწარმეტყუელებისაჲთა, ყრმაჲ იშვა ჩუენდა და ძედ მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავრობაჲ ზედა მჳართა მისთა და ჰრქჳან[47] მას სახელი დიდისა ზრახვისა ანგელოზ საკჳრველი თანამზრახვალი, ღმერთი ძლიერი, ჴელმწიფე მთავარი, მშჳდობისაჲ მამაჲ მერმეთა მათ საუკუნეთაჲ … … … … … …

… … …

ესმა სიტ … … …

და იჭჳ იგი ბო … … …

და მეყსეულად ყოველივე ორგულებისა გულისსიტყუაჲ აღმოიგდო გულისაგან თჳსისა და წარიყვანა ო.

ესე იგი არს, თუ მიითუალა გონებითა ყოფად ქალწულისა სახლსა შინა მისსა, რამეთუ არაჲ თუ სხუაჲ რაჲმე იყო, ანუ განსრულ იყო სახლით, რომელ იტყჳს, თუ წარიყვანა, არამედ გონებისა მისისა იტყჳს ზრახვასა, რამეთუ პირველ ჩუენებისა განეზრახა განტევებაჲ მისი და განვლინებაჲ სახლისა.

2r /[48] … … …

ხოლო ესმა რაჲ სი[ტყ]უაჲ ანგელოზისაჲ და გულსავსე იქმნა, დაამტკიცა გონებასა თჳსსა მსახურებად ესრეთ საკჳრველისა მის ქალწულისა.

რამეთუ ცნა, ვითარმედ ესე არს ქალწული იგი, რომლისათჳს მარადის აღმო-

* **შენიშვნა**: ფრაგმენტის მესამე ფურცელი ადრე შეუერთდა A 765 ა-ს, როგორც მისი ნაწილი - ექვთიმე მთაწმიდლის რედაქცია.

[45] ფურცლის ზემო ნაწილი მოხეულია.

[46] 1v-ს ზემო ნაწილი მოხეულია.

[47] ჰქჳან.

[48] აქედან სხვა ხელია, ტექსტიც არ გადადის.

იკითხვიდა წინაჲსწარმეტყუელთა მიერ ქადაგებულსა, ვითარმედ: აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემმანოელ.

და კუალად იტყჳს: აღმოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესისა და ყუავილი ძირისაგან მისისა აღმოსცენდეს.

გულისჴმა-ყო, ვითარმედ: ესე არს ბჭე იგი, რომელსა მოასწავებდა ეზეკიელ და იტყოდა:

ვიხილე ბჭე იგი, რომელი იყო აღმოსავალით და იგი იყო დაჴშულ, და მრქუა მე უფალმან: ბჭე ესე დაჴშულ იყოს და არა განეღოს და არცა განვიდეს ვინ მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ შევიდეს და იყოს დაჴშულ.

გულისჴმა-ყო, ვითარმედ: ესე არს, რომლისათჳს იტყოდა დავით: წმიდა-ყო საყოფელი მ … ლმან, ღმერთი მის[49] … … …

არა იძრას უკუნისამდჱ … … …

რს, რომელსა მანვე … … …

სიწმიდისად სახ … … …

გულისჴმა-ყო, ვითარმედ: ესე … … …

იაკობ კიბედ იხილა ზ[ე] … … …

აღწევნულად და … … …

ვითარმედ საშინე … … …

ესე გ … … …

არს რ … … …

შეუ … … …

რ … … …

… … …

იწ … … … … … … სე არს, რომელსა

სოლომონ ცხედრად მეუფისა და წყაროდ დაბეჭდულად სახელ-სდვა.

გულისჴმა-ყო იოსებ ყოველი იგი ქადაგებული წინაჲსწარმეტყუელთაჲ, რამეთუ განიღჳძა ძილისა მისგან უმეცრებისა და განაგდო საბურველი იგი, რომელი ძეს გულსა ზედა ჰურიათასა, და მიითუალა გონებითა მსახურებაჲ ქალწულისაჲ მის და წარიყვანა ცოლი თჳსი.

იხილვა ესეცა, ვითარ პირველშობისა ზედაჲსზედა ცოლად მისა სახელ-სდებს, რამეთუ ვითარცა იგი მაშინ განგებულებით ცოლად მის … … …

2v /[50] … … … ნებელ იყო ზემოთ … … …

… … … ლთა მათ მლე

… … … ვე მახარებე … … …

… … … უასა თჳსსა შე … … …

… … … ბს სიტყჳთ იტყჳს

… … … ლსა ცოლებისასა

… … … ა მაშინ საგონებელ იყო

… … … მით გამოაჩინე

… … … ს საქმისა

… … …

სახარებაჲ

[49] მოხეულია.

[50] ფურცლის ზემოთ მარცხენა მხარე ჩამოხეულია.

… … … ვიდრემდე
… … … ოჲ და
… … … ნი
… … … ო


ლად აღ … უშჯულონი ჰურიანი და მათისა მის სიბოროტისა მისგავსებულნი მწვალებელნი ვინმე უცხონი შვილთაგან ეკლესიისათა და ცუდად-მეტყუელებენ და ამას ზრახვენ, თუ შემდგომად საკჳრველისა მის შობისა კუალად მოასწავებსო სახარებაჲ შობასა ქალწულისასა შჯულითა მით ქორწინებისაჲთა. და ამას სიტყუასა შემწედ თჳსისა უგუნურებისა მოიღებენ, ვითარმედ არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე თჳსი პირმშოჲ.

ხოლო ჩუენდა ვითარმედ ჰრომ … საჴმარ იყო. ამისთჳს … ესეოდენ იყო საძიებე[ლ], რომელ მახარებელმანცა გამოაჩინა, ვითარმედ უთესლოდ შვა და ქალწულადვე ეგო და შემდგომი ამისი.

ცხად არს ყოვლისავე კაცისა მიერ გულისჴმისსაყოფელად, ვითარმედ შეუძლებელ იყო ქალწული იგი ესევითარისა მის უცხოჲსა მიდგომილებისა და საკჳრველისა შობისა ღირსქმნული შემდგომად შობისა მის წესსა მას ქორწინებისასა მონებისად, ანუ იოსებისა კადრებად შეხებად მისა.

არამედ რაჲთა განჩინებულადცა პირი დაუყოთ პირთა მათ უღობავთა და გულთა მწჳრისსახეთა, ესრეთ ვიტყჳთ: ნუ იყოფინ ესე, უშჯულონო, ნუ იყოფინ! უბიწოდ ეგო მარადის და შეუხებელად, საუნჯე იგი ქალწულებისაჲ არა განელო ყოვლადვე ტაძარი იგი ღმრთისაჲ, რომლისათჳს ჰრქუა უფალმან ეზეკიელს: ბჭე ესე დაჴშულ იყოს და არა განელოს და არცა განვიდეს.

A 492 ზ



რაობა:	სწავლანი
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	23,2x17,3
Content:	Teachings
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	23,2x17,3

ტექსტი

სწავლანი მარხვისათჳს

1r

ეცინოდე ეშმაკსა მას, რომელი შემდგომად სერობისა
გეტყოდის, რამცა ჰყავ აღთქუმაჲ ხვალისა
მარხვისათჳს, რამეთუ მოიწიის რაჲ მეცხრე ხვ
ალისა მისა, უვარ-ყვის აღთქუმათა გულისა.
სხუაჲ არს მარხვაჲ იგი მათი, რომელნი არა შთავრდ
ომილ იყვნენ დაცემასა და სხუაჲ არს მათი, რომელნი

შთავრდომილ იყვნენ დაცემათა, რამეთუ პირველთა
მათ ჴორცთა აღძრვისა მოკუდინებაჲ აქუს
სასწაულად, ხოლო მეორენი ვიდრე სიკუდილად და აღსას
რულამდე დაუგებელ და უნუგეშინისცემულ არი
ან ჴორცთა მათთა და მუცლისა მიმართ.
პირველთა მათ უჴმს, რაჲთა მარადის შეზავებულებაჲ ბუ
ნებისა მათისაჲ უვნებელად დაიცვან, ხოლო მეორენი
იგი მჭუნვარებითა სულისაჲთა და განლევითა ჴო
რცთაჲთა მოწყალე-ჰყოფენ ღმერთსა მათსა.
ჟამი ნუგენისცემისაჲ და სიხარულისა სრულთა
თჳს არს ჟამი უზრუნველობისაჲ ყოველსავე შინა,
ხოლო მოღუაწეთათჳს სიხარულ არს ჟამი ბრძო
ლისა და ძლევისა მტერთაჲსა, ხოლო ვნებულისათჳს
ჟამი სიხარულისაჲ არს დღსასწაულის დღე
სასწაულთაჲ და კრებაჲ კრებათაჲ.
სიზმარნი და ჴსენებანი ჭამადთა და სანუაგეთანი
გულსა შინა ნაყრუანთასა, ხოლო სიზმარნი დაიჴსნენით
და საშჯელთა და სატანჯუელთა საუკუნეთანი
გულსა შინა მგლოიარეთასა.
ეუფლე მუცელსა, ვიდრე … [უფლებულსა].


1v

და მაშინ იმარხვიდე სიხარულითა.
იციან თქუმული ესე, რომელნი-იგი გამოუთქუმელსა მას
მთხრებლსა სიძვისასა შთაძრომილ არიან, ხოლო
კაცნი საჭურისნი გამოუცდელ არიან ამას.
აღჳრ-ვასხნეთ მუცელსა ჩუენსა ჴსენებითა ცეცხლი
ს ამის საუკუნოჲსაჲთა, რამეთუ მრავალნი მორჩილ
იქმნეს მუცლისა თჳსისა და უკუანაჲსკნელ ას
ონიცა მათნი მოიკუეთნეს და ორკერძოჲთავე
სიკუდილითა მოკუდეს.
გამოვიძიოთ და გულისჴმა-ვყოთ და ვპოოთ უე
ჭუელად, ვითარმედ ჩუენ შორის დანთქმანი იგი ბოროტნი ამას ოდენ უქმნიეს.
გონებაჲ მმარხველისაჲ ჰლოცავნ ფრთხილად, ხოლო გო
ნებაჲ ნაყროვნისაჲ სავსე არს კერპებითა არა …იდებ …
სიმაძღრემან მუცლისამან განაჴმნის ცრემლნი თუ
ალთანი, ხოლო მოყმობამან მუცლისამან გამოადინნის წყარონი ცრემლითა,
რომელი განუსუენებდეს მუცელსა თჳსსა და ჰგო
ნებდეს, ვითარმედ მძლე ექმნას ეშმაკსა სიძვისასა, მს
გავს არს იგი კაცსა, რომელი შრეტნ ზეთითა ცეცხლსა.
რამეთუ რაჟამს შეიწრდის მუცელი, დამდაბლდის გული, ხოლო განი
სუჩნებნ რაჲ იგი, მაღლოინ გონებაჲ
და განაბნინიან გულის სიტყუანი.
 განიკითხე თავი შენი, ძმაო, განთიად, შუადღე და მ
წუხრა და უწინარეს საზრდელისა მიღებისა

და თჯთ გულისჴმა-ჰყო სარგებელი მარხვისაჲ.
განთიად შფოთებდიან და განიბნეოდიან
გულისსიტყუანი, ხოლო შუვადღე რაჲ იქმნის მცირედ
2r
დინებისაგან, ხოლო სრული საზომი სიწმიდისაჲ არს
მოკუდინებაჲ ჴორცთაჲ პირველვე მოკუ
დინებითა გულისსიტყუათაჲთა.
ნეტარ არს ჭეშმარიტად იგი მონაზონი, რომელი
ყოვლისავე ფერისა მიმართ და ყოვლისა გუამისა და
ყოვლისა პირისა მიმართ და ყოვლისა კეთილისა, სადა
უმეცრებაჲ ვნებისაჲ მოიგო, რაჲთა ვერა სადა შე
ატყუას თავსა შორის თჯსსა ვნებისა, რაჲმე კუა
ლი ესევითართა მიმართ საქმეთა.
არა თუ რომელმან თიჴაჲ ესე შეუგინებელად დაიცვა.
იგი არს წმიდაჲ, არამედ რომელმან ასონი მისნი სრულიად
სულსა დაუმორჩილნა.
დიდ არს, რომელი შეხებისა შინა უვნებელად ეგოს
და უდიდეს მისსა არს, რომელი ხედვისაგან ეგოს
მოუწყლველად და სძლოს ხედვასა ცეცხლის
ასა ჴსენებითა სიკეთეთა მათ და შუჱნიერები
თა ზეცისათა, რომელი ლოცვითა განსდევ
ნიდეს ძალსა მას. მსგავს არს იგი კაცსა, რომელი
ჰბრძავნ ლომსა, ხოლო რომელი სიტყჯსგებითა და წი
ნააღდგომითა გონებისაჲთა ჰბრძოდის მას.
მსგავს არს იგი კაცსა, რომელი სდევნინ მტერსა
თჯსსა, ხოლო რომელსა უდებ-უყოფიეს სრულიად ზედა მოსლვაჲ
მისა, იგი დაღაცათუ ჴორცთა შინა იყოს, საფ
ლავისაგან აღდგომილვე არს.
უკუეთუ ესე ჭეშმარიტისა სიწმიდისა სახჱ
არს, რომელ აღუძრველად იყოს უცნებათა შინა.
2v
… შინა ესე უეჭუელად საზღუარი არს
… მისა ბუნებისაჲ და ბილწებისა, რომელ მღვიძ
არესა … და დიდებაჲ წინა-ეზიდებოდის გულის …
… ჴორციელით ჰბრძო
დის … მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან
… … …ვისაჲთა, ხოლო რომელი
… თა ე…უვებოდის მას იგი
… …კილა რკინითა წინა
…ომდაბლითა დაურისხე
ვ… …ინა აღუდგებოდის იგი,
მსგავს არს მისა, რ… მოკლა მბრძოლი
სასა და დაჰფლა ქჯშასა შინაჲ.
ქჯშა დგ…ს ჴმა იყო სიმ … …რ… ზრდის იგი სა
… ვნებათასა, არამედ არს ყოვლითურთ მიწა და ნაცარ

ცუა არს, რომლისა საღმრთოჲთა ნიჭითა და გამოცხად
ებათა შეეკრას მძლავრი იგი და ერთი იგი მთიებსა
მსგავს არს და მეორე დიდსა მას მთოვარესა და
მესამე ბრწყინვალესა მას მზესა და მათ ყოველ
თა საყოფელი ცათა შინა არს.
პირველად ცისკარი აღენთის და მერმე ნათლითა
ეფინის და მაშინათა გამობრწყინდის მზ[illegible], ეგრეთ
ვე ზემოთქუმულნი იგი გულისკმა-ყვე…
იჩემებნ მ…ი ორგულებ… და ეშმაკისა
…ისაჲ დაცდებასა ბრძოლისასა ერთმან მან, რომელმან
ფრინველი შე…როს და მეორემან ამან, რომელმან

A 493 გ



რაობა:	სადღესასწაულო
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	25,5x19,5
Content:	Festal Menaion
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	25,5x19,5

ტექსტი

1r */
არს რომელსა ენებოს ცნობაჲ სიმაღლისა მათისაჲ. წი
გნი მისი ჴელად მიიღენ და მისგან იწავლოს ყოველივე,
რამეთუ ჩუენ ნებსით დავდუმენით, რაჲთა არა სიმრავლე
წერილისაჲ იქმნას, ხოლო წამებადცა მიიწია ყოვლად ქებულ
ი ესე მამათმთავარი და ტანჯვანი ძლიერნი თავს ის
ხნა ახოვნითა გონებითა და შემდგომად დაცხრომისა დე
ვნულებისა სავსე ტჳრთითა წამებისაჲ თანა თჳსა
დვე ეკლესიად მოიქცა, რამეთუ ღმერთმან განგებულებით დაჰმა
რხა საცხოვრებლად სულითა მრავალთა და ნიკიისა

---

* აღწერილობაში აღნიშნულია, როგორც **სადღესასწაულო**, მაგრამ ეს არის **სვინაქსარი.**
მინაწერი:
ფსალმუნი მღდელნი შეიმოსნეს.
დასდებელი. მოიჴსენე …დთ …ქ…ლსა [ნუსხურად, ტექსტის ხელით, 1r];
ქართული ანბანი მხედრულით [მოგვიანო მინაწერები შავი მელნით 2v, 3r,3v,4r,4v].
შენიშვნები:
1v რვეულებრივი პაგინაცია ქვედა მხარეს, შუაში ასომთავრულით „გ", ამიტომ ეს უნდა იყოს რვეულის დასასრული, რადგანაც ქვედა მხარეს წერია; 3r ზედა მხარეს შუაში - „იზ", ეს კი უნდა იყოს რვეულის დასაწყისი, რადგანაც ზედა მხარეს წერია.

კრებასა მრავალი სარწმუნოებაჲ წინაშე წმიდისა მის კრებისა გამო
თქუა, რომელსა ეწამნეს ყოველნი და დაამტკიცეს და ესრე
თ მოხუცებული წმიდაჲ და ესე დღითა კეთილითა ღმერთი
სა მიიცვალა და საფლავით სულნელ
ი აღმოაცენა საკურნებელი ყოვლისა ვნებისაჲ, რომელი-იგი
დღენდელად დღედმდე მარადის აღმოდის სადიდებელად ღმრთისა
და საქებელად მღდელღმთავრისა მისისა. სახარებაჲ იოვანესი (10: 7-16):
„მე ვარ კარი ცხოვართაჲ. ყოველნი, რომელნი პირველ ჩემსა მოვიდეს,
მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვ
ართა, მე ვარ კარი, ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნ
დეს, შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოოს, ხოლო მპარავი
იგი არა მოვიდეს, არამედ რაჲთა იპაროს და დაკლას და წ
არწყმიდოს, ხოლო მე მოვედ, რაჲთა ცხორებაჲ აქუნდეს და
უმეტესი აქუნდეს; მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყეს
მან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს, ხოლო სასყიდლი
თ დადგინებულმან და რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა ა
რა არიედ ცხოვარნი თჳსნი, იხილის რაჲ მგელი მომავალ
ი, დაუტევნის ცხოვარნი და იქლტინ და მგელმან
წარიტაცნის იგინი და განაბნივნის, რამეთუ სასყიდლით დადგინე
ბული არნ და არარაჲ სჭირნ მას ცხოვართათჳს; მე ვარ
1v
მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემ თანა მათ,
ვითარცა მიცის მე მამამან, ვიცი მეცა მამაჲ და სულსა ჩემსა დავ
სდებ ცხოვართათჳს. და სხუანიცა ცხოვარნი მიდგან, რომელნი არა
არიან ამის ეზოჲსაგანნი, იგინიცა ჯერ-არიან მოყვ
ანებად ჩემდა და ჴმისა ჩემისაჲ ისმინონ და იყვნენ ერთ
სამწყსო და ერთ მწყემს".

თვესა დეკენბერსა ვ. წმიდისა მამი
სა ჩუენისა ნიკოლაოსისი მღვდელმთავრისა მირონ. ჴმაჲ ა. ზეცისა განწ. ლუ-
კიისაჲ. უფალო ღაღადყავსა.

ეკლესიისა შვილნი სწავლითა აღაფრინვენ, ვითარცა მ
ართუჱნი ზეცისა ბუნებისანი, სამგზის სანატრელო ნიკო
ლაოს, და მეოხ ხარ ღმრთისა მიმართ და იჴსნი ჭირისაგან
და განსაცდელთა, რომელნი გევედრებიან. სამღდელოჲ
იგი სამოსელი ყოვლად შუჱნიერი, შრომითა მით შენითაჲ
საღმრთოჲთა შეიმოსე, რომლითა გჳჩუჱნებ სასწაულთა და
ნიშებთა ქრისტეს მიმართ სამარადისოდ, ნეტარო ნიკოლაოს, და გჳ
ჴსნი ჩუენ ბოროტისაგან. უხილავსა მას კეთილსა თუალითა
ხედავ შენ და მარადის განიცდი საშინელსა ხილვასა და დიდე
ბასა მას წმიდათასა, მღდელთმთავარო ნიკოლაოს, რომლითა სა
იდუმლონი ზეცისანი გამოგეცხადნეს, ნეტრეულო.

საჭურველი უძლეველი აღიღე, ნეტარო, და იწროსა მას
გზასა ხჳდოდე, ღირსო საბა, მიმყვანებელსა მას შუჱ
ნიერსა სამოთხისა საშუჱბლითა, რომელსაცა დაემკჳდ

რე ნეტარო, მომიჴსენენ წინაშე ღმრთისა.
სხუანი ჴმაჲ დ. მჴნეო თანა ზედა.
მიჰრონითა მით საღმროჲთა გუაცხოვნე შენ მადლმან ს[აღმრთოჲ]სამან
და სათნოებათა შენთა მირონითა, ღირსო, სულნელ-ჰყვეს
ყოველსა სოფელსა, ნეტარო ნიკოლაოს, ხოლო სულმყრალობასა ვნე
ბათსა განიოტებს. ამისთჳსცა ჩუენ გაქებთ სარწმუნოები
თ და საღმრთოსა და წმიდა ჴსენებასა შენსა აღვასრულებთ.
მამაო, ვითარმედ ბრწყინვალებასა და მზისთუალსა დაუვალ
სა განმანათლებელსა ყოვლისა სოფელისასა და ეკლესიათა,
2r
რომელნი აღვასრულებთ დღესასწაულსა შენსაბ…
მიემსგავსე ხატსა მას ღმრთაებისასა, ღირსო საბა, და მ
ოიგე მისგან პატივად ცხორებაჲ წარუვალ და აწ წინაშე ღ
ირსა ღმრთისასა მდგომარე ხარ მოგჳჴსენენ ჩუენ, სანატრელო
და მეოხ-გვყავ, ვედრებითა შენითა წარუმართე სი
მრავლესა მას მონაზონთასა ზეცად მიმართ და ს…ითა
ბითა განანათლენ მონებად სამებისა მოწაფენი შენნი, წმიდაო
ღმრთისაო საბა. შენ უქორწ … გამოავლინე იგი. ნათელ
ო უცვა … უდაბნოჲ მხიარულ-ჰყვენ და ყუაოდენ,
ვითარცა შროშანი, რამეთუ განამრავლე შენ მისნი შვილნი, საბა
ღმერთშემოსილო, ქუეყანაჲ იორდანისაჲ აწ განსცხრებო
დენ წმიდა ამას ჴსენებასა შ… დიდებულ მეოხ-გვყავ სულთა ჩუენთათჳს.

აქებდითსა. არაჲ დააკლდა სიყრთ შენითგან, ნეტარო, მო
იძულე განსიწმენებაჲ ჴორციელებაჲ და შეუდეგ
მაცხოვრისა უბიწოდ განგებითა, საბა, და მისდევდი, ვითარცა
ცხოვარი კუალსა მწყემსმთავრისასა ნ…რთა და
ჰპოვე განსუწმენებაჲ მ…სა მას ბანაკთა წმიდათასა
მოაკუდინე შენ გულის თ… …აცხოვლე სიწმიდე,
განეშორე გემოთა სფ… და ეძიებდ წარ…
სა, ნეტარო, და ვითარცა გურიტი უდაბნოს მყოფ იყავ იწ
როებასა შინა, ღირსო საბა, და …რთოებასა მ…
ზეცისა სასუფევლისასა ღირს იქმენ …ძან… …სა
მჴეცთასა არაჲ შესძრწუნდეს, ნეტარო, და უდაბნ
ოჲთ განიოტე სიმრავლე მტერთა ბოროტთა და დაჰნე
რგე ნაყოფი სულიერისა საბა და მოჰრწყე ცრემლით
და მორჩად კეთილად აღაორძინენ შვილნი შენნი, ნეტარო,
მგალობლად სამებისა წმიდისა. სიტყჳთ და საქმით ადი
დე ქრისტე ღმერთი, სანატრელო, და მცნებათა მისთა
სავანე-ჰყოფდ შენ დღით და ღამით განგებითა, წმიდაო, და ვითარცა კი
2v
ბე სივრცესა ცისასა წინაშე ღმრთისაჲ მიიწეოდა ლოცვაჲ
შიში, მამაო, გჳთხოვე, ღმრთისა განადიდე წყალობაჲ.
აღძრვაჲ.
თვესა დეკენბერსა ვ. წმიდისა და საკჳრველთმოქმედისა

მამისა ჩუენისა ნიკოლოზისი, მთავარეპისკოპოსისა მი
რონ ქალაქისაჲ, რომელი იყო ჟამთა დიდისა კოსტანტინესთა.
ესე წმიდაჲ პირველად უკუჱ მონაზონებისა მისთათჳს პირველისა
მარიამითა გამოცხადებითა მღდელთმთავრობისა პატივისა ღ
ირს იქმნა. ამან, ვითარცა მისთჳს აღწერილი ცხოვრებაჲ მო
გჳთხრობს, მრავალნი სასწაულნი სხუანიცა აღასრულნა,
რომელნი-იგი კნინღადა კაცობრივსა ბუნებისა უზეშთაეს
არიან სიმრავლითა და საკჳრველებითა და მათ თანა
იჴსნნა სამნიცა იგი მთავარნი სიკუდილისაგან, რომელ
თათჳს ცილისწამებით შესმენითა განჩინებულ იყო
უმშჯავროჲ სიკუდილი, რომელთა აგრძნეს რაჲ ჟამი
იგი აღსრულებისა თჳსისაჲ საპყრობილესა შინა ი
წყეს ვედრებად და წმიდასა ამას შემწედ ჰხადო
დეს და მოაჴსენებდეს სხუასა ესევითარსავე მი
ს მიერ ქმნილსა ქველისსაქმესა, რომელი უყო სამთა
მათ კაცთა ლუკიას და ვითარ-იგი იჴსნნა უსამართლ
ოდ მოკლვისაგან. მაშინ უკუჱ უჩუწმიდაჲ ეს
ე მეფესა ძალსა შინა და ეგრეთვე ავლავიო
ს ეპარხოზსა ბრალობით და თქუმით ტყუვილი
თ შესმენისათჳს უბრალოთა მათ კაცთაჲსა, ხოლო მეფე
სა მოძულურებით და სწავლით და ვითარმედ უბრალო არი
ან და შურითა შთავრდომით ესევითარსა ბრა
ლსა და ესრეთ იჴსნნა იგინი სიკუდილისაგან მწარი
სა ნეტარმან ნიკოლაოს, არამედ ვინაჲთგან საკჳრველე
ბათა და სათნოებათა მისთა სიმრავლე აურაცხელ
3r
და ყოველსა მჴსნელსა ზედა ამას იტყჳან: „შემეწიე მე"


ფსალმუნი ბ. რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრა
ხა ცუდი. შეითქუნეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი
შეკრბეს ერთად უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს
და ყოველსა მოჴელესა ზედა. ოხითა წმიდისა ღ…ლისაჲთა
მაცხოვარ, აცხოვნენ სულნი ჩემნი დიდებაჲ და აწ… ფსალმუნი გ.
ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა, დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის და
ვსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა.
კუჱრთხი ძლიერებისაჲ გამოგივლინოს შენ უფალმან სიო
ნით და უფლებდის შორის მტერთა შენთა. შენ თანა არს მთავ
რობაჲ დღესა ძლიერებისა შენისასა ბრწყინვალება
სა წმიდათა შენთასა და ყოველსა მოჴელესა ზედა სამკეცსა
ალილუიასა დიაკონმან კუერექსი. წმიდაო ღმრთისაჲ და დასხდენ მღ
დელნი და მეფსალმონემან. ფსალმუნი გ. გიორგი აღუთქუთ
 ღმერთსა ჩუენსა ყოველნი, რომელნი არიან გარე
მოჲს მისა, შეწირონ ძღუჱნი. დასდებელი. განცხადებულ არს
პატიოსანი ღმერთი და იჱრუსალემსა ზედა დიდ არს სახელი მისი.
ებრაელთა მიმართ ებისტოლე პავლესი საკითხავი. მრავლ

ით კერძო და მრავლით სახით მაშინვე ღმერთი ეტყოდა
მამათა წინასწარმეტყუელთა მიერ უკუნაჲსკნელთა დღეთა მეტყოდა
ჩუენ ძისა მიმართ თჳსისა, რომელი-იგი დაადგინა მკჳდრად ყოველთა,
რომლისაგანცა შექმნნა საუკუნენი, რომელი იგი არს ბრწყინვ
ალებაჲ ჩუენთაჲ-ყო და დაჯდა იგი მარჯუენით მათსა დაიმკჳდრა სახელ
ი, ოდეს სადა ვის ჰრქუა ანგელოზთაგანსა: „ძე ჩემი ხარი
შენ და მე დღეს მიშობიე შენ„. და მერმე იტყჳს: „მე ვყო
მისა მამა და იგი იყოს ჩემდა ძე„. და ოდეს კუალად შემოჰყავს
3v
პირმშოჲ იგი სოფლად იტყჳს: „და თაყუანისცემდენ მას ყოველნი
ანგელოზნი ღმრთისანი", ხოლო ანგელოზთათჳს იტყჳს: „რომელმან შემქნ
ნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეც
ხლისა„, ხოლო ძისათჳს იტყჳს: „საყდარი შენი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე
კუჱრთხი …შისაჲ არს კუჱრთხი სუფევისა შენისაჲ.
შეიყუარე სიმართლე და მოიძულე უსჯულებაჲ. ამის
თჳს გცხო შენ ღმერთმან შენ მიერ საცხებელი სიხარულისაჲ
უმეტეს მოყუასთა შენთა და შენ დასაბამსა, უფალო, ქუეყანაჲ.
დააფუძნე და ქმნულნი ჴელთა შენთანი ცანი არღა
ნი იგინი წარჴდენ, ხოლო შენ ეგო უკუნისამდე და ყოველნი, ვითარცა სამო
სელნი დაძუჱლდენ და შენ, ვითარცა სამოსელნი სცვალნე იგინი
და იცვალნენ, ხოლო შენ თავადი იგივე ხარ და წელიწადთა
შენთა არა მოაკლდეს. ალილუია. ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: „და
ჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე
ფერჴთა შენთა". დასდებელი. საშოჲთ მთებისა წინა
გშევ შენ.
თავისაგან ლუკასი, წმიდისა სახარებისა საკითხავი.
მათ დღეთა შინა გამოჴდა ბრძანებაჲ აგჳსტოს კეისრი
საგან აღწერად ყოვლისა საოფლისა. ესე აღწერაჲ პირველ
იყო მთავრობასა ასურეთს კჳრინესსა და წარვიდ
ოდეს ყოველნი აღწერად თოთოეული ქალაქით ნაზარეთით,
ჰურიასტანად, ქალაქად დავითისა, რომელსა ჰქჳან ბეთლ
ე… მისთა თანა, რომელი თხოვილ იყო მისა ცოლად და იყო
იგი მიდგომილ და იყო ვიდრე იყვნესღა იგინი მუნ. აღ
ივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი და შვა ძე იგი მის
ი პირმშოჲ და შეხჳა იგი სახუჱველითა და მიაწვი
ნა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას.
და მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა ჴუმლვიდეს და სცვ
4r
იდეს საჴუმილავსა ღამისასა სამწყსოსათა მათთასა
და აჰა, ანგელოზი უფლისაჲ, დაადგრა მათ და დიდებაჲ უფლისაჲ გამოუბრ
წყინდა მათ და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და ჰრქუა
მათ ანგელოზმან მან: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა, გახარებ თქუენდა
სიხარულსა დიდსა, რომელი არს ყოვლისა ე…, რამეთუ იშვა თქუენდა
მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი ქალაქსა მათისასა და ესე
იყოს თქუენდა სასწაულად, ვპოვოთ ყრმაჲ იგი შეხუჱ

ული და მწოლარე ბაგასა„. და მეყსეულად იყო ანგ
ელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს
ღმერთსა და იტყოდეს: „დიდებაჲ მაღალთ შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ
და კაცთა შორის სათნოებაჲ". და იყო, ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი ზეცად,
თქუეს მწყემსთა მათ ურთიერთას: „განვიდეთ ჩუენ, ვიდრე ბე
თლემადმდე და ვიხილოთ სიტყუაჲ ესე, რომელი იყო ჩემდა
მომართ, რომელი-იგი უფალმან მაუწყა ჩუენ და მოვიდეს მსწრ
აფლ და პოვეს მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი მწოლარე
ბაგასა შინა. და ვითარცა იხილეს, გულისჴმა-ყვეს სიტყვაჲ იგ
ი, რომელი ითქუა მათ მიმართ ყრმისა მისთჳს და რომელთა ესმ
ოდა და უკჳრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათა მიმართ, ხოლო
მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳს
სა და მიიქცეს მწყემსნი იგი, ადიდებდეს და აკურთხებდეს
ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა ითქუნე
ს მათა მიმართ. და აღესრულოს ჟამისწირვაჲ. წმიდისა ბასილი.
განიცადე. აქებდით უფალსა ცათგან. უწყებაჲ ჯერ-არს, რამეთუ …უ
წინადღე მარხვისა დღესა დახუდეს ესრეთ ჯე…ა
რს აღსრულებაჲ, ვითარცა ზემო წერილ არს. ხოლო უკუჱთუ შა
ბათსა ანუ კჳრიაკესა დახუდეს წინადღე წმიდაჲ ჟამის
წირვაჲ და განგებაჲ წინა შაბათისაჲ, გინა დაგინა წინა კჳრიაკ
…ჲ აღესრულოს. განწესებულსა ჟამსა. სამხრისასა ჩუჱ
…ებრ და ძმათა მიიღონ განატეხი და ირღ
4v
უნან ეკლესიასვე და მეთი არა რაჲ. რამეთუ ესევითარსა
დღესა სატრაპეზოს არა შევლენ, ხოლო მწუხრისასა
აღესრულოს ყოველი წესი დღესასწაულისაჲ. უკეთუ დახუდე
ს შაბათსა. თქუან კანონი. ნეტარ არს კაცისაჲ მაცხოვრისასა.
ხოლო აღდგომისას… …რას ვიტყჳთ, არამედ ყოველსა დღესასწაულ
ისასა, ხოლო უკუჱთუ კჳრიაკესა იყოს. მწუხრისასა ნეტარ არს
კაცი არა ითქუმის, არამედ, უფალო, ღაღად-ყავ და ყოველი წესი დღე
სასწაულისაჲ იქმნას, ვიდრე სახარებისა დასასრუ;ადმდე.
და ვითარცა სახარებაჲ წარიკითხონ, მეყსეულად კუერექს ყონ
და თქუან: „ზეგარდამოჲ და მოგუმადლენთაჲ და აღასრულ
ონ ლოცვაჲ და მაშინღა შევიდენ ლოცვით წინაშე ბჭეთა ეკ
ლესიისათა და მუნ ილოცონ სერობისაჲ სუბუქად
რომელი დამკჳდრებულ არს. ჩუენ თანა ღმერთი. მიწყალე. და უმეტესი
არა რაჲ. ესრეთვე ყონ განცხადებულცა. და ყველი
ერისა. კჳრიაკესა მწუხრსა. დადიდსა ხუთშაბათსა და დი
დსა შაბათსა, რამეთუ ამათ დღეთა ეკლესიას არა ვილოცავთ
სერობისასა. არამედ ანუ სატრაპეზოს ანუ ეკლესიისა
კართა წინაშე. თუესა დეკენბერსა კდ. წინა დღით ქრისტეს შობი
საჲ დ წმიდისა მოწამისა ევგენიაჲსი, რომელი იყო კომოდ
მეფისა ზე ასული ფილიპე ჰრომისა ეპარხო
ზისაჲ და წმიდათა მოწამეთა აქაიკისი და სქინონისი.

თუესა დეკენბერსა კდ. წინადღე ქრისტეს შობისაჲ. ჴმაი ა.
ეჰა, დიდებული საკჳრველი, რამეთუ მეფჱ ყოველთაჲ კაცი ბეთლემს ქალწულ
სა შობად მოჰყვეს შევწიროთ მორწმუნენო ძღუნად
პირველი დღესასწაული და ვიტყოდით. გიხაროდენ სახარულვანო, უფალი შენ
თანა, რომელი მოსცემს სოფელსა შენ მიერ დიდსა წყალობასა.
ჴმითა კურთხევისაჲთა ვღაღადებთ გამოჩინებასა ქრისტეს…

A 493 დ



რაობა:	თვენი
თარიღი:	XII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	23x17,8
Content:	Menologion
Date:	XII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	23x17,8

ტექსტი

1r

მიერ შეიჭურენით და მისსა მიმართ გსუროდა, ღმერთშემოსილნო კრებულნო, მოწამეთანო, წმინდანო ორმეოცნო, თქუენ სწორებით იღუაწეთ და სწორი გჳრგჳნი მოიგეთ. ღმერთსა ევედრენით მონიჭებად.

გიხაროდენ, ღუაწლისა მძლენო, რომელნი ბრძოლით მძ…სა ძლედ გამოსჩნდით, ვარსკულავნო მნათობნო, რომელთა განვლეთ ცეცხლი და წყალი და წყალთა ყინებაჲ დაადნეთ ქრისტეს მიერ და ყოველნივე ცისკიდენი განანათლენით, რომელნი აწ წიაღთა აბრაჰამისათა მკჳდრ ხართ და იხარებთ თქუენ ანგელოზთა მ… გუნდსა თანა, მოწამენო ურმეოცნო, ყუავილნო შუჱნიერნო, რომელნი ჰფშჳთ მარადის სულნელებასა მას სულიერსა, ღმერთსა ვევედრენით მონიჭებად სულთა ჩუენთა დღეს დიდი წყა …

მოდით მარტჳლთმოყუარენო და კრებული ღუაწლით შემოსილთაჲ ვიხილოთ, რამეთუ ტბასა მას შინა ყინვილითა და ნეფხვითა, მზაკუვარო ბელიარ, ამათ მოაშთვეს სიმჴნით. ორმეოცნი იყვნეს რიცხჳთ წმიდანი ესე, ერთ სულ და ერთ ზრახვა განუყოფელ და უშიშ და ღმრთისმსახურმან დედაკაცმან მჴართა თჳსთა ზედა აღიკიდა ძე თჳსი და მიჰყვანდა …მედ და ურემთა შეუდგა და ძღუჱნი სათნოჲ ღმერთსა შეწირა და…რს … არიან მარადის ჴსნად სულთ ჩუენთა.

სხუანი დ. მჴნენი ორმეოცთა ყუავილთა მათ შუჱნიერთა სულნელითა ყოვლისა სოფლისათა და გჳრგჳნითა ბრწყინვა … ზეგარდამო შემკულთა ელვ … … შეურკველთა(!) ყოვლად ქებული სამებისა მსხუერ… შესხმითა სულიერითა წადიერებით უგალობდეთ. ტბასა შინა მზაკვარი მოაშთვეს უკეთური მაცთუ… …შექმნულისაჲ, ყოვლად ქებულნო მოწამენო წმიდანო ორმეოცნო.

1v

და ვითრცა ზუარაკნი ცეცხლითა წამებისაჲთა შეიწირენით მსხუჩრპლად სულნელად. ამისთჳსცა ზეცისა იგი უხრწნელი დიდებაჲ დაიმკჳდრეთ.

გჳრგჳნთა მათ ბრწყინვალითა ზეგარდამო მომავლთა ხედვიდა რაჲ მცველი იგი ორმეოცთა და მეოხსა მას დარღუჩულსა, მეყსეულად განშიშვლდა და შეერთო გუნდსა თანა წმიდათა ორმეოცთასა და ნათელსა მას მარტჳლთასა, ღირს იქმნა და მათ თანა ევედრების ღმერთსა, რაჲთა ვიჴსნნეთ განსაცდელ.

დიდებაჲ.

ედემი დიდებაჲ. მოითმენდეს ტანჯვასა ჴორცთასა, იხარებდეს სულითა მჴნენი მარტჳლნი და ესრეთ იტყოდეს: არაჲ სამოსელთა აღვიძარცჳთ, არამედ ძუჩლთა ...კ˜ცსა განვაგდოთ ჩუენგან. ჵ ქრისტეს მჴედარნო, ფიცხელ არს ნ... არამედ ჰამოჲ არს სასუფეველი, ძნელ არს ყინელი, არამედ ტკბილ არს ფუფუნებაჲ სამოთხისაჲ მცირედ მოვითმინოთ, რაჲთა გჳრგჳნნი დიდებისანი დავიდგნეთ, ძმანო, და ნუმცა მომედგრდებით, რაჲთა ვსუფევდეთ ანგელოზთა თანა ქრისტეს მიერ უფლისა და მცხ...სა სულთა ჩუჩნთაჲსა სტიქარონი მჯდომი. მოვედით ყოველნი გალობით შევასხმიდეთ ევსუქის, მელიტონს დ... მჴნესა ჰერაკლეს, სამარგდეს და დომნოსს, ევნ...სს, ვალენტიანოს და ბიბიანოსს და კლ˜ვადის და ...კოსს ღირსთა, თეოდორეს, ევტუქის და ... ქსანთის და ელიანოსს, კჳრინოს და სისენის ...ას ფლაბიანეს, აეტის, აკაკის, ეგდიკის, ...ხოს თანა ბრძენსა ალექსანდრეს აღლ... დიდისა ქრისტეს მჴედართა და მჴნეთა მოწამეთა.

თეოფილეს, კანდიდეს თანა, ვჰნატრიდეთ დომენტ...

A 494

რაობა:	სახარების საკითხავების საძიებელი
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22,5x19,5

Content:	The Four Gospel
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	22,5x19,5

ტექსტი

1r / წმიდისა მოწამისა ფოკაჲსი და იონა წინაწარმეტყუელისაჲ. სახარებაჲ იოვანესი რ ლ ჱ. ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუა ...

ვიდრე - მსხუერპლი შეწირა ღმრთისა.

იონაჲსთჳს სახარებაჲ მათესი.

მას ჟამსა შინა მ ...ეთ მიუგეს მწიგნ.

ვიდრე - ღმერთსა ისრაჩლისასა.

კ გ. ზაქარიაჲსი დადუმებაჲ. სახარებაჲ ლუკაჲსი ა. მათ დღეთა შინა იყო დღეთა მათ ჰეროდე მეფისა ჰურიასტანისა

ვიდრე - ყუჱდრებაჲ ჩემი კაცთა შორის.
კ დ. წმიდისა თეკლა პირველმოწამისაჲ
სახარებაჲ მათესი ს მ ჩ.
თქუა უფალმან
იგავი ესე: ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ
ათთა ქალწულთა.
ვიდრე - ძე კაცისაჲ მოვიდეს.
ჴსენებაჲ ძრვისაჲ. სახარებაჲ ლუკაჲსი, პ გ.
მას ჟამსა შინა აღვიდა იესუ ნავსა
და მოწაფეთა.
ვიდრე - და ერჩიან მას.
ამასვე დღესა წმიდისა ევფროსინესი და მამისა მისისა პაფნოტისი. სახარებაჲ ლუკაჲ სი, კვ.
მას ჟამსა შინა შევიდა იესუ სახლსა სჳმონ.
ვიდრე - შესაკრებელთა მათთა.
კ ვ. გარდაცვალებაჲ წმიდისა იოვანე მახარებლისაჲ ცისკრად.
სახარებაჲ იოვანესი სბ. მას ჟამსა შინა
დგეს ჯუარსა მას თანა იესუჲსსა …
ვიდრე - რაჲთა თქუენ გრწმენეს.
ამხრად. სახარებაჲ იოვანესი ს კ ვ.
მას ჟამსა შინა გამოუცხადა თავი თჳსი
იესუ მოწაფ.
ვიდრე - წიგნები. ამინ.
კ ზ. წმიდისა ეპიტაროჲსი. სახარებაჲ მათესი ს ნ თ.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფ[ეთა].
ამინ გეტყჳ თქუენ, არა წარჴდეს
ნათესავი.
ვიდრე - ძე კაცისაჲ მოვიდეს.
კ ჩ. წმიდისა ხარიტონისი. სახარებაჲ ლუკაჲსი
რ პ ბ.
მას ჟამსა შინა მისდევდა იესუს ერი მრავალი,
მოიქცა და ჰრქუა მას, რომელი მო.
ვიდრე - მოწაფეყოფად ჩემდა.
კ თ. წმიდისა კჳრიაკესი. სახარებაჲ მათესი რია.
თქუა უფალმან: ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემი.
ვიდრე - თჳრთი ჩემი მცირე არს.
ლ. წმიდისა გრიგოლ პართეველისაჲ. სახარებაჲ
მათესი სიგ.
თქუა უფალმან: იღჳძებდით,
რამეთუ არა იცით, ოდეს უფალი თქუენი.
ვიდრე - თჳსსა დაადგინოს იგი …
თუესა ოკდონბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი ია და ღამეთა-ჟამი იგ.
წმიდისა მოციქულისა ანანიაჲსი. სახარებაჲ მათესი ლ ბ.
ჰრქუა უფალმან თჳს მოწაფ[ეთა]:
თქუენ ხართ ნათელი სოფლი[სანი].

ვიდრე - დიდ ერქუას სასუფეველსა ცა[თასა].
ბ. წმიდისა კჳპრიანე და იოსტინესი.
სახარებაჲ მათესი რ პ ა.
თქუა უფალმან: იხილეთ, ნუუკუჱ ვინმე შე/[უ]რაცხ-ჰყოთ ერთ.
ვიდრ - მუნ ვარ მე მათ შორის.
წმიდისა დიონოსი არიოპაგელისაჲ. სახარებაჲ მათესი რ მ …
თქუა უფალმან იგავი ესე: მსგავს [ა]რს
სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფ
ვიდრე - შესაკრებელთა მათთა.
დ. წმიდისა იეროთსი. სახარებაჲ მარკოზი[სი] რ ლ ა.
მას ჟამსა შინა მწიგნობარი ვინმე მოუჴდა.
ვიდრე - ისმენდა მისსა ტკბილად.
ე. წმიდისა … მელ … სი, სახარებაჲ ლუკაჲსი რ მ ვ.
თქუა უფალმან იგავი ესე კაცისა ვისმე მდიდრისა: ნაყოფიერ იყო აგარაკი.
ვიდრე - ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის.
ვ. წმიდისა მოციქულისა თომაჲსი. სახარებაჲ იოვანესი სიგ.
და ვითარცა შემწუხრდა დღე იგი.
ვიდრე - სახელითა მისი[თა].
ზ. წმიდათა სერგის ბაქოჲსთაჲ. სახარებაჲ ლუკაჲსი ს ნ.
ჰრქუა უფალმან თჳს მოწაფ[ეთა]: ეკრძალენით კაცთაგან, რამეთუ დაგ.
ვიდრე - მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.
ჱ. წმიდისა პელაგიაჲსი სახარებაჲ მათესი რ პ ბ.
თქუა უფალმან იგავი ესე: კაცსა
თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი.
ვიდრე - ცოდვილსა, რომელმან შეინანოს.
თ. წმიდისა მოციქულისა იაკობ ალფესი სახარებაჲ მათესი ჟ. ბ.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: არა არს დაფარული, რომელი.
ვიდრე - სირთა უმჯობეს ხართ.
ი. წმიდათა ევლამპი და ევლამპიაჲსი
სახარებაჲ ლუკაჲსი …
თქუა უფალმან: ყოველმან, რომელმან აღიარა
ჩემდამო წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან.
ვიდრე - ჯერ-არს თქუმად.
ია. წმიდათა პატრიაქთა - ნეკტარის, არსაკისი,
სისინისი. სახარებაჲ მათესი ლ ბ.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: თქუენ
ხართ ნათელნი სოფლი[სანი].
ვიდრე - ერქუას სასუფეველსა ცათასა.
იბ. წმიდათა ტრახოს, პრათოს და ანდრონიკესი. სახარებაჲ ლუკაჲსი რ მ ე.
ჰრქუა უფალმან თჳს მოწაფეთა:
არარაჲ არს დაფარული.
ვიდრე - [ს]ირთა უმჯობეს ხართ.
იგ. წმიდათა კარპო და პაპილოჲსი და
ტროფიმოჲსი. სახარებაჲ მათეს ნ დ.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: ყოველი,

რომელი გინდეს, რაჲთა გიყონ თქუენ.
ვიდრე - ჩემისა ზეცათაჲსა.
იდ. წმიდათა მოწამეთა ნაზარისი, გერვასი,
სპროტასა და კელსისი.
სახარებაჲ ლუკაჲსი … მას ჟამსა შინა
ვიდოდეს იესუს თანა ერნი მრავალნი
და ძე ქურივისა.

2r / ვიდრე - უჴმს სინანული
[იე] წმიდისა ლუკიანესი სახარებაჲ იოვანესი რ ლ ჱ.
ჰრქუა უფალმან თჳს მოწაფ[ეთა]:
ამას გამცნებ თქუჱნ, რაჲთა იყუარებო.
ვიდრე - შეწირალმრთისა.
ივ. წმიდისა ლონგინოს ერისთავისაჲ. სახარებაჲ ლუკაჲსი … მას ჟამსა შინა, ვითარცა ჯუარს-აცუჱს იესუ, იყო ჟამი მეექუ[სე].
ვიდრე - ესე ძე ღმრთისაჲ იყო.
იზ. წმიდისა წინაწარმეტყუჱლისა ოსესი. სახარებაჲ ლუკაჲსი რ ო დ.
მას ჟამსა შინა მო-ვინმე-[უ]ჴდეს ფარისეველნი იესუს და ეტყოდეს.
ვიდრე - მომავალი სახელითა უფლისაჲთა.
იჱ. წმიდისა ლუკა მახარებელისაჲ. სახარებაჲ ლუკაჲსი რივ.
თქუა უფალმან თჳსთა მოწაფ[ეთა]: რომელმან თქუენ (!) ისმინოს ჩემი.
ვიდრე - სათნო-იყო შენ წინაშე.
კ. წმიდისა მოწამისა არტემისი. სახარებაჲ მათესი პვ.
ჰრქუა უფალმან თჳს მოწაფ[ეთა]:
აჰა, მიმავლინებ.
ვიდრე - სრულიად იგი ცხოვნდეს.
კა. წმიდისა ილარიონისი სახარებაჲ ლუკაჲსი მე.
მას ჟამსა შინა დადგა იესუ ადგილსა.
ვიდრე - დიდ არს ცათა შინა.
კბ. წმიდისა აბერკი, მოციქულთა სწორისაჲ.
სახარებაჲ იოვანესი პთ.
თქუა უფალმან: რომელი არა შევალს კარით.
ვიდრე - საძოვარი პოოს.
კგ. წმიდისა მოციქულისა იაკობ, ძმისა უ…
სახარებაჲ მარკოზისი ნ.
მას ჟამსა შინა იწყო იესუ სწავლად შესაკრებ …
ვიდრე - ქადაგებად დასწავლად.
კდ. წმიდისა არეთაჲსი. სახარებაჲ ლუკაჲსი რნა.
თქუა უფალმან: ნუგეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ.
ვიდრე - ძე კაცისაჲ მოვიდეს.
კე. წმიდისა მარკიანე და მარტჳრი მწიგნობართაჲ.
სახარებაჲ ლუკაჲსი რ მ ე.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: არა არს დაფარული, რომელი.
ვიდრე - უმჯობეს ხართ თქუჱნ.
კვ. წმიდისა მოწამისა დიდისა დიმიტრისი.
სახარებაჲ იოვანესი რ ლ ჱ.

ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფ[ეთა]: ამას გამცნებ თქუჱნ,
რაჲთა იყუარებოდით ურ.
ვიდრე - შეწირა ღმრთისა.
ამასვე დღესა ჴსენებაჲ დიდისა მის ძრვისაჲ, სახარებაჲ მათესი ჲ თ.
მას ჟამსა შინა აღვიდა იესუ ნავსა და მისდევდა მას.
ვიდრე - ერჩიან მას.
კზ. წმიდისა კაპეტოლინესი. სახარებაჲ მათესი სჲჱ. თქუა უფალმან იგავი ესე: ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა.
ვიდრე - ძე კაცისაჲ მოვიდეს.
კთ. წმიდისა ანასტასი ჰრომისაჲ.
სახარებაჲ ლუკაჲსი ოდ.
მას ჟამსა შინა / [ევ]ედრებოდა ვინმე ფაროსეველთაგანი
იესუს, რაჲთა გამოს.
[ვ]იდრე - ვიდოდე მშჯდობით.
[ლ] წმიდისა მარკიანე სურაკოსელისაჲ. სახარებაჲ
ჰპოო ამას თუჱსა ა. ამასვე დღესა ა.
ამასვე დღესა მღდელმოწამისა ზინობისი და ზინობიაჲსი. სახარებაჲ ჰპოო სეკდენბერსა ბ.
ლა. წმიდისა მღდელმოწამისა ეპიმახოჲსი
სახარებაჲ ჰპოო ამასვე თუჱსა იგ.
თუჱსა ნოენბერსა აქუს დღე ლ, დღეთა აქუს ჟამი ი˜ და ღამეთა - ჟამი ი˜დ.
ა. წმიდათა უქრთამოთა კოზმან და დამიანესი, ძეთა თეოდოტისთაჲ. სახარებაჲ მათესი ო˜თ. მას ჟამსა შინა მოუწოდა იესუ ათორმეტთა მათ მოწაფ[ეთა].
ვიდრე - უსასყიდლოდ მისცემდით.
ბ. წმიდათა მოწამეთა აკჳნდინე და მოსთანათაჲ.
სახარებაჲ ლუკაჲსი სკ.
თქუა უფალმან: ვითარ ძნიად შევიდენ
სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა.
გ. წმიდათა მოწამეთა აკეფსიმა, იოსებ და
აითალაჲსი. სახარებაჲ ლუკაჲსი ს ჱ.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: ეკრძალენით
კაც (!), რამეთუ და.
ვიდრე - მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.
დ. წმიდისა იოვანეკისი. სახარებაჲ მათესი რია.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფ[ეთა]: ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა.
ვიდრე - ტჳრთი ჩემი მცირე არს.
ე. წმიდისა ღალაკტიონისი და ეპისტიმისი.
სახარებაჲ მათესი პ ვ.
ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: აჰა,
მე მიგავლინებ, ვითარცა ცხოვართა.
ვიდრე - სრულიად იგი ცხოვნდეს.
ამასვე დღესა წმიდისა თეოდოტისი, სახარებაჲ ლუკაჲსი ოდ.
მას ჟამსა შინა ევედრებოდა ვინმე ფარი.
ვიდრე - ვიდოდე მშჯდობით.
ვ. წმიდისა პავლე აღმსარებელისაჲ იდ. სახარებაჲ ჰპოო ოკდონბერსა ი.

ზ. წმიდათა ლგ მოწამეთაჲ მელიტინს. სახარებაჲ ჰპოო სეკდენბერსა დ.

ჩ. კრებაჲ მიქაელ მთავარანგელოზისაჲ და ყოველთა ზეისა ძალთაჲ.

სახარებაჲ ჰპოო სეკდენბერსა იჩ.

თ. წმიდისა მოწამისა ალექსანდრესი. განგებაჲ

და სახარებაჲ წმიდათაჲ მოიძიე.

ი. წმიდათა მოციქულთა ულინპა და მისთანათაჲ

და წმიდისა იორგის ურმისთუალსა შესლვაჲ,

სახარებაჲ ჰპოო ოკონბერსა ი.

ია. წმიდათა მოწამეთა მინა, ბიკტორ და ბიკენტისი. სახარებაჲ ჰპოო ოკდონბერსა კვ.

იბ. წმიდისა იოვანე მოწყალისაჲ სახარებაჲ

3r / ჰპოო ოკდონბერსა კა.

[იგ] წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ. სახარებაჲ ჰპოო სეკდენბერსა ბ.

იდ. წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ. სახარებაჲ იოვანესი იჩ. მას ჟამსა შინა უნდა იესუს განსლვად გალილეად და პივა ფილიპე.

ვიდრე - ძესა ზედა კაცისასა.

იე. წმიდათა მოწამეთა გურია, სამონა და აბიბოჲსი სახარებაჲ ლუკაჲსი რმე.

ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხად.

ვიდრე - რაჲ-იგი სთქუათ.

ივ. წმიდისა მათე მახარებელისაჲ. სახარებაჲ მათესი ოა. მას ჟამსა შინა წარვიდოდა იესუ და იხილა კაცი, რომელი სახელი.

ვიდრე - არამედ ცოდვილთა.

იზ. წმიდისა გრიგოლი საკჳრველთმოქმედისაჲ.

სახარებაჲ ლუკაჲსი რიზ.

ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: აჰა, მიგეც

თქუჩნ ჴელმწიფებაჲ დათ.

ვიდრე - სათნო შენ წინაშე.

იჩ. წმიდისა პლატონისი და რომანოზისი

სახარებაჲ ჰპოო ოკდონბერსა იდ.

ით. წმიდისა წინაწარმეტყუჩლისა აბდიაჲსი

სახარებაჲ ჰპოო ამის თჳსა ე.

ა. წმიდათა პროკლე და მაქსიმე და ანატოლე

და გენა … სახარებაჲ ჰპოო ოკდონბერსა …

კა. ტაძრად მიყვანებაჲ წმიდისა [ღმრთის]მშობლისაჲ სახარებაჲ ჰპოო სეკდენბერსა ჩ.

კბ. წმიდისა ფილიმონ მოციქულისაჲ, სახარებაჲ ღმრთისმშობელისაჲვე.

კგ. წმიდისა ამფილოქე იკონიელისაჲ, სახარებაჲ ჰპოო სეკდენბერსა გ.

კდ. წმიდისა გრიგოლი აკრაკანტელისაჲ, სახარებაჲ ჰპოო ოკდონბერსა კჩ.

კე. წმიდისა მოწამისა ეკატირინესი. სახარებაჲ ჰპოო ოკდონბერსა კზ.

ამასვე დღესა წმიდათა კლემენტოს და პეტრე ალექსანდრიელისაჲ და მერკჳლესი, სახარებაჲ ჰპოო ოკდონბერსა კვ.

რომელიცა უვნებელად დაიცევ
და მიეც მოხუცებულსა
და განამხიარულე ერნი, უფროჲსად
აგამაღლებთ მარადის.

ცეცხლი საღმრთოჲ რაჲ შთაგიცუჭს
ყრმათა უბიწოთა,
ქრისტე ღმერთო, სახიერ,
ვითარცა
ნათელი წარუვალი,
ცეცხლი საჴუმილისაჲ მის
ამაღლებული მიმოდაყარეს
და ცუარი და ნიავი
შენ მიერ აგრილობდა
მათ და უფროჲსად
აგამაღლებდეს მარადის.

უმსჯავროჲთა მით ბრჭობითა
წინაჲსწარმეტყუელი
ლომთა საჭმლად მიეცა
დანიელ,
არამედ აქუნდეს იგი
მმარხველად მღჳმესა შინა
და ვერ იკადრეს შეხებად მისსა
ვედრებითა მისითა
და აბრაჰამისითა
და სამთა ყრმათაჲთა;
გუაცხოვნენ ჩუენ, ქრისტე ღმერთო!

იესუ, რომელ ქადაგეს
წინაჲსწარმეტყუელთა
წინაჲთვე ჴმამაღლად
ხატითა

A 836 ვ

რაობა:	ტექსტი ძველი აღთქმიდან
თარიღი:	XI- XII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24,3x18,5

Content:	Text from Old Testament
Date:	XI- XII cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	24,3x18,5

ტექსტი

1r */ თესლი თესლადი და მაგავსად მსგავსადი და ხე ნაყოფიერი, რომლისა თესლი მისი მისთანავე იყოს მსგავსად მსგავსადი ქუეყანასა ზედა და იყო ეგრე და გამოიღო ქუეყანამან მწუანვილი თივისაჲ სათესავი თესლი თესლად თესლადი და მსგავსად მსგავსადი და ხე ნაყოფიერი, რომელმან გამოიღო ნაყოფი, რომლისა თესლი მისი მისთანავე იყო თესლად თესლადი ქუეყანასა ზედა და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ და იყო მწუხრი და იყო განთიად დღე იგი მესამე.

გამოსლვათა სა[კითხავი]

ჰრქუა უფალმან მოსეს: რაჲსა ჰრიდებ ჩემდა მომართ? ეტყოდე ძეთა ისრაჱლისათა, რაჲთა აღეგნედ და შენ აღიღე კუჱრთხი ეგე შენი და განირთხ ჴელი შენი ზღუასა მაგას[100] … განიპოს ეგე და შევიდენ ძენი ისრაჱლისანი შორის ზღუასა[1] … და არა მე განვაფიცხო გული ფარაოჲსი დ[1] … … …

მისთაჲ და ყოველთა მეგჯტელთაჲ და შევიდენ ვიდიდო მე ფარაოჲს ზედა და ყოველსა ერსა მ … მისსა ზედა და ჰუნეთა მისთა ზედა დაგლ … … … მეგჯპტელთა, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელი ვ… ოს ზედა და ეტლებსა მისსა ზედა და ჰუ… …

განირთხა მოსე ჴელი თჳსი ზღუასა მას … … … ინა უფალმან ზღუასა მას ზედა ქარი სამხრით ღამე ყოველ… … …

ზღუაჲ იგი და განიპო წყალი იგი და შევიდეს ძე … ნი შორის ზღუასა მას ჴმელსა და იყო წყალი იგი მათდა … მარჯჳნით და ზღუდე მარცხენით. მისდევდეს მე [გჯპ]ტელნი იგი და შევიდეს კუალსა მათსა ყოველი ჰუნები ფარაოჲსი, ეტლები და მჴედრები მისი შორის ზღუასა მას, გან[ირ] თხა მოსე ჴელი თჳსი ზღუასა მას ზედა და

1v კუალად - მოეგო დღე ყოველ / წყალი იგი ადგილსავე თჳსსა, ხოლო მეგჯპტელნი იგი ივლტოდეს წყალთა მათ ქუჱშე და შთასთხინა ღმერთმან მეგჯპტელნი იგი შორის ზღუასა მას და მოაქცა (!) წყალმან მან და დაფარა ეტლები

* შენიშვნა: A 836 გ-ის სამივე ფურცელი სხვადასხვა ხელნაწერიდანაა. მას გამოეყო ორი ფურცელი ცალ-ცალკე ერთეულად: A 836 ვ და A 836 ზ.
A 836 ვ (გ-დან გამოყოფილია)

[100] მოხეულია (… … … წერტილებით აღნიშნული ადგილები მოხეულია ტექსტთან ერთად).

და მჴედრები და ყოველი ძალი ფარაოჲსი, რომელნი შესრულ იყვნეს დევნად მათდა ზღუასა მას შინა და არა დაშთა მათგანი არცა ერთი, ხოლო ძენი ისრაჱლისანი ვიდოდეს ჴმელსა მას შინა ზღუასა.

გამოსლვათა საკითხავი.

წარმოიყვანნა მოსე ძენი ისრაჱლისანი ზღჳთ მეწამულით და მოიყვანნა იგინი უდაბნოსა მას სურისასა და ვიდოდეს სამ დღე უდაბნოსა ზედა და არა ჰპოებდეს წყალსა, რაჲმცა სუჱს. მოვიდეს იგინი მერრანდ და ვერ ეძლო წყალი იგი მერრანისაჲ სუმად, რამეთუ მწა … ამისთჳს ეწოდა სახელი ადგილსა მას სიმწარესა დად … ერი იგი მოსესთჳს და იტყოდეს, ვითარმედ: რაჲ ვსუათ?

ღაღად-ყო … და უჩუჱნა მას უფალმან ძელი და შთააგდო იგი … დაატკბნა წყალნი იგი, მუნ დაუდვა ერსა მას … ვითარი და მუნ გამოცადნა იგინი და ჰრქუა მათ: … ნოთ ჴმაჲ უფლისა ღმრთისა თქუენისაჲ და სათნოჲ … და ყურად-იხუნეთ მცნებანი მისნი და და … ლნი მისნი, ყოველივე სენი, რომელი მოვავლინე მეგჳ … არა მოვავლინო თქუენ ზედა, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელმან … და მივიდეს იგინი სელიმდ. და იყო მუნ ათორ … ოჲ წყალთაჲ და სამეოცდაათი ხე ფინიკთაჲ. და და … ეს მუნ წყალთა მათ ზედა და აღიძრნეს იგინი სელიმით. [მ]ოვიდა ყოველი კრებული ძეთა ისრაჱლისათაჲ უდაბნოდ სინად. … ა არს შორის სელიმსა და შორის სინასა.

და აღდგენ მგალობელნი და იწყონ ამათ დასდებელთა თქუმად.

დასდებელი ჴმაჲ გ გუერდი გამოსჩნდი სოფელსა შინა, რომელმან დაჰბადე სოფელი, რაჲთა განანათლნე ბნელსა შინა.

A 836 ზ

რაობა:	ტექსტი ძველი აღთქმიდან
თარიღი:	XI- XII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24,2x18,3

Content:	Text from Old Testament
Date:	XI- XII cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	24,2x18,3

ტექსტი

1r */ იშვებ, ჶ, სიღრმე სიმდიდრისაჲ, სიბრძნისა და მეცნიერებისა … … … ისაჲ, ვითარ გამოუკულევლ არიან საქმენი მისნი და გამოუძიებელ გზანი მისნი.

მ ჴ~ი. თაყუანი-სცენ მას ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველნი წარმართნი ჰმონებდენ მას. და გალ~ვე დასდებელი. დიდებაჲ.

* A 836 გ- სამივე ფურცელი სხვადასხვა ხელნაწერიდანაა. მას გამოეყო ორი ფურცელი ცალ-ცალკე ერთეულად: A 836 ვ და A 836 ზ.

დასდებელი ა გ~ი. მოვედით, ქრისტეს შემოსილნო. მოვედით, ქრისტეს შემოსილნო ერნო, და იხილეთ საკჳრველი, რომელი ყოველსა ბუნებასა სეაძრწუნებს და განაცჳბრებს და სიწმიდით უგალობდით და ... ... თაყუანის-ცემდით, დღეს ბეთლემდ მოვალს მუცლად[ღებული] ქალწული შობად უფლისა და კრებულნი ანგელოზთანი წინა-უძღჳან. და ამას რაჲ ხედჳიდა [იოსებ], ღაღადებდა და იტყოდა: რაჲ არს ... ...

ესე უცხოჲ, ქალწულო, და ვითარ ჰშვე ძე უთესლოდ მუცლადღებული. აწ და.

და იგივე. დასდებელი. წარდგომაჲ დ~.

საშოჲთ მიღების. დასდებელი.

ჰრქუა უფალმან უფალსა ჩ~.

წინაჲსწარმეტყუელებაჲ ესაჲასი. და შესძინა უფალმან ... ... ხ... ... ...დ აქაზისა და ჰრქუა: ითხოვე თავისა შენისა სასწაული უფლისა მიერ ღმრთისა შენისა სიღრმედ მიმართ, ანუ სიმაღლედ.

და თქუა აქაზ: არა ვითხოო, არცა განვცადო ... ...

თქუა ესაია: ისმინე აწ, სახლო დავითისო, ნუ მც ... ...რსა თქუენდა ღუაწლისა შემთხუჱვად კაცთა და ვ... ... ... ღუაწლსა შეამთხუჱვთ უფალსა, ამისთჳს მიერ (მათ) მოგცეს თქუენ უფალმან სასწაული.

აჰა ესერა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ივჱმანოელ ... ... ბოსა და თ... ... ...ვასა (თაფლსა?) ჭამდეს ვიდრე ცნობადმდე მისსა გამორჩევად ბოროტისა დაუტევოს ბოროტი და შეიპყრას კეთილი.

და მრქუა მე უფალმან: მოიღე თავისა შენისა ქარტაჲ, გრაგნილი ახალი დიდი და დაწერე მას ზედა საწერელი

1v / ითა კაცისაჲთა ... ... მალედ ყოს ... ... წას ... ... ღე ... ... შოს ნავისა, რამეთუ მოწევნილ არს და მოწამენი მიყ... ... ...ნე მესტ მანნი კაცნი ურია მღდელი და ზაქარია, ზე ბარუქისი, და მოვიდა წინასწარმეტყუელისა მის ქალწულისა და მუცლად-იღო და შვა ძე.

და მრქუა მე უფალმან: უწოდე სახელი მისი, ადრე წარმოტყუჱნე და მსწრაფლ (ღ~რ) მოიღე ... ... ცნობადმდე ყრმისა მის ხადილსა მამისა გინა დედისა, წარმოიღოს ძალი დამასკოჲსაჲ და ნატყჱნავისა მარიაჲსაჲ წინაშე მეფეთა ასურასტანისათა.

ჩუენ თანა ... ... ღმერთი ცანთ წარმართთა და იძლიენით.

ისმინეთ დასასრულამდე ქუეყანისა.

და განძლიერებულნი ეგე იძლიენით.


უკუეთუ კუალად განსძლიერდეთ, მერმეცა იძლიენითვე და რომელი ზრახვაჲ იძრახოთ, განაქარვოს ღმერთმან. და სიტყუასა, რომელსა იტყოდით, არა დაადგრეს თქუენ შორის, რამეთუ ჱ. ... ... ვია

დასაბამსა, უფალო, ქუეყანაჲ დაამყარე და ქმნილნი ჴელითა ჴელთა შენთა ჩუენი არიან, იგინი წარჴდენ, ხოლო შენ ეგო უკუნისამდე. და ყოველნი, ვითარცა სამოსელნი დაძუჱლდენ და ვითარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი და იცვალნენ. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ და წელი ლ ... ... შენთა არაჲ მოაკლდეს.

ოდეს სადა ანგელოზთა ... ...ას ... ... ჰრქუა: სადამე დაჯჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჴთა შენთა ანუ არა ყოველნი არიან მოხარკე სულებ მსხრ ... ... მოვლინებულთა მათთა, რომელთა იგი დამკჳდრებად არს ცხორებაჲ. ამისთჳს ჯერ-არს უ... ... ...ჱსად კრძალვაჲ ჩუ-

ენი, რომელთა ესე გაუასმიეს, რაჲთა არა მოუძლურდეთ, უკუეთუ ანგელოზთა მიერ, რომელი-იგი ითქუა სიტყუაჲ, იქმნა მტკიცე და ყოველმან (ჯულისა გარდამავალმან).

A 923



რაობა:	მარხვანი
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	25,7x21,3
Content:	Triodion
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	25,7x21,3

ტექსტი

1r / ქმედისა მიმართ სახიერისა, ხოლო ჩუენ გიღაღადებთ, რომელი მოხუალ ჩუენთჳს ევნებად, მჴსნელო, დიდებაჲ შენდა! აჰა, სიძე მოახლებულ არს, ლამპარნი ყოველთა განვაბრწყინვეთ მოწყალებისა ზეთითა, რაჲთა სასძლოსა ზეცისასა შევიდეთ ჩუენ სიხარულით და სატანჯველთა მათგან განვერნეთ საუკუნეთა. და ღმერთსა ყოველთასა ჴმითა მადლობისაჲთა ვაქებდეთ, რომელმან გჳჴსნნა ჩუენ პირველისა მისგან დასჯისა ვნებათა მათ მიერ, რომელ თავს-ისხნა ნებსით თჳსით ჯუარსა ზედა სახიერებით და მოკლა მკლველი ჩუენი ბელიარ ყოვლად ძლიერითა ძალითა თჳსითა.

განცემად შენდა აღიჭურვის მზაკუარი მოწაფე კაცთმოყუარე ვეცხლისა სიყუარულითა ტყუექმნული და აღსჭურავს ერთა უსჯულოთა კრებულსა ზაკუვით შეპყრობად შენდა და ბასრობად და კიცხევად და ჯუარსა ზედა დამოკიდებად და სუმად ძმრისა და ნავღლისა და ეკლისა გჳრგჳნითა გჳრგჳნოსანყოფად, რომელნი ნეფსით თავს ისხენ, სულგრძელო, ლახურისა თანა და სამსჭუალითა დამსჭუალვისა, ამისთჳს გიღაღადებთ, რომელი მოხუალ ჩუენთჳს ვნებად, უფალო, დიდებაჲ შენდა.

სახიერო ღმერთო, ღირს-მყვენ მკჳდრ-ყოფად კრავთა თანა, რომელ არიან მარჯუენით კერძო შენსა, რაჟამს მოხჳდე საშინელებით ბევრეულითა მით სიმრავლითა გუნდთა მათ ანგელოზთაჲთა და დასჯდე საყდართა მათ საშინელთა მსაჯული სიმრავლით მიგებად ყოველთავე მას ჟამსა, შემრაცხე მე, უღირსი ესე, სარწმუნოთა მათ თანა მონათა, რაჲთა მესმეს ჴმაჲ იგი სანატრელი მოწყალებისაჲ და ესრეთ ღაღად-ვყო: უფალო, დიდებაჲ შენდა!

ქრისტე, სახიერო ღმერთო, მოსლვასა მას დიდებით მეორედ ზეცით ანგელოზთა გუნდითა, რაჟამს დასჯდე, შენ საყდართა მათ ზედა მსწრაფლ განკითხვისათა და ყოველთა მიაგებდე საქმეთაებრ, მაშინ ნუ დამადგინებ მარცხეთა(!) თანა თიკანთა ბოროტთა, არამედ მყავ წმიდა ცოდვათგან და შემრაცხე, მაცხოვარ, კრავთა მათ თანა მარჯუენით შენსა მდგომთა, რაჲთა ღირს ვიქმნე შესლვად სასუფეველსა შენსა და ვღაღადებდე: უფალო, დიდებაჲ შენდა!

ოდეს მოხჳდე დიდებით ანგელოზთა თანა, ძლიერთა, იესუ, დაიდგნე საყ-

დარნი და დასჯდე განკითხვად, მაშინ, მწყემსო კეთილო, ნუ განმაშორებ გზასა მარჯუენეთასა, რამეთუ უწყნი განდრეკილნი ალაგნი მარცხენეთა მათნი და ნუ წარმ(1v)წყმედ თანა თიკანთა მათ თანა მრუმეთა ცოდვისათა, არამედ შემრაცხე მარჯუეთა თანა ცხოვართა პირმეტყუელთა სამწყსოჲსა შენისათა და მაცხოვნე მე, მხოლოო სახიერო, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.

მოვედით, ჵ მორწმუნენო, და ვიქმოდით გულსმოდგინედ უფლისათჳს, რამეთუ განუყოფს მონათა სიმდიდრესა და ჰყოფს მათ თანა სიტყუასა და ითხოვს უმრავლესსა მადლსა ტალანტისასა, რომელსამე შეამკობს საქმითა კეთილითა და სხუასა მსახურებითა ბრწყინვალითა ნათლისაჲთა და განბნევითა მით სიმდიდრისაჲთა სიბრძნით გლახაკთა ზედა და ვითარცა განმგეთა მისთა მადლი მოიღეთ უფლისაგან, ვითარცა კაცთმოყუარე არს.

სიძე იგი დიდებული და შუენიერი უფროჲს ყოველთა კაცთა, რომელმან მომხადნა ჩუენ ტაბლასა მას სულიერსა ქორწილისა მისისასა, ამას ვედრებით შეუვრდი, სულო ჩემო, და ესრეთ უღაღადე ლმობიერად სულთა მით, სახიერ, განძარცუე მრჩობლი უშუჱრებაჲ ცოდვათა ჩემთაჲ და სამკაულითა მეცნიერებისა შენისაჲთა შეამკვე და გამომაჩინე მე ბრწყინვალედ, ქრისტე, შენსა სასუფეველსა, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.

ზეცისა სძალო უსძლოო, დიდებულო ქალწულო უხრწნელო მარიამ, შენ გნატრიან ყოველნი დაბადებულნი, რამეთუ სიტყუაჲ და სიბრძნე მამისაჲ შენ ზედა გარდამოჴდა, ვითარცა წჳმაჲ უვაღრეს ბუნებათა და გჳშევ ჴორცითა შემოქმედი ყოველთაჲვე ხილულთა და უხილავთაჲ. ამისთჳსცა ვითხოვთ შენგან, უბიწოო, დამიცევენ ჩუენ, მორწმუნენი, ბრძოლათაგან მტერისათა, რომელნი ვღაღადებთ და ვიტყჳთ: დიდებაჲ შობილსა შენგან!

სტიქარონი. ა გუერდი სიბრძნე ღმრთისაჲ. მო-რაჲ-ვიდოდა ქრისტე ღმერთი ნეფსითსა მას ჩუენთჳს ვნებასა გზასა ზედა, ეტყოდა მოციქულთა: აჰა, აღვალ იჱრუსალიმად და მსგავსად წერილისა ძე კაცისაჲ მიეცეს ჯუარცუმად და სიკუდილად. მადლით უკუე ჩუენცა განწმედილითა გონებითა ვიქმნეთ თანამოგზაურ მისსა და თანა ჯუარს-ვეცუნეთ და სოფლისა გემოთაგან. მოვკუდეთ მისთჳს, რაჲთა ვცხონდეთცა მის თანა და გუესმას, რაჟამს იტყოდის, არღარა ესრეთ, ვითარმედ მე აღვალ იჱრუსალემსა ქუეყნისასა ვნებად, არამედ ვითარცა აღვალ ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა და აღგიყვან ჩემ თანა ცათა სასუფეველსა და პირმშოთა შესაკრებელსა.

სხუანი გიხაროდენნი. უფალო, მომ… ვნებად განმტკიცებად თჳსთა მოწაფე

2r / გლახაკთაჲთა და მოიგე მეგობრად ღმერთი, რაჲთა დასდგე მარჯუჱნით მისსა, ოდეს იგი მოვიდეს დიდებით და გესმას შენ სანატრელი ჴმაჲ, ვითარმედ: მონაო, შეედ სიხარულსა ღმრთისა შენისასა, რომელსა ღირს-მყავ მე, მაცხოვარ, შეცთომილი ესე წყალობათათჳს შენთა აურაცხელთა. ჵ, სიძეო სულთა მოყუარეო, ღირსად სასძლოჲსა შენისა გამომაჩინენ ჩუენ და ნუ დამსჯი მათ თანა, რომელნი ჰრეკდეს ამაოდ და ღირს-გუყვენ შესლვად სიხარულით შემავალთა თანა ბრწყინვალითა და დაუშრეტელითა ლამპრითა და კეთილთა საქმეთა ნათლისა სამოსლითა რაჟამს იგი ინაჴ-იდგა მათ თანა და ვითარცა ღმერთმან მადლით განღმრთობილნი თანა იზიარნე წმიდანი და სათნონი შენნი, მათ თანა ჩუენცა შეგჳწყალენ, სახიერ.

წარდგომანი ა. ეზოსა კაიაფაჲსსა დღეს შეკრბა კრებული მედგარი დაუსჯულოჲ შენთჳს, მრავალმოწყალე, და სიკუდილსა შენსა განიზრახვენ ყოვლად ბილწნი და გულარძნილნი, ხოლო შენ თავს-იდევ ყოველივე, რაჲთა გუაცხოვნნე ჯუარ-

ცუმითა შენითა. შესაკრებელი ბოროტი დღეს შეკრბების შენთვის, ქრისტე, ყოვლად ძლიერო, რაჲთა მოგაკუდინონ შენ და თანამზრახველად განმცემელსა მას მოწაფესა მიჰხდიან, რომელსა-იგი ამხილე, რამეთუ არა ესვიდა წყალობათა შენთა. დღეს ნელსაცხებლად სურნელად შეიწირავ, ქრისტე, მიჰრონსა მეძვისასა და ფერჴთა შეხებითა განსწმედ ბრალთა მისთა სიმყრალესა და მიჰფენ სურნელებასა მისთა. ჩუენცა გუაცხოვნენ, სახიერო, ძრწოლით მადიდებელნი შენნი.

სხუანი ბ. გუერდი მჯდომა.

დღეს ბოროტი შეკრბა კრებული და შენთჳს იზრახა ზრახვაჲ სიცრუვისაჲ. დღეს შიშთვილსა იუდა დაზავებით წინდად მიიღებს და კაიაფა უნებლიეთ აღიარებს, ვითარმედ ერთი ყოველთათჳს ნებსით მოკუდების. ჵ, მჴსნელო ჩუენო, ქრისტე, დიდ არს წყალობაჲ შენი და უსაზღვრო სულგრძელებანი შენნი, რომელნი ჩუენისა ჴსნისათვის თავს-ისხენ, ამისთვის ვღაღადებთ: დიდებაჲ და მადლობაჲ ღვთივბრწყინვალეთა სიტკბოებათა შენთა ძალთა უფალო. რაჟამს პილატე მჴსნელი ჩუენისათჳს დაჯდა მსაჯულად წარმდებად უგუნური, მაშინ ყოვლად მედგარმან ჴელნი წყლითა დაიბანნა, ხოლო გულითა შეგინებაჲ შეიწყნარა და მეყსეულად თავი თჳსი შეჰრთო უღმრთოთა და მსგავსად ბრალეულთა მისცა ჯუარცუმად უფალი, ხოლო მჴსნელმან სულგრძელებით თავს-იდვა და ჩუენთჳს სიკუდილი ნებსით მიითუალა, რომლითა იგი (2v) იჴსნა სოფელი ხრწნილებისაგან, ვითარცა ღმერთ არს და აცხოვნნე სულნი ჩუენნი. უსჯულოჲ ერი შეკრბა შენთვის, მეუფჱო, და წარდგეს წინაშე პილატესსა და ჴმობდეს მკლველებრ, ვითარმედ: ჯუარს-აცუ იესუ, რომელმან-იგი კურნებანი აღასრულნა შაბათთა და ქლამინდი მეწამული შეგმოსეს შენ და წარმდებად გცემდეს შენ თავსა ლერწმითა, მჴსნელო, და გნერწყუვიდეს ურცხჳნოდ უკეთურნი და ჯუარსა შეგსმჭუალეს და ძმარი ნავღლითა აღზავებული გასუეს უმადლოთა მათ და მედგართა, რომელნი-იგი უდაბნოს გამოჰზარდენ.

ქრისტე, რომელმან ცრემლნი მეძვისანი და სიტყუანი მისნი წადიერებით თქუმულნი წყალობით შეიწირენ, შეიწირე ჩუენიცა, მრავალმოწყალე, ვედრებაჲ და მადლი შენი მომმადლე და განბანე მწინკული სულისა ჩუენისაჲ და ნაბრძჳლნი გულისა ჩუენისანი განწმიდენ და სურნელ-მყავ მიჰრონთა შენთა მიერ და ღირს-მყავ, სახიერ, დაუდუმებელად დიდებასა შენსა, სულთა და ჴორცთა ჩუენთა მკურნალო, ქველისმოქმედო უფალო, დიდებაჲ შენდა!

იბაკოჲ დ. გუერდიი ა. არაჲ დააკლ.


რომელმან-ეგე უწოდე მეძავსა ასულად ქრისტე, ქრისტე, ჵ ყოვლად ძლიერო და სახიერო, შვილად ნათლისა გამომაჩინე უღირსი ესე, დაალმე გულსა ჩემსა განფიცხებულსა გემოთა მიერ და მიჴსენ, სახიერო, მწჯრისა მისგან საქმეთა ჩემთაჲსა.

ედემი. სიტყჳთა უფლისათა, ვითარცა მიჰრონთა პკურებლად ყოვლით კერძოვე ჰხედვიდა, რაჲ მეძავი და სულსა სულნელებისასა მიმფენელად მორწმუნეთა საქმეთა თვისთა სიმყრალე მოიძაგა, გულისჴმა-ყო, რაბამნი ძჳრნი ელიან არაწმიდათა და მძჳნვარე არს მეძავთათვის განმზადებული ტანჯვაჲ, რომელთა პირველი მე ვარ მედგარი და მიმელიან ტანჯვანი და გუემანი, რომელთაგან შეძრწუნდა და იჯმნა არაწმიდებისაგან. მეცა ვძრწი, ხოლო ვჰგიე მწჳრესავე საქმეთა ჩემთასა.

ხუედრნი. გძა. ბ. კლდესა ზედა. კრებული უსჯულოთაჲ შეკრბა ამაოდ და განიზრახეს ზრახვაჲ უკეთურებისაჲ, რაჲთა დასაჯონ შურითა მაცხოვარი, რომელსა უღაღადებთ, რამეთუ არაჲვინ არს წმიდაჲ შენსაგა. ბოროტად განზრახვითა უსჯულოთა მათ უმსჯავროდ მოკლვაჲ ღმრთისაჲ დაამტკიცეს დღეს და ვითარცა ბოროტი მისცეს მართალი, რომელსა უღაღადებთ, რაჲთა არაჲვინ, არაჲვინ არს წმიდაჲ.

A 929 ა

რაობა:	თვეთა მეტყუელება
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	17x12,3
Content:	Calendar
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	17x12,3



ტექსტი

1r */ ზედა ნაწილში განირჩევა რამდენიმე ასო: ა, ზ, იგ, იგ, ა, ა, ბა, ა, კ, ლისაჲ, ა, ზა, ია, იგ


… ა …კდონბერსა … წმიდისა დიდისა მოწამისა დემეტრესი
… ან … ზ
… ი … იდ
…ა ნოენბერსა … კრებაჲ წმიდათა მთავარანგელოზთა
…ა ნოენბერსა … წმიდისა დიდებულისა გიორგისი
…ა ნოენბერსა … წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ
…ა ნოენბერსა … ტაძრად მიყვანებაჲ ღვთისმშობლ …
…ა … ზა
… თ … ია
…ა დეკენბერსა … წმიდისა ბარბარაჲსა
…ა დეკენბერსა … წმიდისა საბასი
…ა დეკენბერსა … წმიდისა მამისა ჩუენისა ნიკოლოზისი
1v
…ა დეკენბერსა … მუცლადღებაჲ ანნაჲსა
…ა კუალად ქრისტეშობისა წინადღე
…ა დეკენბერსა … ქრისტეშობაჲ
…ა
… ი
თუესა იანვარსა …ლინა წინა დ…
და წმიდისა ბასილისი …წყობილი
და კუალად განცხადებისა წინა დღე …
თუესა იანვარსა გამოცხადებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი
…ა … კუალად …
…ია … იგ
თუესა ფებერვალსა ბ, მიგებებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი
… ბათსა პირველსა წმიდათა მარხვათასა წმიდისა თეოდორესი

* **მინაწერი:** მინაწერი შერეული დამწერლობით (ნუსხური და მხედრული): „წმიდაო გიორგი, შეიწყალე იოანე ამას… 2v"
ნაწერი გადაშლილია, თითქმის არ იკითხება, რთული გასარჩევია სტრიქონთა რაოდენობა, სინგურით ნაწერი თითქმის მთლიანად გადაშლილია.

…ა … ზა … იგ
… ამი იგ
თუესა მარტსა თ, წმიდათა ორმეოცთაჲ
… შაბათსა პირველ ხარებისა დაუჯდომელნი და თანა
მათითა განგებითა
და კუალად ხარებისა წინა დღისაჲ
თუესა მარტსა კე, ხარებაჲ, ოდეს-იგი ახარა გა
ბრიელ მთავარანგელოზმან იგი წმიდა ქალწულსა მარიამს.
2r
თუესა აპრილსა ქრისტეს …
და … თა ია …
თუესა აპრილსა კგ, წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი
და გალობილი ბზობისა ყოველი შუჱნიერად …
და ეგრეთვე ვნებისა კჳრიაკე შეწყობით
და შუჱნიერად, უფალო, ღაღადყავ სტიქარონ თხ…
თა წარდგომა, გალობა გამოავლინო …
მირიგებით ყოველგან იბაკოჲთა
და კუალად ეგრეთვე ამაღლებისაჲ ყოველივე
და მოსლვაჲ სყულისა წმიდისაჲ, რომელ არს ჯ…
ღარჯობაჲ
თუესა მაჲსსა ქ …ზა … იდ
… ი …
თუესა მაჲსსა ჱ, წმიდა იოანე მახარებელისა და ღვთისმეტყუელისა
თანა გალობილი ჰპოო კვ სეკდენბერსა
თუესა ი… … ზ …
… თ
თუესა ივნისსა კდ, შობაჲ იოანე ნათლისმცემელისაჲ
თუესა ივნისსა კთ, წმიდათა პეტრესი და პავლესი
[ბოლო ორი ხაზი არ იკითხება]
2v / არ იკითხება

A 929 ბ

რაობა:	საგალობელი
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	15,5x11
Content:	Chants
Date:	XV c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	15,5x11



ტექსტი

1r */ სიმრავლე ვარსკულავთაჲ გამორევად და ვითარ
უძლო შეხებად თავსა შემოქმედისა მათისასა, ძრ
წოლით ჴმობს წინამორბედი და ღაღადებდა კურთხეულმან.
თანამოსაყდრე ვარ მამისა და სულისაჲ და ანგელოზ
თა მჴედრობაჲ ძრწოლით მმონებს მე, არამედ ქუაბ
სა შინა უნდოსა დახევნულ ვიქმენ, ვიშვე რაჲ ბე
[თლ]ემს სახარებით და აწ შენცა მავასხე შიშით მარჯჳენაჲ,
რაჲთა განბანითა ჩემითა განვბანო სული ბრალთაგან.
ვაქებდეთ, ერნო, შობილსა ქალწულისაგან და იორდა
ნეს ნათელღებულსა სიმდაბლით და ვიჴმობდეთ
მისსა მიმართ, მეუფეო ყოველთაო, დაუშჯელად ღირს-მყვენ
მიწევნად აღდგომასა შენსა საფლავით, რაჲთა პირველად
ვყოთ. კურთხეულ არს აღდგომაჲ შენი, განმაცხელებნელი სოფლისა.
სხუანი ბ. თავი იშვა. საუკუნეთა უწინარეს შობილი ღმრთისა
სიტყუაჲ განჴორციელდა ქალწულისა საშოსა, მადლით თაყუანის-ვს
ცეთ, რომელიცა გამოჩნდა კაცთა შორის სიმდაბლით და ივნო
… თა იჴსნა კაცთა …ენული ი …


1v

აღსწერს მამაჲ ღმრთისაჲ ზღუამან იხილა და ივლტოდა და
იორდანე უკუნ-იქცა პირისაგან ღმრთისა, რომელმან სათნო იყო
ცხორებაჲ კაცთა ნათლისაჲ. უგალობ გ. ღელვათა დაანთ.
ნათლისა საღმრთოჲსა ელვანი ღმრთაებისა თჳსისანი იორ
დანესა გამოაცხადნა ქრისტემან და სოფელი შეამკო და შვ
ილებისა ბრწყინვალებაჲ კაცთა შეჰმოსა, რომელნი მჴურვ
ალედ აქებენ გამოჩინებასა მისსა. ქრისტე დასწუა
ვს შეცოდებულთა ჩუენთა სახარებითა მდინარეთა შინა იორ
დანისათა დღეს, ხოლო განგუახლებს ჩუენ და მეორედ დაგ
უბადებს და ღმერთ-გუყოფს მადლითა გამოჩინებისა
თჳსისა მაქებელთა და მგალობელთა. იორდანისა ნა
კადულთა შინა დაანთქამს დღეს ცოდვათა ჩუენთა ქრისტე
და სიმაღლედ საღმრთოდ მადლისა აღგჳყვანებს, გან
წმედილთა და განათლებულთა სულითა გამოჩი
ნებისა თჳსისა მაქებელთა და მგალობელთა, რომელნი თანა
ხატ ვექმნენით ღმერთსა მადლით წყლისა მიერ შეწევნ
ითა სულისა წმიდისაჲთა გამოუთქმელისა მიერ …

* **მინაწერი:** გი (ზედა მარცხენა კუთხეში) 2v.

A 1090 ა

რაობა:	სახარება
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	8,4×17,6



Content:	Gospel
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	8,4×17,6


ტექსტი

იოანეს სახარება 9, 20-21, 27-28, 36-37

1r / ესე არს ძეჱ ჩუენი და რამეთუ ბრმაჲ.
იშვა, ხოლო აწ ვითრ ჰხედავს, ჩუენ
არა ვიცით, ანუ ვინ აღუხ
ილნა თუალნი, ჩუენ ა… უწ
ყით, მაგას ჰკითხეთ, ჰასა
ი აქუს, ეგე თავისა თჳსისათჳს
ტყოდენ. (20-21)
(მეორე სვეტი)
არა გრწამს …
ბავს კუალად …
თქუენცა გნებავს [მოწაფე]
ყოფად მისა
ხოლო იგინი აგინ[ებდეს]
…ყოდეს. შენ …
წაფჱ [მისი] (27-28)
1v
ვინ არს იგი, უ …
… იგი …
…იესუ: იხილე იგი …
[თ]ანა, იგი არს …
…ამს, უფალო …
…ცა მას …
… ს… (36-37)
… მას ყოველი …
…ულსა დ…
…ა ერთისა …
…სავნი ჰ…
…ად ყოველსა …
…ულნი …

A1090 ბ

რაობა:	სახარება
თარიღი:	XIII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	19,7x20
Content:	Gospel
Date:	XIII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	20,0x19,7



ტექსტი

სახარება იოვანესი (20, 8-25)

1r / … ვად და იხილეს და ჰრწმენა, რამეთუ არღა იცოდეს წერილისაჲ, ვითარმედ: ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომაჲ. წარვიდეს უკუჱ კუალად თჳსაგან მოწაფენი იგი.

ხოლო მარიამ დგა გარეშე საფლავსა მას თანა და ტიროდა. და ვითარ ტიროდა, შთახედა საფლავსა მას და იხილნა ორნი ანგელოზნი, სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჴით, სადა-იგი იდვა გუამი უფლისა იესუჲსი.

და ჰრქუეს მას ანგელოზთა მათ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? ხოლო მან ჰრქუა მათ, რამეთუ, აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არა უწყი, სადა (მეორე სვეტი) დადვეს იგი.

ესე რაჲ თქუა, მიიქცა გარე და იხილა იესუ მდგომარე და არა უწყოდა, რამეთუ იესუ არს. ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, რაჲსა სტირ? ვის ეძიებ? მას ეგონა, ვითარმედ მემტილე იგი არს, და ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვიღო იგი. ჰრქუა მას იესუ: მარიამ! მიიხილა მან გარე და ჰრქუა მას ებრაელებრ: რაბბუნი, რომელსა ჰრქჳან მოძღუარ, და მირბიოდა შემთხუევად მისა.

ჰრქუა მას იესუ: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა (1v) ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა.

მოვიდა მარიამ მაგდალენელი თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას.

და ვითარცა შემწუხრდა დღჱ იგი ერთშაბათისაჲ მის და კარნი იგი დაჴშულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი შეკრებულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა.

მოვიდა იესუ და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა! და ვითარცა ესე თქუა, უჩუჱნნა მათ ჴელნი თჳსნი და გუჱრდი მისი.

და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი. ჰრქუა მათ იესუ კუალად: მშჳდობაჲ თქუენ თანა, ვითარცა მომავლინა მე მა(მეორე სვეტი)მა…ინებ თქუენ. და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ.


უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ, და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ.

ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანნი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა, ოდეს-იგი მოვიდა იესუ, უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ ჩვენ უფალი.

ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა ვიხილო ჴელთა მისთა სახე იგი სამსჭუალთაჲ და დავასხნე თითნი ჩემნი ადგილ...

A 1090 გ

რაობა:	საგალობელი
თარიღი:	XIII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22,7x17,2
Content:	Chants
Date:	XIII c.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	22,7x17,2



ტექსტი

1r / ხუავი ლამპართაჲ და აღინთნეს და …
და სუფევნ ბრწყინვალედ ზეცისა ძალთა თანა, კეთილმან
დედამან ღმრთისმოყუარე იგი შვილი თჳსი მჴართა აღიზიდა და
ტკბილად ეტყოდა: მოედ, შვილო, და მოიღუაწე ღუაწლი კეთილი
მოყუასთა შენთა თანა. ვიდრე სულიერთა იყო, მჴნემან დედა
მან აღიკიდაძე თჳსი და ეტყოდა მას: უმძიმეს სიკუდილისა აღ
მიჩნდა ცხორებაჲ შენი, არამედ მოედ ტკბილო ჩემო, და შეერთე
მათ და ვიდიდო მე, ვითარცა დედაჲ მოწამისაჲ, რამეთუ ვხედავ გჳრგჳნ
თა მათთჳს განმზადებულთა და ღმობილი ცრემლით გევ
ედრები შენ, ისწრაფე და მოედ, რამეთუ მელმის მე, უკუეთუ შემდგომად
მოყუასთა წარსდგე შენ ღმრთისა, რომელმან-იგი შენთჳს ჯუარცუმაჲ თავს-იდვა
რაჟამს იგი აღემატა. ქრისტეს ღუაწლით შემოსილნო, ღუაწლსა თქუენ
სა ჴსენებითა ყოვლად დიდებული მარხვაჲ უბრწყინვალეს გამოა
ჩინეთ. აწ, მჴნენო ორმეოცნო, და ვნებათა ქრისტესთა მიმ
სგ ავსებითა წმიდა-ჰყოფთ ორმეოცთა, ამათ დიდებულთა დღ
ეთა ახოვნად წამებითა და ძჳრ-ძჳრთა ტკივილთა
დათმენითა. ამისთჳს გევედრებით, მეოხ-გვეყვენით ჩუენ, რაჲთა მშჳდო
ბით ღირს ვიქმნნეთ მიწევნად და თაყუანისცემად მესა
მისა დღისა აღდგომასა ქრისტეს მჴსნელისასა, რამეთუ გაქუს თქუენ
დიდი კადნიერებაჲ, ნეტარნო, წინაშე მისსა ზეცას და ისმენს ვედრე
ბათა თქუენთა მაცხოვარი დიდებულთაჲ.
სხუანი დ გუერდი. ედემნი.
მოითმენდეს ტანჯვასა ჴორცთასა. იხარებდეს სულითა მჴნე
ნი მარტჳლნი და ესრეთ იტყოდეს: არა სამოსელთა აღვიძურცით,

არამედ ძუელსა მას კაცსა განვაგდებთ ჩუენგან.
ჲ, ქრისტეს მჴედარნო, ფიცხელ არს ნეფხვაჲ, არამედ ჰამო
არს სასუფეველი. ძნელ არს ყინული, არამედ ტფილ არს
ფუფუნებაჲ სამოთხისაჲ. მცირედ მოვითმინოთ, რაჲთა
გჳრგჳნნი დიდებისანი დავიდგნეთ, ძმანო, და ნუმცა მოვ
მედგრდებით, რაჲთა ვსუფევდეთ ანგელოზთა თანა ქრისტეს მიერ,
უფლისა და მაცხოვარსა სულთა ჩუენთაჲსა.

1v / … ლთა მათთა და შერბიოდეს ტბასა
ახოვნად მჴნენი მარტჳლნი, და ჴმობდეთ სამოთხი
სათჳს, რომელ წარწყმიდეთ. ნუ ვჰრიდებთ განხრწნად
თა ამათ სამოსელთა და ჴორცთა, ახოვანნო, რომელნ-ესე
გუელისა მიერ შევიმოსენით, პირველ აწ განვიძარ
ცუნეთ ყოველთა აღდგომისათჳს და შეურაცხ-ვყოთ ნეფხ
ვაჲ და ყინელი, რაჲთა გჳრგჳნნი დიდებისანი დავიდგნეთ,
ძმანო, და ნუმცა მოვმედგრდებით, რაჲთა ვსუფევდეთ
ანგელოზთა თანა ქრისტეს მიერ უფლისა და მაცხოვრისა სულთა ჩუენთაჲს.
ვითარცა საშუებელთა ხედვიდეს ტანჯვათა მოწამენი და აღის
წრაფდეს ტბასა განყინებულსა, ვითარცა აბანოსა და ჴმო
ბდეს: ნუ ვძრწით ზამთრისა ამისგან, რაჲთა განვერნეთ
გეჰენიისაგან დაიწჳნ ფერჴი, რაჲთა იმოთხვიდეს უკუნისამდე.
დაირღჳნ ჴელი, რაჲთა აღვიპყრობდეთ უფლისა მიმართ სიწმიდით
შევიტკბოთ სიკუდილი, რაჲთა გჳრგჳნნი დიდებისანი დავიდგნეთ,
ძმანო, და ნუმცა მოვმედგრდებით, რაჲთა ვსუფევდეთ ანგ
ელოზთა თანა ქრისტეს მიერ უფლისა და მაცხოვრისა სულთა ჩუენთაჲსა.
ოხითაჲ ჴმაჲ ა. წყლულებანი იგი, უფალო, წმიდათანი, რომელნი შენთჳს
თავს-ისხნეს, მიიხუენ მეოხებად და ყოველნივე სენნი ჩუენნი განკურ
ნენ, კაცთმოყუარე, გევედრებით.
წარდგომანი. დ გუერდი. ერთსა მას წმიდათა
განსა მათდა მიქცევად ჰგონებდეს და ქრისტე სულიერღა
იყო, დაუტევეს უსჯულოთა მათ, ხოლო დედამან მისმან ური
აბრაჰამისი აღიღო, აღიკიდა ძე თჳსი, ევედრებოდა
მას და ეტყოდა: შვილო, იქმენ შენ მეორე ისაკ და მიითუა
ლე მოკლვაჲ მოყუასთა შენთა თანა მათ ყოველთა ოხითა,
ქრისტე ღმერთო, შეგჳწყალენ ჩუენ. ქრისტეს მჴედარ იქმნენით წამები
თა და მტერი დაამჴთ მოღუაწებითა და წინასწარმეტყუელისა
სიტყუანი საქმით აღასრულენით, რამეთუ ახოვნად განჰ
ვლეთ ცეცხლი და წყალი და განსუენებად ჰპოვეთ
ცხორებაჲ საუკუნოჲ და გჳრგჳნნი ზეცით მოიხუენით და კრე

2r / ბულსა თანა უჴორცოთასა იხარებდი სანატრელნო,
შემოსილნო ყოვლად ქებულნო, ევედრენით ქრისტესა ღმერთსა,
შენდობაჲ მოანიჭოს, რომელნი სურვილით დღედ …
ოთხრიცხუედითა ათეულითა ოთხთა …
იღუაწეთ, წმიდანო მოწამენო, და მტერსა მძლე ექმნე …

ერისა და ქვათა და ცეცხლისა და წყლისა და მცხუნ
ვარებასა ლუსიაჲსსა ახოვნად ერეოდეთ …
თჳსცა გრჳრგჳნნი ძლევისანი და ზეცისა ჩინებისანი ღი
რსებით მოიხუენით, ვითარცა მჭედართა ქრისტესთა, ორმეოცნო
მოწამენო ევედრენით ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა ცოდვათა შენდობაჲ მოანი
ჭოს, რომელნი წადიერებით დღესასწაულობენ ჴსენებასა თქუენსა.

კონდაკი ბ. გუერდი. ჩუენთვის აღას. ყოველივე მჭედრობაჲ სოფლისაჲ
დაუტევეთ და ზეცათა მეუფესა შეუდეგით, ღუაწლით შემო
სილნო უფლისანო ორმეოცნო, ცეცხლი და ყინელი განჰვლ
ეთ თქუენ, სანატრელნო, და ღირსებით მიიღეთ დიდებაჲ იგი ზეცათაჲ
და სიმრავლე გჳრგჳნთაჲ. საყდარსა მას თუალთშეუდგ
ამსა მჯდომარე, რომელმან განჰმარტა ნათელი, ვითარცა კარავი
და შეკრიბნა წყალნი შესაკრებელსა მათსა, რომელმან ყოველივე
არაარსისაგან არსებად მოიყვანა და ყოველთავე მისცემს სამ
შჳნველსა და სიცოცხლესა, რომელი შეიწირავს მთავარ
ანგელოზთა გალობასა და ანგელოზთა თაყუანისცემასა და
ყოველთა მიერ დიდებისმეტყველებასა ქრისტე ყოვლისა მპყრობელი და დამბა
დებელი და ღმერთი ჩუენი. მას შეუვრდები უღირსი და მიუპ
ყრობ ვედრებასა, რაჲთა მომანიჭოს მე მადლი სიტყუათაჲ, რაჲთა
შეუძლო მე ღირსებით ქებად წმიდათა მისთა, რომელნი-იგი მან
მძლედ გამოაჩინნა და მიანიჭა მათ დიდებაჲ იგი ზეცათაჲ და სი
მრავლე გჳრგჳნთაჲ. უგალობა ა. სასწაულითა იჴსნა.
გუნდსა რჩეულსა ქრისტეს მოწამეთასა ღმრთივ გჳრგჳნოსანსა
ქებად განმზადებულ ვარ და ორმეოცთა ჴსენებასა წმიდასა
საღმრთოჲთა გალობითა წლითი-წლად ბრწყინვალედ აღვა

2v / … რამ, ეთუ დიდებულ არს უფლისა ამის ყოველი განსუენებაჲ ორმე
… … რ-ყვეს და აღირჩიეს სეხნად მჴსნელისა
… ჯდა აწ მაღალთა შინა მოქალაქობენ ღმრთივ
… ქრისტეს ღმრთისა წინაშე. მოიძაგენით ქრისტესთჳს, მოწამენო,
ჴ… … სოფელი და საწუთროჲსა ამის საშურველისა
თანა განიძარცუეთ დღეს ძუელი კაცი საქმითურთ
და [უ]ხრწნელებისა სამკაულად ქრისტე შეიმოსეთ თქუენ. ვერ შემ.
განძლიერდასა. ღმერთო, მოხედენ. შუენიერებაჲ ჴორცთაჲ და საფასენი და მჭედ-
რობაჲ და ცხორებაჲ უგულებელს-ყვეს ფრიად გულქველად
წმიდათა ორმეოცთა და ამის ყოვლისა წილ განისაკუთრეს
და დაიმკჳდრეს მეუფებაჲ ქრისტესი. ბრძანებისაებრ მძლავ
რთაჲსა მძჳნვარებით ესროდეს რაჲ ქვითა წმიდათა ორ
მეოცთა, სულისა მიერ წმიდისა სროლაჲ იგი მბრძანებელთა
მათ მიმართ უკუნ-აქციეს და უვნებელად დაიცვნეს მოწამენი.
გუელი გულარძნილი ბაგითა უღმრთოთაჲთა იტყოდა
გმობასა შენსა, დამბადებელო, არამედ ღმრთისმბრძოლი იგი პირი
მისი შეიმუსრა ქვათაგან, რომელნი-იგი მოწამეთათჳს შეჰმზად
ნა უკეთურმან. წმიდაჲ წმიდათაჲ.

მესმასა. პირველ აუწყა. უსჯულოებით.
და სიცოფით აღმითქუამთ დაჭირვებისა მიზეზთა
საფასეთა. ჱ უღმრთონო და სავსენო ბოროტითა, ეტყოდეს
მძლავრთა წმიდანი მონამენი და უგალობდეს ქრისტესა მეუფესა. ქალწული წმიდაჲ.
წინა-უყოფდეს მდევარნი უსჯულონი ღუაწლისა მძლეთა
წმიდათა ორმეოცთა აღლესულსა მახჳლსა მჴეცთა და
ცეცხლსა და ყოველსავე ტანჯვათა სიმწარესა და ჯუარსა ზედა
დასჯასა და სიკუდილსა. ჰრქუეს უსჯულოთა ღუაწლისა მძ
ლეთა, მჴნეთა გეჰენიისა ცეცხლისაგან გუეშინის და
იგი არს საშინელ ჩუჱნდა, ხოლო ესე ჩუჱნ თანა მონა, მეუფისა ჩუჱნისა
და ვითარ ჯერ-არს შიში მისგან, უღმრთონო. ჴმა-ყვეს მარტჳლთა
თა ახოვნითა გულითა და უშიშითა გონებითა ძლ
ერად ჭრიდით ასოთა ჩუენთა მოგუკუეთენით ჴელნი.

3r / დაწუვნით ფერჴნი, რამეთუ მოვ…
ლნი საუკუნოდ.
ღამითგანსა.
საცთურთ… [ა]მათ
თა მდევართაჲთა ჰაე… …
ვითარისასა ღამესა ბნელსა ნეფხ…
დგომად დასჯილნი უგალობდეს მრ…
ისაჲთა ქრისტესა ღმერთსა. ქრისტეს მჴედართა წმიდათა ორმეოცთ[ა]
ნვაჲ იგი წრტიალი დაითმინეს ტბასა მას შინა მხ…
თა მადლობით სასოებითა საღმრთოთა გჳრგჳნთაჲთ…
მტერი დაწუეს ცეცხლითა თმენათაჲთა. საცინე…
მნა და მოიშთო ვეშაპი, დაბუდებული წყალთა შინა …
ქრისტეს მჴედართა მჴნეთა ორმეოცთაგან და ძალი მისი …
ხრწნილებისა მშობელი განსთქდა და განიბასრა ყოვლად ბოროტი …ხარებისა.

ღაღატყავსა.
შთაჴდა იო. მხიარულებით წარიტაცა მზაკუვარმან,
ვითარ ედემით პირველი იგი კაცი და ათორმეტთაგან იუდა განმ
ცემელი, ეგრეთვე აქა მჴნეთა ორმეოცთაგან მეოხი
იგი მძჳნვარედ დაცემული.
უგლიმ არს ბილწი და
ამაოდ იზახებს, რამეთუ ვითარ-იგი პირველ ამისსა ავაზაკისა და
მათე მეზუერისა, ეგრეთვე აქა მცველისა ჩინებისა
ჰრცხუენა მძლავრსა მას ბოროტთა დასაბამსა.
სძალო წმიდაო.

უგუნურ არს და ღირს მწარედ გოდებისა ორთავე
ცხორებათა დაკლებული მეოტი, რამეთუ ცეცხლმან დაჰჴსნა და დაარღჳა
და წარჰჴდა რაჲ სული ყოვლად საწყალობელსა და
უშრეტელსა ცეცხლსა დასჯად მიეცა.

კურთხეულარსა. ძლ. სიყუარულითა.
რაჟამს იხილნა ორმეოცნი გჳრგჳნნი, განჰკრთა მცველი
მარტჳლთაჲ და მყის განიშორა ცხორებაჲ ესე და ქრისტეს სურ
ვილითა ფრთოვან იქმნა და წმიდათა თანა ჴმობდა მამათა ჩუენთა
აბანოსა რაჲ სულთა განმხრწნელსა შთაჴდა, მყის მოკუ
და განდგომილი, ხოლო ღმრთისმოყუარემან მან მცველმან მიიტაცა ცხორებაჲ
და უხრწნელებაჲ და ქრისტეს მარტვილთა თანა ჴმობდა: ღმერთო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ!
ცეცხლი უნივთოჲ აღეგზნა გონებასა მჴნეთა ორმე

3v / …თა სიბორგილე და სიბრმე მრა…
ბოროტთაჲ, ხოლო შენ, ქრისტე, გიღაღადებდეს,
…ლე არს და ყოვლითურთ ღმრთივ
ბ… და წინააღმდგომთა ნივთთა
შეამკობს გჳრგჳნთა მიერ, მაცხოვარ, და
უხრ[წნელ]ებითჴმობენ, ღმერთო ჩუენო, კურთხეულ ხარ შენ.
ერთი ძე.
აკურთხევდითსა.
ძლ… ნი ბაბი. უკეთურებით თანაშემწედ იჴუმინა და
… ბელთა ყოველთა ბუნებანი მტერმან ბოროტმან, ჰბრძოდა რაჲ მო
[წა]მეთა და ყოველთა მიერ სირცხჳლეულ იქმნა, რამეთუ მჴნენი
აკურთხევდეს ქრისტესა.
ღმრთივგონიერმან დედამან სანატრელმან ნაშო
ბი თჳსი მჴართა ზედა აღიღო და ნაყოფი იგი ღმრთისმსახურე
ბისაჲ და მოწამეთა თანა მოწამე შეწირა მამათმთავარსა
მსხუერპლისა მობაძავმან.
ასონი თქუენნი უწყალოდ
შემუსრვილნი ქრისტეს ღმრთისათჳს ცეცხლითა მსხუერპლად საღ
მრთოდ მრგულიად დასაწუველად შეიწირნეს ღმრთისა
და ანგელოსთა თანა ჰსუფევთ, მარტჳლნო, და უგალობთ მას
ჴმითა სასმენელითა.
ცხორებისა მის დაუსრულებელი
სა იქმენ მალემსრბოლ, მოგზაურ, ძეო ჩემო, ეტყოდა
ქრისტესმოყუარე იგი დედაჲ შვილსა თჳსსა, რამეთუ ვერ თავს-ვიდებ,
რაჲთა შემდგომად სხუათასა წარსდგე ღმრთისა.
შენ, უბიწოო.
ადიდებდითსა.

ძლ. ჯერ არს დუმი.
განიშიშულენით და ქვითა იგუემენით
ჰაერთა ნეფხვაჲ და წყალთა შეყინებაჲ წჳვთა შე
მუსრვაჲ და ცეცხლითა განლევაჲ და მდინარესა შთა
ბნევაჲ მიითუალეთ ქრისტეს ღმრთისათჳს, წმიდანო ორმეოცნო.

აქუნდა მარტვილთა ჯუარი კუერთხად ძლევისად და ლ
მობიერად ჴმობდეს უფლისა მიმართ: ჰ, მეუფეო ღმერთო, ყოვლად ძლიერო,
ორმეოცნიმცა გჳრგჳნოსან ვიქმნებით მარჯუენისაგან
შენისა საუფლოჲსა.
სატკივარ იყო და სალმობითა
სავსე ყინელი და ნეფხვაჲ, რომელ დაითმინეთ, ქრისტეს მჴე
დარნო, წმიდანო ორმეოცნო, არამედ ტკბილთა აბრაჰამის წია

4r / ოთა მათ წილ შეგი …

სძლიეთ ღუაწლთა, მჴნენო, და ჴელთაგან ს…
ნნი ძლევისანი დაიდგენით, აწცა ითხოე …
მშჳდობაჲ და ძლევაჲ ღმრთისმსახურთა მეფეთა ჩუენთა ევე…
ჩუენთა ცხორებაჲ, ორმეოცნო.
სხუანი გალობანი წმიდათა ორმეოცთა …
ძლ.ზღჳსა ღელ.
ღმრთივბრწყინვალეთა მნათობთა …
სათა ღუაწლისა მძლეთა უძლეველთა მარტჳლთა ქრისტეს
მჴედართა წმიდათა ორმეოცთა დღესასწაულსა ქებით აღ
ვასრულებდეთ და ქრისტესა ღმერთსა გალობით უგალობდეთ.
მო[მიჴსენე]ნით.

ვითარცა ვარდნი მეწამულნი ფერითა სულნელებასა სიმ
ჴნეთა მათ მათთასა მოჰბერვენ მდიდრად ერსა
მორწმუნეთასა ქრისტეს მჴედარნი წმიდანი ორმეოცნი და სულნელ
ჰყოფენ ყოველთა ცისკიდეთა.
საწუთროჲ ესე დიდებაჲ წა
რმავალი სიმჴნით განაგდეთ, ახოვანნო მარტჳლნო,
და საუკუნოჲ სუფევაჲ დაიმკჳდრეთ და ჴორცთა თქუენთა უწ
ყალოდ განწირვითა ჰსუფევთ წინაშე სამებისა წმიდისა.
განძლიერდასა.
ძლ. განჴსნილნი.
მცნებაჲ უფლისაჲ. კეთლად აღასრულეთ და არა
სძრწოდეთ ჴორცთა მოწყუედისათჳს, ღუაწლისა მძლ
ენო, და ყინელი და ცეცხლი შუებად შეჰრაცხეთ სა
უკუნეთა მათთჳს სასოებათა, წმიდანო ორმეოცნო.
დევნულებასა სარწმუნოებისასა უღმრთოებისა მდევნელად
გამოშჩნდით თქუენ ჭეშმარიტებით, უძლეველნო მარტჳლნო, და წყა
ლთა შინა მოაშთვეთ დამალული გუელი გულა
რძნილი, მაცთური ადამისი.
მჴედრობაჲ ესე და პა
ტივი მსოფლიოჲ, ვითარცა უნდოჲ ქსელი დედაზარდლისაჲ,
განაგდეთ, მჴნენო, და ზეცათა მეუფისა მჴედარ იქმნენით
და მჴედრობასა თანა ანგელოზთასა ჰსუფევთ წინაშე ღმრთისა.

მესმასა.
საქმენი შენ.
მსგავსად მთიებთა სამყაროჲსათა
ჰბრწყინავთ ეკლესიისა სამყაროსა, მარტჳლნო,
ყოვლად ქებულნო, და მორწმუნეთა ერსა განანათლებთ ბრწ

4v / … …ტებთ, წმიდანო ორმეოცნო,
შუენიერებაჲ ჴორცთაჲ დაბძარვოდა ნეფხვისა მიერ ცეცხლ
ებრ განმლეველისა მსახურთა შენთა და ერთგულთა მო
ნათაჲ, ქრისტე, დამბადებელო, ხოლო სულისა იგი სიკეთე შჳდწილ გან
ბრწყინდებოდა.
ჴორცთა დაწუვითა და წჳვთა დამ
უსრვითა დაწუეს საცთური მძაფრი უფრთოებისაჲ
წმიდათა შენთა ორმეოცთა უფალო და ნაყოფნი კეთილნი ეკლესიათა
სულნელმყოფელნი დაჰნერგნეს ღუაწლნი მათნი.
მხოლოჲ.


განვიბანე.
ნუ შეეხებინ ზეთი უღმრთოებისაჲ თავთა ჩუენ
თა, ჴმობდეს ჴმითა ბრწყინვალითა ლიქნასა მას მძლა
ვრისასა ორმეოცნი. მისსა გუსურის ჩუენ, რომელმან ივნო ჩუენთჳს.
განმეშორენით ჩუენგან, უსჯულონო.
ღმერთსა ხედევდით მარჯუენით
თქუენსა, მჴნენო, ღუაწლისა მძლენო წმიდანო ორმეოცნო,
და ესრეთ ჰჴმობდით ჴმითა სასმენელითა: არცა
ცეცხლმან, არცაა მახჳლმან შემიძლოს განშორებად ქრისტეს სიყვარულისაგან.
ცუარი სულისაჲ აქუნდა შემაცურეველად ყოვლად ქებულთა
წმიდათა ორმეოცთა ყინელსა მას და ნეფხვასა ზამთრი
სასა და მის მიერ მოაშთვეს მტერი ბოროტი და გჳრგჳნო
სან იქმნნეს მოთმინებითა.
ძალი მტერ.
ღაღატყავსა.
ძღ. წინასწარმეტყუელმან.
კერპთმსახურთა ღელვანი სასტიკად აღტეხილნი გან
ძჳნებულნი უღმრთოებითა საჭითა ჯუარისაჲთა განვლეს მარ
ტჳლთა და განაჴმნეს ნეტართა აღძრვანი მათნი ღ
უაწლთა მათთა არითა შუენიერითა.
ვითარცა რაჲ ტევან
ნი ტკბილნი, ნაყოფიერნი, მოისთულენით თქუენ მარტჳ
ლობითა ღუაწლისა, მძლენო წმიდანო ორმეოცნო, და ღჳ
ნოჲ წამებისაჲ საღმრთოჲ უწდიეთ მახარებელი გულსა მორწმუნეთასა.

ღამესა მას წყუდიადსა ყინელითა დასჯილნი წარუ
ვალსა მას ბრწყინვალებასა ქრისტეს ღმრთისასა თუალითა სულისაჲ
თა ხედვიდეს ორმეოცნი და უტკივარად მოითმენდეს

ყინელსა მოუთმენელსა.
შენ, ვითარცა დედა.
კურთხეულარსა.
ძლ. რომელმან პირველ ალი

A1090 დ

რაობა:	თეოფილაქტე ბულღარელი, იოანეს სახარების თარგმანება
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	27x20
Content:	Theophylact of Bulgaria, Commentaries on the Gospel of John
Date:	XI c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	27x20



ტექსტი

(14 თავი)
1r / … შენსა ცოდვანი შენნი გარნა …იყოფინ
… ად ერთისაცა ჩუენგანისა ამას ჴმასა, არამედ
… წყალებაჲ წმიდაჲ ვიქმნეთ და საუკუნენი კეთილნი
… ვპოვნეთ მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცეჲ აწ და მარადის და
უკუნითი უკუნისამდე ამინ! თავი ოდ. სიტყუაჲ ესე: „ჰრქუა მას ფილიპე:
„უფალო, მიჩუენენ ჩუენ მამაჲ შენი და კმა-არს ჩუენდა" ჰქუა მას იესუ:
„ესოდენ ჟამ თუენ თანა ვარ და არა მიცი მე ფილიპე, რომელმან მი
ხილა მ… მამაჲ ჩემი!" წინასწარმეტყველი ეტყოდა
ა… ვდ… მეძავისაჲ იქმნა შენ ზედა და…
იქმენ ყოველთა მიმართ, ხოლო ვითარცა ვჰგონებ …
ქისა მიმართ ოდენ შუენის ამის სიტ…
მ… და მიმართვა, რომელნი ო…ნობ …
… ა აღ…პე …ა ვითარმედ
გჳჩუჱნენ მამაჲ შინა. თავად მან მიუგო, ვითარმედ: „ ესო
დენ ჟამან თქუენ თანა ვარ და არღა მიცია ფილიპე, რომელმან
მიხილა მ… …თა მამაჲ ჩემი და ამას ყოველსა ზედა ჯერათ
არიან …მ… რომელნი იკადრებენ მამისაგან ძისა
განყოფასა, რაჲ არს ამისა უმეტეჲსა მახლ
ობელ …, რამეთუ რომელნიმე ამის სიტყჳსა მიერ საბელით
ზის… … ალებასა შთაცჳვეს, არამედ ჩუენ ესენიცა


… ცა დაუტევნეთ, ვითარცა გარდამატებულად
… ულონი და ვიხილოთ ჭეშმარიტებაჲ ამათ სიტყვითაჲ
…ს ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცია მე,
ფილიპე, რაჲ არს, უკუე შენ ხარა მამაჲ, რომელსა გე
ძებ? არაო ამისთჳს არცა თქუა, ვითარმედ იცი იგი, არამედ
არა მიცი მე, არარას სხუასა მოასწავებს სიტყუაჲ
ესე გარნა ამას, ვითარმედ არა რაჲ არს სხუაჲ ძეჲ, არამედ
რაჲ მამაჲ რას, იგივე ძეჲ არს თჳნიერ მამობისა ოდ
ენ, რამეთუ იგი მამაჲ არს თჳთებითა და ესე ძეჲ, ხოლო სხჳთა

1v / ყოვლითავე … არიან სადაჲთ უკუე …
ლიპე …რ სიტყჳსა მიმართ, რამეთუ იტყოდა იესუ, ვითარმედ …
ეთმცა მიცოდეთ მე მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ.
ხოლო ჰკითხა პეტრეცა და თომაცა მამისათჳს და არა
რაჲ განცხადებული უთხრა მათ, ამისთჳს ინება ფი
ლიპეცა კითხვად, ვითარმედ: „მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი და ჩუენ
სხუაჲ არარაჲ გჳჯმს„ და ქრისტეს ეთქუა, ვითარმედ: „უკუეთუ
მცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ„,ხოლო მან კუალად
…დ მიჩუენენ ჩუენ მამაჲ, ვითარმცა …
… ქრისტემან დაადგინა იგი გზ …
… ვითარმედ მის მიერ იცნობებით მამაჲ, არამედ …
… რცლითა ენება ხილვაჲ მისი ნუ
უკ… რამეთუ ესმოდა წინსაწარმეტყუელთა, ვითარმედ იხილეს
ღმერთი … მათ … იხ… …ბაჲ ღმრთისაჲ ა…
იხილნიან განგებულებით ქმნილნი.
ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „ღმერთი არა სადა ვინ იხილა?" და კუალდა
იტყჳს უფალი: „არცა ჴმაჲ მისი გასმიეს ა… …რი მისი
გიხილავს და კუალად წერილ-არს …ნ იხილოს
პირი ჩემი და ცხონდეს„, ხოლო ქრისტემან მხილ… …ედ ჰქუა
მას ესოდენ ჟამ თქუენ თანა ვარ და ა… … ციმე და
იგი მას ეძიებდა ხილვად, არამედ ესე-არს …ე თ…

უთ ვიდოდეს ძეობასა შინა, ჰგიეს და …
რთ თავსა შორის თჳსსა აჩუენებს მამასა … …
… ენა უკუე თჳთებანი და თქუა, რომელმან მიხილა მე
იხილა მამაჲ ჩემი, რაჲთა ვერვინ თქუას, ვითარმედ თჳთ არს
მამაჲ და ძეჲცა, რამეთუ უკუეთმცა ესე ესრეთ იყო,
არამცა ეთქუა, „რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ
ჩემი", ხოლო ვინაჲთგან იტყოდა

A 1119 ბ

რაობა:	ბიბლია
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	12,5x17,6
Content:	Bible
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	12,5x17,6



ტექსტი

I სვეტი
1r */ [101] … … …
… … …
მ … … … ბ ჯ ი… … …
… … … მს (კ)… … …
… … … აკე … … … დ … … …
… … …
… … … მ … … …
… … … თ (ჯ)ს … … … ე … … …
… … … ნ … … … ა ვ (თ)… … … დ … … …
… … … თქუენ დ … … … ჱ … … …
… … … ჱ ბ … … … ს … … … ქ … … …გ … … …
… … … ა … … …
… … …
… … …

II სვეტი
1v / [102] … … … ოი … … … ოჯ
… … … ხ … … … ხჯ … … … ო
… … … ო … … …
… … … ხ … … … ოჱ მს … … …
… … … … … …
… … … კოჯ … … … აჲ … … …
… … … ჯსო … … … რს … … …
… … … ონ … … …
… … … ჱ … … … ობ … … …

* ფრაგმენტზე თანდართულ ხელნაწერ ფურცელზე მინაწერია„ასომთავრულით დაწერილი დაბადება მე- X საუკუნის წინანდელი. N1119 ფიქრის ყდის შიგნით ეკრა. N1119/ბ ც.მ.".
[101] გვერდი ჩამოჭრილის, ასოები გადარეცხილია.
[102] ფრაგმენტი (ორ სვეტად) ძალიან დაზიანებულია, ასოები გადარეცხილია, თითქმის არაფერი იკითხება.


… … … ფ … … …
… … … … … …
ჱ ი … … …
… … …
… … …
… … …

I სვეტი
2r / მ … … …ფი … … … სდ … … …
დ … … … და … … … ვიყვ … … … რ˜ი
ნი … … … ისანი ყ˜ნო ეგჳ … … … სად
… … … და … … … მო … … … დ … … … რქდ, რამეთუ მ … … …
… … … ა და ესე ი … … …
… … … ა რ … … … დ … … … ენდა მმ… … … ა
… … … მნო … … … გნ … … … ი გამოიყვანო
ერი … … … შენი მი … … … ქყნი … … …ეგჳპტით
და … … … … … … რებდინ
ო … … … მთ … … … ეს, აჰა … … …
ა … … … ვ … … … დე რ[ამეთუ] … … …

II სვეტი
2v / ცე … … … ლნი რეთ … … …
… … … … … …
დ … … … თა … … … თქუენ თა … … …
მ … … … შთ … … …
… … … თი და ღთ˜ი ია … … …
თქუა … … … ა … … … ხედევთ … … …
თქუენ და რავდე … … …
… … … თქნ ეგჳ … … …
… … … და ვს … … …
… … … ანნეთ … … …
… … … … … …

A 1248

რაობა:	საქმე მოციქულთა
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	3 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20x12,8
Content:	Catholic Epistels
Date:	XI c.
Number of folia:	3 folios
Script:	Nuskhuri
Size:	20,0x12,8



ტექსტი

1r */ ოებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს დიდებისაჲ, რამეთუ უკუეთუ შევიდეს შესაკრებელსა თქუენსა კაცი ოქროჲსა ბეჭდითა და სამოსლითა ბრწყინვალითა და შევიდეს გლახაკიცა სამოსლითა შეურაცხითა და მიხედოთ მას, რომელსა-იგი ემოსოს სამოსელი ბრწყინვალე, და ჰრქუათ მას: შენ დაჯედ აქა კეთილად, და გლახაკსა მას ჰრქუათ: შენ დეგ იქი, ანუ დაჯედ აქა, ქუეშე ფერჴთა ჩემთა - და არა განიკითხენით თავთა შორის თქუენთა და იქმნენით მსაჯულ გულისსიტყჳთა ბოროტითა.

ისმინეთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ანუ არა გლახაკნი სოფლისანი გამოირჩინა ღმერთმან, მდიდარნი სარწმუნოებითა და მკჳდრნი სასუფეველისანი, რომელი-იგი აღუთქუა მოყუარეთა თჳსთა? ხოლო თქუენ შეურაცხ-ჰყავთ გლახაკნი, ანუ არა მდიდარნი გმძლავრობენა თქუენ და იგინივე მიგზიდვენ თქუენ სამშჯავროდ? არა იგინი ჰგმობენა კეთილსა მას სახელსა, რომელი წოდებულ არს თქუენ

1v ზედა? / უკუეთუ შჯულსა აღასრულებთ სამეუფოსა მსგავსად წერილისა: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი, - კეთილად ჰყოფთ. ხოლო უკუეთუ თუალღებით ცოდვასა იქმთ და იმხილებით შჯულისაგან, ვითარცა გარდამავალნი შჯულისანი, რამეთუ, რომელმან ყოველი შჯული დაიმარხოს და სცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანამდებ. რამეთუ, რომელმან-იგი თქუა: ნუ იმრუშებ, - მანვე თქუა: ნუ კაც ჰკლავ. ხოლო უკუეთუ იმრუშო და არა კაც ჰკლა, იქმენ გარდამავალ შჯულისა. ესრეთ იტყოდეთ და ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა შჯულისაგან აზნაურებისა განსჯადნი, რამეთუ საშჯელი უწყალო არს მათთჳს, რომელთა არა ყონ წყალობაჲ. იქადოდეთ წყალობასა საშჯელისასა.

<u>იკბისი</u> კათოლიკე

რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებაჲ მაქუს, - და საქმენი არა ჰქონდინ. ნუ ძალ-უც-მე-ა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა? რამეთუ უკუეთუ ძმაჲ გინა დაჲ შიშუელ იყვნენ და ნაკლულევან მდღევრისა საზრდელისა და

2r ჰრქუას / ვინმე მათგანმან: წარვედით მშჳდობით, განძეღით და განტეფით, - და არა სცეს მათ საჴმარი ჴორცთაჲ, რაჲ სარგებელ არს ეგრეცა სარწმუნოებაჲ; უკუეთუ არა აქუნდენ საქმენი, მკუდარ არს იგი. ხოლო არამედ თქუას თუ ვინმე: შენ სარწმუნოებაჲ გაქუს და მე საქმენი მქონან, მიჩუენე სარწმუნოებაჲ შენი საქმეთაგან შენთა და მე გიჩუენო საქმეთაგან ჩემთა სარწმუნოებაჲ ჩემი. შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილად იქმ და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან. გნებავსა ცნობად, ჲ კაცო ამაოო, რამეთუ სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა, მკუდარ არს? აბრაჰამ, მამაჲ ჩუენი, არა საქმეთაგან განმართლდაა? რამეთუ შეწირა ისაკი, ძე თჳსი, საკურთხეველსა ზედა.

ჰხედავა, რამეთუ სარწმუნოებაჲ შეეწია საქმეთა მისთა და საქმეთაგან სარწმუნოებაჲ იგი სრულ იქმნა და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყჳს: ჰრწმენა აბრაჰამსა ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ და მეგობარ ღმრთისა იწოდა.

ჰხედავთა, რამეთუ საქმეთაგან განმართლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან? ხოლო ეგრეთვე და რააბცა მეძავი არა საქმეთაგან განმარ

---

* **შენიშვნა**: ფრაგმენტზე თანდართულ ფურცელზე არის მინაწერი „ეპისტოლე იაკობ მოციქულისა (ნაწყვეტი: თავები II(თითქმის სრულად, აკლია მხოლოდ პირველი მუხლი), III (მთლიანად) და IV-ისა ოთხი მუხლი და მეხუთის დასაწყისი).

2v /თლდაა? რამეთუ შეიწყნარნა მსტოვარნი იგი და სხჳთ გზით წარავლინნა, რამეთუ, ვითარცა ჴორცნი თჳნიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთვე სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს.

იკბისი კათოლიკე

ნუ მრავალნი ჰმოძღურით, ძმანო ჩემნო, უწყოდეთ, რამეთუ უდიდესი საშჯელი მოვიღოთ, რამეთუ ფრიად ვსცთებით ყოველნივე; რომელი სიტყჳთ არა სცთებოდის, იგი სრული კაცი არს; შემძლებელ არს იგი აღჳრსხმად ყოვლისავე გუამისა. უკუეთუ ცხენსა აღჳრნი აღუსხნით და მორჩილებად ჩუენდა იგი და ყოველი გუამი მისი მიმოვაქციით, აჰა ესერა ნავებიცა იგი დიდდები (!) და ფიცხელთაგან ქართა მიმოტაცებულნი მოჲქცევიან მცირისაგან საჭისა, ვიდრეცა - იგი ჰნებავნ მმართებელსა მას მათსა მისლვად. ეგრეცა ენაჲ - მცირე ასოჲ არს და დიდად მაღლოჲს. აჰა ესერა, მცირემან ცეცხლმან რავდენი ნივთი აღაგზნის და ენაჲ ეგრეთვე ცეცხლ არს, სამკაული სიცრუისაჲ - ენაჲ დადგრომილ არს ასოთა შინა ჩუენთა, რომელი შეაგინებს ყოველსა გუამსა და აღაგზნებს ურმისთუალსა მას შესაქმისასა და

3r აღგზებულ ა/რს გეჰენიისაგან, რამეთუ ყოველივე ბუნებაჲ მჴეცთა და მფრინველთა და ქუეწარმავალთაჲ დაიმწყსების და დამწყსილ არს ბუნებასა ქუეშე კაცისასა. ხოლო ენაჲ კაცთაჲ ვერვის ჴელ-ეწიფების დამწყსად, დაუპყრობელი ბოროტი, სავსე გესლითა მაკუდინებელითა, რამეთუ მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მამასა და მითვე ვსწყევთ კაცთა, რომელნი მსგავსად ღმრთისა შექმნულ არიან. მიერვე პირით გამოვალს კურთხევაჲ და წყევაჲ. არა ჯერ-არს, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ესე ესრეთ ყოფად, ნუუკუე წყაროჲსაგან მისვე თუალისა აღმოდინ ტკბილი და მწარე. ეგების-მე-ა, ძმანო ჩემნო, ვითარცა ლეღუმან ზეთისხილი გამოიღო? გინა ვენაჴმან - ლეღჳ? ეგრეთვე ვერცა ერთი წყაროჲ მარილიანსა და ტკბილსა წყალსა აღმოცენებად. ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქუენ შორის, აჩუენენ კეთილად სლვისაგან საქმენი თჳსნი სიმშჳდითა სიბრძნისაჲთა.

ხოლო უკუეთუ შური მწარე გაქუნდეს და ჴდომა გულთა შინა თქუენთა, ნუ იქადით და სტყუჲთ ჭეშმარიტებასა ზედა. არა არს ესე სიბრძნე ზეგარდამო სრული, არამედ ქუეყანისაჲ

3v / მშჳნვიერი და საეშმაკოჲ, რამეთუ სადა არს შური და ჴდომაჲ, მუნ-შფოთი და ყოველი ბოროტი საქმე. ხოლო ზეგარდამოჲ სიბრძნე პირველად სიწმიდე არს და მერმე მშჳდობაჲ, სახიერებაჲ, მორჩილებაჲ, სავსე წყალობითა ნაყოფითა საქმეთა კეთილთაჲთა, განუკითხველ და შეუორგულებელ, რამეთუ ნაყოფი სიმართლისაჲ დაეთესვის მშჳდობით მათთჳს, რომელნი ჰყოფენ მშჳდობასა.

იკბისი კათოლიკე.

ვინაჲ არიან ბრძოლანი და ლალვანი თქუენ შორის? ანუ არა მიერვე გულის-თქუმათაგან თქუენთა, რომელნი განწყობილ არიან ასოთა შინა თქუენთა? გული - გითქუამს და არა გაქუს, კაც ჰკლავთ და იშურებით და ვერ ძალ-გიც მიმთხუევად; ილალვით და იბრძვით და არა გაქუს, რმეთუ არა ითხოვთ; ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ, რაჲთა გულისთქუმათა შინა თქუენთა განილინეთ.

მეძავნო და მემრუშენო, არა უწყითა, რამეთუ სიყუარული სოფლისაჲ ამის მტერობაჲ არს ღმრთისაჲ?

აწ უკუე, რომელსა უნდეს მეგობარყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების, ანუ ჰგონებთა, ვითარმედ ცუდად … … …

A 1287 ა*


რაობა:	სახარება
თარიღი:	X-XI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	15x12

Content:	Gospel
Date:	XI c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	15x12

A 1287 ბ

რაობა:	სახარება
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	3 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	18,5x25

Content:	Gospel
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	3 folios
Script:	Nuskhuri
Size:	18,5x25



ტექსტი

1r / ი და მისცა იგი [წელთა მტანჯველთასა, ვიდრემდე გარ]დაიჴადოს [ყოველი იგი] თანანადები.

[ეგრეცა] მამამან [თქუენმან ზეცათამან] [გიყო]ს თქუენ, უკუეთუ] არა [მიუტ-ევნეთ] კაცად-კაცადმან [მოყუასსა თჳსსა ყოვლითა გულითა თქუენითა][103].

დ[ა] [იყო, ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, წარვიდა გალილეაჲთ და მივიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ-იორდანესა.

და მისდევდა მას ერი მრავალი და განკურნნა იგინი მუნ.

მაშინ მოვიდეს მისა ფარისეველნი][104] გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ [ჯერ-არს] კაცისა განტევებად ცოლისა თჳსისა ყოვლისათჳს ბრალი-სა?

---

* შენიშვნა: A -1287ა შეუერთდა S-962-ს.

[103] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები გადარეცხილია, აღდგენილი გვაქვს გამოცემის მიხედვით.

[104] ეს ადგილი, რაც კვადრატულ ფრჩხილებშია, მოხეულია.

ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი?

და თქუა: ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს [ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთჴორც].

ვითარმედ არღარა [არიან იგინი] ორ, არამედ ერთჴორც. აწ უკუჱ, რომელნიიგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი(!) ნუ განაშორებენ.

ხოლო მათ ჰრქუეს: რაჲსათჳს მოსე ამცნო წიგნი განტევებისაჲ მიცემად და განტევებად?

მიუგო იესუ და ჰ/რქუა მათ, რამეთუ: მოსე გულფიცხელობისა თქუენისათჳს ბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო.

ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ: რომელმან[105] განუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიძვისა და სხუაჲ შეირთოს, იგი იმრუშებს, და რომელმან განტევებული შეირთოს, [იგიცა] [ი]მრუშებს.

ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისა დედაკაცისა თანა, … ევე არა ჰგავს ქორწინებაჲ.

ჰრქუა მათ იესუ: არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს.

რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა [თჳსისაჲთ] საჭურისნი იშვნეს, და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს [ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ].

მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რაჲთამცა ჴელი დასდვა მათ და აკურთხნა იგინი. ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ.

ხოლო იესუ ჰრქუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნურას აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი][106] ცათაჲ.

და დასდვა ჴელი [მისი მა]თ ზედა … … …

2r / … არა იცით, რასა [ითხოვთ ძალ]-გიცა შესუმად

სასუმელი, რომელი [ჩემდა შესუმად არს, ანუ ნათლისღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათლისღებად? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გჳც].

[ჰრქუა მათ იესუ; სასუმელი სამე ჩემი შესუათ და ნათლისღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ, ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემაჲ, არამედ ვიეთა-იგი განმზადებულ არს მამისა მიერ ჩემისა].

[ვითარცა ესმა ესე ათთა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს].

[ხოლო იესუ მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი წარმართთანი] უფლებედ [მათ და] დიდ-დიდნი ჴ[ელმწიფ][107]ებედ მათ ზედა?

ხოლო თქუენ ზედა არა ეგრე იყოს, არამედ რომელისა უნდეს თქუენ შორის დიდყოფის, იყავნ იგი თქუენდა მსახურ.

და რომელსა უნდეს თქუენ შორის წინაყოფის, იყავნ იგი თქუენდა მონა.

ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა, რაჲთამცა ჰმსახურა [ვინმე], არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრ[ად] [მრავა]ლთათჳს.

და ვითარცა გამოვიდოდეს იგინი იერიქოჲთ, [მისდევდა] მას ერი მრ[ავა]ლი.

და, აჰა ესერა, ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა; და ვითარცა ესმა, რამეთუ

[105] მარცხენა კიდეზე მთავრული Ⴓ.

[106] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ამოგლეჯილია.

[107] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი ამოხეულია და ზოგან გადარეცხილი.

იესუ წარმოვალს, ჴმობდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო!

ხოლო ერი იგი ჰრისხვიდა მათ, რაჲთა დადუმნენ. ხოლო იგინი / უფროჲს[და?] ღაღადებდეს. შემიწყალენ [ჩუენ, უფალო იესუ], ძეო დავითისო!

და დად[გა] იესუ [და] მოუწოდა მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს, და გიყო [თქუენ]?

ჰრქუეს მას: უფალო, რაჲთა აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი.

და [შეეწყა]ლნეს იგინი … … …

ს … … … … … …[108]

და ვითარცა მიეახლნეს იერუსალემად და მოვიდეს ბეთბაგედ და [ბეთანია]დ, მთასა მას [ზეთის]ხილთასა, [მაშინ] [წარა]ვლინნა იესუ [ორნი] [მ]ოწაფეთა მისთაგანნი და ჰრქუა მათ:

წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა, და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცჳ მის თანა. [აჰჴსენი]თ და [მომ]გუა[რეთ] [მე] [იგი].

[და] უკუეთუ ვ[ინმე] [გრქუას] რაჲ თქუენ, [არქუთ, ვითარმედ; უფალსა უჴმს ეგე, და მეყსეულად მოავლინნეს იგინი].

ე[სე] [ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს] [სიტყუაჲ] წინაჲსწარმეტყუელისაჲ, [რომელ თქუა].

[არქუთ ასულსა მაგას სიონისასა: აჰა ესერა, მეუფჱ შენი მოვალს შენდა მშჳდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა].

ხოლო [მოწაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ იესუ].

[და მოჰგუარეს ვირი და კიცჳ მის თანა და დაასხეს მას ზედა სამოსელი, და დაჯდა მას ზედა].

ხოლო [უმრავლესი იგი ერი დაუ[ფენ]დეს

არ გადადის

სამოსელსა / … … … … … …

[რამეთუ] [ახლ]ოს არს [ზაფხული].

ეგრეცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.

ა[მენ] გეტყჳ თქუენ: არა [წ]არჴდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს.

ცანი და ქუეყანაჲ წარჴდენ, ხოლო სიტყუანი ჩემ[ნი] არა წარჴდეს.

ხოლო დღისა მისთჳს [და ჟამისა] არავინ [იცის], არცა ანგელოზთა [ცასა]თა, არცა ძე[მან], [გა]რნა მამამან მხოლომან.

ვ[ითარცა] იგი [დღეთა მათ ნოვესთა], ე[გრე [იყოს] [მოსლვაჲ ძისა] კაცი[საჲ].

[ვითარცა-იგი იყვნეს დღეთა] მათ პირველ წყლითრღუ]ნისა, ჭამდეს და სმიდეს, იქორწი[ნებოდეს] და განჰქორწინე[ბდეს] [მუნ დღედმ]დე, [ვიდრემდე] [შევიდა] [ნ]ოე კიდობნად.

და ვერ ცნეს, ვიდრემდის მოიწია წყლითრღუნაჲ იგი და წარიღო ყოველი. ეს-რეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.

მაშინ იყვნენ ორნი ველსა გარე: ერთი წარიყვანოს და ერთი დაეტეოს.

ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს და ერთი დაეტევოს.

იღჳძებდით უკუჱ, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს.

[108] არ მისდევს გამოცემულ ტექსტს და ამის გამო არ აღვადგენთ.

ხოლო ესემცა იცით: უკუჱთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა საჴმილესა (!) მრ … … მოსლვად არს, იღჳძებდამცა და არა

3v

უტევა დათხრად სახლისა თჳს /
[109]… … … … … …

3v -ს II სვეტი არ იკითხება.

A 1287 გ



რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XIV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	25,5x15,3
Content:	Chants
Date:	XIV c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	25,5x15,3

ტექსტი

1r / ნებაჲ, რამეთუ მამისა ჴმაჲ ისმოდა ზეცით მო …
იხილვებოდა ჴორცითა იორდანეს …
მოსლვაჲ, ისწავებოდა რომელიცა … დენ
… თ ყოველთა და ვადიდებთ ერთობით
… უფალო, და სოფელი განანათლე, დიდებაჲ შენდა!
… მოსეს ნათელი წყალნი შეიმოსნა
… ა ამორბედისაგან, რაჲ ნათელ-იღო
… რდანე და ყოველივე ცოდვაჲ
… რომელთა მიჰ … ანვლი
… რს ნ … ლიტანისა ჲ
… ლა ღებ …წმიდისა
… რამეთუ მამისა … დ …
… ყოვლად ლოცვა …
… ამტკიცებდა …

… სცხა … ქრისტე ღ … ი განა …
იბაკოჲ დ გან … ეს ღმერთ … ფლ
… სახა ჩუენ ზედა და
… და განსცხადენ
… უხ … ლილეასა წარმარ …


[109] I სტრიქონები მოხეულია.

… სა ნე … ა … მი
… მოგჳჩნდა ჩუენ

1v / ედთა დღეს მზე იგი სიმართლისაჲ,
მის ძლით შიშუჱლთა მოვედით ყოველთა და …
… ა შევიცვნეთ ალამოსს შიშ …
… ებს ბნელთა მოსლვით განსცხა …
შეუხებელი. უგალობდითსა. ბ ლ …
შენ, მეუფეო, რაჟამს გამოაბრწყინვე …
ბნოჲსა ქადაგი იორდანესა სიმ …
თავი შენი მას, რაჲთა შეჰმუს …
მიჴსნენ … რწმენნა. ღმრთისა … თ …
ელ … წყალობაჲ შენ …
… ზეცით …
… ბუნებ … სწ …
… თაჲსა … ლმან
… წარე გონებანი
… განსწ … ბადებულნი … ნნი …
მ … ულისა … რიკნა. განძლიერდითსა.
რომელმან პირველ მიზეზი ს … ის
… ითა მორჩილე …
განათავისუფლ …
დაბადებული დაბად …
მათგანი განგე …

A 1287 დ

რაობა:	მათეს სახარების თარგმანება
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12x25,5
Content:	John Chrysostom, Commentaries on the Gospel of Matthew
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	12x25,5



ტექსტი

1r / მიერ არს ფიცი. ხოლო შენ ესრეთ სამე სთქუა დედაკაცისათჳსცა, ვითარ მრუშება არს განტევებაჲ და სხჳსა შერთვაჲ, ვინაჲთგან შჯულსა უწესებიეს, ესე რაჲმე უკუ(!) ვთქუათ ამისთჳს, გარნა ესე, ვითარმედ უძლურებისათჳს მაშინ-

დელთა მათ ჰურიათა, რომელთა ეტყოდა: მოსე განაწესნა ესევითარნი სიტყუანი: უკუეთუ არა მსხუერპლებისა და მრგულადდასაწუველებისა შეწირვად ღმრთისა საცხოართა და მფრინველთა ვითარმცა სათნო-იყო ღმრთისა. გარნა მათისა მის ვერაგობისათჳს [110], … … … სა ესეცა, რაჲთა ოდენ / ნი

1v მათნი მისცნეს ტყუეობასა საუკუნესა და იქმნა ჭეშმარიტად მწარე საცხებელი ძუძუჲსა[111] მის.

ვინაჲთგან ტკბილი იგი მოძღურებაჲ არა შეიწყნარეს, რამეთუ ყოველივე ძუელი შჯული კეთილ იყო და საღმრთო ვიდრე ქრისტეს მოსლვამდე და დიდ იყო სიკეთე მისი და საქმე მისი სულიერ, ხოლო ვინაჲთგან ქრისტე მოვიდა ცხორებად ჩუენდა და სრული იგი მოქალაქობაჲ გუასწავა, წესნი იგი უძლურებისანი დაჰჴსნდეს. ამისთჳს ფიციცა მაშინ კეთილ იყო, რამეთუ მოსწყჳდნა კაცნი ფუცვად სახელსა ეშმაკთასა და კერპთასა და ასწავა[112]

2r /[113] ოს მიპყრობად ერთკერძოცა და წარღებასა ზედა კუართისასა მიცემად სამოსელიცა და წარძღუანვასა ზედა ერთისა მილიონისასა მისლვად ორიცა, რაჲთა შემდგომი ესე კეთილად შევიწყნაროთ და რაჲმცა იყო უმეტესი პირველ თქუმულთაჲ მათ, თქუას ვინმე: ესე არს უმეტესობაჲ და უაღრესობაჲ, რაჲთა მოქმედი იგი ესევითარისაჲ არა მტერად შევჰრაცხოთ, არამედ ვითარცა მეგობარი შევიწყნაროთ. და ოდეს სადა შეუძლოთ, კეთილი უყოთ და უზეშთაესი ამისა, რაჲთა არა ხოლო გჳყუარდეს, არამედ ულოცვიდეთცა. იხილვა რა … თა /

II სვეტი

/ ლებად მტერთა … … … დ თ და ბოროტისმყოფელთა შენთა.

იხილვა სიმაღლე ესე საღმრთოჲსა მის მო[ქალაქო] ბისა და ჭეშმარიტისა მის ფილოსოფოსობისაჲ. ამისთჳსცა ესევითარისა მის ბრწყინვალისა საქმისა უბრწყინვალესიცა განაწესა და უდიდებულესი ნიჭი და სასყიდელი მიუთხრობელი, ვინაჲთგან მცნებაჲ ესე დიდ იყო და სული უჴმდა ახოვანი. ამისთჳს სასყიდელიცა შემსგავსებული განაწესა და უზეშთაესი [პირველ]თქუმულთაჲ მათ.

რამეთუ არა მკჳდრობაჲ ქუეყანისაჲ აღუთქუა … … … მშჳდთა, არცა ნუგეშინისცე[მაჲ] და წყალობაჲ, ვითარცა მ … … …[114]

2v / ცეცხლითა რისხვისა მისისაჲთა, არამედ უფროჲსად კეთილსა უყოფს, და ესე დაღაცათუ არა ესრეთ არს, არამედ ფრიადცა შეუმსგავსებელ, რამეთუ თქუენ თავს-იდვათ თუ, შეურაცხებაჲ მოყუასთაგან თავს-იდებთ. ხოლო იგი მონათაგან, რომელთა ფრიადი კეთილი უყო და თქუენ სიტყჳთ ულოცავთ მტერთა თქუენთა, ხოლო იგი საქმეთა მიანიჭებს საკჳრველთა, მზესა თჳსსა აღმოაბრწყინვებს მათ ზედა და წჳმასა მიანიჭებს და ყოვლითავე კეთილითა აღავსებს. არა მსგავს არიან საქმენი ესე უ /

---

[110] ბოლო ჩამოჭრილია.

[111] ძუძოჲსა.

[112] ჩამოჭრილია.

[113] შემდეგი ფ. (2r-v) სხვა ხელით არის დაწერილი, ტექსტიც არ გადადის. აგრეთვე ნაწერია 2 სვეტად. სხვა ხელნაწერიდან უნდა იყოს.

[114] ჩამოჭრილია.

II სვეტი არ გადადის

… … …

2v / მესისა მის მოთმინებაჲ და უსუბუქესისა მის აღსრულებაჲ. და ვითარ ეგებისო, - ესე იტყჳან ვიეთნიმე, რაჲთამცა ულოცავდა ყოვლითა გულითა მაჭირვებელთა და ბოროტისმყოფელთა ჩემთა და შევიყუარენმცა მოძულენი ჩემნი.

ჵ უგულისჴმოებაჲ! ღმერთსა ჰხედავ განკაცებულსა, რომელი ესოდენსა სიმდაბლესა მოვიდა და ესოდენი ევნო ჩუენთჳს მტერქმნულთა ამათ და განდგომილთათჳს. და ჯერეთ გიკჳრს და იტყჳ: ვითარ შესაძლებელ არს მიტევებაჲ ბრალისაჲ შემაწუხებელთა ჩუენთასა? არა გესმისა

A 1287 ე



რაობა:	სახარება
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	19,5x17
Content:	Gospel
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	19,5x17

ტექსტი


მათეს სახარება [7, 24-29; 8, 1-11]
1r
...დესა ზედა გ…
ოჴდა წჳმაჲ…
დეს მდინარენი, ქრ
ოდეს ქარნი, და ეკუეთნეს სახლსა
მას და არა დაეცა.
რამეთუ დაფუძნებულ იყ
ო კლდესა მას.
და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სი
ტყუანი ესე ჩემნი და არა ყვნეს იგინი,
ემსგავსოს იგი
კაცსა ცოფსა, რომელმან აღ
აშენ… ი თჳსი
ქჳშ… … რდა
მოჴ… მოვ
(მეორე სვეტი)
… …ოძღურებაჲ
იგი მისი, რამეთუ იყო სწ

ავლაჲ იგი მისი მათ
და მიმართ, ვითარცა-იგი ვ
ის აქუნ ჴელმწი
ფებაჲ და არა ვითარ-იგი
მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი.
და გარდა-რაჲ-მოვიდ
ოდა იგი მიერ მთით,
მოსდევდა მას ერი მ
რავალი. და, აჰა ე
სერა, კეთროვანი ვი
ნმე მოუჴდა მას და
ეტყოდა, უფალო, უკუეთუ
გინდეს, ძალ-გიც გან
წმედაჲ ჩემი.
… მიყო ჴელი თჳსი იესუ
… შეახო მას და ჰრქ
… მნებავს განწ
… სეულად გან
… როვნ
1v
წარვე …
თავი შენი მღდელთა
და შეწირე შესა
წირავი შენი, რომელი ბ
რძანა მოსე საწ
ამებლად მათდა.
და შე-რაჲ-ვიდა კა
პერნაომდ, მოუ
ჴდა მას ასისთავი,
ევედრებოდა მას და ე
ტყოდა: უფალო, მონაჲ ჩემი
დაცემულ არს სახლ
სა შინა ჩემსა განრღ
უცული და ფრიად იგ
უემების.
ჰრქუა მას იესუ: მე მოვიდე
და განვკურნო
იგი. მიუგო ასის
თავმან მან და ჰ…
მას: უფალო, არა …
არ რ…
ულ…
(მეორე სვეტი)
…ა კაცი ვარ ჴ
ელმწიფებასა ქუეშც

და მქონან ჩემ ქუეშე
ერისაგანნი. ვჰრქჳ
მას: წარვედ. წარვ
იდის და სხუასა: მოვედ!
და მოვიდის; და მონას
ა ჩემსა: ქმენ ესე!
და ქმნის.
ესმა რაჲ ესე იესუს, და
უკჳრდა და ჰრქუა
ერსა მას: ამენ გეტ
ყჳ თქუენ, არცაღა
ისრაჱ… …პოვე
ესო… …მუნოებაჲ.
ხოლო გ… …ს მრ...

A 1423 ა

რაობა:	საგალობელი
თარიღი:	XI-XII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	15x13
Content:	Chants
Date:	XI-XII cc.
Number of folia:	2 folio
Script:	Nuskhuri
Size:	15x13



ტექსტი

1r /[115] … … … … … … … … … …
გამოუთქუმელად მუცლად-იღე
და გჳშევ დამბადებელი,
ქალწულო, მას ე[ვედ]რე
ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

გალობაჲ ვ. ჴმაჲ გ გუერდი.
ამაღლდა ზეცად და … … …
[ე]ძებდა იუდა მიცემად უფლისა
პირველ საუკუნეთა მაცხოვარსა სოფლისასა,
რომელმან-იგი ხუ[თით]ა მით პურითა
განაძღო სიმრავლე უდაბნოსა ზედა,
დღეს უშჯულოჲ უვ[არ]-ჰყოფს მოძღუარსა თჳსსა.
მოწაფე იყო

[115] კიდეებჩამოჭრილია, I სტრიქონი არ არის.

და განყიდა მეუფჱ
ოცდაათისა ვეც[ხლი]სათჳს,
რომელმან მანანაჲ უწჳმა ისრაჱლსა.
მუჴლი.
რად-მე იქადინ უკეთურ … … …
[მე] ჴლი ბ.
ვითარცა მახჳლი აღლესა
მასვე ზედა,
დღეს ჯუარსა შემშჭუალეს ჰ[ურიათა] მჴსნელი;
რომელმან განუპო მათ მეწამული ზღუაჲ კუერთხითა
და განიყვანნა [იგი]ნი დაულტოლველად
და ლახურითა გუერდსა უგუმირეს, რომელმან
წ[ყ]ლულებითა ტანჯა მათ შორის ეგჳპტე
და ნავღელი ასუეს,
ძმრითა განზავებული;
რომელმან-იგი მანანაჲ
მოსცა მათ საზრდელად უდაბნოსა ზედა.
მუხლი …
შეიყუარე სიბოროტე უფროჲს სახარებისა,
და სიცრუე – უფროჲს სიმართ[ლისა].
შეიყუარე შენ ყოველი სიტყუაჲ დაქცევისაჲ და
ამისთჳს დაგამჴუას შენ ღმერთმან სრულად.
და აღგფხურას და განგჴადოს შენ საყოფელთაგან შენთა.
და ძირნი შენნი ქ … … … ცხოველთაჲთ.
მჯდომარე.
უფალო, მოხჳდოდე რაჲ ნეფსით ვნებად,
ჩ…. თჳს ეტყოდე მოწაფეთა
შენთა ესრეთ:
უკუეთუ ვერ უძლეთ თქუენ
ჟამ[სა] ერთცა მღჳძარებად, აწ
ჩემ თანა
ვითარ უკუე იტყოდეთ სიკუდილსა
ჩემ[სა]
პირველ?
აწ მოჰხედენით თქუენ იუდას,
ვითარ არა სძინავს მას,
არამედ მო[სწ]რაფე არს
მიცემასა ჩემსა უშჯულოთადა.
აწ უკუე განიფრთხეთ და ილოცევდით თქუენ
და ნუვინ უვარ-მყოფთ მე,
მიხილოთ რაჲ ნ[ებ]სით ჯუარცუმული[116].
ყოვლადსულგრძელო უფალო, დიდებაჲ შენდა!
მუჴლი[117].

[116] ჭ რ ც ლ ი .
[117] ა არ ჩანს კარგად (შეიძლება, არც ყოფილიყო).

აჰა ესერა, რომელმან არა ყო ღმერთი მწე მისა.
მუჴლი ბ.
ხოლო მე ვითარცა ზეთისხილი ნაყოფიერი … … …
დიდებაჲ და აწ და.
გიხაროდენ, ღმრთისმშობელო, რომელმან ცათა

1v დაუტევნელი დაიტიე საშოსა /[118] … … … … … …
ჯულოთა, შენთა შემპყრობელთა
მიშუებითა,
ესრეთ
ეტყოდე: უფალო,
დაღათ[უ] … … … ესე დაეცით
და
განაბნიენით ჩემნი ათორმეტნი მოწაფენი,
შემძლებელ იყავ უფროჲს ათორმეტთა
გუნდთა
ანგელოზთასა მოყვანებად,
არამედ … … … ვ გრძელებ,
რაჲთა აღესრულოს,
რომელი გამოგიცხადე თქუენ
პირითა [მო]წყალეთა ჩემთაჲთა
უჩინონი და დაფარულნი.
უფალო, დიდებაჲ შენდა!
მუჴლი … … …
… … … ღმერთო ჩემო, შენ გესავ, მაცხოვნე მე და
მუჴლი ბ.
ნუსადა წარიტაცოს, ვითარცა [გა]მაძლიერებელ მექმენ.
სამგზის უვარ-გყო შენ რაჲ პეტრე,
მეყსეულად
[ს]იტყუაჲ შენი
გულისჴმა-ყო, უფალო, არამედ
შეწირნა შენდა ცრემლნი
სინანულისანი და [გ]ოდებით
ესრეთ იტყოდა: ღმერთო,
მილხინე და შემიწყალე მე.
მუჴლი.
ჴნარცჳ [თ]ხარა, აღმოჰკუეთა, დაშთა
მუჴლი ბ.
მიექცა სალმობაჲ მისი … … … და აწ და.
მასვე ზედა.
რაჲთა ბჭესა ცხორებისასა
და სამოთხესა
შუენიერსა
… … … ა მიუაჩრდილებელისა მის

[118] ზემო კიდე მოჭრილია.

ნათლისა
სასანთლესა ყოვლადწმიდასა დედოფალსა
ყოველნი
უგალობდეთ და
გიხაროდენსა უღაღადებდეთ.

კ ს ნ ი. გ. დიდებაჲ და აწ და.
გალობაჲ ჩ.
[ჴმა]ჲ ა გუერდი.
თქუთღა, ღორნო,
რაჲ იხილეთ მაცხოვრისაგან
შჯული გარდააქცია ანუ მოძღურებაჲ
წინაჲსწარმეტყუელთაჲ?
ვითარ არა შეიშინეთ მიცემად პილატესსა
ღმერთი, სიტყუაჲ ღმრთისაჲ
და მჴსნელი
სულთა ჩუენთაჲ?
მუჴლი.
მიწყალე [მ]ე, ღმერთო, მიწყალე მე, რამეთუ
შენ გესავს სული ჩემი.
მუჴლი ბ.
ჴმა-ვყო ღმრთისა მიმართ.
მაღლისა ღმრთისა.

ა გუერდი.
მოვედით, აღვიდეთ.
ჯუარცუმად შენდა ღაღადებდეს
[ჴ]უებულნი იგი კეთილთა შენთაგან
და ძჯრისმოქმედსა მას
გამოითხოვდეს ქ
ველისმოქმედისა წილ
მკლველნი იგი მართალთანი, ხოლო შენ
… … … ეს
დუმენ და მათსა მას
წარმდებობასა თავს-იდებდ, რამეთუ გენება ვნე[ბაჲ], რაჲთა აცხოვნო
სოფელი, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.
მუჴლი.
გამოავლინა ზე … … … და მაცხოვნა მე
და მისცნა
საყუედრელად დამთრგუნველნი ჩემნი.
მუჴლი ბ.
… … … … … …
… … … … … …

A 1529 ა

რაობა:	ზატიკი
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	19x15

Content:	Triodion
Date:	XV c.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	19x15

A 1538

რაობა:	ბიბლია
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	21,5x15

Content:	Bible
Date:	X c.
Number of folia:	1 fiolio
Script:	Asomtavruli
Size:	21,5x15

ტექსტი


1r / მე-2 სჯულთა 7,20*

ათ უგალმან ღმერთმან ვიდრემდის მოესრულნენ ნეშტნი იგი და რომელნი დანალულ იყვნენ პირისაგან შენისა. ნუგეშინინ პირისაგან მათისა, რამეთუ უფალი ღმერთი შენ თანა არს, დიდი და ძლიერი და მოსრნეს უფალმან, ღმერთმან შენმან ყოველნი წარმართნი პირისაგან შენისა ჟამადს-ჟამად, რაჲთა მოჰსრნე იგინი ერთბამად, რაჲთა არა ოჴრად დაშთეს ქუეყანაჲ … და განმრავლდეს … სა მჴეცნი

1v / და მოგცნენ … ფერი იგი ჴელითა თქუენთა და წარსწყმიდოთ საჴსენებელი მათი ქუეყნით მათით, რაჲთა ვინ აღგიდგეს წინაშე პიურსა თქუენსა ვიდრემდე მოასრულნეთ იგინი ხატები კერპებისა მათისაჲ დასწუათ ცეცხლითა. ნუ გული გითქუამნ ოქროსა და ვეცხლისა მათსა, ნუ მოიღებ შენ თავისა შენისა რაჲთა არა საცთურ გექმნეს შენ … რამეთუ საძაგელ ა… …

* ორ სვეტად, შემორჩენილია ერთი სვეტი.

A 1608



რაობა:	პარაკლიტონი
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	23,8x14,8
Content:	Parakliton
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	23,8x14,8

ტექსტი

1r / კნელსა მას დღესა ღირს-ყვენ
მიმთხუევად
საუკუნოჲსა მის უკუდავებისა, კაცთმოყუარე,
და რაოდენიცა შეგცოდეს ჴორცითა
ამით განხრწნადითა,
შეუნდვე და დაივიწყე
და მიჰმადლე მათ განსუენებაჲ
და მკჳდრ-ყვენ ნათელსა პირისა შენისასა.

სოფელსა ცხოველთასა და საყოფელსა
წმიდათა შენთასა, რომელთა-ესე ჴსენებასა
აღვასრულებთ, მუნ დააწესენ, მეუფეო,
და რაოდენიცა რაჲ ცოდეს, ვიდრეღა ……[119]
ლსა ამას შინა იყვნეს, ვითარცა
მოწყალემან და კაცთმოყუარემან ღმერთმან
შეუნდვენ და განუსუენე, რომელი
მვედრებელთა შენთა მიანიჭებ წყალობასა.

ვითარცა ღმერთმან გამოუკ[უ]ლეველმან[120]
მონანი შენნი, რომელნი მისცვალენ მოწყალებით
და კაცთმოყუარებით ნათელსა შენსა დააწესენ,
რამეთუ შენ, მეუფისა, მიმართ ჰრწმენა
ყოვლითა გულითა მათითა, სახიერ,
და შენ გესვიდეს მჴურვალითა სულითა
და სარწმუნოებითა, ყოვლადძლიერო,
რომელი მოანიჭებ სოფელსა დიდსა წყალობასა.

სიკუდილმან შენმან, მეუფეო, მკუდართა
ცხორებაჲ აღაყუავილა და ჯოჯოხეთი წარმოტყუენა

[119] დაზიანებული ადგილია.
[120] გამოუკლეველმან.

და ბნელსა შინა მძინარენი აღადგინნა;
ამისთჳს, ცხორებისმომცემელო, ვითარცა ღმერთსა,
ყოვლისავე შემძლებელსა, გევედრებით:
სულნი, რომელნი
ჩუენგან გამოირჩიენ,
მართლალთა თანა განუსუენე
და მიანიჭე მათ დიდი წყალობაჲ.

უგალობდითსა
ძლ. ღმერთსა, რომელმან და
ღმერთსა, რომელმან ადიდნა უძლეველნი
და ღუაწლით შემოსილნი
წმიდანი მოწამენი,
უგალობდეთ, რამეთუ დიდებულ არს.

მიემსგავსენით ვნებითა მჴსნელსა ჩუენსა,
ჯუარსა ზედა ვნებულსა,
და მან შეგიწყნარნა თქუენ
სასოფეველსა მისსა, წმიდანო.

წმიდათა თანა, უფალო, სულნი რომელ
შეივედრენ, მიჰმადლე
განსუენებაჲ, ვითარცა
სახიერ ხარ და მრავალმოწყალე.

ღმერთ. ქალწულისაგან

მოიხილესა
ძლ. მოიხილე მღ
ღრუბლითგამო ჰზრახვიდა
მოსეს ღმერთი მაღალი
და ასწავებდა მას შჯულსა საღმრთოსა,
ხოლო ახოვანთა მათ
წმიდათა მოწამეთა
არა განეშორებოდა,
სული წმიდაჲ განაძლიერებდა მათ.

მსგავსად მზისა ბრწყინვიდეს
მოწამეთა სიმჴნენი
და განეფინნეს ყოველთა კიდეთა
სიტყუანი უბიწონი
პირისა მათისანი,
და აწ სამარხონი მათნი
სნეულთა სენსა განჰკურნებენ მადლითა.

რაჟამს ესმა წმიდათა
სიტყუაჲ სახარებისაჲ,
აღთქუმაჲ იგი უტყუველი ქრისტესი,
მუნთქუესვე დაუტევეს
ზრუნვაჲ ჴორციელებრი,
სიკუდილსა აღირჩევდეს
და იხარებდეს ქრისტესთჳს წამებასა.

მიწისაგან დამბადნა
ღმერთმან დამბადებელმან
და მომცა ჩუენ ანგელოზებრივი ცხორებაჲ,
ხოლო ჩუენ გარდასლვითა
1v მცნებათა / მათ მისთაჲთა
მუნვე მიწად მიიქეცით,
არამედ ქრისტეს მოსლვითა კუალად ვცხოვნდით.

ღმრთ. დედათ დიდებაჲ

ადიდებდითსა
ძლ. განძლიე
საჴსენებელსა წმიდათა შენთა მოწამეთასა
მოსავნი შენნი
გევედრებით, მაცხოვარო ჩუენო,
მათ მიერ მოავლინე
წყალობაჲ შენი ჩუენ ზედა.
განწყობილებაჲ
უშჯულოთაჲ ღუაწლით შემოსილთა
სიმჴნით დათრგუნეს
და ძალი მტერისაჲ დაამჴუეს და განძლიერებულნი
შენ, ქრისტესა, გიგალობდეს.

რომელმან უწყნი
დაფარულნი ყოველთა კაცთანი
და განიკითხავ
ცხოველთა და მკუდართა, ქრისტე ღმერთო,
წყალობით მოიჴსენენ
სულნი შესუენებულთანი.

ქალწული წმიდაჲ
… … … მენაჲ ვედრებითა
და მეოხებითა, ღმერთო,
ღუაწლით შემოსილთა წმიდათაჲთა მშჯდობა ყავ
ცხორებისათჳს ჩუენ, მოსავთა შენთაჲსა.

რომელთა აწ
სოფელსა შინა იღუაწეს
და ცათა შინა დიდებით გჳრგჳნოსაგან იქმნნეს
მათ მიერ, ღმერთო,
აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

დააწესენ
წიგნსა შინა ცხოველთა
გარდაცვალებულნი მონანი შენნი, მაცხოვარ,
და მიჰმადლე მათ
შენი სასუფეველი
უბიწოო.

უგალობდითსა
ძლ. შენდა აღ

ბრწყინვალეთა მათ
მარგალიტთა მოწამეთა ქრისტესთა,
რომელთა პატივი ცათა შინა მოიგეს
და აწ მეოხ არიან
ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაჲსა.

სიგლახაკისა
შენისა მიმსგავსებითა, მაცხოვარ,
მოიძულეს წმიდათა სიმდიდრე სოფლისაჲ ამის
და სისხლთა დათხევითა
შენსა სასუფეველსა ღირს იქმნნეს.

ქველისმოქმედო
და მრავალმოწყალეო ღმერთო ჩუენო,
რომელნი საწუთროჲსა ამისგან განვიდეს,
ღირს-ყვენ მარჯუენით შენსა
ცხორებასა მას საუკუნესა.

ღმრთ. მე … …
ღაღატყავსა
ძლ. იონაჲს

მუ … … …
… … … ტე. იონაჲს
მჴნედ დათრგჳნეს
საცთური მტერისაჲ წმიდათა მოწამეთა,
რაჟამს სისხლნი დასთხინეს
და გჳრგჳნი მოიგეს
შენგან, ქრისტე მაცხოვარ,

მრავალმოწყალე.

მოწამენი
ღუაწლსა მას ძლევისასა გალობით ღაღადებდეს,
ვერ ღირს არს ვნებაჲ ესე
მერმისა დიდებისა,
რომელი მომეცეს ჩუენ
მაცხოვარისა შენ … … …

პირველქმნული
შურითა მტერისაჲთა სამოთხით გამოვარდა,
ხოლო დღეს აღდგომითა
მჴსნელისაჲთა საფლავით
სულნი მიცვალებულნი
მუნვე მკჳდრ იქმნეს.

ღმერთ. ცუარი იგი

კურთხეულარსა

ძლ. საჴუმილი
სიქადული მძლავრთაჲ და სიცბილი მათი არად შეჰრაცხეს
და შენ, ქრისტესა, აღგიარებდეს
წმიდანი მოწამენი
და ესრეთ იტყოდეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო საუკუნ … …

2r / გევედრები,
აცხოვნე სული ჩემი,
დედისა შენისა
წმიდისა ვედრებითა.

საჴუმილსა შინა
სამთა ყრმათა გამოსახეს შობაჲ შენი, ქალწულო,
რამეთუ არაჲ შეიწუ, ჰშევ რაჲ შემწუველი ცეცხლი
ღმრთეებისაჲ; ამისთჳს
გევედრები: დაწუენ ჴორცთა ჩემთა ვნებანი.

ყოვლადწმიდაო,
იშვა რაჲ შენგან ცუარი საღმრთოჲ, შემწუარნი ცოდვითა,
შეაცურინა და მორწყნა წყალობით; ამისთჳს
გევედრები: შემწუარი
სული ჩემი, სძალო,
შეაცურიე მადლითა.

აკურთხევდითსა
ძლ. შეუწუ
საღმრთოჲთა წამისყოფითა ბჭედ გიხილა,
წინაჲსწარმეტყუელმან დიდმან
ეზეკიელ, რომელი განვლო მხოლომან
ღმერთმან, ქალწულო უბიწოო,
და დაბეჭდულადვე დაიცვა
და მორწმუნეთა ბჭენი ცათანი
განუხუნა, რომელნი აკურთხევენ
და ამაღლებენ მას უკუნისამდე.

ზეშთა მიზეზისა ჰშევ ძე, უბიწოო,
სიწმიდისა მომცემელი
და განმწმედელი წმიდამყოფელთა მისთაჲ,
ჩემიცა გულისსიტყუაჲ და სული
წმიდა-ყავ, რაჲთა ვიტყოდი:
ყოველნი … … …
საღმრთოჲთა ლახურითა ძისა შენისაჲთა
ბოროტთა ჩემთა საკრველნი
განხეთქენ, რომელმან განხეთქნა საკრველნი
ჯოჯოხეთისანი, ქალწულო,
და განმაბრწყინვე უვნებელობითა, რაჲთა ვთქუა:
აკურთხევდით დღეს,
საქმენი უფლისანი უფალსა
და ამი.

კრებული წინაჲსწარმეტყუელთაჲ გევედრების
შენდა, გუნდი მოციქულთაჲ
დ მარტჳლთა დიდებული ბანაკი, ქრისტე,
ოხითა დედისა შენისაჲთა
ჭირთაგან იჴსნენ მეტყუელნი
ყოველნი… …

ადიდებდითსა
ძლ. მტჳრთველ
დაჴსნილობით გარდავიჴადე ცხორებაჲ ჩემი
და უნაყოფოჲ აღსასრულსა მივეახლე,
დედაო უსძლოო,
სინანული მომმადლე
და ცოდვათა შენდობაჲ
ვედრებითა შენითა
ქრისტეს ღმრთისა მიმართ, რაჲთა გადიდებდე.

წესთმთავრობანო ზეცისა მჴედრობათანო,
მოციქულნო, წინაჲსწარმეტყუელნო და მოწამენო,

ღმრთისმშობელისა თანა
წინაშე მეუფისა
ბრწყინვალედ მდგომარენო,
ითხოეთ დაცვაჲ ჩუენი
უვნებელად ყოველთა განსაცდელთაგან.

ყოვლითურთ უძჯრესისა მიმართ წარვემატები
და სული უდებ მიქმნიეს ჴორცთა დამონებულსა;
ჵ მე, რაჲ-მე ვიქმნა?
ანუ ვითარ განვერე
ტანჯვათა უბადრუკი,
ქალწულო ღმრთისმშობელი,
შემწე-მეყავ და მაცხოვნე, გევედრები.

ძე მხოლოჲ, ნეტარი, ჰშევ, ქალწულო, ღმრთივსანატრელო,
რომელმან ღირს-ყვნა ნეტარებასა შემსხმელნი შენნი,
ამისთჳს გევედრები:
ღირს-მყავ სანატრელთა მათ
ნეტარებისა მკჳდრთა
ნაწილსა და გჳრგჳნსა
წადიერებით მადიდებელი შენი.

დღე შაბათი წმიდათაჲ და სულთაჲ
გ გუერდი
წიაღნი
საქმეთა წარმწყმედელთა
ბოროტად მავნებელთა
გარე-მოუცავ, ვითარცა მჴეცთა, ქრისტე,
ეშმაკისა საბრჴეთა,
არამედ განმარინე
და ღირს-მყავ სინანულსა,
რაჲთა მარადის გადიდებდე.

დაბადებულთა მჴსნელო,
დაფარულთა განმკითხველო
და ცხადთა შემნდობელო ქრისტე მაცხოვარ,
სიმრავლე ბრალთა ჩემთაჲ
დაშრიტე მოწყალებით,
ვითარცა სახიერ ხარ,
რაჲთა მარადის გადიდებდე.

2v / ჯუარითა შენითა
დაეც ძალი სიკუდილისაჲ,
ქრისტე … … … წარმოს ტყუენე ჯოჯოხეთი
და შეყენებულთა მათ

ნათელი გამოუბრწყინვე
ღმრთეებისა შენისაჲ
და სიხარულითა აღავსენ.

მოვედით, მორწმუნენო, ვადიდებდეთ მაცხოვარსა,
რომელმან ადიდა დღესასწაული
ღუაწლით შემოსილთა მათ
წმიდათა მოწამეთა
და გჳრგჳნი მიჰმადლა
და მკჳდრ-ყვნა ანგელოზთა თანა.

მოვედით, მორწმუნენო,
ვადიდებდეთ მაცხოვარსა,
მადიდებელსა წმიდათა მისთასა
და ო[ხი]თა მათითა
ლხინებაჲ ვითხოოთ ჩუენ
ბრალთა მოტევებისაჲ
და ვადიდოთ ჴსენებაჲ მათი.

მოვედით, მორწმუნენო,
ვადიდებდეთ მაცხოვარსა,
რომელმან წმიდათა მიჰმადლა ნიჭი,
უძლურთა კურნებისაჲ
და აწ ვითხოოთ ჩუენცა
ცოდვათა მოტევებაჲ
და სულთა ჩუენთა დიდი წყალობაჲ.

მოვედით, მორწმუნენო,
ვადიდებდეთ მაცხოვარსა,
რაჲთა განუსუენოს მონათა მისთა,
რომელნი მიიცვალნეს,
რაჲთა მკჳდრ-ყვნეს ნათელსა
მიუაჩრდილებელსა
ღმრთეებისა მისისასა.

მოვედით, მორწმუნენო,
მოღუაწენო წმიდანო,
ცხოვარნო მეტყუელნო
და შესაწირავნო სულიერნო,
მსხუერპლნო და საკუერთხნო წმიდანო ქრისტეს ღმრთისანო,
თქუენ ქუეყანამან არა დაგფარნა,
არამედ ზეცათა შინა
ანგელოზთა თანა ზიარ იქმნენით,
მათ თანა მითხოვეთ ჩუენ
მოტევებაჲ ცოდვათაჲ

კაცთმოყუარისაგან და აურაცხელი დიდი
წყალობაჲ სულთა ჩუენთათჳს.


მოწამენო ნეტარნო,
ქრისტესმოყუარენო
და ზიარნო ვნებათა მისთანო,
სულისა წმიდისა ტაძარნო ღმრთივშემკობილნო,
არცა სიკუდილმან, არცა ცხორებამან,
არცაღა დაბადებულთა
განგაშორნეს თქუენ სიყუარულსა
ქრისტეს, ღმრთისა ჩუენისა დაუსაბამოჲსა, მეოხ-გუყვენით ჩუენ
მისსა მიმართ მარადის
ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

ქუეყანაჲ დაუტევეთ
და ჭირსა დაუთმეთ
და ჴორცთა ვნებასა არა ჰრიდეთ თქუენ
და გემონი შეურაცხ-ყვენით ქრისტეს ღმრთისათჳს,
ახოვნად დაუთმეთ განსაცდელთა
ვიდრე სისხლთა დათხევამდე,
რომელთა გაქუს კადნიერებაჲ,
მისსა მიმართ მითხოეთ
მოტევებაჲ ცოდვათაჲ
კაცთმოყუარისაგან
და აურაცხელი დიდი
წყალობაჲ სულთა ჩუენთათჳს.

ხატად ღმრთისა შექმნილი,
რომელი მკჳდრ იყო
სამეთხესა მას საშუებლისასა,
ესე ზაკუვითა მტერისაჲთა ცთუნებული
განვარდა სამკჳდრებელით თჳსით,
არამედ ყ~ლ… ღმერთმან
სახიერებითა თჳსითა
კუალად-აგო სამოთხედ
და გარდაცვალებულთა
სულნი დაამკჳდრნა
ზეცათა სასოფეველსა,
ვითარცა კაცთმოყუარე არს.

რაჟამს-იგი აღიძრას
ჯოჯოხეთი შთანთქმად
ყოველთავე ცოდვითა უწყალოდ,
მაშინ, სახიერო ღმერთო, მოწყალე გუექმენ
და მიჴს

A 1769



რაობა:	სწავლანი
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	16,2x13
Content:	Teachings
Date:	X c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	16,2x13

ტექსტი

1r */ რობათა, არამედ ისწრაფინ სათნოყოფად მისა, რომელმან უწოდა. ესე ყოველნი არიან, ვითარცა ზემო ვთქუ, მიზეზნი ვნებათანი. ვიწყოთ უკუე შეურაცხებად ესევითართა მათ საქმეთა, რომელნი დააბნელებენ გონებასა ჩუენსა და უფსკრულად ვნებათა შთაჰჴდიან მას. განვაგდოთ სიმძიმე ნივთთა მათ ჩუენგან, რაჲთა განერეს გონებაჲ მრავალთა მათგან გულისსიტყუათა, რამეთუ ჩუენ ვართ. პირველ შეწყნარებასა, მათსა მიზეზთა თუ განვამრავლებდეთ და კუალად ძალგჲც შემცირებითა მიზეზთაჲთა მათიცა განლევაჲ.

და იტყოდა ნეტარი იგი, ვითარმედ: ვითარცა-იგი მგზავრსა უცხოსა ვერ ჴელეწიფების შესლვად სახედ უცხოჲსა მოქალაქისა და სავანეყოფად, არა თუ პირველად ჰკითხოს სახლისა უფალსა მას და ბრძანებითა მისითა შევიდის, ეგრეთვე მტერსა ჩუენსა ეშმაკსა ვერ ჴელ-ეწიფების ჩუენდა შემოსლვად, არა თუ ჩუენ ადგილ-ვსცეთ მას. ამისთჳს უკუე ვეკრძალნეთ და მას ღმერთსა ვევედრებოდით, რაჲთა მან მომცეს ძალი წინააღდგომად და გარემიქცევად უცხოჲსა მის მტერისა. და

1v ესრეთ / ვილოცვიდეთ კაცად-კაცადი ჩუენი.

უფალო, ვითარ-მე გპოო შენ, მე არა უწყი, რამეთუ პირუტყუ ვარ, არამედ შენ უწყი, რომელმან-ეგე მომიყვანე წესსა ამას ცხორებისასა. შენ, უფალო, მაცხოვნე მე, რამეთუ მე მონაჲ შენი ვარ; დაღაცათუ უჴმარ ვარ და ძე მჴევლისა შენისაჲ, უფალო, მაცხოვნე მე და მიძღოდე მე ნებასა შენსა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი, მწყალობელი სულთა მათ მონანულთაჲ და შენი არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გლახაკისა ეფთჳმისთჳს, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი ვთარგმნე:

სწავლანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფრემისნი, მიწერილნი იოვანეს მიმართ, მონაზონისა და მამასახლისისა.

---

* შენიშვნა:

1 r-v - უნდა იყოს ბოლო ნაწილი, აქ არის ექვთიმეს ანდერძი, შეიძლება ეს მისი ავტოგრაფი იყოს.

2 r-v - არის „სწავლანის„ ნაწილი, გასარკვევია თხზულება.

ძალიან თავისებური ხელია.

უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რომელი მოვიდა სოფლად ცხორებისათჳს კაცთაჲსა, გუამცნო ურთიერთას სიყუარული, ხოლო საქმე სიყუარულისაჲ ესე არს, რაჲთა ნუგეშინის-ვსცემდეთ ურთიერთას შიშითა ღმრთისაჲთა; ამისთჳს უკუე ვინაჲთგან ითხოა შენმან ღმრთისმოყუარებამან ჩემისა სიგლახაკისაგან სიტყუაჲ სარგებელისაჲ, ჴელ-ვყავ საქმესა ამას მო[მადლე]ბისათჳს მადლითა ქრისტესითა


2r და დავსწერ ამათ სიტყუათა / ტანჯვად ქრისტეანეთა, რომელნიმე ცეცხლად მისცნის, რომელნიმე მახჳლითა მოსრნის და ჴორცნი მათნი მჴეცთა საჭმელად მიუყარნის.

და დაეცა დიდი შიში და ძრწოლაჲ აღმოსავალისა კერძოთა უკეთურებისაგან უწყალოჲსა მის სელინოსისა, რამეთუ იყო იგი მჴეცებრ მძჳნვარე და მტერ ქრისტეანეთა. ხოლო ლჳსიმახოს ქრისტეანისა დედისა შვილი იყო და სწყალობდა ქრისტეანეთა. ამისთჳსცა ღამესა ერთსა მოუწოდა პრიმოს კომსსა და ჰრქუა მას: შენ უწყი, უფალო ჩემო პრიმოს, რამეთუ დაღაცათუ მამაჲ ჩემი წარმართობასა შინა დამონებასა კერპთასა მოკუდა, არამედ დედაჲ ჩემი ქრისტეანე იყო და დიდი მოსწრაფებაჲ აქუნდა, რაჲთამცა მეცა ქრისტეანე-მყო; არამედ შიშისაგან მეფისა და რიდობისაგან მამისა ჩემისა ვერ აღასრულა ნებაჲ მისი. ხოლო მრავალგზის მეტყჳნ ქრისტესთჳს და მცნებასა მომცემნ, რაჲთა არაოდეს ვტანჯო ქრისტეანე, არამედ რაჲთა მეცა ვისწრაფო ქრისტეანეყოფად. და აწ ვხედავ, ვითარ უწყალოდ მოსწყუედს ქრისტეანეთა უღმრთოჲ ესე და უწყალოჲ მამისძმაჲ ჩემი და ელმის ფრიად სულსა ჩემსა. აწ უკუე მნებავს, რაჲთა რავდენცა ძალ-გიც, ფარულად განუტეობდე ქრისტეანეთა და არა მოსწყდენ ყოველნი ჴელითა ამის ურჩულოჲსაჲთა.

ესე რაჲ ესმა პრიმოსს, არღარა მოსწრაფე იყო პყრობად ქრისტეანეთა, არამედ უფ 2v როჲსად მიუმცნებდა / მონასტერთა და ეკლესიათა, რაჲთა ივლტოდინ პირისაგან სელინოსისა. წარემართნეს უკუე მესოპოტამით, რომელ არს შუამდინარე, და მიჰმართეს ნისიბი ქალაქსა, რომელი-იგი არს საზღვართა ასურასტანელთასა და საბრძანებელსა ბერძენთასა იყო. ხოლო იყო მას ქალაქსა შინა მონასტერი დედათაჲ, რომელსა შინა იყვნეს ენკრატისნი მოწესენი ერგასისნი, რომელთა უძღოდა დედაჲ, ბრენი სახელით, რომელი-იგი მოწაფე ყოფილ იყო პლატონია დედადიაკონისაჲ, რომელი იყო პირველ მისა, და ყოველივე წესი და კანონი მისი ვიდრე აღსასრულადმდე კეთილად დაიმარხა, რამეთუ ესე იყო კანონი პლატონიაჲსი.

დღესა პარასკევსა არარას საქმესა შურებოდეს დანი იგი, არამედ შეკრბიან ეკლესიად და ოდესმე გალობდეს და ოდესმე წიგნი ჴელად მიიღის დედადიაკონმან და საღმრთოთა წერილთა უკითხავნ სხუათა მათ. და ვიდრე მესამედ ჟამადმდე იგი თავადი იკითხავნ წიგნსა და მერმე მისცის ჴელთა ბრენისათა და უბრძანის კითხვად ვიდრე მიმწუხრამდის, ეგრეთვე შემდგომად მისა ბრენი აღასრულებდა ამას წესსა. ხოლო ბრენსა აღეზარდნეს ორნი ქალწულნი კეთილად, რომელნი-იგი წურ …

H 41



რაობა:	საწელიწდო
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	26x21,6
Content:	Lectionary
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	26x21,6

ტექსტი

1r / ეგი
ადიდე აღდგინებითა
მეგობრისა
შენისა ლაზარესითა
ყოვლადსაკჳრველითა
და განსაკრთომელითა;
შიშსა შენსა
შემსჭუალენ ჴორცნი ჩემნი
და მოგუმადლე, მჴსნელო,
მორწმუნეთა შენთა
ყოველსავე ამას
ჟამსა წმიდისა მარხვისასა
სათნოდ სრულყოფად
მარხვითა და ლოცვითა.

უგალობდითსა. ჴმაჲ ბ გუერდი
ძლ. უკლ˜ვად

წმიდაჲ იგი
ქალაქი სათნოებათაჲ
დაუტევე შენ, სულო,
და მიჰხუჱდ ქუეყანასა
ვნებათასა და წყლულ ხარ მათგან
საწყალობელად და განშიშულებულ ხარ კეთილთაგან.

შენ, მაცხოვარ,
სიკუდიდ დაცემულსა ამას
ნუ უგულებელს-მყოფ მე,
არამედ დამასხ მეცა
წამალი მადლისა შენისაჲ,
რაჲთა ვპოო მის მიერ კურნებაჲ, სახიერო.

მადლი იგი
სათნოებათაჲ აღმძარცუეს
ავაზაკთა, უფალო,
ბოროტთა მათ ვნებათა
ჩემთა, არამედ შენ, მაცხოვარ,
უვნებელობისა იგი კუართი კუალად შემმოსე.

ღმრთისმშობელო,
სასოო მორწმუნეთაო,
ავაზაკთა მათ მიერ
ბოროტთა ვნებათაგან
ჩემთა მოწყლული განმკურნე
შენისა მეოხებისა წამლითა, დედოფალო!
გონებანი[121]
ჩუენნი განვიწმიდნეთ, ძმანო,
ერქუნითა მარხვისაჲთა
და ნაყოფი კეთილი
სათნოებათაჲ გამოვიღოთ,
რაჲთა საშუებელთა ზეცისათა მივემთხჳნეთ.

მარხვაჲ წმიდაჲ
განანათლებს გულთა და ზრდის
გულისსიტყუათა ტკბილთა
და ვნებათა განაჴმობს
ლმობიერებისა წყაროჲთა
და წმიდა-ჰყოფს სულთა მათ მგალობელთა ღმრთისათა.

უკეთურნი
ვნებანი ტყუე-ჰყოფენ სულსა
ჩემსა, გლახაკსა, ქრისტე,
ამისთჳსცა მოვივლტი
შენისა დიდისა წყალობისა,
სახიერო, მიჴსენ მათისა მძლავრებისაგან.

გიხაროდენ,
ქალწულო ღმრთისმშობელო,
მრავალსაგალობელო,
მორწმუნეთა სასოო,
განუცდელო საკჳრველებაო,
წყევისა დამჴსნელო და კიბეო ზეცათაო.

აკურთხევდითსა
ძლ. საჴმილით სამ

[121] ამ სტრიქონის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე მიწერილია ავტორის დაქარაგმებული სახელი ი˜სბ (იოსებ).

სჯულიერმან მღდელმან მიხილა
და თანა-წარმჴდა და ეგრეთვე ლევიტელმან, არამედ შენ,
უფალო, მპოვე რაჲ, აღმიღე მჴართა შენთა ზედა
დაცემული ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან.

ახლისა სჯულისა უცხოთშემწყნარებელსა
მიმითუალე, განჰკურნე რაჲ წყალობაჲ ჩემი,
რომელი დამდვეს ავაზაკთა მათ ცოდვისათა,
ამისთჳსცა გაკურთხევთ, ქველისმოქმედო ჩემო.

შემიწყალე, სიტყუაო ღმრთისაო, მოწყლული
ცოდვათა ჩემთა მიერ და სახუევლითა
მცნებათა შენთაჲთა წყლულებაჲ ჩემი შეხჳე,
რაჲთა მეცა აგამაღლებდე უკუნისამდე.

1v განვერენით საცთურსა უღმრთო / ებისასა
შენ მიერ, ღმრთისმშობელო, და საღმრთოჲსა მის
მადლისა ზიარ ვიქმნენით შობითა შენითა;
შენ გაკურთხევთ და აღგამაღლებთ უკუნისამდე.

შეცთომილი მზაკუვარებითა მტერისაჲთა
მარადღე წყლულებასა შევსძინებ, ქრისტე,
წყალობათა ჩემთა ზედა უბადრუკი ესე,
ჵ მკურნალო
განწირულთაო, შენ განმკურნე.

მარხვითა ცოდვათა მიერ მომკუდარნი ესე
სულნი ჩუენნი აწ განვაცხოველნეთ, ძმანო,
და გულისთქუმათა იგი სენი განვიშოროთ ჩუენ,
რაჲთა ვპოოთ სასუფეველი ქრისტეს ღმრთისაგან.

ნინეველნი აცხოვნენ, კაცთმოყუარე,
შეინანეს რაჲ ტირილითა და მარხვითა,
ჩუენცა შეგჳწყალენ მოწყალებითა შენითა
უღონონი
სათნოებათა შეწევნისაგან.

რომელი შემდგომად შობისა ეგე უხრწნელად
მონანი შენნი გჳჴსნენ ხრწნილებისაგან
ცოდვათაჲსა, რაჲთა სარწმუნოებით გიგალობდეთ,
ღმრთისმშობელო,
და აღგამაღლებდეთ უკუნისამდე.

ადიდებდითსა

ძლ. ღმერთი შეუძლე

ძეო და სიტყუაო ღრთისაო, მოხედენ ჩემ ზედა,
მოწყლულსა მწარედ ავაზაკთა მიერ,
რომელ არიან გულისსიტყუანი ჩემნი
ბოროტნი ვნებათანი
და დამადგინე მე,
ვითარცა მოწყალე ხარ, გზასა სინანულისასა.

სწავლად და ქმნად ვნებათა მათ დამბადებელისათა,
სული ჩემო, მოსწრაფე იქმენ შენ,
რაჲთა ვერ მოგწყლას შენ ეშმაკმან ცოდვითა
და ტყუე-გყოს უბადრუკად
ვნებათა სოფელსა და შთაგაგდოს შენ უფსკრულსა მას
გეჰენიისასა.

დღენი მარხვისანი სიწმიდით აღასრულენ, სულო,
ლოცვითა და მჴურვალედ ტირილითა
მოწყალე-ყავ დამბადებელი შენ ზედა
და მშიერთა პური ეც,
შიშუელნი შემოსენ, რაჲთა ზეცისა საშუებელთა
მკჳდრად გამოსჩნდე შენ.

მადლი შენი, ჵ ღმრთისმშობელო, მოჰფინე ჩემ ზედა,
უღირსსა ამას მონასა შენსა
და ღირს-მყავ მე სათნოყოფად ძისა შენისა
და მიჴსენ ყოვლისაგან
უსჯულოებისა, რაჲთა თანაზიარ ვექმნე მე
მართალთა ნაწილსა.

საღმრთოჲ ბარძიმი აღავსო მარხვამან სანატრელმან
ლმობიერებისაჲ და ყოველთავე
მორწმუნეთა მოუწესს:
მოვედით, სუთ
და სიმთრვალე ვნებათაჲ
განიშორეთ თქუენგან,
რაჲთა ნუგეშინისცემასა საღმრთოსა ღირს იქმნენეთ.

ახლოს არს სასჯელი იგი, სულო ჩემო, ეკრძალე,
განიწმიდე თავი შენი და იქმოდე
კეთილთა საქმეთა, რაჲთა არა მწარედ
დაისაჯო შენ მაშინ,
რამეთუ ცოდვილნი, თჳნიერ მოწამეთაჲსა დაისაჯებიან.

ძალნო, მთავრობანო, საყდარნო და ჴელმწიფებანო,
უფლებანო, ქერობინ-სერაბინნო და ანგელოზნო და მთავარანგელოზნო,
ქრისტესა ევედრენით,

2r რაჲთა / მოგუმადლოს ჩუენ
მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ
და დიდი წყალობაჲ.
წინაჲსწარმეტყუ̃ლთა, მოწამეთა და მართალთა თანა
და ყოველთა ნებისმყოფელთა შენთა
მეოხებაჲ მშობელისა შენისაჲ, ქრისტე,
შეიწირე უღირსთა
მონათა შენთათჳს,
რომელთა-ესე განგარისხეთ
და შეგჳწყალენ ჩუენ.

[122]მასვე დღესა სხუანი [ხუედრნი]. ჴმაჲ დ გუერდი
ძლ. ქუეყანასა მწყუ
რომელთა-ესე თაყუანის-ვეცით ძელსა
ცხორებისასა, მიერთგან წარვემართენით გზასა
მარხვისასა მოხარულნი სულითა,
რაჲთა ვნებათა ქრისტესთა მივიწინეთ.

რომელნი-ესე ქრისტესა შეუდეგით,
უვარ-ვყვნეთ თავნი და აღვიღოთ ჯუარი მჴართა ჩუენთა ზედა
და საღმრთოთა მათ ვნებათა მისთა
თანახატ ვექმნნეთ ჴორცთა მოკუდინებითა.

შენ, რომელი მოხუ̃დ წოდებად სინანულად
ცოდვილთა, ქრისტე ღმერთო, მეცა, მონანული ესე,
ვითარცა უძღები იგი შვილი
შემიწყნარე და შემიტკბე წიაღთა შენთა.

რომელმან განჰკურნე ყრმაჲ ასოსთავისაჲ მის
განმკურნე მეცა, ცოდვითა მოუძლურებული ესე,
ქრისტე, სიტყუაო მხოლოდშობილო,
და აღმადგინე მღჳმით დაჴსნილობისაჲთ.

მოსლვასა შენსა ზეცით დიდებით ძალთა თანა
სჯად ყოვლისავე კეთილი სიტყჳსგებაჲ მომმადლე მე,
ქრისტე ღმერთო, მრავალმოწყალე,
და შენდობაჲ ცოდვათაჲ მომანიჭე.

სამხატოვანსა არსებით მიუწდომელსა
და ერთღმრთეებით დიდებულსა სამებასა წმიდასა,

[122] მარჯვენა კიდეზე მიწერილია ავტორის სახელის პირველი 2 ასო: თე (თეოდორე).

მამასა ძით და სულით წმიდითურთ
უგალობდეთ და ძრწოლით თაყუანის-ვსცემდეთ.

რომელი-იგი გჳშევ გამოუთქუმელად
იესუ მაცხოვარი და ხრწნილებასა ზეშთა ექმენ,
მოწყალე-ყავ იგი, დედოფალო,
მონათა და მადიდებელთა შენთათჳს.

აკურთხევდითსა
ძლ. მთასა ზედა
რომელნი ვრბით
მარხვათა სარბიელსა,
მორწმუნენო,
ნეშტი სტადიონისაჲ
ქრისტეს მიერ უმჯურვალესად გარდავლოთ,
რაჲთა დაივიდგათ ჩუენ
გჳრგჳნი ბრწყინვალე
მოღუაწებისაჲ.

ჰხედავ, მჴსნელო,
უძლურისა სულისა
ჩემისა და გონებისა მრავალთა
წყლულებათა, არამედ მგებდ მოწყალებით
და წუთღა ნუ მომკუეთ,
მსგავსად ლეღჳსა მის,
დაწყეულისა.

საზარელსა
მას შენსა განკითხვასა,
ქრისტე ღმერთო,
მოვიჴსენებ და ვძრწი მე
და გიღაღადებ, რომელსა გამოუთქუმელი
გაქუს მოწყალებაჲ,
მაშინ შემიწყალე
საწყალობელი.

ძლიერებაჲ
საღმრთოჲ შემმოსე, ქრისტე,
რაჲთა რაჟამს
მოხჳდე რეკად კარსა,
მპოო მღჳძარედ და ვითარცა სახიერმან მონამან
და განკრძალულმან მყის
განგიღო და ვცხონდე, უფალო,
უკუნისამდე.

ერთარსებით
ქებულო სამებაო,
სამგუამოვნად
2v ცნობილო ღმრთე/ებაო,
მამაო, ძეო და სულო წმიდაო,
ყოველთა ჭირთაგან
გჳსნენ მგალობელნი
შენნი უკუნისამდე.

გიხაროდენ,
მთაო სამეუფოო!
გიხაროდენ,
ლამპარო ბრწყინვალეო!
გიხაროდენ, ცაო!
გიხაროდენ, ტაძარო!
გიხაროდენ, სძალო,
ყოვლადქებულო
ქრისტეს დედაო!

ადიდებდითსა
ძლ. რომელმან წწ˜რ
მყუდროჲ ესე ზღუაჲ მარხვათაჲ
ნავითა შრომათაჲთა
და სულისა ნავითა
განვლოთ და ნავთსადგურსა
საღმრთოსა
ვნებათა ქრისტესთასა
შესლვად ვილოცოთ დაუბრკოლებელად.

მსგავსად ქანანელისა მის
ვჳმობ: შემიწყალე, ქრისტე,
ღმერთო, ძეო დავითისო, და განკურნე სული ჩემი
უძლური, ვითარ-იგი განჰკურნე
ასული მისი, ჵ მრავალმოწყალეო.

შენ, რომელმან განამართლე
მეზუერე, რომელიცა
ჳმობდა: ღმერთო მილხინე მე!
მეცა, ცოდვილი ესე!
მაცხოვნე, მსაჯულო ყოველთაო,
და შემინდვენ შეცოდებანი ჩემნი!

ღმრთეებისა ბუნებასა
ერთსა, განუყოფელსა
და კუალად სამხატოვნებით

ცნობილსა სამებასა,
მამასა ძით და სულით წმიდითურთ
უგალობდეთ ძრწოლით და ვადიდებდეთ.

შენ, რომელმან მუცლად-იღე
სიტყუაჲ ღმრთისაჲ, უსძლოო,
და ჰშევ უთესლოდ ჴორცითა
გარეშეუწერელი,
ითხოვე მისგან სულთა ჩუენთათჳს,
ქალწულო ღმრთისმშობელო დიდი წყალობაჲ.

ორშაბათსა ე მწუხრი [ჴმაჲ]ა[123]
ძლ. ზეცისა
შეცთომილი გზათა მათგან
სათნოებისათა
შთავვარდი ცხორებასა პირუტყუებრივსა, ქრისტე,
მოწყლული ბოროტად
ავაზაკთა
უწყალოთა - ეშმაკთაგან,
არამედ შენ, ჰ, ქალწულისაგან შობილო,
შემიწყალე და განმკურნე მე.

დაცემული მცნებათაგან[124]
შენთა, კაცთმოყუარე,
მოწყლულ ვიქმენ ბოროტად
ვნებათა ჩემთა მიერ,
უფალო, უფალო,
განმკურნე მე,
მკურნალო განწირულთაო,
რომელმანცა ჩუენისა[125] ცხორებისათჳს
წყლულებაჲ თავს-იდევ, სახიერ.

გულისსიტყუათა მიერ
ბოროტთა, ვითარცა
ავაზაკთა ფიცხელთა
მოვიწყალ უბადრუკი
და უკურნებელ ვარ
კაცთა მიერ;
ამისთჳსცა შეგივრდები
ლმობიერითა გულითა, ქრისტე ღმერთო,
შენ განმკურნე და მაცხოვნე მე.

[123] სათაურის გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიწერილია ავტორის დაქარაგმებული სახელი ის˜ბ (იოსებ).
[124] მცნებაგ˜ნ.
[125] ჩამატებულია.

სხუაჲ [ჴმაჲ] დ გუერდი[126]
ძლ. ედემთაჲ
უბრწყინვალესად მზისთუალისა დღეს
მოგუეფინა ჩუენ მადლი
ღმრთივდიდებული
წმიდისა მარხვისაჲ
და სულთა ჩუენთა განანათლებს
და ვითარცა რაჲ ალმურსა
სდევნის ვნებათა
დამაბნელებელთა;
ამისთჳსცა
მოვედით ყოველნი და სურვილით შევიტკბოთ იგი
და მადლობით
და სიხარულით განვლოთ საღმრთოჲ ასპარეზი მისი
და სანუაგითა
მისითა შუებულთა უღაღადოთ ქრისტესა ღმერთსა:
წმიდა-ყვენ, სახიერო,
რომელნი იღუწიან სარწმუნოებით
და ჟამსა მა … … …

არ გადადის
3r / განმკურნე მე, მაცხოვარ, კაცთმოყუარეო,
მოწყლული ვნებათაგან ბრალთა ჩემთაჲსა
და დამადგინე[127] გზასა მას
მშჳდობისასა,
რომელ არს სინანული უბიწოჲ.

საცნობელნი წმიდა-ვყვნეთ, ღმრთისმოყუარენო,
ვნებათა ბიწისაგან წარმწყმედილისა
და სულნი ჩუენნი შევამკვნეთ
სათნოებითა,
რაჲთა ვიხილოთ ქრისტეს აღდგომაჲ.

სხუანი
ძლ. ვითარმედ გხადონ
სიყუარული ჭამადად ვიჴუმიოთ
და მარხვაჲ ვნებათაგან
შევიკრძალოთ, მორწმუნენო,
და ქრისტესა, რომელი
ჩუენთჳს დაემსჭუალა ჯუარსა
და გუერდსა
ლახურითა მოიწყლა წყალობით
ვევედრნეთ, რაჲთა ბრალთა შენდობაჲ მოგუმადლოს

[126] სათაურის გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიწერილია ავტორის სახელის პირველი ორი ასო - თე (თეოდორე).
[127] დამაგინე.

და ცხორებაჲ
საუკუნოჲ მოგუანიჭოს
და ქებით ვაქებდეთ
მაცხოვარსა და მწსნელსა სულთა ჩუენთასა.

სიკუდილი ხისა მიერ მოგუჱტყუა
და აწ ვპოვეთ ცხორებაჲ
ძელითა მით ჯუარისაჲთა,
ვინაჲცა, მორწმუნენო,
მოვსრნეთ ვნებათა აღძრვანი
და მწსნელსა.
ვევედრნეთ, რაჲთა შემკობილნი
კეთილთა საქმეთა მიერ ღირს-გუყვნეს მიწევნად
დიდებულსა
აღდგომასა თჳსსა, რაჲთა
ღმრთივგანათლებულნი
ვადიდებდეთ მწსნელსა სულთა ჩუენთასა.

ედემი
ცხოველსა ჯუარსა შენსა უგალობთ, ქრისტე,
და საუფლოთა ჴორცთა
შენთა ვნებათა,
რომელ ჩუენთჳს თავს-ისხენ ლახუარსა და სიკუდილსა შენსა,
ბასრობასა და ნერწყუვასა
და ჴურთით გუემასა
და ყურიმლისცემასა
პორფირსა თანა
და ეკალთა მიერ შეთხზულსა მას გჳრგჳნსა
და სამსჭუალთა
და ფიცარსა და ლერწამსა, ღრუბელსა და ნავღელსა,
რომელთა მიერ ჰქმენ
ცხორებაჲ ჩუენი, გჳჴსნენ წყევისაგან და გევედრებით, ნეშტ … ესე მარხვისა
ჟამი მშჳდობით აღსრულებად
მოგუმადლე, მაცხოვარო,
ვითარცა მხოლოჲ კაცთმოყუარე ხარ.

სტიქარონი [ჴმაჲ] გ გუერდი
ძლ. მჯდომარე
გარდამავალ ვიქმენ მე წრფელთა გზათა შენთაგან
ვნებათა მიერ საწყალობელი ესე
და შთავიბნიე მთხრებლთა
შინა ღრმათა წარწყმედისათა
და ლევიტელი
და მღდელი შეკრბეს ჩემ ზედა
და არაჲ მარგეს;

ხოლო შენ, ქრისტე, შემიწყალე
და ჯუარითა განხეთქე
ჴელითწერილი იგი
ბრალთა ჩემთაჲ
და უვნებელობითა
ღმრთივბრწყინვალე-მყავ მე
და თანამოსაყდრე
მამისა მაღლისაჲ,
ვინაჲცა მადლობით გიღაღადებ,
გამოუთქუმელო უფალო, დიდებაჲ შენდა!

სხუაჲ [ჴმაჲ] ა გუერდი
ძლ. სიბრძნე
მცნებათა შენთა გარდასლვითა
გამოვჴედ იჳრუსალიმით
3v მათგან, რომელნი / გერჩდეს მას შინა
და იერიქოდ რაჲ შთავიდოდე
მსგავსითა
ნებითა, რომელნი-იგი
სიბოროტითა კლვად მიეცნეს პირველ
შენ მიერ ერსა შენსა,
ურჩებისათჳს მოვწყალ
სასიკუდინედ ვნებათა მიერ,
ვითარცა რაჲ ავაზაკთა, რომელი ნებსით მოიწყალ
კაცთა ნათესავისათჳს
სამსჭუალითა და ლახურითა
ჴორციელად და ზოგადი
ცხორებაჲ ჰქმენ მორწმუნეთაჲ
იჳრუსალიმს შინა
განმკურნე, გევედრები,
ყოვლადძლიერო უფალო,
და მიჴსენ და მაცხოვნე,
ვითარცა სახიერ ხარ
და შემინდვენ ცოდვანი ჩემნი.

ცისკრად
ძლ. მჯდომარე
ავაზაკურთა გულისსიტყუათა მიერ
მწარედ მივიწყალ მე, უბადრუკი ესე
და ნახევარმომკუდარი,
განვიწირე, სახიერო,
და სიმრავლემან
წინაჲსწარმეტყუელთამან რაჲ
მიხილა მე,
მწყდარი და ფრიად ტკივნეული,

არაჲ იზრუნეს ჩემთჳს,
არამედ თანა-წარმჴდეს
და კაცთაგან
უკურნებელი დავშთი,
ამისთჳს ბოროტად
ლმობილი ვღაღადებ
შენდა მიმართ, ქრისტე,
სიმდაბლითა გონებისაჲთა
დაასხ ჩემ ზედა
შენი დიდი წყალობაჲ.

წარდგომაჲ

ძლ. მჯდომარე

ხისა რაჲ მცნებისა გემოჲ იხილა ადამ,
სიხარბისა ნაყოფნი მწარენი მოისთულნა,
ხოლო რაჟამს აჰმაღლდი
ძელსა ზედა ჯუარისასა,
დასჯისა მისგან
იჴსენ იგი, მრავალმოწყალე;
ამისთჳსცა
გიღაღადებთ: მოგუანიჭე ჩუენ
ნაყოფთაგან განმხრწნელთა
მარხვაჲ, ყოვლადძლიერო,
და ნებისა
შენისა აღსრულებაჲ,
რაჲთა ვპოოთ დიდი მოწყალებაჲ შენი.
და ესრეთ ვიტყოდით:
რომელმან ჯუარცუმაჲ დაითმინე
ჩუენთჳს ჴორცითა,
უფალო, დიდებაჲ შენდა!

სხუაჲ [ჴმაჲ] დ გუერდი

ძლ. არაჲ დააკ

მარხვაჲ, ნათლით შემოსილი,
განანათლებს ყოველთავე
მუშაკთა[128] თჳსთა
და შემწყნარებელთა,
რომელნი იქმან საქმეთა ნათლისათა
და განეშორებიან ბნელსა ცოდვისასა
და განბრწყინდებიან სათნოებითა
ბრწყინვალითა ნათლითა
და ჰპოებენ დიდსა წყალობასა.

ოთხშაბათსა ე. ხუედრი

[128] მოშაკთა.

განძლიერდასა [ჴმაჲ] გ გუერდი
ძლ. შენ, ქრისტე ღმერთი
აჰმაღლდი ჯუარსა ზედა
მოწყალებით, ქრისტე, სახიერ,
და წყალობათა შენთა
სივრცითა უყისაგან მწარისა
ვნებათაჲსა აღმომიყვანე
განწირული ესე და ზეცად აღმამაღლე,
რაჲთა გაქებდე, მოწყალეო.

[გა]ნჰმარტენ ჯუარსა ზედა
ნებნი შენნი, ქრისტე მაცხოვარ,
და ყოველნი წარმართნი,
შენგან განშორებულნი, სახიერ,
შეიკრიბენ წიაღთა შენთა
და განაძლიერენ ძალითა შენითა,
რაჲთა გაქებდენ, მოწყალეო!

აჰმაღლდი ჯუარსა ზედა
და მოიწყალ ლახურისა მიერ
გუერდსა ჩემთჳს, იესუ,

4r და ძმრი/სა და ნავღლისა მიღებაჲ თავს-იდევ, რაჲთა ურჩებისა ჩემისა სიმწარენი დაატკბნე, სახიერ, რომელმან-ესე განგამწარე შენ.

მზე განჰკრთა და შეძრწუნდა, ხოლო ქუეყანაჲ შეირყია, რაჟამს-იგი კაცთათჳს დაემსჭუალე ჴორცითა, სახიერ, ჯუარსა ზედა კრავი ეგე ღმრთისაჲ და იჴსენ ქუესკნელითა დამნათესავითურთ, რაჲთა გაქებდეს, მოწყალეო.

ღმერთო სამგუამოვანო, ერთარსებაო სამებაო, სამთჳთებით ქებულო, ყოვლისა განმგებელო, მხოლოო, გუაცხოვნენ აღმსარებელნი შენნი, მამაო, ზეო და სულო სახიერო, რაჲთა ძრწოლით თაყუანის-გცემდეთ.

[129]ქუეყანისა ნაშობმან ვინ შეუძლოს ღირსად გალობად, ქალწულო და დედაო, სიწმიდეთა მათ შენთა საღმრთოთა უსაზღვროთა და მიუწდომელთა, რამეთუ შენ მხოლოჲ იქმენ დედათა შორის რჩეულ და ყოვლადსანატრელ, სძალო.

აკურთხევდითსა
ძლ. შეუწუველ
ქრისტესა ღმერთსა, ჯუარცუმულსა ჴორციელად და ღმრთეებით უვნებელსა ანგელოზნი ცათა შინა აქებენ, ხოლო ქუეყანისა ნაშობნი ქუეყანასა ზედა გალობით უღაღადებენ: ყოველნი საქმ[ენი] … … …

ჯუარცუმითა შენითა პატიოსნითა, ქრისტე, მიითუალე შენ სიკუდილი საყუ-

[129] ამ სტრიქონის გასწვრივ ვერტიკალური წარწერაა მთავრული ასოებით.

ედრელი, წყევისა თანამდები, და მე, განხრწნილი ესე, მიჴსენ ხრწნილებისაგან და ვიტყჳ: ყოველნი საქმენი … … …

დაითმინენ შენ ვნებანი მრავალნი ადამიანთა ცხორებად, ყოვლადსახიერო; ამისთჳს ვადიდებთ ჯუარცემასა და სიკუდილსა სენსა და ცხოველსმყოფელთა ვნებათა შენთა და ვიტყჳთ: ყოველნი საქმე[ნი].

ჵ სამებაო ყოვლადწმიდაო, ქერობინთაებრ გიგალობთ წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ერთღმრთეებაო დიდებულო, დაუსაბამოო მარტიო მიუწდომელო, ყოველთა არსთა სიბრძნით მპყრობელო და განმგებელო, აგამაღლებთ შენ უკუნისამდე.

შესხმით გადიდებთ შენ, უბიწოო, ბრწყინვალედ ყოველნი ტომნი, რამეთუ ჰშევ დამბადებელი მათი, ჵ სასწაული საკჳრველი და საქმე ყოვლადსანატრელი; ამისთჳს ვიტყჳთ: კურთხეულ ხარ შენ შორის დედათა და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ შენ თანა.

ადიდებდითსა

ძლ. სიტყჳთა მით

ნებსით თჳსით თავს-იდევ ჯუარცემაჲ, მჴსნელი, რაჲთა მოგუმადლო ცხორებაჲ საუკუნოჲ და განგუათავისუფლენ ჩუენ სიკუდილისაგან; ამისთჳს მორწმუნენი გალობით გადიდებთ.

ხემან მომაკუდინა მე და ძელმან ჯუარისამან მაცხოვნა, რომელსა ზედა აჰმაღლდი, ქრისტე, მეუფჱო, და მტერი მოაკუდინე, მკლველი ჩუენი მუშურნე, ხოლო მე განმაცხოველე.

ვაქებ ლახუარსა შენსა და უგალობ სამსჭუალთა შენთა და თაყუანის-ვსცემ ღრუბელსა, ლერწამსა და ჯუარსა სენსა, რომელთა მიერ მაცხოვნე, რმერთო ჩემო,

4v და მიჴსენ ქმ / ნული შენი.
ძესა მამასა თანა სულით წმიდითურთ დიდებულსა, ყოვლადგანშორებელთა
და შეურევნელთა ერთარსებით ქებულთა
ტომნი და ნათესავნი გალობით გადიდებთ.

ეჰა, საკჳრველებაჲ საშინელი და განსაკრთომელი და სასმენელი უსაზღვროჲ!
ვითარ დედობრივი ჰშევ შობაჲ და ხრწნილებაჲ დედათაჲ არა აგძენ (!) ქალწულო ღმრთისმშობელო.

მასვე დღესა სხუანი ხუედრნი
განძლიერდასა [ჴმაჲ] დ გუერდი

ძლ. არაჲ ვინ

საჴსრად სისხლი შენი ჩუენდა, უფალო, შესწირე შენ მამისა და ჩუენ ცოდვისაგან გჳჴსნენ და აწ გევედრებით: წყლულებანი ჩუენნი
განკურნენ, ქრისტე!

მოვსწყდი კეთილთაგან და მივემთხჳე ავაზაკთა ბოროტთა - ეშმაკთა, არამედ რომელმან ჯუარცუმაჲ თავს-იდევ სისხლითა შენითა
განმკურნე, ქრისტე!

ცხორებად, უბადრუკო სული, სიწმიდით ლოცვითა და მარხვითა მცირედსა ამას ჟამსა ცხორებისა შენისასა და ჰპოო შენდობაჲ
შეცოდებათაჲ.

სიტყუაჲ თანაარსი მამისა ღმრთისაჲ იშვა შენგან ჴორცითა, ღმრთისმშობელო, რაჲთა მეცა განხრწნილი ცოდვითა, კუალად განმაახლოს და აღმადგინოს.

[130]დასჯილი ცოდვითა, რომელმან-ესე განგარისხე, სახიერ, ქრისტე, გევედრები: მაცხოვნე მე, რომელმან დაჰსაჯე მტერობაჲ ჯუარისა მიერ.

ვითარცა განახუენ ყურნი ყრუჲსანი სულისა ჩემისა, ყურნი განახუენ, მჴსნელო, ნებსით დაყრუებულნი და მომმადლე შენთა სიტყუათა სმენაჲ.

პირუტყუებრივთა მათ საქმეთა ვჰბაძევდ და განგეშორე შენგან, მამაო, სახიერო, და დაუტევე მცნებაჲ შენი, ყოვლადწმიდაჲ, მე უბადრუკმან

უცხოთა ბოროტთა მოქალაქეთა დავემონე მე, ქრისტე, არაწმიდათა მათ ვნებათა, ხოლო აწ კუალად მოწცეული შენდა შემიწნარე მე.

ცოდვილთა მეოხო, ყოვლადწმიდაო ქალწულო დედოფალო, ჴიდო საღმრთოო და ბჭეო ცხორებისაო, განსაცდელთა ჩემთა ღელვაჲ დააცხრვე.

აკურთხევდითსა
ძლ. საჴმილსა რაჲ

მომკუდარი გონებაჲ ჩემი ცოდვათა და უსჯულოებათა მიერ აღადგინე, მოწყალე, რომელმან ჯუარცუმაჲ თავს-იდევ ჩემთჳს, რაჲთა გაკურთხევდე მჴურვალედ უკუნისამდე.

ჴელსა ავაზაკთასა შთავრდომილსა მივემსგავსე მე, ქრისტე, და ნახევარმომკუდარ ვარ ბოროტთა ვნებათა მოწყლული, არამედ, მაცხოვარ, შენ მხოლომან განმკურნე.


ჩემთჳს მოიწყალ, სახიერ, ჴორცითა ჯუარსა ზედა; ამისთჳსცა გევედრები: ცოდვათა - მიერნი წყლულებანი ჩემნი განკურნენ წყალობით, რაჲთა გაკურთხევდე შენ.

შენ ბჭესა სამეუფოსა, რომელი განვლო ძემან მაღლისამან კაცთა ცხორებისათჳს.

---

[130] ამ სტრიქონის გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიწერილია ავტორის დაქარაგმებული სახელი: ის˜ბ (იოსებ).

H 146



რაობა:	საგალობელი
თარიღი:	XI-XII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20,8x12,2

Content:	Hymns
Date:	XI-XII cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	20,8x12,2

ტექსტი

1r / და მწუხარეთა მხიარულებაო.
გიხაროდენ, [სნე]ულთა მკურნალო, სახიერო,
გიხაროდენ, საძნაურთა
ყოველთა დამჴსნელო ოხითა ბრა …

სიტყჳსა ღმრთისა განკაცებითა
ტაძრად … გამოსჩნდი, სძალო, სულისა წმიდისა მადლითა
და ჰშევ ძე, უფლისა სწორი მამისა დაუსაბამოჲსა
ბუნებითა და ნებითა და სახიერებითა,
რამეთუ შენ შორის იქმნა საქმე საკჳრველი.
და აწ იხილე ჴრწნილებაჲ ჩუენი, უბიწოო, ღონეთაგან
მტერისათა და განმაახლე ოხითა შენითა …
[სურ] … ვილითა უმეცრებისაჲთა … ურვისა
შენისა ჰრულითა დამძიმებულისა
დაი … დ … დ დ … … …
სვა გუემულსა ცოდვათა მიერ
და სასოწარკუჱთილებად მიახლებულსა
მიუწდომელობ … მ … რე … … ბნითა მსწრაფლ
… მ … შემდგომად ღმრთისა სასოო ჩემო ღმრთისა მარადის
ქრისტეს მოწამენო, ყოველთა ადგილთა წმიდა
… ენ და ცათა … ეულთა წმიდათა … …
1v / … გლ...ნ და აწ ევედრენით თ˜გნ (?)
არამედ
მახეთაგან მტერისათა
კეთილთა [თჳს] … გე[ვე]დრებით
ოთხშაბათსავე გალობანი წმიდისა ღმრთის მშობლისანი
გალობანი
გონებითა ლმობიერითა
და გულითა შემუსრვილითა
შეგივრდები, ღირსო


წმიდაო დედოფალო,
მომფინე მადლი შენი
და განმაძლიერენ გალობითა
ქებად შენდა,
ღმრთისა საუნჯეო.

განბრწყინვებულნო მორწმუნენო, დღეს
ნათლითა სამებისაჲთა
მოვედით, ვაქებდეთ
მამასა ნათლისასა,
... ძველსა სოფლისასა,
მეოხსა მორწმუნეთასა
გალობითა სლვ[ითა] დღეს.

გალობასა შინა მოთმინებითა
და ვედრებასა მონიჭებითა
ღირს-მყავ, ღმრთისმშობელო, შეწევნითა
... რაჲთა ღირს ვიქმნე მეცა
... ე ... რომელმან[131]
სამწყსოთა მათ თანა
მაქებელთა ... ბაჲ ... აჲ
... ბაჲ გულისჴმისყოფისა ... ...
ბისა ... საჲ და ... პნ ... ... იყ ... ...

H 362

რაობა:	სახარება
თარიღი:	XIII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24,3×19
Content:	Gospel (Luke, chapter 24, 20-40)
Date:	XIII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	24,3×19



ტექსტი

(ლუკა, თავი 24, 20-40)

1r* [პირველი სვეტი] / სასა და ჯუარ[ს]-აცუ֍ს იგი.

ხოლო ჩუენ ვესავთ, ვითარმედ იგი არს, რომელმან იჴსნეს ისრა֍ლი და ამას ყოველსა თანა ესე მესამე დღე არს, ვინაჲთგან ესე იქმნა.

[131] ძალიან წარჩხაპნილია.

* **შენიშვნა:** გიორგი მთწმინდელისეული რედაქციის.

არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენაგანთა დამაკჳრვნეს ჩუენ, ვითარ-იგი მივიდეს ცისკარსა საფლავსა მას

და არა პოვეს გუამი მისი.

მოვიდეს და ჰრქუეს, ვითარმედ ხილვაჲცა ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ჰქუეს მათ, ვითარმედ: „ცხოველ არს იგი".

და მი-ვინმე-ვიდეს ჩუენგანნიცა საფლავად და პოვეს ეგრე, ვითარცა დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს.

ხოლო მან ჰრქუა მათ: „ჱ უცნობელნო

[მეორე სვეტი] და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზედა, რომელსა იტყოდეს წინაწარმეტყუელნი!

ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჳსსა?"

და იწყო მოსესითგან და წინაწარმეტყუელთა და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთაგან წიგნთა მისთჳს.

და მიეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა ვიდოდეს, ხოლო თავადმან მიზეზ-ყო უშორესადრე წარსლვაჲ.

ხოლო იგინი აიძულებდეს მას და ეტყოდეს: „დაადგერ ჩუენ თანა, რამეთუ მწუხრ არს და მიდრეკილ არს დღე".

და შევიდა დადგომად მათ თანა.

და იყო ინაჯით ჯდომასა მას მისსა მათ თანა

1v [პირველი სვეტი] მოიღო პური, აკურთხა და განტეხა და მისცემდა მათ.

ხოლო მათ თუალნი მათნი განეხუნეს და იცნეს იგი და თავადი მიეფარა მათგან.

და იგინი იტყოდეს ურთიერთას: ანუ არა გულნი ჩუენნი განჯურვებულ იყვნეს ჩუენ შორის, ვითარ-იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა და ვითარ-იგი გამომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა?

და აღდგეს მასვე ჟამსა შინა და მოიქცეს იჱრუსალიმდ და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათ თანა,

იტყოდეს რაჲ,

ვითარმედ: ნანდჳლვე აღდგა უფალი და ეჩუენა სიმონს.

და იგინი უთხრობდეს გზისასა მას და

[მეორე სვეტი] ვითარ-იგი გამოეცხადა მათ განტეხასა პურისასა.

და ვითარ იგინი ამას იტყოდეს ოდენ, და თავადი იესუ დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშჳდობაჲ თქუენ თანა!

ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეეშინა, ეგონა, ვითარმედ სული რაჲმე იხილეს.

და თავადმან ჰქუა მათ: რაჲსა შეძრწუნებულ ხართ, და რაჲსათჳს გულის-სიტყუანი მრავალნი მოვლენან გულთა თქუენთა?

იხილენით ჯელნი ჩემნი და ფერჯნი, რამეთუ თავადი მე ვარ; ჯელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ჯორც და ძუალ არა ასხენ, ვითარცა-ესე მხედავთ, რამეთუ მასხენ.

და ესე რაჲ თქუა, უჩუენნა.

H 536

რაობა:	კონდაკი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	11,8×9,2

Content:	Kontakion
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	2 folio
Script:	Nuskhuri
Size:	11,8×9,2

ტექსტი

1r / მიმართ ვილოცოთ. ვჰმადლობდ უფალსა, ღირს არს, მართალი არს, ალჲლოჲ.

ღირს არს და მართალი შენდა ქებად, შენდა კურთხევად, შენდა გალობად, შენდა მადლობად, შენდა თაყვანისცემად ადგილსა მეუფებისა შენისასა, რამე თუ შენ ხარ ღმერთი, გამოთარგმანებული, მოგონებული, მიუწდომელი, უხილავი. მარადის ხარ, ვითარცა იგი ხარ შენ და მხოლოდშობილი ძე შენი და სული შენი. შენ არა

1v / არსისაგან ყოფად მომიყვანენი, ჩუენდა მოგომადლე სასუფეველი მერმეისაჲ, უფალო, ყოველთათვის გმადლობთ შენ, მხოლოდშობილისა ძესა შენსა და სულისა(!) შენსა წმიდასა ყოველთათვის, რომელი უწყნით საჩინოთა და უჩინეთა ქველისმოქმედებათა, ჩუენდა მომართ ქმნილთა. გმადლობ შენი შესაწირაჲსა წმიდისა ამის.

1r / მოწყალებათათჲს მხოლოდშობილისა ძისა შენისა, რომელისა თანა კურთხეულ ხარ თანა ყოვლადწმიდითა სახიერით და ცხოველსა სამყოფელითურთ აწ და მარადის უკუნი[სამდე]

მშჲიდობაჲ ყოველთა სულისა წმიდისა შენისა თანა.

ვიყვარებოდით ურთიერთარს ქრისტე არს ჩუენ შორის კარნი(+კარნი) მოხედენთ.

გურწამის სრულად თქვას.

2v / ვდ[ე]გით კეთილად, ვდ[ე]გით შიშითა, მოხედეთ წმიდასა ამას შესაწირაუსა მშჯდობით შეწირვად წყალობაჲ , მშჯდობაჲ, შესაწირავი.

მადლი უფლისა ჩუენისა, იესუ ქრისტეს სიყუარული ღმრთისაჲ და მამისაჲ და ზიარებად წმიდისა სულისა იყუენენ ჩუენ ყოველთა თანა ზ..... უქს გალობაჲ. გუაქუს .....სა.

H 536ა

რაობა:	კონდაკი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	11,7×9
Content:	Kontakion
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	2 folio
Script:	Nuskhuri
Size:	11,7×9

ტექსტი

1r / არ იკითხება
1v / დღ..... ....თა შ...
.....,წმიდი-
სა .... ს... შენ.....
ჩუენ.....
თს .....
.....
.... ჩ..ლად ..... გამ
.....ებაჲ წმიდისა
სჯულისა შენისა
შემდგომად აღსრულებისა დღეთა და
განწმედისათაჲტაძრად მიყვანებაჲთავს-იდევ,
რომელი-იგი
2r / ....აღ ..... და .....
გ..... დ..... .....
დ.....
.....
გაქებ შენ .....
დღეთა .....ებ .....
გ..... შენი
სიტყუაჲ, ძალი, დიდებაჲ მამისა
ფიცებაჲ ა. უფლისა მ.....
შეგ[რ]ისხებს შენ

2v / არ იკითხება
.....
.....
..... ძელნი.....
.....
..... ქ.....ნა.....
..... ქუეყანა.....
.....ა ს..... ლა.....
.....უნეს და .....
.....

H 536ბ

რაობა:	ლოცვანი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12,3×9,3

Content:	Prayers
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	2 folio
Script:	Nuskhuri
Size:	12,3×9,3

ტექსტი

1r / არ იკითხება

1v / არამედ ჰკითხო.....

მ.....

ქუმელჲ მა.....

უდგჲ. ჰ.....

სამგზის. დამ.....

მღდელმან ლოცვაჲ. უფალო, ...

დომელ..... მე მო.....

ნ..... წა ამას ნათლისა

..... და ღირს-ყავ ესე

დიდისა ამის მადლისა წმიდისა

შენისა [ნათლ]ჲსღებისაგან განბანე

....ნ სიძუჭლე და განა...სე ესე ცხორებჲთა საუკუნოჲთა და აივსე ესე წმიდისა სუ[ლი]სა შე[ის]ა ძლჲთა(!) ერთობითა ქრისტეს, ძისა შენისაჲთა, რაჲთა არღარა .....

იყოს, არამედ

/ტექსტი არ გადადის/

2r / და რტოჲ ზეთისხი.....

ნდა პირსა მისსა და.....

სასწაული და ცხორებჲსი წყალთა რღნისა მისგან მდ.....ის მისგან საიდუმლოჲ მ.....ვე გამოსხე(!) ზეთის ნაყოფი აღსრულებ.....თა საიდუმლოთა..... ჩუენ, ... რომელი მის ... სჯულსა .... აღას..... სულჲთა ჩუენთა და მადლსა შენსა სრულ-ყვენ, შენვე აკურთხე ზეთიცა ესე ძლითა და შეწევნითა დანერგვითა წმიდისა სულისა შენისათა, რაჲთა ექმნას საცხებელი უხრწნელებჲსა საჭურველჲ სიმართლისა.....ებლ პორცსა და ყოვლისა ...კოჲსა ....ქმნის

.....ქმის.....

2v / დ..... შრე .....

..... ხთა და რომელი

[სარწ]მუნოებისაჲ

..... მი.... შენ.

აღემართოს
მღდლ҃ და თქუას.
დ..... შენდა,
მხოლოდშობილისა ძისა შენისა
და.....ლს მ.....
და .... ხედეთ
მღდელმან ..... რ.... და გამოსხნ....
ყოველსა მას ..... რომელნი ....
ს..... ერითურთ .....
ა.....

H 1326

რაობა:	სახარება მათესი
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	23x18

Content:	Gospel of Mathew
Date:	X c.
Number of folia:	2 folios
Script:	Asomtavruli
Size:	23x18

ტექსტი

1r */ მათეს სახარება16, 13-25

1r/ მო-რა҃-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თ҄სთა და ჰრქუა: რა҃ თქ҄ან კაცთა ძისა კაცისა ყოფად?

ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთამე იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთამე ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?

მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა҃.

მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა҃.

და მე გეტყ҄ჳ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია҃ ჩემი, და ბჭენი ჯ҃ოჯ҃ოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.

და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათა҃სანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰ҄სნა ქუეყანასა ზედა, ს҄ნილ იყოს იგი ცათა შინა.

მაშინ ამცნო მოწაფეთა თ҄სთა რა҃თა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს იესუ ქრისტე.

მიერითგან იწყო იესუ უწყებად მოწაფეთა თ҄სთა, ვითარმედ: ჯ҃ერ-არს მისა იერუსალ҆ჱმდ აღსლვა҃ და ფრიად ვნება҃ მღდელთ-მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

და მოუ҄ჴდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა და ჰრქუა: შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ეგრე.

* შენიშვნა: პირველი ორი გვერდის ტექსტის ქვემოთ ნაჩვენებია პარალელური ადგილები ოთხთავთაგან 1rv.

ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

მაშინ ჰრქუა იესუ მოწაფეთა თჳსთა: რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უარყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე.

რამეთუ უკუეთუ ვისმე უნდეს სული თჳსი განრინებად, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.

1v ... ...

2r 18, 12-22/ ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შეცსთეს ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა და ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მთათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი?

და რაჟამს პოოს იგი, ამენ გეტყჳ თქუენ: უფროჲს უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოცდა ათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნეს.

ესრეთ არა არს ნებაჲ მამისა თქუენისა ზეცათაჲსაჲ, რაჲთა წარწყმდეს ერთი მცირეთა ამათგანი.

ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ იგი შენი.

ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუაჲ, რაჲთა პირითა ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ.

ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი.

ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა.


კუალად ამენ გეტყჳ თქუენ: უკუეთუ ორნი თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათჳსვე საქმისა, რომელიცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათაჲსა.

რამეთუ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა.

მაშინ მოუჴდა მას პეტრე და ჰრქუა: უფალო, რაოდენ-გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შჳდ-გზისამდეა?

ჰრქუა მას იესუ: არ გეტყჳ შენ ვიდრე შჳდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შჳდ-გზის.

H 1357



რაობა:	მახვანი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	28×21
Content:	Triodion
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	28×21

ტექსტი

1r / შენებად, იჴსენ თავი შენი; უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჰჴედინ მაგიერ ჯუარით!

ეგრეთვე მღდელთმოძღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა მათ და იტყოდეს:

სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. უკუეთუ მეუფჱ ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ აწ ჯუარით და გურწმენეს მისსა მიმართ.

უკუჱთუ ესვიდა ღმერთსა, იჴსენინ იგი, უკუჱთუ ჰნებავს იგი, რამეთუ თქუა, უკუჱთუ: ძე ღმრთისაჲ ვარ მე.

ეგრეთვე ავაზაკნი იგი, მის თანა ჯუარცუმულნი, აყუჱდრებდეს მას.

ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამამდე.

ხოლო მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელოჲ ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაჲსათჳს დამიტეობ მე?

და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს: ელიას უჴმობს ესე.

და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი, აღსავსე ძმრითა, და დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას.

ხოლო სხუანი იტყოდეს: აცადეთ და ვიხილოთ, უკეთუ (!) მოვიდეს ელია ჴსნად მაგისსა.

ხოლო იესუ ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული.

და აჰა … კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან ვიდრე ქუჱმდე და ქუჱყანაჲ შეიძრა და კლდენი განსქდეს

და საფლავნი აღეხუნეს და მრავალნი გუამნი შესუჱნებულთა

1v წმიდათანი აღ/დგეს.

და გამოვიდეს საფლავით მათით და შემდგომად აღდგომისა მათისა შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა.

ხოლო ასისთავმან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს რაჲ ძრვაჲ იგი და[132] რაჲ-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე.

სახარებაჲ ლუკასი … ჱ (?)

23, 32

მას ჟამსა შინა მოჰყვანდეს იესუ, თანა სხუანიცა ორნი ძჯრისმოქმედნი მოკლვად.

და ვითარცა მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან „თხემისაჲ ადგილი„ და მუნ ჯუარს-აცუჱს იგი და ძჯრისმოქმედნი იგი - რომელიმე მარჯუჱნით და რომელიმე - მარცხენით.

ხოლო იესუ იტყოდა: მიუტევე ამათ, მამაო, რამეთუ არა იციან, რომელსა იქმან. ხოლო განიყვეს სამოსელი[133] მისი და განაგდეს წილი.

და დგა ერი იგი და ხედვიდეს, შეურაცხ-ყოფდეს მას მთავარნიცა იგი მათ თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა[134], თავიცა თჳსი, უკეთუ ესე არს ქრისტე, რჩეული ღმრთისაჲ.

ემღერდეს მას მჴედარნიცა იგი, მოუჴდიან მას და ძმარი[135] მოართჳან.

და ეტყოდეს: შენ თუ ხარ მეფე ჰურიათაჲ, იჴსენ თავი შენი.

---

[132] და + და.

[133] სამოსე.

[134] აცხოვნნა-ს შემდეგ აკლია სიტყვა იცხოვნენ.

[135] მ̃რი.

ხოლო იყო დაწერილიცა, რამეთუ წერილ იყო მას ზედა წიგნითა ბერძულითა და რომელებრითა და ებრეულებრითა, ვითარმედ: ესე არს მეფე ჰურიათაჲ.

ხოლო ერთი იგი დამოკიდებულაგანი ძჯრისმოქმედი ჰგმობდა მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე, იჴსენ თავი შენი და ჩუჳნცა.

მიუგო ერთმან მან მოყუასმან და შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არცაღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ

და ჩუენ სამართლად ღირსი, / რომელი ვქმენით, მოგუჳგების. ხოლო [ამან] არარაჲ უჯეროჲ ქმნა.

და ეტყოდა იესუს: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჯდე სუფევითა შენითა.

ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამინ გეტყჳ, დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა შინა.

და იყო ჟამი მეექუსე და ბნელ იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

დაბნელდა მზე და განიპო კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის.

და ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თქუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა. და ესრა თქუა, განუტევა სული.

და ვითარცა იხილა ასისთავმან საქმე ესე, ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა: ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო.

და ყოველნი მათ თანა მოსრულნი. და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე, იცემდეს მკერდსა და წარვიდოდეს.

და დგეს ყოველნი მეცნიერნი შორით და დედანი, რომელნი შეუდგეს მას გალილიაჲთ, ხედვიდეს.

და მეყუსეულად

აღეხუ[ჳ]ნნ.

განსხვავებული ხელია

2r / ხუჳდრნი. დასდებელი. ყოველი დდ˜ჯერ დიდსა პარასკევსა. ხუჳდრნი სამფსალმუნნი.

ღამითგანსა [ჴმაჲ] ბ გუერდი შენდა აღვიმსთობ მოწყალებისათჯს დაცემულისა მის დაცარიელებულისა და ვნებათამდე უვნებელად შთაჴედ ჯოჯოხეთად,

სიტყუაო ღმრთისაო, მომეც მე მშჯდობაჲ კაცთმოყუარე ფერჴგანბანილნი, წინაგანწმედილნი ღმრთისა გონებისა დაფარულთა ზიარქმნითა მსახურნი შენნი,

ქრისტე, სიონით ზეთისხილით მთად თანა-აღმოგჯყვეს შენნი მგალობელნი, ქრისტე, კაცთმოყუარეო.

2v / ჰრიდეთ, - ეტყოდა, -
შვილნო, და ნუ შფოთებთ
მოახლებუ/ლ არს ჟამი,
ოდეს-იგი, … …, რომელმან სიკუდილმან
ბილწითა ჴელითა
და ყოველნი განიბნივნეთ,
მე დამიტეოთ, რომელმან
შეგკრიბნე მქადაგებელად
ყრმათა საღმრთოთა.
იბაკონი ზემო პოენ.
აკურთხა[136] წიგნის კითხვაჲ
სიბოროტისა
ძე, გული ღმრთისმბრძოლთა

[136] მონოგრამა აკ˜ხა.

ყ...ა ღმრთის[ა]თა განაქიქეს,
ხოლო ქრისტესთჳს შეთქმული
დღეს უსჯულოჲ შესაკრებელი
განიზრახავს ცუდთა,
იწურთის სიკუდილსა,
ცხორების მპყრობელსა ჴელითა, რომელსა
ქებით ყოველი აგებული ძნობს დიდებისმეტყუჱლი.

წამითგან ძილი
აწ განიშორეთ თქუჱნ,
არქჳ, ქრისტე, ჱ მორწმუნენო,
ხოლო მლოცველნი იღჳძებდით, ნუსადა
მლოცველთა გევნოს და უფროჲსღა სჳმეონ,
რამეთუ უფროჲს განცდილმან მიცნა მჴსნელი პეტრე
რომელსა ქებით ყოველი აგებული ძნობს დიდებისმეტყუეჱლი.

განვსცნე აროდეს
მე ბაგენი სიტყჳთ
შეგინებად, მეუფეო, შენ თანა მოვკუდე, ვითარ ერთგული, უარ-გყონ-ღა თუ სხუათა, - ღაღადებდა პეტრე. არა ჴორცთა და სისხლთა მამამან განმიცხადა შენთჳს, რომელსა ქებით ყოველი აგებული ძნობით დიდებისმეტყუეჱლი.

სიღრმე სიბრძნისა ღმრთისაჲ
და ცნობისაჲ არღა გამოგჳძევეს
უფსკრულთა ჩემთა,
საჯუ ლთასა ვერ მიმწუთარ ხარ, კაცო, უფალმან
ჰრქუა და ნუ იქადი
შენ ჴორცი ეგე,
რამეთუ უარ-მყო მე სამგზის,
რომელსა ქებით ყოველი აგებული ძნობს დიდებისმეტყუჱლი.

სიღრმე სიბრძნისა.
აღსთქუამ არაქმნად
სჳმონ-პეტრე მისსა, რომელ მსწრაფლ … … …

H 1395

რაობა:	სახარება (პალიმფსესტი)
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	3 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20x17

Content:	Gospel (Palimpsest)
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	3 folios
Script:	Nuskhuri
Size:	20x17

ტექსტი

1r * / გან საუნჯისა გამოიღის ბოროტი. ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: ყოველი სიტყუაჲ ცუდი,რომელი თქუან კაცთა, მისცენ მისთჳს სიტყუაჲ დღესა მას საშჯელისასა, რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე. და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.

მაშინ მიუგეს მწიგნობართა და ფარისეველთა და ჰრქუეს: მოძღუარ, გუნაბაუს შენგან სასწაულისა ხილვაჲ.

ხოლო მან მიუგო მათ და ჰრქუა: ნათესავი უკეთური და მემრუშე სასწაულსა ეძიებს და სასწავლი (!) არა ეცეს მას, გარნასასწავლი იონა წინაწარმეტყველისაჲ,

რამეთუ ვითარცა იყო იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისაჲ გულსა შინა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე.

კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისასა ამის თანა და სჯიდეს მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებაჲ იგი იონაჲსი.

აჰა ესერა უფროჲს იონაჲსა არს აქა, დედოფალი იგი სამჴრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას ნათესავისასა ამის თანა და სჯიდეს მათ, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა და, აჰა ესერა, უფროჲს სოლომონისა არს აქა.

ხოლო რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდა, კაცი

1v / საგან წარვიდის იგი ურწყულთა ადგილთა და ეძიებენ განსასუენებელსა და არა - პოის განსასუენებელი.

და მაშინ თქჳს: მივიქცე სახიდვე ჩემდა, ვინაჲცა გამოვედ.

და მოვიდის და პოვის იგი მოცალე, მომართებულ და განშუენებული. მაშინ წარვიდის და მოიყვანის მის თანა შჳდნი სხუანი ეშმაკნი უძლიერესნი თავისა თავისისა.

და მოჳდიან და დაემკჳდრიან კაცისა მის თანა და არიან უკანჲსკნელი იგი უძჳრეს პირველისა, ეგრეთ იყოს ნათესავისა ამის უკეთურისაჲ.

და ვიდრე იგი ეტყოდა ერსა, და აჰა დედაჲ მისი და ძმანი მისნი დგეს გარე და ეძიებდეს სიტყუად. ხოლო ჰრქუა მას ვინმე: ესერა დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანნ და გეძიებნ შენ სიტყუად.

და მან მიუგო და ჰრქუა მათ: ვინ არს დედაჲ ჩემი ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი? ხოლო რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისაჲ ზეცათაჲსა, იგი არს ძმაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი.

მას დღესა შინა გამოჳდა (!) იესუ სახიდ თჳსა და დაჯდა იგი ზღჳს კიდესა. შეკრბა მისა ერი მრავალი და იგი აჴდა ნაუსა და დაჯდა მუნ და ყოველი იგი ერი დადგა კიდესა და ეტყოდა მათ იგაჳით ფრიად და ჰრქუა: აჰა, გამოჳიდა მთესვარი თესვად და თესვასა მას

2r / მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა, მოჳიდეს(!) მფრინველნი ცისანი და შეჭამის იგი. და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად და მეყსეულად აღმოჴდა მზე, დასცხა, რამეთუ ძირნი არა დაებნეს და განჴმეს.

და სხუაჲ დავარდა ეკალთა შინა და აღმოჴდა ეკალი, შეაშთვეს იგი.

სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა, რომელიმე- სამეოცსა, რომელიმე- ოცდაათეულსა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინინ.

და მოუჴდეს მოწაფენი, ჰრქუეს: რაჲსათჳს იგაჳით ეტყჳ მათ?

ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ, რამეთუ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოთა მათ სასუფეველისა ზეცათაჲსა. ხოლო მათდა არცა მიცემულ არს.

---

* შენიშვნა: ქვედა ფენა XI ს.
ხელნაწერის ტექსტი შეიცავს მათეს სახარებას: 12 თავის 35 მუხლიდან - 13 თავის 25 მუხლამდე, 18 თავის 26 მუხლიდან - 19 თავის 11 მუხლამდე.

და რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს, და რომელსა არა აქუნდეს, რომელი-ღა იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან.

ამისთჳს იგაჯით ვეტყოდე მათ, რამეთუ ხედჯიდენ და ვერ იხილვენ; ესმის და ვერ გულისჴმა ჰყოფენ და აღესრულების მათ ზედა წინაწარმეტყველებაჲ იგი ესაჲაჲსი, რომელი თქუა: სმენით გესმოდის და არა გულისჴმა-ჰყოთ და ხედვით ხედჯიდეთ და ვერ იხილოთ.

რამეთუ განზრქა გული ერისა მის და ყორითა მძიმედ ისმინეს და თუალნი მათნი დაიწუნეს. ნუუკუჱ იხილონ თუალითა და ყორითა ისმინონ და გულითა გულისჴმა-ჰყონ და მოიქცენ და მე განკურნე(!) იგინი.

ხოლო თქუენნი თუალნი ნეტარ არიან, თუალნი, რამეთუ ხედვენ

2v / და ყურნი თქუენნი, რამეთუ ისმენენ. მართლიად გეტყჳ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყველთა და მართალთა სწადოდა ხილვაჲ, რომელსა თქუენ ჰხედავთ, ვერ იხილეს და სმენად, რომელი თქუენ გესმის, არა ესმა.

აწ ისმინეთ იგაჯი მთესვარისაჲ, რომელსა ესმის სიტყუაჲ იგი სასუფეველისაჲ და არა გულისჴმა-ყჳს. მოჳდიან უკეთურნი იგი და მისტაციან დათესული გულისაგან თჳსისა.

ესე იგი არს, რომელი გზასა ზედა დაეთესა, ხოლო რომელი-იგი კლდოანსა ზედა დაეთესა, ეს არს, რომელთა სიტყუაჲ იგი ესმის წუთ ერთ და სიხარულით შეიწყნარის იგი, რამეთუ ძირნი არა უბან მათ თანა, არამედ საწუთრო არიან, ანუ ჭირი, ანუ დეუნულებაჲ(!) სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად შესცთეს.

ხოლო რომელი ეკალთა შინა დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთჳს სიტყუაჲ იგი და უნაყოფო იქმნის.

ხოლო რომელი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და გულისჴმა ყჳს და გამოიღის ნაყოფი და ყვის რომელმანმე ასი და რომელმანმე-სამეოცი და რომელმანმე ოცდაათეული.

სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მთესვარსა კეთილისა თესლისასა აგარაკსა თჳსსა.

და რაჟამს დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მისა მტერი და დასთესა ღუარძლი.

3r / არ გადადის

იგი და თაყუანის-სცემდა და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა, ყოველივე მიგცე შენ.

შეეწყალა უფალსა მას მონაჲ იგი და განუტევა თანანადებიცა მისი.

და ვითარცა გამოვიდა მონაჲ იგი, პოვა ერთი[3] მოყუასი თჳსი, რომელსა თანაედვა მისი ასი დრაჰკანი, შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა მას: მომეც მე, რაჲცა ზედა-გაც.

შეურდა მოყუასი იგი მისი, ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა და მიგცე ყოველი!

ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ უფროჲსღა აურვებდა მას და შეაგდო იგი საპყრობილესა, ვიდრემდე მისცეს თანანადები იგი მისი.

იხილეს რაჲ მოყუასთა მათ მისთა საქმე ესე, შეწუხნეს ფრიად, მივიდეს და აუწყეს უფალსა მას ყოველივე, რაჲიცა იყო. მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა: მონო(!) ბოროტო, ყოველივე თანანადები მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე.

არა ჯერ-იყო შენდაცა, რაჲთამცა შეიწყალე მოყუასი იგი შენი, ვითარცა მე შეგიწყალე.

და განურისხნა მას უფალი იგი თჳსი და მისცა იგი წელთა მტანჯუჱლთასა, ვიდრემდე გარდაიჴადოს ყოველი, რაჲცა ზედა-ედვა.

ეგრეცა მამამან ჩემმან ზეცამან(!) გიყოს თქუენ, უკუჱთუ არა მიუტეუნეთ კაცად-კაცადმან თქუენმან მოყუასსა თჳსსა ყოვლითა გულითა თქუენითა.

და იყო, ვითარცა დაასრულნა იესუ სიტყუანი ესე, წარვიდა გალილეად და მოდა

3v / საზღუართა ჰურიასტანისათა წიაღ იორდანესა და მისდეუდა მას ერი მრავალი და განკურნა იგი მუნ. მაშინ მოვჴდეს მას ფარისეველნი იგი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: უკუჱთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისაჲ ყოვლისათჳსვე ბრალისაჲ? ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რომელმან დაჰბადა, დასაბამსა მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი და თქუა: ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და იყუნნ იგინი ერთ-ორც, ვითარმედ არღარა არნ იგინი ორ, არამედ ერთ-ორც, რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ.

ჰრქუეს მას: რაჲსათჳს უკუე მოსე ამცნო წიგნი განტევებისაჲ მიცემად და განტევებად?

მიუგო იესუ და ჰრქუა მათ, რამეთუ: მოსე გულფიცხელობისა თქუენისათჳს ბრძანა განტევებაჲ ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრეთ იყო.


ხოლო მე გეტყჳ თქუენ, რამეთუ, რომელმან დაუტეოს ცოლი თჳსი თჳნიერ სიძვისა და სხუაჲ შეირთოს, იმრუშა, რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა.

ჰრქუეს მოწაფეთა თჳსთა: უკუეთუ ესეოდენი ბრალი არს კაცისაჲ დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ

ჰრქუა მათ იესუ: არა ყოველთა დაიტიონ სიტ

H 1396

რაობა:	სახარება
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	21,7x18,4
Content:	Gospel
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	21,7x18,4



ტექსტი

ლუკა 12,36

1r* / [კაც]/თა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თჳსსა. და ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რაჲთა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს.

* შენიშვნა: ფრაგმენტის ოთხივე ფურცელი პალემფსესტია. ქვედა ფენა ნუსხურია X-XI საუკუნეების.

და მეყსეულად განულღონ მას კარი. ნეტარ იყვნენ მონანი იგი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი მღჳძარენი. ამენ გეტყჳთ თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი, წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მას. დაღათუ მეორესა საჴმილავსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი.

ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან[137], რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს, იღჳძებდამცა და არა დაუტევა გუერდი სახლისა მისისაჲ დათხრად. თქუენცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ, რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს.

ჰრქუა მას პეტრე: ჩუენდა მომართ ხოლო იტყჳ იგაჳსა ამას, ანუ სხუათა ყოველთა?

ხოლო იესუ ჰრქუა:

ვინ-მე იყოს მნე იგი სარწმუნოჲ, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად იფქლისა საწყაული?

1v და ნეტარ არს იგი/მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.

ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველთა მონაგებთა მისთა ზედა დაადგინოს იგი.

უკუეთუ თქუას მონამან გულსა[138] შინა თჳსსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად და იწყოს გუამა[ჲ]

მონათა და მჴევალთა ჭამად და სუმად და დათრობად.

და მოვიდეს უფალი ღმერთი მონისაჲ მის დღესა, რომელ[სა] არა მოელოდეს და ჟამსა, რომელი არა იცის და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა.

და მუნ იყოს ტირილი თუალთაჲ და ღრჭენაჲ კბილთაჲ[139].

ხოლო მონამან, რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თჳსისაჲ და არა განემზადოს, იტანჯოს იგი ფრიად. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რაჲმე ღირსი ტანჯვისა, მცირედ იგუემოს, რამეთუ ყოველსა, რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან, და რომელსა მოჰხადონ, უმეტეს მიეცეს მას.

ცეცხლისა მიფენად მოვედ ქუეყანასა ზედა და არა მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნას.

ხოლო ნათლისღებაჲ მაქუს ნათლისღებად და ვითარ შეურვებულ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს.

ეგრეთ ჰგონებთ თქუენ, ვითარმედ მშჳდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა არა გეტყჳთ,

არამედ განყოფად რამეთუ იყვნენ, ამიერითგან სახლსა შინა ხუთნი ერთსა თანა განყოფილ სამნი ორთაგან და*/

არ გადადის

ლუკა 14, 28

2r / ვის-მე თქუენგანსა უნდეს გოდოლი შენებად,

არა პირველად დაჯდეს, აღრაცხოს, რაოდენი

უჴმდეს. უკუეთუ აქუნდეს, რაჲთა კმა-ეყოს აღსრულებადმდე.

---

[137] უფალმან + იცოდა სახლსა უფალმან.

[138] გულსა + სა.

*1r-ს მარჯვენა კიდეზე მთავრულით; რ̃ნე რ̃ნვ რ̃ნზ

[139] ხაზგასმული ტექსტი მეტია სხვა ოთხთავებთან შედარებით.

*1v-ს მარცხენა კიდეზე (მთავრულით) ვერტიკალურად: რ̃ნჱ რ̃ნთ რ̃ჲ.

ნუუკუე დადვას საფუძველი და უძლოს აღშენებად მისსა. და ყოველნი, რომელნი ხედვიდენ მას, იწყონ კიცხევად მისსა.

და თქუა, ვითარმედ: კაცმან ამან იწყო შენებად და ვერ უძლო აღსრულებადმე.

ანუ რომელი მეფე მივალს სხჳისა (!) მეფისა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჯდეს და განიზრახოს.

და უკუეთუ შემძლებელ არს ათთა ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალსა მისსა ზედა?

უკუეთუ არა, ვიდრე შორსღა იყოს, მოციქული მიუვლინოს და მოიკითხოს იგი მშჳდობით.

ეგრეთვე ყოველნივე თქუენგანმან, რომელმან არა ქმნეს[140] ღმრთისმსახურებაჲ ყოვლისაგან მონაგებისა მისისა, ვერ ჴელ-ეწიფა მოწაფეყოფად ჩემდა.

კეთილ არს მარილი, უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთა-მე დაიმარილოს?

არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე-განაგდონ[141] იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ.

ლუკა 15

2v და იყვნეს ყოველნი ცოდვილნი და მეზუე/რენი* მახლობელ მისსა და ისმენდეს სიტყუათა მისთა

და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, [ვითარმედ: ესე] ცცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს.

და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა მათ:

ვის თქუენგანსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნეს ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი, უდაბნოთა ზედა წარვიდეს შეცთომილისა მისთჳს?

და რაჟამს პოოს იგი, დაისუას იგი მჴართა ზედა თჳსთა და სიხარულით მოვიდის იგი სახიდ თჳსსა.

და მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა თჳსთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული

გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს, ვიდრე ოთხმეოცდაათცხრამეტთა, რომელთა არა უჴმს სინანული მართალთა უცოდველთა.

გინა დედაკაცსა, რომელსა აქუნდა ათი სატირი და წარუწყმდა მას ერთი სატირი,

არა აღანთოსა სანთელი და მოჰმართოს სახით და ეძიებდეს გულსმოდგინედ.

და რაჲჟამს პოოს იგი, მოუწოდოს მეგობართა*/

არ გადადის და ხელიც წინა გვერდებისგან განსხვავებულია

მათე 6

3r / … რაჲთა იდიდნენ წინაშე კაცთა. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებ[იეს] სასყიდელი მათი.

---

[140] იჯმნეს. ჩვენს ფრაგმენტში შეცდომითაა.

[141] განდვან.

*2r-ს მარჯვენა კიდეზე მთავრული ასოებით: რპგ რპე რპდ რპვ.

* 2v-ს მარცხენა კიდეზე (გარდა ზემოდან ჲდ და ჴ-სი) არის მთავრულით: რჴზ რჴთ.

ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქუელი[ს][საქ]მესა შენსა, ნუ სცნობნ[142] მარცხენაჲ შენი, რასა [იქმო]დის მარჯუენაჲ შენი,

რაჲთა იყოს ქუელისსაქმე შ[ენი] [ფარულად].

და მამაჲ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მო[გაგოს] [შენ] ცხადად.

ხოლო რაჟამს ილოცვიდე, ნუ ჰყოფ ე[გრე]. [ვითარცა]-იგი ორგულნი, რამეთუ უყუარან შესაკრებელთა [შორის] და უბანთა ზედა დგომაჲ და ლოცვაჲ, რაჲთა ეჩუენნენ კაცთა.

ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შეევედ საუნჯესა შენსა და დაჰჴაშ[143] კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად; და მამაჲ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყჳთ,

ვითარცა-იგი წარმართთაგანი, რამეთუ ჰგონებენ, ვითარმედ მრავლისა მეტყუელებითა მათითა ისმინონ მათი.

ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რაჲ-იგი გიჴმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა.

ხოლო თქუენ ილოცევდით მისსა მიმართ*: /

3v / [მამაო ჩუე]ნო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდაჲ არს სახელი შენი,

მოვე[დინ] [ს]უფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, [ეგრე]თვე ქუეყანასა ზედა.

პური ჩუენი არსობისა [მომეც] ჩუენ

და მომიტევენ ჩუენ, ვითარცა მიუტეობთ [თანამდე]ბთა ჩუენთა.

ნუ შემიყვანებ ჩუენ განსა[ცდელსა], არამედ მიჴსნენ ბოროტისაგან,

რამეთუ [შენი არს] სუფევაჲ მამისა ძისა და წმიდისა სულისა.

ხოლო უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს[144] თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათა შეცოდებანი თქუენნი.

და უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა თქუენ მოგიტევნეს მამამან თქუენმან ზეცათამან შეცოდებანი თქუენნი.

და რაჟამს იმარხვიდეთ თქუენ,

ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი მწუხარე, რამეთუ განირყვნიან პირნი მათნი, რაჲთა ეჩუენნენ კაცთა მმარხველად. ამენ გეტყჳ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი.

ხოლო შენ რაჟამს იმარხდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი*, /

არ გადადის

მათე 7

4r / [ჰყ]ოფდით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს [შ]ჯული და წინაჲსწარმეტყუელნი.

შეევედით იწროჲსაგან ბრჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბრჭე და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად,

და მრავალნი ვლენან მას შინა.

---

[142] სცობნ.

[143] დაჰჴარშ.

* 3r-ის მარჯვენა კიდეზე წარწერილია მთავრულით: ნ˜ე.

[144] მმოგიტევნეს.

* 3v-ს მარცხენა კიდე მთავრულით: მ˜დ მ˜ე.

ვითარ-იგი იწყო არს ბჭე და საჭირელ გზაჲ იგი, რომელი მიიყვანებს[145] ცხორებასა და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას.

ეკრძალენით ცრუ წინაჲსწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი.

ნუუკუე შეკრიბონ ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროჲსთავთაგან - ლეღჳ?

ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში ყვის.

ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად

4v და ვერცა ხესა ხენეშსა ნაყოფისა* / კეთილისა ყოფად.

ყოველმან ხემან, რომელმან არა [ყოს ნაყ]ოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა [და]ედვას

და საქმეთა მათთაგან იცნნეთ იგინი.

[ა]რა ყოველმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს სასუფეველსა ცათასა. არამედ, რომელმან ყოს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა ზეცათაჲსა

და მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაჲსწარმეტყუელობდით და სახელითა შენითა ეშმაკნი განვასხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით?

მაშინ ჰრქუას მათ: არასადა გიცნნი, ვინანი ხართ თქუენ.

განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი.

და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყუაჲ ესე ჩემი, ვამსგავსო იგი კაცსა მას გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თჳსი კლდესა ზედა.

და გარდამოჴდა წჳიმაჲ (!), მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და დაეკუეთნეს სახლსა მას და იყო და არა დაეცა* … … …

H 1409

რაობა:	იოანეს სახარება
თარიღი:	XI-XII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14x14,6
Content:	Gospel of John
Date:	XI-XII cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	14x14,6

ტექსტი

იოანე 4, 40

1r / და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი იგი, ევედრებოდეს მას, რაჲთა დაადგრეს მათ თანა. და დაადგრა მუნ ორ დღე.

და უფროჲსსა სიმრავლესა ჰრწმენა სიტყუათა მისთაჲ.

და ეტყოდეს დედაკაცსა მას, ვითარმედ: არღარა სიტყჳთა შენი[თა გურწამს,

[145] მიყვანებს.

* 4r-ს მარჯვენა კიდეზე მთავრულით: ნ˜ე ნ˜ვ ნ˜ჱ.

* 4v-ს მარცხენა კიდეზე მთავრულით: ნ˜თ, (შუა ნაწილში არ იკითხება), ჲ˜ა (წინწკლებით).

რამეთუ ჩუენ თჳთ გუესმა მისგან და უწყით, რამეთუ ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე.

შემდგომად ორისა მის დღისა გამოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად.

რამეთუ თავადი იესუ წამებდა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელსა] თჳსსა სოფელსა პატივი არა აქუს.

და ოდეს მივიდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა, რამეთუ ყოველი ეხილვა, რაოდენი ქმნა [იერუსალჱმს დღესასწაულსა მას და რამეთუ იგინიცა მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას.

მოვიდა იესუ მერმეცა კანად გალილეაჲსა, სადა-იგი ქმნა წყალი ღჳნოდ. და იყო ვინმე სამეუფოჲთ მოსრული კაცი, რომლ] (1v) ისა ძე სნეულ იყო კაპერნაუმს.

ამას ესმა, ვითარმედ: იესუ მოსრულ არს ჰურიასტანით გალილეას; მოვიდა მისა და ევედრებოდა, რაჲთა მივიდეს მის თანა და განკურნოს ძე იგი მისი, რომელი მიახდა სიკუდიდ.

[ჰრქუა მას იესუ: უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშები, არა გრწმენეს.

ჰრქუა მას სამეუფოჲსა კაცმან მან: უფალო, მოვედ პირველად სიკუდილადმდე ძისა] ჩემისა.

ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე, ცოცხალ არს ძე შენი. და ჰრწმენა კაცსა მას სიტყუაჲ იგი, რომელი ჰრქუა მას იესუ, და წარვიდა.

და ვითარცა მი-ოდენ-ვიდოდა იგი, მონანი მისნი მოეგებვოდეს მას და უთხრეს და ჰრქუეს, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს.

ჰკითხვიდა [მათ: რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა? ჰრქუეს მას: გუშინ მეშჳდესა ჟამსა ოდენ დაუტევა იგი მჴურვალებამან.

მოეჴსენა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა.

ესე კუალად მეორე სასწაული ქმნა იესუ, მო-რაჲ-ვიდა ჰურიასტანით გალილეად.

2r იოანე 4, 53-54; 5, 1-12

მოეჴსენა მამასა მის ყრმისასა, რამეთუ მას ჟამსა ოდენ ჰრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძე] (2r) შენი ცოცხალ არს. და ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა. ესე კუალად მეორე სასწაული ქმნა იესუ, მო-რაჲ-ვიდა ჰურიასტანით გალილეად.

ამისა შემდგომად იყო დღესასწაული ჰურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალჱმდ.

და არს იერუსალჱმს ცხოვ [ართა საბანელსა მას ტბაჲ, რომელსა ჰრქჳან ებრაელებრ ბეთეზდა, და ხუთ სტოვა იყო.

ამას შინა ისხა სიმრავლე უძლურთაჲ, ბრმები, მკელობლები, განჴმელები, რომელნი მოელიედ წყლისა მის აღმრღუ]ევასა.

რამეთუ ანგელოზი წლითი-წლად გარდამოვიდოდა საბანელსა მას და აღამრღჳის წყალი იგი; და რომელიცა პირველ შთავიდის აღმრღუჱვასა მას წყლისასა, განიკურნის, რომლითაცა შე[პყრობილ არნ სნეულებითა.

იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოც და ათრვამეტი წელი დაეყო უძლურებასა შინა.

ესე იხილა იესუ მდებარე და გულისჴმა-ყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძლურებასა შინა. ჰრქუა მას იესუ:] (2v) გნებავსა, რაჲთა განიკურნო?

მიუგო უძლურმან მან და ჰრქუა: უფალო, კაცი არა მაქუს, რაჲთა, რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს, და შთა-მცა-მაგდო საბანელსა ამას. ვიდრე მე მოვიდოდი, სხუაჲ უ[წინარეს ჩემსა შთავიდის და განიკურნის.

ჰრქუა მას იესუ: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!

და მეყსეულად განცოცხლდა კაცი იგი და აღიღო ცხედარი თჳსი და წარვიდა. ხოლო იყო შაბათი დღე იგი.]

ეტყოდეს მას ჰურიანი იგი: შაბათი არს, და არა ჯერ-არს შენდა აღებად ცხედარი შენი.

ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა მე, მან მჰრქუა: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!

ჰკითხვიდეს უკუჱ მას ჰურიანი იგი და ჰრქუეს: ვინ არს

H 1410

რაობა:	სინანულის ლოცვა
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	16,2x12
Content:	Prayer of Repentance
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	16,2x12

ტექსტი

1r / ისაკოსო, იაკობისო, არა ვითარცა მკუდართა, არამედ ცხოველთა, ღმერთო, რამეთუ ყოველთა სულნი შენ მიერ ცხოველ არიან და მართალთა სულნი ჴელთა შინა არიან, რაჲთა არა შეეხოს მათ ტანჯვაჲ, რამეთუ ყოველნი წმიდანი ჴელთა შინა შენთა არიან, უფალო. აწცა, მეუფეო, მოიხილე მონასა ამას შენსა ზედა სახელით და შეუნდვენ ამას, რაოდენიცა რა ცოდა წინაშე შენსა და ანგელოზნი ანგელოზნი სახიერნი წარმოუდგინენ მას და ღირს-მყავ ესე წიაღთა შინა

1v / მამათმთავართასა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთასა და ყოველთა საუკუნოთგან სათნოთა შენთასა და იგი არა არს სალმობაჲ, მწუხარებაჲ და სულთქუმაჲ, არამედ მწყობრი მართალთა და კრებული კეთილად მსახურთა და ქუეყანაჲ წრფელთა, რომელსა შინა ხედვენ დიდებასა ქრისტეს შენისასა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ცხოველთა და მკუდართა და შენი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა[146] სულისა[147].

H 1411

რაობა:	კონდაკი (გრაგნილი)
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 კეფი
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	58x17
Content:	Kontakion (scroll)
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	58x17

[146] წ˜ა.

[147] ს˜ლსა.

ტექსტი

1r / კართა საკურთხეველისათა მიდგეს, მღდელთ საკმეველი აკმიოს და თქუას: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა ღმერთი უფალი და გამოგჳჩნდა ჩუენ.

მეუფეო ცათაო, სიბრძნისა წინამძღვარო, მეცნიერებისაჲ მომნიჭებელო, უგულისჴმოთა მასწავლებელო და გლახაკთა ჴელისამპყრობელო, განამტკიცე და გულისჴმიერ-ყავ გული ჩემი, მეუფეო, შენ მომეც მე, სიტყვაო მამისაო.

აჰა, ბაგენი ჩემნი არა დავდუმენ ჴმობად შენდამი, მოწყალეო, მოწყალე მექმენ შეჳრდომილისაჲ შენდაჲ (!).

სიწმიდენი დადგას წმიდასა ტრაპეზსაჲ და დაბურნეს ცა.

მღდელმან თქუა: უფალო, ღმერთო ჩემო, გარდმომივლინე მე ძალი მაღლით და განმაძლიერე მსახურებასა ამას შენსა დაუსჯელად წარდგომად წინაშე დიდებულისა, წმიდისა და შესაძრწუნებულისაჲ საკურთხეველსა შენსა შეწირვად შენდა უსისხლო იგი მსხვერპლი, რამეთუ შენი არს სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ მამისაჲ.

[დაი]ბანის ჴელნი და თქუას: განადიდეთ უფალი [ცა]თა და აღვამაღლოთ სახელი მისი ზოგად.

და მათ მიუგონ: სული წმიდაჲ მოვედინ შენ ზედა, ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ.

მომიჴსენე, მეუფეო, და ჩუენცა მიოგიჴსენეს (!) თქუენცა უფალმან ღმერთმან სასუფეველსა მისა. ყოვლადვე აწ დაჲ[148] მარადის.

დიაკონმან: აღუსრულოთ ვედრებაჲ ჩუენი უფალსა უფალსა!

წინადაგებულთა ძღვენთა უფალსა ღმერთსა ჩუენსა ეჳედრნეთ: წმიდისა ამის ჴსნად ჩუენდა და ყოველთათჳს.

მღდელმან ლოცვაჲ: უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, მხოლოო წმიდაო, რომელი შეიწირავ მსხვერპლსაჲ ქებისასაჲ მათგან, რომელნი გხადიან შენ ყოვლითა გულითა. მითვალე ვედრებაჲ ჩუენ ცოდვილნი და შეიწირე წმიდასა შენსა საკურთხეველსაჲ და ჴმა-მყვენ ჩუენ შეწირვად შენდაჲ ძღვენთა და მსხვერპლთა სულიერთა ჩუენ ცოდვათათჳს და ერისა უმეცრებათათჳს და ღირს-მყვენ ჩუენ პოვნად მადლსა წინაშე შენსა კეთილთა მიმთხველყოფად (!) შენდაჲ. მსხვერპლი ჩუენი დამკვიდრებად სცა მადლისაჲ შენისა სახიერსა ჩუენ ზედა და წინამდებარეთა ამათ ძღვენთა ზედა და ყოველსა ერსაჲ შენსაჲ ზედა

დიაკონმან: დღე ყოველი სრულიად სიწმიდით მშჯიდობით უცოდველად უფლისა მიმართ ვითხოოთ[149].

ერმან: მოგჳმადლენ, უფალო, ანგელოზი მშჯიდობისაჲ სარწმუნო წინამძღვარ … … … მცველი სულთა და ჴორცთა ჩუენთა. უფლისა მიმართ ვილ[ოცოთ].

შენდობაჲ და მოტევებაჲ[150] ცოდვათა და უსჯულოებათაჲ.კეთილნი და უმჯობესნი სულთა ჩუენთანი უფლისაჲ.

შემდგომნი ჟამნი ცხორებისა ჩუენისანი მშჯიდობით, სიმრთელით აღსრულებად. უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ქრისტეანობით აღსასრულნი ცხორებისა ჩუენისანი … … … ირველნი ურცხვენელნი, კეთილი სიტყჳსგებაჲ საშინელსა საყდარსა ქრისტესა ვითხოოთ. უფლისა მიმართ ყოვლადწმიდისა უხრწ.

[148] ჲ-მეტობა.

[149] ვითხოთ.

[150] მოოტევებაჲ.

წმიდათა და ღმერთშემოსილისაჲ მამისაჲ ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ და ყოველსა წმიდათა მომჴსენებელთა თავნი თ˜ს ურთიერთას და ყოველი ცხრ.

ერმან: შენ, უფალო.

მღდელმან: ამაღლებაჲ. მოწყალებისათჳს მხოლოდშობილისა ძისაჲ შენისათა, რომლისა თანა [კ]ურთხეულ ხარ სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ აწ.

ერმან: ამინ!

მღდელმან: მშჯიდ[ობაჲ] ყოველთა!

ერმან: და სულისაცა შენისათა. ვიყვარებდეთ ურთიერთარს.

დიაკონმან: კარნი, კარნი მოხედეთ.

გუაქუს მრწამსი.

დიაკონმან: ვდგეთ კეთილად, ვდგეთ შიშითა, მოხედეთ წმიდასა ამას შესაწირაჳსა წყალობაჲ, მშჯიდობაჲ - შესაწირავი ქებისაჲ.

მღდელმან: მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და სიყვარული პირველისა მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა იყვენ თქუენ ყოველთა.

ერმან: და სულისაცა შენისა წმიდისა.

მღდელმან: ზე გვაქჳნდეს გალობი.

დიაკონმან: გვაქუს უფლისა მიმართ.

მღდელმან: მადლობდეთ უფალსა.

ერმან: ღირს არს და მართალ.

მღდელმან ლოცვაჲ:

ღირს არს და მართალ შენდა ქებად, შენდა კურთხევად, შენდაჲ მადლობად, შენდაჲ თაყუანისცემად ყოვლისაჲ ადგილსა მეუფებისა შენისასა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი გამოუთარგმანებელი, მოუგონებელი, უხილავი, მიუწდომელი. მარადის ხარ, ვითარცა - იგი ხარ შენ და მხოლოდშობილი ძე შენი, უფალი ჩუენი ქრისტე და წმიდაჲ შენი სული შენ არაარსისაგან არსად მომიყვანენ ჩუენ და დაცემულნი კუალად აღმადგინენ და არა განეყენენ ყოველსავე ქმნად, ვიდრემდის

1v /ზეცად აღმიყვანეს ჩუენ … … [და] ცემულნი კუალად აღმადგინენ ჩუენ და არა განეყენენ ყოვლისავე ქმნად, ვიდრემდის აღმიყვანენ ჩუენ, და მოგჳმადლე ჩუენ სასუფეველი მერმესა ამას ყოველთათჳს გმადლობ შენ და მხოლოდშობილსა ძესა შენსა და სულსა შენსა წმიდასა ყოველთათჳს, რომელ უწყით და რომელ არა უწყით საჩინოთა და უჩინოთაჲ ქველისმოქმედებათა, ჩუენდა მომართ ქმნულთა. გმადლობ შენ შესაწირავსაცა ამისთჳს, რომლისა … … … შენ შეწირვად ჯერ-იჩინე მ … … … შენ გარე-მოგადგენ ათასეულნი ან … … … და ბევრეულნი ანგელოზთანი, ქერობვიმნი (!) და სერაბინ[ნი] ექჳს-ექჳს ქე … … … თუალნი, … … … ყრობილნი ფრთებითა.

მღდელმან: ა … … …

… … …

… … …

წმიდაჲ არს, წმიდაჲ არს, წმიდაჲ არს!

მღდელმან ლოცვაჲ.

შემდგომად

H 1558 დ

რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	13x10,5
Content:	Hymns
Date:	XV-XVII cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	13x10,5

ტექსტი

1r* / ამბორს-უყოფდეთ და ნუკვე ესრეთ იტყოდიან მისა მიმართ: აჰა ესერა, დაგვიტჳბ მეგობარნი ჩუენნი ა… არს მომიგებ ჩუენდა, არცა მზრახაჳ ჩუენ თანა, საყუარელნო, ვითარ-იგი მზრახვიდე ჩუენ, არამედ სდუნდი და უსიტყუელ ხარ. აჰა, საკურველი ვითარ

1v / დუნდი და უსიტყუელ ხარ, რომელმან გალობანი სულისა.

რაბამ მწარე არიან სიტყუანი მოკუდავითნი, რომელთა-იგი იტყჳიან აღსრულებისა ჟამსა, ვითარმედ: აჰა, ძმანო, ძმათაგან განგეშორები და მეგობართაჲ ყოველთავე და გიტბჲ(!) და წარვალ და თუ სადა წარვალ, ყოვლად

H 1694 ა

რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22,5x17,8
Content:	Chants
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	22,5x17,8

ტექსტი

1r */ ადამ ტკივილთა შენთა მიერ, რომელნი ჯუარითა თავს-ისხენ და სიკუდილითა შენითა მოაკუდინა გუჱლი იგი წამლიანი, ქრისტე ღმერთო, ყოვლადძლიერო.

წყევისაგან სჯულისა ვიჴსნენით ყოველნი … … … ქრისტე ამაღლდა ჯუარსა ზედა და კურთხევაჲ, მადლი და წყალობაჲ და ხრწნილებისაგან გამოჴსნაჲ ყოველსა სოფელსა აღმოუცენა.

ნეფსით წადიერებით შებმა-უყვეს მარტჳლთა სიმწარესა, რამეთუ ნეფსით ვნებულსა ჰბაძვიდეს, რომლისა მიერ გჳრგჳნოსანნი ზეცას ანგელოზთა თანა იხარებენ.

ჴორცნი მისცენით მრავალსახეთა სატანჯველთა, მარტჳლნო, და სისხლთა

* შენიშვნა: ტექსტი შეცდომებით დაწერილი, ხელიც გაუმართავი.

* გვიანდელი მინაწერები: 1-2rv და 4rv-ზე. 3v-ს მარცხენა მინდორზე.

თქუენთა დათხევითა უჴორცონი მტერნი მუაშთვენით, მჴნენო, და კურნებისა წყარონი უხუჱბით აღმუაცენენით.

ვითარ არაჲ ვგოდებდე, ჵ სახიერო ძეო ჩემო, გხედვიდე რაჲ ძელსა დამსჭუალულსა? ვითარ არაჲ ვიგლოვდე უმშჯავროდ მოკლვასა შენსა, ჵ მსაჯულო, სამართლისაო? დედაჲ ქალწული ღაღადებდა.

ბუნებით განუ.

აკურთხევდითსა

ძლ. შეუწუველ

სისხლი და წყალი, რომელი გარდამოჴდა, მჴსნელო,
გუჱრდით შენით განაახლ … … … და აღავსეს უხრწნელებითა
და … … … ნი იგი საზორველნი
და დ … … … ნი შეგინებულნი
დააყუდნეს მ … … …
მსხუჱრპლის … … …
ტაბლაჲ განგჯმზადეს ჩუენ
და სუ ძმარი და ნა[ვღელი]
გუჱმულმან ნერწყუე … … …
და რაჲ ჯუარსა ზედა
ლობით … … …
საუ … … …
რდით [მარტონი]
კერპ … … …
და შ … … …
და ბ … … …
შჯულისდებაჲ … … …

1v / სად ყრმათა, მარტჯლნო,
საჴმილსა შემწუველსა შეითხიენით
და ცუარითა საღმრთოჲთა შეცურეულნი
გალობით ღაღადებდეს:
ყოველნი საქმენი … … …
აკურთხევდით.

შჯულისა კიდობანმან მოგასწავა შენ
არაჲ თუ ფიცარნი გუაქუნდეს,
არამედ ქრისტე ღმერთი სჯულისმდებელი,
ღმრთისმშობელო, რომელი-იგი
უშჯულომან ერმან ჯუარს-აცუა ჴსნად ჩუენდა,
რომელნი ვიტყჯთ:
ყოველნი საქმენი … … …
აკურთხევდით.

ღმრთ. სამთათჯს
ადიდებდითსა

ძლ. მტჯრთველ

ძალი მტერისაჲ სრულიად იავარ იქმნა
ჯუარსა ზედა რაჲ ჴმა-ჰყავ ძლიერად მისსა მიმართ,

ქრისტე მეუფეო,
და აღსარებად შენდა
შემოჰკრიბენ ცხოვარნი
იგი განბნეულნი და
სულით წმიდითურთ მარადის გაქებენ.

ვითარცა კრავი, აჰმაღლდი ჯუარსა ზედა,
რაჲთა იჴსნნე სიტყჳერნი ცხოვარნი შენნი
მგელთა უხილავთაგან
და ბრძანებათა შენთა
ბაკსა შეჰკრიბნე, ქრისტე,
და შეზღუდნე მადლითა
და დაუცხრომელად თაყუანის-გცემდენ.

ვნებათა შენთა შენ მიბაძჳთა, მრავალმოწყალე,
ფერად-ფერადნი ტანჯვანი თავს-ისხნეს მოწამეთა, ვინაჲცა მიემთხჳნეს
დიდებისა გჳრგჳნთა და სასუფეველსა ფუფუნებასა შინა
წინაშე შენსა
… ბენ … მ…
მამასა უმცხინვარესთა მა … … … მოჰფინეს
სა … … ყოვლადქებულთა სა … … …
… … … მისნი სამარადის
… … … მაღალსა იჴსნებიან
… … … განათლდებიან

ძუჭლი სჯული … … …
… … … [განა]ბრწყინვა და განაქარ[ვა]
… … …
ძემან შენმან … … … წმიდაო და
… … … … … … და ერი მორწ … … …

დღე შაბათი წმიდათა და სულისაჲ
და … … … აღდგა
… … …
… … …
2r / შესუენ[ებულთა] მძოვართა
მხიარულებით ჴმობდეს:
სტადიო … … … წლით შემოსილნი
მოწამენი, უფალო, დიდებაჲ შენდა!

სოფლისა
საღმრთოდ მნათობად
გამოჩნდეს მოწამენი
ღუაწლით შემოსილნი ყოვლადქებულნი,
ქრისტეს მიმართ ჴმობდეს: დიდებაჲ შენდა!
ღმრთ. მჯდომარე

მამანო ყოვლადწმიდანო, დიდებულნო,
მსხუერპლთა საღმრთოთა უბიწოდ შემწირველნო,
ცხორებისა ქადაგნო,
მადლთა საღმრთოთა მუშაკნო,
თქუენ მწვალებელთა ჯობს, ღრ˜ნი დასწუჱნით ცეცხლითა
სულისაჲთა
და ძირითურთ აღმოჰფხურენით
და სარწმუნოებისა
იფქლი, აღაორძინეთ;
ამისთჳსცა
ვითხოვთ თქუენგან: მჴურვალედ
ევედრენით ჩუენთჳს
სამებასა ღმერთსა,
რაჲთა მუანიჭოს (!)
მშჳდობაჲ სოფელსა და იჴსნეს
განსაცდელთაგან
მმადლობელნი თქუენნი.

ღმერთ. სულისანი

მჯდომარე

ყოველსავე დაჰჴსნის სიკუდილი, რომელი-იგი ადამის მიერ შემოჴდა ბუნებასა ჩუენსა, რამეთუ ვინაჲთგან ჩუენ ხისა მის გემოჲ ვიხილეთ და გუჱსაჯა ხრწნილებაჲ, გულის-ჴმა - ვყოთ უკუჱ, ძმანო, ვითარცა მიწით დავიბადენით კუალად … … …

… … … ავლად შევიცვალენით … … …
… … … ედრების … … …
[მი]ცვალებულთა… … …
მოწყალეო … … …

აღვიხილნეთ ზეცაჲ და შენ … … …
[ვარ]სკულავნი და მნათობნი, რამეთუ … … …
არიან და კუალად ქუეყანაჲ განრყუნ … … …
ყოველნი განხრწნადნი … … …
მეუფესა … … …
თა … … …
დ … … …

2v / მკუდართა ზედა აღსრულებადი
ძილად … … …, ძმანო,
და ნუ სიკუდილად,
რამეთუ საყჳრითა
მ … … … ისაჲთა
აღვდგეთ ყოველნი
სიტყჳს მიცემად საქმეთათჳს,
რაჟამს-იგი

დაჯდეს ღმერთი საყდართა ზედა
განსჯად ყოველთა სულთა,
ვითარ-იგი წერილ არს.
მაშინ ღირსად
ცხოვნებულნი აცხოვნნეს,
უნანელნი
დასაჯნეს ჯოჯოხეთს,
მაშინ ურგებ იქმნას მათთჳს თხუაჲ განსუჱნებისაჲ,
ვა საწყალობელთა.

სასოებად ურცხჳნელად და სიმტკიცედ
და ზღუდედ მოგიგებთ მორწმუნენი, ღმრთისმშობელო,
ნუ დასცხრები ვედრებად მიცვალებულთა სულთათჳს,
რომელნი-იგი
სარწმუნოებით მიიცვალნეს
მონანი შენნი
მეოხებად. რაჟამს ძე შენი
დაჯდეს საყდართა ზედა
განშჯად ადამიანთა,
რაჲთა პოონ
ლხინებაჲ და წყალობაჲ,
რამეთუ შენ უწყი,
ვითარ შესუა, რომელ არს
ყოვლითა ცოდვითა
უბადრუკებაჲ ჩუენი, რაჲთა
გადიდებდეთ შენ
წმიდასა და უხრწნელსა.

სტიქარონი
ძლ. მჯდომარე
საფარველსა შენსა ყოველი კრებული
მორწმუნეთაჲ მოივლტის, ქალწულო წმიდაო,
სულთა ჩუენთა სასოო
და ძლიერო შემწეო
ჩუენ ყოველთაო,
რამეთუ შენ მიერ, ღირსო
ღმრთისმშობელო,
ვიჴსნებით მრავალთა ვნებათაგან,
არამედ ვითარცა გუაქუს
შენდამი სასოებაჲ,
საგალობელო
და დიდებულო,
ნუ უგ[ულებელს] - მყოფ
ჩუენ, მოსავთა შენთა,
დე … … …

… … … თა ამათ
მოწყალებათა
… … … ა დამოკიდებულსა
… ქალწულითა მჴურვა-
… … … ებრ თავს-ვიდებდე
… … … შენსა, რამეთუ მოსწყლავს სულსა
… … … და ლახურითა მოწყლვაჲ
… … … ძეო და ღმერთო ჩემო
ჵ … … …
… … … სა მზეო
ბ … … …
… … … შენსა
… … … დამა

წარდგომაჲ
ყ … … …
ქ … … … ა შენთა

3r /უფალო, იღუაწეს და მტერი დათრგუნეს
და კერპთა საცთური
განაქარვეს, ვინაჲცა გჯრგჯნოსან იქმნეს
შენგან,
მოწყალისა ღმრთისა
და კაცთმოყუარისა მეუფისა,
რომელი მოსცემს სოფელსა დიდსა წყალობასა

დიდებულნო
წმიდანო მოწამენო,
მეოხ-გუყვენით ჩუენთჳს, რაჲთა ცოდვათა შენდობაჲ მოგუანიჭოს
ჩუენ ქრისტემან და მოწევნადთა ძჯრთა
და რისხვისა
და მწარისა სიკუდილისაგან გამომიჴსნნეს
ვედრებითა თქუჳნითა, სანატრელნო, გევედრებით.
უგალობდითსა
ძლ. წამისყოფი
სამკაულად შემკულად
სათნოებათა ფერითა
და პირად-პირადად განშუჳნებულად გჯრგჯნად ქრისტეს
სარწმუნოებითა
შეიწირენით
მისსა, წმიდანო მარტჯლნო.

ნათელსა წარუვალსა,
სამებით მნათობიერსა
ღმრთეებისა შენისასა ღირს-ყვენ შესუენებულნი,

სადაჲთ-იგი წარჴდა ჭირი
სულთქუმაჲ და სალმობაჲ,
მრავალმოწყალეო ღმერთო.

სიკუდილითა დაშჯილი
ბუნებაჲ კაცთაჲ, უფალო,
სიკუდილითა შენითა აღადგინე და განაღმრთვე,
აწცა
ყოვლადმოწყალეო,
მიცვალებულთა
შენ წინაშე განუსუჭნე.

ცთომაჲ იგი ევაჲსი
სიმართლედ შესცვალე, სძალო,
შევ რაჲ მეუფე, აღმადგინებელი მისი.
მყოფთა
საფლავისათა სულსა ცხორებისასა
შთამბერველი და მაცხოვარი დ … … …

განძლიერდასა
ძლ. ღმერთო მაცხოვარო
მტკიცე და ყოვლადძლიერი
სიმჴნეს მარტჳლთა
გუნდნი … … … ბრმ … … …
[ს]იმძლაფრენი… … …
თავს-ისხნეს
საღმრთოჲსა მის დიდებისა და … … …
სურვილითა.

ცხორებისა უოხჭ … … …
გან სრულთა
სულნი შეიწყალენ, მწყა … … …
ტკბილითა, სახიერო,
აბრალა მისთა … … …
პირველ … … … მარ … … … ულთა
შენთა.

რომელი მოჰკუჭდ ცხორებად … … …
[კაცთა], ქრისტე ღმერთო … … …
ნთ … … … დიდებასა
მიერ მ … … …
მწვალებელთა … … …
… … … [მოიჴ]სენებ
ცოდვათა მათთა … … …

3v / შჯულნი ბუნებათანი
შენ მიერ დაიჴსნნეს, სძალო,
სიტყუაჲ მხოლოჲ რაჲ მუცლად-იღე,
დასჯილი საღმრთოჲ
მოგუჱცა მის მიერ,
მომტევებელი ცოდვათაჲ
მადლითა მიერ საუფლოთა
მაცხოვარი და მჴსნელი განწირულთაჲ.

მესმასა
ძლ. ქრისტე ღმერთო
მოწამეთა
სიჴნე (!)[151] - აჩუენეს
და სიმართლისა გჯრგჯნითა გჯრგჯნოსან იქმნეს
მარტჯლნი შენნი, უფალო,
და ბრწყინვალედ აქებენ
ყოვლადძლიერსა ძალსა შენსა.

ბუნებათა
უვაღრესსა მას
დიდებასა ღირს-ყვენ მიცვალებულთა სულნი
ანგელოზთა შენთა თანა,
რაჟამს მოხჯდე ზეცით
დიდებით, ქრისტე, მრავალმოწყალე.

სამმნათობსა
ბრწყინვალებასა
და ერთარსსა ჩუენთასა ღმრთეებისა შენისასა
შუჱბად ღირს-ყვენ, სახიერო,
მიცვალებულთა სულნი
დიდებად შენდა, კაცთმოყუარე.

ღმრთ. ჭეშმარიტო ღმრთისა
წიაღთა მათ
მამულთა მყოფი
წიაღთა შენთა დაემკჯდრა, ღმრთისა დედაო,
და სიკუდილითა თჯსითა იჴსნნა შემასხმელნი შენნი,
მხოლოო ყოვლადსაგალობელო.

ღამითგანსა
ძლ. სული მაცხოვარებისაჲ
სიკუდილი ცხოველსმყოფელი ტანჯვათა მიერ
ქსოილი გმოსიეს, ყოვლადქებულნო მარტჯლნო,
ბრწყინვალედ შემკული და პირად-პირადად განშუჱნებული, მჴნენო,

[151] ასეა.

და ითხოვ ... ... ღმრთისაგან სულთათჳს მიცვალებულთა
საღმრთოსა და წარუვა[ლსა] ... ...

დაუ[ტევ]ნელთა მათგან საშუჱბ[ელთა]
... ... სულთა მიცვალებულთა
და პი ... ...
... ... აღირაცხენ, ყოვლადმოწყალეო,
სავა ... ... დაუჴსნელთა და ნუ მოი-
... ... მათთა.

რაჲთა ესე სიმძა ... ...
... ... თგან განიჴსნნეს საწუ ... ...
... ... მოიწყლნეს მონანი შენნი, ქრისტე
... ... ბრწყინვალებასა ... ... ასა
... ... საუკუნ ... ...
... ... უბიწოჲ ... ... და ... ...
... ... მან და ... ...
... ... რსა ... ...

4r / ღაღატყავსა .

ძლ. განთქუმული

გუნდმან მარტჳლთამან
დაუთმენელთა მათ ტკივილთა
ახოვნად მოთმინებითა ულმობელნი იგი ფუფუნებანი დაიმკჳდრნეს
და გჳრგჳნნი სიმართლისანი[152]
მარჯუჱნისაგან ცხოველსმყოფლისა დაიდგნეს.

მართალთა კრებულსა
და ანგელოზთა მწყობრსა თანა
და სადა-იგი არს
სიხარული საუკუნოჲ
და ბრწყინვალებაჲ წარუვალი,
პირველდაძინებულნი მონანი შენნი
დააწესენ, მრავალმოწყალეო ღმერთო ჩუენო.
რომელმან ყოველი შექმნა საღმრთოჲთაგან ზრახვითა
ქრისტემან
საშოჲსა შენისაგან გამობრწყინდა, უბიწოო,
ღმრთისა დედაო,
და ბნელსა ცოდვისასა დანთქმულნი
საღმრთოჲთა ნათლითა მცხინვარედ განანათლნა.
ღმრთ. წინაჲსწარმუა

კურთხეულარსა

ძლ. საჴუმილისა

[152] სიმამართლისანი.

გუნდნი მარტჳლთანი გჳრგჳნოსანნი წინაშე ქრისტესა მეუფისა
წესთა თანა ანგელოზთასა
ბრწყინვალედ უგალობენ და ღაღადებენ:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო!

შენ, რომელსა გაქუს ჴელმწიფებაჲ სიკუდილისა და ცხორებისაჲ
სარწმუნოებით დაძინებულნი
სარმრთოჲსა შუჱბისა ღირს-ყვენ,
რაჲთა ჴმა-ყონ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო!

უნივთოჲსა ნათლისა მიფენითა განაბრწყინვენ, ქრისტე,
სულნი, რომელ ჩუენგან მისცვალენ
და საუკუნეთა სავანეთა ღირს-ყვენ, ქრისტე,
რაჲთა მადლობით გალობდენ:
მამათა ჩუჱნთა.

პირველ უდედოჲ მამისაგან და შენგან უმამოჲ იშვა ქრისტე
გამოუთქუმელად, ღმრთისმშობელო, … … …
ჩუენდა, რომელნი ვიტყჳთ … … …

აკურთხევდითსა
ძლ. შეუწველად
ზ … … …
[შე]ურაცხ-ყავთ… … …
სნო მარტჳლნო, და უგალობდეთ მოსა … … …

რომელმან დაჰჴსენ მ … … … ისა ესე ს … … …
… … … საუკუნო … … …
მ … … … ენი მ … … …
… … …
… … …
რომელი … … … ბა … … … და
… … … უჱ დ˜ლი ქრისტე … … …

4v / საშუჱბლისათა
აღავსენ პირველშესუჱნებულნი მონანი შენნი
და განსუჱნებაჲ მიანიჭე მათ
და აღუჴოცენ ყოველნი ცოდვანი მათნი.

რომელმან შეიწყნარე საღმრთოჲ ნათელი,
ღმრთისმშობელო დედოფალო,
საშოსა შენსა წმიდასა გამოუთქუმელად
ბნელსა შინა საწუთოჲსასა
დანთქმულნი განგუანათლენ ჩუენ,
რაჲთა უგალობდეთ ქრისტესა ღმერთსა
და ანგელოზთა თანა ვაკურთხევთ
და ავამაღლებდეთ.

ადიდებდითსა

ძლ. მტჯრთველმან

საჩინოდ განაბრწყინვებენ ყოველსა სოფელსა
ღუაწლით შემოსილნი, მჴნენი ქრისტეს მოწამენი,
ეკლესიათა სუჩტნი
ყოვლადშეურყეველნი
და ღმრთისმსახურებისა
გოდოლნი და ზღუდენი,
ამათ სარწმუნოებით ვნატრიდეთ ყოველნი მორწმუნენი.

იჴსნენ ცეცხლისაგან გეჰენიისა, უფალო,
ჩუენგან მიცვალებულნი და ლახურითა შენითა
ბრალთა მათთაჲ განხეთქე
ჴელითწერილი, მჴსნელო,
ვითარცა მოწყალე ხარ
და ღირს-ყვენ, სახიერო,
ბრწყინვალებასა წმიდათა შენთასა.

ვითარცა ღმერთმან სახიერმან და კაცთმოყუარემან
და მფლობელმან სიკუდილისა ცხორებისამან,
ტკბილმან და მოწყალემან
მიცვალებულთა სულნი
მორწმუნეთა შენთანი
დაუსრულებელსა მას
შუჩბასა და ფუფუნებასა ღირს-ყვენ.

შჯულისა იგი აჩრდილნი და იგავნი წარჴდეს
და შჯულისა და წწყლ … … … და სისხლსა ქრისტე
შენგან განკაცნა,
ღმრთისმშობელო ქალწულო, რომელსა აღვიარებთ
[ორ]ითა ბუნებითა და შენ დაუცხრომელად
… … … გადიდებთ.
დასდებელნი აღდგომისანი
უფალო, ღაღატყავსა. ჴმაჲ დ გუერდი
ძლ. ა[რა] დააკლდი
… … … ამოჲ
ჯუარსა … … …
… … …
ჴორცითა შეგ … … …
… … …
… … … დღე
… … … ისჴ
… … …

მრავლისა … … …
… … … დ … … …
… … …
… … …ღმრთისაჲ ბ … … …

H 1699ბ

რაობა:	კონდაკი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	7X14
Content:	Kontakion
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	1 folios
Script:	Nuskhuri
Size:	7x14

ტექსტი

1r/ … წდეს და …
ღოს სე … აღმოღ
… აქს. დაიკლვის ტარიგი …
… ამხმელი ცოდვათა სოფლ …
… ებისათჳს სოფლისა. ვითრცა ცხჲ …
… ლვად მიიგუარა. და ვითარცა ტარიგ …
… ველისა თჳსისა უჴმობე …
… ღაღებს პირსა თჳსსა, ხოლო თესა …
… ნმე მიუთხრას, რამეთუ აღებულ …
… ცხორებაჲ მისი აღმო-ჰკთოს მე …
… შეიწირე, ოფალო, ღმერთო ჩუენო, შესა …
… ოხებით ყოვლად წმიდისა …
1v/1*

H-1723ა

რაობა:	კონდაკი
თარიღი:	XVI-XVII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	9,8X7,8
Content:	Kontakion
Date:	XVI-XVII cc.
Number of folia:	1 folios
Script:	Nuskhuri
Size:	9,8x7,8

* დაუწერელია

ტექსტი

1r / შნსა მოანიჭე ეკლესიათა, მღდელთა, მეფეთა ჩუენთა, მჴედართა და ყოველსა ერს, რამეთუ ყოველი მოცემაჲ კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს შთამომავალი შენ მიერ მამისაგან ნათელთასა და შენდა დიდებაჲსა და მადლობაჲსა და თაყუანისცემაჲსა აღავლენით მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის უკუნითი უკუნი[სამდე] ამინ.

მღდელმან აღვსებაჲ: სჯულისა და წინაწარმეტყუელთა შენ ხარ, ქრისტე, ღმერთო ჩუენო.

1v / რომელმან აღავსე ყოველი განგებაჲ, მომავალი მომავალი აღავსენ სიხარულითა გულნი ჩუენნი ყოვლადვე აწ და მარადის. ვითარცა უფალი ყოველსა ჟამსა და სრულ-ყონ რაჲ

მღდელმან ერსა ჯუარი დასწეროს და თქუას კურთხევაჲ უფლისაჲ. თქუან ყოველთა თანა: ყოვლადვე აწ და მარადის იყავნ სახელი უფლისა სრულიად.

H-1723ბ

რაობა:	კონდაკი
თარიღი:	XVI-XVII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14,3X10

Content:	Kontakion
Date:	XVI-XVII cc.
Number of folia:	1 folios
Script:	Nuskhuri
Size:	14,3x10

ტექსტი

1r / ..... ქრისტე ღმერთო, მონთა(!) შენ[თა] [ფუ]ფუნებასა სამოთხისასა ღირსყავნ, რომელნი ქუეყანასა ზედა სარწმუნოებით გმსახურებდეს და [მ]ეც შენდობაჲ შეცოდებათა

..... სა.

ღმრთისა შეუძლებელ არს ხილვად კაცთაგან, რომელსა გუ[ნ]დანი(!) ანგელოზნი ვერ მიხედვენ. {ქალ]წულო, გამოუჩნდა შენ მიერ კაცთა სიტყუაჲ ჴორცთა ქმნილნი, რომელსა ვაკურთხევთ უჴორცოთა თანა და შენ დღესა გალობით გადიდებთ , ქრისტე ღმერთო, ვითარცა უწყი უძლურებაჲ ბუნებისა ჩემისა, შეუნდვენ მონათა შენთა მიცვალებულთა შეცოდებანი მათნი და .....

1v / არ იკითხება

H 1725 ა

რაობა:	სახარება- სამოციქულოს საკითხავები
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12x8,5
Content:	Readings from Gospel - Acts of the Apostles
Date:	XV c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	12x8,5

ტექსტი

ლუკა 7, 37-38

1r / თა და უგალობდით გულთა შინა თქუენთა უფალსა

ალ҃.

მ … რთით ვითარცა ფინიკი აღყუავნეს და ვითარცა ნაძუნი ლიბანისა გან-მრავლდეს.

სახარება҃ ლუკა҃ს თავისა҃.

მას ჟამსა შინა ევედრებოდა ვინ-მე ფარისეველთაგანი იესუს, რა҃თა ჭამოს პური მის თანა. და შევიდა სახლსა მის ფარისეველისასა, დაჯდა და იყო ვინმე მუნ დედაკაცი ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ, და ცნა, ვითარმედ იესუ არა҃ სახლსა შინა მის ფარისეველისასა, მოიღო ალაბასტრი ნელსაცხებე-ლისა

1v მრავალ / სა მაღლისა҃ და დადგა ფერჴთა თანა იესუ҃სთა და ტიროდა და იწყო ცრემლითა დალტობად ფერჴთა მისთა და თმითა თავისა თჳსისა҃თა წარჴოც-ნა ფერჴნი მისნი და ამბორის-ყოფდა ფერჴთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა. ვითარცა იხილა იგი ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ხადა მას, თქუა გულსა შინა თჳსსა და ჰრქუა: ესე უკუეთუმცა იყო წინა҃სწარმეტყუელი, უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილი არს.

მიუგო იესუ და ჰრქუა [მას]

არ გადადის

2r /[153] [გან]ჰკურნებ შემუსრვილებასა სულთა და ჴორცთა ჩუენთა҃სა შენ, უფალო, განსწმიდე ზეთი ესე, რა҃თა ექმნას, რომელთა აცხონა მისგან საკურნე-ბელ და მცველ ყოველთაგან სალმობათა და ვნებათა და შეგინებისაგან სულისა და ჴორცთა҃სა, რა҃თა ამასცა ზედა იდიდოს ყოვლადწმიდა҃ სახელი შენი, რამეთუ შენი არს მოწყალება҃ და მაცხოვარება҃ და კაცთმოყუარება҃, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა შევსწირავთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის უკ.

უფალი - ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა და მე ვისა მ… … …

[153] ჩამოხეულია.

2v / შესავედრებელ[154] … … … ცხორებისა ჩემისა მე... ვ[ითარცა] მეშინოდის.
გალატელთა მიმართ ებისტოლე
პავლესი სგ.

ძმანო, ესე უწყოდეთ, რამეთუ არა განმართლდების კაცი საქმეთაგან სჯულისათა, არამედ სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა და ჩუენ ქრისტეს იესუჲს მიერ გურწმენა, რაჲთა განუმართლდეთ სარწმუნოებითა ქრისტესითა. არა საქმეთაგან სჯულისაჲთა განმართლდების ყოველი ჴორ

H 1725 ბ

რაობა:	ლოცვანი
თარიღი:	XVII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14x10,3
Content:	Prayers
Date:	XVIII c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	14x10,3

ტექსტი

1r / ცა (?) რომელი სახელითა შენითა მსწავლიდი, ისარნი შენნი განმიწონეს მე და დაამტკიცე ჩემ ზედა, ჴელი შენი არა არს კურნებაჲ ჴორცთა ჩემთაჲთა, რომლისაგან რისხვისა შენისა, რაჲთა არს მშჯდობაჲ ძალთა ჩემთა პირისაგან ცოდვითა (!) ჩემთასა, რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი აღემატნეს თავსა ჩემს (!) და ვითარცა ტჳრთი მძიმე[155] დამიმძიმდა ჩემ ზედა, შე...ლდეს და დალპეს წყლულებანი ჩემნი, პირისაგან უგუნურებისა ჩემისა დავგლახაკენ და დავმდაბლდი სრულიად, მარადღე მწუხარე ვიდოდი, რამეთუ ...ერონი ჩემნი აღივსნეს … … …

1v / … … … ჩემთაგან … … … და [ა]რს
კურნებაჲ ჴორცთა ჩემთა შევბოროტენ და დავმდაბლდი, ვიდრე ფრიად ვჴმობდი სულთქუმითა გულისა ჩემისათა, უფალო, შენ წინაშე არს ყოველი გულისთქუმა ჩემი და სულთქუმა ჩემი შენგან არა დაე[ფარა], … … … გული ჩემი და შეძრწუნდა ჩემ თანა და დამიტევა მე ძალმა ჩემ[მ]ა და ნათელი თუალთა ჩემ თანა, იგიცა არა დაადგარა (!) ჩემ თანა.

2r მოყუარენი / … … … ჱ ითარ საყუარელ არა საყოყ (!) ფ … … … ნი შენნი, უფალო ღმერთო ძალთაო, … … … ო … … … ს და მოაკლდების … … … ოსა მიმართ ო … … … გ ღ ო[156].

[154] მოხეულია.
[155] მძიმი.
[156] ლაქაა.

ჴორცნი ჩემნ[ი] … … … არებდე … … …სა მიმართ ცხოველისა და შ … … … ს˜ირმანცა ლო … … … ა თავსა … … … სსა სახლი დაგჳ…ხმო … … … ბუდე თჳსი, სადა დაისხნეს მართუნი თჳსნი (თჳნი), საკურთხეველი შენი, უფალო ღმერთო ძალთაო, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, ნეტარ არიან, რომელნი დამკჳდრებულ არიან სახლსა შენისა (!). უკუნითი უკუნისამდე გაქებდე შენ. ნეტარ არს კაცი, რომლისა შ

2v / … … … ინა მისი შენგან არს [აღ]სლვა გულსა თჳსსა და დ[ა]იდვა ღელესა მას გლო[ის]ა ადგილისა მის (მ˜ს), რომლისა ა … ქვა, რამეთუ კურთხევა მოსცა … … … ცა, სჯული დადვა, ვიდოდიან იგინი[157] (იგინ) ძალითა ძალად, ... გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმრთითა (!) სიონსა, უფალო ღმერთო ძალთაო, ისმინე ლოცვისა ჩემისა, მწეო ჩემო, იხილე, ღმერთო და მოხედენ პირსა ცხებულისა შენისა, რამეთუ სჯობს დღე ერთი ეზოთა შინა შენთა უფროჲს ათასთა მათ, ვირჩჱმე (!) სახლსა ვისა დამკჳდრებაჲ, საყოფელი ჭეშმარიტებაჲ[158] უყუარს უფალსა.

H 1725 გ

რაობა:	კურთხევანი
თარიღი:	XVI-XVII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12,7x9,5
Content:	Blessings
Date:	XVI-XVII cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	12,7x9,5

ტექსტი

1r/ რაკ

ისა და უსხვისა, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო; აკურთხევ, აქებ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო; აკურთხე წყალობითა შენითა ზვარაკი ესე, ვითარცა აკურთხენ პირველი ... მსხვერპლნი ... ... ასინი ძალთა და ...ა მოჴდა და აჴდ ...ი ღმეთეებისა შენისა დაიუენონ იგი სულმან წმიდამან; აკურთხე, უფალო უსხი ესე ... აკურთხენ ორნი იგი ჴ˜ა, ... დავით მეფისანი, რომელმან მოიყიდენ იოსებისაგან (!) და შეწირენ იგი

1v / შეწირენ იგი / კალოსა მის ზედა, ხოლო კალო იგი მსგავს (მისგავსა)[159] არს სამ[ოთ]ხესა მას ედემისასა, რომელსა ზედა აღშენებულ არს სულნი, რომელ არს დედა ყოველთა ეკლესიათა.

აკურთხე, უფალო, წყალობითა შენითა ზვარაკი ესე, ვითარცა აკურთხე ვერძი იგი იორამესი მიმართ მ … … … რ, რაჟამს ჯდა იგი მუჴლსა მას ქუეშე და შეიწირე იგი [მსხვე]რპლად სურნელად; აკურთხე, უფალო, უსხი ესე, ვითარცა აკურთხე ვერძი იგი, რომელი ჩად … … … ანებისა

[157] იგინ.
[158] ჭ ტ ბ.
[159] მისგავსა.

2r მისი ისაკისა / წილ[160] ძისა მისისა და წირა იგი მსხუერპლად სულნელად; აკურთხე, უფალო, ზვარაკი ესა ვითარცა აკურთხენ სამოსელი წინაწარმეტყუელისა და შეიწირე იგი მსხურპლად წმიდად, ეგრეთვე, უფალო, ესეცა შეიწირო და ზის იოს...ანესა შეუნდოს ღმე მის ძმებთასა და შეუნდოს ღმერთმან.

2v დაუწერელია

H 1793



რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20,4x13,4
Content:	Four Gospels
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	20,4x13,4

ტექსტი

მათე თავი 8, 16-13, 21

1r */ იგი სიტყჳთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა,

რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი ესაია წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა:

მან უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენნი იტჳრთნა,

ვითარცა იხილა იესუ ერი მრავალი გარემო მისსა, უბრძანა წიაღსლვაჲ მიერ კერძო.

და მოუჴდა მას ერთი მწიგნობარი და ჰრქუა: მოძღუარ, მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხჳდოდი.

ჰრქუა მას იესუ: მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა - საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.

და სხუამან მოწაფეთა მისთაგანმან ჰრქუა მას : უფალო, მიბრძანე მე პირველად მ[ისლ]ვად და დაფ[ლვად] მამისა ჩემისა.

[ხოლო იესუ] [ჰრ]ქუა მას შენ [მომს]დევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა.

და აღვიდა იგი ნავსა და მისდევდეს მოწაფენი მისნი

და, აჰა ესერა-აღძრვაჲ იყო დიდი ზღუასა შინა, ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელვათაგან. ხოლო [თავადსა ე]ძინა. [და მოუჴდეს]

---

[160] წელ.

* **შენიშვნა:** სახარების ეს ტექსტი ახლოს არის ვანის ოთხთავთან (ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია - H).

1v / მას მოწაფენი მისნი და აღადგინეს იგი და ეტყოდეს: უფალო, მიჴსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით.

ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჲსა [შეში]ნდით მცირედ[მორ]წმუნენო?

[მაშინ ა]ღდგა და შეჰრისხნა ქართაჲ მათ და ზღუჲსა. და იქმნა მეყსეულად დაყუდებაჲ დიდ. ხოლო კაცთა მათ უკჳრდა და იტყოდეს: რაბამ ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲ ერჩიან მას?

და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას [გერგე]სეველთასა, [შეემთხჳნეს] მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვიდრეღა ვერვის ჴელ-ეწიფებოდა წარსლვაჲ მიერ გზით.

და ღაღად-ყვეს და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუწ̃დ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა.

იყო შორს მათგან კოლტი ღორთაჲ მძოვარი, ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს, უკუეთუ განგუასხამ ჩუენ, მი[ბრ]ძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორთასა.

2r / და ჰრქუა მათ: / მოვედით!

ხოლო იგინი განვიდეს კაცთა მათგან და მიმართეს კოლტსა მას ღორთასა.

და მიმართა ყოველმან მან კოლტმან ღორთამან კბოდესა მას ზღჳსასა და მოსწყდეს იგინი [წყალთა მათ შინა]

ხოლო მ[წყემსნი იგი ივლტოდეს და წარვიდეს ქალაქად და უთხრეს ყოველივე ეშმაკეულ]თა მათთჳს.

მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუ̃ვად იესუჲსსა. და იხილეს იგი და ევედრებოდ[ეს], [რაჲთა] წარვიდეს სა[ზღვარ]თა მათთაგან.

დ[ა] [შევიდა] ნავსა და წ[იაღ-ჴ]და და მოვიდა თჳსა ქალაქად.

მაშინ მოართუ̃ს მას განრღუ̃ული, ცხედარსა ზედა მდებარე. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი და ჰრქუა განრღუეულსა მას; ნ[უ] [გეში]ნინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცო[დ]ვანი შენნი.

და, აჰა ესერა, მწიგნობართაგანთა ვიეთმე თქუეს გულთა შინა მათთა, ვითარმედ: ესე გმობს.

იცნოდა იესუ ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: რაჲსა თქუენ ბოროტსა ზრახავთ გულთა შინა თქუენთა?

2v / რაჲ უადვილეს არს / სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ სიტყუად: აღდეგ და ვიდოდე? ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს [ძე]სა კაცისასა ქუეყა[ნას]ა ზედა მიტევებად ცოდვათა.

მაშინ ჰრქუა განრ[ღუე]ულსა მას: აღ[დეგ], აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა.

და იგი მეყსეულად აღდგა და წარვიდა სახიდ თჳსა.

იხილა რაჲ ესე ერმან მან, დაუკჳრდა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევითარი ჴელმწიფებაჲ კაცთა.

და წარვიდოდა მიერ იესუ.

იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუ̃რესა, მატთეოს - სახელი მისი, და ჰრქუა მას: მომდევდი მე(!)

და აღდგა და მისდევდა მას.

და იყო, ჯდა რაჲ იგი ინაჴით სახლსა შინა [და მრავალნი მე]ზუ̃[რეთა] [და ცოდვილთა] თანა [სხდეს] [ინაჴით იესუჲს თანა და მოწაფეთა მისთა თანა].

[და ვითარცა იხი]ლეს ფარისეველთა მათ, ჰრქუ̃ს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუ̃რეთა და ცოდვილთა

თანა ჭამს მოძღუარი თ[ქუჱ]ნი?
ხოლო იესუს ვითარცა [ესმა, ჰრქუ]ა მათ:

3r არა [უჴმს ც]ოცხალთა [მკურ]ნა/[ლი]
არ გადადის

მათე, 13, 21

/ ანუ დევნულებაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად დაჰბრკოლდის იგი.

ხოლო რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუაჲ იგი და უნაყოფო იქმნის.

ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე არს, რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინა და გულისჴმაჲ-ყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო

რომელმანმე ასი, რომელმანმე - სამეოცი და რომელმანმე - ოცდაათი.

სხუაჲ იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა.

და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა.

ხოლო ოდეს აღმოსცენდა ჯეჯლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი, მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰრქუჱს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესე აგარაკსა შენსა? ვინაჲ აღმოსცენდა / ღუარძლი?

3v / ხოლო მან ჰრქუა[161]: მტერმან კაცმან ყო იგი.

ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?

ხოლო მან ჰრქუა მათ: არა ნუუკუჱ შეკრებასა ღუარძლისასა აღმოჰფხუართ იფქლიცა, აცადეთ იგი თანა აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ჟამადმდე მკისა და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაჲთა დაიწუას იგი, ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.

სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგჳსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თჳსსა მტილსა, რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა. ხოლო რაჟამს აღორძნდის, უფროჲს ყოველთა მტილთა არნ იგი და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის[162] მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა.

მერმე სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვი/ლსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად.

ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას და თჳნიერ იგავისა არას ეტყოდა მათ,

რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუჱლისა მიერ თქუმული: აღვაღო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა დასაბამითგან სოფლისაჲთ.

---

[161] ჰქუა.

[162] HJK-ში ვითარმედ, ფრაგმენტში დადასტურებული ფორმა უფრო სწორია.

მაშინ დაუტევა იესუ ერი იგი და მოვიდა სახლსა და მოუჴდეს მას მოწაფენი მისნი და ჰრქუეს: გამოგჳთარგმანე ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ და აგარაკისაჲ.

ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისა არს.

ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს, ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი და ღუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სოფლისაჲ; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი.

ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწჳან, ეგრეთ იყოს აღსასრული 4v / ამის სოფლისაჲ.

რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი მისნი და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი და შესთხინენ იგინი საჴმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა, რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთჳს წარვიდა და განყიდა ყოველი, რომელიცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი.

მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა და პოის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალსასყიდლისა, წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი.

მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის. და ოდეს აღივსის, გამოიღიან … … … … … 13, 4].

მათეს სახარება 8,16 - 9,12
გრძელდება 13,21 – 13,47

1r-ზე ქვედა კიდეზე ასოები (მთავრულით)
მ ზღ მ მრ ლ
ჲჟ რე ჲთ მზ ჲგ
ღმერთო, შემიწყალე

2r-ზე ქვედა კიდეზე ასოები
მ მძ(მ?) ლ ი
ო კ ლზ ლჱ


2v-ზე ქვედა კიდეზე
მ მრ ლ
ოა კა ლჱ
ოგ კგ ლთ

3r-ზე ქვედა კიდეზე
მ
რ დოვ - ეგრევე რლვ მიწერილია I სვეტის მარცხნივ (ბოლოს)

3v ზედა კიდეზე	რლზ	მთავრულით		
სვეტებს შორის	ბ			
	რღჱ			
ბოლო კიდეზე	მ		გრ	ლ
	რლზ		გდ	რჲზ
	რლჱ		ა(?)	რჲჱ
4r მარცხენა კიდეზე		რ	ჲ	
		ვ		
		რ˜მ		
		ი		
ქვედა კიდეზე		მ		მრ
		რლთ		მე
		რლმ		ი

ღმერთო, შემიწყალე

H-1795 ბ



რაობა:	ფსალმუნი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	5ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	21×10
Content:	Psalms
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	5 folios
Script:	Nuskhuri
Size:	21×10

ტექსტი

1r* / ... გლ/ რამეთუ მცნებანი შენნი გამო[ვიძიენ მე] [სი]ტყუანი შენნი.

ყოვლი[საგან] [გზის]ა უკეთურისა დავაყენ[ენ] [ფერჴნი] ჩემნი, რაჲთა ვიმარხნე მე სი[ტყუანი] [შენნი].

ს[ამართალთა] შენთაგან არა გარდავაქციე, რამეთუ შენ სჯულიერ-მყავ მე.

რაბამად ტკბილ არიან სასასა[163] ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროჲს თაფლისა პირსა ჩემსა.

მცნებათა შენთაგან გულისჴმა-ვყავ; ამისთჳს მოვიძულე ყოველი გზაჲ სიცრუვისაჲ.

---

* **შენიშვნა**: ტექსტი ძირითადად მისდევს გამოცემულ ტექსტებს; შეცდომები თითქმის არ არის; მუხლობრივი დაყოფა არ ემთხვევა ზოგჯერ; ზოგიერთ გვერდზე თავების აღნიშვნაა მიწერილი, რ კ ა ...;

საზედაო ასოები ასომთავრული სინგურით.

[163] სასა.

სანთელ არს ფერჴთ[ა] [ჩემთა] სჯული შენი და ნათელ - ალაგთა ჩემთა.

ვფუცე და დავამტკიცე, რაჲთა დავიცვნე მე განკითხვანი სიმართლისა შენისანი.

დავმდაბლდი ფრიად, უფალო, მაცხოვნე მე სიტყჳსაებრ შენისა.

ნეფსითი პირისა ჩემისაჲ სათნო-იყავ, უფალო, და სამართალნი შენნი მასწავენ მე.

სული ჩემი ჴელთა შენთა შინა არს მარადის და სჯული შენი მე არა დავივიწყე.

დამირწყეს მე ცოდვილთა მახე და მცნებათა შენთაგან მე არა შევსცეთ.

დავიმკჳდრენ წამებანი შენნი უკუნისამდე, რამეთუ სიხარულ არიან გულისა ჩემისა.

1v / მოვდრიკე გული ჩემი ყოფად სამართა/ლთა შენთა უკუნისამდე მერ[მისა [მისთჳს] [მ]ოსაგებელისა.

უსჯულონი მოვიძულენ, ხ[ოლო] [შჯული] [შენი] შევიყუარენ.

შემწე და ჴელისა [ამპყრო]ბელი ჩემი ხარი შენ და მე სიტყუათა [შენთა] [ვ]ესავ.

მისდერკით ჩემგან, უკეთურნო, და გა[მო]ვიძინე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი.

შემეწიე მე სიტყჳსაებრ ჩემისა და მაცხოვნე და ნუ მარცხუⷪნ მე სასოებისაგან ჩემისა.

შემეწიე მე და ვცხოვნდე[164] (ვცხოვდე)და ვიწურთიდე მე სიმა[რთლე]თა შენთა.

შეურაცხ-ყვენ ყოველნი, რომელნი განდგეს სამართალთაგან შენთა, რამეთუ სიცრუვით იყვნეს ზრახვანი მათნი.

გარდამავალად შეჰრაცხენ ყოველნი ცოდვილნი ქუეყანისანი, ამისთჳს შევიყუარენ[165] წამებანი შენნი[166].

განმსჭუალენ შიშითა შენითა ჴორცნი ჩემნი, რამეთუ სასჯელთა შენთაგან შემეშინა.

ვყავ განკითხვაჲ და სიმართლე; ნუ მიმცემ მე მავნებელთა ჩემთა.

შემიწყნარე მონაჲ შენი კეთილსა შინა და ნუ ცილსა შემწამებენ მე ამპარტავანნი.

მოაკლდა თუალთა ჩემთა[167] მიმართ შენისა და სიტყუათა მათ სიმართლისა შენისათა.

2r / ყავ მონისა შენისა თანა წყალობისა/ებრ შენი[სა] [და] სიმართლენი შენნი მასწავენ მე.

მონ[ა] [შენი ვარ]; მეცნიერ-მყავ მე და გულისჴ[მა-ვყვნე] წამებანი შენნი.

[ჟ]ამი [არს] [მს]ახურებად უფლისა, რამეთუ განაქარ[ვეს] [ს]ჯული შენი.

ამისთჳს შევიყუარენ მცნებანი შენნი უფროჲს ოქროჲსა და ანთრაკისა.

ამისთჳს ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა წარვჰმართე და ყოველი გზაჲ სიცრუვისაჲ მოვიძულენ.

საკჳრველ არიან წამებანი შენნი, ამისთჳს გამოიძინა ესენი სულმან ჩემმან.

განცხადებაჲ სიტყუათა მათ შენთაჲ განანათლებს და გონიერ-ჰყოფს ჩჩჳლთა.

პირი ჩემი აღვაღე და მოვიღე სული, რამეთუ მცნებათა შენთა მსუროდა.

[164] ვცხოვდე.

[165] შეყ˜რენ.

[166] წამებანი შენნი - ეს ორი სიტყვა წინა მუხლის გასწვრივ წერია.

[167] ჩემთა-ს შემდეგ აკლია სიტყვა მაცხოვარებისა.

დიდებაჲ.

მოიხილე ჩემ ზედა და შემიწყალე[168] მე მოყუარეთათჳს სახელისა შენისათა.

სლვანი ჩემნი წარჰმართენ სიტყუათაებრ[169] შენთა და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უსჯულოებაჲ[170].

მიჴსენ მე ცილისწამებისაგან კაცთაჲსა და დავიცვნე მე მცნებანი შენნი.

გამოაჩინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და მასწავენ მე სიმართლენი[171] შენნი.

3r ნაკადულნი წყალთანი გარდამო /

არ გადადის; აკლია 13 მუხლი (ე.ი. 1 გვერდი ხელნაწერისა)

ჴმისა ჩემისა ისმინე, უფალო, წყალობითა შენითა და სამართლითა შენითა მაცხოვნე მე.

მიეახლნეს მდევარნი ჩემნი უსჯულოებასა, ხოლო სჯულსა შენსა განეშორნეს.

ახლოს ხარ შენ, უფალო, და ყოველნი გზანი შენნი ჭეშმარიტებით არიან.

დასაბამითგან ვცან წამებათაგან შენთა, რამეთუ უკუნისამდე დააფუძნენ შენ იგინი.

იხილე სიმდაბლე ჩემი და მიჴსენ მე, რამეთუ სჯული ჩემი მე არა დავივიწყე.

საჯე სჯაჲ ჩემი და მიჴსენ მე და სიტყჳთა შენითა მაცხოვნე მე.

შორს არს[172] ცოდვილთაგან ცხორებაჲ, რამეთუ სამართალნი შენნი არა გამოიძინეს.

წყალობანი შენნი მრავალ არიან, უფალო, სამართალითა შენითა მაცხოვნე მე.

მრავალ არიან მდევარნი ჩემნი და მაჭირვებელნი ჩემნი და წამებათა შენთაგან მე არა გარდავაქციე.

ვიხილენ უგულისჴმონი და დავდნებოდე, რამეთუ სიტყუანი შენნი არა დაიმარხნეს.

იხილენ, რამეთუ მცნებანი შენნი შევიყუარენ; უფალო, წყალობითა შენითა მაცხოვნე მე.

დასაბამი სიტყუათა მათ შენთაჲ ჭეშმარიტებაჲ არს და უკუნისამდე ყოველნი განკითხვანი სიმართლისა შენისანი.

3v / მთავარნი მდევნიდეს მე ცუდად და სიტყუათა შენთაგან შეეშინა გულსა ჩემსა.

ვიხარებდე მე სიტყუათა შენთა ზედა, ვითარცა ვინ პოვის ტყუჱ დიდძალი.

ცოდვაჲ მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო სჯული შენი შევიყუარე.

შჳდგზის დღესა შინა გაქებდი შენ განკითხვათათჳს[173] სიმართლისა შენისათა.

---

[168] შ˜ე.

[169] სიტყუაებრ.

[170] ეს სიტყვა წინა მუხლის გაგრძელებას წარმოადგენს (იქმნება შთაბეჭდილება, რომ გადამწერი ცდილობს, მუხლი ჩაატიოს 2 სტრიქონში.

[171] სიმართლენ.

[172] არს+არს.

[173] განკითხვათ˜ს.

მშჯდობაჲ მრავალ არს მათ თანა, რომელთა უყუარს სჯული შენი და არა არს მათ თანა საცთურ.

ველოდე მე მაცხოვარებასა შენსა, უფალო, და მცნებანი შენნი შევიყუარენ[174].

დაიცვნა სულმან ჩემმან წამებანი შენნი და შეიყუარნა იგინი ფრიად.

დავიმარხენ მცნებანი შენნი და წამებანი შენნი, რამეთუ ყოველნი გზანი შენნი წინაშე შენისა არიან, უფალო.

მიიახლენ ლოცვაჲ ჩემი წინაშე შენსა, უფალო, და სიტყჳთა შენითა გულისჴმა-მიყო მე.

შევედინ შენ წინაშე ვედრებაჲ ჩემი, უფალო, და სიტყჳთა შენითა მიჴსენ მე.

აღმოთქუან ბაგეთა ჩემთა გალობაჲ შენი, რაჟამს მასწავლე მე სიმართლენი შენნი.

თქუნეს ენამანცა ჩემმან სიტყუანი შენნი, რამეთუ ყოველნი მცნებანი შენნი სიმართლით არიან.

იყავნ ჴელი შენი მაცხოვრად ჩემდა, რამეთუ

4r მცნებანი / შენნი აღვირჩიენ.

მსუროდა[175] მაცხოვარებაჲ შენი, უფალო, და სჯული შენი არს ზრახვა ჩემდა.

ცხონდეს სული ჩემი, გაქებდეს შენ და სამართალნი შენნი შემეწინენ მე.

შევსცეთი მე, ვითარცა ცხოვარი წყმედული; მომიძიე მონაჲ შენი, რამეთუ მცნებანი შენნი მე არა დავივიწყენ.

დიდებაჲ

გალობაჲ აღსავალთაჲ

კანონი ი ჱ

ჭირსა ჩემსა უფლისა მიმართ ღაღად-ვყავ[176] და ისმინა ჩემი[177].

უფალო, იჴსენ სული ჩემი ბაგეთაგან ცრუთა და ენისა მზაკუვარისაგან.

რაჲ მოგეცეს შენ, ანუ რაჲ შეგეძინოს ენისათჳს მზაკუვარისა?

ისარნი ძლიერისანი ლესულ არიან ნაკუერცხალთა თანა ოჴრებისათა.

ვაჲ მე, რამეთუ განმიგრძდა მე მწირობაჲ ჩემი.

და დავემკჳდრო მე საყოფელთა თანა კედარისათა.

მრავალჟამ დაიმკჳდრა სულმან ჩემმან მოძულეთა თანა მშჯდობისათა და მე რაჟამს ვეტყოდე მათ, იგინი მბრძოდეს მე ცუდად.

გალობაჲ აღსავალთაჲ.

აღვიხილენ თუალნი ჩემნი მთათა, ვინაჲ მოვიდეს შეწევნად ჩემდა?

შეწევნაჲ ჩემი უფლისა მიერ, რომელმან ქმნნა ცანი და [ქუეყანაჲ].

4v / ნუ მისცემ შეძრვად ფერჴსა შენსა, არცა ჰრუელეს მცველსა შენსა.

აჰა, არა ჰრუელეს, არცა დაიძინოს მცველმან ისრაჱლისამან.

უფალმან გიცვას შენ, უფალო, მფარველ შენდა ჴელსა ზედა მარჯუენესა შენსა.

მზემან დღისი არა შეგწუვას შენ, არცა მთოვარემან - ღამე.

უფალმან გიცვას შენ ყოვლისაგან ბოროტისა, დაიცვას სული შენი უფალმან.

უფალმან იცევინ შესლვაჲ შენი და გამოსლვაჲ შენი ამიერითგან და უკუნის-ამდე.

---

[174] „შენნი შევიყუარენ„ ატანილია წინა მუხლის გასწვრივ.

[175] მსოროდა.

[176] ღღყ˜ვ.

[177] ამ სტრიქონის გასწვრივ სხვა ხელით მიწერილია რიზ.

გალობაჲ აღსავალთა

ვიხარე, რომელთა მრქუეს მე: სახლსა [უფლი]სასა შევიდეთ.

დადგრომილ იყვნეს ფერჴნი ჩემნი ეზ[ოთა] შენთა, იჳრუსალიმ[178].

იჳრუსალიმი შენებულ არს, ვითარცა ქალაქი, რომლისა საყოფელნი მისნი-მის თანა, რამეთუ მუნ აღჴდეს ტომნი.

ტომნი უფლისანი საწამებელად ისრაჱლისა და აღსარებად სახელისა უფლისა.

რამეთუ მუნ დაიდგნეს საყდარნი სასჯელისანი, საყდარნი სახლსა მას შინა დავითისსა.

იკითხეთ მშჯდობაჲ იჳრუსალიმისაჲ.

და განგებულებაჲ მოყუარეთა შენთაჲ.

იყავნ მშჯდობაჲ ძალითა შენითა [და].

5r / [იეფობაჲ გოდო]ლ - ტაძრებსა შენსა.

[ძმათა ჩემთათჳს და მე]გობართა ჩემთა[თჳს]

[ვიტყოდე მე მშჯ]დობასა შენთჳს.

[სახლისათჳს უფლისა] ღმრთისა ჩუენისა გამო[გითხოვე კეთილი] შენ.

[შენდამი აღვი]ხილენ თუალნი ჩემნი, რომელი და[მკჳდ]რებულ ხარ ცათა შინა[179].

[აჰა] ესერა, ვითარცა თუალნი მონათანი, ჴელ[თა] მიმართ უფალთა მათთაჲსა

[და] ვითარცა თუალნი მჴევალისანი ჴელთა მიმართ [დე]დოფლისა თჳსისათა,

[ეგ]რეცა თუალნი ჩუენნი უფლისა [მიმართ] ღმრთისა [ჩუე]ნისა, ვიდრემდის შემიწყალნეს [ჩუენ][180].

[მი]წყალენ ჩუენ, უფალო, მიწყალენ ჩუენ, [რამეთუ] [მ]რავლითა აღვივსენით ჩუენ შეურაცხებითა, უფროჲსად აღივსო სული ჩუენი

ყუედრებითა მდიდართაჲთა და შეურაცხებითა ამპარტავანთაჲთა.

აღსავალთაჲ

არა თუმცა იყო ჩუენთა, -

თქუნ ისრაჱლმან, - არა თუმცა უფალი იყო ჩუენ თანა,

რაჟამს კაცნი აღდგებოდეს ჩუენ ზედა.

ცხოველნიმცა ვიდრემე შთამნთქნეს ჩუენ, რაჟამს განრისხნა გულისწყრომაჲ მათი ჩუენ ზედა. წყალთამცა ვიდრემე დამნთქნეს ჩუენ, ღუარსა განჴდა სული ჩუენი.

5v / განჴდა-მე სული ჩუენი [წყალსა მას წინა და]უდგრომელსა?

კურთხეულ არს უფალი, რომელმან ა[რა მიმცნა ჩუენ ნადირად კბილთა მათთა][181].

სული ჩუენი, ვითარცა სირი, გ[ანერა] [მახისა] [მის]გან მონადირეთაჲ[სა].

საბრჴე შეიმუსრა და [ჩუენ განვერენით].

შეწევნაჲ ჩუენი სახელითა [უფლისაჲთა], რომელმან ქმნნა ცანი და ქუეყანაჲ.

დიდებაჲ

[178] იჳლ, შენთა, იჳრუსალიმ - ეს ორი სიტყვა ზემო მუხლის გასწვრივ არის.

[179] ამ მუხლის გასწვრივ მიწერილია მთავრულით <u>რ კ ა</u> (121).

[180] 2,3,4 მუხლები გამოცემაში გაერთიანებულია.

[181] აღვადგინეთ ეს ნაწილი, მაგრამ ამხელა ტექსტი არ ჩაეტეოდა დაზიანებულ ნაწილში.


რომელნი ესვენ უფალსა, ვითარცა მთაჲ სიონი.
არა შეირყიოს უკუნისამდე, რომელი დამკჳდრებულ არს იჱრუსალიმს.
მთანი გ[არემო]ჲს მისსა და უფალი გა[რე]მოჲ[ს] [ერისა] თჳსისა.
ამიერითგან და უკუნისამდე.

რამეთუ არა დაუტეოს უფალმან კუერთხი ცოდვილთაჲ ნაწილსა ზედა მარ-
თალ[თასა],
რაჲთა არა მიყვნენ მართალთა უსჯულოებად ჴელნი მათნი.
კეთილი უყავ, უფალო, სახიერთა და გულითა წრფელთა,
ხოლო რომელთა გარდააქციონ გულარძნილებად, მიიყვანნეს იგინი უფალმან
მოქმედთა ზედა უსჯულოებისათა. მშჳდობაჲ ირაჱლ[სა ზედა][182].

რაჟამს მოაქცია უფალმან ტყუე სიონისაჲ,
ვიქმნენით ჩუენ ნუგეშინისცემულ.
მაშინ აღივსო სიხარულითა პირი ჩუენი … … …

H 1795 გ

რაობა:	ფსალმუნი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	18×13
Content:	Psalms
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	18×13



ტექსტი

[კანონი 12]
1r */ და უჩუჱნო მას მაცხოვარებაჲ ჩემი. დიდებაჲ.
[კანონი 13]
კეთილ არს აღსარებაჲ უფლისაჲ და გალობად სახელსა შენსა, მაღალო.
მითხრობად ცისკარს წყალობაჲ [შენი] და ჭეშმარიტებაჲ შენი ღამედ-[ღამედ].
ათძალითა საფსალმუნისაჲ[თა] [და ჴმითა] ებნისაჲთა;
რამეთუ მახარე მე დაბადებული[თა] [შენი]თა, უფალო! და ქმნულითა ჴელთა
[შენთაჲთა] [ვიხარებდე].
ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი, [უფალო]!
ფრიად ღრმა იქმნნეს ზრახვა[ნი] [შენნი].

[182] [სა ზედა] ტექსტი არ უნდა იყოს.
* **შენიშვნა**: მინაწერი (ტექსტის ხელით) ქვედა კიდეზე „...წ̃თა მამათა მთავართა მეოხებითა შეიწყალე ბასილი ვარკნისანე„ (2v), ზუსტად არ მისდევს მუხლობრივ დაყოფას.

კაცმან სულელმან არა ცნა[ს] [და] უგუნურმან არა გულისჴმა-[ყოს] ესე; აღმოცენებასა[183] ცოდვილთასა, ვითარცა თივაჲ;

და გამოჩნდეს ყოველნი, რომელნი [იქმან] [უ]შჯულოებ[ასა],

რაჲთა მოისრნენ უკუნითი-უკუნისამდე.

ხოლო შენ მაღალ ხარ უკუნისამდე, უფალო. რამეთუ ესერა მტერნი შენნი [წარწყმდენ];

რამეთუ ესერა მტერნი შენნი წარწყმდენ[184], და განიბნინენ ყოველნი

[რომელი იქმან უშჯულოებასა].

1v / და ამაღლდეს, ვითარცა მარტორქისა, რქაჲ ჩემი;

და სიბერე ჩემი - ზეთითა პოხილითა.

და იხილა[185] თუალმან ჩემმან მტერთა ჩემთა და მათთჳს, რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა ბოროტებით, ესმას ყურსა ჩემსა.

მართალი, ვითარცა ფინიკი აყუავნეს[186];

და ვითარცა ნაძ[ჳ] ლიბანისა, განმრავლდეს. დანერგულ[ნი] სახლსა შინა უფლისასა;

ეზოთა და [სახ]ლისა ღმრთისა ჩუენისათა ყუაოდიან. უფროჲსად განმრავლდენ სიბერესა სიპო[ხის]ასა და ფუფუნეულ იყვნენ თხრობასა.

რამეთუ წრფელ არს უფალი ღმერთი ჩუენი და არა არს სიცრუვე მის თანა.

უფალი სუფევს, შუჱნიერებაჲ შეიმოსა; შეიმოსა უფალმან ძალი და გარე-შეირტყა[187].

და რამეთუ და[ა]მყარა სოფელი, რაჲთა არა შეიძრა.

განმზადებულ არს საყდარი შენი მიერითგან, და საუკუნითგან შენ ხარ, რამეთუ

აღიღეს მდინარეთა, უფალო.

2r / აღიმაღლნეს მდინარეთა ჴმანი მათნი; აღდგენ მდინარენი სლვასა თჳსსა ჴმითა წყალთა მრავალთაჲთა.

საკჳრველ არიან განცხრომანი ზღჳსანი;

საკჳრველ არს მაღალთა შინა უფალი. წამებანი შენნი, უფალო, სარწმუნო იქმნეს ფრიად;

სახლსა შენსა შუჱნის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა დღე[თა]სა. ღმერთი შურისძიებათა, უფალი

ღმერთი შურისძიებათა განცხადნა.

მიაგე მისაგებელი ამპარტავანთა.

ვიდრემდის ცოდვილნი, უფალო, ვიდრემდის ცოდვილნი იქადოდიან.

აღმოთქუან და იტყოდიან სიცრუვესა, იტყოდიან ყოველნი, რომელნი იქმან უშჯულოებასა.

ერი შენი, უფალო, დაამდაბლეს[188] და სამკჳდრებელი შენი განაბოროტეს;

---

[183] აღმოცინებასა.

[184] ასეა!

[185] იხილჲ.

[186] აყუვნეს.

[187] შეირტყჲ.

[188] დამდამლეს.

ქურივი და მწირი მოკლეს და ობოლი მოსწყუდეს და თქუეს: „არა იხილოს უფალმან, არცა გულისჴმა-ყოს ღმერთმან იაკობისმან.

2v / გულისჴმა-ყავთ[189] აწ, უგუნურნო ერისანო და ცოფნო, ოდესმე გელისჴმა-ყოთ.
[რომელმა]ნ დაჰნერგა [ყური], [არა ნუ ესმის?]
ანუ რომელმან შექმ[ნა] თუალი, არა ნუ ხედავს?]
რომელი სწავლის თესლებსა, [არა ნუ] ამხილოსა, რომელმან ასწავის კაცთა მეც[ნიერებაჲ?]
უფალმან უწყნის ზრახვანი კაცთანი, რამეთუ არიან ამაო.
ნეტარ არს კაცი, რომელიცა განსწავლო, უფალო, და შჯულისა შენისაგან [ასწაო] მას დამშჳდებად მისა დღეთა ბოროტთა;
ვიდრემდის ეთხაროს ჴნარცუ ცოდვილთა. რამეთუ არა განიშოროს უფალმან ერი თჳსი და სამკჳდრებელი თჳსი არა უგულებელს-ჰყოს[190], ვიდრემდის მოიქცეს სიმართლე განკითხვად, და მიეახლნენ[191] მას ყოველნი, რომელნი წრფელ არიან გულითა.
ვინ წინა-აღმიდგეს მე უკუეთურთაგანი?
ანუ ვინ თანა-წარმომიდგეს მე მათგანი, რომელნი იქმან უსჯულოებასა.

H 1795 დ

რაობა:	ფსალმუნი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14,5×14;
Content:	Psalms
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	14,5×14;



ტექსტი

ფსალმუნი 49,11; 56,6

1r / [შე-თ]უ-მემშიოს, არავე შენ გეტყოდი, [რამეთუ]: [ჩე]მი არს სოფელი და სავსებაჲ მისი. [ნ]უ ვჭამო-ა ჴორცი ზუარაკთაჲ? ანუ სისხლი ვაცთაჲ ვსუა-ა?
[შ]ეწირე ღმრთისა მსხუჩრპლი ქებისაჲ და მოუსრულენ მაღალსა აღნათქუ[ჭ]მნი შენნი. [დ]ა მხადე მე[192] დღესა ჭირისა შენისასა. და მე გიჴსნა შენ და შენ მადიდო მე. ხოლო ცოდვილსა მას ჰრქუა ღმერთმან: რაჲსათჳს-მე მიუთხრობ სამართალთა ჩემთა და აღიღებ აღთქმასა ჩემსა პირითა შენითა? შენ ეგერა მოიძულე სწავლებაჲ და განიშორენ და განსთხიენ სიტყუანი ჩემნი.

[189] გულისჴმა-ყვით.
[190] უგულებელს-ჰყო.
[191] მიახლნნ.
[192] მე+დემე.

იხილი თუ მპარავი, თანა-ურბიოდე მას და მეძავსა თანა დასდვი ნაწილი შენი. პირმან შენმან განამრავლა უკეთურ[ებაჲ] და ენაჲ შენი თხზვიდა ზაკუვასა.

სჯდი რაჲ, ძმისა შენისათჳს ბორ[ოტსა] იტყოდი და ძისათჳს დედისა შენისა [დასდვი საცთური]. ესე ყოველი ჰყავ და დ[ავიდუმე].

1v / ჰგონე უსჯულოებაჲ, ვითარმედ მეცა შენ გ[ემსგავსო].

გამხილო და წარმოვადგინნე ცოდ[ვა]ნი შენნი წინაშე პირსა შენსა.

გულისჴმა-ყავთ ესე ყოველთა, რომელთა დაგივიწყებიეს ღმერთი.

ნუუკუჱ წარგიტაცნეს და არა ვინ იყოს მჴსნელი თქუჱნდა.

მსხუჱრპლმან ქებისამან მადიდოს მე და მუნ არს გზაჲ, სადა უჩუჱნო მას მაცხოვარებაჲ ჩემი.

დასასრულსა, დავითისი ფსალმუნი

რაჟამს მოვიდა მისა ნათან წინაჲსწარმეტყუჱლი, ოდეს-იგი შევიდა ბერსაბესა, ურიაჲსა ცოლისა.


მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აჴოცე უსჯულოებაჲ ჩემი.

[უფ]როჲს განმბანე მე უსჯულოებისა ჩემი[საგან] [და] [ცო]დვათა ჩემთაგან განმწმიდე მ[ე].

[რამეთუ] [უსჯულოება]ჲ ჩემი მე უწყი და ცოდვაჲ ჩემი [წინაშე] [ჩემსა] არს მარადის.

[შენ მხოლოსა შეგცოდე] და ბოროტი შენ წინაშე ვ[ყავ] … … …

H 1795 ე



რაობა:	ფსალმუნი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	18x13,5
Content:	Psalms
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	18x13,5

ტექსტი

ფსალამუნი 16,5

1r / [რათ]ა არა შემიბრკუმენ სლვანი ჩემნი.

მე ღაღად-ვყავ, რამეთუ ისმინე ჩემი, ღმერთო, მოყავ ჩემდა[193] ყური შენი და ისმინე სიტყუათა ჩემთა.

საკჳრველ-ყავ წყალობაჲ შენი, რომელი იჴსნი მოსავთა შენთა

[193] თუ: ჩემ ზედა.

მჴდომთაგან მარჯუჱნისა შენისათა

დამიცევ მე, უფალო, ვითარცა გუგაჲ თუალისაჲ და საფარველსა ფრთეთა შენთასა [დამიფა]რო მე. პირისაგან უღმრთოთასა, რომელნი მ[აჭირ]ვებდეს [მე].

მტერთა ჩემთა სული ჩემი მოიცვეს და [ცმელი თჳსი შეიყენეს]. პირი მათი იტყოდა ა[მპარტა]ვანებასა.

განმაგდეს მე და აწ, [ეს]ერა, მომიც[ვეს] [მე], თუალნი მათნი ყვნეს დადრეკილ ქუეყანად.

შემრაცხეს მე, ვითარცა ლომი, განმზადებული ნადირსა, და ვითარცა ლეკჳ ლომისა იყოფებინ რაჲ [ფარულთა].

აღდეგ, უფალო, უსწრვე მათ და დააბრკოლენ [იგინი] და იჴსენ სული ჩემი უღმრთოთაგან.

მახჳლი შენი მტერთაგან ჴელისა .....[194]

1v / უფალო, მცირეთაგან ქუეყანისათა მიმო-დაყვენ იგინი ცხ[ორებასა] [მათსა] და საიდუმლოთა შენთაგან, რამეთუ აღივსო მუცელი მათი.

განძღეს ჭამადითა და დაუტევეს ნეშტი ყრმათა მათისათა.

ხოლო მე სიმართლითა შენითა ვეჩუჱნო პირსა შენსა, განვძღე გამოჩინებასა დიდებისა შენისასა.

დიდებაჲ

დასასრულსა ფსალმუნი დავითისი

კანონი

შეგიყუარო შენ, უფალო, ძალო ჩემო, უფალო, დამამტკიცებელო ჩემო, შესაველდრებელო [ჩემო] და [მჴსნე]ლო ჩემო

ღმერთი ჩემი [მწე ჩემდა და] მე ვესავ მას;

მფარ[ველი] ჩემი და რქა ცხორებისა ჩემისა.

და ჴელის ამპყრობელი ჩემი.

[ქე]ბით ვხადე უფალსა და მტერთა ჩემთაგან განვერე.

გარე-მომადგეს მე სალმობანი სიკჳდილისანი

[და] ღუართა უსჯულოებისათა შემაძრწ[უნეს] [მე].

[სა]ლმობათა ჯოჯოხეთისათა მომიცვეს მე [და] [მო]მეწიფნეს მე მახენი სილ[უდილისანი].

[ჭირსა] [ჩემ]სა ვხადე უფალსა.

H-1801ა

რაობა:	ლოცვანი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	13,5x10

Content:	Prayers
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	4 folio
Script:	Nuskhuri
Size:	13,5x10

[194] ჩამოხეულია.

ტექსტი

1r* / თაყუანის-ეცეთ ღმერთსა.

გ მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა.....

ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ უფალო, შეწევნად ჩემდა ისწრაფე, ჰრცხოვენოდენ და კდემებოდ... , რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა მაღალთა .....ნ იქცენ და სირცხვილეულ იქმნენ, რომელნი ზრახვიდეს ჩემთვის ძვირსა, მიქც˜ეს მონ[ითურთ]თ˜ .....ვე სირცხვილეულნი, რომელნი [მე]ტყოდეს მე, ვითარცა შა

გიგალობდენ, იხარებდენ შენდამი ყოველნი, რომელნი გჳძიებ შენ, უფალო, და თქვედ მა.....ს:

1v / დიდ არს ღმერთი, რომელთა უყვარს მაცხოვრებაჲ შენი. ხოლო მე, გლახაკი და დავდრომილი ვარი მე, ღმერთო, შემეწიე, შემეწიე! დამხსნელი(და მხსნელი?) ჩემი ხარ შენ, უფალო! ნუ ჰყოვნი, უფალო, შეისმინე ჩემი, სრულიად თქვი: დიდებაჲ მაღალთა შინა, სრულიად თქვით: გორწამს სრულიად ღმერთი ...რსა არს და ჭეშმარიტად, რაჲთა გადიდებ[დ]ეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ ყოვლადუბიწო და დედა ღმრთისაჲ ჩუენისა. უპატიოსნეს ხარ ქერაბინთასა და აღმატებით უზეშთაეს სერაბინთასა, განოხრწნელჲდ მშობელსა სიტყვასა ღმრთისასა მხოლოსა ღმრთისამშობელსა გლ.....

2r / გადიდებთ, წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, გინატრისი. კსნი. მე რომელი ყოველსა დღესა სრულიად დიდებაჲ აწ . ამინ . უპატიოსნეს ხარ სრულიად უბიწო, შეოგინებელო, უხრწნელო, უბიწო ქალწულო, უქორწინებელო სძალო, ღმერთო, წმიდაო დედოფალო, რომელმან დიდებულითა შობითა შენითა კაცნი ღმერთსა შეაერთენ და განგებოლი ბუნებაჲ ჩუენი ზეცისა ძალთა შეაერთენ, უსასო ქმნოლ[თა] სასოებაო და ბრძოლთა შემწეო, და განმზადებელო ჴელისა ამპყრობელო შენდა მხოლველთაო და ყოველთა ქრისტეანეთა შესავედრებელო,

2v / ნუ მომიძაგებ მე, ცოდვილსა ამას, და რაჲთა წა... რომელმან შეკრებითა ბილწებითა გულისთქუმათა და ყოვლითურთ სიტყვით და საქმით თავი ჩემი უცხო-ვყავ გემოთა და უდებებაჲსა მეცნიერებით დავემონე, არამედ ვითარცა კაცთმოყვარე და დედაკაცმოყვარისა, ღმერთო, მოწყალე იქმენე(!), ჩუენ, უძღებსა ზედა და შეიწყნარე ჩემ მწიკულოვანთაგან ბჲგეთა შეწირული ვედრებაჲ და მიხველმან ძისა შენისა მიმართ და მეოფისა დედობრივისა კადნიერებისაგან, რაჲთა განმიხსნეს მე ნაწლევნი.

3r / თვისისა სახიერებისა და კაცთმოყვარებისაგან და უგულებელს-ყვნეს ჩემნი აღორაცხელნი ცოდვანი ჩემნი და მომაქ[ც]იეს მე სინანოლად და მცნებათა მისთა მოშაკად გამოდლჲდ (?) გამომაჩინეს და მექმნეს მე კეთილისმოყვარეთა. ლომბლ(!) და მოწყალე და აწინდელსა ამას ცხორებისა მხორვალედ ზედა მდგომი და შემწე წინააღდგომთა ძალთა მოტევებულო, მაცხორებისა(!) მიმართ წარმართებულ და ყ....ლვისა სულისა ჩემისასა შეწეო(!)

3v / ობჲდროკსა სულსა ჩემსა და ბნელნი იგი პირნი უკეთურთა ეშმაკთა შენთანი შორის განიოტენ ჩემგან. ხოლო საშინელსა მას დღესა სასჯელისასა განკითხვისასა საუკონოსა სასჯელისაგან მიხსენ მე და გამოუთქმელსა მას დიდებაჲსა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა მკვიდრად გამომაჩინოს, რომლისა მიმცა მთხოველ ვართ, დედოფალო, ღმრთისმშობელო, შეწევნითა შენითა და შუამდგომლობითა შენითა და მადლითა და წყალობითა და კაცთმოყვარებითა მხოლოდშობილისა

---


* **შენიშვნა:** ხელნაწერში ერთად აკინძული ორი ფრაგმენტი გაიყო: H-1801- 8ფ.; H-1801ა- 4 ფ.

4r / ძისა შენისასა, რომლისათა გხრთლსა(!) შოვენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყვანისცემათა დაუსაბამოთ მამით ყოვლადწმიდით სახიერით და ცხოვლის-მყოფელით სულით შენით წმიდითურთ. აწ მომეც ჩუენ , მეუფეო, ძლჲდ მისვლად ესე განსასვენებლად სულთა და ჴორცთა და სულისა დამიცვენ ჩუენ გან.....ისაგან წყუდიადისა ..... და ყივკისგ ღამითსა შვილისა გამო ვნებულისა დაცხ....რენ ზედა მოს...ანი

4v / ვნებათაგან და შრ.....
.....ბნოროტისა ჩუენ.....
..... აღძრულნი მ.....
....ა ჴორცთა ზედა აღდგ.....
....ნე და ყოველი ქოჳყნიერ.....
..... ზრონოვა და იძ.....
მეტ მე, ღმერთო, მღვიძარე.....
....წმიდე .....ის სიტყვისა .....
...რთხ... ძ..... ს.....
.....[სინანულ]სა განყენებ.....
..... და აღმადგინე .....
..... განმტკიცებული .....
..... შენთა და მქონე.....

H-1803 ბ

რაობა:	ფსალმუნი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12,5x16,5
Content:	Psalms
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	12,5x16,5



ტექსტი

ფსალმუნი 24, 17-21; 30,1;

1r / ჩემისანი განმრავლდეს და ურვათა[195] ჩემთაგან გამომიყვანე მე.

იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომაჲ ჩემი და შენ მომიტევენ[196] ყოველნი ცოდვანი ჩემნი.

იხილენ მტერნი ჩემნი, რამეთუ განმრავლდეს და სიძულილითა ამაოდ მომი-ძულეს მე.

იცევ სული ჩემი და მიჴსენ მე და ნუ მრცხუჳნებინ მე, რამეთუ გესავ შენ.

უმანკონი და წრფელნი შემომეყუჳნეს, რამეთუ დაგითმო შენ, უფალო.

იჴსენ, ღმერთო, ისრაჱლი ყოველთაგან ჭირთა მისთა.

195. ორვათა.
196. მომიტვენ.

არ გადადის (ე.ი. შუა გვერდიდან)

შენ, უფალო, გესავ, ნუ მრცხუ̈ნებინ მე უკუნისამდე, სიმართლითა შენითა [მიჴსენ] და განმარინე [მე].

მოყავ ჩემდა ყური შენი და [ისწრაფე] [განრინებად] ჩემდა. მეყავ მე ღმერთი მფარ[ველ] ჩემდა, [შე]სავედრებელ ცხორებად ჩემდა, რამეთუ გან[მაძლიერებე]ლი და შესავედრებელი ჩემი შენ ხარ.

სახელისა შენისათჳს, უფალო, მიძღოდე მე და [გამომ]ზარდე მე და გამომიყვანე მე [საბ]რჴისა მისგან, რომელ დამირწყეს მე, რამეთუ შენ ხარ მფარველი ჩემი, უფალო, და ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა.

მიჴსენ მე, უფალო ღმერთო ჭეშმარიტებისაო!

მოიძულენ შენ იგინი, რომელთა და[იცვან]

1v [ამ] /აოებაჲ ცუდად, ხოლო მე უფალსა ვესავ. ვგალობდე და ვიხარებდე [წყა]ლობისა შენისა მიმართ, რამეთუ მომხედენ ს[იმდაბლესა] [ჩემს]ა და იჴსენ ჭირთაგან ს[ული] ჩემი.

… მეც მე ჴელთაგან მტერ[თა] [ჩე]მ[თასა], [დამიდ]გენ ფართოსა ფერ[ჴნი] [ჩემნი].

[მიწყალე] მე, უფალო, რამეთუ მჭირს მე.

შეშფოთნა გულისწყრომითა თუალი ჩემი, [სული ჩემი] და [მუ]ც[ელი] ჩემი, რამეთუ მოაკლდა სალმობით ცხ[ორებაჲ] ჩემი [და] წელიწადნი ჩემნი სულთქუმითა.

მ[ოუძლურ]და გლახაკებითა ძალი ჩემი და [ძუალნი] [ჩემნი] შეძრწუნდეს. ყოველთა მტერთა [ჩემთაგან] ვიქმენ მე საყუედრელ[197] [და] [მოძმეთა] ჩემთაგან ფრიად და შიშ მეცნიე[რთა] [ჩემთა], რომელთა მიხილიან მე და გარე-[განივლ]-ტოდეს[198] ჩემგან.

დავივიწყე მე, ვითარცა [მკუდარი], გ[ულით]გან და ვიქმენ მე, ვითარცა ჭურ[ჭელი] [წყ]მედული.


რამეთუ მესმა მე ყუედ[რებაჲ] მრავალთაჲ, რომელნი გარემოს იყვნეს ჩემსა.

რაჟამს შეკრბეს იგინი ერთბამად ჩემ ზედა და მიღებაჲ სულისა ჩემისაჲ იზრახეს, ხოლო მე, უფალო, შენ გესავ.

ვთქუ[199]: შენ ხარ ღმერთი ჩემი და ჴელთა შენ[თა] … … …

H 1807

რაობა:	კურთხევანი პალიმფსესტი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20,5×16,5
Content:	Blessings Palimpsest
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	20,5×16,5



197. საყუდრელ.

198. განივლტოდე.

199. ვთქო.

ტექსტი

1r [*]/ გადაშლილია, არ იკითხება

1v / ქ. კურთხევა ზეთისა სნეულსა ზედა თუ გინდეს, მიერ წელსა ზედან ესრეთ ჯერ არს შემზადებაჲ წმიდისა ზეცისა სნეულსა ზედა მოუწოდოს, ხელითა მღდელთა მოამზადონ კანდელი და ზეთი ასხას ნახევრადმდე შჳდი უღელი პატრუქითა და შჳდი ლერწამი ბამბითა და მინ ...ს კცრ...ვე ღმერთი ჩუენი რომელსა არს სუფევაჲ უკუნითი უკუნასამდე. ამინ.


ქერობინისა უდარებელი სნეულთა ზედა ...თა თავნი იტყჳან, სნეულთა მხსნელო, სიმართლე მომადლე. მოდით, მორწმუნენო.

თარგმანი. სნეულებანი კაცთა ბუნებათანი, ქრისტე ღმერთო, კაცთმოყვარებით თავს ისხენ ტჳრთვად მოწყალე და აწცა და სალმობანი სნეულთანი განჰკრთნენ, რამეთუ დიდებულ ხარ. ნუ მძრახვენ, მხსნელო, ჩუენგან, რამეთუ ყოველივე სასოებაჲ ცხოვრებისა ჩემისა შენ მხოლოსა დაგვიც, არამედ განჰრინე, რამეთუ დიდებულ ხარ. თქუჱ საკვირველი იგი კ...ნებ... შენთა ღვთისმშობელო სნეულსა ამას მოჰმადლე, რომელნი შნსა სოფ...ლსა მოელტიან ყოვლად საგალობელო სულით და ... ცითგან .... გზაჲ განაძლიერენ ლხინებისა ც... მდინარით ... ესე ... მოძღვართ მთ... ...ჴოდ სანა... / 2r / სამა... ... მონაჲ ესე შენი სხ... ... ცოდვილისა უძლურებისაგან მღ... და განაცოცხლე ესე მსგავსად შენისა ... თანამდებ ... ... ჩემთა ...ვიდეს დიდების, რამეთუ ... ჰრომელ... ... ფსალმუნი და... ჴმობდე და ყოვლად მ... ... ერთა უძლურებისა მის უსუსრთასა ...ად და არა თავთა თჳსთა სათნო ყოფად. ... სასა თჳსსა სათნო ეყოფებოდენ კ... არა შენებლად და რამეთუ ...ეხა თავსა ...ეყო, არამედ, ვითარცა წერილ არს გვედრეს და... ...თა შენ თანა და მეცნეს ჩემ ზედა, რამეთუ ძალსა, რომელი იგი წ... დაიწერა ჩუენდა სამძღურებლად და ერი რაჲ მოთმინებითა მით და ნუგეშინისცემ... ...ა თანა სასოებაჲ გაქუნდეს, ხოლო ღმერთმან ნუგეშინისცემაჲ ... ...მინებისმან მოგუცნივე ზრახვად ...რ რაჲთა ერთბამად ერთითა ღ... ... და მამასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ა... თვის ... ... თაჲ, ვითარცა იგი ქრისტემან იესუ... თ... ლოცვაჲ ... ... ქოდ მე/ 2v / იჩვისა წყლისა განკვეთილ, რომლითაცა შეუძობილ არიან სნეულებითა, ხოლო იყო ვინმე მუნ კაცი, რომელსა ოცდაათუა მეტყველი დაეყო უძლურებასა შინა ესე იხილა იესუ მდებარე და ხ...ყო, რამეთუ მრავალი წელი აქუს უძლიურებასა შინა ... გნებავსა, რაჲთა განიკურნო მუგთურთურმან -? ... არა მაქუს რაჲთა ოდეს აღი... ვეს წყალი ესე და... ...აგდოსა ბნელსა მას ვიდრემდე ე მოვიდის სხ... ...ს ჩუენსა მოვიდის და განიკურნის, ჰრქუა მას იესუ აღდგა ... დრე შენი და ვიდოდე და მიწეულად გან...და კაცი იგი და ... დრი თჳსი და წარვიდა, ხოლო იყო შაბათი დღე ... ჟამსა ... პირნი იგი შაბათ არს და არა ჯერ არს ..., ხოლო მან მიუგო და ჰქუა მათ, რომელმან შინა განმკურნა მე ... აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე, ჰკითხვიდე მას, რომელნი ... ... იდა ი...დეს, ვინ არს იგი, რომელმან გარქუ შენ ღ... ვიდოდა, ხოლო უძლურმან არა უწყოდა, თუ ვინ არს ... არა, რამეთუ ერი იყ... ადგილსა მას ჩემისა შინა ... რომელსა შინა და ჰქუა მას. აჰა, ცოცხალ იქმენ, ნუცარა იცოდა ... არა უძურეს ... გებას და წარვიდა ... ლძთა, ვითარმედ იესუ განმკურნა მე. თ... წმიდაო უფალო მიკჳრსა ... ... თა და ჴორცთა უფალო, რომელმან მო... ... ოდ შობილი ... უფალი ჩუენი. იესუ ქრისტე ... მკურნალად და საუკ...

[*] ხელნაწერი დაზიანებულია, არ იკითხება ერთი გვერდი -1r, დანარჩენ გვერდზე ტექსტის ნაწილი არ ჩანს, ან რთულად წასაკითხია. ტექტის დაზიანებული ნაწილი ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში.

H 1811

რაობა:	კურთხევანი პალიმფსესტი
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	13×9,8



Content:	Blessings Palimpsest
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	13×9,8

ტექსტი

1r* / შ̓ლი სასუფეველისა შენისა
მადლისა მხოლოდშობილი
სა ძისა შენისა შენისაჲთა. რომლისა თანა
კურთხეულ ხარ შენ, სახიერ, და ცხოვლისა
მისსა მოვიდეს მღდ …
ზედა სანათლოჲსასა
და აკურთხოს საკმეველ…
დ… ჩუენი ესე. მშვიდობაჲ
აწ რაჲთა განწმიდნე წყალნი
ესე დანერგვითა და რ…ჲთა
…სა წმიდისა უფლისა…მ რაჲთა
ჩუენ ღმერთმან ჩუენმან გარდამოგივ
ლი[ნ]ოს ჩუენ კურთხევაჲ იორდანისა და
წმიდა … ესენი უფლისაჲსა,
რაჲთა [გამო] აჩინნე მათ შინა ნათლის ღებადნი (!)
ძედ ნათლის და მ
… საუკუნო …ლითა
რაჲთა [ი]ქმნეს შენ[გან]
…ჲსა მის ჴორც…

1v / სისხლისაჲსა მისისა უფლისა მიერ,
რაჲთა იჴსნნეს იგინი ყოვლისაგან ჭი
რისა რისხვისა და იწროებისა
უფლისაჲსა. შეგვეწიენ
დ(!) წმიდისა. და ვითარცა დიაკონი ამას
კუერექსსა იყო მის, მღდელმან ესე
ლოცვაჲ მდუმრიად წართქუ[ს],
[რლ˜ჲ] მოწყალე და მწყალობე

* **შენიშვნა:** ტექსტში შეიმჩნევა ა-მეტობა.

ლ ხარ ღმერთი, რომელთა განიკითხა
ვ გულთა და თირკუმელთა
და დაფარულნი კაცთანი იც
ნი, რამეთუ არარაჲ არს დაფარ
ულ წინაშე შენსა საქმე, არამედ
ყოველივე შიშუჩლ და ქედდადრეკილ
არს წინაშე თუალთა მისთა,
რომელმან უკნი (!) ჩემნიცა ესე
ნუ მომი[ძაგე] მე და ნუცა
პირსა შენსა გარე-მიაქცევ
ჩემგან, არამედ შემინდევინ მე ყოველნი
2r / შეცოდებანი ჩემნი ჟამსა ამა
სცა, რომელმან უგულებენ-ჰ
ყვენ[200] კაცთა ცოდვანი, სინანუ
ლითა განბანე ჩემი მწიკულ
[ო]ვნებაჲ ჯორცთაჲ და შე
გინებაჲ უფლისა ჩემისაჲ და
ყოვლადვე განმწმიდე სრულად ძალთა

შენითა და … წმიდათა და
სულითა …
თა ა… სხ …
თა უქადაგებდეს და გა…
… სცემდე სარწმუნოები
თ განმტკიცებითა შენსა გა
მოუთქმელსა კაცთამოყუარე
ბასა და მე, ვითარცა მონაჲ ცოდ
ვისაჲ გა…დებულსა
ვჰპოვე … უფ… მ…ლოო
…ნო და …მყრ…
2v / ნ[უ]მცა უკუნვ …
დამდაბლებულა და სირცხ
ილეულჲ, არამედ მოავლინე
ჩემ ზედა … მაღლითა და განმაძლიერე
მსახურებასა ამას წი
ნა მდებარესა ამის შენისასა
იდუმალისა დიდისა ზეცისასა
გამოსახე ესე შენი მათ ზედა, რომელ
… გეგულების …
მეორედ შობილთა ჩემ მიერ საწ
ყალობელისა და აღაშენენ გ
ინა ს…ელსა ქუჩშე მოცი
ქულთა და წინასწარმეტყუელთა და ნუ
და[ა]მჯობ, არამედ დანერგენ იგინი
ნერგად ჭეშმარიტებასა შინა წმიდასა

[200] ულულებენ-ჰყვენ.


შენსა კათოლიკე სამო[ციქუ]ლოსა
ეკლესიასა და ნუ … …
… არამედ …მტებულსა მათ
თა ათისა დ…ს
3r / ს…ისა მომატყუ֍ებელ ცო
დვათაგან გამომ֒სნელ
სენთა, მაოტებელ
ეშმაკთა, მომსრველ წი
ნააღმდგომთა ძალთა
გან მიუახლებელ
ანგელოზთა ძალითა
სავსე ივლტოდეს
ამისაგან ყოველნი მზაკვარნი
დაბადებულთა შენთაგან, რამეთუ სახ
ელსა შენსა, უფალო, ვხადით ს
აკვირველსა დიდებულ და საში
ნელსა მტერთა მიმართ.
ი შთაბეროს წყალსა მას
შინა სამბათსა და ჯუარისაჲ დასწე
როს.
მღდელმან ლოცვაჲ. შეიმო
სრნე…დ ნი-ჭებითა და სასწაუ
ლებითა ჯუარისა შენისაჲ
ყოველნი ძალნი წინააღდგომილნი
3v / და განეშორენით ჩემგან ყოველთა
პირთა უჩინონი კერ
პნი და ნუმცა დაიმალვის[201]
წყალსა ამას შინა ეშ
…მაკი ბნელისაჲ ნუცა
ნათლის მთ…ლ ამას
თანა გვედრებთ შ…
სულ… და მ…ლებითაჲ გლ҃ს
… მაშფოთებელი
გონებისა …
არამედ, მეუფეო ყოველთაო, გამოაჩინე
წყალობაჲ წყალობად განსასუ֍ნებელად
წყლად (!) გამომ֒სნელად,
წყლად (!) სულისა გამწმედელად,
შე[ა]გინეს ჰორცთასა და
სულისა და ყოვლისაგან კრულები
სა მოტევებად …ვთა გან
მანათლებელ[ად] სულთა საბანელად
მერმედ შობისა შვილ
4r / ებისა მადლად სამოსლად უხ

[201] დაიმალვლის.

წნელებისა განმანათლებ
ლად სულისა წყაროდ უხრწ
ნელებისა, რამეთუ შენ ს…უ უფალო
განიჩინენით განიწმინდენით მო
ისპეთ უკლურებაჲ სულთაგან
შენთა. შენ მომმადლე ჩუენ ზე
გარდამოჲ შობაჲ წყლითა
და სულითა გამოჩნდი უფალო წყა
ლსა ამას შინა ნატლის მიღებ
ითა განძრცვად ძუჱლ
ისა მის კაცისა განხრწნადისა
მის მაცთურისა და შემოსად ნსგა
ვსად ხორცისა მის …
შენისა შემოქმედისა თჳსისა,
რაჲთა თანა ნერგ ქმნილნი მსგა
ვსებსა
4v / სიკუდილისსა მხოლოდ შობილ
სა შენისასა ნათლის ღებისა,
რაჲთა მია… ქმნენ აღდგო…
და დაიცვენ ნიჭი გ…
სა შენისა და აღურძინო …
დი იგი მადლისაჲ და შევ…
ონ გჳრგჳნი ზეცისა ჩინებ…
და თანა აღირცხენ პირმეტყ
უჱლთა თანა აღწერად …
ა შინა ქრისტეს ყოვლის მიერ უფლისა ჩუენ…
მაშინ ღმერთმან. მაშინ შემდგომად შინაჲ ყოველსა ენ. სულისაიცა
დიაკონ თავნი ჩუენი. მაშნ ღმერთმან თავიო
მოუდრიკოს ჭურჭელსა ზედა
ზეთისასა და ჰშთაბეროს
და არა დასწეროს. მაშინ ვინ …
მეუფეო უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაჲ, რომელმან
კიდობანსა ნოესსა ტრედი
მოუვლინე

H 1814 გ

რაობა:	კონდაკი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	15x10
Content:	Kontakion
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	15x10



ტექსტი

ფსალმუნი 5,6

1r */ ად ღელვათა[202] და განსაცდელთაგან[203] გჳჴსნენ ჩუენ, იხილო, კურთხეულო, კსნი (კირიე ელეისონ) მუჴლთდრეკაჲ იბ. წმიდაო მამაო ჩუენო, მოვედით, თაყუანის-ვსცეთ … … ღმერთსა ჩუენსა. სიტყუანი ჩემნი ყურად-იხვენ, უფალო, გულისჴმაჲ - ვყავ ღაღადებაჲ ჩემი, მომხედენ ჴმასა ლოცვისა ჩემისა, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, განთიად წარვდგე შენდა, გეჩუენო შენდა, რამეთუ შენ ღმერთი არა ეგრეთ ხარ, ვითარმცა

1v გინა უსჯულოებაჲ არა დაიმკჳდრა შენთა უ/კეთურმან, არცა დადგენ უსჯულონი წინაშე თვალთა შენთა, მოიძულენ შენ ყოველნი მოქმედნი[204] უსჯულოებისანი, წარწყმიდენ შენ ყოველნი, რომელნი იტყვინ სიცრუესა. კაცი მოსისხლე და მზაკვარი სძაგს უფალსა[205], რამეთუ მე მრავლითა მოწყალებითა შენითა შევიდე სახლსა, თაყუანის-ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა, უფალო, მიძეღე მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათჳს წარმართე შენ წინაშე გზა

2r ჩე/მი, რამეთუ არა არს პირსა მათსა ჭეშმარიტებაჲ, გული მათი ამაო, სამარე ზეჲ აღებულ არს, ჴორჴი მათი ენითა მათითა ზაკვიდეს. საჯენ იგინი, ღმერთო, დაეცენედ იგინი ზრახვათა მათთაგან. სიმრავლისაებრ უღმრთოებათა მათთასა განიშორენა[206] იგინი, რამეთუ განგამწარეს შენ, უფალო, და იშვებდე[ს][207] ყოველი (!), 2v რომელნი გესვენ[208] შენ, უკუნისამდე იხარებდე[ნ] და დაიმკჳდრონ მათ / შორის და იქადოდიან შენდამი, რომელთა[209] უყვარს სახელი შენი, რამეთუ შენ აკურთხო მართალი, უფალო, ვითარცა ჭურითა სათნოებისათა[210] გჳრგჳნოსან[211] - მყვენ ჩუენ, უფალო, შესავედრებელ-მეყვენ ჩუენ ნათესავითი ნათესავადმდე პირველ მათთა დაბადებადმდე და შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და საუკუნითგან[212] და უკუნისამდე შენ ხარ, ნუ დააქცევ კაცსა სიმდა/ბლედ[213] და სთქუ: მოიქეცით, ძენო კაცთანო, რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე, რომელი წარჴდა, და ვითარცა საჴმილავი ერთი ღამესა შინა, წელნი მათნი შეურაცხებით იყვენნ განთიად და ვითარცა მწვანე წარჴდეს, განთიად აყვავდესა[214] და წარჴდეს მიმწუხრივ[215], დაჭკნეს, განჴმეს და

3v / დაცვივეს, რამეთუ მო/[ვა]კლდით[216] ჩუენ რისხვათა[217] შენთა და გულის-

---

* **შენიშვნა**: ხელი ძალიან განსხვავებული და გაურკვეველია. ქარაგმები დასმულია არასწორად. ბევრი შეცდომაა.

202 ღევლვათა.

203 გსაცდელთაგან.

204 მოქმედენ.

205 რჲ.

206 განიშროენ.

207 იშვები.

208 გესვენ.

209 რომლითა.

210 სათნობისათა.

211 გჳირგჳნოსსან.

212 საკნითგან.

213 სიმდაობლედ.

214 აყვადეს.

215 მიწუხრივ.

216 მოკლდით.

217 რისხვთა.


წყრომითა შენითა[218] შევძრწუნდით და სხენ უსჯულოებანი ჩუენნი წინაშე შენისა, უფალო, და ცხორებაჲ ჩუენი ნათელსა პირისა შენისასა, რამეთუ ყოველნი დღენი ჩუენნი[219] მოაკლდეს და რისხვითა შენითა მოვაკლდით წელნი ჩუენნი, ვითარცა დედაზარდლი[220], იწვრთიდეს დღენი წელიწადითა ჩუენთა მათ თანა

4r / სამე ოცდაათ წელ, / უკუეთუ ძლიერებასა შინა ოთხმეოც წელ და უმრავლესი მათი შრომა და სალმობაჲ, რამეთუ მოვიდა ჩუენ ზედა სიმშვიდე[221] და თქუენ განისწავლნეთ. ვინ-მე უწყის სიმტკიცე რისხვისა შენისა? და შიშითა შენითა გულისწყრომისა შენისა აღრაცხვა მარჯჳენე შენი ესრეთ მაუწყე მე და გულითა სწავლულისათა სიბრძნე შენი. მოიქეც[222], უფალო, ვიდრემდის

4v და ნუგეშინისცემულ / იქმნები მონათა შენთა ზედა. აღვივსნეთ[223] ჩუენ ცისკარსა წყალობითა შენითა, უფალო, და ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ყოველთა დღეთა ჩუენთა, ვიხარებდეთ მათ დღეთა წილ, რომელთა ვიხილეთ ჩუენ ძჳრი, და მოხედენ მონათა შენთა ზედა და ქმნილთა[224] შენთა ზედა წარ … … …

H 1814 დ

რაობა:	კურთხევანი
თარიღი:	XIV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14×11
Content:	Blessings
Date:	XIV c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	14×11



ტექსტი

1r /[225] მისსა, ოდეს მიიღებდეს … ლსა დღესა მერვესა [შ]ობისა მისისა და ღმერთმან, კურთხეულ [ა]რს ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ყოვლად აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წმიდაო ღმერთო ჩუენი უფლისა მიმართ ვილოცოთ: [უფალო] ჩუენო, შენ გევედრები და შენ გხადით: გამოა[ჩინ]ე ნათელი პირისა შენისაჲ … ონასა ამას შენსა ზედა … აქა.

[218] შ˜თა.
[219] ჩუენნ.
[220] დედაზრდილი.
[221] სიმშივიდე.
[222] მიოიქეც.
[223] აღვისნეთ.
[224] ქმნილითა.
[225] I ორი სტრიქონი არ იკითხება.


1v / სახელი სდა … მასაჲ და გამოსა/ხე ჯუარისა მხოლოდშობილისა ძისა შენისა გულისა შინა ამისსა და გულისზრახვათა შინა ამისთა, რაჲთა ივლტოდენ ამაოებისაგან სოფლისა და ყოვლისაგან ბოროტისა მტერისა და რა დაადგების სახელი შენი წმიდაჲ მას ზედა თჳნიერის ყოფის ... და შეაერთე ესე ჟამსა ჯეროვანისა ეკლესიასა (!) შენისა *და სრულ-ყავ შე[მა]წრწუნებელთა [საი]დუმლოთა შენთა [და]

2r / ... სულსა შენისა ჭურად განწმედილად, ძედ ნათლისად და მკჳდრად სასუფეველისა ... ბაჲ მადლითა და წინაწარმეტყუელებითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისა

2v / … უფლისა … და … … ძისა
მაცხოვარისა ჩუენისა
რომელმან ყევ ბუნე[ბაჲ]
პირუტყვი სიტყჳსა მიერ შენისა, დაჰბადე და ყოველივე, არა[არსი]საგან არსად მოიყვანე შენ. აწცა, მეუფეო, აცხოვნე და წმიდა-ყავ მჴევალი ესე შენ სახ[ელ]ით და სწ … შთა … უცოდველად და უბრალ[ოდ] გამოაჩინე …დ … შენ …

რომლისა თანა [კურთხეულ] ხარ ყოვლადწმიდით სახიერ[ით] ცხოველსმყოფ...თ
ლოცვაჲ შესლვა დედაკაცისასა (!) ეკლესიად მეორმოცესა დღესა, მეუფეო, უფალო, ჴელისა პყრობელო.

H - 1815ბ



რაობა:	კურთხევანი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	15,5×11
Content:	Blessings
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	15,5×11

ტექსტი

1r … შენისა მიმართ … ჩუენ და
ღირს არს მადლობაჲ
ღმრთეებითა შენითა ყოველთა
მადლითა სიტკბოებისა[226] შენისაჲთა, ვითარცა გთნდა, ერთგულ გექმნა … … ილ წინაშე ღმრთეებითა[227] შენითა აღთქუმითა[228] მით სისხლითა კრავისაჲთა

* **შენიშვნა**: არაკალიგრაფიული ხელი, ფოკუსი არ არის.
[226] სიტკბობისა.
[227] ღმრთებითა.
[228] აღთაქომითა.

… კ განიერა ისაკ ჴელთაგან მამისა თჳსისაჲთა აღთქუმითა[229] მით სისხლი კრავისაჲთა.

1v და თუ დანთქაჲ ფარაოჲ და ერი მისი ზღვასა მას მეწამულსა, / განუპო ზედა ბ … მიწანი [მეცა] მაცხოვარი სასუფეველსა შენსა.


დიდებაჲ მამა… აწ და

ღმრთისმშობელო, სასოო ყოველთა მვედრებელთა შენთაო, შენგან სასოებაჲ გაქუს(!) შენგან ვიქადით, შენ ხარ, ყოვლადწმიდაო, სასოჲ ჩუენი, მეოხ-გვეყავ შენგან შობილისა მიმართ მოსავთა შენთაჲთჳს.

ამისა შემდგომად მოიღოს
მღდელმან
ზეთი ჭურჭელითა,
იწყონ მკერდით, დაასხას ვიდრე ფერჴამდი
ჯუარი[ს] სახედ. მერმე
შეგჳწყალენ კუალად თქუას.
ამის მწერალსა თუედორეს შე[უნდოს] …

Н 1816 გ

რაობა:	კურთხევანი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	15×12
Content:	Blessings
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	15×12



ტექსტი

1r/ დაუტეოს კაცმან … … …

დედა თჳსი და შე[ე]ყოს[230] ცოლსა თჳსსა და იყუნენ ორნივეჲ ერთჴორცად და საჲდუმლო ესე დიდი არს. ხოლო მე ვიტყჳ ქრისტესთჳს და ეკლესიასათჳს.

გალობაჲ. ფსალმუნი დავითისი. დადგი თავსა შენსა გჳრგჳნი ქვისა მისგან პატიოსანისა.

ცხორებაჲ გჳთხოოს.

<u>სახარებაჲ იოანესი.</u> თავი ბ ბ

მას ჟამსა შინა ქორწილი იყოს კანასა გალელიასასა და მუნ[231] იყოს დედა მისი. მიჰხედეს[232] იესუს და მოწაფეთა მისთაჲ

[229] აღთქომითა.
[230] შეყოს.
[231] გ˜ნ.
[232] შეცდომაა: უნდა იყოს - მიჰხადეს.

ქორწილისა მას[233]. და ვითარ მოაკლდა ღჳნოჲ და ჰრქუა იესუს დედამან მისმან: ღჳნოჲ არა აქუს.

ჰრქუა მას: იყოს, რაჲ არს ჩემდა

1v / [და შენდა], დედაკაცო? არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი.

ჰრქუა მას დედამან მისმან მსახურთა მისთა, ვითარმედ: რაჲცა გარქვა თქუენ, ყავით იგი! იყვნეთ მუნ სარწყულნი ქვისა ექუსნი მდგომარენი, მსგავსად განწმედისა მის ჰე (!) ურიათაჲსა, რომელთა შთაასხიან ორ-ორი გინა სამ-სამი და ჰრქუა მათ იესუ: აღავსენით საწყაულნი [ეგე] წყალთანი.მათ აღავსნეს იგინი პირისპირი.

აღამოავსეთ[234] აწ და მოართჳთ უფალსა! ხოლო მათ მოართუეს.

და ვითარცა გემოჲ იხილა პურისა უფალმან წყალი იგი, რომელი ღჳნო იქმნა[235]

არ გადადის შემდეგი ფურცელი (2r)

2r / თისა კეთილად შვილიერ ებისა საშობელად შეუნანებელი და ცხორებაჲ, რამეთუ შენი არს სიმტკიცე და შენი არს სუფევა, ძალი და დიდებაჲ.

მღნ (მღდელმან) მოიღოს გჳრგჳნი ფეშხუმისაგან და მით თავსა ჯუარი დასწეროს და მაგათ ორთავე თავსა მათსა.

ლოცვაჲ

უფლისა მიერ.

უფალო, ღმერთო ჩუენო, რომელმან დიდებითა და პატივითა გჳრგჳნოსან - ჰყვე წმიდანი მოწამენი, რომელნი, მეუფეო, მოჰმადლე მონასა შენსა.

სახელით და მხევალსა შენსა.

სახელით.

გჳრგჳნი სიხარულისა საქებელად[236] და სადიდებელად[237] შენდა სახელითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

მშჳდობაჲ ყოველთა სულისაცა შენისა.

ლოცვაჲ

უფლისა მიმართ.

უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან მაცხორებასა გან[გე]ბასა შენსა ღირსი იჩინე

2v / … … … …

… … … … სათნოდ გამოჩინებად ქორწილითა შენითა მით გამოსლვითა შენ ა… … … … მე˜ფრ მონათა ამათ შენთა სახელით და მჴევალსა შენსა სახელით, რომე-ლთა სათნო-იყავ შერთებაჲ ურთიერთარს მშჳდობით და ერთობით დაიცვენ, პატიოსანად, ამათ ქორწილი გამოაჩინე და შეუგინებელად ამათი საწოლი გამოაჩინე და დაიცვენ უბრალოდ დადგრომად ამათი ცხორებაჲ, სათნო-იყავ და ღირს-იყვენ ესენი სიბერესა სიპოხისა მიწევნად გულითა წმიდითა აღსრულებაჲ და მეცნიერებათა შენთა, რამეთუ შენ ხარ … … … … … … … …

[233] გ ˜ს.

[234] აღამოავსეთ.


[235] ბოლო სტრიქონი არ იკითხება.

[236] საქებელდ.

[237] სადიდებელდ.

H 1820 ბ

რაობა:	კურთხევანი
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	13×9,5
Content:	Blessings
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	13×9,5



ტექსტი

1r / … … … ისა სახლით … კ … …
წყალი დადგს აღ … ვლისასა
კხ … ლასსა ზეთითა სამჯ[ერ]
აზიაროს და ეს …
ჰრქუეს : მეუფეო … გუ[ლთა]
მეცნიერო, რომელმან … … … გამოუთქუმელი
და მეცნიერ ხარ ... ყოვლისავე უწინარესო
ქმნისა მისისა, რამეთუ შენ მხოლო ხარ, …, რომელმან განაწესენ სჯულსა შინა შენსა წმიდასა ვითარმედ ყი … ვე ჭურჭელი შეგი[ნე] ბ[უ]ლი შეიმ[ე]სროს … სა ზედა … …

1v / წმიდაჲ ი ქ… ნით რ˜მე წმიდაო ვარ და ჭურისა რჩეულისაჲ პავლეს მიერ, წმიდაო, თანა თჳს ჰქადაგე შენ. აწცა, მეუფეო ყოველთაო, განწმიდე წყალი ესე გამოჩინებითა, ღმერთო, და უფლისა ჩუენისა, იესუ ქრისტესი, განმანათლებლისა და განმწმედელისა[238] ყოვლისავე და ყოვლადვე ყოველსა შინა ღმრთისმსახურებასა ყოვლადწმიდისა სახიერისა და ცხოველსმყოფელისა სულისა შენისა, რაჲთა 2r / ამიერითგან ჴსნილნი ყოვლისავე / არაწმიდისა საჭმელისა და სასვმელისა (!) და უმეტესღა საქმისა და პირ-ვიქმნეთ უხრწნილთა (!) და უკუდავთა[239] საიდუმლოთა მხოლოდშობილისა ძისა შენისათა და ღმრთისა ჩუენისათა და ზეცათა სასუფეველსა, რამეთუ შენი არს სუფევაჲ[240].

უკუეთუ არაწმიდათაგანი[241] რაჲმე შთავარდეს წყაროსა, ანუ ჯურღმულსა, ჯერ-არს აღმოღებაჲ და განგდებაჲ და აღმოსხმაჲ მის 2v / წყლისა ორმოცისა სარწყულისა / განთხევად. მერმე მოიღოს მან ორი კეროვნი (!), დაუნთოს იმიერ[242] და ამიერ, მოაკმიოს ჯუარისახედ[243] სამჯერ.

და იყო აღსრულებასა მას დღეთა ამაღლებისა მისისათა და თავადმან დაამტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალჱმდ.

და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისსა. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რაჲთა მო-რაჲმე-უმზადონ მას.

და არა შეიწყნარეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჱმდ.

ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოვანე, თქუეს: უფალო, გნებავსა, რაჲთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოჴდეს ზეცით და აღჴოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო?

მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცით, რომლისა სულისანი ხართ თქუენ?

55მიექცა იესუ და შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცით, რომლისა სულისანი ხართ თქუენ?

56რამეთუ ძე კაცისაჲ არა მოვიდა წარწყმედად სულსა კაცთასა, არამედ ცხოვრებად. და წარვიდეს სხუასა დაბასა.

57და იყო სლვასა მას მათსა გზასა ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ ვიდრეცა მიხუალ.

58ჰრქუა მას იესუ: მელთა ჴურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.

59ხოლო სხუასა ჰრქუა: შენ მომდევდი მე. და მან ჰრქუა: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.

60ჰრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა; ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევ სასუფეველი ღმრთისაჲ.

61ჰრქუა მას სხუამან: მეცა მიგდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან.

62ჰრქა მას იესუ: არავინ დასდვის ჴელი საჴნველსა, და ხედავნ იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა.

თავი 10

1და ამისა შემდგომად გამოირჩინა უფალმან სხუანი სამეოც და ათნი და წარავლინნა იგინი ორ-ორნი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულებოდა მას მისლვად.

2და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რაჲთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თჳსსა.

3წარვედით! აჰა ესერა მიგავლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა.

4ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი ფერჴთაჲ და ნუცა ვის გზასა ზედა მოიკითხავთ.

5და რომელსაცა სახლსა შეხჳდეთ, პირველად თქუთ: მშჳდობაჲ სახლსა ამას!

6და უკუეთუ იყოს მუნ ძჱ მშჳიდობისაჲ, განისუენოს მის ზედა მშჳდობამან თქუენმან, უკუეთუ არა – თქუენდავე მოიქცეს.

7მასვე სახლსა შინა იყვენით, ჭამდით და სუემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა, ნუ მიხუალთ სახლითი სახლად.

8და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და შეგიწყნარნენ თქუენ, ჭამდით წინა-დაგებულსა თქუენსა

9და განჰკურნებდით მას შინა უძლურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.

10და რომელსა ქალაქსა შეხჳდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქუენ, გამო-რაჲ-ხჳდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ:

11აჰა ესერა მტუერი რომელ აღეკრა ფერჴთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

12გეტყჳ თქუენ: სოდომელთა უმოლხინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის.

13ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ ტჳროსს და სიდონს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელ იქმნნეს თქუენ შორის, პირველვემცა ძაძითა და ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

14ხოლო ტჳროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს სასჯელსა მას, ვიდრე თქუენ.

15და შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმაღლდები, არამედ ჯოჯოხეთადმდე შთაჰჴდე.

16რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა.

17და მოიქცეს სამეოც და ათნი იგი სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან სახელითა შენითა.

18ჰრქუა მათ იესუ: ვხედევდ ეშმაკსა ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა.

19აჰა მიგცემ თქუენ ჴელმწიფებასა დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და თქუენ არარაჲ გევნოს.

20ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა.

21მას ჟამსა შინა იხარებდა იესუ სულითა და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩჳლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე.

22და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა: ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის, ვინ არს მამაჲ, გარნა ძემან; და არცა ვინ იცის, ვინ არს ძე, გარნა მამამან; და ვისა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს.

23და მიექცა მოწაფეთა მისთა თჳსაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ყურნი, რომელთა ესმის რომელი თქუენ გესმის.

24ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვაჲ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და ვერ ესმა.

25და აჰა ესერა სჯულის-მეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსცდიდა იესუს და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკჳდრო?

26ხოლო თავადმან ჰრქუა მას: სჯულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხავ?

27ხოლო მან ჰრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი – ვითარცა თავი თჳსი.

28ჰრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე.

29ხოლო მას უნდა განმართლებად თავი თჳსი და ჰრქუა იესუს: და ვინ არს მოყუას ჩემდა?

30მიუგო იესუ და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალჱმით

იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს და დაუტევეს მწყდარი.

31ხოლო დამთხუევით მღდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და იხილა იგი და თანა-წარჰწდა.

32და ეგრეთვე ლევიტელი მასვე ადგილსა მივიდა და იხილა იგი და თანა-წარჰწდა.

33მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი და შეეწყალა.

34და მოვიდა მისა და შეუხჳა წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღჳნოჲ და აღსუა იგი კარაულსა თჳსსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და იღუაწა იგი.

35და ხვალისაგან, გამო-რაჲ-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოღუაწესა მას და ჰრქუა: იღუაწე ეგე და, სხუაჲ თუ რაჲმე წარაგო უმეტესი, მო-რაჲ-ვიდე, მიგცე შენ.

36ვინ უკუე ამათ სამთაგანი გგონიეს შენ მოყუას მისა, რომელ იგი შევარდა ავაზაკთა მათ?

37ხოლო მან ჰრქუა: რომელმან ყო წყალობაჲ მის თანა. ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრევე.

38და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი, და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე. და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თჳსა.

39და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი დაჯდა ფერჴთა თანა იესუჲსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.

40ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათჳს, ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა იღუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად. არქუ მას, რაჲთა შემეწეოდის მე.

41მიუგო იესუ და ჰრქუა მას: მართა, მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს,

42აქა ერთისაჲ არს საჴმარ, ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

თავი 11

1და იყო ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ლოცვაჲ, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თჳსთა.

2ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

3პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღითი-დღედ.

4და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

5და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მოვიდეს მისა შუაღამეს და ჰრქუას მას: მეგობარო, მოვასხენ მე სამნი პურნი,

6რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით, და არარაჲ მაქუს, რაჲ დაუგო მას.

7მან მიუგოს შინაჲთ გამო და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე, რამეთუ კარი დაჴშულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად და მიცემად შენდა.

8გეტყჳ თქუენ: დაღაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთჳს მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენი უჴმდეს მას.

9ხოლო მე გეტყჳ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკდით და განგეღოს თქუნ.

10რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს, და რომელი ეძიებდეს, პოოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს.

11ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძე პურსა, ნუუკუე ქვაჲ მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე თევზისა წილ გუელი მისცესა მას?

12გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუუკუე ღრიაკალი მისცეს მას?

13უკუეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას.

14და კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუჲ. და იყო განსლვასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუჲ იგი. და უკჳრდა ყოველსა მას ერსა.

15ხოლო რომელთამე მათგანთა თქუეს: ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა.

16და სხუანი ვინმე გამოცდით სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან.

17ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავსა თჳსსა განეყლთის, მოოჴრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის.

18და უკუეთუ ეშმაკი თავსა თჳსსა განეყლთა, ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი? რამეთუ იტყჳთ ჩემთჳს, ვითარმედ: ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა.

19უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ? ამისათჳს იგინივე მსაჯულ გექმნენ თქუენ.

20უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-წევნულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.

21რაჟამს ძლიერი შეჭურვილი სცვიდეს ეზოსა თჳსსა, მშჳდობით არნ მონაგები მისი.

22და ოდეს უძლიერესი მისი ზედა-მოუჴდის, სძლის მას და საჭურველი მისი მოუღის, რომელსა-იგი ესვიდა, და ნატყუენავი მისი განუყვის.

23რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს.

24რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის, თქჳს: მივიქცე სახლსავე ჩემსა, ვინაჲცა გამოვედ.

25და მოვიდის და პოვის იგი განშუენებული და შემკული.

26მაშინ წარვიდეს და მოიყვანნის სხუანი შჳდნი სულნი, უბოროტესნი მისსა, და შევიდის და დაიმკჳდრის მას შინა და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჯრეს პირველისა.

27და იყო ვიდრე იტყოდაღა იგი ამას, აღ-ვინმე-იღო დედაკაცმან ჴმაჲ ერსა მას შორის და ჰრქუა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტჳრთა შენ, და ძუძუნი რომელთა სწოვდი.

28ხოლო თავადმან თქუა: არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ იგი.

29და ვითარცა შეკრბებოდა ერი იგი, იწყო სიტყუად მათდა: ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს, სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ.

30ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრეთ ეყოს ძე კაცისაჲ ნათესავსა ამას.

31დედოფალი იგი სამხრისაჲ აღდგეს სასჯელსა მას კაცთა თანა ამის ნათესავისათა და დასჯიდეს მათ, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროჲს სოლომონისსა არს აქა.

32კაცნი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დასჯიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა; და აჰა ესერა უფროჲს იონაჲსსა არს აქა.

33არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფარულად, გინა ჴვმირსა ქუეშე, არამედ სასანთლესა ზედა, რაჲთა შემავალნი ხედვიდენ ნათელსა.

34სანთელი გუამისაჲ არს თუალი; ოდეს თუალი შენნი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს და უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს.

35იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს.

36უკუკეთუ ყოველი გუამი შენი ნათელ არს და არა რაჲ აქუნდეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ, იყოს იგი ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ.

37და ვითარცა იტყოდა ამას თავადი, ჰლოცვიდა ვინმე ფარისეველი, რაჲთა პური ჭამოს მის თანა; და შევიდა და დაჯდა.

38ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკჳრდა, რამეთუ პირველად არა იბანა, ვიდრე სადილობადმდე.

39ჰრქუა მას უფალმან: აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშე სასუმელისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით, და შინაგანი თქუენი სავსე არნ ნატაცებითა და უკეთურებითა.


40ორგულნო, ანუ არა რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა?

41გარნა ესე, რომელი ჯერ არს, მიეცით მოწყალებაჲ, და აჰა თქუენი ყოველი წმიდა არს.

42არამედ ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანა-წარჰვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა. ესე ჯერ-იყო ყოფად და იგი არა დატევებად.

H 1893 ა

რაობა:	საკითხავები (პალიმფსესტი)
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	3 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	18x13,7



Content:	Readings
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	3 folios
Script:	Nuskhuri
Size:	18x13,7

ტექსტი

1r */ ხურა და ნებითა ღმრთისაჲთა შ[ეი]სუენა და შეეძინა იგი მამათა თჳსთა. და იხილა მან განსახ ... ნელი საცნაური, ყავნ თქუენდა, კაცნო, ძმანო, რამეთუ ამ-ის მიერ თქუენ მოტევებაჲ ცოდვათაჲ გეხარების და ყოვლისა მისებრ, რომლითა ვერ შეუძლეთ სჯულითა მით მოსესითა განმართლებად. ხოლო ამის მიერ ყოველ-სავე, რომელსა ჰრწმენეს, განმართლდების.

ალჲ.

მართალი, ვითარცა ფინიკი, აღყუავ …

სახარებაჲ მარკოზისა. 6,14

1v / მას ჟამსა შინა ე/სმა ჰეროდეს მეფესა ჰამბა[ვ]ი იესუსი, რამეთუ განაცხა-და მან[322] სახელი მისი.

იტყოდა, ვითარმედ იოვანე ნათლისმცემელი მკჳდრეთით (!) აღდგომილ არს და მისთჳს იქმნებიან ძალნი მის თანა. და სხუანი იტყოდეს, ვითარმედ ელია არს.

და სხუანი იტყოდეს, ვითარმედ წინაჲსწარმეტყუელი არს, ვითარცა წი-ნაჲსწარმეტყუელთაგანი ილიაჲ.

ხოლო ესმა რაჲ ესე ჰეროდეს, თქუა, ვითარმედ: მე, რომელსა თავი მოვჰკჳეთე იოვანეს, იგი აღდგომილ არს მკჳდრეთით, რამეთუ ამან ჰეროდია მიავლინა, შე-იპყრა იოვანე, შებორკილა იგი და შესუა საპყრობილესა.

არ გადადის

მათე, 10-13

2r / ნა მიცემად მას იგი. და მიავლინა და მოჰკ̃თა (!) თავი იოვანესი საპყრობი-ლესა შინა და მოართჳეს თავი მისი ლაკნითა და მისცეს ქალსა მას. და მან მიართჳა დედასა თჳსსა და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გჳამი მისი და დაფლეს და მოვიდეს და უთხრეს იესუს. და ესმა რაჲ იესუს, განეშორა მიერ ნავითა და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თჳსაგან. და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდეს მკჳრცხლი ქალაქებისაგან.

სამჴრად.

წარდგომაჲ

იხარებდით მართალნი, უფალი.

2v / შეისმინე, ღმერთო ჴმისა ჩემისა, -გევედ.

საქმე მოციქულთაჲ.

მათ დღეთა შინა ვითარცა აღასრულებდა იოანე სრბასა ღმრთისასა და იტყო-და: ვინ-იგი გგონიე ყოფად, არა იგი ვარ, არამედ ესერა მოვალს შემდგომად ჩემსა, რომლისა-იგი არა ვარ ღირს განჴსნად ჴამლთა ფერჴთა მისთასა, კაცნო და ძენო ნათესავისა აბრაჰამისნო, და [რამეთუ] ჩუენ თანა რომელთა ეშინის ღმრთისა და [რამეთუ] ჩუენი სიტყუაჲ იგი ცხორებისაჲ მოი[წია] და რომელნი-იგი მკჳდრ არიან იჩ̃რუსალიმს და მთავარნი იგი მათნი ამას უმეცა

არ გადადის

* ფრაგმენტის სამივე ფურცელი წარმოადგენს პალიმფსესტს.

[322] მნა.

3r / ხლთა არა გამოგიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან, და მე გეტყვი შენ: შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი და რაჲთა შეჰკრა ქუეყანასა ზედა. კურთხეულ იყოს იგიცა ცათა შინა და რომელი განჰჴსნათ ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგიცა ცათა შინა.

აქებდით უფალსა.
თუესა ივლისსა ი˜ე
წმიდათა მოწამეთა აკესი და ივლიანესი
სამხრა[დ].
წარდგომაჲ. წმიდათა და რომელნი არიან, ქრისტე
წინაჲსწარ ვხედავდ უფალსა წინაშე
კორინთელთა მიმართ ების.

3v / ძმანო, ოდეს-იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდე, ვითარცა ყრმაჲ, ვსცობედ, ვითარცა ყრმაჲ, და შეურაცხ-ვყავ, ვითარცა ყრმაჲ. ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისა იგი; ხოლო ვხედავ აწ, ვითარცა სარკითა და იგავითა. ხოლო მაშინ პირსა პირისპირ აწ ვიცი მცირედ, ხოლო მერმე ვცნა, ვითარცა აწ ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ, სიყუარული - სამი ესე, ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს. შეუდეგით სიყუარულსა, ხოლო გშურდინ სულიერი იგი, უფროჲსღა თანა სწყალობდეთ[323], რამეთუ რომელი-იგი იტყჳნ ენითა, არა კაცთა ეტყჳნ, არამედ ღმერთსა, რამეთუ არავის ესმის, რამეთუ სულითა იტყჳს:

ქრისტე ღმერთო, შენ (!) მადლმან შენი ვარ.

H 1893 გ*

რაობა:	საკითხავები
თარიღი:	X-XI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	18x14

Content:	Readings
Date:	X-XI cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	18x14

[323] სწ˜წყლბდეთ

* შენიშვნა: H-1893გ შეუერთდა H-1831.

H 1893 დ



რაობა:	სიტყვა გულისთქმისათვის
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24x14
Content:	Word for innermost
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	24x14

ტექსტი

1r /[324] თქუენ წინაშე კაცთა ... ... ლნენ საქმენი კეთილნი და ადიდ ... ... სა თქუენსა ზეცათა ... ...

ნუ მისდრკე ... ... ვე უსახურ ... ... მიმართ გზ ... ... ისა ნუსადა მ ... ... გი ... ... თამან და შთაჰ ... ...

ვ ... ... თა და უდაბნო ... ...

თა მრავალთასა

... ... რამეთუ ვისღა ელ ... ...

... ... ელსა ძჳრთა მიერ

ღ˜თი ... ... და არა ჰნებავს შორ ... ... თჳსისა ... ... დაბადებულისაჲ მეტყუელისა მისებრ, რამეთუ არა იხარებს ღმერთი წარწყმედას ზედა ცხოველთა ... და ვ ... და ვითარცა სიმართლე არს და სხუასა[325] შინა იტყჳს, ვითარმედ: ნუვინ განცდილთაგანი იტყჳს: ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გაამოუცდელ არს და არცა ერთსა ვის განსცდის, არამედ თითოეული განიცადების თჳსისა გულისთქუმისაგან მონადირებული და გულისთქუმაჲ რაჲ მიუდგის, შვის ცოდვაჲ. ხოლო ცოდვაჲ სრულ იქმნის რაჲ, შვის სიკუდილის თქუმაჲ დედა არს ცოდვისა. ამან გამოჴადა ადამ სამოთხით, ამან კაენ ძმისმკლველ-ყო, ამან მეგჳპტელი აღაბორგა წმიდისა იოსების ზედა, ხოლო ჭაბუკმან შიშითა ღმრთისაჲთა განმტკიცებულმან დააკუჱთა იგი. ამან დააბნია ერი უდაბნოსა ზედა, ამან დაჰჴსნნა შჳდნი ... ... სვნი ქუეყანასა ქანანისასა, რომლითა განამწარა ... მოქმედი,, ვინაჲცა ... ... ნენ ... ...

1v /[326] ... ... ემთხჳოს ჩუენ ყუჱდრებაჲ კეთილისა საქ ... ... უმცა გურცხუჱ ... ... დრებისათჳს ... ... ჩუენ ზედა მიწევნუ ... ... ქმთ მას რაჲ ... ... ა ჯერ-იყოს ... ... ერო ჩემო ... ... საჲ სახელი ჩემი გულ ... ... ნენ ყუჱ ... ... რებისაგან კაცთაჲსა ... ...

ნუ იძლევით, რამეთუ ... ...

საგან და ვითარცა მატლ ... ...

[სი]მართლე შენი ეგოს ... ...

[324] ფურცელი ზემო ნაწილში ამოხეულია.


[325] სხასა.

[326] მოხეულია.

ვამდე ნათესავთაჲსა … … … ურჩ
ვარ, არცა წინააღდგომის მეტყუჩლ … ჩემნი
მივსცენ გუჩმად და ღაწუნი ჩემნი ყურიმლისცემად, ხოლო პირი ჩემი არა გა-
რე-მივაქციე სირცხჳლისაგან ნერწყჳსა. და უფალი იქმნა შემწედ ჩემდა.

ამისთჳს არა შევიკდიმე, არამდ დავდგი პირი ჩემი, ვითარცა კლდე მყარი და ვცან, რამეთუ არა მრცხუჩნეს, ვინაჲცა დაღათუ ვჰგონებდეთ მათ მიერ ძლევად და მთავრობად, ნუ-ვე-შევშინდებით, ნუცა დაუტევებთ მეტყუჩლისა მისებრ. განთუ-ეწყოს ჩემ ზედა ბანაკი, არა შეეშინოს გულსა ჩემსა. და კუალად იტყჳს: მჴნე იყავნ და განძლიერდინ გული თქუენი; ყოველნი, რომელნი ესავთ უფალსა და ნუ ჰბაძავ დიდებასა ცოდვილთასა, რამეთუ არა უწყი, რაჲ იყოს დაქცევად, მჯ~ბს არს ყოვლისავე შემთხუჩვაჲ და ქებუ[ლ]ებაჲ ღმრთისა მიერ ვიდრეღა ბოროტად ქცევითა ქ … … … სა განთქუმულ … … … რამეთუ უფალი და მოციქ … … … … …

H 1893ე



რაობა:	------
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14,5x10,7
Content:	------
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	14,5x10,7

ტექსტი

1r / [მიქ]აელ მთავარანგ
… ჲოსტონ მოწამისაჲ
იე ივლიტასი და კჳრიკესი
ივ ანტიოხოსისი, კჳრიკესი და ივლი[ტაჲსი]
იზ მარინა მოწამისაჲ
იჩ ათანასი კოლზომელისაჲ
ით კოზმან და დამიანეთაჲ
კ ენისა ქრისტინა მოწამისაჲ
კა სჳმეონ … ლონისი
…იო
1v
[ბარ]თლომე მოციქ[ულისაჲ]
კე ევპრაქსიაჲსა და უილუ …
კვ თეკლაჲსი მოწამისაჲ
კზ სჳმეონ ჰალაფელისაჲ
კჩ პანტელემონ(!) მოწამისა
კთ კალენიკე მოწამისა
ლ თევდოტეჲსი და ერმოლაოზ

ლა ეზეკიელ წინასწარმეტყუელისა
აგუისტოსი ლა დღე საძიებელი ბ
ა წმიდათა მაკაბელთაჲ
2r / [ნი]კიტა მოც[იქულისაჲ]
…ვ კჯრიაკოზ ე…
იზ ოთხთა კრებათაჲ
იჱ თევდორაჲსი
ით ბეთლემისა სატფური
კ ლუკა მახარებელისა ქ
კა ჲონა წინასწარმეტყუელისა
კბ ფოკა მოწამისა
კგ ზაქარიაჲს დადუმებაჲ
კდ რომანა მოწამისა და თეკლაჲსი
კე ევსტათისი მჴედრისა თეორსტეჲსი
და შვილთა მათ თანაჲ
2v / …ისა და
…თისივე ჴსენებაჲ
კზ ჲოვანე მახარებელისა
კჱ ხარიტონისი
კთ კჯრიაკოზისი
ლ არკატი და იოვანესი
ოკდონბერსა ზა დღე საძიებელი არა
ა არათაჲსი და მისთანათაჲ
ბ ანანია ეპისკოპოზისა მოწამისა
გ ანტონ და სტეფანიდოჲსი
დ დანიელ წინასწარმეტყუელისაჲ
ე დომანაჲსი და დორი …

H 1897 ბ

რაობა:	საეკლესიო კალენდარი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	13x9,5
Content:	Liturgical calendar
Date:	XV--XVI cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	13x9,5

ტექსტი

1r / ა-ერთი, ბ-ორი, გ-სამი, დ-ოთხი, ე-ხუთი, ვ-ექვსი[327], ზ-შვიდი, ჱ-რვა, თ-ცხრა, ი-ათი, კ-ოცი, ლ-ოცდაათი, მ-ორმოცი, ნ-ორმოცდაათი, ჲ-სამოცი, პ-სამოცდაათი, ჟ-ოთხმოცი;

[327] ექსი.

ა-ერთი, ბ-ორი, გ-სამი, დ-ოთხი, ე-ხუთი[328], ვ-ექოსი, ზ-შვიდი, ჱ-რვა, თ-ცხრა, ჱ-რვა, თ-ცხრა, ი-ათი, კ-ოცი, ლ-ოცდაათი, მ-ორმოცი, ლ-ოცი და ათი (!), ჲ-სამოცი, ო(!)-სამ.

ა-ერთი, ბ-ორი, გ-სამი, დ-ოთხი, ე-ხოთი, ვ-ექოსი, ზ-შვიდი, ჱ-რვა, თ-ცხრა, ი-ათი, კ-ოცი, ლ-ოცდაათი, მ-ორმოცი, ნ-ორმოცდაათი, პ-სამოცდაათი

1v / პ-ოთხმოცი, ჟ-ოთხმოცი და ათი, რ-ასი, ს-ორასი, ტ-სამი ასი, უ-ოთხი ასი, ჯ-ხუთასი, ფ-ექუსაასი (!), ქ-შჳდაასი, ღ-რვა ასი, ყ-ცხრა ასი, შ-ათასი, ჱ-ორი ათასი, ჱ სამი ათ (!), ძ-ოთხი ოცი, ხ-ხუთი ათას. … … … ექოსი ათა (!),… … რვა, ჴ-ცხრა ათასი, ჳ-ბევრი ათასი, ჰ-ბეური … … … ათასი.

… … … ბეურულჲ ბერი ათასი.

თუესა სეკდენბერსა აქუს დღე ლ, დღესა ... აქუს ჟამი იბ და ღამით-ჟამი იბ, ჱ შობაჲ ღმრთისმშობლისა.

უქმი და ჴსნილი

2r იგ ენკენიასა იდ ა/მაღლებაჲ პატიოსნისა ჯუარისა უქმი[329] და მარხვაჲ, კვ-მიცვალებაჲ წმიდისა იოანე მახარებლისა.

უქმი და ჴსნილი

თუესა ოკდონბერსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს ჟამი ია და ღამითა - ჟამი იგ, კვ წმიდისა დიდისა დიმიტრისი.

უქმი თუესა ნოენბერსა აქუს დღე ლ, დღეთაჲ ჟამი ი და ღამითა- ჟამი იდ,

კრებაჲ მიქელ მთავარანგელოზისა.

უქმი ჴსნილი ყოველთათჳს, ი გიორგობაჲ, ჴსნილი, უქმი იბ წმიდისა იოანე ოქ-როპირისა

უქმი და ღამისთევაჲ ყოვლადწმიდისა ფილიპე

მოციქულისაჲ და ვე მარხვაჲ და მშბ

2v შობისა კა ტაძრად მიყვა / … … …

უქმი ჴსნელობისა წ … … … ერნი კაცნი

არა ჭამენ. ვინცა ჭამოს, არცა იმას აქუს ბრალი.

თუესა დეკენბერსა აქჳს დღე ლა დღეთა

აქუს ჟამი თ და ღამითა ჟამივე დ წმიდისა ბარბარესი

უქმი ვ წმიდისა ნიკოლოზისა

უქმი თ წმიდისა ანაჲს მოცლადღებაჲ

უქმი წმიდათა მინა ერიმოგენი.

უქმი იკ წმიდისა იგნატესი

კე შობაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტე (!)

ოქმი ჴსნილი ყოველთათჳს

კვ კრებაჲ ღმრთისმშობლისა

ოქმი თუესა იანვარსა აქუს დღე ლა.

დღეთა აქუს ჟამი ი და ღამითა ჟამი ი დ.

3r წინადაკუეთა / უფლისა იესუ ქრისტესი.

უქმი, ჴსნილი ჟამსა განცხდებასა წინადღემდის

ვ გამოცხადებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს (!)

უქმი ჴსნილი ყოველთა

[328] ხოთი.

[329] ოქმი.

ზ წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა

უქმი ⸗სნილი კ ზ წმიდისა იოანე ოქროპირისა, აღმოყვანებაჲ ნაწილთა პირისა შენისაჲ მადლი, ვითარცა ოქრო გამობრწყინდა

თუესა ფებერვალსა აქუს დღე სამსა წელიწადისა კ ჱ, მეოთხესა - კ თ.

ბ მიგებებაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტე(ი). უქმი, ორი დღე ⸗სნილი ყოველთათჳს გ. წმიდისა სჳმონისი კ დ წმიდისა იოვანე

3v ნათლისმცემელისა თავის პოვ / ნა

უქმი, ⸗სნილი ყოველთა, რომელი გინდა შეკრული და ი˜ე იყოს.

თუესა მარტსა აქუს დღე ლა, დღეთა აქუს იბ და ღამითა ჟამი იბ.

თ წმიდათა ორმოცთა ანგელოზთა

უქმი ⸗სნილი ზეთითა, კე ხარებაჲ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა.

უქმი ⸗სნილი თევზითა

ჱ კრებჲ გაბრიელ მთავარანგელოზისა

უქმი ⸗სნილი თევზითა ... ... დ ... ... არა იწირვის,

უკუეთუ [კჳრი]აკე ანუ შაბათა (!) არა იყ ... ...

თუესა აპრილსა აქუს დღ ... ... ლ. დღეთა

აქუს ჟამი იგ, ... ღამითა-ჟამი ია, კგ წმიდისაჲ

... ... დისა გიორგისა

უქმი ... ...

4r ... ... ისსა აქუს დღე ლა დღეთა / აქუს ჟამი

იდ და ღამითა - ჟამი ია.

ზ ჯუარისა გამოჩინებაჲ

უქმი ⸗სნილი ჱ, წმიდისა იოანე მახარებლისა

უქმი და ⸗სნილი თუესა იუნისსა აქეს დღე ლ. დღეთა აქუს ჟამი ვე და ღამათა (!) ჟამი თ. კუალად[330] შობაჲ იოანე ნათლისმცემლისა.

უქმი და ⸗სნილი ი ... ..., ... რნა (!) წესნერნი(!) კაცნი არა ჭამენ.

კთ პეტერეს (!) და პავლესი

უქმი და ⸗სნილი ყოველთათჳს

გ კრებაჲ წმიდათა მოციქულთა ... ... ე განგებაჲ

უქმი თუესა იუ[ლ]ისსა აქუს დღე ლა,

4v დღეთა აქუს ჟამი იდ და ღამითა ჟამი - / გ.

ბ დადებაჲ პატიოსა სამოსელისა ღმრთისამშობლის (!)

უქმი იბ. კრებაჲ გაბრიელ მთავარანგელოზისავე, წმიდათა მოწამეთა კჳრიკესი და ივლიტასი.

უქმი კელობაჲ.

უქმი და ⸗სნილი კე, მიცვალებაჲ წმიდისა ანანჲს, დიდისა ღმრთისმშობელისა

თუესა აგჳსტო[სა] აქუს დღე ლა.

დღეთა აქუს ჟამი იგ და ღამითა-ჟამი იბ.

უ[ქმი] ... ... ისა [მი]ცვალებაჲ (!)

უფლისა ჩუენისა ... ...

უქმი ⸗სნილი ... ... [მიყვა]ნებაჲ ყოვლადწმიდისა ღ ... ...

... ... უქმი და ⸗სნილი ... ... წმიდისა იოანე ნათლისმ[ცემლისაჲ].

[330] კდ.

H 1899

რაობა:	საკითხავები
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	15,5x13,4

Content:	Readings
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	15,5x13,4

ტექსტი

1r / გიყვანე თქუენ ქუეყანასა იჱრუსალიმისასა და სცნათ, რამეთუ: მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, რაჟამს მოგცეთ თქუენ სული ჩემი თქუენ ზედა და სცხოვნდეთ და დაგსხნე თქუენ ქუეყანასა თქუენსა.და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი. ვიტყოდე და ვყო, - იტყჳს უფალი.

წარდგომაჲ

აღდეგ, უფალო, ღმერთო ჩემო, ამაღლდი. ჴე.

აღგიარო შენ, უფალო, ყოვლითა გულითა.

კორინთელთა პავლე მოციქულისაჲ წიგნი.

ძმანო, მხირედმან ცომმან ყოველი შესურილი აღაფუვნის. განწმიდეთ ძუელი იგი ცომი უკუე, რაჲთა იყუნეთ ახალ თ ბ ე, ვითარცა-იგი ხართ უცომო და რამეთუ ზატიკად ჩუენთჳს დაიკლა ქრისტე. ამიერითგან ვზატიკობდეთ ნუ ცომითა მით ძუელითა, ნუცა ცომითა მით სიბოროტისაჲთა

1v / და უკეთურებისაჲთა, არამედ უცომოითა (!) მით სიმართლისა და ჭეშმარიტებისაითა ქრისტემან ჩუენ მოგჳყიდნა წყევისა მისგან სჯულისა და იქმნა ჩუენთჳს წყევასა ქუეშე, რამეთუ წერილ არს; წყეულ იყავ ყოველი, რომელი დამოეკიდოს ძელსა, რამეთუ წარმართთა მიმართ კურთხევაჲ აბრაჰამისი იქმნას ქრისტეს იესუჲს მიერ, რაჲთა აღთქუმაჲ იგი სულისაჲ მოვიღოთ სარწმუნოებით.

ა ლ ჲ (ა ლოცვაჲ)

აღდეგინ ღმერთი!

სახარებაჲ მათეჲსი

მას ჟამსა შინა ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღრდელთმოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატჲსსა და ჰრქუეს: უფალო, მოვიჴსენეთ, რამეთუ მან, მაცთურმან, ვიდრე ცოცხალღა იყო, ესრეთ თქუა:

ტექსტი არ გადადის

2r / ერა გარქუ თქუენ.

ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

და ვითარ გამოვიდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და. აჰა, იესუ შეემთხჳა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ!

ხოლო იგინი მოვიდეს და შეურდეს ფერჴთა მისთა და თაყუანი-სცეს მას.

მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, წარვედით და უთხარით მოწაფეთა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილიას და მუნ მიხადონ მე.

და ესე ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა, დასისაგანნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღრდელთმოძღუართა მათ: ყოველი ესე, რაჲცა იქმნა.

ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა

2v და ზრახვა-ყვეს: / ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ და თქუეს, ვითარმედ: მოწაფენი მისნი მოვიდეს ღამე და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-ვყუნეთ.

ხოლო მათ მიიღეს ვერცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღემდე.

ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილიას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ უფალმან.

იხილეს იგი და თაყუანი-სცეს მათ, ხოლო რომელნიმე შეურგულდეს; მოუჴდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ყოველსა ქუეყანასა ზედა წარ … … …

არ გადადის

3r / ოდა სიტყუასა, გარნა ჰურიათა მათ ხოლო; გარნა იყვნეს ვინმე მათგანნი კაცნი კჯპრელნი, რომელნი შევიდეს ანტიოქიად და იტყოდეს ბერძულ მეტყუელთა მათ და ახარებდეს უფალსა იესუს და იყ[ო] ჴელი უფლისაჲ განკურნება მათ ზედა. და მრავალსა სიმრავლესა ჰრწმენა და მოიქცეს უფლისა, ესმა ესე ყურთა კრებულისათა, რომელნი იყუნეს იჱრუსალიმს მათთჳს და მიავლინეს ბარნაბა, რაჲთა განვიდეს ვიდრე ანტიოქიამდე რომელი-იგი მოვიდა, და იხილა მადლი იგი ღმრთისაჲ, განიხარა და ჰლოცვიდა ყოველთა გულსმოდგინებითა გულისაითა დადგრომად უფლისა

3v / მიმართ, რამეთუ იყო კაცი იგი სახიერ და(+და) სავსე სულითა წმიდითა და სარწმუნოებითა და შეეძინა უფალსა ერი მრავალი. და გამოვიდა ბარნაბა ხარსონად მოძიებად პავლეჲსსა და პოვა იგი და აღიყვან (!) იგი ანტიოქიად.

ხოლო იყო მათი ყოველთა მას წელიწადსა შეკრებად ეკლესიასა და სწავლად ერისა მის მრავლისა და წოდებად პირველად ანტიოქიას შინა მოწაფეთა მათ ქრისტეანედ. ამათ დღეთა შინა გარდამოვიდეს იჱრუსალიმით წინაჲსწარმეტყუელნი ანტიოქიად. აღდგა ერთი მათგანი, რომელსა სახელად ერქუა აღაბოს, რომელი-იგი აუწყებდა სული … … …

არ გადადის


4r / ცემაჲ ჰრქუა მას … … …
[გრწ]მენინ ჩემი, რამეთუ მო … … …
რცა ამას მთ … … … გ … … ს
მდენ არცა … … … თაყუან
სცემდენ მამ … … …ანსცე
მთ არა ი … … … ჩუენ თაყუანის
ვსცემთ რ … … … რ ... ცით ... რამეთუ ცხორებაჲ
ჰურიათა … … … არამედ აწვე არს ჟამი
… … … … … … … … …ალს ოდეს
ჭეშმარიტნი [თაყუ]ანის[მ]ცემელნი თაყუანის-ცემდენ … … სა ს … … …
და ჭეშმარიტებ … … …, რამეთუ მამ … … …
ეგ … … …[წმიდა]თა თაყუანისმცემე … … … ეძიებს.
სულა … … … ს … … … ი და [თაყუ]ანისმცემელთა

სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც
თაყუანისცემაჲ. ჰქრუა მას დედაკაცმან.

4v / ვიცი მ … … … ალს, რომელსა
ან … … … ოვიდეს მითხ
… … … ლი … … … ამს იესუ მევ … … …
რომელი გე … … … და მას, უფალო,
ტყუას … … … ო … … …წა ფე
სნი და უ … … …ყრმ … … … და კაცსა
იტყოდა … … … არა … … … ნ ჰრქ[უა]
მას: რასა … … … ე … … … ანუ რასა … … …
ყჳ მის თანა … … … და … … … ევა სა … … …
ული იგი მისი დე[დაკაცმა]ნ მან და
… … … ვი და ქლ … … … და უთხრა
… … … მ ვე … … … და იხილეთ
… … … მითხრა მ[ე] ყოველი, რაჲცა მე
… … …ნუუკუე იგი არს, ქრისტე გავიდეს
ქალაქით და მოვიდეს და ვიდრე იგი
მოვიდოდეს … … … მა … … …
დენ სიტყუასა ეტყოდეს მ … … …[331]

H 1900 ა

რაობა:	კურთხევანი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	11,9x9
Content:	Euchologion
Date:	XIV-XVI cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	11,9x9



ტექსტი

1r / [ლ[ითა] მამისა.

სულისა წმიდისათაჲ შემოავლოს ჯუარი და განუცვ … … … ოს გჳრგჳნი და თქუას მღდელმან: მშჳდობაჲ ყოველთა! თავნი ჩუენნი უფალსა მოუდრიკნეთ. უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან მაცხოვარებისა განგებულებასა შენსა ღირს-იჩინე კანსა გალილისსა პატიოსნად გამოჩინებად ქორწილი შენითა მით მისვლითაჲ (!), შენ

1v აწცა, მეუფეო, მონა /[332] … … …
… … … ლთ … … … … … …

ესე შეერთებაჲ ურთიერთარს მშჳდობით და ერთო[ბ]ით დაიცვენ პატიოსანად (!) ამათი[333] ქორწილებაჲ, გამოჩინე (!) შეუგინებელად ამათი საწოლი, დაიცევ

[331] ბოლო ფურცელი დაფლეთილია.

[332] 1v-ს პირველი ორი სტრიქონი არ იკითხება.

[333] ამ˜თი.

უბრალოდ დადგომად ამათი ცხორებაჲ, ჯერ-იჩინე და ღირს-ყვენ ესენი სიბერესა სიპოხისასა

2r მიწევნად გულითა /

არ გადადის

/ ად სასწაული [უბა]ნასა გალილისასა და გამოუცხადა დიდებაჲ მისი და არწმენა (!) მისი მოწაფეთა მისთა.

მღდელმან ლოცვაჲ.

დადგი თავსა მისა გჯრგჯნი ქვისა მისგან პატიოსანისა, ცხორებაჲ გთხოვა შენდა, მიეც მას განგრძობაჲ დღეთა მათ უკუნისამდე. დიდ არს დიდებაჲ მისი მაცხოვარებითა შენითა, დიდებაჲ და დიდადშუენიერებაჲ და დგა მას ზედა, რმეთუ მიეც მას კურთხევაჲ უკუნითისამდე(!) უკუნისამდე.

2v / და ახაროს მას სიხარულითა.

პირისა შენისათა და…ეფე ესავს უფალსა

და მოწყალებითა მაღლისათა არა იძრას უკუნისამდე.

მღდელმან ლოცვაჲ.

უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან დიდებითა და პატივითა გჯრგჯნოსან-ყვენ წმიდანი შენნი მოწამენი, შენვე, მეუფეო, მომადლე (!) მონასა შენსა სახელით გჯრგჯნი მშჯდობისა გჯრგჯნი სიხარულისა საქებელად და სადიდებელად შენდა სახე[334] /

3r / … … … ოდეს და … …

… მისცეს სი…სა მან, სრულიად შესვა იგი და თქუას: მშჯდობით წარვედით სახელითა უფლისათა.

ებრაელთა მიმართ ებისტვლეს[335] (!) პაველეს (!) საკითხავი.

ძმანო, მაქუს ჩუენ მადლი ძალთა ვამსახუროთ (!) სათნოდ უფალსა სიწმიდით მოშიშობითა, რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლი განმლეულ არს სტუმართა მოყვარებისათჳს.

არ გადადის

3v / და … … … შენისა

თჳს ნუ დაივიწყებ

ვითარმე არა უწყოდით ანგელოზიცა ესტუმრნეს, მოიხსენეთ შეკრული დახშული, ვითამცა (!) თქუენ მათ თანა შეკრული ხართ და ძვირუხილავნი, ვითარმცა მათებრო(!) ჴორცი გესხნეს. პატიოსან არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელი, ხოლო

4r მეძავნი და მემრუ /[336]

[შენი] … … …

… … … თაჲ, რამეთუ შენ ხარ უფალი ჩუენი და ღმერთი წყალობისა და მაცხოვარებისა შენდა დიდებასა შევსწირავთ.

მღდელმან:

ღირს-მყვენ ჩუენ, მეუფეო, კადნიერებითა და აზიარნეს ჭიქითაჲ (!)

და ესე ლოცვაჲ წართქუას: ღმერთო, რომელმან ყოელივე შექმენ ძლიერებითა შენითა დაამ

[334] 3r-ს პირველი სტრიქონი არ იკითხება.

[335] ებისტვლეს.


[336] 4r-ს პირველი ორი სტრიქონი არ იკითხება.

4v ტკიცე სოფელი / და შეამკევ გჳრგჳნი ეკალთა შექმნულთა მიერ და სასმელი ესე ზიარი მოეც შეერთებულთა ამათ ქორწილისა ზიარებითა აკურთხე ესე კურთხევითა სულიერითა, რამეთუ კურთხეულ არს, დიდებულ სახელი შენი მამისა და ძისასა წმიდისა აწ და მარადის.

ამისსა შემდგომად მღდელმან მოღოს სასმელი და მისცეს ჴელთა სიძესა და მან სძლი

H 1900ბ

რაობა:	საგალობლები (პალიმფსესტი)
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14x10
Content:	Chants
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	14x10



ტექსტი

1r / ნებულთა
და ღირს-ყვენ ხილვად შენდა
მეოხებითა წმიდათა შენთა მარტჳლთაჲთა.
ნეტარსა დიდებასა
შენსა, ქრისტე, და საწადელსა
მიცვალებულთა სულნი
დაამკჳდრენ, სახიერ, და დაივიწყენ
შეცოდებანი მათნი
და განამართლენ
მადლით დათხევითა სისხლთა შენთაჲთა.
სიკუდილითა შენითა
მოჰკალ მკლველი სულთაჲ, სახიერ,
რომელმანცა შთაჰბერე
მკუდართა სული ცხოველი.
აწცა, უფალო,
განუსუენე წყალობით,
რომელნი მისცვალენ[337] მორწმუნენი მონანი შენნი.

1v სიკეთითა საღმრთოჲთა
შუენი/ ერ არს მიუწდომელად
შენგან განკაცებულ
ქრისტე, ღმრთისა დედაო,
ხოლო ძელსა რაჲ
ზედა დამოეკიდა,
არა აქუნდა ფერი სიკუდილსა ნეფსით მითუალვითა

[337] მისცვავალენ.

განძლიერდასა

ძლ. ბუნებით ლმობილ

კერპთა საცთურსა სძლეს მოწამეთა
და აწ მეუფესა და ღმერთსა
ევედრებიან მიცემად
გარდაცვალებულთა სულთა
საღმრთოჲსა განსუენებისა
და უოხჭნოჲსა ცხორებისა.

იქცევისსა მას მახჯლსა, მჴსნელო,
უვნებელად თანა-წარჰჴადენ
გარდაცვალებულთა სულნი

2r / … … …
რ … … … ქმნეთ … … … შესლვად
… … … ისა ხ … … … რამეთუ ძა
…ლთ სათნ[ოებათა] ა
… … … თუალთა და ვნება
… … … მოკლვითა.

სულისა [სიწმიდითა] წინაჲს-
წარვე მოასწავა,
… … … ქალწულო,
დამბა[დებელო] ღმრთისა,
შობაჲ შენ მიერ
და შენ გიქადაგებდა,
რომელი გამოსჩნდი
სანატრელად
საუკუნითგან
და აწ გევედრები:
სული ჩემი ცოდვილი განწმიდე
და ბრწყინვალებისა საღმრთოჲსა
ძისა შენისა
ზიარ - მყავ, ღირსო,
დადგომად მარჯუენით მისსა, ვითარცა-იგი

2v / წერილ არს,
და რაჲ ჯდეს საყდართა ზედა
განშჯად ადამეანთა.

სიკუდილისა დარღუევაჲ
შობამან შენმან მოგუატყუა,
დედოფალო, რამეთუ
იქმენ ცხორებისა
სამკჳდრებელ ვრცელ.

და აწ გევედრები
ვნებათა უფსკრულსა
და წყუდიადსა
ქუესკნელისასა
შთავრდომილი მიჴსენ
და შუებად საუკუნოდ წარმიძეღუ
და მოსაგებელთა საღმრთოთა
და სანატრელთა
ღირს-მყავ მიმთხუევად,
3r სადა / მოყუარისა მეუფისა,
რომელი მოსცემს სოფელსა დიდსა წყალობასა.

მორწმუნენი შენნი, უფალო, [მტე]რსა
მძლე ექმნენ და საცთური განაქარვეს,
რამეთუ შეიჭურეს ძლიერებაჲ ჯუარისა შენისაჲ
და აწ ანგელოზთა თანა
გიგალობენ და გადიდებენ
და ძლევისა გალობასა გიღაღადებენ.
მათ მიერ მოჰმადლე სულთა ჩუენთა დიდი წყა.

დიდებულნო
წმიდანო მოწამენო,
მეოხ-გვყვენით ჩუენთჳს, რაჲთა ცოდვათა
შენდობაჲ მოგუანიჭოს ჩუენ
ქრისტემან ღმერთმან
და მოწევნადთა ძჯრთა
და რისხვისა და მწარისა
3v / … … … საგან გამო[გჳჴსნა]ს ჩუენ
ვედრებითა თქუენითა, ნეტარნო … … …
ვედრებითა … … …

ამ … … სულისანი
რომელი-ეგე უფალი ხარ სულთაჲ და მიზეზი
ცხორებისაჲ, სარწმუნოებით დაძინებულნი
უკუანაჲსკნელსა მას დღესა ღირს-ყვენ მიმთხუევად
საუკუნოჲსა მის უკუდავებისა,
კაცთმოყუარე,
და რაოდენიცა შეგცოდეს ჴორცითა,
ამით განხრწნადითა,
შეუნდვენ და დაივიწყე
და მიჰმადლე მათ განსუენებაჲ
და მკჳდრ-ყვენ ნათე … … …

არ გადადის
4r / და ხისა მის ცხორებისა

ჭეშმარიტსა მოღებასა
ჯერ-იჩინე მონათა შენთა.

სამოთხესა ფუფუნებისასა
განუსუენე მონათა შენთა,
სადა-იგი არს ჴმაჲ წმიდაჲ
და ოხრაჲ დღესასწაულთაჲ
და ცოდვათა მოტევებაჲ
მიანიჭე მათ, მეუფეო!

შობასა ქალწულებაჲ შეაერთე,
ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო,
რამეთუ ცათა მფლობელი
გჳშევ ჩუენ გამოუთქუმელად,
რომლისა გინებასა
ჰმონებს ყოველი და ჰმორჩილობს.

მესმასა
ძლ. იესუ მჯდომარე
მსგავსად მნათობთაჲსა განბრწყინდეს
4v ეკლესიი / სა სამყაროსა
მჴნენი მოწამენი
და ევედრებიან მეუფესა
მიცვალებულთა სულთათჳს,
რაჲთა მისცეს განსუენებაჲ დაუსრულებელი
ზეცათა შინა.

კუერთხად ძლიერებისად აქუნდა
ჯუარი შენი, ქრისტე ღმერთო,
მონათა მათ შენთა
და სოფლისა ზღუაჲ განვლეს დაუნთქმელად,
რომელნი-იგი დაჰნერგენ
მთასა მას ზედა
სიწმიდისა შენისასა, მჴსნელო,
და განუსუენე.

საყოფელთა მათ საყუარელთა,
რომელნი გამოირჩიენ,
და შეივედრენ
მონანი შენნი, მრავალმო … … …

H 1900გ

რაობა:	დავითნი
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	13x10,5

Content:	Psalter
Date:	XV c
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
* Size:	13x10,5




ტექსტი

1r / გადარეცხილია
1v / …
13. და გულდრე…
და
და მოიჴსენა
… წარმავალ
რაოდენ გზის
და
და მოაქცი
…
2r / უკეთუმცა რაჟამს … ესმინა ჩუენი
და
3
4 დ
5 მტერთ
და
…
…
…
…
…
…
…
…
…გ
ეტრ
კაცნ
2v / გადარეცხილია

* ტექსტის ძალიან დიდი ნაწილი ყველა გვერდზე გადარეცხილია.

H 1900დ

რაობა:	ლოცვანი (პალიმფსესტი)
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	10,7x11,2
Content:	Prayers
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	10,7x11,2



ტექსტი

1r / უწყნი ჩემნიცა ესე საქმენი, ნუ მომიძაგებ და ნუცა პირსა შენსა გარე-მიაქცევ ჩემგან, არამედ შემინდვენ მე ყოველნი შეცოდებანი ჩემნი ჟამსა ამას, რომელმან უგულებელს-ყვენ კაცთა ცოდვანი სინანულითა და განბანა მწიკულევანებაჲ ესე სულისა ჩემისა და ყოვლადვე განწმედად სრულიად[338] … … …

1v / რისა მარჯუენითა, რაჲთა არა აზნაურებასა სხუათა უქადაგებდე და მე ამას მივსცემდე სარწმუნოებით განმტკიცებული შენსა გამოუთქუმელსა კაცთმოყუარებასა და თჳთ, ვითარცა მონაჲ ცოდვისა, გამოუცდელ - ვიპოო, ჵ უფალო [339] … მო შუა… …

H 1900 ე

რაობა:	კონდაკი
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	9x10,7
Content:	Kontakion
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	9x10,7



ტექსტი

1r / ენან

ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა მეტყუელმან: ასმი … … …

სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, თქუენთჳს და მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა.

[338] მოხეულია.

[339] მოხეულია.

ერმან: ამინ!

მღდელმან ლოცვაჲ.

მომჴსენებელნი უკუე საცხორებელისა ამის მცნებისანი და …

1v / ძისა და დიდებულისა კუალადმოსლვისანი.

ასა მაღლებილი (!) შენთანი შენთაგან შენდა შემწირველნი ყოვლისათჳს და ყოველთა.

ერმან: შენ გიგალობთ, შენ გაკურთხევთ, შენ გმადლობთ, უფალო, და გევედრებით შენ, ღმერთო ჩუენო!

მღდელმან ლოცვაჲ.

მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყჳერსა ამას და უსისხლოსა მსხუერპლსა და გხადით და შეგივრდებით დ[ა] [გევე]დრებით გარდა[340] /

2r / ვედ წმიდაყოფად ჩუენდა, რომელი მამისა თანა მჯდომარე ხარ და აქა უხილავად ჩუენ თანა ჰმყოფობ და ღირს-ჰყევენ მტკიცითა ჴელითა შენითა მოცემად უხრწნელი ჴორცი შენი და პატიოსანი სისხლი, და ჩუენ მიერ ყოველსა ერსა შენსა.

და ვითარცა სრულ-ყოს კონდაკი, დადვას და თაყუანი-სცეს სამგზის წმიდასა ტარაპეზსა (!) და ამბორს-უყოს[341] და მიეახლოს ფეშხუემსა ზედა საშუვალამდე გარესა … … …

დ … … … რა … … …[342]

2v / მუნვე ფეშხუემსა ზედა … … … დიაკონმან … … …

ყოს … … … მოხვიდეთ.

მღდელმან მცირედ აღიპრას (!) წმიდაჲ იგი პური და თქუას: წმიდათა. ერმან: ერთ არს წმიდაჲ, ერთ არს უფალი იესუ ქრისტე სადიდებელად ღმრთისა, მამისა, ამინ.

და მიიღოს მღდელმან ნაწილი წმიდისა ჴორცისაჲ.

დიაკონმან ჰრქუას: სრულ-ყავ, მეუფეო, ბარძიმი ესე.

ხოლო მღდელმან შთაუსუენოს და თქუას: [მ]იერ [ამაღ]ლებაჲ სულისა წმიდისაჲ.

დიაკონმან: ამინ!

და შემდგომად მღდელთა ზიარებისა

დიაკონმან თქუას: სარწმუნოებით მოვიდოდეთ.

ერმან: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგჳჩნდა ჩუენ.


მღდელმან: არსა … … … … … …

[340] მოხეულია.

[341] აბორს-უყოს.

[342] მოხეულია.

H 1900ვ



რაობა:	საკითხავები
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	14x10

Content:	Readings
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	14x10

ტექსტი

1r / ჯუარი მისნი ოთხთაგან ქარ
მითგან წმიდისა
ღუაწისაგან ისწავეთ იგავი
იგი რაჟამს რტონი მისნი და ჩჩუ
…გამოვალნ
რამეთუ ახლო არნ ზაფხ
ეგრეცა თქუენ თვის იხილოთ
რამეთუ ახლოს არს
გეტყუნ თქუენ ა
ნათესავი ესე
… ნი და ქუეყანაჲ
… ჩემნი ია
… წარიღენ

1v / გადარეცხილია

H 1900 ზ

რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12,3x10,5

Content:	Chants
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	12,3x10,5

ტექსტი

1r / სა … … … ეს და აღასრულეს და არცა ერთი ბრალი სიკუდილისა უპოიეს. მოითხოვეს პილატესგან მოკლვად იგი, ხოლო ვითარ აღასრულეს ყოველივე, რაჲ-

იგი წერილ[343] იყო მისთჳს, გარდამოიღეს იგი ძელისაგან და დადვეს საფლავსა, ხოლო ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, რომელი ეჩუჱნა დღეთა მრავალთა მათ, რომელნი-ი[გი] მის თანა აღმოსრულ იყვნენ გალილიათ (!) იჱრუსალიმდ, რომელნი-ი[გ]ი აწ არიან მოწამე მის

1v ერ[ისა] მიმართ და ჩუენ თქუენ გახარებთ / [მოწამეთა]? მიმართ ქმნილსა მას აღთქმასა, რამეთუ ესე აღუსრულა ღმერთმან შვილთა მათთა, ხოლო ჩუენ აღგუდგინა იგი მკუდრეთით და არღარა ეგულებოდა მიქცევაჲ განსახრწნელად.

ესრეთ ჰრქუა, ვითარმედ: თქუენ მიეცი (!) წმიდაჲ იგი დავითისი სარწმუნოჲ (!), რომლისათჳსცა სხვასაცა ადგილსა იტყუს: არა სცეს წმიდასა შენსა ხილვად განსახრწნელი, რამეთუ დავით ნათესავსა შინა თჳსსა მსახურებდა და ნებითა ღმრთისაჲთა შეისუჱნა და შეიძინა მამათა თჳსთა

2r და / სჯული ვიდრე იოანესმდე[344] წინაჲსწარმეტყუელებდეს და უკუეთუ გნებავს შეწყნარებაჲ, იგი არს ელია, რომელი მოვალს; რომელსა ასხენ [ყ]ურნი სმენად, ისმინენ.

ოთხშაბათსა მომიჴსენენი.

იქმნა სახე [ერისა] კუჱრთხი მოსესი, განკუჱთა ისრაჱლთათჳს მეწამული, ხოლო ჩუენ გამოვსახავთ სასწაულსა … … … სა ცხოველსა და დავსც[ემ]თ მტერსა.

პირველად აკურთხევდა რაჲ ყრმათა იაკობ, შეცვალებით დასხმითა ჴელთა ნიში ჯუარისაჲ

2v გამოისახა, რომლისა მიერ ვიჴსნე/ნით მტერისაგან.

ვნებათა მჴსნელისათა ჰბაძევდით, მჴნენო, ტანჯვათა სიმწარენი მოითმინეთ თქუენ და გჳრგჳნი დაიდგით უჴრწნელებისა და ცათა შინა სუფევდით, მარტჳლნო.

დიდებაჲ!

ღმრთად გქადაგებთ, მამაო, დაუსაბამოდ; ღმრთად არაქმნილად ვმონებთ შენგან შობილსა და სულსა შენსა წმიდასა ღმრთად თაყუანის-ვსცემთ და სამებით ერთბუნებით გადიდებთ.

აწ ქალწულებრივითა საშოთა შენთა გამოჩნდა მზე და მ … … … … … …

H 1900ჱ



რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	13x12;
Content:	Chants
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	13x12;

[343] წერილი.

[344] ინესმდე

ტექსტი

1r / … … … ე და სასწ … … …

… … … მათ მიერ მოციქულთა ა … …

… … … ცხორების მომცემელო. და [დაბადებუ]ლნი განანათლენ, კაცთმოყუარე. ამისთჳსცა განსცხრების ყოველი დაბადებული სოფელი მკუდრეთით აღდგომისა შენისათჳს, მრავალმოწყალე ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა!

აღსავალნი. სიყრმი[თა] ჩემითგან მტერი განმცდის გულისთქუმათა და გემოთა მიერ შემწ … … … ვს. ხოლო მე ვსძლევ მას შეწ[ევნი]თა შენითა, უფალო.

იქმნენ … … … აჲ მოფხურლ-მოძულენისანი და შემუსრნეს ქრისტემან … … … ნი მათნი გუჱმითა ტანჯვათა …თა.

ყოველთა ცხორებაჲ არს სული … … …

1v / … … … რომელმან ანგ … … …

შეიწყნარე ღი … … …

… … … წოდა უმანკო ტრედ … … …

[რომელმან] შევ უთესლოდ ცათა მეუფჱ, მიითუალე ვედრებაჲ ჩუენი და აჩუჱნე მოწ[ყა]ლებაჲ და წყალობაჲ შენი და ევედრე მრავალმოწყალესა ღმერთსა ჴსნად სულთა [ჩუე]ნთა მოწევნულისა მისგან ბოროტისა, [ღმერთ]ო კურთხეულო!

იბაკოჲ.

აღ-რაჲ-სდეგ, მჴ[სნ]ელო, საფლავით და მკუდარნი აღად[გი]ნენ საფლავთაგან და სიმტკიცე სიკუ[დილი]საჲ შეჰმუსრენ და ადამ გან … … … ლე და ევა მხიარულ-ჰყავ … … … ითა შენითა, ვინაჲცა კიდენი ს … … …ისანი დღესასწავლობენ (!) მკუდრ[ეთი]თ აღდგომისა შენისათჳს, მრავალმოწყალე ქრისტე ღმერთო, დიდებაჲ შენდა!

ჯოჯოხეთისა

H 2065

რაობა:	ნაწყვეტები სახარებიდან (სავარაუდოდ); მინიატურებიანი გვერდები წმინდანების გამოსახულებებით
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	19x25



Content:	Fragments from the Gospel (presumably); miniature pages with images of saints
Date:	X c.
Number of folia:	4 folios
Script:	Asomtavruli
Size:	19x25

სახარების ნაწილი (სავარაუდოდ)

მინიატურა 1-2 ფურცლები:


1r- წმინდანის გამოსახულება ცუდად ჩანს, წარწერა „დიდებაჲსასა";

1v – „წმინდა იოანე ნათლისმცემელი“(წარწერით);

2 r – „წმინდა ლუკა",

2 v- „წმინდა იოანე";
3 r - გამოსახულების წარწერა მოხეულია;
3 v-გამოსახულების წარწერა მოხეულია;
4 r-მიქელ მთავარანგელოზი, წარწერა-„მიქელ";
4 v - ორი გამოსახულება; წარწერები: „[დედაჲ] ღთისაჲ", „წმინდა ივ…"

H 2083



რაობა:	ნაწყვეტი დავითნიდან
თარიღი:	XI-XII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	11,7X15,2
Content:	Fragment from the Psalter
Date:	XI-XII cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	11,7X15,2

ტექსტი

ფსალმუნი კანონი 13, 92, 2-6; 93. 1-4 1r-v

1r / გარჩ-შეირტყა; და რამეთუ დაამყარა სოფელი, რაჲთა არა შეიძრას. გან-მზადებულ არს საყდარი შენი მიერითგან.

და საუკუნითგან შენ ხარ.

აიღეს მდინარეთა, უფალო,

აღიმაღლნეს მდინარეთა ჴმანი მათნი.

აღდგენ მდინარენი სლვასა თჳსსა, ჴმითა წყალთა მრავალთაჲთა.

საკჳრველ არიან განცხრომანი ზღჳსანი.

საკჳრველ არს მაღალთა შინა უფალი.

წამებანი შენნი, უფალო, სარ(1v)წმუნო იქმნნეს ფრიად.

სახლსა შენსა შუენის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა დღეთასა.

ფსალმუნი დავითისი, მეოთხისა შაბათისა, ჟგ (93)

ღმერთი შურისძიებათაჲ, უფალი.

ღმერთი შურისძიებათაჲ განცხადნა.

ამაღლდი, რომელი შჯი ქუეყანასა.

მიაგე მისაგებელი ამპარტავანთა.

ვიდრემდის ცოდვილნი, უფალო.

ვიდრემდის ცოდვილნი იქადოდიან.

აღმოსთქუან და იტყოდიან სიცრუვესა.

1v-სა და 2r-ს შორის აკლია 93 თავის მე-4 მუხლის მეორე ნაწილიდან ამავე თავის 23-ე მუხლის პირველი ნაწილი

2r-v კანონი 13, 93, 23; და 94. 1-8 (მე-8 მუხლი არასრულია)


2r

და უკეთურებისა მათისაებრ უჩინო-ყვნეს იგინი უფალმან ღმერთმან ჩუენმან.

დიდებაჲ. ქებაჲ გალობისაჲ დავითისი, წარუწერელი ებრაელთა შორის. ფსალმუნი ჟდ (94).

მოვედით, უგალობდეთ უფალსა.
ვღაღადებდეთ ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩუენისა.
აღვიმსთოთ წინაშე პირსა მისსა აღსარებითა.
და ფსალმუნითა უღაღადებდეთ მას.
რამეთუ ღმერთი დიდ არს უფალი.
და მეუფჱ დიდ არს ყოველსა ქუეყანასა ზედა.
რამეთუ ჴელსა შინა მისსა არიან კიდენი ქუეყანისანი.
და სიმაღლენი მთათანი მისნი არიან.
2v რამეთუ მისი არს ზღუაჲ და მან შექმნა იგი.
და ჴმელი ჴელთა მისთა დაჰბადეს.
მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ მას.
და ვტიროდით წინაშე უფლისა, შემოქმედისა ჩუენისა.
რამეთუ იგი არს ღმერთი ჩუენი.
და ჩუენ ერი სამწყსოჲსა მისისაჲ და ცხოვარნი ჴელისა მისისანი.
დღეს თუ ჴმისა მისისაჲ ისმინოთ.
ნუ განიფიცხებთ გულთა თქუენთა, ვითარცა იგი განმწარებასა მას.
დღისა მისებრ განცდისა.

H 2084 ბ



რაობა:	ნაწყვეტი სახარებიდან
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24,2X12
Content:	Fragment from the Gospel
Date:	XV c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	I f 24,2X12; II f. 18,5x27;

ტექსტი

1r */ მშჳდობით.

და იყო ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძლურებათა.

მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალენელი, რომლისაგან შჳდნი ეშმაკნი გან-

* შენიშვნა: ლუკა 8, 1-31 (7, 50-დან შემორჩენილია მხოლოდ ბოლო სიტყვა, კვადრატულ ფრჩხილებში აღდგენილია ჩამოჭრილი ასოები).

სრულ იყვნეს, იოანნა, ცოლი ქოზაჲსი, ეზოჲსმოძღურისა ჰეროდესი, და სოსანნა და სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა.

ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და [ქალაქად-ქალაქად რომელნი] (მეორე სვეტი) მოვიდოდეს მისა, [ე]ტყოდა მათ იგავით:

გამოვიდა მთესვ[ა]რი თესვად თესლ[ი]სა თჳსისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზა[სა] ზედა და დაითრგუ[ნა] და მფრინველთ[ა] ცისათა შეჭამეს [ი]გი. და სხუაჲ დავა[რ]და კლდესა ზედა, ა[ღ]მოსცენდა და განჴმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ და რომელიმე [და]ვარდა შორის ეკალ[თა] და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთ[ვ]ეს იგი და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთ[ი]ლსა და აღმოსც[ე]ნდა და(!) ნაყოფი ასი წ…ლი.

ამას ეტ[ყო]და ჴმითა, რომელსა [ას]ხენ ყურნი სმენ[ად], ისმინენ. ჰკი[თხვი-დეს] მას მოწა[ფენი]] მისნი], (1v) ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე?

ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა [მ]ოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ.

ხოლო სხუათა იგა[ვ]ით, რაჲთა ხედვიდენ [და] ვერ იხილონ და [ე]სმოდის და ვერ გულისჴმა-ყონ.

[ხოლო ი]გავი იგი ესე არ[ს]: თესლი იგი არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ. ხოლო გზასა [ზედა] იგი არიან, რომელთა [ე]სმის, მერმე მოვი[დ]ის ეშმაკი და მოუ[ღ]ის სიტყუაჲ იგი გულ[ისა]გან მათისა, რაჲთა არა ჰრწმენეს და ცხონდენ. ხოლო რომელნი იგი [კ]ლდესა ზედა, რომელთა-[ი]გი რაჟამს ისმინიან, სი[ხ]არულით შეიწყნა[რ]იან სიტყუაჲ იგი და [ა]მათ ძირი არა უ[ჩნ], რომელ[თა იგი ჟამ] (მეორე სვეტი) ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან.

ხოლო რომელი-იგი ეკალთა შინა დავარდა, ესე არიან რომელთა ისმინიან სიტყუაჲ და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლე-ნედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.

ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, ესე არიან, რომელთა გუ-ლითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუაჲ და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.

არავინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე ცხედარსა [შედგიან, არამედ სა]2rსანთლესა ზედა დადგიან, რაჲთა შემავალნი იგი ნათელსა ხედვიდენ.

რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოჲ, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.

იხილეთ უკუჱ, ვითარ-ეგე ისმენთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას და რომელ-სა არა აქუნდეს და რომელღა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ეღოს მას.

მოვიდეს მისა დედაჲ და ძმანი მისნი და ვერ ეძლო შემთხუევად მისა ერისა მისგან. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედაჲ შენი და ძმანი შენნი გარე დგანან და ხილ-ვაჲ შენი ჰნებავს, ხოლო თავადმან ჰქუა მათ: დედაჲ ჩემი და ძმანი (მეორე სვეტი) ჩემნი ესე არიან, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ისმინონ და ყონ იგი.

და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი შევიდა ნავსა და მოწაფენი მისნი მის თანა და ჰქუა მათ: განვიდეთ წიაღ კერძო ტბასა მას, და აღვიდეს. და მი-რაჲ-ვი-დოდეს იგინი ნავითა, თავადსა მიეძინა. და გარდამოჴდა ალმური ქარისაჲ ტბასა მას ზედა და აღივსებოდა ნავი იგი და იურვოდეს. და მოვიდეს და განაღჳძეს და ეტყოდეს: მოძღუარ, მოძღუარ, წარვწყმდებით. ხოლო თავადი აღდგა და შეჰრის-ხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა და დასცხრეს და იყო დაყუდებაჲ დიდი.

2v და ჰქუა მათ: სადა არს სარწმუნოებაꙋ თქუენი? ხოლო მათ შეეშინა და დაუკჳრდა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქართაცა უბრძანებს და წყალთა და ერჩიან მას?


და განვიდეს სოფელსა მას ღადარინელთასა, რომელ არს წიაღ კერძო გალილეასა და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მო-ვინმე-ეგებოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი და მრავალჟამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა. და ვითარცა იხილა მან იესუ, ღაღად-ყო და შეუვ(მეორე სვეტი)რდა ფერჴთა მისთა და ჴმითა დიდითა იტყოდა: რაꙋ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მაღლისაო, გევედრები, ნუ მტანჯავ მე. რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან.

რამეთუ მრავალგზის წარიტაცის იგი და შებორკილიან იგი ჯაჭჳთა და საკრველითა და სცვიედ, და განხეთქნის საკრველნი და იდევნებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა.

ჰკითხა მას იესუ: რაꙋ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: ლეგეონ, რამეთუ მრავალნი ეშმაკნი შესრულ იყვნეს მისსა და ევედრებოდეს მას, რაꙋთა არა უბრძან…

H 2084 დ

რაობა:	სახარება (ნაწყვეტი)(პალიმფსესტი)
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	26,2X19,4
Content:	Gospel (fragment)
Date:	XV c.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	26,2X19,4



ტექსტი

3r */ …მშჳდობისა, არამედ მახჳლისა. რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული დედისაგან თჳსისა და სძალი დედამთილისაგან თჳსისა. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი.

---

* შენიშვნა:

1. მინაწერები - მხედრულად.

3v: ზედა არშიაზე მხედრულით - დადიშქელიანი ილამაზ, კაცი მივაბ …,

ქვედა არშიაზე - ღმერთო მშობელო, მთავარანგელოზ,

შენი კანდელ იყოს, სვიმანოზ.

4r: მხედრულით - დიდისა იმედსა და დიდ იმედად ღმრთის ყოფად.

2. ფრაგმენტის პირველი ნაწილი, სავარაუდოდ, უნდა იყოს მათეს სახარების ფრაგმენტები და შემდეგი - იოანეს სახარების ფრაგმენტი. ამიტომ ფრაგმენტის პაგინაცია შეიცვალა ჩვენ მიერ, ხელნაწერზე მითითებული 3-4 ტექსტის მიხედვით არის 1-2, ხოლო 1-2, არის, 3-4. მათე 10, 34-42; 11, 1-12.

რომელსა უყუარდეს მამაꙋ ანუ დედაꙋ უფროꙋს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროꙋს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.

რომელმან მოიპოვოს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.

რომელმან შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

რომელმან შეიწყნაროს წინაꙗსწარმეტყუელი სახელად წინაꙗსწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაꙗსწარმეტყუელისაꙋ მოიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისა მოიღოს.

და რომელმან ასუას ერთსა მცირედთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად მოწაფისა, ამენ გეტყჳ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

და იყო რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა თჳსთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა.

ხოლო იოვანეს რაꙋ ესმნეს სა(3v)პყრობილესა შინა, მიავლინნა მოწაფენი თჳსნი და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?

ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ იოვანეს, რომელი გესმის და ჰხედავთ: ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, და ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების. და ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ.

და ყოველთათვის, რომელნი ითხოვეთ ღმრთისაგან შეწევნასა და შეწყნარებაჲსა მათთჳს უფალო. მაღალო.


ფალო ღმერთო ჩუენო, რომლისა სიმტკიცე განუზომელ და დიდებაჲ მიუწდომელ, რომლისა წყალობაჲ აღურაცხელ და კაცთმოყუარებაჲ უთხრობელ არს. შენ, მეუფეო მოწყალებისაებრ შენისა მოიხილენ ჩუენ ზედა და წმიდა ამას საფლავსა ზედა და ყვენ ჩუენ ... მლოცველთა ჩუენთა ... წყალობანი და მოწყალებანი შენნი. კ~ნ... ეგ...


2v / ლენ გეტყვინ უფალო შენ დ... წმიდისა უხრწნელისა უფროჲსად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა, ღმრთის მშობელისაჲ და მარადის ქალწულისა მარიამის წმიდაჲსა ზეცისა ძალითა ყოველთა წმიდათა ტანა მომჴსენებელთა თავნი თვისნი ურთიერთ არს და ყოველი ცხოვრებაჲ ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევჰვედროჲთ მღდელმან აღსარებაჲ.

რამეთუ შუჱნის შენდა ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ მამისა და ძისა და

და თქუიან კურთხეულ არს აღსარებაჲ და კანონ. მერმე და მერმე მშვიდობით ... მაცხოვრისა ზედა გ... უფალო, ღმერთო ჩუენო, აცხოვნე ერი შნი და აკურთხე სამკვირდებელი შენი და ერსა...

Q 208 ა





რაობა:	გამოსლვათა წიგნი
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	12x16,2
Content:	Fragment from the Book of Exodus
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	12x16,2

ტექსტი

1r / გარდამოვიდა მოსე მიერ მთით ერისა მის და ჰრქუა მათ ეგრეთ და განწმიდნა იგინი და განირცხეს სამოსელი მათი და ჰრქუა ერსა მას: ნუ შეეხებით ცოლთა თქუენთა და მზა იყვენით ვიდრე სამ დღედმდჱ.

და იყო შემდგომად სამისა დღისა ცისკარს ოდენ და იყვნეს ქუხილნი და ელვანი და ღრუბელი, წყუდიადი მთასა ზედა სინასა ჴმაჲ იგი საყჳრისაჲ ო ... [434]

არ გადადის

1v / დასა შენსა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ და დღჱგრძელ იყო ქუეყანასა მას ზედა კეთილსა, რომელი-იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ.

არა კაც ჰკლა

არა იმრუშო

[434] სტრიქონი წაჭრილია და ზემო სტრიქონის მთავრული ასოს (?) ნაწილი ქვედა სტრიქონზეა ჩამოსული.

არა იპარო
არა ცილი სწამო მოყუსისა შენისა შენისათჳს, წამებაჲ ცილი
ი არა გული გითქუმიდეს ცოლსა მოყუსისა შენისასა, არცა მონისა მისისათჳს,


2r არცა მჴე / ვლისა მისისათჳს და არცა ჴარისა მისისათჳს და არცა კარაულისა მისისათჳს და არცა ყოვლისა საცხოვრისა მისისათჳს და არცა ყოველი რაჲ იყოს მოყუსისა შენისაჲ.

არ გადადის

2v / რიდა დიდად და შეძრწუნდა ყოველი იგი ერი ბანაკსა მას შინა.
და განიყვანა მოსჱ ერი შემთხუევად ღმრთისა ბანაკით … და წარვიდეს მთასა მას ქუჱშე სინ … … …

Q 208ბ

რაობა:	ბიბლიის საკითხავები
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	21x29
Content:	Readings of Gospel
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	21x29



ტექსტი

ბიბლიური ტექსტის ფრაგმენტები
1r / წა[რვე]დით და მოიქეცით სახლსა
მამისა თქუენისა და ყავ … … …
თქუენთა ზედა წყალობაჲ, ვითარცა-იგი
ჰყავთ მკუდართა მათ თანა
და ჩემ თანა.
და მოგაგენ თქუენ უფალმან
სიკეთისა მაგის წილ და პოვეთ თქუენ
განსუენებაჲ სახლსა შინა ქმრისა თჳსისასა.
და ამბორს-უყო მათ და უჯმნიდა
და აღიმაღლეს ჴმაჲ მათი და ტიროდეს
და ჰრქუეს მას: არა ეგრე, არამედ შენ
თანა მოვიდეთ ერისა შენისა.
და ჰრქუა მათ: ნოომენ, მიიქეცით


1v და /[435] აღ[436] … … …
იქცა და წარვიდა იგი ერისა თჳსისა,
ხოლო რუთ შეუდგა მას.

ჰრქუა ნოომენ რუთს: აჰა ესერა, მიიქცა მოყუასი შენი ერისა თჳსისა და ღმერთთა თჳსთა მიიქეც შენცა მოყუსისა შენისათა … მიუგო მას რუთ და ჰრქუა: ნუ შემემთხუევინ იგი ყოფად, ვითარმცა დაგიტევე შენ და მივიქეც და წარვედ შენგან, არამედ ვიდრე მიხჳდე, დე მივიდე და სადაცა იყოფვოდი, ვიყოფვოდი მე შენ თანა.
ერი შენი, ერი ჩემი და ღმერთი შენი ღმერთი ჩემი არს და სადაცა მოჰკუდე[437]

2r /[438] ეს ცხოვართა მამისა მათისა იოთორისთა მოვიდეს მწყემსნი და წარასხნეს იგინი ჯურღმულისა მისგან. აღდგა მოსე და განარინნა იგინი მწყემსთა მათგან და აღმოუვსო მათ წყალი და ასუა ცხოვარსა მათსა.
შე-რაჲ-ვიდეს იგინი რაგუელისა, მამისა მათისა, ჰრქუა მათ: რაჲსა იწრაფეთ შემოსლვად დღეს?
ხოლო მათ ჰრქუეს: კაცმან ვინმე მეგჳპტელმან განმარინნა ჩუენ მწყემსთაგან და გჳვსო ჩუენ წყალი და ასუა ცხოვართა ჩუენთა.
ხოლო მან ჰრქუა ასულთა[439] /[440]

2v / … … … … … …
მისი და ორნი ძენი მისნი და სახელი კაცისაჲ მის ელიმელექ და სახელი ცოლისა მისისაჲ - ნოემინ, და სახელი ორთა მათ ძეთა მისთაჲ - მაალონ და ქელეონ, ევფრათელნი ბეთლემით ჰურიასტანისაჲთ.
და წარვიდეს ქუეყანასა მას მოაბისასა და იყოფვოდეს მუნ. და მოკუდა ელიმელიქ, ქმარი იგი ნოომინისი და დაშთა იგი და ორნი ძენი მისნი - მაალონ და ქელეონ. და მოიყვანნეს ძეთა მისთა თავისა მათისა ცოლნი მოაბელნი, სახელი ერთისაჲ მის-ურიფა[441] … … …

Q 209



რაობა:	დოგმატიკური კრებული
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	34,5x27,5;
Content:	Dogmatic collection
Date:	X c.
Number of folia:	2 folios
Script:	Asomtavruli
Size:	34,5x27,5;

[435] პირველი სტრიქონი მოჭრილია.
[436] ქვედა კიდეზე სომხური წარწერაა.
[437] ქვედა კიდეზე სომხური წარწერაა.
[438] ზედა სტრიქონი წაჭრილია (4r გვ. იკითხება).
[439] 2r-ს ქვედა კიდეზე სომხური წარწერაა.
[440] 2v-ს ზედა სტრიქონი წაჭრილია.
[441] 2v-ს ქვემო და მარჯვენა კიდეზე მინაწერებია სომხურ ენაზე.

ტექსტი

1r / ქალწულისა მითდა იშვა მისგან ძჱ ღმრთისაჲ. ძისაგან პირველი იგი კაცი დაძუელებული განახლდა და განიწმიდნა ნათსავი კაცთაჲ.

რამეთუ ხატსა მას უხილავსა ღვთაებისასა კაცობრივისაჲ მის ბუნებისა უშუერებაჲ არა საძაგელ-უჩნდა, არამედ შობისა მისთჳს ყოველივე თავს-იდვა შეხუევაჲ და უპატიოებაჲ ჩუენისა ამის ბუნებისაჲ და განწმიდა ნათესავი კაცთაჲ ბუნებისაჲ მის და მბადჳდეს მან ღთაებისაგან მხოლოდ მშობელი სახედ კაცისა ჴორცთა წმიდისაგან ქალწულისა.

და აღიზარდა მსგავსად, ვითარცა არს ბუნებაჲ კაცთაჲ, მსგავსად ხმისა მისებრ მთავარანგელოზისა ძისათაჲ ძრწიან ანგელოზნი და ცანი და ქუეყანაჲ და ყოველნი დაბადებული დამბადებელისა თჳსისაგან.

დაიჴსნების კერპთმსახურებაჲ მოსლვითა მისითა და განნათლდეს სოფელი (მეორე სვეტი) ბნელისაგან.

თქმული კელესტინე არქიებისკოპოსისაჲ ჰრომისაჲ აღდგომისათჳს ქრისტესისა. - რამეთუ ღმრთისა ბუნებაჲ ძლიერებითა მით აღდგომისაჲთა გამოჩნდების, ხოლო სიკუდილი ბუნებისაგან კაცობრივისა, რომელი აქუნდა უფალსა ღმერთსა იესუ ქრისტესა. ამისთჳს ივნო ჴორცითა და ამას ორსა ბუნებასა აღვიარებთ.

თქმული აეტოს ეპისკოპოსისაჲ ალექსანდრიელისაჲ. - რამეთუ ქრისტესთჳს მაცხოვრისა ჩუენისა ორი ბუნებაჲ გჳცნობიეს და მას აღვიარებთ.

ეპისტოლე ათანასი არქიეპისკოპოსისაჲ ალექსანდრიელისაჲ ეპიკტიტონისა მიმართ. - რომელი ქალწულისაგან იშვა და სჳიმეონ მკლავთა ზედა მიიქუა და შემდგომად ჯუარცუმისა და აღდგომისა თომაჲსგან წყლულებაჲ სამშჭუალთაჲ განეხილა, ამისთჳს ყოველნი ორსა მას ბუნებასა ღვთაებისა და კაცებისასა აღვიარებთ.

1v

თქმული ამბროსე ეპისკოპოსისაჲ მედოლიანელისა. - თქუა უფალმან, ვითრმედ დაჰჴსენით ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვჰმართო თქუა, ვითარმედ: „დამჴსენით მე და მესამესა დღესა აღვდგე„, არამედ დაჰჴნეს უფალი ბუბებასა მას კაცობრივსა და განაახლებს, ხოლო თჳსი იგი ტაძარი ღმრთეებისა მისისაჲ არასადა დაჰჴსნდების.

არამედ კაცთმოყუარებითა თჳსითა არა განიშორა ბუნებაჲ იგი კაცობრივი და არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ, ვნებული ჴორცთა მათგან კაცობრივთა, ხოლო ღმრთეებაჲ მისი უვნებელ არს და გამოუთქუმელ ძესათვს ირტყჳს, ვითარმედ: „მე ვარ პირველი და მეორჱ და არა შვიცვალო.

პირველი ღმრთეებითა, ხოლო მეორჱ კაცებითა, რომლისაგან უჩუენა მოწაფეთა წყლულებაჲ იგი გუერდისაჲ და ჭამა მათანა და პირველად აღდგომაჲ ბუნებუსაჲ მის ჩუენისაჲ აჩუენა.

(მეორე სვეტი) რაჲთა სიმტკიცჱ იგი ღმრთეებისაჲ უკუდავად და უქცეველად ეგოს. და ამას ორსა ბუნებასა ღმრთეებისა და კაცებისასა ვწამებთ.

თქმული წმიდისა აგჳსტინე არქეეპისკოპოსისაჲ ჴორცითა მოსლვისათჳს მეორედ მაცხოვრისა ჩუენისა. - ნუსადა აცილობა მას, ვითრმედ, ვითარ ანუ ვინაჲ მოვიდეს ქრისტჱ მოჴსენებულად შევერაცხენ და ჭეშმარიტად გეპყარნ სარწმუნოებაჲ იესუ ქრისტეს მიმართ, ვითარმედ აღდგა იგი მკუდრეთით და აღმაღლდა იგი ზეცად და ზის მარჯუენით მამისა.

და არათუ სიტყჳთ მოვიდეს, არამედ სადაცა იგი ამაღლდა, მასვე მთასა ზედა გარდამოჴდეს განშჯად და მკუდართა ხოლო ესრე იესუს მოსლვად იგი მისი, რამეთუ ანგელოზნი ღაღადებდენ და წამებდენ ჴმითა საშინელითა ჩემისა და გამოჩნდეს ზეცით მითვე ხატითა ჴორციელებისაჲთა, რომელითაცა ივნო.

რამეთუ მათ კაცობრივთა უჯრწნე(2r)ლისად შემოსილ იყოს და მით გამოჩნდების სიყუარული მისი ჩუენდა მომართ, ვითარმედ არა განიშორებს ბუნებასა მას კაცობრივსა.

თქმული წმიდისა ამბროსისი განკაცებისათჳს მაცხოვრისა და წვალებისათჳს აპოლინარეანთათჳს. - ვიდრე ამათ ვამხილებდით, სხუ ღუარძლი აღმოსცენდა, რომელნი იტყჳან, ვითარმედ ჴორცნი უფლისანი და ღმრთეებაერთისა ბუნებისაგნ არსო, რომელმან ჯოჯოხეთმან აღმოიბოყინა, ანუ ვითარ იკადრეს გმობად ისი, ვითარ ვხედავ ვითარმედ უძჳრეს არიან ისინი არიანეზთა მათ და მათგან განძლიერდების ურჩულოებად ესე.

არამედ, რომელმან არა აღიაროს ორივე ბუნებაჲ ამას ზედა აღსრულებად არს სიტყუაჲ იგი მაცხოვრისაჲ, ვითარმედ არა გიცნი, ვინ ხართო.

თქმული იოვანე არქეეპისკოპოსისაჲ კოსტანინე პოლისაჲ ამაღლებუსათჳს უფლისა. - ვითარცა ორნი ნუ ვინმე კაცნი ილალებიედ და აღდგის მათ შორის (მეორე სვეტი) სხუაჲ შუვამდგომელი ესრეთვე შუვამდგომელ იქმნა ჩუენთჳს უფალი მამისა მიმართ.

და ორითა ამით ბუნებითა თავს ისხნა ცოდვანი ჩუენი და იგი არს მეოხი ჩუენი მამისა მიმართ და მისთჳს ორსავე ამას ბუნებასა გამოაჩინებს.

თქმული წმიდისა კჳრილე მთავარეპისკოპოსისაჲ ალექსანდრელისაჲ. - რამეთუ კაცად სახელ-ედების ქრისტესა ბუნებისა მისგან კაცობრივისა, არამედ ღმერთი იყო ღმრთისაგან მამისა სიტყუად, ხოლო ჴორცთა მესამითა მით ქმნა მსგავს ჩუენდა და იქცეოდა ქუეყანასა ზედა და შეზავებულ იყო იგი ჩუენდამო, რამეთუ აქუნდა მას სრულებად კაცობრივი, მსგავსად სიტყჳსა მისისა და რომელთა ჰრწამს იგი აღიარებენ ორსავე ამას ბუნებასა მისსა.

ალექსანდრიელისაჲ ეპისტოლე ტიმოთე მთავარეპისკოპოსიუსაჲ ღმრთის მსახურისა მიმართ მეფისა ლეონტისა. - მივსწერ შენდა და ამას გაუწყებ, რაჲთა არა ვითარცა ჴორცთ(2v)მოყუარე დავისაჯო, არამედ რაჲთა განვერე ცეცხლისა მისგან ამისთჳს მაუწყებ შენსა მაგას ღ… მსახურებისა მეფობასა რათა ყოველივე გამოიკულეო.

რამეთუ სიყრმითგან ღმრთისმსახურებისა მეუფებაჲ გიპყრიეს და მართლმადიდებლობაჲ ქრისტეანებისაჲ, რამეთუ ქრისტემან ჴორცითა თჳსითა იხილა ვნებად სიკუდილისაჲ, ხოლო არაგანი ჰრწნეს სიკუდილისაგან ჴორცთანი მისნი, არამედ მითვე ჴორცითა აღდგა ჭეშმარიტად და რაჲთა შეუდგეთ დაუბრკოლებელად მოცემულსა და სწავლასა მოციქულთასა.

და მას მოჰსენებულთა კეთილად მოძღუართა ჩუენთასა მადლითა მაცხოვრისა ჩუენისაჲთა აღვიარებთ ერთსა სარწმუნოებასა, რაჲთა სახელითა იესუ ქრისტესითა, რომელი განკაცნა და ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვიტარმედ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოვე;ლნი წარმავალნი და ნათელსცემდეთ სახელითა მამისათა (მეორე სვეტი) და ძისათა და სულისა წმიდისათა„.

და ესრჱთ გვასწავებს და ვიცით სიმტკიცჱ და ჭეშმარიტებაჲ სამებისა წმიდისაჲ და ესრეთვე შეკრებულთა ნიკეას წმიდათა მათ მამათა ჩუენთა განაჩინეს განკაცებაჲ იგი უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ესრეთვეჩუენცა გჳპყრიეს, ხოლო ვივლტი მომეძაგების აპოლინარიოსისი და ნისტორისი.


ვიცი და მრწამს, ვითარმედ წარსაწყმედელ არს მოძღურებაჲ იგი მათი, რამეთუ შესცთეს და ვერ ცნეს განკაცებად იგი მაცხოვრებაჲ.

ხოლო ვინ გგონებიეს და აღვიარებთ მხოლოდ შობილსა ძესა ღმრთეებისასა და თანაარსსა მამისა განკაცებულსა და ჴორცშესხმულსა, ჯუარცუმულსა და აღდგომილსა, რომელი მოსლვად არს, განშჯად ცხოველთა და მკუდართა.

ხოლო აწ ვევედრები შენსა მაგას ღმრთისმოყუარებასა, რაჲთა არა ქუეყანისა ესე, ხოლო მეფობაჲ დაიპყრა, არამედ ისმინე ჩემი, რაჲთა ზეცისასა გამო...

Q 210

რაობა:	დაზიანებული ფრაგმენტი
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	13,8x23
Content:	Damaged Fragment
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	13,8x23




ტექსტი

შენიშვნა: ტექსტი არ იკითხება.

Q 211

რაობა:	მათეს თავის სახარება
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	16,8x20,8
Content:	Gospel of Mathew
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	16,8x20,8



ტექსტი

მათეს სახარება, თავი 23, 37-46

1r

წყურიელი და გასუთ შენ. ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ შენ ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ. ოდეს გიხილეთ შენ უძლურებასა შინა ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა.

და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენსა (მეორე სვეტი) ჰყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.

მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და მსახურთა მისთა.

რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და (1v) არა მასუთ მე; უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე.


შიშუელ ვიყავ და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილჱს, და არა მოხუედით ჩემდა.

მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ (მეორე სვეტი) უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ.

მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყჳ თქუენ: რაოდენსა არა უყავთ ერთსა მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ.

და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნჱსა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნჱსა.

Q 212



რაობა:	სწავლანი
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	13x17,8
Content:	Sermons
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	13x17,8


ტექსტი

1r / …თ მამისაგან, ვითარმედ ესე არს ძჱ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნოვიყავ, მაგისი ისმინეთ.

აწ საყუარელთა ჯერ-არს ჩუენდა, რაჲთა ვცნათ და გულისხმა-ვყოთ სახიერებად იგი და კაცთმოყუარებაჲ ღმერთად, რამეთუ ესრჱთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი, ვითარმედ ძჱცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მონათა მათ უკეთურთათჳს მოსული გულთა საყუარელი იგი.

1v / … უფროჲსი მისა იყო და ყოველსა ძჱთ[ა] მისასა უფროჲს კაცთა იგი აღმასრულებელ იყო. და ვინმეცა იპოვა უფროჲს იოვანჱსა, რომელი უდაბნოსა გარე იყოფოდა და მწუჱრვალსა მდელოჲსასა ჭამდა და არცაღა მიხედვად ამისი და სამოსელი იოვანჱსსა ესწორების, რამეთუ უჩუჩო არს, რამეთუ ამისი ხატი შუენიერ და ფეროვან, ხოლო იოვანჱსი ფერი- ყჳთელ.

Q 213



რაობა:	მარკოზის თავის სახარება (პალიმფსესტი)
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	14,2x11,5
Content:	Gospel of Mark
Date:	X c.
Number of folia:	2 folios
Script:	Asomtavruli
Size:	I f. 14,2x11,5; II f. 13,5x11,7

ტექსტი

1r */

მარკ. 14, 72

იწყო ტირილად.

და მუნთქუესვე ხვალისაგან ძრახვა-ყვეს მღდელთმოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოვლისა კრებულისა.

და შეკრეს იესუ, წარიყვანეს და მისცეს …

1v

მარკ.

და იგი არა სმიოდა სახე მერმე ეტყოდა მას: არა სმიოდენსა ესე იტყო[დ]იან: შენ …არაჲ მიუგო და საკურველებამდე …ტესა.

ხოლო დღესასწაულად მიოტევეს ერთი პყრობილიცა [მი]თხოიან

2r

მარკ.8

ვითარცა ყვეს, მათა მიმართ, პილატე მიუგო და ჰრქუა მას: გნებავს, მიგიტეო თქუენ მეოფეჱ ჰორიათაჲ. ოწყოდა, რამეთუ შურით მიეცა მღდელთმოძღუართა.

ხოლო მღდელთმოძღუართა მათ, რომელთა მათ აღძრეს ერი იგი, რაჲთა ბარაბა მიუტეოს მათ.

2v


15, 14

ხ… იყვნეს მღვდელთმოძღუართაგან და იტყოდეს: ჯუარს. აცუ ეგე და პილატე ეტყოდა მათ: რაჲ ეგოდენი ძუირი ოქმნიეს და იგინი ოჴმობდეს: ჯუარს-აცუ ეგე.

ხოლო პილატე იზრახა.

Q 214

რაობა:	მარკოზის თავის სახარება
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	8,5x13,5
Content:	Gospel of Mark
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	8,5x13,5



ტექსტი

1r/[442] თჳს [არამედ უფალ არს]

ძჱ კაცისაჲ შაბათისათჳს.

მარკ. 3,1

* **შენიშვნა:** არ მიჰყვება არცერთ რედაქციას.

[442] I სტრიქონი წაჭრილია.

და მერმე შევიდა შესაკრებელსა და იყო მუნ[443] კაცი, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა. და უმზირდეს მას, უკუეთუ შაბათსა განკურნოს იგი, რაჲთა შეასმინონ იგი. და მას ჟამსა ჰრქუა იესუ კაცსა მას, რომელსა ჴელი განჴმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის!

და ჰრქუა მათ იესუ: ჯერ-არსა[444] … … …

არ გადადის

მათე 9, 11-13

1v/ [მეზ]უერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს?

ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რაჲსა მეზუერეთა და ცოდვილთა თანა შჭამთ და სუამთ?

და ესმა ესე იესუს და ჰრქუა მათ: არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდ[445] [ვილთა]… … … [სი]ნან[ულა]დ

მარკ. 4, 21-22

2r / ღიან ოცდაათეული და სამოცეული[446] და ასეული[447].

და ეტყოდა მათ: ნუ სანთელი მოიღიან და ჴმი[რსა] ქუჩშე შედგიან, ანუ ცხედარსა ქუეშე[448] დადგიან? ანუ არა სასანთლ[ესა] ზედა დადგიან?

რამეთუ არა არს დაფარ[ული], რომელი არა გამოცხადნეს, არცა [იყ]ოს[449] …

მარკ. 4-24, 25, 26, 27

2v / ცეს, და რომელსა არა აქუნდეს და რომელ-ღა იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს[450] მას.

და ეტყოდა მათ: ესრეთ არს

სასუფეველი ღმრთისაჲ. ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა და დაიძინის და აღდგის ღამჱ და დღჱ და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არ[ა] [უწყინ][451].

3r / [ვა]მსგავსოთ სასუფეველი ღმრთისაჲ? ანუ რომელი იგავი მივიღოთ მისთჳს?

ვითარცა მდოგჳსა მუარცუალსა (!), რომელი დაეთესის ქუეყანასა, უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა და ოდეს დაეთესის, აღმოჴდის იგი და იქმნის[452] უფროჲს

ყოველთა მხალთა და მოიხ[უნი]ს რტონი დიდ-დიდნ[ი][453].

---

[443] მონ.

[444] მოხეულია.

[445] ბოლო სტრიქონი (თუ სტრიქონები) მოხეულია.

[446] სამოცეული.

[447] ასეოლი.

[448] ასეა.

[449] ქვედა კიდე მოხეულია.

[450] მო-ვე-იღეს.

[451] ქვედა კიდე ჩამოჭრილია.

[452] იქმნი.

[453] 3r-ს ქვედა კიდე ჩამოჭრილია.

3v / და ესენი არიან კლდოვანსა მას დათესულნი[454], რომელთა-იგი რაჟამს ისმინიან სიტყუაჲ იგი, მეყსეულად[455] სიხარულით მიიღიან. და არა უბნ[456] ძირი მათ შორის, აეამედ საწუთრო არიედ; და რაჟამს მოიწიის ჭირი, გინა დევნულებაჲ სიტყჳსა მისთჳს, მეყსეულად[457] დაჰბრ[კო]ლდიან.

[და] [რომე]ლნი ეკალთა[458].

არეულია გვერდები

ლუკა -35

4r /[459] … სიძე … [თანა] არს.

[არამედ] მოვლეან დღენი, ოდეს აღმაღლდეს მათგან სიძჱ იგი, მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა.

მარკ. 2-21, 23

არავინ სადგმელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა; უკუეთუ არა, მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მან სიკეთისაჲ მის ძუელისაჲ მის[460]

მარკ. 2-23, 24, 25


4v / [წ]არჰვიდოდა შა[ბათ]სა ყანებისა[გან] [და] [მაწა]ფეთა მისთა იწ[ყეს]

[გ]ზასა სლვად და [მუ]სრვად თავსა ჴუვილისასა.

ხოლო ფარისეველნი იგი ეტყოდეს: იხილე, რასა ზმენ მოწაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს ყოფად!

ხოლო იესუ ჰრქუა მათ: არასადა აღმოგიკითხავსა, [რა]ჲ - ი[გი] [ყო] [დავით][461] …

Q 215



რაობა:	თვენი
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	19,6x14,8
Content:	Menaion
Date:	XI c.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	19,6x14,8

[454] დათესოლნი.
[455] მეყსეოლად.
[456] ობნ.
[457] მეყსეოლად.
[458] 3v-ს ქვედა კიდე ჩამოჭრილია.
[459] 4r-ს ზედა კიდე ჩამოჭრილია.
[460] ჩამოჭრილია.
[461] ჩამოჭრილია.

ტექსტი

1r

უფლისასა ტკბილისა შეწე… სახ…უზეშთაეს არს.

მესმასა ძლ. ქრიისტე

… სასწაულთა საქმედ.

სჳმონ უ… გულად ნათელ-იღო. ხოლო უკუეთურებაჲ რაჟამს გიხილეს შენ სჲმარაჲსა მკჳდრთა, საკჳრველებათა დიდითა მოქმედად მიჲღეს მათ სასწაული იგი მეცნიერებაჲ საღმრთოჲთა სწავლითა შენითა … წარვედ, გეტყოდა რა ანგელოზი ღმრთისაჲ განუმზადე გზაჲ გონიერსა საჭურველსა და უთხარ ქრისტეს განკაცებისა იგი საჲდუ.

გიხილა რაჲ ღირსმან კანდაკე ნეტარო, ვითარ გულისხმა უყო … ტყთა ითხოვა შენ მიერ მოღებაჲ ნათლისღებისაჲ სიმართ… მით

ჭეშმარიტად დიდ არს.

სიხარულითა

ღამითგანსა სულითა

არაჲ შესძრწუნდი უღრთოთაგან, არამედ ჯუარსა კრა …სა ხჳდოდე, მოციქულო, და მოაქცევდი

მათ უფლისა მიმართ … სიტყჳთა მით მადლისაჲთა [ჰშევ] მოცემულსა.

ვითარცა კრავი მიჲგუარა დაკლვად ევმანუელ, იტყვს დიდებით ესაია, ხოლო არს იგი კანდაკთე ვერ გულისხმაჰყოფდა, არამედ შენ მიერ ისწავა დიდო…

ღმრთისმეტყუელად მოწაფედ ერთად შუდთა მათ გამორჩეულ დიაკონთაგან გიცი შენ … და წმიდისა ეკლესიაჲსა საფარველად და ბნელსა მყოფთა განმანათლებლად. რომელნი აღგიარე ღაღაყავს

სოფლისა ზღუაჲ.

წყლითა მით სულისაჲთა აღავსე, ვითარ მდინარე ედემით გამოსრული და პირი საწუთოჲსაჲ მოჰრწყე … აწ აღიღე სწავლითა მით სიმართლითა და აღავსენ ნათლითა. ამინ.

აღაღე პირი შენი და აღავსე, ნეტარო, სულთა სიბრძნისაჲთა და განაპე მუცელი ვეშაპისაჲ და შთანთქმულნი მის მიერ აღმოიყვანენ და ღმერთსა მიუპყრენ.

1v 2r, 2v * … … …

ადიდებდითსა

ძლ. ღმერთი შეუძლე

ჰ … … უფლისა …

… … …

უქადაგე კაცთა არს …

დიდებულო და იშუჱბ

ნათელსა მას შინა

ქრისტესა დიდებულ …

რომელმან ნათელმან მზისამან მო…

სჯული ესე

და ბრწყინვალებაჲ იგი სახარებისაჲ

* 1v 2r, 2v არ იკითხება

მოჰფინე შენ … ნათესავსა ზედა,
ხოლო …
ქალაქი ნათლითა
მეცნიერებისა ღმრთისაჲთა
აღავსე …

ჯუარცუმაჲ და სიკუდილი და აღდგომაჲ მხსნელისა
იქადაგე …

2r/
……
……
ღამითგანსა
ძლ. შენ …
შენ … …
… … …
კურთხეულარსა
ძლ. ბ …
ზღუად სათნოებათა იპოე და …
ქრისტესითა და მას მხ …
… … …
უფალო …
ცეცხლითა მარხვისაჲთა ვითარცა ბრძმედსა შინა
ს… …
ვითარცა ოქროჲ და ღაღადებდი …
კურთხეულ ხარ შენ, უფალო და …

იტჳრთე ძე საყდარსა … მამისა თანა მჯდომარე …

2v/ … … კაცებაჲ უფალმან მამათა ჩ …
… … …
ბრწყინვიდა … …
… … …
შუჱნიერებაჲ …
… შენ
… ამაოებაჲ ამის სწორ… და …
კაცმან შეცვალებითა მით შენთა … …
… შენ … ქალწულო
უგალობენ გუნდნი …
… … …
და მამადმთავართა და მოციქულთა
და [მოწამეთა] და ყოველთა მართალთა.

ადიდებდითსა
ძლ ლომისა კიდური

გსუროდ … ქრისტესა… და დამბადებლისა სიკეთისაჲ.
და მისთჳს ჯუარს-აცუ თავი შენი
სოფ … და საქმეთა და … ღმერთ იქმენ შენ ხ…
… თუალთშეუდგამსა
… … …
ჴორცთაჲ … ნეტარო, და შრომითა მით
… ქმნილ აღმაღლდი ზეცისა [ტაძრად].
… უკუდავსა ქრისტეს დიდებაჲ
ღირსად იხილე.

2v/ ა … პატივისმცემელთა შენთა,
ნეტარო წყალობაჲ გჳთხოე,
… … ქრისტესა ღმრთისა, რაჲთა აღმსარებელნი
[ჴსენებისა] შენისა ღირს-მყჳნეს ხილვად გამოუთქუ
მელსა მას [დიდებასა].

იხარებს გული ჩემი, ღირსო,
რაჟამს-იგი გიგალობდე შენ,
რამეთუ შენ ხარ [ნათელი] ჩემი,
შემწე და ნუგეშინისმცემელ
სულისა ამის ჩემისაჲ
და შენ მარადის ღირსად გადიდებთ.
სარწმუნოებით აღ.

აქებდითსა დ.
ძლ. რამეთუ ღმერთი … ზეცით
სურვილმან მან ღმრთისამან
სული შენი აღატყინა,
ღირსო [პელაგია] და მადლმან სულისამან
განგანათლა და გიჴსნა შენ მტერისაგან.

ეჰა, [სახიერებაჲ] შენ მიერ, წმიდა მოწყალეო
ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რამეთუ რომელნი შენდა მოიქცენ,
კაცთმოყუარებით შეაწყნარებდით.

3r/*
3v / … … … …
… ქრისტესა …
ყოველნი საქმენი უფლისა.

ადიდებდითსა
ძლ. ღმერთსა …
ასჩნდი სოფელსა შინა …ის სახედ მაოტებელად

* სრულიად არ იკითხება

ბნელსა უმეცრებისასა იაკობ და მას შინა
მყოფნი აღმოიყვანნე ნათლად ძალითა ღმრთეებისაჲთა.
რომელსა ღირს იქმნა მსახურებად მისა, ნეტარო.

ქარისა მის სასტიკისა ქადაგებასა ღირს იქმნ
ცეცხლისა ენითა, ღირსო იაკობ, და მისგან გ
ანმსდიდრდი და დასწუ[ხ]ნ ეკ … სახედ
საცთურებისა ღუარძლნი და განაქარვე შენ არამური
ბნელისა ნათლითა ქრისტეს მოსლვისაჲთა.
ქრისტესა ღმერთსა, რომელსა ვადიდებთ.


3v / ელვარებით სულისაჲთა ქრისტეს გამოჩინებაჲ
განითქუა შენ მიერ ყოველსა სოფელსა
და განანა … შენ კაცთა ვნებანი
ცნობად ღმრთეებისა მისა და წარუდგნენ
დღეს … მსხუერპლად სათნოდ.

ბაგითა მაგით სულიერითა მოჰყინე შენ
ცეცხლი სიყუარულისაჲ უმანკოთა გულსა
და განუ[ხუენ] ვნებანი მათნი ცნობად, თუალით
უხილავო, მათ კეთილთა სიმ… ქრისტეს
ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელსა ვადიდებთ.
ღრუბლად სულმცირედ.

ოკდონბერსა. ი.
წმიდათა მოწამეთა ემლამპისი და ეფლამპიაჲსი.
უფალო ღაღადყავსა ჴმაჲ დ.
ძლ. მჴნეო შორის მოწამეთა
განჰბრწყინდით თქუენ მადლითა მით
სულისა ყოვლადწმიდისა და სოფლისა მ…სა მას
ახოვნად ჰბრძოდეთ და მძლე ექმნენით თქუენ ძალითა
ქრისტეს მეუფისათა და მოიღეთ ღმრთისაგან ძლევისაჲ
თქუენისაჲ გჯრგჯნი, რომელსა ევედრენით ჴსნად
ჩუენდა ყოვლისაგან ბოროტისა და რომელი სარწმუნოებით
ჴსენებასა თქუენსა ვადიდებთ.
ცეცხლითა იტანჯენით თქუენ და მახჯლითა,
ჰ მჴნენო, და მიუდრეკელად ეგენით ღმრთისაგან
და უფროჲსად აღეტყუნენით, ვითარცა რაჲ
ლამპარნი და განანათენით თქუენ გულნი.

Q 217

რაობა:	დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	17,8x13,9
Content:	Dogmatic-polemical composition
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	17,8x13,9



ტექსტი

პავლეს ეპისტოლე კორინთელთა მიმართ 1, თავი 10, 1-21 (ბოლო სიტყვა 9, 27)

1r

და მე გამოუცთელ ვიყო.

არა მნებავს უმეცრებაჲ თქუენი, ძმანო, რამეთუ მამანი ჩუენნი ყოველნი ღრუბელსა ქუეშე იყვნეს და ყოველნი ზღუასა განჴდეს. და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღჳთა და ყოველთა იგივე საზრდელ სულიერი ჭამეს და ყოველთა იგივე საზრდელ სასმისით სულიერი სუეს; რამეთუ სუმიდეს იგინი სულიერისა მისგან კლდისა, რომელიცა შეუდგა, ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე.

არამედ არა მრავალნი მათგანნი სათნო-იყვნა ღმერთმან, რამეთუ დაეცნეს იგინი უდაბნოსა ზედა და ესენი სახედ ჩუენდა იქმნეს, რაჲთა არა ვიყვნეთ გულის მთქუმელ ბოროტისა, ვითარცა-იგი მათ გული უთქუმიდა. ნუცა კერპთმსახურ იქნებით, ვითარცა-იგი მათგანნი ვინმე, ვითარცა წერილ არს: დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად. ნუცა ვისიძავთ, ვითარცა იგი ვიეთმე მათგანთა ისიძვეს და დაეცნეს ერთსა შინა დღესა ოც და სამი ათასი.

ნუცა განვსცდით უფალსა, ვითარცა იგი ვიეთმე მათგანთა გამოცადეს და გუელთა მიერ წარწყმდეს.

ნუცა ვდრტჳნავთ, ვითარცა იგი მათგანნი ვინმე დრტჳნვიდეს და წარწყმდეს მომსრველისა მისგან. ესე ყოველნი სახენი შეემთხუეოდეს მათ; ხოლო დაიწერა სამოძღურებელად ჩუენდა, რომელთა ზედა აღ(1v)სასრული ჟამთაჲ მოიწია.

ამიერითგან, რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალენ, ნუუკუე დაეცეს. განსაცდელ თქუენ არა შეგემთხჳა, გარნა კაცობრივ, ხოლო სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა გიტევნეს თქუენ განცდად უფროჲს ძალისა თქუენისა, არამედ ყოს განსაცდელსა თანა გამოყვანებაჲცა, რაჲთა შეუძლოთ დათმენად.

აწ უკუე, საყუარელნო ჩემნო, ივლტოდეთ კერპთ-მსახურებისაგან. ვითარცა ბრძენთა გეტყჳ თქუენ: „განაღა იკითხავთ, რომელსა ესე გეტყჳ თქუენ?: სასუმელ ესე კურთხევისაჲ, რომელ ვაკურთხევთ, არა-მე ზიარებაჲ სისხლთა ქრისტესთაჲ არსა?

პურსა ამას, რომელსა განვსტეხთ, არა-მე ზიარებაჲ ჴორცთა ქრისტესთაჲ არ-

სა? [რამეთუ ერთ პურ და ერთ] ჰორც ჩუენ მრავალნი ესე ვართ, რამეთუ ყოველთა ერთისა მისგან პურისა მოგუაქუს. იხილეთ-ღა ისრაჱლ ჰორციელად: ანუ არა რომელნი-იგი ჭამენ შესაწირავთა მათ, ზიარ საკურთხეველისა მის არიანა?

რასა უკუე ვიტყჳ ამას, ვითარმედ კერპი იგი რაჲ არს, ანუ ნაგები რაჲ არს? არამედ ვითარმედ, რომელსა იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უგებენ და არა ღმერთსა; ხოლო მე არა მნებავს თქუენი ეშმაკთა ზიარებაჲ.

ვერ ჴელ-გეწიფების სასუმელი უფლისაჲ სუმად და სასუმელ ეშმაკთაჲ, ვერ ჴელ-გეწიფების ტაბლასა უფლისასა ზიარებაჲ და ტაბლასა ეშმაკთასა..."

2r

პავლეს ეპისტოლე კორინთელთა მიმართ 1, თავი 14, 36-40; 15, 1-19

ანუ თქუენ მიერ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ გამოვიდა? ანუ თქუენდამდე ხოლო მიიწია? უკუეთუ ვისმე ეგონოს თავი თჳსი წანაწარმეტყუელ გინა სულიერ, უწყოდენ, რომელსა ესე მივსწერ თქუენდა, რამეთუ უფლისანი არიან მცნებანი. ხოლო უკუეთუ ვინმე უმეცარ არს, უმეცარ იყავნ.

ვინაჲცა, ძმანო ჩემნო, გშურდინ წანაწარმეტყუელებად და სიტყუად ენათა ნუ დაეყენებით. ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ.

ხოლო გაუწყებთ თქუენ, ძმანო, სახარებასა მას, რომელი გახარე თქუენ, რომელიცა მიგიღებიეს, რომელსაცა ზედა სდგათ. რომლითაცა სცხონდებით, რომელი სიტყუაჲ გახარე თქუენ, უკუეთუ გაჴსოვს, გარნა თუ ცუდად რაჲმე გრწმენა. რამეთუ მიგეც თქუენ [პირველად, რომელიცა იგი მოვიღე, რამეთუ ქრისტე მოკუდა] ცოდვათა ჩუენთათჳს, ვითარცა წერილ არს და „რამეთუ დაეფლა და რამეთუ აღდგა მესამესა დღესა, ვითარცა წერილ არს და რამეთუ ეჩუენა კეფას და მერმე ათორთმეტთა მათ და მერმე ეჩუენა უმრავლეს ხუთასისა ძმათა ერთ-გზის, რომელთაგანნი უმრავლესნი ცოცხალ არიან აქამომდე და რომელთამე შეისუენეს, მერმე ეჩუენა იაკობს და მერმე მოციქულთა ყოველთა.

უკუანაჲსკნელ ყოველთასა, ვითარცა ნარჩევსა, მეჩუენა მეცა. რამეთუ მე ვარ ნარჩევი მოციქულთაჲ, რომელი არა ვარ ღირს წოდებად მოციქულად, რამეთუ ვსდევნიდ ეკლესიათა ღრმთისათა.

2v

ხოლო მადლითა ღმრთისაჲთა ვარ, რაჲ იგი ვარ და მადლი იგი მისი, რომელი ჩემდა მომართ იყო, არა ცუდად რაჲ იყო, არამედ უმეტეს მათ ყოველთასა დავშუერ. არა მე, არამედ მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი იყო ჩემ თანა. აწ უკუე გინა თუ მე, გინა თუ იგინი ესრეთ ვქადაგებთ, და ესრეთ გრწმენა თქუენ.


ხოლო უკუეთუ ქრისტე იქადაგების, ვითარმედ მკუდრეთით აღდგომილ არს, ვითარ იტყჳან ვინმე თქუენ შორის, ვითარმედ აღდგომაჲ მკუდართაჲ არა არს, უკუეთუ აღდგომაჲ მკუდართაჲ არა არს, არცა ქრისტე აღდგომილ არს. უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაჲ ესე ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი. ვიპოვენით უკუე ცრუ მოწამეცა ღმრთისა, რამეთუ ვწამებთ ღმრთისათჳს, ვითარმედ აღადგინა ქრისტე, რომელი არა აღადგინა, უკუეთუ ნანდჳლვე მკუდარნი არა აღდგებიან, არცა ქრისტე აღდგომილ არს და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი; ცოდ-

ვათავე სამელა შინა თქუენთა ხართ აქამომდე და შესუენებულნიცა იგი ქრისტეს მიერ წარ-ვე-სამე-წყმდენ.

უკუეთუ ამას ხოლო ცხორებასა ვართ მოსავ ქრისტესა, უსაწყალობელეს ყოველთა კაცთასა ვართ.

Q 218

რაობა:	მარკოზის თავის სახარება
თარიღი:	XII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	9,3x14,9
Content:	Gospel of Mark
Date:	XII-XIV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	9,3x14,9



ტექსტი

1r */ მარკოზის სახარება, 15, 1-6

...მათ მოხუცებულთა თანა და მწიგნობართა და ყოველმან კრებულმან. და შეკრეს იესუ და წარიყვანეს და მისცეს იგი პილატეს. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: „შენ ხარა მეუფე ჰურიათა? ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ იტყჳ. და შეასმენდეს მას მღდელთმოძღუარნი იგი ფრიად. ხოლო პილატე კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: „არარას მიუგებაჲ? აჰა, რაოდენსა შეგწამებენ შენ!" ხოლო იესუ არარაჲ მიუგო, ვიდრემდის უკჳრდაცა პილატეს. და რაჲ დღესასწაულ მიუტევის მათ ...

1v / მათე 27, 43-49 [გამოტოვებულია 44 მუხლი სრულად,]

...ძე ღმრთისაჲ ვარი მე. „ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოვლი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმა-ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: „ილი, ილი, ლიმა საბაქთანი ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. რაჲსათჳს დამიტევე მე?" და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს, ვითარმედ: „ელიას უჴმობს ესე". და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა მას. ხოლო სხუანი იტყოდეს: „აცადეთ..."

Q 219

რაობა:	დაზიანებული ფრაგმენტი
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20,8x15,2
Content:	Damaged Fragment
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	20,8x15,2




* მინაწერი სომხურად.

ტექსტი

ტექსტი გადასულია, არ იკითხება. ჩანს ორი გრაფემა - უა. მეორე გვერდზე განირჩევა რამდენიმე ხაზი კონტურების სახით.

Q 221



რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XIV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20,7x14,8
Content:	Chants
Date:	XIV c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	20,7x14,8

ტექსტი

1r / …დებ და მცველად ესრეთ, რამეთუ წამ… … ვითარცა …დებ და მასვე ე… … …რებ და ვიტყჳ: „უფალი ქრისტე დ… …საზღვარ სარწმუნოებისა გუ҃ქმნა ჩუენ ნიში ესე საუფლოჲ და სასწაული ცნობათა უაღრესითა, რამეთუ ჴელი რაჲ თომაჲსი შეეხო გუ҃რდსა საღმრთოსა, იქმნა საწერელ მწიგნობრისა, ჴელოვანისა ამის მიერ ა… სარწმუნოებაჲ, ვითარცა ჯუარცმული ამის მიერ და ითრივნეს მდიდრად გულნი ქრისტეს მოწაფეთა და მერვე მან…მანი პოვა, რომელსა იგი ეძებდა, დასუა მან უფალმან და მიერითგან და ასუა მას ყოველთა და დაღაცათუ მცირედ ურწმუნო იქმნა იგი, არწმუნა მან ყოველსა ს…არა.

…სა. ზეცანი დაბეჭდულ საფლავით. ნ… …ბაჲ მჯდომარე …გისათვის ღ… ათაჲსა დამალულ მოწაფეთა შენთა და ერთად შკრებილთა კარნი, რაჲ დაჴშულ იყვნეს შეხუ҃დ შორის მათსა მჴსნელ და მხიარულ ჰყვენ იგინი და მიეც მშვიდობაჲ და უჩუ҃ნენ წმიდაჲ და საღმრთოჲ გუ҃რდი შენი და უალად ურწმუნოსა თომას არქუ სიტკბოებითა: „მუვენ თუალნი შენნი და განიხილენ წყალობელნი ჩემნი და ცან და უწყოდე, ჳ, ქადაგ მოვედ მე მხოლოჲ, ვითარცა, რამეთუ რომელმან შენთჳს თავს ვისხენ ვნებანი და …დებდეს. უგალობსა. ჴმაჲ ა. უგალობდეთ …

1v / დღეს არესა საღმრთოსა, ოდეს ქრისტე საფლავით, ვითარცა მზე აღმოჴდა სამისა დღისაჲ მკუდრეთით და სიბნელე ზამთრისაჲ, განჳდა ჩუენგან ცოდვათა ჩუენთაჲ. ამას უგალობდეთ, რამეთუ დიდებულ არს. მეუფესა დღეთასა ნათლითა შემოსილსა დღესა განჩინებულსა თჳთ საუფლოსა მას მსხუერპლად ეკლესიისა პირმშოდ ერისა. სიხარულით ჩუენ აღდგომასა ქრისტესსა უგალობდეთ. ბჭენი სიკუდილისანი საფლავისა ბეჭედნი, მცხარ და მოქლონნი დაგემორჩილნეს შენ, ხოლო რაჟამს აღსდები მშჳდობაჲ მიეც სიყუარულთა მათ შენთა ქრისტე უაღრეს ყოველთა გუნებათა. უგალობდეთ.

გიხაროდენ, რაჲთა დამამტკიცე მე ქრისტე. ძუ҃ლთა მათ წილ ახალნი განხრწნილთა წილ უხრწნილნი ჯუარითა ქრისტე ჰყვენი, განგჳახლენ ცხორებანი და სლვანი ღირსებით გუასწავენ და განგჳწესენ. საფლავით დაბეჭდილით ჴორცითა


მსგავსად წერილთა აღრდეგ ღმრთეებით და კართა ჴშულთა შესლვითა არწმუნე მოწაფეთა აღდგომაჲ შენი ყოვლად ძლიერო.

ნეფსით ვნებანი ჩუენთჳს თავს ისხენ ქრისტე და ხარებად მორწმუნეთა მოწაფენი წარავლინენ, რაჲთა წამონ დიდებული აღდგომაჲ შენი ყოვლად ძლიერო.

განმინათლე განგებაჲ. მისა დიდ არს საჲდ. ნათლისა მიღებითა პირველი გემოჲს ხილვაჲ განკურნა და რაჟამს აღდგა გოლი თაფლისაჲ მიიღო მან და გუცა ჩუენცა და პირველსა მამასა ქრისტემან ღმერთმან სიტკბოებაჲ გამოუთქმელი.

იხარებდ განხილვასა მას შენსა მცორედ კაცთმოყუარე, ამისთჳსცა ურწმუნოსა თომას უჩუᲩ ნე რაჲ გუᲩრდი, შინა უქადაგა სოფელსა მესამისა დღისა აღდგომაჲ შენი ქრისტე.

Q 222



რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	16,3x12
Content:	Chants
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	16,3x12

ტექსტი

1r / … მისა თანა მოსაყდრე პირველ საუკუნეთა, ძე სიმდაბლით …რული ზეცითა ქუეყნად დაბადებული წმიდისა ქალწულისაგან ე… მწყემსთა მათ და განჰკრთეს, რამეთუ იხილეს საკჳრველი თავი და გალობაჲ ზეცისა კრებულთაჲ ქუაბსა მას შინა ნათელი ნათლისაგან მოვლინებული ბეთლემ იშვების ცათა მფლობელი ზეშთა ბუ…ა ქალწულისაგან, ძალნი ცათანი შიშით თაყუანი…მენ და გალობით შეასხმენ წმიდა არს მეუფე მეუფეთა სიტყუაჲ მამისაჲ, წმიდა არს შობაჲ მისი ჴორცითა კაცთა ჴსნისა. წმიდა ხარ შენ მაცხოვარ, შეგჳწყალე ჩუენ!

დღეს იხარებს უბიწოჲ წმიდაჲ ქალწული, მშობელი მეუფისაჲ, მჴსნელისაჲ შობისა უფლისასა მისგან ჴორცითა, რამეთუ მის … მოეცა სიხარული დაბადებულთა, რაჟამს ქალწულმან შვა და ქალწულად ეგო ზეშთა ცნობისა და წყევაჲ ა… ანთაჲ დაჰჴსნა მისგან შობილმან და ქუესკნელს… …ა ჴსნაჲ მიანიჭა.

გ. დღეს ქრისტე იშვების. წ…მაჲ ა. შობისა უფლისასა ბეთლემს ჰურიასტ… … სოფელნიცა რაჲ თჳსი დამბადებელი დაუკჳ… მჴედრობსა ანგელოზთასა იხილეს რაჲ მეუფე მონასა ხ… ქუეყანასა ზედა განუშორებლად მამისაგან დიდებაჲ, რომელი განჴორციელებაჲ ნათესავსა კაცთაჲსა.

1v / …უნი ვარსკულავისათანამოგზაურობენ, რამეთუ ჩუენთვის …რმაჲ ახალი, პირველსაუკუნეთა ღ~ი.

…ეთლემმან განგჳღო მადლით ვიხილოთ შობა ფარულად …ღეთ მოვედით, მოვიღოთ სამოთხე ქ~ობსა შინა მო …ო ჩუენდა ძირი მოურწყველი, რომელი აღ-

მოაც…ა შენდობასა მუნ იპოა წყარო აღმოუ…ელი, რომლისა სუმად სურთ და პირველ დ~თს … ქალწულმან შვა ჩჯლი რომელმან მეყსეულად და აცხ…უურილი ადამდადთისი ამისთვის მივილტოდით ა…დ, სადა იშვა ყრმაჲ ახალი პირველსაუკუნეთა ღ~ი.

… ა. მონებისა. ქრისტეს შობასა ვადიდებდეთ ქრისტესა ზეცი… ვეგებვოდით ქრისტესა ჩუენ ქუეყნისნი ავამაღლებდეთ …ა დიდებასა და აწ სიხარულით უღაღადებდეთ ერნო, რამეთუ …სნ და ურჩებით პირველქმნული მსგავსად ღთაებისა …დებლი, ხოლო დამბადებელმან მისმან კუალად აგო პირველად ნეტ…, ვითარცა ინება ჴორცშესხმითა თჯსითა, რამეთუ დიდებულ … იხილა შემუქმედმან ხრწნილებასა შინა კაცი რ…ა …თა შექმნა ამან ცანი მოდრიკნა, გარდა…და …ისგან ჭეშმარიტად განკაცნა, რამეთუ დიდებულ არს.

…ნე ღმრთისაჲ და ძალი მისი სიტყუაჲ მამისა და ბრწყინვალებაჲ მისი …ლჲ ღმერთი ჭეშმარიტი საიდუმლოჲ ძალითგან ზეცისათა, კუალად დაგ… …შს ჩუენ ქალწულისა მუცელსა, რამეთუ დიდებულ არსო.

2r / …თაბორსა მის უფროჲს მსისთ… …რწყინვალედ ეჩუენა იგი მომცემელთა სჯულ… ჴმაჲ ყვეს კურთხეულ. იხილეს, რაჲ მოწაფეთა ქრისტე შ… თუალითა შემოსილად დაცჯვეს ზედა თჯ … ქუეყნად მიმართ ხედვიდეს და ბრწყინვალედ განათლ… …ნებულთა სამებასა აქებდეს. აკ.

ადიდებსა. შობაჲ შენი უ….

შობით ძრწოდეს მოციქულთანი, რაჲთა …ხილი სანთლისაგან მ… …ათლდეს ურთიერთ არს, ხედვიდეს და დაცჯ… ქუეყანასა თაყუანისცემდეს.

ღრუბლით გამო ჴ…მოდა ღირსთა და საღმრთომან ქუხილმა ჰბეჭდა დიდებაჲ მამისაჲ მოციქულთა მიმართ, ვითარმედ ეგე არს, ძე ჩუენი …ყუარლი მაგისი ისმინეთ.

გამოს…. გუაკურთხევდი. ნათელ… …ელბელო სიტყუაოო ნათლისა მის მამისა უშობელისო გამ…ნებელითა მით ნათლითა შინათა დღსთაბრს ზედა ნათლი იხილეთ მამაჲ ნათელი სული წმიდაჲ განმანათლებლად ყოველთა დაბადებ…

თა… გეს… იე. მიცვალებაჲ ღმრთისმშობლისაჲ. ჴმაჲ. ა.

ეჰა, დიდებული. ეჰა, დიდებული საკჯრველთაჲ წყაროჲ ცხ… …საფლავსა დაიდების და იქმნების სამარე კიბეს …თა იხარებდი ტაძარო, ღმრთისმშობლისო გესამა ნ… …ვყოთ მორწმუნენო გაბრიელ წესთ მთავრისი …ტყოდით გიხაროდენსა. ეჰა, საიდუმლო შენი ქწ… რამეთუ მაღლისა საყდრად წმიდად გამოსჩნდი და ა… … …ნით ზეცად აჰმაღლდი დიდებით დიდ არს დიდებაჲ შენი და …წყი …თა მ…

2v / თადა წერბერ… … …ულნი დიდებითა შენითა შეგვერდებიან მეფენი … რნი მთავარანგელოზთა თანა და რამეთუ პოვა შენ მიერ … დიდი წყ. მჴნეონი. დიდებულსა და ქებულსა …თა შენსა დღეს ღმრთისმსობელო ქალწულო ცანი იშჯ შენ და …თა მჴედრობანი მისა შინა იხარებენ და ყოველი ქუეყანაჲ გალ… დღესასწაულობს და გიგალობს შენ დედასა მჴსნელისასა, რომელმან …ესვი იგი იჴსნა პირველისა მის წყევისაგან.

…ნ სოფლისთა მორბიოდეს მოციქულნი საღმრთომის ძალისა …ყფითა თანა შემურონ გუშენი და სიხარულით …ღეს უჴორცოთა სიმაღლედ და ჴელითა გაბრიელისითა …დებდეს გიხაროდენ მხოლოო, რომელნიცა ქუეყნისნი ზეცისა უსხეულო…თა შეაერთენი. განწყობილნი ზეცისანი და კრებული მ…თაჲ სიხარულით

მართალთა თანა აქებდეს განსლვასა ...ა ღმრთისმშობელო და ყოვლად უბიწოო დაძინებასა შენსა შეხმი... სულიერთა გიღაღადებდთ, რომელი დღეს ქუეყნით ახჯლზე ... ლსა ყოფად ძისა შენისა თანა.

მჯდომარე. ...თა მე გლახაკითა ბაგითა ვჰნატრიდეთ ჯეროვან... ... წმიდასა ღმრთისმშობელსა უდიდებულესა მას ყოველსა ნათესავთასა და უწ...სსა ქერუბინთა ძალთასა შეუძრწოლსა საყდარსა ქრისტეს მ... ნათლისასა ტაძარსა, რომელსა შინა დაემკჯდრა მადლი მაცხოვრისა სოფლისასა, რომელი მოჰმადლებს მორწმუნეთა ერსა დიდსა ...ლობსა მოჰფენს ეკლესიათა.

წ~რგაჲ გ. ...შენსა წინა უძღოდა უთესლოდ მიდგომილებაჲ და და... ... ... საკჯრ...

3r / მიერ ერმან უსჯულომან ვერ თავს იდვა მხილებაჲ ენისა შენისა წ... მ~ორბდო იოანე დაფასდ როკვისა მისცა ქალწულსა თ... რაჲმცა დაადუმეს ენაჲ შენი ღირსო.

მესმასა. მესმა მე ვერ თავს იდვა მხილებაჲ შენი ჰეროდე წმიდაო იოანე ნათლისმცემელო ამისთჯსცა შეიჭურა სიკჯდიდ შენდა და მაშ იქმნა უფალი ...

ჰეროდე უსჯულომან ქალწულისა მიერ უბრძანა ... თავი შენი პატიოსანი ძღუნად მეძავთა ბილწთა, რომლისა მიერ მად... მოვიღებთ.

ღ~გა აღმსთობი უგუნურმან მ... როკვისა ფ~ასდ თავი შენი წმიდაო იოანე ნათლისმცემელო უფლისაო.

რაჟამს თავით შენით სისხლითა ნაწუეთნი დიოდესღა მართალ ...აობით ბილწნი იხარებდეს. ჰგონებდა ჰეროდე დადუმ... შენსა ღირსო ამისთჯს მოგაკჯდისა, არამედ უფროჲს ემხილების.

დიდება მომეცმესა. იოანე დაბადებულო ო~ხდ. აღმოუცინენ კაცთა ლოცვანი საღმრთონი, რაჟამს უქადაგე მათ კრავი იგი ღმრთისაჲ. სამკჯდ ...

იგავი საღმრთოჲსა ცხოვრებისაჲ ხარი შენ იოანე, თავი მოწამეთაჲ და დაწყებაჲ ყოველსა განშორებულთაჲ.

კურთხევა ყრმანი ებრ. მონაჲ წინსაწარვე აუწყებდა მოსლვასა უფლისასამთები... და დღეს ჯოჯოხეთისა მყოფთა უქადაგეს და თქუეს კურთხეულ.

თავი შენი წინსაწარმეტყველო სისხლითა ნაცვლად აღმოაცენებს... კურნებსა მათ, რომელნი ესრეთ ღაღადებენ: კურთხეულ ხარ ღმერთო უკუნისამდე.

აკურთხევსა შვილთა ღმერთსა მაუწყებელი შობისა შენსა პირველად მახჯლისა მიერ იქმნა დღეს და უწბილ მკუდართა ქ...ლისათა ღმრთაებრ მისლვისა შენსა მათდა ჴმაჲ სიტყჯსაჲ ...დებდა ცხოვრებასა მწუხარეთა ნათელსა ტყჯთაგან

3v / შვესდ წერილისა წინსაწარმეტველისა, არმედ განაახლა შემდგომად შვილნი თჯსნი. ახურთხევდისა. შეძრწუნდეს.

...წუნდა გუნდი ბოროტი და წინამძღუარი მათ ...სა შინაგან ქრისტეს წინა მორბედო და მეძავთა მიერ ...მუნა ჰეროდეს მოგკჯთა თავი შენი ცხადად და ... ლი რომელსაცა მორწმუნენნი ჴმითა გალობისაჲთა გალობით გადიდებენ. ...წნდა ძალი ეშმაკთაჲ და ივლტრდეს ვნებანი კაცთა მორ ...ლნი მადლისა მიერ ღმრთისა, რომელი მოგეცა შენ წყალობაჲ. ...ნერ და მხილებად მეფეთა და აწცა გევედრებით ...სტხრბი ოხასა მაქებელთა შენთათჯს.

გიხაროდენსა მოავნე. ...ყუ. ბერწისაგან მოხუცებულისა წინა მორბედად ... სა შობისა შენისა იშვა და კუალად წინსასწარ რბიოდა გამოჩინებისა ...სა ქრისტე და აწ ვნებისა შენისა წინამორბედ იქმნა მიწარ... ...ა თავი და მივიდა ქადაგებად მყოფთა ჯოჯოხეთისათა შენსა ...მისლვისა.

ღმერთი სიმდაბლისა შობისა ოხითაჲ
შობამან შენმან ღმრთისმშობელო ...სა
... იგი სანატრელი
ჯუარისა ამაღლებისაჲ
აცხოვნე უფალო ი... ...ლისაჲ
მოციქულო ქრისტე ღმერთი
თ უკვდავებასა (უკდონბერსა)
დიმიტრისი ...დიდი
თ ნოენბერსა გიორგისი (გ~ისი)
მუწამემა
იოანე ოქროპირისა
...ბისა
ტაძრად მიყვანებისაჲ
დღესასწაულთა განგებაჲ
თვესა დეკენბერსა
...ჲსა
...არგი ბ~ი
საბაჲსი
ო~დ შნაჲ მ~ო ქალწულო
...ისი
კანონად სარ
იანვარსა
ე~სა ქ~თა
...ბასა
რაჟამს იორდანეს
თუესა თებერვალე
მიგებებისა
...მადლობ
მ მარტსა ორმეოცთა
...ლულ შენი
წმიდის შობისაჲ
...დაქა
...
მოციქულთა თავნო
...

4r / [მ]წყემსი იჱრუსალიმისაჲ ქერუბინთა ზედა მჯდომარე შობა... ...ბრწენ და ქრისტე, რომელმან აღამაღლე რქაჲ ჩუენი ჩუენ ყოველსა მფ...

კუერთხი. რომელმან აუწყა იაკობს სასოებაჲ წარმა... ქრისტე იუდაჲს ნათესავისგან გამოხუე და რომელი მ... ...კისაჲ და ძლიერებაჲ მისი სამარღაისა წარმოსტჯ... და ღმრთისმეცნიერ ჰყვენი დიდებაჲ ძალსა შენსა უ....

ვითარცა პირველ შალამი იყუნეს მოგონი მიწევნულ ...ძნესა მას ვარსკულავით მრიცხუველისსა ახარე მათ, რამეთუ აღმოგჳბრწყინდი ვარსკუ... იაკობისგან ქრისტე და წარმართნი შეჰკრიბენ დიდებ....

მსგავსად საწმისისა გარდამოჰდა მუცელს… …ლისასა წყმაჲ სულისა წმიდისაჲ ქრისტე და ვითარცა ცუარი …რინ ქუეყანასა ზედა ინდოთა და თარბისა ჭალაკთა ს…თ და არაბიაით მეფეთა ძღუნი შენდა შე…

… ღმერთი ხარ. მონათა თანამ აღწერე ქრისტე კ… …ფისა ბრძანებითა და ჩუენ დამონებულნი ც… … მოგჳჰსენენ რაჟამს და ჰგლახკენი მ… … თანაშეერთებითა და ზიარებითა გან…

ესერა ქალწული მიუდგა და შვა, ვითარცა თქუა პდ… ღმერთი ძლიერ და ჴელმწიფე ძედ მოგუეცა ჩუენ დ… …ლი დაადგრა ქალწულად საუკუნოდ ამან და მაგნა ღ… ჩუენ სარწმუნოებით ვჰნატრით მას.

4v / ობლი არს ყოველთაჲ და დამბადებელი დაბადებულთაჲ …რმნი სარ.

მწყემსთა უდაბნოჲსთა ვითარცა გამო…წყინდა ნათელი განკჳრვებულნი ხედვიდეს ხოლო დიდებამან მი… ანგელოზისა მიერ ასწვა გალობაჲ მამათა.

…სა გუნდნი ესრეთ მაღლით გარდამოიტყდეს …ბით დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ … ქრისტე გამოგჳბრწყინდა, რომელ იგი არს ღმერთი საუკუნეთაჲ … მისნი ესრეთ იტყოდეს განვიდეთ და ვიხილნეთ …მულნი ესე და მი-რაჲ-იწვნეს ბეთლემდ იხილ…ი ჰორცშესხმული თაყუანისცეს მშობელსა თანა და იტყჳს …ა.

აკურთხევსა. საჴუმლიბ. პირველ ძენი დავითისნი წარტყუ… იქმნეს


ასულთაგან შინა ბლოვნელთაჲსა, ხოლო დღეს …ვნეს მის მიერ მოგუნი ასულისა დავითისა ძღუნი …წარვიდ და ვითარ იხილეს ღმრთისმეტყუელებით ესრეთ იტყოდეს: „აკურთხე„

…ისა და ებნისა ჴმანი ოხრიდეს და შესხმისა ზედა …გნა …ხუბდა გულსა მჭილო არეთსა, ხოლო სიონისა … …რცხჳვნეს განცხრომანი ბაბილოვნელ … … შობილსა უღაღადებდეს. აკურთხე.

ნატყუენ… სი… … და ღვარი საუნჯეთა პირველთა მეფეთაჲ შობილო …რი ღო, ხოლო დღეს ვარსკულავთ მრიცხუველთა …რღუნი იგი სამეუფოი ბაბილოვნით ბეთლემსაჲ …ა მოუპყრეს და ღმერთი დებდეს. აკურთხევდით.

Q 223

რაობა:	საგალობლები
თარიღი:	XV-XVI სს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12,5x13
Content:	Chants
Date:	XV-XVI cc.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	12,5x13



ტექსტი

1r / მგ… თა…
რიმთი კურთხეულო დედა…
ლოო. გალობა შენდა მ…
იქმენ …ისა ცოდა…
მისთვის ვჴმობ შენ…
მომეც აზრუნებაჲ დ…
რისსა სიხარულისა მ…
ოზთა და კაცთა დედა…
თის ვთხოვ ევ…
ჴსნ ჭირთგან მოსვ…
წიდესა ძრწოლით თ…
ფალო წმიდაო და შევაჲ…
მგმობრთა წმიდისა ხ…
იგი იონა განსაცდელთ…
რებაჲ ჩუენი ისმინე ღმრთის…
და ძისა შენისა მიმართ მე…
ურვათაგან მიჴსნა…
უზეშთაეს გამოსჩ…

1v / …ელთა სიღრ
…აღ…ლებ ცასა ცათასა
…ვამან მომიცვა და შ
…საფალობელო და სრულიად გ
…სნე შენ დედუფალო მ
…ნ კურთხევა ყრმათა ბუნებაჲ
…ბითა ცოცხალისასა მდგ
…ბითა შენითა ცუარითა
…რან რაჲთა ეკხდებთ
…სიღრმით გულითა მუ
…ლნი ცრემლითა გიღ
…სნეულმან ცოდვითა ჩუენითა
…ღა შენითა სძალ ოკ
… შენ სამხტოვნე
…ბათ ცნო ბილოს
… უცვალებელო
… და სულო სახიერო
… მხოლოო
… …ად პირ


2r / შენდა შევედ… ებ…
მან მოწყალებასა მოყრე ღმრთისა და წყა …
ცხოვნენ სულნი ჩუენი, ჰ, წმიდაო ქალწულო, უფალო
ჩუენ ერთ ერნი შენი და ცხვარნი ვ …
ჲსა შენისანი შეხთომილნი ესე მ…
ენ, ვითარცა მწყემსმან კეთილმან და განბნეულ
ნი ხრწნილებისაგან ვნებათაჲსა წყალობი

თ შემკრიბენ, შემიწყალენ და შემდგომად გული
შენი, ჰ, კაცთა მოყვარეო და სახიერ მექმნენ ჩუენ
მეოხებითა ღმრთისმშობილისითა მხოლოო
უცოდველო და გუაკურთხნენ. გიხაროდენ მიმადლებუ
ლო ღმრთისმშობელო ქალწულო ნავთსა
ყუდელო და სასოო კაცთა ნათესავისაო
რამეთუ შენგან განიკურნა მჴსნელ სოფლისა და შენ
მხოლოჲ ხარ და დედაჲ ქალწული მარადის კურთხეულ
დიდებულო ეევდრე ქრისტესა ღმერთსა მჴსნელსა რაჲთა
მოსცეს მშჳდობაჲ ყოვლისა სოფლისა და სულთა
ჩუენთა დიდი წყალობაჲ წარდგომნი წიაღნი მამისნი
უხრწნელოო ღმრთისმშობელო ნ … მ
ოღისა შენისა სჯულისა და წინასწარმელთაჲსა

2v / … ამისთვის გულისჴმი
… გალობელნი შენი გადიდებთ დედად ა
ღგიარებთ შენ მართლმადიდებლობით და გან
ცრილ დაღაცათუ მშობლად და დედად ა
ღგიარებთ შენ დაბადებუ ლნი, არამედ ქალწულად
დაგმარხა ღმრთისმშობელო დამბადებელმან
ღმერთმან, რამეთუ ჰშევ ჰორცითა ქრისტე მჴსნელი
სულთა ჩუენთაჲ უვრცელეს ხარ ცათა და
უ …ლეს ქერუბინთა ყოვლად საგალობელო ღმრთი
ს მშობელო, რამეთუ ქრისტე ღმერთი ჰშევ ჰორცითა
უხრწნელად და ზეშთა ბუნებისა რომელი აც
ხოვნებს საღმრთოთა ჩუენთა. უგალობსა უფსკ
მაღალთა ზედა უზეშთაესო ცათა და ქუეყანისო ქალწ
ულლო ღმრთისმშობელო მომმადლე ცნობაჲ ს
ულიერი, რაჲთა ღირსად გალობასა შეგასხ
მიდე უძლური სულითა და ჰორცითა ვ
ერ ვიკრებ ვედრებად ღმრთჲსა
მიმართ შენდა მოვვილტი ყოვლად წმიდაო მი…
ო ვიდრე ქრისტესგან შენდობაჲ ცოდვათაჲ უფსკრუ
ლი მადლისა შენისა მომმადლე უშობელი

Q 275

რაობა:	სვინაქსარი
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	23x16,5
Content:	Synaxarion
Date:	XI c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	23x16,5



ტექსტი

1r */ ... მოკრებულნი იგლოვდეს და ტიროდეს, რომელთა თანა იყო წმიდაჲ ატტიკოს და ალექსანდრე ანტიოქელი მეყსეულად ღირსმან ამან, ვითარცა ძალისაგან განიფრთხო და თქუა ღმრთისა მიერ ათხუთმეტისა წლისა შეძინებაჲ დღეთა თჳსთაჲ, ვინაიცა ცხოვნდა რიცხჳსაებრ ზემოჴსენებულთა ამათ წელთაჲსა და უფლისაჲ მიმართ მიიცვალაჲ.

ამასვე დღესა წმიდისა მაკრინასი, დისა წმიდისა ბასილისი, ესე სიკეთითა გუამისათაჲ და შემკულებითა წესიერებისათაჲ განთქუმულ-იყო პირველითგანვე და სავსე ყოვლითა კეთილითაჲ.

ხოლო იძულებითა მშობელთა თჳსთაჲთა შეეყო ქმარსაჲ შემსგავსებულსავე თჳსსაჲ და ვიდრე არღარა შემთხუეულ იყო მისდა განვიდა იგი ცხორებისაგან და მიერიდგან დაღაცათუ მრავალნი აიძულებდეს ნეტარსა მარკინას ქორწინებაჲდ ყოვლადვე არა თავს იდვა, არამედ ყოვლისავე მსოფლიოსაჲ საქმისაგან იჯმნა და თჳსისაჲ დედისა თანა იყოფებოდა და წურთასა და კითხვაჲსა წმიდათა წერილთასა განკრძალულ იყო და ვითარცა მეორე დედაჲ მის თანა შობილთაჲ მათ ძმათა ზრდიდა, რამეთი პირმო იყო ყოველთაჲ და უხუცესი, რომელნი იყვნეს ერთობით ათ ამითურთ, ხოლო უწოდე მაკრინე სახელსა ზედა მამის დედისაჲ მისისა, რამეთუ დედასაჲ მამისა მისასა ბასილისასა მაკრინა ეწოდებოდაჲ. ამან სანატრელმან სიწმიდით და ღვთის მსახურებით აღასრულა ცხორებაჲ თჳსი მოქალაქებაჲსა შინა მონაზონ...

1v / და უფლისა მიმართ მიიცვალა მისვე ღმერთშემოსილისა გრიგოლის მიმართ მრავლითა პატივითა თჳსითა მშობელთა თანა და იმარხა, რომელმან ცხორებაჲცა ამის სანატრელისა აღწერა. ამასვე დღესა წმიდისა გრიგოლ პანიდელ ეპისკოპოსისა ახლისა აღმსარებელსაჲ.

თუესა ივლისსა. - კ ამაღლებაჲ ელია წინასწარმეტყუელისაჲ ეტლითა ცეცხლისა ესე თეზბით ქუეყნით არაბით თესლისაგან აჰრონისა და მკჳდრ იყო გალაადს.

რამეთუ თეზბი მიცემულიყო მღდელთ და ხოლო შვა-რაჲ იგი, და მან იხილა სუბაკ მამამან მისმან ხილვაჲ, რამეთუ კაცნი სპეტაკით მოსილნი მოიკითხვიდეს მას და ცეცხლისა სახუევლითა გრაგნიდეს და ალსა ცეცხლისასა აჭამებდეს. მოვიდა იჩრუსალემად და უთხრა მღდელთა და შევიდა მღდელძ-მოძღუარი ტაძრად და იკითხა და ჰრქუა მამასა ელიაჲსსა, ვითარმედ: „ნუ გეშინინ, რამეთუ იყოს მკჳდრებაჲ ბრმისაჲ მის ნათელსა შინა და სიტყუაჲ მის იყოს მკუეთარ და შჯიდეს ყოველსა მახვილითა და ცეცხლითა".

ესე არს ელია, რომელმან ცეცხლი სამგზის შთამოიყვანა ზეცით და წჳმაჲ დაიმჭირა


სამწელ და ექუს თუე და მკუდარნი აღადგინნა და იორდანე განაპო და ზეცას ცეცხლისა ეტლითა ამაღლდა, ხოლო იყო პირველ ქრისტეს მოსლვასა რვაას ათექუსმეტითა წლითა.

ამასვე დღსა წმიდისა წინასწარმეტყუელისა ეზეკიელისი. ესე იყო ძე ბოზისი მღდელთაგანი, ხოლო წარვიდა ტყუედ ქუეყანასა ქალდეველთასა და ფრიად უწინასწარიმეტყუელა ჰურიათა

---

* **შენიშვნა**: დასაწყისი წმიდისა მამისა ჩუენისა დიოჲსი - თვესა ივლისსა ით.

Q 486 ა



რაობა:	დაბადება
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22,9x14
Content:	Genesis
Date:	X c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	22,9x14

ტექსტი

1r შესაქმე 1, 6-31

… და თქუა ღმერთმან: იყავნ სამყაროჲ შორის წყლითაჲ და წყალთა იყავნ განმყოფელ შორის წყლისა და წყლისა. და შექმნა ეგრეთ. და განაშორა ღმერთმან შორის წყლითა და რომელი იყო ქუეშე სამყაროჲსა კერძო და შორის წყალსა მათ, რომელ იგი იყო ზედა კერძო სამყაროსა მას.

და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცაჲ და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ არს და იყო მწუხრი და იყო განთიად დღჱ იგი მეორე.

და თქუა ღმერთმა შეკერბინ წყალი ქუეშე ცისა შესაკრებელსა ერთსა და გამოჩნდინ ჴმელი. და იყო ეგრეთ. და შეკრიბა წყალი ქუეშე ცისა შესაკრებელთა ერთსა და გამოჩნდა ჴმელი და უწოდა ღმერთმან ჴმელსა ქუეყანაჲ

…კრებელსა …ასა უწოდა (მეორე სვეტი)და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და თქუა ღმერთმან: აღმოამორჩენ ქუეყანამან მწუანვილი თივისაჲ. მთესველი თესლისაჲ, ნათესავობისაებრ და მსგავსებისა და ხე ნაყოფიერი მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისი მის თანა მსგავსებისაებრ ქუეყანასა ზედა. და იყო … და გამოი… … მწუანვილი თივისაჲ, მთესველი თესლსა ნათესავობისაებრ … მსგავსებისაებრ და ხე ნაყოფიერი, მყოფი ნაყოფისაჲ, რომლისა თესლი მისი მის თანა ნათესავობისაებრ ქუეყანასა ზედა. და იხი… ღმერთმან, რამეთუ კეთილ

და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე მესამე. და თქუა ღმერთმან იქმენინ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქუეყანისა განსაყოფელად შორის დღისა და შორის ღამისა. და იყუნედ სასწაულებად

1v

დღეებად და ჟამებად და წელიწადებად. და იყუნედ განმანათლებელად სამყაროსა ცისა, რათა ჩნდეს ქუეყანასა ზედა. და იქმნა ეგრეთ. და შექმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მთავრობად დღისა. და მნათობი უმრწემესი - მთავრობად ღამისა. და ვარსკულავნი. და დასხნა იგინი ღმერთმან სამყაროსა ცისასა, რათა ჩნდენ ქუეყანასა ზედა. და მთავრობდენ დღესა და ღამესა და განწვალებდენ შორის ნათლისა და შორის ბნელისა. და იხილა ღმერთმან ნათელი, რამეთუ კეთილ. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად დღე იგი მეოთხე. და თქვა ღმერთმან: გამოიღედ წყალთა ქუეწარმავალები სამშჯნველთა ცხოველთაჲ და მფრინველნი ფრინვალენი ქუეყანასა ზედა ჩემისაებრ ცისა. და იქმნა ეგრეთ. და

შექმნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი და ყოველი სული ცხოველთა ქუეწარმავალთაჲ, გამოიღეს წყალთა (მეორე სვეტი) ნათესაობისაებრ მათისა ყოველი მფრინველი მფრინვალენი ნათესაობისაებრ. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ.

იგინი და აკურთხნა იგინი ღმერთმან და თქუა: აღორძნდით და განმრავლდით. და აღავსენით წყალნი ზღჳსანი ეგე ყოველთა შინა და მფრინველნი ეგე განმრავლდეს ქუეყანასა ზედა. და იყო მწუხრი და იყო განთიად დღე იგი მეხუთე.

და თქუა ღმერთმან: გამოიღენ ქუეყანამან საშურნველთა ცხოველთად თესლად თესლა და ოთხფერჴთა და ქუეწარმავალთა და მჴეცთა ქუეყანისათა და ყოველთა პირუტყუთა და ყოველ ქუეწარმავალთა თესლად თესლადი და იყო ეგრეთ.

და შექმნა ღმერთმან მჴეცნი ქუეყანისანი თესლად თჳსთა …ებრ ნათესაობითნი და საცხოვარნი ნათესაობისაებრ მათისა და ყოველი ქუეწარმავალი ქუეყანისა ნათესაობისაებრ მათისა და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ. და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზთა ზღჳსასა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მჴეცთა

2r [ყოვლისა ქუეყანისა ყოველთა ქუეწარმავალთა მავალთა ქუეყანასა ზედა და] შექმნა ღმერთმან კაცი იგი ხატად ღმრთისა შექმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი. და აკურთხნა იგინი ღმერთმან ჰრქუა: აღორძნდით და განმრავლდით. და განავსეთ ქუეყანაჲ დაეუფლენით მას. და მთავრობდით თევზთა ზღჳსათა, და მფრინველთა ცისათა.

და ყოველთასა ცხოველთა და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქუეწარმავალთა, რომელნი იგინი მავალთა ქვეყანასა ზედა. და თქვა ღმერთმან: აჰა, მიგცე თქვენ ყოველი თივაჲ სათესავი … რომელ არს … ქვეყანისა.

და ყოველი ხე, რომელსა აქუს თავსა შორის … ნაყოფნი თესლისაჲ თქუენდა იყოს საჭმელად და ყოველთა მჴეცთა … მფრინველთა ცისათა. და ყოვლისა ქუეწარმავალისა, რომელნი ვლნენ (მეორე სვეტი) ქვეყანასა ზედა, რომელსა აქუს თავსა შორის თვისსა სული სიცოცხლისა, და ყოველი თივა მწვანვილისა საჭამადად და იქმნა ეგრეთ. და იხილნა ღმერთმან ყოველნი, რაოდენნი ქმნნა, და აჰა კეთილ. ფრიად და იყო მწუხრი ღა იქმნა განთიად დღე მეექუსე.

შესაქმე, 2, 1-19

და სრულ იქმნეს ცაჲ და ქვეყანა და ყოველი სამკაული მათი. და განასრულა ღმერთმან დღესა მეექუსესა საქმენი მისნი, რომელნი ქმნნა. და დასცხრა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელნი ქმნნა.

და აკურთხა ღმერთმან დღე მეშჳდე და წმიდა-ყო იგი, რამეთუ მას შინა დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელთა იწყო ღმერთმან ქმნად. ესე წიგნი შესაქმისა ცისა და ქვეყანისაჲ, ოდეს შეიქმნნეს დღესა მას, რომელსა შექმნნა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანაჲ და. ყოველი მწვანვილი ველისა პირველ ყოფად

2v

ქუეყანასა ზედა და ყოველი თივა ველისა პირველ აღმოცენებადმდე, რამეთუ არ-ღა ეწვიმა ღმერთსა ქუეყანასა ზედა და კაცი არა იყო მოქმედ ქუეყანისა. ხოლო წყარო აღ-მო-ვიდოდა ქვეყანით და რწყვიდა პირსა ყოვლისა ქვეყანისასა. და შექმნა უფალმან ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქვეყანისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაჲ და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად. და დაასხა ღმერთმან სამოთხე ედემისა აღმოსავალით და დადვა მუნ კაცი იგი, რომელ შექმნა. და აღმო-ვე-აცენა ღმერთმან მერმე ქვეყანით ყოველი ხე შუენიერი


ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხოვრებისა - შორის სამოთხესა და ხე იგი - ცნობად კეთილისა და ბოროტისა. ხოლო მდინარე (მეორე სვეტი) გამოვალს წყვად სამოთხისა, მიერ განიყოფვის ოთხად თავად. სახელი ერთისა - ფისონ. ესე არს, რომელი გარემოვლის ყოველსა ქვეყანასა ევლატისასა, მუნ, სადა-იგი არს ოქროჲ. ხოლო ოქრო მის ქვეყანისაჲ კეთილ, მუნ არს ანთრაკი და ქვაჲ იგი კაპოეტი. და სახელი მდინარისა მეორისა - გეონ. ესე გარემოვლის ყოველსა ქვეყანასა ეთიოპიისასა. და მდინარე მესამე - ტიგრისი. ესე ვალს წინაშე ასურეთსა, ხოლო მდინარე მეოთხე ევფრატი.

და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი, რომელი დაჰბადა და დაადგინა სამოთხესა მას საშუებელისასა საქმედ მისა და დაცვად. და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქუა: ყოვლისაგან ხისა რომელ არს სამოთხისა მას ჭამით შჭამო.

ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან, რამეთუ, რომელსა დღესა შჭამოთ სიკუდილითა მოსწყდეთ.

და თქვა ღმერთმან: არა კეთილ არს კაცისა ამის მარტოჲსა ყოფაჲ, უქმნეთ მაგას შემწე, მსგავსი მაგისი. და დაღა-ვე-ჰბადა ღმერთმან შენი ყოველი მჴეცი ველისაჲ და ყოველი მფრინველი ცისაჲ და მოიყვანნა იგინი

Q 486 ბ



რაობა:	იოანეს თავის სახარება
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	25,3x21,5
Content:	Gospel of John
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	25,3x21,5

ტექსტი

იოანეს სახარება 20, 17-27

1r / ... აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა. მოვიდა მარიამ მაგდალენელი თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას.

და ვითარცა შემწუხრდა დღჱ იგი ერთშაბათისაჲ მათ და კარნი იგი დაჴშულ იყვნეს, სადა-იგი მოწაფენი დამალულ იყვნეს შიშისა(მეორე სვეტი)თჳს ჰურიათაჲსა.

მოვიდა იესუ და დადგა მათ შორის და ჰრქუა: „მშჳდობაჲ თქუენ თანა" და ესე ვითარცა თქუა იესუ, უჩუენა მათ ჴელნი თჳსნი და გუერდნი.

და განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი. ჰრქუა მათ: „მშჳდობაჲ თქუენ თანა, ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ„ და ესე ვითარცა თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: „მიიღეთ სული წმიდაჲ".

უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ (1v) ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ".

ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანნი, რომელსა ჰრქუა: „მარჩბივ„, არა მათ თანა იყო, ოდეს-იგი მოვიდა იესუ.


უთხრობდეს სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: „ვიხილეთ ჩვენ უფალი„. ხოლო მან ჰრქუა მათ: „უკუეთუ არა ვიხილო ჴელთა მისთა სახჱ იგი სამშჭუალთაჲ და დავასხნე (მეორე სვეტი) თითნი ჩემნი ადგილსა მას სამშჭუალთასა და დავსდვა ჴელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს.

და შემდგომად რვისა დღისა კუალად იყვნეს მოწაფენი შინაგან და თომაცა მათ თანა. და შევიდა იესუ კართა დაჴშულთა და დადგა შორის და თქუა: „მშჳდობაჲ თქუენ თანა„.

მერმე ჰრქუა თომას: „მოყვენ თითნი შენნი და იხილენ ჴელნი ჩემნი და დამ...

Q 486 გ

რაობა:	ქადაგებათა კრებული
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	36,4x27,5
Content:	Collection of Preachings
Date:	X c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	36,4x27,5



ტექსტი

1r */ ხოლო ზოგადი არს და ზიარი ყოველთა ზედა ეშმაკთა მონებაჲ და საცთური ბოროტი და ნანდჳლვე ჯერ ეგრე იყო, ვინაჲთგან დიდებისაგან ღმრთისა განაშორნეს თავნი თვისნი და კერპნი ჴელით ქმნულნჳსი ღმერთად აღიარნეს, რაჲთა ესევითართა ჰმონონ და ესევითართა პატივისცენ, რაჲთა ვითარცა ნეტარი პავლე იტყჳს, კუალად „საგებელი იგი საცთურისა მათისაჲ ურთიერთას მიიღონ და ვითარცა არა გამოიცადეს ღმერთი, რაჲთამცა აქუნდა მეცნიერებით მისცნა იგინი ღმერთმან გამოუცდელსა გონებასა საქმედ უჯეროჲსა, რომელნი იგი არა ესოდენ პატისვსცემენ მათ მიერ პატივცემულთა მათ რავდენ იგინი მათ მიერ იგინებიან.

საძაგელ არიან ცთომილებისათჳს, საძგელ არიან უნდოებისათჳს მათისა, რომელთა თაყუანისცემენ და ჭეშმარიტად უუგუნურეს ღმრთაებათა მათ თანა, რამეთუ ესოდენ გარდაემატებიან უგუნურებითა, რაოდენ დაკნინებულ არიან სამსახურებელნი მათნი უნდოებითა.

(მეორე სვეტი) ამას უკუე ესევითარსა ითქმოდენ და იმღერდედ შვილნი წარმართთანი დანთქმულნი ურწმუნოებათა და მათ თანა ეშმაკნი, რომელთაგან შეხუდა მათ გონება ცთომილებაჲ იგი და პატივი ღმრთისაჲ თავთა თჳსთა მიაჩემეს და

* მინაწერი მხედრულით: „ფრანგო, რამ დაგაბრმავა, თვალ გასხენ და არა ჰხედავ" (2r).

მთავართა ხითა საცთურთა აცთუნნეს საწყალობელნი იგი, ვინაჲთგან იგი რელისა მისგან ცხორებისა განგუაშორნეს გემოჲს ხოლვითა მით უჟამოჲთა რელისა ცნობადისა და მიერითგან, ვითარცა უძლურთა და ძლეულთა დევნა გჳყევს და მთავარი გონებაჲ ჩუენი წარიპარეს და ვნებათა კარი განუღეს.

რამეთუ ვერ თავს იდებდეს ბუნებაჲ იგი მუშურნე და კაცთმოძულე, რომელნი თჳსთა ნებითა ესევითარნი იქმნეს, რაჲთამცა ქუეყანისნი ზეცისა იქმნეს ვინაჲცა იგინი დაცჳვეს და ესოდენი ცვალებაჲ ბუნებათაჲ, რამეთუ იგინი ზეცით ქუეყანად და ეცნეს და კაციმცა ქუეყანით ზეცად აღვიდა. ესე იყო დევნულებაჲ ბუნებისა ჩუენისაჲ.

1v / ამისთჳს ხატად ღმერთისა ქმნილი შეურაცხ იქმნა და ვითარცა არა გამოვიცადეთ და მარხვად მცნებისა მისისა მივეცენით თჳთ შჯულობასა საცთურისასა და ვითარცა ვსცევთით შეურაცხ ვიქმენით, რომელსა შინა ვსცეთით.

რამეთუ არა ესე ხოლო იყო ბოროტი, რომელ დაბადებულ ვიყვენით საქმეთა ზედა კეთილთა დიდებად და ქებად დამბადებელისა დამსგავსებად ღმრთისა, რაოდენ შესაძლებელ იყო და ვიქმენით სამკჳდრებელ საქმეთა ბოროტთა, არამედ უძჳრესი ესე იყო მოპოვნებაჲ უცხოთა ღმერთაჲთაჲ მოწამედ და მობაძავად ბოროტთა მათ საქმეთა, რაჲთა არა უბრალოდ ოდენ შერაცხილ იყოს ცოდვაჲ, არამედ ღვთაებადცა საგონებელ იყოს და თაყუანისცემითა მით კერპთაჲთა განმართლდებოდის, ჱ, სიღრმე იგი საცთურისაჲ მის, ჱ, წყუდიადი სიბნელისაჲ მის.

ხოლო აწ ვჰპოვეთ წყალობაჲ დამბადებლისაგან და გამო(მეორე სვეტი)ვიჴსენით საცთურისაგან ეშმაკითაჲსა და შევეწყნარენით ჭეშმარიტებასა.

არამედ არა განიხრწნა დითავე ცხილითა გინა ოქროჲთა ვიჴსნენით ამაოჲსა მისგან მამულისა სლვისა, არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უმანკოჲსა და უბიწოჲსა ქრისტესითა და ღირს ვოქმნენით მონებად ცხოველისა მის და ჭეშმარიტისა ღმრთისა და უზეშთაეს ყოფას ყოველთა მათ ხილულთა დაბადებულთა ჟამიერთა ამათ და შეცვალებადთა ამისთვისცა ჯერ არს ჩუენდა, რაჲთა მწოდებელისა მისებრ ჩუენისა წმიდისა ჩუენცა წმიდა ვიყვენით და გულისჴმა ვჰყოფდეთ კეთილსა და სულიერსა მას და საღმრთოსა სიბრძნესა წარვემატებოდით.

ხოლო ვითარ იყოს წარმატებაჲ იგი სულიერისა სიბრძნისაჲ, უკეთუ ჯეროვნად ვიწყოთ ჯეროვნადცა წარვემატნეთ, ხოლო ჯეროვნი დაწყებაჲ არს, ვითარ იგი სოლომონ განაწესა, რამეთუ იტყჳს დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნე.

2r / მამად ანუ ძედ, რამეთუ გამომავალ არს მამისაგან და ღმერთი არს დაღაცათუ უღმრთოთა მათ არა ჰრწამს, რამეთუ თჳთებაჲ შეურყეველ არს ანუ ვითარ იყოს თჳთება შე-თუ-ირყეოდის და შეიწყალებოდის.

ხოლო, რომელნი იგი უშობელობასა და შობასა ბუნებად ღმერთთა სახელით შეერთეერთებულთა იტყჳან: „ჱ, სიცოფე მათი, რაჲმე თქუან ადამისთჳს და სეითისთჳს განყვნენა ბუნებითა, რამეთუ ერთი იგი არა შობილ იყო, არამედ დაბადებულ ღმრთისა მიერ, ხოლო სეით ადამის და ევაჲსგან იშვა და ორნივე ერთ არიან ბუნებითა კაცობრივითა.

კუალადცა უკუე ვთქუა და მრავალგზის ერთ არს ღმერთი სამთა თჳთებითა და სამი იგი ერთ არს ბუნებით.

ხოლო ჯერ იყო, რაჲთა არა ზეცათანი ოდენ იყვნენ თაყუანისმცემელნი დამბადებელისანი, რაჲთა აღივსოს ყოველივე დიდებითა ღმრთისაჲთა, რამეთუ ყოველნივე ღმერთისანი არიან. ამისთჳს დაებადა კაცი ჴელიტა ღმრისჲთა ხატად მისა, ხოლო შურითა ეშმაკისაჲთა და გემოჲსცხებითა ურჩებისაჲთა (მეორე სვეტი) ექსოისა იქმნა იგი ღმერთისაგან საყუალობელად, არამედ არა სრულიად უგულებელს იქმნა სახიერისა მის მეუფისაგან.

რამეთუ იხილეთ-ა დიდი იგი საიდუმლოჲ ცხორებისა ჩუენისაჲ განახლდებიან ბუნებანი და ღმერთი კაც იქმნების და რომელი იგი მაღალ არს ცასა ცათასა აღმისავალით თჳსითა მით დიდებითა და ბრწყინვალებითა და სავალით იდიდების ჩუენისა მის უნდოებისა და სიმდაბლისა და ძე ღმრთისაჲ თავს იდებს ძედ კაცისა ყოფას და წოდებად, არათუ რაჲ იგი იყო შეცვალა, რამეთუ შეუცვალებელ არს, არმედ რაჲ იგი არა იყო, მიიღო მიუთხრობელითა მით კაცთმოყუარებითა, რაჲთა დაეტიოს ჩუენ შორის დაუტევნელი იგი და შეგუეერთოს ჩუენ შუამდგომელობითა ჴორცთაჲთა, რამეთუ საშინელებასა მას ღმრთეებისა მისისასა თავს დებად ვერ ეგებოდა ბუნებისა მისგან მიწისაგანისა მისთჳს შეუერთებელნი იგი შეერთებიან არა ხოლო თუ დაბადებულტა ღმერთი და ჴორცითა ხილულთა უხილავი ბუნებაჲ.

2v / და ჟამეულსა უჟამოჲ იგი და ზომილსა უზომოჲ და გარეშემოუწერელი, არამედ ქალწულებასაცა შეერთო შობაჲ და შეურაცხი შეერთო უზეშთაესსა მას ყოვლისა პატივისსა და ვნებულსა უვნებელი და მოკდავსა უკუდავი იგი.

რამეთუ ჰგონებდა უძლეველყოფად მომპოვნებელი იგი ბოროტისაჲ, რომელმან სასოებითა განღმთოებისაჲთა გუაცთუნნა ჩუენ ხილვითა მით ჴორცთაჲთა მოინადირარაჲთა მოუჴდეს, ვითარცა ადამსა და მიემთხჳოს ღმერთსა და ესრეთ ახალმან მან ადამ პირველი იგი აცხოვნოს და დაიჴსნას და შჯულებაჲ იგი ჴორცთაჲ, რაჟამსა იგი ჴორცითა სიკუდილი მოიკლას.

აწ უკუე დღესასწაული იგი ქრისტეს შობისაჲ აღვასრულეთ მე წინამძღუარმან დღესასწაულისამან და თქუენ ერმან მაგან უფლისამან და ყოველმან ნათესავმან მსოფლიომან და ზეცათამან ვარსკულავისა თანა ვრბიოდეთ და მოგუთა თანა თაყუანისვეცით (მეორე სვეტი) და მწყემსთა თანა განვნათლდით და ანგელოსთა თანა ვადიდებდით სჳმეონის თანა მოვიქჳთ და ანაჲს თანა უგალობდით მოხუცებულისა მის წინასწარმეტყუელისა და დიდებაჲ მისა, რომელი იგი თჳსთა თანა უცხოდ მოვიდა, რამეთუ უცხო ქმნული იგი შეიწყალა და ადიდა.


ხოლო აწ სხუაჲ საქმე ქრისტესი და სხუაჲ საიდუმლოთაჲ ვერ უძლებ სიტკბოებისა მის თავსდებად, ჰკრთების შინაგან გული ჩემი კნინღა იოვანესებრ ვახარებ ყოველთა დაღაცათუ არა წინამორბედი ვარ, არამედ მეცა უდაბნოჲთ მოსრული ქადაგებად.

ქრისტე ნათელს იღებს, თანა განვნათლდეთ, ქრისტე განიბანების, შთავჴდეთ მის თანა მდინარედ, რაჲთა მისთანაცა აღმოვჴდეთ.

ნათელს იღებს იესუ ესე ხოლო ჯერ არს ხილვად, ანუ შემდგომიცა მისი გჳჴმს გულისჴმისყოფით განცდად და თუ ვინ, ანუ ვის მიერ, ანუ ოდეს წმიდაჲ იგი და იოვანესგან და დაწყებასა...

Q 487 გ

რაობა:	საკითხავები
თარიღი:	XVI-XVII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	11,5x8,4
Content:	Lections
Date:	XVI-XVII cc.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	11,5x8,4



ტექსტი

1r */ ხლებულ არს სასუფეველი ცათა უძლურთა გჰკურნებდით მკუდართა აღადგინებდით კეთროვანთა განსწმენდდით ეშმაკთა, განასხენდით უსასყიდლოთ მიგიღებიეს და უსასყიდლოთ მისცემდით. ფსალმუნი ყოველივე ჩემთა სასწაული ასდებილი რამეთუ შენ უფალო შემწე. ვ კორითელთა მიმართ: ძმანო სიტყვა იგი ჯუარისა წარწყმედულთა

1v / მათ თვის სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხონებულთა ამათთვის ძალ ღმრთისა არს, რამეთუ წერილ არს წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძებნთა და მეცნიერობაჲ იგი მეცნიერთა შეურაცხ-ყოთ სადა არს ბრძენი, სადა არს მწიგნობარი სადა არს გამომეძიებელი იგი ამის სოფლისა, ანუ არა განაცოფნა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისა, რამეთუ ვინაითგან

2r / ოდეს განრინებაჲდ სულისა თვისისა წარწყმიდო იგი და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთჳს, მან პოს იგი რაჲ სარგებელ არს კაცისა შე-თუ-იძინოს სოგფელი ყოველი და თავი თვისი წარიწყმიდოს გინა იზღვიოს, რომელსა სირცხვილ იჩნდეს ჩემდა მიმართ და სიტყუათა ჩემთა ამის ძე მანცა კაცისამან არცხჳნოს, ოდეს მოვიდეს

2v / დიდებითა თჳსითა მამისათა და წმიდათა ანგელოზთა გეტყვი თქუენ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემო სიკუდილისა ვიდრემდის იხილონ სასუფეველი ღმრთისა, რომელ მათსა სირცხვილ უჩნდეს ჩემდა მიმართ სიტყვათა ჩემთა ასმას, რომელმანცა კაცისა მან არცხვინოს

3r / ოდეს მოვიდეს დიდებითა თვისითა მამისათა და წმიდათა ანგელოზთა გეტყჳ თქუენ: „არიან ვინმე აქა მდგომელთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემო სიკუდილისა ვიდრემდის ახილონ სასუფეველი ღმრთისაჲ. ჰმობდეს მართალნი უფლისაჲ მიმართ დ~სდბელი შეგესემინ ღმრთისა ლოცვისა ჩემისა ზ ებრაელთა მიმართ ებრ ძმანო ყოველნი წმიდანი სარწ

* **მინაწერი:** ამის მწერალს ქაუზაის გურჩან… …ნინ.

3v / მუნოებითურ ოდეს მეფეთა იქმოდეს სიმართლესა მიმემთხჳნეს აღთქმასა და იყუნეს ღირსნი ლომთანი დაშრიტეს ძალი ცხოველისა განერეს პირსა მახვილისასა განძლიერდეს უძლურებისა იქმნნეს ძლიერ ბრძოლასა შინა ბანაკები აოტეს უცხოთ სულთა მოიყვანნეს დედათა აღდგომილნი მკუდარნი


4r / წინასწარ განგიათაჲ ჩუენთჳს რაჲთა არა თჳნიერ ჩუენისა სურულ იქმნნა. ალ~ჲ მართალი, ვითარცა ფინიკი აღყვავნეს და ვითარცა ნაძუ ლიბანისაგან მრავალდენ.

სახარებაჲ ლუკასი ჰრქუა უფალმან: „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა ძემანცა კაცისა მან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა და რომელმან უვარ-მყოს

4v / ყოველივე კაცთა უვარ ქმნნეს გიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა და ყოველმან, რომელმან თქუა სიტყუა ძისა მიმართ კაცისა მიეტოს და ოდეს შეგიყუნან თქუენსა შესაკრებელსა და წინაშე მთავართა და ჴელმწიფეთა ნუ ზრუნავთა ნურასა სიტყუა მიგოთ, რამეთუ სულმან წმინდამან გუასწაოს თქუენ მას ჟამსა შინა, რაჲთა იგი სთხოვოთ.

Q 637 ა

რაობა:	სვინაქსარი (პალიმფსესტი)
თარიღი:	XIV-XV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური (ქვედა ფენა ასომთავრულით)
ზომა:	27,8x21,5
Content:	Synaxarion
Date:	XIV-XV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri (lower layer in Asomtavruli)
Size:	27,8x21,5



ტექსტი

ზედა შრე (თვესა აგვისტოსა იგ, წმინდა მაქსიმე აღმსარებლისაჲ)

1r / უფროჲს მის ქალაქისა და განაქიქნეს და ესრეთ გუემულნი ექსორია ყვნეს სამეგრელოს და მიერ განიყვნეს, რამეთუ ესრეთ აქუნდა ბრძნობაჲ მეფისაგან და წარიყვანეს წმიდაჲ მაქსიმე განკაფული სენთაგან და შვაწყუდიეს ციხესა, რომელს ა… და დ… …რ მახლობლად ქუეყანასა ოვსეთისასა და მოწაფე მისი ანასტასიოს შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კოტორი და მეორე მოწაფე მისი ანასტასიოს შეაყენეს ციხესა სახელით ბუკელეს საზღვართავე ოვსეთისათა და შემდგომად მცირედისა გამოიყვანნეს სეხნანი იგი ძმანი ციხეთა მათგან და წარიყვანეს ხუცესი ანასტასიოს ციხესა სუანთა სოფლისსა და ვიდრე არღა

მიწევნულ იყო ციხესა მას განკაფ(მეორე სვეტი)ული მრავალთა ჭირთაგან მივიდა წინაშე უფლისა. თუესა ივლისსაკდ. და ანასტასი დიაკონი წარიყვანეს ციხესა თაკუჱრისსა აფხაზეთს და ვითარცა მოკუდა მეფე იგი, იეცა ფლობაჲ და მოვიდა საბერძნეთად და ყოველთავე გუაუწყა, რაჲ იგი შეემთხჳა მათ და სიწმიდით აღსრულა ცხორებაჲ თჳსი, ხოლო წმიდაჲ და სამგზის სანატრელი მაქსიმე შეიყენა ზემოჴსენებულსა მას ციხესა და წერდა ეპისტოლეთა მართლისა სარწმუნოებისათჳს, რამეთუ კალამი მოიბა და კუჱთილსა მას ჴელსა დაწერნ და ესრეთ მადლითა ღმრთისაჲთა აღიარა და დაამტკიცა მართალი სარწმუნოებაჲ და ესრეთ აღესრულა დაჴელთაღმრთისათა შეჰვედრა სული თჳსი თვესა აგჳსტოსსა იგ, ოთხმეოცდაათისა წლისამან და დამარხეს წმიდაჲ იგი გ(1v)უამი მისი მონასტერსა წმიდისა არსენისსა, ხოლო კურნებანი და ძალნი მრავალნი იქნებიან საფლავსა, ვიდრე აქამომდე, ხოლო აღსრულების საჴსენებელი მისი ამასცა დღესა და კუალად იანვარსაცა კა. ოდეს იგი დაჰუჱთნეს ენანი და ჴელნი მათნი, ვითარცა განაწესეს წმიდათა მამათა მეექუსისა კრებისათა.

ამასვე დღესა წმიდათა მოწამეთა პამფილე, კაპიტონ და წმიდისა სერგის და სტეფანესი და ჴსენებაჲ ევდუკია დედოფლისაჲ.

და მსგეფსი ფერისცვალებისაჲ.


ყოველი საგალობელი დღესასწაულისაჲ ითქუას. მწუხრისა. და ცისკრად და სამხრად. და წარიგზავნოს დღესასწაულისა, ხოლო წმიდისა მაქსიმესთჳს. სამხრად წარდგომაჲ. იქადიან წმიდანი დიდებით. დასდებელი. უგალობდით უფალსა გალობ

(მეორე სვეტი) პავლე ტიმოთესი გ. შვილო ტიმოთე სარწმუნო არს სიტყუაჲ. ვიდრე სახელსა უფლისსა. ზღუ შობილსა ლგ. შჳდეულსა ალჲ თმენით დაუთმე უფალსა. სახარებაჲ ლუკასი რმი. შენ, რომელმან აღიაროს ჩემდა მო.

ვიდრე რაჲ იგი სთქუათ.

თუესა აგჳსტოსსა იდ. წინადღესა წმიდისა …ისა მიცვალებისაჲ და წმიდისა მღდელმმოწამისა მარკელესი აპამელ ეპისკოპოსისა და სამეოცდაათთა მოწაფეთა მისთაჲ, ესე იყო თევდოსის ზე მეფისა, ნათესავითკჳპრელი, სადა იგი ერისკაცობასა მთავრობდა, რამეთუ ზრუნვაჲ მისი რწმუნებულ იყო მისდა რომელთა ყოველნი განაკჳრვნა ღმრთისმსახურებითა და კეთილად დაგეგებითა საქმეთაჲ, ხოლო მისა შემდგომად იქმნა ეპისკოპოს აპამიისა, რომელ არ… ასურეთისაჲ და დიდთა

Q 637 ბ



რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XIII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	5 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	23,5x18
Content:	Four Gospels
Date:	XIII c.
Number of folia:	5 folios
Script:	Nuskhuri
Size:	23,5x18

ტექსტი

მათე 26-29, 30, 31, 32, 33, 34

1r/ გან ნაყოფისაგან ამის ვენაჴისა, ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა თქუენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.

და გალობაჲ წართქუჱს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.

მაშინ ჰრქუა მათ იესუ: თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი და განიბნივნენ ცხოვარნი სამწყსოჲსა მისისანი.

ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა წინა-წარგიძღუჱ თქუენ გალილიას.

მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: დაღათუ ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე.

ჰრქუა მას იესუ: ამენ გეტყუ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე სამგზის უარ-მყო მე.

მათე 26-35, 36, 37, 38, 39

ჰრქუა მას პეტრე: დაღათუ ჯერ-იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არასადა უარგყო შენ.

და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი მოწაფენი იტყოდეს.

მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა ადგილსა, რომელსა ჰრქჳან გეთსიმანიაჲ, და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო.

და წარიყვანა (!) პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარებად და ურვად.

მაშინ ჰრქუა მათ იესუ: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე; დაადგერით აქა და იღჳძებდით ჩემ თანა.

და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჴადინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარცა მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ.

ლუკაჲსი

და ეჩუჱნა მას ანგელოზი ზეცით, განაძლიერებდა მას. და იყო იგი ღუაწლსა შინა და უმეტესღა ილოცვიდა. და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისაჲ, გარდამომავალი ქუეყანასა ზედა და აღდგა მიერ ლოცვისაგან[462].

მათესი

და მოვიდა მოწაფეთა თანა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პეტრეს: ესოდენ ვერ უძლე ჟამ ერთ მღჳძარებად ჩემ თანა?

იღჳძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხჳდეთ განსაცდელსა;

1v სული / გულსმოდგინე არს, ჴოლო ჴორცნი - უძლურ.

კუალად მეორედ წარვიდა და ილოცვიდა და თქუა: მამაო ჩემო, უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანაწარსლვად ჩემდა, რაჲთამცა არა შევსჳ, იყავნ ნებაჲ შენი.

და მოვიდა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ.

[462] ეს აბზაცი ოთხთავის არცერთ თავში არ ჩანს. სიმფონიაშიც არ იძებნება აქ მოხმობილი სიტყვები (თუმცა აწერია ლუკაჲსი).

და დაუტევნა იგინი და კუალად წარვიდა მესამედ და ილოცვიდა და მასვე სიტყუასა იტყოდა.

მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ:

დაიძინეთ ამიერითგან და განისუჱნეთ. აჰა ესერა, მოახლებულ არს ჟამი და ზე კაცისაჲ მიეცეს ჴელთა ცოდვილთასა. აღდეგით, წარვედით ამიერ! აჰა ესერა, მოიწია მიმცემელი ჩემი.

და ვიდრე იგი იტყოდაღა, აჰა ესერა, იუდა, ერთი ათორმეტთაგანი, მოვიდა და მის თანა ერი მრავალი მახჳლითა და წათებითა მღდელთმოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.

ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა სწავლად და ჰრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი!

და მეყსეულად მოუჴდა იესუს და ჰრქუა: გიხაროდენ, მოძღუარ! - და ამბორს-უყო მას.

ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო, რომლისათჳსცა მოსრულ ხარ?

მაშინ მოუჴდეს და დაასხნეს ჴელნი მათნი იესუს ზედა და შეიპყრეს იგი.

და, აჰა ესერა, ერთმან იესუჲსთანამან მიყო ჴელი და იჴადა მახჳლი და სცა მონასა მღდელთმოძღურისასა და წარჰკუჱთა ყური მისი.

მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახჳლი ადგილსავე თჳსსა,

რამეთუ ყოველთა, რომელთა აღიღონ (!)[463], მახჳლითა წარწყმდენ.

ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ.

და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?

მას ჟამსა შინა ჰრქუა იესუ ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა

2r / გამოხუჱდით [მახჳლითა] და წათებითა შეპყრობად ჩემდა; დღითი დღე თქუენ თანა ვჯედ ტაძარსა მას შინა და გასწავებდ და არა შემიპყართ მე.

ხოლო ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულნენ წიგნნი წინაჲსწარმეტყუელთანი. მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

ხოლო მათ შეიპყრეს [იესუ და] მიიყვანეს იგი კაჲა[ფაჲსა] მღდელთმოძღურისა, [სადა-იგი] [მწი]გნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს.

ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მღდელთმოძღურისა. და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა.

ხოლო მღდელთმოძღუარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრებული ეძიებდეს ცრუმოწამეთა იესუჲსთჳს, რაჲთამცა მოკლეს იგი, და არა ჰპოებდეს,

და მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუმოწამენი და არა პოვნეს. ხოლო უკუანაჲსკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი და თქუჱს, ვითარმედ: ამან ესრე თქუა: ძალ-მიც დარღუჱვად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად.

მაშინ აღდგა მღდელთმოძღუარი იგი და ჰრქუა მას: არარას მიუგება, რასაესე შეგწამებენ შენ?

ხოლო იესუ დუმნა.

მაშინ მღდელთმოძღუარმან მან ჰრქუა მას: გაფუცებ შენ ღმერთსა ცხოველსა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ?

ჰრქუა მას იესუ: შენ სთქუ. ხოლო [გეტყჳ თქუენ: ა]მიერითგან ი[ხილოთ] ძე

[463] აკლია: მახჳლი.

კაცისაჲ, მჯდომარე მარჯუჳნით ძლიერებათა და მომავალი [ღრუბე]ლთა თანა ცისათა.

მაშინ მღდელთმოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა, ვითარმედ: გმო(!) აწ უკუჳ რაჲსაღა გჳჭმან მოწამენი?

2v / აჰა ესერა, გესმა გმობაჲ მაგისი.

რაჲ გნებავს თქუენ?

ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუჳს: თანამდებ არს სიკუდილისა.

მაშინ ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა და ჴურთითა სცემდეს თავსა მისსა და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს და ეტყოდეს: გჳწინაჲსწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?

ხოლო პეტრე ჯდა გარეშე ეზოსა შინა, მოუჴდა მას ერთი მჴევალი და ჰრქუა მას: შენცა იყავ იესუჲს თანა, გალილეველისა.

ხოლო მან უვარ-ყო წინაშე ყოველთა და თქუა: არა ვიცი, რასა იტყჳ.

და ვითარ გამოვიდა იგი გარეშე ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესუჲს თანა ნაზარეველისა.

და მერმეცა უარ-ყო პეტრე ფიცით და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი კაცი [იგი].

[და შემდგომად] მცირედისა მოუ[ჴდეს] მუნ მდგომარენი [იგი] პეტრეს და ჰრქუჳს მას: ჭ[ეშმარიტად] შენცა მათგანი ხარ და რამეთუ სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს შენ.

მაშინ იწყო შეჩუჳნებად და ფიცად, ვ[ითარმედ]: არა ვიცი კაცი იგი.

და მეყსეყლად ქათამმან იყი[ვლა].

და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი იესუჲსი, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე სამ[გზის] უარ-[მყო] მე.

და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარე[დ].

და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს ყოველთა მღდელთმოძღუართა და მოხუცებულთა ერისათა იესუჲსთჳს, რაჲთა მოკლან იგი. და შეკრეს იგი და მისცეს იგი პონტოელსა პილატეს, მთავარსა.

მათესი ტ˜ნბ

3r / [და ვითარცა განთენა], ზრახვა-ყვეს ყოველთა მღდელთმოძღუართა და მოხუცებულთა ერისათა იესუჲსთჳს, რაჲთა მოკლან იგი.

და მისცეს იგი პონტოელსა პილატეს, მთავარსა[464].

მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოცდაათი იგი ვეცხლი მღდელთმოძღუართა მიმართ და მოხუცებულთა და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი.

ხოლო მათ ჰრქუჳს მას: ჩუენდა … … … [465], შენ იხილე

და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილ-იბა.

ხოლო მღდელთმოძღუართა მათ მოიღეს ვეცხლი იგი და თქუჳს: არა ჯერ-არს ესე დადებად

სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს, და ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მითა აგარაკი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა.

[464] 1 და 2 მუხლი მეორდება.

[465] F 9 რაჲჲ, მაგრამ აქ ეს სიტყვა არ უნდა იყოს.

ამისთჳს ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისაჲ ვიდრე აქა დღედმდე.

მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: და მოვიღე ოცდაათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჱლისათა და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან.

ხოლო იესუ დადგა წინაშე მთავრისა მის. და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენ ხარა მეფჱ ჰურიათაჲ?

ხოლო იესუ ჰრქუა მას: შენ იტყჳ.

და შესმენასა მას მღდელთმოძღუართასა და მოხუცებულთასა არარაჲ მიუგო.

მაშინ ჰრქუა მას პილატე: არა გესმისა, რაოდენსა შეგწამებენ შენ?

და არარაჲ მიუგო მაშინ არცა ერთისა

3v სიტ / ყჳსათჳს, ვიდრემდე უკჳრდა მთავარსა მას.

ხოლო დღესასწაულსა ჩუჱულ იყო მთავარი იგი და მიუტევის ერსა მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათ.

ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა ბარაბა.

და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთა ამათგანი და მიგიტეო თქუენ, ბარაბა ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?

რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი.

და ვითარცა დაჯდა პილატე საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან მისმან და ჰრქუა მას: არარაჲ ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაჲ? რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩუჱნებით მაგისთჳს.

ხოლო მღდელთმოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რაჲთა გამოითხოონ ბარაბა, ხოლო იესუ წარწყმიდონ.

[მიუგო] [მთა]ვარმან მან [და ჰრქუა მათ]: ვინ გნებავს [ორთა] [ამათ]განი და მიგიტეო თქუენ?

ხოლო მათ ჰრქუჱს: ბარაბა.

ჰრქუა მათ პილატე: რაჲ უკუჱ უყო იესუს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?

ჰრქუჱს მას ყოველთა: ჯუარს-ეცჳნ!

ხოლო მთავარმან ჰრქუა მათ: რაჲ ბოროტი უქმნიეს?

ხოლო იგინი უმეტესად ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცჳნ!

ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანნა ჴელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ.

და მიუგო ყოველმან ერმან და თქუჱს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა.

მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუან.

მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარიყვა

4r/ [ნეს] [იესუ] ტაძრად და შეკ[რი]ბეს მ[ის] [ზედა] ნათესავები იგი ყოველი.

და განძარცუჱს იგი და ქლამინდი მეწამელი შეჰმოსეს მას.

და შეთხზეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა [მ]ისსა და ლერწმითა

სცე[მ]დეს მარჯუჱნესა ჴელსა მი[სს]ა და მუჴლნი დაიდგ[ნე]ს მის წინაშე, ემღერდეს და ეტყოდეს: გიხაროდენ, მეფეო[466] ჰურიათაო!

და ჰნერწ[ყუვი]დეს მას და მოიღეს [ლერწამი] [და] სცემდეს [თავსა მისსა].

და ოდეს გან[კიცხეს] იგი, განძარც[უჱს] მას ქლამინდი იგი და შემოსეს მას თ[ჳისივე] [ს]ამოსელი და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან.

მათე 27-32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39

ლუკა 23-39, 40

და ვითარცა გამოვიდეს იგინი [მიერ], პოეს კაცი კჳრინელი, [სა]ხელით სიმონ. ესე წარიქცეს პაჰრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი და მ[ო]ვიდეს ადგილსა მას, რომელსა ჰრქჳან გოლგოთაჲ, რომელ არს თხემისა ადგილი.

და მისცეს მას ძმარი ნავღლითა აღზავებული. და გემოჲ რაჲ იხილა, არა უნდა სუმის.

და ვითარცა ჯუარს-აცუჱს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი. დასხდეს მუნ და სცვიდეს მას.

და დასდვეს თავსა მისსა ზედა ბრალი, მისი დაწერილი: ესე არს იესუ, მეფჱ ჰურიათაჲ.

ლუკაჲსი[467]

მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუჱნით და ერთი მარცხენით.

39 ხოლო ერთი იგი ძჳრისმოქმედი ჰგმობდა მას და ეტყოდა: შენ[თუ] ხარ ქრისტე, იჴსენ თავი შენი და ჩუენცა.

40 მიუგო ერთმან მან მოყუასმან: შ[ეჰრი]სხნა მას და ეტყოდა: [არცაღ]ა გეშინის

ლუკა 23- 40, 41, 42, 43

მათე 27-39, 40, 41, 42

შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ

[რამეთუ] ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მო[გუჱგე]ბის, ხოლო ამან არა /

4v / რაჲ უჯეროჲ ქმნა.

და ეტყოდა იესუს: მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა.

ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყჳ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა.

მათესი

ხოლო წარმავალნი იგი ჰგმობდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა და იტყოდეს: რომელი დაჰჴსნიდა ტაძარსა ამას და მესამესა დღესა აღაშენებდ, იჴსენ თავი თჳსი, უკუჱთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდამოჴედ მაგიერ ჯუარით!

ეგრეთვე მღდელთმოძღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს:

სხუანი აცხოვნნა, თავი თჳსი [ვერ] ძალ-უც ცხოვნებად. უკუჱთუ მეფჱ ისრაჱლისაჲ არს, გარდამოჴედინ აწ მაგიერ ჯუარით და გურწმენეს იგი.

[466] მფ~ო.

[467] ლუკაჲსი - მიწერილია მთავრულად მარჯვენა კიდეზე.

მათე 27- 43, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51

უკუჱთუ ესვიდა ღმერთსა, იჴსნა იგი; უკუჱთუ ჰნებავს იგი, რამეთუ თქუა: ძე ღმრთისაჲ ვარი მე.

ხოლო მეექუსით ჟამით[გან] დაბნელდა [ყოველი] ქუეყანაჲ, [ვიდრე] მეცხრედ ჟამადმდე.

[და] [მე]ცხრესა ოდენ ჟამსა ყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ილი, ილი, ლიმა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო, ღმერთო - ჩემო, რაჲსათჳს დამიტევე მე?

და რომელ მუნ მდგომარეთა ესმა და იტყოდეს, ვითარმედ: ელიას უჴმობს ესე.


და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა მას.

ხოლო სხუანი იტყოდეს: აცადეთ და ვიხილოთ, უკუჱთუ [ე]ლია მოვიდეს ჴსნად მაგისა.

ხოლო იესუ კუალად ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული.

და აჰა კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზე[ით]გან ვიდრე ქუჱმდე და ქუჱყანაჲ.

Q 783



რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XIII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	3 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	25,9x19,8
Content:	Four Gospels
Date:	XIII c.
Number of folia:	3 folios
Script:	Nuskhuri
Size:	25,9x19,8

ტექსტი

1r / [არცა ქუეყანასა], არცა სკორესა სარგებელ
არს, არამედ გარე განდვან იგი. რომელსა
ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

და იყვნეს ყოველნი მეზუჱრენი და ცოდვილნი
მახლობელად მისა და ისმენდეს მისა
და დრტჳნვიდეს ფარისეველნი და მწიგნო
ბარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდ
ვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს
და სუამს.

და ეტყოდა მათ იგავსაცა ამას და ჰრქუა: ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს მას ერთი მათგანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმოც და ათ-ცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთჳს.

ვიდრემდე პოვის იგი და იპოვოს რაჲ, დაისუას იგი მჴართა თჳსთა ზედა სიხარულით და მო-რაჲ-ვიდეს იგი სახედ თჳსა, მოუწოდოს მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ:

ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი იგი ჩემი, წარწყმედული. გეტყჳ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეღა არა[468] ოთხმეოც და ათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უჴმს სინანული.

გინა დედაკაცსა, რომელსა აქუნდა დრაქმაჲ

ი~ ათი და წარუწყმდეს ერთი, არა-მე აღანთისა სანთელი და მოჰმართის სახლი და ეძიებნ გულსმოდგინედ, ვიდრემდის პოჲს იგი. და პოჲს რაჲ, მოუწოდოს მეგო

1v ბართა და მოძმეთა / და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე დრაქმაჲ, რომელი წარმიწყმდა.

გეტყჳ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს.

მერმე ეტყოდა და ჰრქუა კაცსა ვისმე

ესხნეს ორ ძე და ჰრქუა უმრწამესმან მან მამასა თჳსსა: მომეც მე, რაჲცა მხუდების, ნაწილი სამკჳდრებელისაჲ.

და განუყო მათ საცხორებელი იგი და შემდგომად არამრავალთა დღეთა შეიკრიბა[469] ყოველი უმრწამემან მან ძემან და წარვიდა შორსა სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ცხონდებოდა იგი არაწმიდებით.

და ვითარცა წარაგო მან ყოველივე მისი, იყო სიყმილი ძლიერი მას სოფელსა და იწყო მან მოკლებად და მივიდა და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ხოლო მან წარავლინა იგი ველად თჳსა ძოვნად ღორთა.

და გული ეტყოდა განძღებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა-იგი ჭამდეს ღორნი, და არავინ სცის მას. განიზრახვიდა თავსა თჳსსა შორის და თქუა: რაოდენითა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები.

აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე, ვითარცა ერთი მუშაკთაგანი.

და აღდგა და მივიდა მამისა თჳსისა. და ვიდრე შორსღა იყო, იხილა იგი მამამან

2r / მისმან / და შეეწყალა იგი.

და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს-უყოფდა მას. და ჰრქუა მას ძემან მან: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა.

ჰრქუა მამამან მისმან მონათა თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცჳთ ბეჭედი ჴელთა მისთა და ჴამლნი ფერჴთა მისთა. და მოიბით ზუარაკი იგი მსუქანი და დაკალთ და ვჭამოთ და ვიხარებდეთ.

---

[468] ვ~ეღარა.
[469] შიკრიბა.

რამეთუ ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა. და იწყეს განცხრომად.

და იყო ძე იგი მისი უხუცესი ველსა გარე. და ვითარ მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, [ესმა][470] ჴმაჲ სიხარულისა და [განცხრომისაჲ].

და მოუწოდა ერთსა [მო]ნათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რაჲ არს ესე?

ხოლო მან ჰრქუა მას, რამეთუ: ძმაჲ შენი მოსრულ არს და მამამან შენმან[471] დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული, რამეთუ ცოცხლებით მოვიდა იგი.

ხოლო იგი განჰრისხნა და არა უნდა შინა შესლვად.

ხოლო მამაჲ მისი გამოვიდა და ჰლოცვიდა მას.

და მან მიუგო და ჰრქუა მამასა თჳსსა:

აჰა ესერა, ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არასადა მცნებასა შენსა გარდავჴედ და მე არასადა მომეც ერთი თიკანი, რაჲთამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე.

და ოდეს ძე ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჭამა საცხორებელი შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას ზუარაკი იგი ჭამებული.

2v / ხოლო მან ჰრქუა მას: შვილო, შენ მარადის [ჩემ თანა][472] ხარ და ჩემი ყოველი შენი არს. ხოლო აწ სიხარული და მხიარულებაჲ ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედული იყო და იპოვა.

და ეტყოდა მოწაფეთაცა: კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მნე და ესე შეასმინეს მას, ვითარმედ განაბნია ნაყოფი მისი.

და მოუწოდა და ჰრქუა მას: რაჲ არს ესე, რომელი მესმის შენთჳს? მომეც მე სიტყუაჲ სამნოჲსა შენისაჲ, რამეთუ არა ჴელ-გეწიფების ამიერითგან მონებად.

ხოლო მნემან მან თქუა გულსა თჳსსა: რაჲ ვყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიცა თხოვად მრცხუჱნის. აწ უწყი, რაჲ ვყო, რაჲთა რაჟამს გარდამადგინებდეს მნეობისაგან, შემიწყნარონ მე სახლეულთა მათთა.

და მოუწოდა კაცად-კაცადსა თანამდებსა უფლისა თჳსისასა და ჰრქუა პირველსა მას: რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისაჲ?

და მან თქუა: ასი საწნეხელი ზეთისაჲ.

და ჰრქუა მას: მიიღე ჴელითწერილი შენი და დაჯედ ადრე და დაწერე ერგასისი.

მერმე სხუასა ჰრქუა: შენ რაოდენი თანა-გაც? ხოლო მან ჰრქუა მას„ ასი სათუელი იფქლისაჲ.

ჰრქუა მასცა: მიიღე ჴელითწერილი შენი და დაწერე ოთხმეოცი.

და აქო უფალმან მნე იგი სიცრუვისაჲ, რამეთუ გონიერად ყო, რამეთუ ძენი იგი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა.

და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონისა მისგან

[470] მოხეულია.

[471] შენ.

[472] მოხეულია.

3r / სიცრუვისაჲ, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შეგიწყნარნენ თქუენ საუკუნეთა საყოფელთა.

სარწმუნოჲ იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსა ზედაცა ცრუ არს. უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ? და უკუეთუ სხჳსასა სარწმუნო არა იქმნეთ, თქუენ იგი ვინ მოგცეს?

არავის მონასა ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი იგი შეიყუაროს და ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხყოს.

ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და[473] მამონაჲსა.

ესმოდა ესე ყოველთა ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლისმოყუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას.

და ეტყოდა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თჳსთა წინაშე კაცთა.

ხოლო ღმერთმან იცის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა.

რამეთუ სჯული და წინაჲსწარმეტყუელნი ვიდრე იოვანესამდე (!): მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარების და ყოველივე მისა მიმართ იიძულების[474].

უადვილეს არს ცისა და ქუეყანისაჲ წარსლვაჲ, ვიდრეღა სჯულისა ერთი რქაჲ დავრდომად.

ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი და სხუაჲ შეირთოს, მან იმრუშა; და რომელმან განტევებული ქმრისაგან შეირთოს, მანცა იმრუშა.

კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი დღე ბრწყინვალედ.

3v გლახაკი / ვინმე იყო, რომლისა სახელი - ლაზარე, დავრდომილი წინაშე ბჭეთა მისთა და ქუჱ ძურებოდა.

და გული-ეტყოდა განძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცჳვნებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა, არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ლოშნიდეს წყლულსა მას მისსა.

იყო სიკუდილი გლახაკისა მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. მოკუდა მდიდარიცა იგი და დაიფლა და ჯოჯოხეთს შინა აღიხილნა თუალნი თჳსნი. იყო რაჲ ტანჯვასა შინა და იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა.

და მან ჴმა-ყო და თქუა: მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე, რაჲთა დააწოს მწუჱრვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა.

ხოლო აბრაჰამ ჰრქუა მას: შვილო, მოიჴსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა და ლაზარე ეგრეთვე ბოროტი მსგავსად მისა. და აწ ესერა აქა ნუგეშინისცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები.

[473] და+და.

[474] იძულების.


და ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რაჲთა, რომელსა უნდეს წიაღსლვად ამიერ მუნ თქუენდა, არ ჴელ-ეწიფების … არცა მაგიერ ჩუენდა წიაღმოსლვად.

ხოლო მან ჰრქუა: გლოცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა, რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაჲთა აუწყოს მათ და არა მოვიდენ იგინიცა აქა, ადგილსა ამას სატანჯველისასა.

ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაჲსწარმეტყუელნი … … …

Q 987

რაობა:	თომა მოციქულის წამება
თარიღი:	XIII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	34,4x24,7
Content:	Martyrdom of Apostle Thomas
Date:	XIII c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	34,4x24,7



ტექსტი

1r

1v / …ვნებად მოვიდა საკჳრველებათა მოციქული და ეძიებდა მცირედ ნაწილსა საწი…გან მისთა საკუ…ლად სნეულისა … და ეუწყა რაჲ ვითარმედ უჩინო ქმნულ არს გუამი მოციქული…ჲ, უბრძანა მოღე…დ მიწასაღა საფლ…ისა მისისასა, რომელი შეხებულ იყო …სე მსწრაფლ ყვ…ა დასდვა მამამან …ჲ იგი სნეულები მწოლარესა მან ზედა …ესა თჳსსა და მყის იხილა განცოცხლებულთა …დ ძალსა იგი განსწირ (მეორე სვეტი) მით სიკუდილითა უღთოებუსაჲთა.

ესერა ოდენი რაჲ იყო არა ჴუცბულ ჭეშმარიტებისაგან შემოვკრიბეთ და აღვწერეთ და შესასხმელად მოციქულისა განვაწესეთ ესევითარისა მიზეზ ჩუენდა არს სიხარულისა დღეს თომა, რომლისა მიერ ჰინდოთაცა ერნი და ბარბაროზნი ზეცად აღსლვად განსწავლულ იქმნნეს და რომელნი იგი ჴორცითა და შაღებულ იყვნეს შარავანდედთაგან მზისა ხილულისათა, ესენი განბრწყინდეს სულითა გამო-რაჲ-უბრწყინდა მათ საცნაურ იგი მზე უხილავად დაწმიდად სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ერთისა მის და განუყოფელისა ღმრთაებისა, რომელსა შუენის ყოველივე დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

2r

ნაჲ ჯეროვანთაგანისაჲ ვინაჲცა არცა ერთისა რაჲ სუმად … ლობისა, ანუ მეგობრობისა სულმოკლეობისა ბრალობად ღირს ვართ, არცა სიძულვილისათჳს განგეფოფვით შენ, კაცთმოყვარეო მეფეო, არამედ განმყვნა ჩუენ ამაომან ამან კერპთა საცთურმან და განცხადებით აღსაარებულსა წარწყმედისა მთხრობელსა


შთაბნ…ვა მან შენ მან, რომელი სწორადვე ჩუენცა შთაჭრად გუაიძულებ, რამეთუ ვიდრემდის მხოლოდ მსოფლიოჲსა მჴედრობისათჳს განვიკითხვოდეთ არარაჲს ჯეროვნისაგან დაკლებულ ვიქმნენით, გუჱწამონ ჩუენ შენცა, ვითარმედ არა ოდეს დაგუესაჯა უდებებაჲ რაჲმე, არცა უგულებელსყო(მეორე სვეტი)ფაჲ რაჲსმე ჴელთდებულისაჲ, არამედ მჴურვალე შური გუაქუნდა ამისსა მიმართ და ვითარ კუალად თითოეულსა ქრისტიანეთა შჯულისაებრ თქუენთვისცა მოწყალე ვჰყოთფდით.

ვინაჲთგან უკუჱ თჳთ მას თავსა კეთილთასა ღმრთისმსახურებასა წარკუთად ჩუენგან მნებებელ ხარ და დაჭირვებად ღმრთისა უკუანასკნელითა ამით ზღვევითა, რომლისა ვერცაღა თავსდებად შემძლებელ არს სული კეთილად მსახური. ამისთვის პატივთა და ნიჭთა სიმდიდრესა მოგუაჴსენება, ვითარ არა ვთქუათ შენთვის უსწავლელობაჲ კეთილთაჲ სამართლად თქუმითა, ხოლო რომელ ყოვლად თანა შეატყჱბ ამათ ურთიერთას და ვითარცა

2v

Q 996

რაობა:	დავითნი
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	19,8x14,7
Content:	Psalter
Date:	XI c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	19,8x14,7



ტექსტი

1r */ [დასცხ]ერ რისხვისაგან [და დაუტევე გულისწყრომაჲ და ნუ ეშურები, რაჲთამცა უკეთურებდი].

[რამეთუ უკეთ]ურ][ნი] [ა]დრე მოისრნენ.

… … … და არაჲ ყო უღმრთოჲ, ვეძიებდ [ადგილსა] [მ]ისსა [და] არა ვპოვე.

ხოლო მკუდ[რ]თა დაიმკ[ჳ]დრონ ქუეყანაჲ და იშვებდე[ნ] მრავლითა მშჯიდობითა.

უმზირს ცოდვილი მართალსა და იღრჭინნის მის ზედა კბილნი მისნი,

ხოლო უფალი ეცინინ მას.

წინასწარ ხედავნ, რამეთუ მოახნ დღეჲ მისი.

მახვილი ი … … … ეს ცოდვილთა, გარდააცვეს [მშ]ულდსა მათსა მოკლვად მისა, რომელნი წრფელ არიან.

---

* შენიშვნა: 1. ჩამოტანილია ზემო სვანეთიდან. 2. ფრაგმენტი ხელით წააგავს ხელნაწერ A-1562-ს, რომელიც აგრეთვე სვანეთიდან არის ჩამოტანილი. 3. ფსალმუნის ამავე ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი ამჟამად ინახება კალის (ზემო სვანეთი) კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაში.


დაცემად გლახაკისა და დავრდომილისა.
მახვილი მათი განეწონა გულსა მ[ათსა]
და [მშჳ]ლდი მათი შეიმოსრენ … … … ცოდვილთასა.
შჯობნ მცირედი მართლისა, ვიდრე სიმდიდრესა … … …
რამეთუ ყოველნი მკლავნი ცოდვილთანი

1v შეიმოსრნენ /[475] … … …
სა ცოდვილნი წარწყ[მდენ], … … … [მტერნი]
[უფ]ლისანი დიდებასა ოდენ [მათსა] და
ამ[აღლე]ბასა … … …
და ვითარცა კამლინი (!) განქარ[დენ].
[ივას]ხის ცოდვილმან, არაჲ მიაგის … … … მართალსა მას ეწყალინ და მისცის.
… … … [რამეთუ] მაკორთხეველთა მისთა დაიმკჳდრონ
ქუეყანაჲ, ხოლო მწყევარნი[476] მ[ისნი] [მოისრნენ]
უფლისა მიერ სლვაჲ კაცისა[477] … … … … … …
გზაჲ მისი ენებოს ფრიად.
… … … ნის … … … მართლისა არა [განამტკიცებს]
ჴელსა, მპყრობელსა მისსა.

[ყრმ]აჲ ვიყავ, დავბერდი და არაჲ ვიხილე

Q 1054

რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	25,2x19,3
Content:	Four Gospels
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	25,2x19,3



ტექსტი

1r / შესლვად გეჰენიასა ცეცხლისასა უშრეტსა.
და უკუჱთუ გაბრკოლებდეს ფერჳი შენი, მოჲკუჱთე იგი. უმჯობეს არს შენდა მკელობელესა (!) შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერჳითა შესლვად გეჰენიასა.
და უკუჱთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი. უმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე ორითა თუალითა შთაგდებად გეჰენიასა,

[475] პირველი 4 სტრიქონი გადარეცხილია, არ იკითხება.
[476] მწევარნი.
[477] გადარეცხილია.

სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების და ცეცხლი არა დაშრტების, რამეთუ ყოველივე ცეცხლითა დაიმარილოს.

კეთილ არს მარილი; უკუჱთუ მარილი ტკბილ იყოს, რაჲთა დაიმარილოს?

გაქუს თავისა თქუენისა თანა მარილი

და მშჯდობით იყვენით ურთიერთას.

და აღდგა მიერ იესუ და მოვიდა საზღვართა ჰურიასტანისათა, წიაღ იორდანესა. და შეკრბებოდა მისსა კუალად ერი მრავალი, და ვითარცა ჩუჱულ იყო, ასწავებდა მათ. ხოლო ფარისეველნი იგი მოუჴდეს და ჰკითხვიდეს მას, უკუჱთუ ჯერარს კაცისაჲ ცოლისა თჳსისა განტევებაჲ. და გამოსცდიდეს მას.

ხოლო იესუ[478] მიუგო და ჰრქუა მათ: ვითარ გამეცნო თქუჱნ მოსე?

1v / ხოლო მათ / ჰრქუეს[479]: მოსე ბრძანა წიგნი განშორებისაჲ მიცემად და განტევებად.

მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: გულფიცხელობისა თქუენისათჳს დაწერა მოსე მცნებაჲ ეგე, ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი ღმერთმან და თქუა:

ამისთჳს დაუტეოს კაცმან მამაჲ თჳსი და[480] დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა და იყვნენ ორნივე იგი ერთჴორც; რომელნი-იგი

ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.


და მერმე სახლსა შინა მაგისვე სიტყჳსათჳს ჰკითხვიდეს მოწაფენი [მისნი].

ხოლო იესუ ჰრქუა მათ: უკუჱთუ განუტეოს ქმარმან ცოლი თჳსი და შეირთოს მან სხუაჲ, [მან] იმრუშა. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეეყოს სხუასა, მანცა იმრუშა.

და მოჰგურიდეს ყრმებსა, რაჲთა ჴელი დასდვას მათ. ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელნი-იგი მიჰგურიდეს.

ვითარცა იხილა იესუ, შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ. ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ რომელმან [არა] შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ … … …

Q 1126 ა



რაობა:	თვენი
თარიღი:	XIII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22,2x16,6
Content:	Menaion
Date:	XIII c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	22,2x16,6

[478] F 9 - თავადმან, HIK - თავადმან.

[479] გახსნილია.

[480] და + და.

ტექსტი

1r / გამვლნე, დ გუერდი, მოიხილე

გოდოლ სიმტ[481] … … … ჱტ ეკლესისა(!) იწოდე,მამაო, ხოლო მწვალებელთა დამცემელ და ბანაკისა მაღლისა ძლიერად შემმუსრველი და განმბნეველი და სამყაროჲსა ქრისტეს ძალმწე და სარწმუნოებისა წინამბრძოლ.

თუესა ნოენბერსა კა.

ტაძრად მიყვანებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ.

ა~ ეჰ[ა] დიდებულნი

დღეს განსცხრებოდეთ, მორწმუნენო, გალობით შესხმითა ვადიდებდეთ ქრისტესა და ღირსად პატივ-სცემდეთ სიწმიდისა კარავსა სულიერსა ტაძარსა დაუტევნელისა სიტყჳსა დამტევნელსა, რამეთუ შეიწირვის ღმრთისა ჩჩჳლი უვაღრესი ბუნებათაჲ და მღდელთმოძღუარი დიდი ზაქარია შიშით შეიწყნარებს განმხიარულებული, ვითარცა საყდარსა ღირსსა[482].

დღეს ტაძარი იგი სულიერი და სამკჳდრებელი ქრისტეს ღმრთისაჲ, უბიწოჲ, მხოლოჲ შორის დედათა მარადის კურთხეული ტაძრად მიიყვანების[483] წმიდასა[484] წმიდათასა დამკჳდრებად და იხარებენ მის თანა სულიერად იოვაკიმ და[485] ანნა და ქალწულნი შემასხმელნი დღეს უფალსა აქებენ ფსალმუნთა გალობითა და პატივსცემენ დედასა მისსა.

შენ ხარ წინაჲსწარმეტყუელთა ქადაგებაჲ, მოციქულთა ძალ, მოწამეთა სიმტკიცე და კაცთა განახლებაჲ, ქალწულო წმიდაო, რამეთუ ჩუენ შენ მიერ, დედაო ღმერთისაო, ღმერთსა დავეგენით; ამისთჳსცა პატივ-სცემთ ტაძრად უფლისა შეყვანებასა შენსა და ანგელოზთა თანა შეგასხამთ.

გიხაროდენ, სძალო, რომლისა მეოხებითა პოვა სოფელმან დიდი წყალობაჲ.

სხუანი. ა.

ძლ. შენ სიტყუაჲ დ

ლამპრითა ბრწყინვალითა დღეს
ქალწულნი ქალწულსა
წმიდასა უპირობენ წინაჲსწარმეტყუელებენ
და მოასწავებენ ყოფადსა მას
ტაძრი[486] … … …

1v /ლოჲსა,
რომელი დიდებით ტაძრად მიიყვანების
ჩჩჳლი უბიწოჲ, ქალწული წმიდაჲ.

აღთქუმისა ყოვლადწმიდისა
ნაყოფად უბიწოდ
ღმრთისმშობელი გამოჩნდა

[481] მოხეულია.
[482] ღისსა.
[483] მიყვანების.
[484] წ~ა.
[485] და+და.
[486] მოხეულია.

ყოველთა უზეშთაესი,
უმაღლესი ცათაჲ
და სიწმიდით შეიყვანების ტაძრად ღმრთისა
აღსრულებად აღთქუმასა მას მშობელთასა
და დაცვად სულითა წმიდითა.

ზეცისა საზრდელითა
იზარდებოდე, ღირსო,
ტაძარსა მას შინა
უფლისასა უბიწოჲ
და უშევ სოფელსა
პური იგი
ცხორებისაჲ - სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
ზეცისა სძალო, ქალწულო, მითხოვილო
საჲდუმლოდ ღმრთისა მაღლისა.

სხუანი. დ. მჴნეონი[487]
წმიდასა მას წმიდათასა
წმიდაჲ და ყოვლადუბიწოჲ
სულისა მიერ წმიდისა დღეს დაემკჳდრების
და წმიდისა ანგელოზისა ჴელითა აღიზარდების
ტაძრად ყოვლად უბიწოდ
ღმრთისა ჩუენისა წმიდისა,
რომელმან კაცნი
წმიდა-ყვნა ამის შორის
ჴორცთშესხმითა
და ღმერთ-ყო ბუნებაჲ ჩუენი,
მოკუდავქმნილი ცთომისა მიერ.

ქალწულნი იხარებენ აწ
და ლამპრითა ბრწყინვალითა
ლამპარსა მას საცნაურსა წინა-უძღჳან დღეს
და შეიყვანე[488] შენ წმიდასა
წმიდათასა სიწმიდით
და წინაჲთვე აუწყებენ
ნათლისა
მისგან შობასა
განათლებად, რომელნი
ბნელსა შინა
და აჩრდილთა სიკუდილისათა
განწირულნი მსხდომარე იყვნეს.

სიხარული … … … თ შეიწყნარე, -
ზაქარია ღაღადებდა,

[487] ეს სიტყვა მარცხენა კიდეზე წერია.
[488] შეიყვნე.

ანნა, ყოვლადქებული, რომელისათჳს ქადაგეს
წინაჲსწარმეტყუელთა სულითა[489]
და ესე შეიწყნარე
წმიდასა[490] წმიდათასა
სიწმიდით აღზრდად მას შინა,
რაჲთა გამოჩნდეს
ყოველთა მეუფისა
საყდრად წმიდად,
საღმრთოდ ცხედრად და პალატად[491]
და ნათლით შემოსილად საყოფლად.

სხუანი
არ გადადის
2r [492]/ დიდებულო
ბრწყინვალებითა მით სულიერითა
განანათლებს ეკლესიასა ქრისტესსა
და ახარებს ყოველთა,
რომელნი ს[ურ]ვილით, ყოვლად[სა]ნატრელო სტეფანე,
გალობით ადიდებენ.

ღმრთის [მშობელო][493], მორწმუნეთა სასოო, მოწამეთა
სიმტკიცეო და მოღუაწეთა [ძალო]
და ყოველთა მართალთა სიქადულო,
გჳსნენ ჩუენ ყოველთაგან
მტერისა საბრჳეთა
და შემწე-გუჱყავ ჩუენ, რომელნი გალობით გადიდებთ.

მასვე დღესა წმიდისა მოწამისა ირინარხოჲსი
ბ~ ი~
უფალო, საჳსენებელსა
დიდთა მათ ღუაწლთა დიდისა მოწამისათა
და შრომათა[494] … … … რისათა
მოვედით, მორწმუნენო, ღირსად პატივ-ვსცემდეთ
… [მი]მართ ჳმა-ვყოთ:
მეოხებითა
შენითა ყოველთა ჭირთა … … … ნენ, სახიერ.

მშჳდობაჲ მრავალი ღმრთისა მიერ მოგ[495] … … …

[489] სი~თა
[490] წ~ა
[491] პლ~ტდ
[492] აქედან სხვა ხელია
[493] ამოხეულია
[494] მოხეულია
[495] მოხეულია

და შრომათა შენთათჳს და ღელვასა განს[496] … … …
ექმენ, ირინარხო ნეტარო,
მჴნეო მჴედარ[ო][497] … … …
მელთა შენთაო, მეოხ-გუჱყავ ჩუენ.

იღუაწა[498] შენ თანა[499] … … … თამან
და ყრმათა
საღმრთომან ბანაკმან
ა … … …[500] სა აკაკის
თანა
საცთურსა რაჲ განაქარვ … … …[501]
ირინარხო სანატრელო, მეოხო ჩუენო.

წარდგომაჲ[502] … … …
განმრავლდა საღმრთოჲ მშჯდობაჲ შენ შორის
ღმერთშემოსი … … … ხო,
რამეთუ მტერი შეჰმუსრა[503] და საცთურსა მძლე ექმენ
და მტერობაჲ დააცხრვე ღმრთისა მადლითა
და სიმტკიცითა ფრიადითა უ … … … რაჲცა მორწმუნენი გევედრებით ყოვლისა … … … ნე … … … სა … … … გან გამოიჴსნენ,
რომელნი წმიდასა[504] საჴსენებელსა შენსა სარწმუნოებით ვდღესასწაულობთ.
უგალობდითსა[505] … … …

ძლ. უკულე

საცთურთაგან
და შფოთთა … … … აჩუ … … … დ[ღე]თა დაამშჯდე
გონებაჲ ჩემი, ღმერთშემოსილო ირინარხო, რაჲთა
მშჯდობით და მყუდროებით ჴსენებასა შენსა ვაქებდეთ.

მშჯდობისა გჯრგჯნი მჴსნელისაგან,
ირინარხო, მოიხუჱნ და ქუჱყანისაგან აღჰჴედ
მშჯდობისა მიმართ … დროჲსა და ნათლისა
და ცხორებისა სამარადისოჲსა.

მდინა[რე]თა
სისხლთაჲთა საჴმილი იგი
მდევართაჲ მათ დაშრიტ …, ირინარხო ქებულო,
და მოჰრწყენ გულნი მორწმუნეთანი აღყუა

[496] მოხეულია.
[497] მოხეულია.
[498] იღ~ნა.
[499] მოხეულია.
[500] მოხეულია.
[501] მოხეულია.
[502] მოხეულია.
[503] ასეა.
[504] წ~ა.
[505] უგ~ლბს.

2v /ვებად ცხორებისა საღმრთოჲთა ტრფიალებითა.
რომელმანცა დამბადებელი [ყოველ]თაჲ

მუცლად-ი[ღე] … [გჳ]შევ, სიწმიდისა კარავო,
ღმრთივმიმადლებულო დედა …[506] თა ჩუენთა
განძჯნებული ღელვაჲ დააყუდე

განძლიერდასა. ა. …
ძლ. … … … ეინ
განჰმტკიცენ ძლიერებითა
საღმრთოჲთა … მო
და განემზადე დათმენად
სასტიკთა ტანჯვათა
უშიშად შენ, სანატრელო,
დიდებულო, უძლეველო ირინარხო.

მოგ … ნ ძალი, [რომელმან]
დარღუჱვად საცთურისა
და დაცემად ეშ … … … [507]
… … … აობით მოქადულისა
სილაღესა მას დიდსა
ამა … … … დსა ზახებასა.

დაამჴუა თავი ბოროტთაჲ
ბანაკ[508] … … … ხოვნად მოღუაწებითა
და საკრველთა და გუჱ … … …
… … … დ თავსდებითა
შეწევნითა სულისა წმიდისაჲთა
… … … ლთაჲ კიბე, იაკობ,
ქუეყანით ცად აღწევნული.

… … … ა
სამეუფოსა პალატსა
უგალობდეთ
გონებითა
… … … გული(?) ჩემი.

ძალითა საღმრთოჲთა
განძლიერებულ … … …
… … … [უბი]წოდ დაიცევ
და სჯულიერად ჰრბიოდე
და სჯუ[ლიერად] გჯრგჯნოსან იქმენ.

არაჲ თავს-იდ … … ცხორებაჲ,
არამედ, ვითარცა გონიერი,

[506] ამოხეულია.
[507] მოხეულია.
[508] მოხეულია.

საღმრთოდ ემბაზად მხოლოჲ
… … … ლი მოიღე
და მნათობად ბრწყინვალედ გამოსჩნდი.

არა დაგფარა შენ
სიღრმემან წყალთამან,
ყოვლადქებულო ქრისტეს მოწამეო,
ირინარხო ნეტარო,
ზიარო და მოწამეო ჭეშმარიტო ქრისტეს ვნებათაო.


მსხუჱრპლნო და საკუჱრთხნო
ქრისტეს მჳსნელისანო,
იხუჱტებოდეთ რაჲ და ყოვლით კერძო
ცეცხლითა შეიწუჱბოდეთ,
არაჲ უარ-ჰყავთ სახელი მაცხოვარისაჲ, ღუაწლით შემოსილნო.

ქალწულად დაადგერ
შემდგომად შობისა,
ვითარცა იგი პირველ შობისა,
რამეთუ ღმერთი ჰშევ,
რომელმან მიჳსნნა ჩუენ შუამდგომელობითა შენითა, ღირსო.

ღამითგანსა
ძლ. ნათლითა
მოთმინებათა მახჯლითა
ახოვნისა მოწამისა მიერ სასიკუდინედ მოიწყლა მტერი
და ფერჴთა მისთა ქუჱშე დაეცა და შემუსრვილი
და საცინელ იქმნა და განიბასრა სირცხჯლეული.

ვითარცა [გალ]ობს მეფსალმუნე[509],
ფერჴნი შენნი დადგეს სიწრფელესა შეუბრკოლებელად ჭეშმარიტად
განშუჱნებულნი წამებისა ალაგთა მიერ.

Q 1126 ბ



რაობა:	მარხვანი
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	23x17,7
Content:	Triodion
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	23x17,7

[509] მეფნე.

ტექსტი

1r [*]/ … … რთათა
შერაცხაჲ ჯე
დ … ა
საუკუნითგან პყრობილთა
უკუჱ … … … ბაჲ
… … …

სხუაჲ ბ

ძლ. მამისაგან შობილი[510]
უხრწნელნი ჴორცნი შენნი, მაცხოვარ,
სკნ … …
დასხენ მცველთა დასაცველად,
ხოლო თავადი სულითა შთაჰჴედ ჯოჯოხეთად,
და მიჰფინე მათ საღმრთოჲ სიხარული,
რომელნი-იგი დასჯილ იყვნეს წყუდიადსა შინა;
ამისთჳს მადლობით გიღაღადებთ:
დიდებაჲ შენდა მხ˜ლ …
გუაცხოვნენ აღდგომითა შენითა.

ყოვლადწმიდანი ჴორცნი შენნი, მჴსნელო,
მოს … … … ვნა პილატეს იოსებ სანატრელმან
და სურნელითა შემურნა და წარგრაგნნა ტილოჲთა
და დასხნა ახალსა სამარესა,
ვინაჲცა ცისკარს
აღმსთობილნი დედანი
მოიწინეს შემურვად შენდა
და მადლობით გიღაღადებდეს:
ღირს-გუყუენ, უფალო, ხილვად აღდგომისა შენსა.

… … … კნ

ძლ. მჯდომარე
რომელმან უფსკრულნი დაჰჴსნნა, მკუდრად იხილვების
და მურითა და ალოჲთა შემურვილი
საფლავსა დაიდების წარგრაგნილი სუდარითა,
ვითარცა მკუდარი
უკუდავებისა მომცემელ[ი] და დედანი
ნელსაცხებლის მიმღებელნი
საფლავსა მისსა ზედა
გალობით ღაღადებენ:
ესე არს დღე
უფროჲსად კურთხეული
შაბათისაჲ წმიდისაჲ,

[*] შენიშვნა: 1r და 1v ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხელით.
[510] შბი.

რომელსა ქრისტესა ღმერთსა ვითარცა რაჲ
ძილისაგან აღდგომაჲ ჰნებავს
საფლავისაგან მესამესა დღესა.

სხუაჲ . დ გუერდი

ძლ. ედემნი

მპყრობელი … … …
ჯუარსა ზედა ამაღლდა
და შეძრწუნებულ
იქმნეს ყოველნი არსნი,
იხილეს რაჲ-იგი ძელსა ზედა
უმსჯავროდ დასჯილი ჴორცითა.
მზემან ნათელი თჳსი დაიფარა
და ქუეყანაჲ
ზარტეხილი შეიმუსრვოდა, ხოლო ზღუამან დაუტევნა
საზღვარნი და ივლტოდა და კლდენი განიპნეს [და]
საფლავნი აღეხუნეს
და მრავალნი გუამნი შესუენებულნი აღდგეს,
ჯოჯოხეთი დაირღუა
და დედანი ჴმობენ:
ესე არს შაბათი უფროჲსად კურთხეული,
რომელსა შინა აღდგეს უფალი.

ზეცას განცჳბრდეს ძალნი ცათანი,
იხილეს რაჲ მეუფჱ,
ვნებად ჴორც[ითა]
1v მსგავსად კაცთა მოკუდა[511] /

1v / … … …
გუჱრდსა მას საღმრთოსა გამოჴდეს
… … …
სისხლისა და წყლისანი, რომელთა-იგი
განგუწმიდნ[ენ] ჩუენ
ვნებათაგან
სულიერთა, ვინაჲცა განწმედითა
[მივის] წრაფოთ მისსა
იოსების თანა
და გარდამო [ვჰ]ჴსნთ იგი ჯუარისაგან
და და [ვდო]თ საფლავსა,
რომელი მჯდომარე
არს საყდართა ზედა და ესრეთ ღაღად-ვყოთ:
ესე არს დღე უფლისაჲ
უფროჲსად … ნ … შაბათი.

[511] ამ გვერდის პაგინაცია (ბოლო კიდეზე): სიგ (113).

იოსებ მზის … … … შუენიერი
მივიდა [პილატ] ესსა
და მოითხოვა
გუამი იესუჲსი
და გარდამოჰჴსნა ძელისაგან
და დადვა მიწა …, რომელმან მიწით
დაჰბადა ადამი
და ქუეყანაჲ
წყალთა ზედა და ა … ნა და ზღუაჲ შექმნა
და წარგრაგნა
ტილოჲთა წმიდითა განმ … ნათლისაჲ
და სურნელებითა შეასურნელე სურნელმყოფელი დაბადებულთაჲ
და დაუძინებელთა თუალთა მისთა და ას … [ჴელ]ნი და
ამბორს-უყო და ჴმა-ყო:
დიდებაჲ ს[ულგრძელე ბასა შენსა!

უგალობდითსა. ბ გუერდი
ძლ. რომელმან დაფარა

ჵ შენდა, მაცთურო ჯოჯოხეთო, ბნელო,
რომელმან განაღე
პირი შენი შთანთქმად
ყოველთა დაბადებულთა,
ხოლო რაჟამს მოვიდა შენ ზედა
ძლიერი, დაგამჴუა შენ
და მძლავრებით წარმოგტყუენა.

იესუს მხოლო უგალობთ ყოველნი
დაფლვასა შენსა დღეს,
რამეთუ თავს-იდევ შემურვაჲ ნელსაცხებლითა
და ცხორებისათჳს ჩუენისა
ტილოსა [გა]ხუიე, რომელი ჰზი მარჯუენით მამისა.

ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ასომთავრული
ზომა:	8,5x13,5
Content:	Major Nomocanon
Date:	XI-XII cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Asomtavruli
Size:	8,5x13,5



ტექსტი

1r */ ... ... და იაკო ... ...
... ... თუსთა და ჰრქუა
[მ]ათ შემომიკერბით მე დ[ა]


[595] გვერდი ძალიან დაზიანებული.
ეს ფრაგმენტი I და II ფრაგმენტების ნაწილი არ არის, სხვა ტექსტი უნდა იყოს, ძალიან დაზიანებულია, ხელიც განსხვავებულია. სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტებია.
* **შენიშვნა:** ჩამოტანილია სოფელ ლაჰილიდან.

გითხრა თქუენ, რაჲ-იგი შე-
გემთხუევის უკუანაჲს ... ...

1v / ... ... უდა შენ გ ... ...
ნი შენნი ჴელნი ... ...
ბეჭთა ზედა მტერთა შენთასა
თაყუანის-გცემდენ შენ
ძენი მამისა შენი[596] ... ...

Fr 151

რაობა:	კოზმან და დამიანეს ცხოვრება
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	18,4x13,8
Content:	Life of Cosma and Damian
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	18,4x13,8



ტექსტი

1r */ და ბოროტი იგი ეშმაკი გუელი მიერვე კუ... წარმო ... ნურიგა ... და ვითარცა აჭირვებდეს შინაგან გუელსა მას წმიდანი იგი, წარმოყო თავი მისი გამოსლვად პირისაგან მისისა, ხედვიდა ყოველი იგი ერი საკურველებასა მას, რაჲ-იგი იქმნებოდა წმიდათა მათგან კოზმან და დამიანჱს მიერ და ვითარ გამოვიდა იგი სრულიად მისგან, განელუიძა კაცსა მას, ჴმა-ყო და თქუა: ნუვინ მიჰყოფთ ჴელსა მაგის გუელისა ზედა,

რამე ბრძანებულ არს მაგისი მისლვად გეჰენიასა.

ვითარ ამას იტყოდა კაცი იგი, მუნთქუეს უჩინო იქმნა გუჱლი იგი.

მერმე კუალად იყო ვინმე სხუაჲ კაცი, რომელსა სახელი ერქუა მალქუზ, რომელი მარადის მივიდოდა ტაძარსა მას წმიდათასა და ხედვიდა სასწაულთა მათ, რაჲ-იგი იქმნებოდა წმიდათა მათგან.

ესე წარვიდა გზასა დიდსა და მოვიდა სახედ თუისად და ჰრქუა ცოლსა თუსსა:

მივიდეთ ჩუენცა ტაძარსა მას წმიდათასა კოზმან

1v და დამიანეჱსსა / ... ... იდა ს... ... ...სა მას ვითარ ესმა გულსმოდგინედ ... და მისა ... ისისა თანა და ვითარ მი[ვიდა] ადგილსა მას, რომელსა სახელი ჰრქჳან ფერენ ... მნ, ჰრქუა მარქუს თუსსა მას ცოლსა: [აჰა]ესერა მე წარვალ გზასა დიდსა და შეგვედრებ შენ წმიდათა ძმათა (!) კოზმანს და დამიანეს. ჯედ შენ

[596] აქ წყდება, მაგრამ ბოლო სიტყვა უნდა იყოს შენი[სანი].

დაწერილია 2 სვეტად ლამაზი მთავრულით, „დიდი სჯულისკანონი", სავარაუდოდ, XI-XII სს.

* **შენიშვნა:** „კოზმა და დამიანეს ცხოვრება" ეს ფრაგმენტი არცერთ ცნობილ რედაქციას არ ემთხვევა.

სახლსა შინა შენსა და იყავნ შენდა შორის სასწაული და ოდეს უნდეს ღმერთსა, [მოვიყვანო] შენდა და მიგიყვანო შენ, სადაცა ვიყო მე.

და ვითარ ესე ჰრქუა, წარემართა იგი გზასა მისსა და ცოლი მისი მივიდა სახედ თუსა. და ვითარ დღენი მცირედნი წარჴდეს, ცნა ეშმაკმან სასწაული იგი, რომელ ჰრქუა ქმარმან მისმან ცოლსა თუსსა, ხატი შეიმოსა ჭაბუკისა ყრმისაჲ და მოვიდა,დადგა წინაშე მისა დედაკაცისა და ჰრქუა მას: აჰა ესერა, ქმარმან შენმან მომავლინა მე შენდა მიერ ქალაქით, რაჲთა მიგიყვანო შენ მისა.

და ვითარ დედაკაცსა მას არა უნდა მისლვაჲ


[597]2r / მსახურნი იგი
მსახურთა ჰრქუეს: წინაშე დგა[598] -
სა: უფალო, კარანმან ჰრქუა მათ[1] … …
ხარ ანუ რ … ვინ ხარ[1] …
სახელი თქუენი ანუ რომელსა[1].
კოზმან დამიანე თქუს ქა[1] …
ბიაჲსაჲ და ქრისტეანენი ვა[1] …
კარანმან თქუა: რაჲ არს[1] … …
[კო]ზმან თქუა: მე კუზმან (!)[1]… …
სა დამიანე ჰქ … … …
ნათესავით … … …
უ … … …
… … … ემთ … … …
მათ … … …
კა … … …
მი … … …
… … …
ვ … … …

2v /[599] … … … ყავთ ღმერთი თქუენი მას მოვედით
… … … უგ … … თ, რომელთა შექმნეს ყოველი
… … … [და] მიანე ი … … … აან … … მე
… … …დ ეშმაკნი ხართ და
მსგა … … … კთა ღმრთად
სახელ-სდებთ, … ი ეგენი
ჴელითა და დალეო … …
… … ვითარცა ერთი ორითა თქუს … … …
… … … სა ბრძანებასა და საშჯ … …
… … ვი ჯერებთ არცღა კა …
… … … ეგენი ვიდრემდის არა … …
… … …
… … … ღაღადებ … … …
… … … ლს … გო … …

[597] ტექსტი არ გადადის.
[598] მოხეულია (წერტილებით აღნიშნული ყველა ადგილი მოხეულია).
[599] მოხეულია.

Fr 153

რაობა:	საგალობლის ფრაგმენტი გიორგი მთაწმინდელის ანდერძით[600]
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24,9x17



Content:	Fragment of chant with Giorgi the Athonite's Testament
Date:	XI c.
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	24,9x17

ტექსტი

1r */ ხჳლებით ესრეთ იტყოდეს: აკურთხევდით.

ნესტუსა და ებნისა ჴმანი ოხრიდეს
და შესხმისა ზარი განაფრთხობდა
გულსა მგლოვარეთასა,
ხოლო სიონისა ძეთა
შეურაცხ-ყვნეს განცხრომანი ბაბილოვნელთანი
და ბეთლემს შობილსა უღაღადებდეს: აკურთხევდით.

ნატყუენავი სიონით და იავარი
საუნჯეთა პირველთა მეფეთაჲ
ბაბილოვნმან (!) წარიღო,
ხოლო დღეს ვარსკულავთმრიცხველთა მათ
ძღუენი იგი სამეუფოჲ ბაბილოვნით ბეთლემს
შობილსა მიუპყრეს და ღაღადებდეს:
აკურთხევდით საქ …

ღმრთ. გუნდი უსხე …

ადიდებდითსა

ძლ. დაუკჳრდა სა
საჲდუმლოჲ, უცხოჲ და დიდებული, ვიხილეთ,
ქუაბი ცათა ემსგავსა,
ქალწული-ქერობინთა, ხოლო ბაგაჲ
სახე იქმნი (!) სამყაროჲსა,

[600] მარხვანი (ძირითადი ნაწილი).

* **შენიშვნა:** ხელნაწერის ფრაგმენტი წვირმიდან.
მარხვანი (ძირითადი ნაწილი).

რამეთუ დაიტია დღეს ქრისტე ღმერთი,
დაუტევნელი, რომელსა ვადიდებთ.

საჲდუმლოჲ სასწაული იხილეს მოგუთა,
უცხოსახე ვარსკულავი,
ახალი, ბრწყინვალე გამოუჩნდა
და მისგან უწყებულ იქმნეს,
ვითარმედ მეფე შობილ არს, ქრისტე,
ბეთლემს ჰურიასტანისასა მაცხოვრად კაცთა.

იკითხვიდეს მოგუნი ყრმისა მეფისათჳს,
სადა უკუე შობილ არს
ვარსკჳლავისა მიერ უწყებული,
რამეთუ თაყუანისცემად
მისსა მოვიწიენით, ხოლო
ჰეროდე, მბრძოლმან ღმრთისამან, მოკლვაჲ იზრახა.

გამოჰკითხა
ჰეროდე ჟამი ვარსკულავისაჲ
აღმოსავალისათა,
რომელი მოუძღუა ბაბილოვნით,
და ჰ(რ)ქუა მათ: მეცა მაუწყეთ
ახლისა მისთჳს მეფისა,
რაჲთა მოვიდე და თაყუანის-ვსცე, ვითარცა ჯერ-არს.

მოგუთა რაჟამს
იხილეს ღმერთი ჴორცშესხმული,
ძღუენი მისა შეწირეს,
თაყუანისცემით მოიკითხეს
და მიიქცეს სოფლად თჳსსა
უწყებჳლნი ანგელოზთა მიერ
და ჰეროდე დაუტევეს განბასრებული.

ღმრთ. ბუნებანი ადამიან …

ყოველსა მუჴლსა
შეტყუებაჲ არს ჟ - ჯერ. ი˜ბ
ვინ გაჲგონოს, პოოს სხუანი გალობანი იამბიკონნი ხუთთავოანნი ბერძულად.

უგალობდითსა
ძლ. სასწაულითა
1v[601] საშოჲთ წმიდისა /ჲთა
სიტყუაჲ ღმრთისაჲ გამოჩნდა,
მსგავსად მაყულისა არაჲ შეიწუა მისგან

[601] 1v დაწერილია განსხვავებული ხელით, გვერდის ზემო ნაწილში, მარცხენა მხარეს მთავრულით მიწერილია იე.

შეზავებითა
ბუნებასა კაცთასა
და ევაჲს წყევაჲ დაჰჴსნაჲ (!)
პირველყოფილი, რომელსა ჩუენ დღეს
გალობით უგალობდეთ.

ვარსკულავმან მოგუთა
ძე მაღლისა აჩუენა,
რომელი პირველ მზისა შობილ არს ზეცას,
ქუაბსა შინა დღეს
შეკრული სახვეულითა
პოვოს ცოდვათა დაჴსნად
და სიხარულით შეწირეს ძღუენი,
ღმრთად და კაცად ქადაგეს.

ღმრთ. ვერშემძლებე

განძლიერდასა
ძლ. ღმერთო, მოხედენ
სძალმან წმიდამან უზეშთაეს გჳ[შ]ვა[602] ჩუენ,
რომლისა ხილვად ღირს იქმნეს ველსა მდგომნი
და შიშით ზარგანჴდილთა დაუკჳრდა დღეს
და გუნდი უჴორცოთა
ჴორცთშესხმულსა მას
ქრისტესა, მჴსნელსა,
მათთანავე აქებდეს.

ზეშთა მეუფე,
სიტყუაჲ დამბადებელი
მსგავ[ს][603] ჩუენდა იქმნა ქალწულისა საშოსა,
რამეთუ უსხეულო ჩუენთჳს განკაცნა,
რაჲთა ჩუენ, განდგომილნი,
დამაგნეს თავსა
თჳსსა წყალობით
თჳსნი დაბადებულნი

ღმრთ. წმიდაჲ წმიდათაჲ ქალწულ.

მესმასა
ძლ. პირველ აუწყა
მსგავს ჩუენდა იქმენ
ნე[ბ]სით[604] ღმერთი ყოველთაჲ,
რაჟამს მიიხუენ ქალწულისაგანი ჴორცნი,

[602] გჳვა.
[603] მსგავ.
[604] ნესით.

რაჲთა წმიდა-ჰყვნე გესლი სულისაგან[605] გუელისა
და მიმიძღუე ჩუენ
ცხორებისა ნათელსა,
ვითარცა ღმერთ ხარ, მჴსნელი დაბადებულთაჲ ღმერთი.

პირველ წარმართნი
დანთქმულ იყვნეს ცოდვითა,
ხოლო დღეს იჴსნნეს მტერისა საცთურთაგან
და აღიტყუელვენ ჴელთა მათთა გალობად
და უგალობენ
ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა,
რომელმან იჴსნნა კერპთა მონებისაგან.

ღმრთ. ქალწული წმიდაჲ.

ღამითგანსა

ძლ. საცთურთა ბნელთა

მჴსნელმან ყოვლითურთ დაჰჴსნა მტერობაჲ იგი,
რომელი იყო შორის ღმრთისა და კაცთა,
ჴორცთა შესხმითა გამოუცდელისაგან
და აღვირი იგი მძ[ლ]ავრებისაჲ[606] შემუსრა
და ჩუენ,
მოკუდაჳნი ესე, განმაცხოველნა[607].

2r ერი / რომელი ბნელსა მკჳდრი იყო პირველ,
იხილა დღეს ნათელი უზეშთაესი,
რაჟამს მამასა მოსცა სუფევაჲ ძემან
და განდგომილნი დაამორჩილნა მადლით და მან
მოსცა ცხორებაჲ სამარადისოჲ.

ღმრთ. ცხორებისათჳს.

ღაღატყავსა

ძლ. შთაჴდა იონა

ღმრთისა სიტყუაო, მამისაგან შობილო,
უზეშთაესად დღეს მოხუედ განახლებად
დაძუელებულს[608] ა ბუნებასა კაცთასა
და რაჟამს იშევ, მეორედ დამბადენ ჩუენ
და განმკურნენი წყლულებათა ჩუენთაგან.

მოხუედ გამოჴსნად თესლით აბრამეანით,
რომელნი-ესე შთავენთქენით ცოდვასა,

[605] სლისაგან.
[606] მძავრებისაჲ.
[607] 1v ხასიათდება ორთოგრაფიული შეცდომებით.
[608] დაძუებულსა.

და აღმადგინენ დაცემულნი შობითა
ქალწულისაგან, მოჰკალ მკლველი ჩუენი
და აღმიყვანენ ზეცისა დიდებასა.

ღმერთ. სძალო წმიდაო ვე …

კურთხეულარსა

ძლ. სიყუარულითა ყოველთა მჴ

ცეცხლი, შჳდწილ
აღგზნებული, ამაღლდა
სიმაღლედ მიმართ ცისად
და მოწუნა რისხვით მსახურნი იგი
და ყრმათა არაჲ ავნო;
ეგრეთვე აქა ცეცხლმან ღმრთეებისამან დაიცვა
შეუწველად მშობელი თჳსი.

არცხჳნე[609], ქრისტე,
მტერსა ჩუენსა, ბოროტსა,
ჴორცთშესხმითა შენითა
უჴორცოსა მას, რაჟამს გიხილა
სახით გლახაკითა,
ვერ გულისჴმა-ყო, ვითარმედ
ღმრთისა სიტყუაჲ სიმდაბლით
ადამეანთა ჴსნად მოვიდეს.

ცოდვაჲ, რომელი
კაცთა აღმოაცენეს
და დაინთქნეს მას შინა
დაბადებულნი, ძლიერებითა
ღმრთეებისაჲთა იჴსნენ
და მახეთაგან მძლავრისათა განარინენ დღეს, ქრისტე,
ჴორცთშესხმითა ქალწულისაგან.

ღმრთ. ერთი ძე მხოლოჲ.

აკურთხევდითსა

ძლ. ყრმანი ბაბილონს

დაბადებულნი სენთაგან განიკურნეს,
რაჟამს ღმრთეებაჲ სიმდაბლით გარდამოჰჴედ[610],
და სიბრძნით განაგე ცხორებაჲ ჩუენი
და ბჳნებასა ჩუენსა შეჰზავე ძალი,
სად[ი]დებელი
და შენ თანა ადიდე.

შეცთომილთათჳს
მოძიებად მოხუედი

[609] არაცხჳნე.
[610] გარადამოჰჴედ.

2v მწყემსი ძლიერი დღეს[611] … / მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ
და ბუნებაჲ კაცთაჲ განათავისუფლე
და მოჰკალ მკლველი ჩუენთჳს განკაცებითა
და ბუნებით ხარ ღმერთი დაუსაბამოჲ,

ღმრთ. შენ, უბიწოო.

ადიდებდითსა

ძლ. ჯერ-არს დ … ჩემ[612]
ღმრთისა დედაო, შენ მიერ ცუდი იქმნეს დღეს
მრავალღონენი ჩუენთჳს
მდომისა მიერ, რამეთუ სახე წარჴდა
და აწ ვიხილეთ საშოჲთ შენით ნათელი
და ჯერისაებრ
ვაქებთ შობასა შენსა.

ერი ქრისტესი
ღირს იქმნა საწადელსა,
რაჟამს იხილეს დღესასწაული ესე
და განცხოვ[ე]ლდეს[613] მეორედ შობითა დღეს
ყოვლადუბიწოსაჲთა და ცანი და ქუეყანაჲ თანამკჳდრითურთ
შობილსა ადიდებენ.

ღირსად ადიდა ძემან მშობელი თჳსი,
რამეთუ მისგან შეიმოსა[614] კაცებაჲ
და ძე მაღლისაჲ ძედ ქალწულის იწოდა,
ერთი ორითა ბუნებითა დაადგრა,
რომელსა ღირსად
მორწმუნენი ვადიდებთ.


სხუანი გალობანი ამისვე დღისანი, თავედნი წმიდისა იოვანე დამასკელისა, იამბიკონნი ამას გუარსა ზედა არიან თჳნიერ რომელ მათ ყოველსა დასდებელსა ხუთითავე ზის. ხოლო მათ უმრავლესნი სხენან და ამას უფროჲსი ჭირი უნა (!) და ვინაჲთგან ამათი თარგმანაჲ (!) უღონოჲ არს ყოვლადვე შეუძლებელი, ამისთჳს მე, გლახაკმან იოვანე, ქართულად აღვწერენ ესე გალობანი დიდითა შრომითა. ლოცვა-ყავთ ღმრთისათჳს, რაჲთა უფალმან შემიწყალოს თქუენითა წმიდითა ლოცვითა. ამინ.

ხოლო თავნი ამას იტყჳან ქებითა და გალობითა, ვითარმედ წმიდითა ქრისტეს ღმრთისა ჴორციელად ზეშთა ცნობისა ბრწყინვალესა შობასა ყოველი სოფელი იხარებს და ანგელოზთა თანა წყალობათა მისთა ადიდებს და შეასხამს დღეს.

ამათვე სასწაულითათა (!) შემდგომად იტყოდეთ წყალობითა ღმრთისაჲთა, არა საწყინონია თუ თავთა გზითა ვერშეწყობილად ვის უჩნდენ, ნუუკუე …


[611] მოხეულია.
[612] ლაქაა.
[613] განცხოვლდეს.
[614] შემოსა.

Fr 154



რაობა:	მარხვანი
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	25x16
Content:	Triodion
Date:	XI c.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	25x16

Fr 156



რაობა:	ლოცვანი
თარიღი:	------
ფურცელთა რაოდენობა:	2 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	11x9,4
Content:	Prayers
Date:	------
Number of folia:	2 folios
Script:	Nuskhuri
Size:	11x9,4

ტექსტი

1r / ილოცოს

[615]მოიჴსენებდი და სიმრავლითა მოწყალებათა

შენთაჲთა ჩემისაცა ულირსებისაჲ შემინდვენ
ყოველნი შეცოდებანი - ნეფსითნი და უნებ -
ლიეთნი და ნუ ჩემთა ცოდვათათჳს
დააყენებ მადლსა წმიდისა სულისა შენისასა
წინამდებარეთა ძღუჱნთაგან.

აქა სახელები ცოცხალთაჲ
მოიჴსენე, უფალო, ქალაქისაჲ, რომელსა
შინა ვსცხ … … [616] ობდით და ყოველთა ქალაქთა

1v და სოფელთა და სარწმუნო/ებით მკჳდრთაჲ
მას შინა მოიჴსენე, უფალო, მენავეთა მოგზაურთაჲ
მშურომელთა, ტყუჱთა და ცხორებისა
მათისაჲ

[615] ხაზგასმული ასოები სინგურითაა შესრულებული.
[616] გადაშლილია.

მოიჴსენენ, უფალო, ნაყოფთმომრთუმელნი
და კეთილისმყოფელნი წმიდათა შენთა
ეკლესიათანი და მომჴსენებელნი გლახაკთანი
და … … …[617] ზედა მწყალობელნი შენნი გარდა[მო]ავლინენ
ამღბ҃ (ამაღლებაჲ)
და მომეც ჩუენ ერთითა პირითა და
ერთითა გულითა დიდებად და გალობად ყოვლად
2r პატიოსანსა და / დიდად შუ̃ენიერსა სახელსა შენსა,
მამისა და ძისა და წმიდისა სულისა
მღდელმან:
და იყვნედ წყალობანი დიდისა
ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი
თქუენ ყოველთა თანა.
ყოველმან:
და სულისაცა შენისა თანა.
დიაკონმან:
ყოველთა წმიდათა თანა მომჴსენებელთა
მერმე.
შეწირულთა ამათთჳს განწმედილთა
ძღუ̃ენთა.
რაჲთა კაცთმოყუარემან ღმერთმან და
შემწირველმან ამათმან წმიდასა და ზეშთა ცათასა


2v საცნა/ურსა საკურთხეველსა …

ნაცვალად გარდამოგჳვლინოს ჩუენ მადლი ყოვლადწმიდისა სულისაჲ ჴსნად ჩუენდა ყოვლისაგან ჭირისა. და ყოველთათჳს.

მღდელმან ლოცვაჲ

შენ შეგივრდებით ყოველსა ცხორებასა და სასოებასა ჩუენსა, მეუფეო კაცთმოყუარეო, და გხადით შენ და გევედრებით და შეგივრდებით, ღირს-მყვენ ჩუენ მოღებად ზეცისათა შენთა და წმიდათა საიდუმლოთა წმიდისა ამის და სულიერისა ტრ …

Fr 157



რაობა:	მარხვანი
თარიღი:	---
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	20,7x16,5
Content:	Triodion
Date:	---
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	20,7x16,5

[617] ლაქაა.

ტექსტი

1r */[618] და ცრემლით შეურდეთ ლოცვითა და მარხვითა
რაჲთა გუაცხოვნნეს
მოსლვასა მისსა მეორედ დიდებით ზეცად
და შეგჳწყალნე
და ღირს-მყვნე მარჯუენით შენსა.

ესერა, მარხვაჲ ყოვლადწმიდაჲ,
ქადაგი, სინანულად მწოდებელი ერისა მის
სამეუფოჲსა, მარხვაჲ ყოვლადწმიდაჲ
შევიწყნაროთ, ძმანო,
სიხარულით, სიყვარულით და სიწმიდით
და ვღაღადებთ:
მომიჴსენენ, მჴსნელო, დიდებით მოსლვასა შენსა
და შეგჳწყალენ,
ვითარცა მოწყალე ხარ.

წინა განწმედისა დღეთა მათ
შჳდეულსა წმიდათა მარხვათასა
წინაშე საყდართა ქრისტეს მეუფისათა
შევიდეთ, ძმანო,
ვითარცა შჳდთა ბჭეთა ნათლისათა
შემავალთა ტაძრად
და ვედრებით ვღაღადებდეთ მისსა მიმართ:
გუაცხოვნენ ჩუენ
აღდგომითა შენითა

ღმერთ. მამისაგან შობ ... ...

რაბამი დასაბამი სინანულისაჲ
შევწირო შენდა, შემოქმედისა ჩემისა,
ანუ ვითარი სახე მოვიპოო შემწედ ჩემდა,
რამეთუ შევაგინე სული ცოდვითა
და ჴორცნი შევბღალენ უსჯულოებითა,
სიტყუაო ღმრთისაო, მიჴსენ მე
მერმეთა მათგან სატანჯველთა
სიტკბოებითა შენითა და წყალობითა.

ყოველთა ცოდვათა მუშაკ ვიქმენ,
ყოველთა მცნებათა გარდამავალ
და ბოროტთა გულისთქუმათა მონა, ქრისტე ღმერთო,
მრავლითა წყალობითა შენითა
და სიტკბოებით გან -

* **შენიშვნა:** ოთხივე ფურცლის მინდორზე ტექსტისვე მელნით მინაწერებია.
[618] კონვენციურად გამართული ტექსტი, შეცდომების გარეშე, კლასიკური ნუსხურით.

მარინე სატანჯველთაგან,
რამეთუ ცრემლითა და მარხვითა
სარწმუნოებით გიღაღადებ:
შემიწყალე, ვითარცა მრავალმოწყალე ხარ!

ღმრთ. მდინარე

უძღებებითა მოვიტყუთ (!) პირველი საშუებელი,
ვიძლიენით რაჲ მწარითა ჭამადითა
და ღმრთისაგან და შუჱბისა ექსორია ვიქმნენით;
აწ სინანულითა
განვიკურნნეთ ჩუენ
და საცნობელნი
განვიწმიდნეთ, რომელთა მიმართ
აქუს ბრძოლაჲ დაუგებელი ვნებათაჲ
და საჭურველ და დამცემელ, მათთჳს აღვიღოთ მარხვაჲ
და გულნი
განვიმტკიცნეთ ჩუენ
მადლისა მიერ და სასოებისა
და არაჲ ჭამადთაგან,
რომლითა ვერაჲ ირგეს მათ,
1v რომელნი-იგი ვიდოდეს[619] / მათ შინა,
რაჲთა ჩუენცა ღირს ვიქმნნეთ ჭამად კრავისა ღმრთისა
წმიდასა მას ნათლითშემოსილსა,
ღმრთივბრწყინვალესა
ღამესა უფლისა აღდგომისასა,
რომელი-იგი ჩუენთჳს დაკლულ იქმნა
და მოწაფენი თჳსნი
ღირს-ყვნა ზიარებასა,
რაჟამს დაჰჴსნიდა
ბნელსა უმეცრებისასა სერობასა მას
საჲდუმლოთასა,
განანათლებდა სოფელსა
ნათლითა აღდგომისაჲჲთა,
რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

გ.[620]

ძლ. ვითარცა იგი პირველადვე

მარხვაჲ[621] ყოვლადვე სარგებელ არს
და შემწე მომგებელთა მისთა და განმანათლებელ,
რამეთუ ვერცაღა ვნებანი
და ვერცა ეშმაკნი მძლე ექმნებიან მმარხველსა

[619] 1r-ს მარჯვენა კიდეზე მთავრულით ვერტიკალური დაქარაგმებული წარწერაა: კ˜დ ს˜ტ.
[620] მთავრულით, შავი მელნით.
[621] ამ სიტყვის გასწვრივ მარცხენა კიდეზე ვერტიკალური დაქარაგმებული წარწერაა: ˜ ბ ˜ა შეიძლება ავტორის სახელია: ბა (ბასილი!).

და კუალად მცველნი იგი
ჩუენნი, წმიდათა ანგელოზთა ძალნი,
უმჯურვალესად სცვენ ცხორებასა
მათსა, რომელნი შეიტკბობდენ მარხვასა
და განსწმედდენ თავთა თჳსთა მოღუაწებითა;
მოვედით, ერნო,
წადიერებით შევიტკბოთ მარხვაჲ!

ორშაბათსა ყველიერისასა
ხუედრნი ჴმაჲ ა
უგალობდითსა

ძლ. მონებისა მის

[622]ბრწყინავს წინა დღესასწაული
ესე მარხვისა და მოწყალებისაჲ
და ელვარე არს დასაბამი
ესე ყოვლადწმიდათა
ამათ დღეთაჲ;
მოვისწრაფოთ, ძმანო,
შესლვად მათ თანა გულსმოდგინებითა მრავლითა.

ადამ პირველქმნულსა ვებაძვე
მცნებათა გარდასლვითა და განვვარდი
სამოთხისაგან უბადრუკი,
ვინაჲცა შეგივრდები
სინანულით
და გოდებით, მჴსნელო,
მსგავსად მისსა მაცხოვანე წყალობითა შენითა.

ევაჲს დაცემითა დავეცი
და ურჩებისა ნაყოფითა მოვკუჱდ,
არამედ, რომელმან-ეგე ჩემთჳს
ნავღლისა გემოჲსხილვაჲ
ჯერ-იჩინე,
ქრისტე, მეუფეო,
შენდა მოლტოლვილსა ამას ნუ შეურაცხ-მყოფ.

დასაბამი ლმობიერებისაჲ
და სინანულისაჲ არს ბოროტთაგან
უცხოყოფაჲ და ვნებათაგან
მარხვაჲ და განშორებაჲ;
ამისთჳსცა
ბოროტთა საქმეთაჲ
ვისწრაფოთ, **ქრისტეს მორწმუნენო!**
დაბნელებული წყუდიადითა

[622] მარცხენა კიდეზე ავტორის სახელის მონოგრამაა: (ის˜ბ) იოსებ.

2r ცოდვათაჲთა შენდა მოვივლტი, / სძალო,
რომელმან უშევ დაბნელებულთა
ქრისტე, მზე სიმართლისაჲ,
განმანათლე
და მაცხოვნე, რაჲთა
გალობით გადიდებდე, წმიდაო დედოფალო.

აკურთხევდითსა

ძლ. საჴმილი შეცუ

ყოველი ცხორებაჲ ჩემი უბადრუკმან
უძღებებით განვლე უბადრუკმან,
რამეთუ ვჰმონებდი მე
მოქალაქეთა უკეთურთა;
ხოლო აწ სურვილით ვიქმენ კუალადმოქცევად
მოწყალებათა შენთა მომართ,
სახიერო,
ნუ შეურაცხ-მყოფ უღირსსა ამას,
რაჲთა ჴმითა მადლობისაჲთა გაკურთხევდე შენ.

სახე ცხორებისა ჩუენისაჲ, სახიერ,
საძაგელ არს და სავსე ცოდვითა,
ხოლო წყალობაჲ შენი -
აურაცხელ და განუზომელ;
ამისთჳს ვევედრები კაცთმოყუარებათა შენთა:
სინანულისა ჟამი მომანიჭე
და მაცხოვნე
მოსავი სიტკბოებათა შენთაჲ
და სურვილით
და წადიერად მგალობელი შენი.

კაჲნის უბადრუკსა მას ცხორებასა
სურვიელ ვიქმენ საწყალობელი
და ჭეშმარიტად მოვკალ
პატივი იგი გონებისაჲ;
და აწ ვძრწი მსჯავრისა შენისაგან, ქველისმოქმედ,
და ნუ დამსჯი მე მის თანა საუკუნოდ,
სახიერო,
არამედ ჟამი სინანულისაჲ
მომანიჭე და შემრთე ნებისმყოფელთა შენთა თანა.

ღმრთისა მიმართ სასოებაო კაცთაო,
ქალწულო ყოვლადსაგალობელო,
მიჴსენ წყუდიადისაგან
და საუკუნეთა ტანჯვათა
უწესოდ ცხორებულთათჳს
დაუნჯებულთა,
რაჲთა მადლობით ვიტყოდით: აკურთხევდით.

ადიდებდითსა

ძლ. დაუკჯრდა

მშჯდობით და
წესიერებით და სურვილით
პატიოსანი ესე
და წმიდაჲ ჟამი მარხვისაჲ შევიტკბოთ
და წადიერად შევიწყნაროთ
და ვითხოვდეთ შენდობასა ცოდვათასა,
რომელნი კაცად-კაცადმან ვქმნენით წარმდებად.

შემოსლვასა
მარხვათასა და წინაბჭესა
ნუმცა ვაგინებთ, ძმანო,
უძღებებითა და მთრვალობითა,
არამედ გულისსიტყჯთა
განწმედილითა გულსმოდგინედ შევიდეთ,
რაჲთა შრომათა ნაყოფნი მდიდრად მოვიხუნეთ.

ჟამი ესე
წინადღე არს მარხვისა შემოსლვისაჲ,
ჟამი შეწყნარებული;
2v განიფრთხვე, სულო / და დაეგე ღმერთსა,
რაჲთა სიბნელისა მის
და სამართლად განკითხვისა დაუსჯელად განვერე ჭეშმარიტებით.

მეოხებად
ჩუენთჯს ნუ დასცხრები ქრისტეს მიმართ,
ქალწულო, რაჲთა გჯსნნეს
ერნი, პატივისმცემელნი შენნი,
ძრვისა და სიყმილისა და
სრვისა და დანთქმისა და ყოველთა ძჯრთაგან,
სასოო მორწმუნეთაო, ყოვლადწმიდაო.

ორშაბათსავე სხუანი ხუჱდრნი

ძლ. სწავლითა იჴ

კრძალვაჲ ჭამადთაჲ
და მოღუაწებაჲ ჴორცთაჲ
დღეს მიიღებს დასაბამსა, მორწმუნენო,
რომელი-ესე
სურვილით შევიწყნაროთ
და ყოველივე ცოდვაჲ
შურისა და ჴდომისა თანა
მოსწრაფებით განვაგდოთ[623].

[623] 2v-ს მარცხენა კიდეზე წარწერაა: აქაჲთგან სხჯსა დედისა.

აჰა ესერა,
ჟამი შეწყნარებული,
დღე, საცხორებელი სულთაჲ, ჰ ძმანო,
ნათელი საღმრთოჲ
სიმართლისაჲ შთავიცუათ
და ცოდვათა წყუდიადი
განვაგდოთ ჩუენგან და განვიშოროთ
მარხვითა და ლოცვითა.

საყდართა ზედა
მაღალთა რაჟამს დასჯდე
განსჯად ყოვლისა ქუეყანისა, უფალო,
გევედრები შენ:
მარჯუენით შენსა ღირს-მყავ
მე, არაღირსი ესე,
და საწადელი ჴმაჲ მასმინე
კურთხევისა შენისაჲ.

შენგან შობილმან,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
ბუნებითნი ბუნებანი, განყოფილნი,
ერთად შეკრიბნა;
ამისთჳს ვადიდებთ ჩუენ
განკაცებასა მისსა
და ვქადაგებთ ორითა ბუნებითა
და ძრწოლით უგალობთ მას.

აკურთხევდითსა
ძლ. ყრმანი შობილ
რომელთა ესე ვიჯმენით ჭამადთაგან,
ცოდვათა იგი არმურიცა განვაგდოთ
გულთაგან ჩუენთა, ჰ ქრისტესმოყუარენო,
და სინანული წმიდაჲ შევიტკბოთ მჴურვალედ
და ვაკურთხევდეთ
ღმერთსა უკუნისამდე.

ესე არს ჟამი სინანულისაჲ, ძმანო,
ვინაჲცა ვიწყოთ მჴურვალედ და მოსწრაფედ
ქრისტეს მცნებათა, საღმრთოთა, აღსრულებად
და სათნოებით შევამკვნეთ სულნი ჩუენნი
და სინანული
ყოვლადწმიდაჲ მოვიგოთ.

სინანულითა განვწმიდნეთ ცოდვათაგან
ერთბამად, ერნო ქრისტეს განათლებულნი,
რაჲთა მეორედ მოსლვასა უფლისასა
3r ვპოოთ ჩუენ / მდიდრად მადლი და მოწყალებაჲ

მის მიერ ძრწოლაჲ
მგალობელთა მისთა დღეს.

გიხაროდენ შენ, ჵ ყოვლადსანატრელო
ქალწულო, სძალო წმიდაო, უბიწოო!
გიხაროდენ შენ, დედაო და მწევალო
უფლისაო და მფარველო სოფლისაო,
ყოვლადნათელო
მარიამ კურთხეულო!

ადიდებდითსა

ძლ. ჯერ-არს

ჵ სულო ჩემო, ესერა მოიწია,
რაჲსა უდებ ხარ? განიფრთხვე გონიერად!
ეც პური შენი მშიერთა და ილოცევდ
უფლისა მიმართ მწურვალედ დღე და ღამე,
რაჲთა გაცხოვნოს
და გიწსნას დასჯისაგან.

ვითარცა-ესე ნეშტთა მათ ჭამადთაგან
და ჴორცისაგან განყენებაჲ ვისწრაფეთ,
ეგრეთვე შური და მტერობაჲ მოყუასთაჲ
და სიძვაჲ, ტყუვილი და სიქადული
და ყოველივე
ბოროტი მოვიძაგოთ.

მომმადლე, მწსნელო
მარხვითა და ლოცვითა,
მღჳძარებითა და ჴმელსა ზედა წოლითა,
სინანულითა და მწურვალედ ტირილითა
ძლევაჲ მტერისაჲ და სათნოყოფაჲ შენი
და ცოდვათაგან
სრულიადი სივლტოლაჲ.

შენ ხარ, ქალწულო, სიმტკიცე მორწმუნეთაჲ
და სიქადული, სასოჲ და მაცხოვარი
და ქებითა შესხმისაჲთა გიგალობთ,
გუაცხოვნენ ჩუენ მონანი შენნი, დედოფალო,
რაჲთა მარადის
ძრწოლით თაყუანის-გცემდეთ.

ყველიერისა ორშაბათსა, მწუხრი უფალო ღარატყავსა ჴმაჲ ა

ძლ. შენ სიტყუაჲ

ვითარცა მომატყუ̱ჱლი (!) ზეცისა კეთილთაჲ
და ღმრთივმონიჭებული

ჟამი ესე მარხვისაჲ
ესრეთ შევიწყნაროთ
წადიერად
და წმიდა-ვყვნეთ სულნი ჩუენნი,
რაჲთა ვიქმნნეთ სადგურ სულისა წმიდისა
და ვპოოთ შენდობაჲ ცოდვათაჲ.

განვრცომილ არიან ზეც[ანი],
ბჭენი შესავალნი
ჟამსა მას მარხვისასა
და მათ მიერ ნათელი
საღმრთოჲ ღმრთივბრწყინვალე
ქრისტეს მიერ
გარდამოვალს ზეგარდამო;
3v წმიდითა / გულითა შევიწყნაროთ, ერნო,
და ვადიდებდეთ ღმრთეებასა მისსა.

ღმრთ. მამისაგან შობილ
[624]რომელნი-ესე მოვიწიენით
ასპარებსა მას ყოვლადწმიდათა მარხვათასა,
რომელნი-ესე განგჳწესნა ჩუენ ქრისტემან ღმერთმან,
იმარხნა რაჲ უდაბნოს ორმეოცნი
და ჩუენ გჳბრძანა მარხვაჲ და ლოცვაჲ მარადის,
აწ მოვედით, მორწმუნენო,
მჴურვალედ შეურდეთ უფალსა,
რაჲთა მოგჳტევნეს შეცოდებანი ჩუენნი.

უფალო, რომელმან ღირს-მყვენ მოწევნად
ნავთსადგურსა ამას ყოველთა მარხვათასა,
წარგჳმართე ჩუენ მას შინა შესლვად დაუ[ნთქმე]ლად
ღელვათაგან ამის სოფლისათა და დააცხრვენ
აღძრვანი იგი ვნებათანი,
რაჲთა სიწმიდით გმონებდეთ შენ
და ვპოოთ შენ მიერ წყალობაჲ
მოსლვასა შენსა მეორედ დიდებით ზეცად.

წინაჲსწარმეტყუელთა … … … ო
და მოწამეთა დასაბამო და მონაზონთა
კანონო და სინანულისა მქადაგებელო,
ნათლისმცემელო ქრისტეს ღმრთისაო,
წარგჳმართე სრბაჲ ჩუენი გზასა მას მარხვისასა,
რაჲთა დაუსჯელად ღირს ვიქმნნეთ
მიწევნად ცხოველსმყოფელთა მათ
ქრისტეს, ღმრთისა, ვნებათა თაყუანისცემად.

[624] 3v-ს მარცხენა კიდეზე, ზემო ნაწილში არის ერთი ასო ბ Ჲ~ (ნუსხური, ქარაგმით).

ბ გუერდი
უფალო, საჳსენებ
უფალო, აურაცხელო მოწყალებითა
და უსაზღვროო ღმრთეებითა,
რომელსა გნებავს ყოველთა კაცთა ცხორებაჲ
და სინანულითა მოქცევად შენდა,
მოგუხედენ ლოცვასა ჩუენსა
და შეგჳწყალენ ჩუენ.

უფალო, რომელმან მოგუცენ საკურნებლად
ბრალთა და ცოდვათა ჩუენთათჳს
დღენი ესე უბიწოჲსა მარხვისანი,
განმაძლიერენ სრულყოფად
მათდა სიწმიდით
ოხითა წმიდათა შენთაჲთა
და შეგჳწყალენ ჩუენ.

უფალო, ოხითა ნათლისმცემელისაჲთა
და ვედრებითა ყოვლადწმიდათა
წინაჲსწარმეტყუელთა და მღდელთმოძღუართაჲთა
ულხინე სულთა ჩუენთა,
შეცოდებულთა, რაჲთა სიწმიდით გმონებდეთ
მარხვისა ჟამსა.

დგუერდი

ძლ. არაჲ დააკლდი

ნიჭი მარხვისაჲ, ძმანო,
წადიერად შევიწყნაროთ,
რომელი-იგი ესერა მოიწია,
რაჲთა წმიდასა ქრისტეს აღდგომასა
ბრწყინვალებაჲ საღმრთოჲ
ერთბამად ვიხილოთ
4r განწმედილთა მარხვითა და ლო / ცვითა
და ზიარებითა მით,
მისითა ვიშუჱბდეთ და ვიხარებდეთ.

ედემნი
სიტყუაო ღმრთისაო, ყოვლადძლიერო,
რომელმან მამისა და
სულისა მადლითა
შეჰქმნენ ყოველნივე
ხილულნი და უხილავნი,
შენ გევედრებით, სახიერ,
სათნო-იჩინე
წყალობითა შენითა
ჟამსა ამას

ბრწყინვალესა ყოვლადწმიდათა მარხვათასა
მშჳდობითა
მყუდროჲთა სრულყოფად და დაჰჴსენ საცთური ცოდვისაჲ
და ლმობიერებაჲ
და სინანული და ცრემლნი მჴურვალენი მოგუმადლენ
ბრალთა შესანდობელად,
რაჲთა წადიერად ვიმარხვიდეთ
და ანგელოზთა თანა
უგალობდეთ სიმტკიცესა შენსა.

ღმრთ. არაჲ დააკლდი[625]

მარხვისა .....[626] ვისწრაფოთ
განწმედაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ
და წყალობითა ... ...[627] რებითა
გლახაკთაჲთა შესლვაჲ სასძლოსა შინა
ქრისტეს, მჴს[ნელისა],[628] იგი არს
სიძე უკუდავი სულთა განწმედილთაჲ,
რაჲთა მოვ ... ... გან
მდიდრად მშჳდობაჲ და წყალობაჲ.

ღმრთ. ვითარცა იგი პირველადვე
დრნი,
სიხარულით[629] ... ...[630] ბოთ, ერნო,
მარხვაჲ უბიწოჲ, რამეთუ, აჰა ესერა, მოიწია
სულიერთა ღუაწლთა ხარისხი
და დაუტევნეთ ახოვნად ჴორცთაგან სნებანი,
ხოლო აღვაორძინნეთ
სულიერთა მათ მადლთა სიმდიდრენი
და ვითარცა მონათა უფლისათა,
მის თანა ძჳრისხილვაჲ თავს-ვიდვათ, რაჲთა
მისთავე (!) ვიდიდნეთ, ვითარცა შვილნი ღმრთისანი
და სული წმიდაჲ
განგუანათლებდეს უკუნისამდე.

სამშაბათსა ხუჱდრნი, დ გუერდი[631]

ძლ. სასწაულად იხ

[625] ამ სტრიქონის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე მთავრული ასოებით ვერტიკალური წარწერაა: ბ˜მ.
[626] გადაშლილია.
[627] ამოხეულია.
[628] ამოხეულია.
[629] ამ სტრიქონის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე ვერტიკ. წარწერაა მთავრულით: გ ა.
[630] ამოხეულია.
[631] ამ სტრიქონის გასწვრივ, მარჯვენა კიდეზე, ნუსხურით მიწერილია ავტორის სახელი: ანტონი, აქვე, მარჯვნივ სინგურით, მთავრული მ ხ; მარცხენა კიდეზე წარწერილია ერთი ასო ქარაგმით: გ.

[632]ცანთ და გულისჴმა-ვყავთ, სახიერ,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი,
რომელმან
მოგუჱც ათეულად ყოვლისა
წელიწდისა წმიდანი ესე დღენი
განსაწმედელად ცოდვათაგან,
წარგჳძეღუ ნათლად მცნებათა შენთა
და აღდგომილმან ქუეყანით ზეცად მიმართ.

მოგუჱახლა და მოიწია,
ძმანო, წინაგანწმედაჲ
და წმიდაჲ
ესე შჳდეული მარხვათაჲ
შემოსლვისა მქადაგებელი;
მოვედით, ყოველთა შევიტკბოთ
ესე მჴურვალედ და ვეევედრნეთ ღმერთსა,
რაჲთა იჴსნნეს ვნებათაგან სულნი ჩუენნი.

დღე ესე მეორე წინაგანწმედისაჲ
სულთაჲსა შევიწყნაროთ
ყოველთა
4v სურვილით და წმიდა … … …[633] ვი / ქმნეთ თავნი
რაჲთა უბიწოჲთა გონებითა
ვეჩუჱნნეთ მხილველსა გულთასა
და მსგავსად მოსე ღმრთისმხილველისა,
რომელი განათლდა მარხვისა მიერ.

სარბიელი ესე მარხვისაჲ არედ ცხოველსმყოფელად
მოგუჱცა,
ვინაჲცა, ძმანო, სარწმუნოებით
შევიტკბოთ და ვიჯმნათ ჭამადთაგან
დაყენებულთა და უმეტესად
ვნებათაგან ჯმნაჲ ვისწრაფოთ ჩუენ,
რამეთუ ესე არს მარხვაჲ, სათნოჲ ღმრთისაჲ.

ბრალთა ჩემთა ტჯრთი აღიღე,
ჱ უფალო, უფალო,
და მიჴსენ
მძლავრებისაგან ვნებათაჲსა
და მომეც გონებაჲ მოქცევისაჲ
და ღირს-მყავ, რაჲთა შევსწირვიდე
შენდა ლოცვასა მჴურვალესა
და ვპოო შენ … … … შეცოდებათაჲ.

[632] წინ სინგურით მთავრული ც.
[633] ამოხეულია.

იხილეთ[634], იხილეთ, რამეთუ
მე ვარ ღმერთი, რომელი
ა[635] … … … რთებ
დაცემულთა ცოდვისა მიერ
და მჴურვალი[თა] [სინანუ]ლითა
განვამართლებ და აღვამაღლებ;
აწ [უკუ]ჱ ისწრაფეთ სინანულად
და აღრგრაცხნე რჩეულთა ჩემთა თანა.

ვცნათ და გულისჴმა-ვყოთ, უფალო,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი,
რომელი
დაფარულთა გამოეძიებ
და საცნაურთა და უცნაურთა
ჩემთა ხედავ და განიკითხავ;
ამისთჳს გევედრები, მაცხოვარ,
შემიწყალე, რაჟამს განმიკითხვიდე.

ვტიროდით, ვტიროდით, მორწმუნენო,
ვტიროდით და ვიმარხვიდეთ
და მსგავსად
დავითისსა დავალტობდეთ ჩუენ
ტირილითა ცხედარსა ჩუენსა,
რომელმან-იგი ცოდა ერთგზის,
ხოლო დღითი დღე არაჲ დასცხრა
გოდებათაგან და ტირილთა მწარეთა.


ერთღმრთეებად და ერთმთავრობად
და ერთუფლებად ვჰმონებ
წმიდასა
სამებასა, დამბადებელსა,
და ვადიდებ და თაყუანის-ვსცემ
სამწმიდასა, ერთარსებასა,
სამხატოვანსა, სამგუამოვანსა
მამასა, ძესა და სულსა წმიდასა.

უსძლოო, უქორწინებელო,
ქრისტეანეთა მფარველო
ქალწულო
[636]… … … ცოდვილთა შესავედრებელო,
შენდა მოვივლ … … …

---

[634] ამოხეულია; ამ სტრიქონის გასწვრივ მარცხენა კიდეზე მიწერილია ნუსხურით ავტორის დაქარაგმებული სახელი თ~ე (თეოდორე), მის წინ კი მთავრულით სინგურით - მ~ხ.
[635] ამოხეულია.
[636] ამოხეულია.

Fr 184 (ცალკე გამოეყო მე-5 ფურცელი Fr 184ა)



რაობა:	„ეტრატოვანი"
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 (5) ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	I ფ.-13,5x15; IIფ.-20,5x14,5; III-IVფ.ფ.-21x13,2; Vფ.-16,4x13

Content:	„ეტრატოვანი" (parchment like)
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	4 (5) folios
Script:	Nuskhuri
Size:	I f.-13,5x15; IIf.-20,5x14,5; III-IVf.f.-21x13,2; Vf.-16,4x13

ტექსტი

1r */ რ [აჲთა] ნასა ... ...[637] ...ა მ˜ს მიერმან ... ...
ვიდრე ... ...მ[638] ... ე ... ...
[კეთილის] ... ... მი ... ... ნ... ... ...
სიტყუამან ... ...ყოვლისამან გამოკულ ... ...
მ ... ... ვ ... ... რაჲთა მუშაკმან და გან ... ...

მ[თ]ავა ... რაჲთა... ... ერ ... ...
დადგინა (!) იგი უფლად (?)... ... ...
მახე ... ... ად ... ... სულისა მონაგე ... ...
სწავლად მთ ... ... ა მთ აგი.
და მოხუცე[639] ... ...
გან ... ... რ ... ... ზო
შ ... ... და ... ...
... ...გა ... ... [640]

1v /[641] ... ...ე ... ...
... ...ჰრონ რომელი (?) გამოარჩია, თავს-ისხნ[ა] თჳსისა
და სხნამ[სა] (!) შორის სიტყუანი სასწაულთა მისთანი
და ნიშანი მისნი ქუეყანასა ქამისსა.
მიულინა (!) მან ბნელი და და ბნელნი
იგინი
რამეთუ გან ... ... არეს ... , ... რომელნი

* **შენიშვნა:** ხელნაწერის ხუთივე ფრაგმენტი წარმოადგენს პალიმფსესტს, რომლის ქვედა ფენა დაწერილია ნუსხურით.

[637] მოხეულია

[638] გადაშლილია

[639] გადაშლილია

[640] ეს ფურცელი ძალიან დაზიანებულია.

[641] დასაწყისი მოხეულია

და გარდააქცია სისხ … … … მდინარენი … … …[642]
მიერ … … …[643]
მ … … …დნა …ნ მათნი
… … …ა … … …ვლჲ რმნ მათმან მყუარი
… … … … … … თაჲ მათთასა
… … … ს … … …

2r / და არა დაუთმეს … გვა … … … [644]
მათთაჲ გულმან … … …
თქმა უდაბნოსა … … …
განსცადეს ღმერთი უმჴ (უდჴ) … … …
მოსცა მათ ხოე … … …
მოუვლინა სავსე … … …
მათისა და განარისხეს … … …
და ჰრონ (!) წმიდაჲ ო … … …
განეღო ქუეყანამან დად … … …
… … … ფარ[ა] ბანა … … …
… … … ა … … … … … …
… … … იწამნ … … … უნა … … … ცოდვათა … … …
ქმნეს … … … ქ … … … ხებს ა მა … … …
ვანის … … … ბსა … … … შორის მ … … … აჲ
იცვალენ … … … როს
ოსა მის მ … … … მჭამე … … …
ე … … … ნეს დიდ-დიდნი … … …
დი … … … ვეელბჲნი
ქ … … …

2v / [645] … … … ინე … … … ბანი მისნი ზღუასა მას
მ … … …
… … … და თქუა მოსრვა … … …
… … … მცა მოსე (?) რჩეული მისი
… … … ფა მას წესსა მისსა
… … … ად გულისწყრ … … …
… … … მცა არა მოსრნაჲ (!)
… … … ლის სათქმელ
… … … ლნეს ქუეყანა იგი მ
… … … ინა მათდა (?)… … …
… … … … … …[646]

… … … ინეს იგი … … …
… … … ყოველსა მათა … … …

[642] გადაშლილია.
[643] გადაშლილია.
[644] მოხეულია.
[645] მოხეული და გადარეცხილია.
[646] რვა (8) სტრიქონის ასოები არ იკითხება.

3r / და[647] … … …
დაღ … … … ყანა მათნი
და შემუსრა ყოველივე საზღ … … …
უარისა მათისაჲ
ჰრქუა და მოუჴდა მკალი და
ბუზჳ რომლისაჲ
შეჭამა ყოველი თვა … (?) ქ … … …[648]
და … … … … … …
ქუეყანა … … … ღს … … …
გამოიყ[უა]ნნა იგინი [ო]ქროთაჲ
და ვეცხლითაჲ … … …
ნათესავსა მათსა სნეულ[სა]
იხარა ვ … … …
ლვაჲ მისი … … …
რამეთუ დაე … … … ყ … … …
იგინი (?)… … …
გრ … … …
და ცეცხლი … … …
მათ … … …

3v / … … … ნსა … … … და მათ
… … … წყრობა, რამეთუ ჴ … … …
და პურითა ზეცისათა გან … … … ღანა იგინი
სცა კლდესა და გამოიცინეს წყალნი
და [ვი]დოდეს უწყულსა (!) მდინარენი
… … … ენაჲ, სიტყუაჲ წმიდაჲ მისი
… … … … … … მონისა
… … … … … …
და გამო … … … ანა ეს … … … თჳსი სიხ
და … … … ლნი თჳსნი შუჱბად
მისც … … … ნთ სოფლები წარმ … რ ……
აშ … … … თა და … … … მკჳდრნეს,
რაჲთა დაიცვ … … … ენ სამართალნი მისნი
და … … … სნი, რომელნი მოძი … … … ონ
დ… … … ბნ … … …ნი… … …
[649]… … … მ … … … ირ
აუარებდით უფალსა
… … …ხ … … …ილ … … …რ … … … ვინ-მე იტყო

4r / დეს … … … თ[650] … … …
სასმე … … … ყვნეს ყ … … …

[647] ზემო და მარჯვენა კიდე მოხეულია, შიგადაშიგ ამოხეული, დალაქავებული.
[648] ამ სტრიქონის ზემოთ ჩამატებულია სიტყვა **მათ[ი]საჲ**
[649] ნაწერია სინგურით, გადაშლილია.
[650] ფურცელი დაზიანებულია, ამოხეულ-დაგლეჯილია, გადაფხეკილია.

ნეტარ არიან ... ... და ცი... ... ...
რთლენიჲ[651] და ყონ სიმარ ... ...
ყოველსა ჟამსა ... ...[652]
მომიჴსენენ ჩუენ, უფალო, ს ... ... თსა შენისა
და ვიხილო სასათ ... ...
ულთა შენთა (?) თანა (?)... ... ...
ვიხილოთ ჩუენ (?) სათ ... ...
რაჲთა ვიქამოდით (!) ... ნ ... ... თა
შენთა [ნა] ... ...
ვცოდეთ მა ..., ... რომელმან ... ... თანა ... ...
... ულო ... ... [ვ]ეცრო
ვენით ... ...
მამათა წმიდათა ... ... ი ... ... სხეს ... ...
არაჲ გიჴ ... ...
შინა არაჲ გჳ ... ...
[სა]კჳრველებასა შინა ... ...
არცა მას ... ...

4v / ... ... გამ
... ... ლ ... ... სლ ... ... ზღვჲსა
... ...ჲ ... ... ა ... ...
... ...ნი სახელისაჲ მისისათჳს
... ... ა გულიჴმა-ყოს ძლიე[რად]
... ...
... ... მულ
... ... ყფ
... ... უდაბნოსაჲ ზედა [653]
... ... ს ... ... მჴ ... ... ლობენ
... ... ჴსნ ... იგ
... ...
... ... [მისნი]
... ... მაჭირვ[654]
დ ... ... ე ... ... არა გა
ნერა ... ...
... ... ყისა მა[მ ღსა][655]
... ... ლობათა მისთა
ი ... ... წყეს (?) საქ ... ...
შენი მისნი.

---

[651] ბოლოში აქაც და კიდევ სხვა სიტყვებს ბოლოში აქვს ჲ

[652] ამ სტრიქონის გასწვრივ არის: **<u>თსა შენისა</u>**, ეს არის გაგრძელება ქვედა სტრიქონისა. აქვეა სხვა .....

[653] ჲ-მეტობა, ზედა 3 სტრიქ. ზევით წერია, ეს ამ ფრაგმენტს ახასიათებს

[654] ამ სიტყვის დაბოლოება ზევით უნდა იყოს, ხაზი ჩანს, მაგრამ ის ადგილი (სადაც ყვა ეწერა) ამოგლეჯილია.

[655] ამ სიტყვის ბოლოც ზევით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამოგლეჯილია

Fr 184 ა

Fr-184-ს გამოეყო მეხუთე ფურცელი 184 ა

Fr 184 (ცალკე გამოეყო მე-5 ფურცელი Fr 184ა)

რაობა:	„ეტრატოვანი"
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 (5) ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	6,4x13

Content:	“parchment“
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	1 (5) folios
Script:	Nuskhuri
Size:	16,4x13

ტექსტი

1r */ … ა … დენ … … …
… … … და მოსეს ხე … … …
… … … ცა ედვაჲ მათ ა … …
უცხოთაგან სიმდიდრე … … …
და ნუ ეპოებიან მათ … … …

და ნუცა[656] შემწყნარებელ … … …
ლთა მათთა იყვნენ ნაშობ[ნი] მათნი
მოსასრველად
ნათესავსა შინა ერთსა
აიჴუნედ სახელი მისი.

აიჴუ[ნ]ედ უსჯულოებაჲ მამ … … …
მა … … … წინაშე უფლისა და ცოდვ … … …
მე … … … ათისა ნუ აიხოც … … …

იყუნ … … … წინაშე უფლისა მარადის … … …
პედ … … … ნეთ ს[ა]ჴსენ[ებე]ლი მისი

ამის წილ … … … მოიჴ … … …
… … … ფა წყალობ … … …სა … … …
… … … მან კაცი იგი … … …
… … … კ̃დ … … …


* **შენიშვნა:** ხელნაწერის ხუთივე ფრაგმენტი წარმოადგენს პალიმფსესტს, რომლის ქვედა ფენა დაწერილია ნუსხურით.

[656] **დ** სინგურით.

1v / … … … ეს, ხოლო მე
… … … გეს მე ბოროტი,
… … …ლისა წილ დადგინ … … …
[ავაზ]აკი მარჯუჱნით მის … … …
სასჯელისა მისისაგან
… … … ამოვიდენ და სჯული და
ღოცვაჲ მათი და ცოდვად
[შე]ერაცხა მათ … … …

… … … ირი … … … აყვნენ დღ … … …
… … … საგებელნი … … …
… … … ნ მიღონ და ყ… … … ენ
ღნნი … … …[მათ]ი … … …ღჲდ
… … …ი მას … … … ურივი
… … … რ[ვე]ულნი ი … … …
… … … ღი … … … ო … … …

Fr 185



რაობა:	მარხვანი
თარიღი:	---
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24,9x17,7
Content:	Triodion
Date:	---
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	24,9x17,7

ტექსტი

[657]1r */ შაბათსა წინა ხარებისა დაუჯდომელთაჲ
ყოველი სასოებაჲ
[ჴმაჲ] ბ გუერდი

წინა საუკუნეთა
განზრახვისა განცხადებად გებულ მოიწია
მოგიკითხვიდა, სძალო.
და გეტყოდა შენ:
გიხაროდენ, ღირსო
უსძლოო დედაო,
გიხაროდენ,

[657] ამ გვერდის მარჯვენა ზემო ნაწილში ასომთავრულით მიწერილია: Ქ: Ქ ჯ˜რ (ჯუარ), შუა ნაწილიში -დ˜, დ˜ბჲ (დიდებაჲ), ქვემოთ: ა˜.

* **შენიშვნა:** ეს ფურცელი შეცდომით იდო სხვა ხელნაწერში S 4925-მარხვანი, თ. ბრეგაძე).

ყოვლადწმიდაო
მშობელო ღმრთისაო,
გიხაროდენ, სიღრმეო განუცდელო!
გიხაროდენ, სიმაღლეო
აღმატებულო
ცასა ცათასა
… ნ წყევისა დამჴსნელო და ადამის აღდგომაო
და კაცთა განახლებაო,
უფალი შენ თანა!

„კაცად საგონებელ ხარ„, -
ეტყოდა წმიდაჲ ქალწული
უჴორცოთა მთავარსა, -

და კაცთა აღმატებულთა
სიტყუათა ეტყჳ;
სთქუ: ღმერთი ჩემ თანა
დამკჳდრებად ჩჩჳლებრ
და ვითარ ვიქმნე
მე ადგილ ღმრთისა,
დაუტევნელისა,
ქერობინთა ძალთა და საყდართა;
და ვითარ დავიტიო მე
დაუტევნელი იგი ზესკნელთაჲ?
ქორწილისა გამოუცდელ ვარ და გულისთქუმათაგან უცხო
და ვითარ ვშვე ქალწულებით
ყრმაჲ ზესთა ბუნებისა?

სადა ღმერთმან ინებოს,
იძლევიან ბუნებ [ანი],
მიუგო უჴორცომან
და ზესთა ბუნებისა
კაცობრივისა
დაჰბადებს, დაჰმართებს (!)
და განაგებს ღმერთი
ყოველს[ა] [ესე], ყოვლადწმიდაო,
ირწმუნენ სიტყუანი
ჩემნი, სავსენი სულნელებითა
და მყის ჴმა-ყო დედოფალმან:
მეყავნ მე მსგავსად
ს[აქმეთა] შენთა,
რაჲთა ვშვე უჴორცოჲ განახლებისათჳს კაცთაჲსა
და დავიცვა უზეშთაეს
წესთა სიწმიდე ჩემი[658].
ღმრთ. ცხოველსა მას

[658] მარჯჳნივ - მთავრული დ.

საუკუნითგან დაფარული
საიდუმლოჲ განცხადნების
და ძე ღმრთისა მამისაჲ
ძე კაცის იქმნების,
რაჲთა უდარესისა
მიღებითა
მომცეს უმაღლესი;
პირველ მოიკიცხა ადამ, რამეთუ
ვერ იქმნა ღმერთ, ვითარ ეოცნა
[კაც] იქმნების ღმერთი, რაჲთა ღმერთ-ყოს ადამ,
იშუჱბდინ [სახელი] და კაცთა ბუნებაჲ,
განსცხრებოდენ და იხარებდინ
და [მთავა]რი ანგელოზთაჲ
ქალწულისა წინაშე მოწიწებით მდგომარე
ჴმობს გიხაროდენსა
წყევისა და მწუხარებისა
პირველისა დამჴსნ[ელი] და განმაქარვებელი,
რომელი მოწყალებით
განჰკაცენ ჩუენთჳს, მეუფეო,
და ყოველთა ღმერთო, დიდებაჲ შენდა!

აქებდითსა
ძლ. შენ სიტყუანი
ზეცისა სიმაღლე[თაგან]
… ირა ანგელოზი,
ნაზარეთს გარდამოჴდა
და ეტყოდა [ქალწულსა]: გიხაროდენ, სძალო.
მუცლად-იღო ადამის უპირატესი
მ… თაჲ რომელნი გიგალობენ:
გიხაროდენ, ყოვლადწმიდაო!

ღმრთისა დაუსაბამოჲსა
თანასწორი სიტყუაჲ
ქუეყანად გარდამოჴდა
და წყალობით განკაცნა
და ბუნებაჲ ჩუენი შეცთომილი,
შეიმოსა სიტკბოებით
და განაღმრთო იგი სახიერებით
და უმაღლეს-ყო ცასა ცათასა.

ზეცით მოართუა გებულ
ქალქულსა ცხორებაჲ
და ჴმა-ყო: გიხაროდენ,
შემიწყნარე, მეუფჱ,
შენგან დატევნადი

1 v / და ყოვლისა სოფლისა და / უტევნელი,
დამჴსნელი ყოველთაჲ, რომელი გიგალობენ:
გიხაროდენ, მიმადლებულო!

ენაჲ, რომელი არა იცოდა, ესმა
ღმრთისმშობელსა, რაჟამს-იგი ეტყოდა მას
ანგელოზთა მთავარი
სიტყუათა ხარებისათა,
რომლისათჳსცა
სარწმუნოებით შეიწყნარა
მოკითხვაჲ იგი

[659]და მუცლად-იღო შემოქმედი
საუკუნოჲ ღმერთი:
ამისთჳს გიღაღადებთ
სიხარულით
ჩუენცა, კაცთმოყუარეო,
რომელი განჰკაცენ
მისგან უქცეველად
და გამოუთქუმელად
მშჳდობაჲ მოჰმადლე სოფელსა
და ს˜ ცⷭ˜
მოეც დიდი წყალობაჲ.

წიგნად სიტყჳსა ღმრთისა
სულიერად სულისა მიერ
წმიდისა დაბეჭდულად
გიხილა დიდებულმან
ძალთა მთავარმან
და ჴმა-ყო: გიხაროდენ,
სძალო, საუნჯეო საღმრთოჲსა სიხარულისაო!

გიხაროდენ, ადამის
აღდგომაო, ღმრთისა დედაო!
გიხაროდენ, პალატო
ქრისტეს, მეუფისაო,
და ცეცხლისფერო
საყდარო, გიხაროდენ,
ჯოჯოხეთისა მძლავრებისა დამარღუⷭველო!

ვარდო დაუჭნობელო,
გიხაროდენ, გამომღებელო
საღმრთოჲსა ხილისაო!

[659] მარცხენა კიდეზე მინაწერებია: დ (მთავრული) ა (მთავრულით), ქებაჲ, დიდებაჲ (დ-მთავრულით), დ მთავრულით, ზღუაჲ უვალი, (ზ-მთავრულით), მგალობელ (მ- მთავრულით) 2.ზღუაჲუვალი, 3. მგალობელ.

გიხაროდენ, მშობელო
მეუფისაო!
სოფლისა ცხორებაო
და მტჯრთველო მეუფისა მის საუფლოჲსაო.

სიწმიდისა ტაძარო,
აღდგომაო დაცემულთაო,
შროშანო შეჩნიერო,
საკუმეველო სულნელო,
სულნელმყოფელო
ყოვლისა სოფლისაო,
გიხაროდენ, მიჰრონო მრავალსასყიდლისაო!

განძლიერდასა

გიხაროდენ, ტრაპეზო სულიერო
პურისა მის ცხორებისაო!
გიხაროდენ, წყაროჲსა მის
ცხოველისა საუნჯეო!
გიხაროდენ, ჴუვილისა
უთესველისა ყანაო!

დიაკეულო ზუარაკისა მის
ყოვლადუბიწოჲსა მშობელო,
გიხაროდენ შენ, ტარიგო
ცოდვათა ამხუმელისა მის
კრავისა ღმრთისა დედაო!
გიხაროდენ, ცხორებისა მიზეზო!

გიხაროდენ, ცისკარო ბრწყინვალეო,
რომელმან აღმოუბრწყინვე მზე
ნათლისა სამკჳდრებელისაჲ
და წყუდიადისა დამჴსნელო
და ძალთა მათ ბნელისათა,
სულთა ბოროტთა წარმწყმედელო.

გიხაროდენ, ბჭეო ნათლისაო
[660]… … … განვლო ღმერთმან მხოლომან
და ბჭენი ქუჩსკნელისანი … … … რ ნ ა
ძალითა საღმრთოჲთა
და ბჭენი ცხორები[სანი] გან[უხუნა],
კაცთა, დ[ედოფალო].

მესმასა
ძლ. იესუ მჯდომარე

[660] ლაქაა.


ჴმითა[661] … … … შესხმისაჲთა გალობთ
ქალწულო ს[აგალობელო],
მთაო პოხილო და
შეყოფილო ს[ულითა] წმიდითა, გიხაროდენ, სასანთლეო არა ნათელი
და ტაკუაო მანანაჲსაო, და [მატკბობელნი]
საცნობელთაო.

გიხაროდენ, ჵ დედოფალო,
სოფლისა სალხინ[ებელო]
და ქუეყანით ზეცად
ამაღლებულო კიბეო, გიხაროდენ!
ჴიდო წიაღ-მყვანებელო
სიკუდილისაგან ცხორებად
შემსხმელთა შენთაო,
ყოვლადწმიდაო.

გიხაროდენ, ცათა უმაღლესო,
ქუეყანისა შემოქმედსა
უცხოდ დამტევ

Fr 194

რაობა:	ოთხთავი (ლუკა16,10)
თარიღი:	XII ს
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	16,5 x 11,5



Content:	Four Gospels (Luke16,10)
Date:	XII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	16,5 x 11,5

ტექსტი

Fr 194
სახარება, ლუკა 169,10

1r / საყოფელთა
სარწმუნოჲ იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს;
და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზრდა ცრუ არს.
უკუეთუ სიცრუვისა ამის მამონასა სარწმუნო არა ექმნნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?
და უკუეთუ სხჳსასა ამას სარწმუნო არა ექმნნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ?

[661] ამოფხეკილია.

არავის მონასა ჴელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს და ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.

ესმოდა ესე ყოველი ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლისმოყუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას.

და ეტყოდა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თჳსთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა.

რამეთუ სჯული და წინაჲსწარმეტყუელნი ვიდრე იოვანესამდე (!) მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარების და ყოველივე მისსა მიმართ იიძულების.

უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ, ვიდრე[ღა] სჯულისა ერთი რქაჲ დავრდომად.

ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თჳსი და სხუაჲ შეირთოს, მან იმრუშა; და რომელმან განტევებული ქმრისაგან შეირთოს, მანცა იმრუშა.

კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბისონითა და იხარებდა დღითი დღედ ბრწყინვალედ. გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრდომილი წინაშე ბჭეთა მისთა და ქუჱ ძურებოდა.


და გული-ეტყოდა განძღებად ნამუს

1v /[662]

Fr 195

რაობა:	საგალობელი ლიტურგიკული წიგნიდან
თარიღი:	---
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	10,2x20,2

Content:	Chant from Liturgical Books
Date:	---
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	10,2x20,2



ტექსტი

1r * / [663] … ან … ნისა … … …
დ[იდებაჲ]

საჴლისა … … …
… ობ … … … ზედა ესე

[662] ტექსტი არ იკითხება; გვერდი ძალიან დაზიანებულია, სავარაუდოდ, ყდიდანაა ამოღებული და წებოს კვალია. ტექსტი არ იკითხება.

* **შენიშვნა:** ხელნაწერის ეს ფრაგმენტი დაკრული იყო სხვა ხელნაწერის A 506-ის ხის ყდაზე.

[663] გვერდი ძალიან დაზიანებულია: ზემო და ქვემო ნაწილები წაჭრილია, ნაწერი წებოსაგან დალაქავებული და გადაშლილია.

ღიესები[თ] … მ … ყ … აღა მით …
… … ან-ჰყოფს
და შეჰ … … …
კაცისათა და ელვარე-ჰყო[ფს]

[664]… … …
ძლ. ნათლითა
არათუმცა უფალი იყო
ჩუენ თანა, არამცავინ ჩუენ … შე[უძლე]ბელ იყო მტერისა
ბრძოლათა თავსდებად, რამეთუ რომელნი-იგი
მ[ძლ]ე ექმნებ[იან] და მიერ მოეცემის ძალი.
კბილთა მ[ათთ]ა მიერ ბოროტს … …
ნუმცა შეიპყრობის (!) სული ჩემი,
ვითარცა სირი, სიტყუაო ღმრთისაო;
ჱმე, ვერ განვერე მტერისაგან
ცოდვის … … … და უწყალობელი.

დიდებაჲ
სულისა მიერ წმიდისა
მიეცემის ყოველთა გან(ი)თავისუფლებაჲ
… … … და [წარმა]ტებაჲ
და მშჯდობაჲ და კურთხევაჲ, რამეთუ სწორად
თანამოქმედი არს მამ … … …

[665]… … …
ძლ. … ღმერთი ჩემი
რომელნი უფალსა
ესვენ მტერთა მიმართ
საზარელ არ[იან] და
… მა … რვებელ,
რამეთუ ღმრთისა მიმართ ხედვენ
და მისა მიმართ აქუს სასოებაჲ.

[666]… წ … უღმრთობად
ჴელთა მათთა არაჲ განჰმარტებს [მაცხოვარი].
რამეთუ შენ ხარ შემწე მათი ს …
და ჴელისამპყრობელი.

და … ლისა …ისა სიმტკიცე და …
რომელ … წეს … მთავრობანი თაყუანის-სცემენ
მკჯდრთა თანა ქუეყანასა …სა სულისა.

---

[664] სინგურით ნაწერი დასათაურება მთლიანად გადაშლილია.
[665] სინგურით ნაწერი გადარეცხილია.
[666] ერთი ასო, სინგურით ნაწერი გადაშლილია.

წარმდგომაჲ
ძლ. სახიერებისა
[ა]ღადგინე ძალი შემდგომად[667] …
… დიდებაჲ … ნ ჩუენ.
დ[668] ს ბ ი, რომელი … … …[669]

1v / [670]… … … … … …
აღსდგა ძლიერებითა.
ღმრთ. … … … უკულეველად ზღუაჲ
გან-რაჲ-იპყრენ ჴელნი თჳსნი
ჯუარსა ზედა სახიერო,
და მამისა შესწირე
ბუნებაჲ ჩუენი, უბიწოო,
და ჭეშმარიტად მიზიარენ ღმრთეებასა შენსა.

უბრძანე რაჲ
სიკუდილსა შეძრწუნებით,
ვითარ მონაჲ მოვიდა,
ყოველთა ცხორებაო და მი … … …
მოგუმადლე ჩუენ ცხორებაჲ
საუკუნოჲ და ღირსად ყოველნი გადიდებთ.

აღ-რაჲ-სდეგ შენ,
მკუდრეთით აღმადგინებელი
კაცთა ნათესავისაჲ
პირველშექმნილი [ჯო]ჯოხეთით აღმოიყვანე
და ძლევისა გალობასა ღმერთსა უგალობდა.

მათ პატიჟთაგან,
ღვთისმშობელო,
შენ მიერ გამოჴსნილნი
ჴმითა გალობისაჲთა
ვადიდებთ დიდებათა შენთა
და სი …ბით უგალობთ შობასა შენსა.

უქცეველად
უბიწოთა მათ სისხლთა … … … განკაცებული
სიტყუაჲ გჳშევ, ქალწულო,
განახლებად ჩუენდა; ამისთჳს
დაუცხრომე[ლად] … … … თა
ჴმითა მარადის გიგალობთ.
მადლთა მიერ
სულიერთა შემკობილმან
შეიწყნარე, ქალწულო,

[667] ჩამოჭრილია.
[668] სინგურით.
[669] ჩამოჭრილია.
[670] ამ გვერდის ზედა კიდე წაჭრილია.

სიწმიდით სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
შუჱნიერი იგი სიკეთითა,
განკურნებად განხრწნილისა ბუნებისა ჩუენისა.


ნიავქარნი
ცოდვათა და გულისთქუმათა,
ღელვანი მძჯნვარენი
დაანთქმენ სულსა ჩემსა
და გულისსიტყუანი წარმტყუენ ვენ,
ნუ შეურაცხ-მყოფ, უბიწოო, ღმრთივმიმადლებულო.

განძლიერდასა

სამებაო წმიდაო, აღამაღლე
[671]… … … და შემოქმედო ჩემო,
რომელმან დააფუძნე
პირველ ქუეყანაჲ წყალთა ზედა და მა … … …[672]
და … შენ ხარ ძალი და სიმტკიცე ჩემი და მფ[673] … …

Fr 202

რაობა:	სადღესასწაულო (ჰაგიოგრაფიული კრებული)
თარიღი:	XII-XIII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	3 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	26x20



Content:	Festal Menaion (Hagiographic Collection)
Date:	XII-XIII cc.
Number of folia:	3 folios
Script:	Nuskhuri
Size:	26x20

ტექსტი

[674]1r / ილად, არამედ კუალადცა განიკურნა მოსლვითა ანგელოზისა ღმრთისაჲთა და განახლებული და ბრწყინვალე წარდგა წინაშე მეფისა და მანგნენტიოს, მეგობრისა მისისა, და მრთელად გამოჩინებითა მით მრავალნი მოიტაცნა ქრის-

[671] წაჭრილია.
[672] წაჭრილია.
[673] ჩამოჭრილია.
[674] ჰაგიოგრაფიული კრებულის ფრაგმენტები. მთლად კარგად არ ჩანს, ვისი ცხოვრებაა და წამება, თითქოს ათანასესი.
1v-ზე იანვრის 24-ში წმ. მოწამეებით პარაკლიტონი და ვალენტონის წამება.
შემდეგ - 2r-დან სხვა ტექსტია. იგივე ხელნაწერი ჩანს, ეს არის მელეტის წამება.
აგრეთვე სტეფანე და იოვანე მოწამენი (ერთი თხზ.),სარაპიონ (ალბათ, სერაპიონ)
მერე მოდის ვისტოს და ფავსტოს, მარკელე თეოდორე, მელიტონ, სერგი, მარკელლონ.
ფელიქს, ფოტინე, თევდორე, მერკვრე, დიდიმოს.
3r-ზე კი სხვა თხზ. - პასიკრატი წმ.

ტეს სარწმუნოებად, რომელთაცა წამეს ქრისტესთჳს და მახჳლითა აღსასრული მიითუალეს, რამეთუ გარეგან ქალაქისა თავნი მათნი წარეკუჱთნეს; მოვიდა უკუჱ ქრისტეს სარწმუნოებად ალექსანდრიაცა, ცოლი მეფისაჲ, და წინაშე მძლავრისა ქრისტე ღმერთი კადნიერად აღიარა, ვინაჲცა პყრობილ იქმნა იგიცა. ხოლო ქრისტეს მოწამე ახლად დამბალსა კირსა შინა შთააგდო და სამ დღე დაითმინა, გარნა უვნებელად გამოვიდა, მრავალნი მოიყვანნა ღმრთისმეცნიერებად.

ამისა შემდგომად ცანდალნი, მუსმარგანწონილნი, შეასხნეს ფერჴთა მისთა და სირბილად აიძულეს და ამის თანა ზროხისა ძარღჳთა უზელელითა გუჱმეს უწყალოდ. და მერმე მანგნენტიოს სასწაული ითხოვა, უკუეთუ ვითარ აღადგინოს ძუჱლთა მკუდართაგანი მკუდარი ერთი მუნ მყოფთაგანი სამარეთაგან. და ვითარცა ილოცა წმიდამან, აღეჴადა საფლავსა ზედა მდებარე იგი ლოდი და გამოვიდა მიერ მკუდარი მრავალჟამისაჲ და შეუვრდა ფერჴთა მოწამისათა, მისცა დიდებაჲ ღმერთსა;

ხოლო მეფემან ჰკითხა, თუ ვინ არს, გინა პირველ რაოდენისა ჟამისა მიცვალებულ იყო.

მიუგო და ჰრქუა, ვითარმედ: მე პირველ ქრისტეს მოსლვისა ვიყავ და კერპთა საცთურისათჳს ესოდენთა ამათ ჟამთა ცეცხლსა შინა ვიწვებოდე. და ამის დიდებულისა სასწაულისაგან მრავალნი შეეძინნეს ქრისტეს სარწმუნოებასა, რომელთა თანა ცხოვნდა ნეტარი ღლჳკერიცა აღდგინებითა მით ჴარისაჲთა და წამებისა მიერ გჳოგჳნი მიიღო

1v და ქრისტეს აღსარებისათჳს მახჳლი/სა მიერ აღსასრული მიითუალა.

და კუალად ათანასე, გრძნებასა ზედა განთქუმული, უქმ იქმნა რაჲ ძლიერებითა ღმრთისაჲთა გრძნებათა მისთა, ჴელოვნებაჲ მყის მოიქცა და მსხუჱრპლად ქრისტესა შეწირა და ესრეთ მრავალნი რაჲ ცხოვნდებოდეს, შევიდა მთავარმოწამე ტაძარსა კერპთასა და უბრძანა კერპსა, რაჲთა თქუას, თუ იგი არს ღმერთი და თუ მისი ჯერ-არს თაყუანისცემაჲ.

მეყსეულად მის შორის მყოფმან ეშმაკმან ვაებით ჴმა-ყო, ვითარმედ: ქრისტე არს მხოლოჲ ღმერთი.

და ამის თანა შეიძრნეს ყოველნი იგი კერპნი და შეიმუსრნეს;

ხოლო ვერღარა თავს-იდვეს მსახურთა მათ ეშმაკისათა, არამედ შეიპყრეს წმიდაჲ იგი და წინაშე მეფისა წარადგინეს და ევედრნეს, რაჲთა ადრე ყოს მოკლვაჲ მისი. მაშინ მისცა მეფემან განჩინებაჲ მოკლვად მისა და ალექსანდრი დედოფლისა და ესრეთ წმიდასა მას თავი წარეკუჱთა. ხოლო ალექსანდრია ვითარ ილოცვიდა თჳნიერ მახჳლისა, სული თჳსი ღმერთსა შეჰვედრა.

თუესა აპ კდ[675]

წმიდათა მოწამეთა პასიკრატოჲსი და ვალენტონისი, ესენი იყვნეს დოროჲსტოლოჲთდა მჴედრობდეს გუნდსა ერთსა შინა ავლიზანის ზე ეპარხოზისა. და ვითარიგი კერპთა მიმართ შეცთომილებასა კაცთასა ხედვიდეს და ყოველთავე შეშინებულთა და დამდაბლებულთა ბრძანებასა ქუჱშე მპყრობელთასა თავნი თჳსნი ქრისტეანედ ქადაგნეს, ხოლო კერპთმსახურთა შეიპყრნეს და მთავრისა წინაშე წარადგინნეს. და ვითარ-იგი აიძულებდა ზორვად კერპთა, არა თავს-იდვეს, არამედ უფროჲსღა წმიდამან პასიკარპოს უჩუჱნეს რაჲ კერპი აპოლონისი, მიეახლა მას, შეჰნერწყუა და ჰრქუა, ვითარმედ: ესევითარი პატივი შუჱნის ღმერთთა თქუჱნთა.

[675] იანვარი და 24 - ქვემოთ!
თუესა (აპ) იანვარსა 24-სა (კდ).

2r / შეიკრნეს უკუჱ ჯაჭჯთა და შეისხნეს საპყრობილესა, ხოლო წმიდაჲ პასიკრატი მხიარულ იყო საკრველთა მათთჯს. და ვითარცა მანიაკსა ოქროჲსასა შეიტკბობდა. ჯაჭუთა მათ ზედა მდებარეთა. და ვითარცა ქრისტეს ვნებათა ორღანოსა ზედა ესრეთ მხიარულ იყო და განსცხრებოდა. და ვითარცა მეორედ წარიდგინნეს წინაშე მთავრისა, მოუჴდა წმიდასა პასიკარპოსს პაპიანე, ძმაჲ მისი, და მრავლითა ტირილითა განაზრახებდა, რაჲთა დაასხას გუნდრუკი ბომონსა ზედა და განერეს ჭირისაგან და თავსა თჯსსა სახედ დაუდებდა, რამეთუ განდგომილ იყო იგი ქრისტეანობისაგან. ხოლო წმიდამან პასიკრატო წარდევნა იგი, ვითარცა უღირსოი ნათესავობისა მისისაჲ და უვარისმყოფელი სარწმუნოებისაჲ და მიეახლა ბომონსა და განირთხა ჴელი თჯსი ცეცხლსა ზედა, რომელი ეგზებოდა მას ზედა, და მთავარსა მას ეტყოდა, ვითარმედ: ჴორცნი მოკუდავად შექმნნეს. და, აჰა ესერა, ვითარცა ხედავ, ჰმორჩილობნ ცეცხლსა და განილევიან, ხოლო სული უკუდავ არს და ხილულთა ვნებათაგან შეუძლებელ მოდრეკად. ამისთჯსცა მოუდრეკელად ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ, დამარხული განიკითხეს უკუჱ წმიდაჲ ვალენტიონცა და თქუა, ვითარმედ: ერთ არს განზრახვაჲ ჩუენი და ერთ - სარწმუნოებაჲ. ამისთჯსცა ორთავე ერთი განჩინებაჲ მიიღეს, რამეთუ მახჯლითა ბრძანა აღსრულებაჲ მათი, ვინაჲცა დედაჲ წმიდისა პასიკრატოჲსი მივიდა და ძესა თჯსსა წარჰგზავნიდა, განამჴნობდა დამოდრეკად ქედისა და მითუალვად მახჯლისა უბრძანებდა. ხოლო რაჟამს-იგი წარეკუჱთნეს თავნი წმიდათა ამათ, იყვნეს ჰასაკითა ნეტარი პავსიკრატო კ ბ წლისაჲ, ხოლო წმიდაჲ ვალენტიოს ლ წლისაჲ.

ამასვე დღესა წმიდისა სიმეონ

2v და იო/სი, ძმათა უფლისათა, ძეთა იოსეფისთაჲ და წმიდათა მოწამეთა ევსევი, ნეონ, ლეონტი, ლოგინოს, ქრისტეფორე, დიმიტრი, დანავ, თერინე, ნესტავ და მათთანათაჲ და ჴსენებაჲ წმიდისა ელისაბედისი.

თუჱსა აპრილსა კ ე (25)

წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა მარკოზისი

ყოვლადქებულმან მარკოზ ჟამთა ტიბერის კეისრისათა ქადაგა ყოველი სიტყუაჲ ღმრთისაჲ ყოველსა ეგჯპტესა და ლუბიას და მარმარიკეს და ამონიკეს და ხუთქალაქს და აღწერა სახარებაჲ ბრძანებითა პეტრე მოციქულისაჲთა და კჯრინეს ხუთქალაქისასა მიიწია და მრავალნი საკჯრველებანი აღასრულნა. და მიერ ალექსანდრიად მივიდა და კუალად ხუთქალაქად და ყოველგან სასწაულთა აღასრულებდა და ეკლესიათა შეამკობდა ჴელთდასხმითა ხუცესთაჲთა და კურთხევითა დიაკონთაჲთა და დადგინებითა ეპისკოპოსთაჲთა. უკუანაჲსკნელ კუალად ალექსანდრიედ (!) მოვიდა და იყოფოდა იგი ძმათა თანა, რომელნი პოვნა ზღჯსკიდესა და სიტყუასა ღმრთისასა. ქადაგებდა და ახარებდა, ვინაჲცა ზედა-მოუჴდეს მას მსახურნი იგი კერპთანი, რამეთუ ვერ თავს-იდვეს ხილვად ქრისტეს სარწმუნოებისა წარმართებასა. და მოაბეს საბელი და იწყეს ზიდვად მისსა, რამეთუ ეცემოდა იგი ქვათა და კლდეთა, დაიბძარნეს ჴორცნი მისნი და სისხლითა ქუჱყანაჲ შეიღება.

და ვითარ შეაყენეს საპყრობილესა, მოვიდა მისა უფალი და გამოუცხადა მას მერმისა მისთვის დიდებისა, მისთჯს განმზადებულისა.

და შემდგომად დღეთა რავდენთამე კუალად იწყეს თრევად მისა უბანთა შინა და ფოლოცთა და ვითარ-იგი ეცემოდა ფიქლითი ფიქლად, დატყოდეს ჴორცნი მისნი, მისცა ღმერთსა წმიდაჲ სული თჯსი.

ხოლო იყო სახე მოციქულისაჲ წესიერ

[676]3r / ებაჲ თითოსახისა ნივთისაგან შემზადებულსა მსგავსებასა შინა უკუჱთუ არა იძიონ ღონე რაჲმე, რომლითა უძლონ საქმეთა მელეტისთა დაბრკოლებაჲ, ვინაჲცა შევიდეს ძაღლთა და იწყეს ბრძოლად თანაწარმავალთა გზისათა. აგრძნა ესე წმიდამან მელეტი და წარიყვანნა მჴედარნი და თანაშეწევნითა ანგელოზთაჲთა ძაღლნი იგი მოსწყჳდნა, რომელთა სახე შეემოსა ეშმაკთა და შესრულ იყვნეს მათ შორის და სახენი მათნი დაფარულნი წინაშე ყოველთასა განცხადნა, რამეთუ შეცვალებულ იყვნეს მსგავსად გუჱლთა და ასპიტთა და ტაძარსა შინა კერპთასა კერპნი და გამოქანდაკებულნი ლოცვითა დამუსრნა. ცნა ესე მაქსიმე მთავარმან და წარავლინნა მჴედარნი და შეიპყრა იგი და მისთანანი და უბრძანა მათ ზორვაჲ კერპთაჲ. ხოლო მათ არა თავს-იდვეს, არამედ უკუჱ გუჱმნეს არგნებითა ფიცხლებითა მრავალჟამ და მერმე იჩხუჱპნეს გუჱრდნი მათნი და კუჱრთხებითა რკინისაჲთა მოიწყლნეს კოჭნი მათნი და დაემსჭუალნეს ფერჴნი ძელსა ზედა, ხოლო თუალნი მათნი იყვნეს მხედველ უფლისა მიმართ, ვითარღამცა ვერ აგრძნობდეს ტკივილთა მათ და კავებითა რკინისაჲთა მოწყლნეს კოჭნი მათნი, და[677] კუჱრებითა რკინისაჲთა გუჱმნეს შუბლნი მათნი, რომელთა ზედა სასწაულსა ჯუარისასა გამოსახვიდეს. სხუანიცა უკუჱ მრავალნი ტანჯვანი დაითმინნეს, რომელთა გამოუთქუმელი აქუნდა სალმობაჲ და ტანჯულსა მას სიკუდილად მიიყვანებდეს სიმწარითა, რამეთუ წმიდაჲ მელეტი ფიჭუთა ზედა დამოეკიდა და დაემსჭუალა და აღსასრული შრომათაჲ იპოვა

3v / და დასაბამი დაუსრულებელისა ქრისტეს თანადების და განსუჱნებისაჲ.

ხოლო სტეფანეს და იოვანეს თავნი წარეკუჱთნეს, ხოლო სარაპ[იო]ნ, რომელი იყო ეგჳპტით მოსრულ და სასწაულთა მიმართ [678]… სა ჰრწმენა ქრისტე და ნათელიღო და ანგელოზისა მ[იერ]ე ეპისკოპოსისაგან ჴელთდასხმულ იქმნა კალინიკე მოგჳსა თანა, რომელმან განუზავა წამალი მაკუდინებელი მოწამესა და რამეთუ მოკლვად მისა ვერ უძლო, ჰრწმენა ქრისტე და მახჳლითა წარეკუჱთნეს თავნი მათნი.

ხოლო ფისტოს და ფავსტოს და მარკელე და თეოდორე და მელიტონ და სერგი და მარკელლონ და ფელიქს და ფოტინე და თევდორ …ე[679] და მერკჳრე და დიდიმოს, რომელთაგანნი რომელნიმე კომიტნი იყვნეს და რომელნიმე - ტრიონნი და რომელნიმე - პრინგიპოსნნი, საჴუმილსა შეითხინეს და გჳრგჳნი წამებისაჲ მოიღეს, ხოლო წმიდისა მელეტის მჴედარნი - ყოველნი მახჳლითა აღესრულნეს. ხოლო სუსანა და მარკიანე და პალადია - მეუღლენი წმიდათა მოწამეთანი, ჩჩჳლებითურთ ძელითა შემუსრვილნი აღესრულნეს. და კჳრიაკეს და სხუასა, სახელით ქრისტეანეს, რომელნი იყვნნეს ფრიად ჩჩჳლნი ჰასაკითა და უსრულნი ცნობითა, ეკითხა მთავრისა მიერ, ვითარმედ: რომელი ღმერთი უფროჲს არს - ქრისტე ანუ ზევს? და ვითარცა თქუჱს, ვითარმედ: ქრისტე, - მახჳლითა წარეკუჱთნეს თავნი მათნი.


თუჱსა მაისსა კდ (24).

წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა სიმეონ საკჳრველთმოქმედისაჲ, რომელი იყო დამკჳდრებულ მთასა საკჳრველსა და ბრწყინვიდა, ვითარცა მთიები, თავსა ზედა სუჱტისასა, რომლისა მამასა ეწოდებოდა იოვანე და დედასა-მართა. ხოლო იშვა იუსტიანეანე მე

[676] ეს ტექსტი აქ წყდება, 3r-ზე გრძელდება სხვა ტექსტი.
[677] და+და.
[678] ლაქაა.
[679] კარგად არ იკითხება.

Fr 217

რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	12,9x19
Content:	Four Gospels
Date:	XII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	12,9x19



ტექსტი

მათეს სახარება, თავი 27, 57-63

[680] 57. [და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიაჲთ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუჲსა.] 58. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუჲსი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი. 59. და მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი არმენაკსა წმიდასა. 60. და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა. 61. იყო მუნ მარიამ მაგდალინელი და სხუაჲ იგი მარიამ,

[და სხდეს წინაშე საფლავსა მას. 62. ხოლო ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთ-მოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა 63. და ჰრქუეს: უფალო, მოვიჴსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო].

მე-2 სვეტი

64. აწ უკუე ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით. და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძჯრეს პირველისა. 65. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით. 66. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა. (თავი 28-ე) 1. ხოლო მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდალინელი და სხუაჲ იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის. 2. და აჰა ძრვაჲ იყო

(ეს ნაწილი აკლია) (1 v) 1-ლი სვეტი

დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოჴდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა. 3. ხოლო იყო ხილვაჲ მისი, ვითარცა ელვაჲ, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი.

[680] სავარაუდოდ, აქედან უნდა იწყებოდეს 1 r 1-ლი სვეტი.

[681]4. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნნეს, ვითარცა მკუდარნი. 5. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; ვიცი, რამეთუ იესუს ნაზარეველსა ჯუარ-ცუმულსა ეძიებთ. 6. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი. 7. და ადრე წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით და აჰა წინა-გიძღჳს თქუენ გალილეას. მუნ იხილოთ იგი. აჰა ესერა გარქუ თქუენ. 8. ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა


[მისთა. 9. და ვითარ-იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აჰა იესუ შეემთხჳა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერჴთა მისთა და თაყუანის-სცეს მას].

[682]10. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ (მე-2 სვეტი) გეშინინ, წარვედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეას და მუნ მიხილონ მე. 11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა დასისა მისგანნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღდელთ-მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა იქმნა. 12. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ. 13. და ჰრქუეს: ესრეთ თქუთ, ვითარმედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა. 14. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყვნეთ.

ხოლო მათ …

Fr 218

რაობა:	ლოცვანი
თარიღი:	XVI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	10,5x7,8-8,5
Content:	Prayers
Date:	XVI c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	10,5x7,8-8,5



ტექსტი

1r / რსა მხოლოსა ააქუს (!)
უკუდავებაჲ და მადლსა
… … … მჴუდ ხთ შეუხებელსა, რამეთუ
რომელი მოუაკუდინი[ს] … … … ხუვნებ … თ იყ … თ … ბ
ჯოჯოხეთით ბეჭ … … …
[ა]ღმოიყვანებ შენ სიბრძნითა შენითა
შჳდ მდღ მიწისაგან კაცმა კუალად


[681] გვერდის ბოლო ნაწილში ტნდ, მთავრული ასოებით (პაგინაცია).
[682]. ამ გვერდის მარცხენა კიდეზე, ზემო ნაწილში მთავრული ასოებით ტნვ (პაგინაცია).

… … … ელდვე მაქცევ მს … … … [აღ]სრულებად
და ნებსა მას შე … … … რ
ბით

1r / სახ[ი]ერო (!), შეიწყალე შენითა … … … და
განუსვენე წიაღთა შენ[ისათა] [და]
საუკუნოდ კუალად … … … სათა და ეც მას გჳრგჳნი
სიმართლისა და ნაწილი ცხორე[ბი]სა[683] დი
დებულთა რჩეულთა ყოველთასა … … …
… … … რ სათსა … … … სოფ[ე]ლსა ამას
შინა სახ… … შენისათჳს მ …

1v მდიდრად მსა /

Fr 221



რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XI ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	17x10,3
Content:	Four Gospels
Date:	XI c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	17x10,3

ტექსტი

მათეს სახარება მე-15 თავი

1r / [შეაგი]ნებენ კაცსა, ხოლო უბანელითა
ჴელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა.

21. და წარვიდა მიერ იესუ და მივიდა
ადგილთა ტჳროსისა და სიდონიისათა.
[და] აჰა [ესერა] დედაკაცი [ქანანელი]
გამოვიდა საზღვართაგან და
იტყოდა: [შე]მიწყალე … ძეო დავითისო,
… ლი ჩემი ბოროტად ეშმაკეულ
არს.
ხოლო იესუ არაჲ მიუგო მას სიტყუაჲ
[და] მოუჴდეს მოწაფენი იქსუს და
ჰრქუეს მას:
განუტევე ესე, რომელი ღაღადებს

[683] ცხრისა.

და შეგჳდგს ჩუენ.
ჰრქუა მათ იესუ: არა ვიდრე მოვლინებულ
ვარ, გარნა ცხოვართა წარწყმედულთა
[სახლ]ისა ისრაელისათა.
ხოლო იგი მოვიდა, [თა]ყუანის-სცემდა
მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე!
ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუალ
მას: არა კეთილ არს მოღებად პური
[შვილთაგან] და დადებად ძა[ღლ]თა.
ხოლო მან ჰრქუა: … რამეთუ
ძაღლნიცა ჭამ[ედ] ნაბიჭევისაგან,
[რომელ] გარდამოცჳვის ტაბლისაგან
უფალთა მათთაჲსა[684].


მაშინ მიუგო იესუ და ჰრქუა მას: ჵ დედაკაცი, დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი;
გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ [ჟამით]გან.
და წარვიდა მიერ იესუ და მივიდა [ზღჳს] კიდესა გალილეაჲსასა და აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ

და მოუჴდა მას ერი მრავალი, [რომელთა] ჰყვანდა მათ [თანა [მკელობლები], ბრმები, ყრუნი, ქუე[წა]რ მზშრურომელნი (!) [და] სხუანი მრავალნი, თითოსახეთაგან სენთა შეპყრობილნი. და დასხნეს იგინი ფერჴთა თანა მისთა და განკურნნა იგინი.

არამედ უკჳრდაცა ერსა მას, ხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი იტყოდეს და მკედიობელნი ვიდოდეს და ღრეკილნი განიკურნებოდეს და ბრმანი ხედვიდეს და ადიდებდეს [ღმერთსა] ისრაჱლისასა.

ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა თჳსთა და [ჰრქუა]: [მე] წყალის ერი ეს[ე], ეამეთუ აწ ესერა [სა]მი დ[ღჱ] [არს] და მელიან [მე] [და] [არა]რაჲ აქუს, რაჲმცა [ჭა]მეს და განტევებაჲ [მათი] უზმათაჲ არა მნებავს, ნუუკუე დაცყვენ გზასა ზედა[685].

Fr 223



რაობა:	საგალობელი
თარიღი:	---
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	22,1x17,5
Content:	Chant
Date:	---
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	22,1x17,5

[684] 1r=ზე, ქვემო კიდეზე სინგურით მ, მრ, რ; ამ ასოების ქვემოთ: მ მრ რ
რნჱ რ სავ
რნთ ოლ ⁘

[685] მარცხენა კიდეზე თითქოს ჯვრის გამოსახულება (წითელი მელნით) წინწკლოვანი, არის შავი მელნით: **ლდ**. რომლის ქვემოთ ჩანს შავი მელნით **რჲ** (წითლად).
1ვ-ს ბოლო კიდეზე მთავრული, სინგურით: **მ, მრ**, ამ ასოების ქვემოთ შავი მელნით, სადაც ასოებია არ იკითხება, **მრ**-ს ქვევით … **ვ**.

ტექსტი

1r [*]/ გიხაროდენ, მო … … …[686] თა შენთა … … … ხარებისა
და მჳსნელო!
გიხაროდენ, სოფლის[ა] განმწმედელო!
გიხაროდენ, ადამიანთა სიხარულო!
გიხაროდენ, ნუგეშინისმცემელო და შემწეო!
გიხაროდენ, მთაო წმიდაო და მვედრებელთა შენთა გოდოლო!

… … … ~ს მოწამენო,
ყოველთა [ცოდ]ვილთა წმიდა-ჰყოფთ თქუენ,
ყოველთა სნეულთა განჰკურნებთ
და აწ ევედრენით ჳსნად
მახეთაგან მტერისათა
სულთა ჩუენთათჳს, გევედრებით.
დიდებაჲ აწ … … …
გიხაროდენ, დედაო ღმრთისაო!
გიხაროდენ, შემწეო კაცთაო და მაცხოვარო!
გიხაროდენ, სასანთლეო ნათლისაო, ბრწყინვალეო!
გიხაროდენ, ლამპარო ელვისაო!
გიხაროდენ, სამოთხეო პირმეტყუელო!
გიხაროდენ საღმრთო საყდარი და კარაო!
გიხაროდენ, მდინარეო ტკბილო, მომრწყველო ცისკიდეთაო!

ორშაბათსა მომიჳსენენი[687]

[მო]მიჳსენენ ჩუენ!
სული ჩემი უძლური განკურნე, ქრისტე,
ვითარცა ხარ მკურნალი სულთა და ჴორცთაჲ
და ცრემლითა მდინარითა
განმბანე, ტკბილო,
ვითარცა ხარ მრავალმოწყალე.

ღმრთეებისა საყდართა წინაშე დგანან
საყდარნი, უფლებანი და მთავრობანი,
ქერუბინ-სერაბინნი და აქებენ მას
სხუათა მათ თანა მთავრობათა.

ქრისტეს ს … … …[688] ლითა განჳურვებულთა
შეუწველად ეგენით ცეცხლისაგან და
შესწუჱნით თქუენ ეკალნი საცთურისანი,
მარტჳლნო მჳნენო, ღუაწლისა მძლენო (მძლ~ნო).

[*] შენიშვნა: A-1459 ხელნაწერის ყდის რესტავრაციის დროს, ეს ფურცლები ჩაწებებული იყო ყდაში.

[686] ამოხეულია.

[687] ხაზგასმული სიტყვები და ასოები სინგურითაა.

[688] ამოგლეჯილია.

ესაჲა გიხილა გრაგნილად საღ[მრთო]დ,
რომელსა ზედა ღმერთმან მამამან სიტყუაჲ
თჳსი მხოლოდშობი ... ...[689] ... ... უთქუმელად დაწერა მან
და აღგუწერნა ცათა შინა[690] [დღე][691] სასწაული
შუჱნის ეკლესიასა დღესას წაულებაჲ,
შუჱნის ერსა ღმრთისასა მოქალაქობაჲ
სულიერად ბრწყინვალესა საჴსენებელსა შენსა, იოანე,
რამეთუ ჰხედევდ შენ სულითა კრავსა მას ღმრთი
1v სასა/ ე ... ... ესა და დღესასწაულსა

გლ ... ... ად დ[იდებასა], წმიდანო მოწამენო.

ბჭეო ... ...თ ... ... ღირსო ... ... ან
... ... ლნი გულისა ჩემისანი, რომელმან ... ...
... ... მან ცოდვისამან და სინანულისა ... ...
გარდამომავალნი ს ... ...ა ... ... და სკნ ... ... მის
... ... გან მიჴს ... ... ბითა შენითა, რომელი
გადიდებდე შენ.

მ ... ...თა ... ... მცა, ჵ ... ...
ღრუბელთა ზედა ... ... თა წინაძღომითა <u>ანგელოზთაჲთა</u>
და ძალთა მიერ ... ... დასასჯელად ჩემდა,
არამედ განმამართლებელად სახიერებითა, ღმერთო,
და აღმრაცხველად ჩემდა მარ...რითთა მათ ცხოვართა,
ღმერთსა ... ... რთებით უგალობთ თქუენ სამებასა,
სამწმიდითა ჴმითა დაუცხრომელად განათლებულნი
მისსა მიმართ წამისყოფითა ... ... ქუეყანასა ზედა
[უგა]ლობთ და გევედრებით, წმიდანო ანგელოზნო, გჳ-
[ჴსე]ნით ჭირთაგან და ურვეულნი ღმრთისა
მიმართ ვედრებითა თქუენითა.

რაჟამს-იგი გეგულვის, ქრისტე, საღმრთოჲთა
ნებითა განყოფაჲ ჩემი განხრწნილთა ამათ და
უბადრუკთა ჴორცთაგანი მშჳდობით ანგელოზი
ქ(რისტეს) ... ... შენისა სიტკბოებისაჲ, მომავლინე[692] ... ..., რაჲთა
წარმიძღუჱს მისლ[ვად] ... ... უფლოჲსთა ნათლისა
შენისა[თა].

ჴმასა გესლისასა გ ... ... ყოველთა
ანგელოზთათა ... ..., ვითარ პლატონ[სა]
... ... ლისა... ... ... სა ... ... თჳს ... ... სო,
გიხაროდენ, და ფი ... ...ნ ქუეყანაჲ


[689] ამოხეულია.
[690] ამის შემდეგ სინგურით დაწერილი სათაურია, მთლიანად გადაშლილი.
[691] სინგურით ერთი ასო, არ იკითხება.
[692] ამოგლეჯილია.

ცად [შესცვალე] ნათლისა მიერ
ვცხოვნდით … … … და ა … … … ლ … … …რება … … … დად
ღმერთსა, [არამედ], ქალწულად უბიწოდ.
აღვიმს … … … მშობლისანი
დღესასწაულ[693],

გ[იხაროდენ], ღმრთისა … ისო … !
გიხაროდენ, … რო
და … ო ცხობილო!
გიხაროდენ, დიდად

… … …რო და … … … ცხიბი ო გიხაროდენ, დიდად
… … … ო … … … უბიწოო სახიერო, გიხაროდენ,
უხრწნელო … … … ჩ ჱნ, საღმრთოო პლატო … … …
გიხაროდენ, დედაო და ქალწულო! გიხაროდენ,
… … … ო ღმრთისაო, ყოვლადწმიდაო!
გიხაროდენ, დედაო ღმრთისაო!
გიხაროდენ, სასოო მორწმუნეთაო!

არქეოგრაფიული აღწერა გაკეთებულია Fr- 223-ში
Fr 223 ა
II ფრაგმენტი



რაობა:	საგალობლის ფრაგმენტი
თარიღი:	---
ფურცელთა რაოდენობა:	1ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	15x3
Content:	Fragment of Chant
Date:	---
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	15x3

ტექსტი

1r */ რომელმან მოწყალებითა ინ … … … [694]
მიჴსენ მეცა ს … … …

ისაკის მიერ … … …
გან გამოვიდა მჴსნ[ელი] … … …

[693] სინგურით.
* შენიშვნა: A1459 ხელნაწერის ყდის რესტავრაციის დროს ეს ფურცლები ჩაწებებული იყო ყდაში.
[694] დარჩენილია ფურცხლის ¼-ზე ნაკლები.

ვედრე, წმიდაო ქალწულო ... ...
თა შენითა

ისმინე ... ...
ღმრთისმშობელისაჲ თი ... ...
მერმეთა მათ სატან ... ...
მრავალმოწყალე ხ ... ...
სა, ყოვლადწმიდაო ქალწულო, დ ... ...
მამისა და სულისა წ[მიდისა] ... ...

იტჳრთე ღმერთი წია ... ...
ქმნაჲ და მკლავნ ... ...
შიშით დაეფა ... ...
ყრმათა ღმრთის ... ...
სო ... ...

1v / სე ... ... ლი ... [ყოვლად თუ შემდგომად] ...[695]
... ... გ ... ...
... ... ცოდვათა
... ...
მოქმედი ცათა და ქვე
... ... თა დ ... ... თ ... ...
... ... ზეც ... ... რბ ... ...
... ... მივივლ ... ...ი მშ
... ... ამიპ ... ...
... ... ცემულ სრულიად მას
... ...ი სა ... ... რ მგბ ... ...
... ... მორჩ ... ...
ბ (შ)... ... ... ს ... ...
... ...
... ... ლ ... ...
... ... დ ... ...

არქეოგრაფიული აღწერა გაკეთებულია Fr- 223-ში

Fr 223 ბ

III ფრაგმენტი

რაობა:	საგალობლის ფრაგმენტი
თარიღი:	---
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	4x15



Content:	Fragment of Chant
Date:	---
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	4x15

[695] ასოები გადაშლილია, ჩანს სხვა გვერდის ნაჭდევები.

ტექსტი

1r */ და ურიცხუთა მათ ცოდვათა ჩუენთა
ლხინებაჲ, გევედრებით
… … … ჲდა.
მარტ[ჳ]ლთა შენთა, უფალო,
დაივიწყნეს საწუთოჲსა … … …

1v /[696] სა … … … გან მოწევნ … … … ისა, ჱ ღმრთივმიმადლებულო ყოვლად
… … … დედოფალო,
შენ ხარ ზღუდე … … … ე ჩუენი და ჴელის [ამპ]ყსო … … …
… … … ურ … … …

არქეოგრაფიული აღწერა გაკეთებულია Fr- 223-ში

Fr 223 გ

IV ფრაგმენტი

რაობა:	საგალობელი
თარიღი:	---
ფურცელთა რაოდენობა:	1ფურცელი+ სამი პატარა ფრაგმენტი
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	I ფ.-22,1x17,5; II ფრ.15x3; III ფრ.- 4x15; IV ფრ.- 12,5x7,5



Content:	Fragment of Chant
Date:	---
Number of folia:	1 folio + 3 little fragments
Script:	Nuskhuri
Size:	I f.-22,1x17,5; II fr.15x3; III fr.- 4x15; IV fr.- 12,5x7,5

შენიშვნა: A1459 ხელნაწერის ყდის რესტავრაციის დროს, ეს ფურცლები ჩაწებებული იყო ყდაში

ტექსტი

1r / [697]… … …
ბდენ შენ უკუნისამდე
სიხარულსა წარუვალსა, წმიდათათჳს
განზადებულსა, საშუჱბელსა სამოთხისასა
ზეცისა სუფევასა ღირს-ყვენ

1v / … … …
შეწევნითა შენ[ით]ა მზაკუვარებათა მათგან,

* **შენიშვნა:** A1459 ხელნაწერის ყდის რესტავრაციის დროს ეს ფურცლები ჩაწებებული იყო ყდაში.


[696] პატარა ნაკუწია, v სულ გადაშლილია.

[697] გვერდის ბოლო ნაწილის 2 სტრიქონი.

ქალწულო.
მამაო, სიტკბოებისა მადინებულო, რომელმან
ჰშევ თავი სიტკბოებათაჲ, გესლითა

Fr 224

რაობა:	სახარება
თარიღი:	XII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	24,0x16,5
Content:	Gospel
Date:	XII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	24,0x16,5



ტექსტი

[698]სახარება იოვანესი, თავი მე-8, 33-51

1r */ მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუⷩს
მას: ჩუენ ნათესავნი აბრაჰამისნი ვართ
და არასადა ვის ვჰმონებდით, ვითარ-ეგე
შენ იტყჳ, ვითარმედ განსთავისუფლდეთ.

მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ამენ,
ამენ გეტყჳ თქუენ, რამეთუ ყოველმან,
რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ
არს იგი ცოდვისაჲ და მონამან არა
დაიმკჳდროს სახლსა შინა უკუნისამდე,
ხოლო ძემან დაიმკჳდროს უკუნისამდე.
უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ.

უწყი, რამეთუ ნთესავნი აბრაჰამისნი
ხართ, არამედ მეძიებთ მე მოკლვად, რამეთუ
სიტყუაჲ ჩემი ვერ დაეტევის თქუენ შორის.
მე, რომელი ვიხილე მამისა ჩემისა თანა, მას
ვიტყჳ და თქუენ, რომელი იხილეთ მამისა
თქუენისა თანა მას ჰყოფთ.

---

[698] მისდევს ამონაშვილის გამოცემას FG - რედაქციას - გიორგისა და ურბნისის რედაქციებს. კლასიკური ტექსტის.
ვხსნით უⷩ კომპლექსს, რადგან ყველგან ასეა გახსნილი.
* **შენიშვნა:** აღმოჩნდა A-1459 ხელნაწერის ყდის რესტავრაციის დროს, ეს ფურცელი ჩაწებებული იყო ყდაში.

მიუგეს და ჰრქუჱს მას: მამაჲ ჩუენი აბრაჰამი არს.
მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: უკუჱთუმცა შვილნი
აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთამცა აბრაჰამისთა იქმოდეთ.

ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად კაცსა, რო
მელი ჭეშმარიტსა გეტყჳ თქუენ, რომელი მესმა
ღმრთისაგან: ესე აბრაჰამ არა ქმნა, ხოლო
თქუენ იქმთ საქმესა მამისა თქუენისასა.

ჰრქუჱს მას: ჩუენ სიძვითა ა[რა შობილ ვა][699]

1v / რთ, ერთი მამაჲ ვიცით-ღმერთი.
ჰრქუა მათ ესუ: უკუჱთუმცა ღმერთი მამაჲ
თქუჱნი იყო, გიყუარდიმცა მე, რამეთუ
ღმრთისაგან გამოვედ და მოსრულ ვარ,
რამეთუ
არა თავით თჳსით მოსრულ ვარ, არამედ მან მო
მავლინა მე.
რაჲსათჳს სიტყუანი ჩემნი არა იცნით? რამეთუ
ვერ ძალ-გიც სიტყუათა ჩემთა სმენად.

თქუჱნ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქუ
მათა მამისა თქუჱნისათა გნებავს ყოფად;
რამეთუ იგი კაცისმკლველი არს დასაბამითგან
და ჭეშმარიტებასა არაჲ დაადგრა, რამეთუ ჭეშმა
რიტებაჲ [ა]რა არს მის თანა.

[ხოლო მე ჭეშმარიტს]ა[700] გეტყჳ თქუენ: რაჲსათჳს
არა გრწამს ჩემი?
რომელი ღმრთისაგან არს,
სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთჳს არა
ისმენთ თქუჱნ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან.

მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუჱს მას: არა
კეთილად ვთქუთა, ვითარმედ სამარიტელ ხარ
შენ და ეშმაკი არს შენ თანა?

მიუგო იესუ და ჰრქუა მათ: ჩემ თანა
ეშმაკი არა არს, არამედ პატივ-ვსცე
მამასა ჩემსა და თქუჱნ მაგინებთ მე.
ხოლო მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა;
არს, რომელი ეძიებს და სჯის.


ამენ, ამენ გეტყჳ თქუჱნ: უკუჱთუ ვინმე
სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, სი

[699] მოხეულია, აღდგენილია გამოცემის მიხედვით.
[700] მოხეულია.

Fr 228

რაობა:	საბუთის ფრაგმენტი
თარიღი:	XIII-XIV სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	მხედრული
ზომა:	20,5x3,9

Content:	Fragment of working document
Date:	XIII-XIV cc.
Number of folia:	1 folio
Script:	Mkhedruli
Size:	20,5x3,9



ტექსტი


საბუთის ფრაგმენტი

1r */ მინდობითა და შუამდგომლო[ბით]ა
ცხოველისა კუ … ოსა სამეუფოსა
და მირონისა ო … … … ით და უფლისათა
[ო]ითა და მეოხებითა უხი … … …
… … … მეფოჲსა ნ … … …

Fr 229

რაობა:	ლოცვანი
თარიღი:	X ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	18x13

Content:	Prayers
Date:	X c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	18x13



ტექსტი

1r */ კთ[701] ლოცვაჲ მისა … … … [702]ა
ლ კანუხისაჲ (!)
ლალ მ … … … [თა] … … … ა ზედა
ლ ბ ახლისა პურისა ლგ ლჲ … ხალ … ნა
ლა მო … ეს ლ

* შენიშვნა: საბუთის ფრაგმენტი აღმოჩნდა A-290 ხელნაწერის ყუის რესტავრაციის დროს, ჩაწებებული ხელნაწერის ყუაში.

*შენიშვნა: ფრაგმენტი ამოღებულია ხელნაწერიდან H-1335, ხელნაწერში იყო ჩადებული

[701] ხაზგასმული ასოები ნაწერია სინგურით.

[702] ალბათ ლუკაჲ.

ⴍⴓ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ მსახურებელთა ზედა და
ახლისა ყურძნისა
ⴍⴒ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ მ … … … ბ თა ზედა
ⴍⴓⴓ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ მორ … … … ისაⴘ
ⴍⴚ [ⴍⴔⴖⴀⴀⴘ] მ[ემტი] ეთა ზედა
ⴍⴕⴓ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ მოგზაურთა ზედა
ⴍⴚⴚ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ … თ … ა სნეულისათჳს
წყლ … … … ცა ზედა

ⴓ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ ზამთრისა … … … ხლისათჳს
… … …[703] მარხვისათჳს
ⴓⴀ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ … ⴍ … … არვიდანა
ⴓⴁ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ უწუი … … …


ⴓⴂ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ ჰაერისა დაწყნარებისათჳს
ⴓⴃ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ [წყ]უდასა ზრა ხათასა
ⴓⴒ ბ ამ … … … ხმასა
ⴓⴓ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ წყმ[უდ]ასა კაცთასა
ⴓⴚ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ კრუ [704]… … … განჴსნის[ა]
ⴕⴓ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ და [კა] ცისა სნეულისა თანა აბნ.
ყოვლისა თ … … … ⴍⴔⴖⴀⴀნი … … …
თ კ … ნი და ⴍⴔⴖⴀⴀნი ყოველთა ყმთანი.
… … … ნ საჴმარნი მრავალნი ჰპო … … …

ⴔ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ, რაჟამს სარეკლისა ჴმაⴘ
გესმ ე… … …
ⴔⴀ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ პურისჭამისა და ნამეტა[705] … … … ა
ⴔⴁ განგებაⴘ შესუენებულთა ზედა
ⴔⴂ საკითხავნი და სახარებანი
ფსქეფსისანი (!) ყოველნი
ⴔⴃ საცისკრონი კურიაკეთანი სახარებანი
ⴔⴒ საძიებელნი ქრონიკონისანი და
ქრონიკონი

[706] მრავალთა საჴმართ[ა] ⴍⴔⴖⴀⴀთა რიცხვი
არა მიქმნია, უკუეთუ ეძიებდე, მეტნი
ჰპოვნეთ, საყუარელნო ძმანო, ვინ იმსახურებდეთ,
ნუ დამივიწყებთ წმიდასა ⴍⴔⴖⴀⴀსა თქუენსა,
არამედ ⴍⴔⴖⴀⴀⴘ ყავთ, რაⴘთა ღმერთმან წყალობა-ყოს თქუენთჳს.
ამინ.
[დას]აბამითგან წელნი არიან ყოველნი,
ვიდრე ხ … … … ე … … … მდე
ჭ ფ ხარებითგან ვიდრე ჯუარცუმამდე
ⴍⴚ ⴓ

[703] (ქ) ერთი ასო სინგურით ნაწერი არ იკითხება.
[704] ჩამოხეულია.
[705] ამოხეულია.
[706] არის შემდეგ - ნუსხურით.

Fr 231



რაობა:	ოთხთავი
თარიღი:	XII ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	10x6
Content:	Four Gospels
Date:	XII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	10x6

ტექსტი

მარკოზის სახარება, თავი მე-5 42-43; თავი , 1-3, 6-10

1r */[707] … … …ა გა … … … ა … … … ი იგი იყო იგი ვითარ
ათო … … …

და განუკჳრდებოდა … … …
დიდითა ვფ (ფდ) და ამცნი … … …
ვინ აგრძნას ეს … … …
და სცენ მას ჭამადი[708].
და გამოვიდა მიერ და … … …
… … …ა ლად და მოსდევდე … … …
იყო შაბათი და ვპ … … …
სა სწავლად მათდ … … …
რომელთა ესმოდა გ … … …
ყოდეს
ვინაჲ ა[709] … … …
რაჲ არს სიბრძნე … … …

1v /[710] … … … … … …
… … … … … …
ზემო სოფლებსა მას
… … … … … …
… … … ტთა მათ და იწყო წა
ორ-ორისა და მისცემ … … …
… … … ლთა ზედა არაწმიდათა … … …
… … …[ა]რარაჲ მიიღონ გზა … … …

---

* **შენიშვნა:** ფრაგმენტი ამოღებულია ხელნაწერიდან A 461, იდო ხელნაწერში.

[707] გვერდის ზემო ნაწილი, მარჯვენა და ბოლო ნაწილებიც, წაჭრილია, რამდენიმე ასო იკითხება.


[708] გასწვრივი სინგურით: ქ (მთავრულით).

[709] ჩამოჭრილია.

[710] პირველი ორი სტრიქონი გადარეცხილია.

… … …ხი ხოლო ნუცა ვაშკა … … …
ნუცა სარტყელსა
… … … ხნენ სანდალნი და სამოსელი
ეტყოდეთ სა[ხ]ლსა მო … … …

Fr 233



რაობა:	სახარების თარგმანება
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	4 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	30,0x22,2
Content:	Commentary of Gospel
Date:	XV c.
Number of folia:	4 folios
Script:	Nuskhuri
Size:	30,0x22,2

ტექსტი

1r */ ყოდა: მიიღეთ სული წმიდაჲ და კუალად
მოვიდა მათ ზედა სული წმიდაჲ და მაშინ
იქმოდეს სასწაულთა. ხოლო პირველ,
რაჟამს წარ[ა]ვლენდა მათ, არა წერილ
არს, თუ მისცა მათ სული წმიდაჲ და
მისცა მათ ჴელმწიფებაჲ და ჲჰრქუა:
კეთროვანთა: განსწმედდით, ეშმაკთა განასხმიდეთ,
მკუდართა აღადგინებდით, უსასყიდლოდ მიგიღებიეს,
უსასყიდლოდ მისცემდით.

ხოლო წინაჲსწარმეტყუელთა ზედა ყოველთა
მიერ აღსრულებულ არს, ვითარმედ სულისა წმიდისა
მოცემა იყო და რაჲ არს უკუჱ ესე
სიტყუაჲ,

---

* რვეული ამოღებულია ხელნაწერიდან A 927,
მინაწერები მხედრულად
2r მარცხენა კიდეზე „განმანაღლებელო კესარია კაბბდუკს ქალაქისაჲ დიდჲ მღდელმთავარო ვასილი ჩვენ ყოველნი პატივ…ეც"
გვერდზე ნაწერ ორ სვეტს შორის არის წარწერა: დიდებული ჩვენო ღირსის მამისა ჩვონის (!) ღრიღორის (!) … ღოლ … ავისა … განმან … (გადღაბნილია მელანი)
3v-ზე მარჯვენა კიდეზე: ზეცით გამოჩინებულისა ქრისტეს მეუფისა მსხვერპლის შემწირველო ვარსკლაო, ყოვლადბრწყინვალეო.
2r-ზე ყუის გასწვრივ და სვეტებს შუა და 3r-ს ყუის გასწვრივ მინაწერია ღია ყავისფერი მელნით მხედრულად.

ისმინეთ უკუჱ, რამეთუ წინაჲსწარმეტყუჱლთა მოეცაჲ
სული წმიდაჲ, არამედ მადლი იგი სულისა წმიდისა
მოკლებულ იყო ქუეყანით მით დღითგან, ვინაჲთგან
თქუა, ვითარმედ: აჰა ესერა, დატევებულ იყოს
სახელი თქუენი ოჴრად და უწინარეს მის სიტყისცა (!)
ეწყო მოკლებასაჲ ამას, რამეთუ არღარა იყო მათ
შორის წინაჲსწარმეტყუელი, არცა მადლი იგი მოვიდოდა
მათ ზედა, ვინაჲთგან უკჱ (!) მოკლებულ
იყო სული წმიდაჲ და ეგულვებოდა მოსლვად მდიდრად
და ძლიერად.

ხოლო ამის მოსლვისა დასაბამი ჯუარცუმისაგან
იქმნა და მადლთა მათ დიდ-დიდთა მოცემასა, რამეთუ
უსაკჳრველეს იყო ნიჭი იგი, ვითარცა იტყჳს, ვითარმედ:
არა უწყითა, რომლისა სულისანი ხართ?
და კუალად წერილ არსა, ვითარმედ: არა მიგიღებიეს
სული მონებისა, არამედ სული შჳლებისა, რამეთუ
ძუჱლთა მათ აქუნდა სული წმიდაჲ, გარნა სხუათა
ვერ მისცემდეს. ხოლო მოციქულთა მრავალნი
ბევრნი აღავსნეს და ვინაჲთგან ესევითარისა მადლისა
ეგულვებოდა და ესევითარი იგი მადლი არღა იყო მოცემულ,
ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: არღა იყო სული წმიდაჲ
მოცემულ, რამეთუ უფალი ამის მადლისათჳს იტყოდა.

ამისი მახარებელმან თქუა, ვითარმედ: არღა იყო სლვა,
ესე იგი არს მოცემულ, არღარა იყო ესევითარი იგი მაღალი მადლი.

<u>სახარებაჲ</u>
რამეთუ იესუ არა იყო დიდებულ
<u>თარგმან</u>ი.
დიდებად ჯუარცუმისა[711] უწესს,
არღა დიდებულ იყო, ესე იგი არს, არღა ჯუარცუმულ
იყო, რამეთუ დიდებაჲ ქრისტესი ჯუარი არს, რამეთუ
ვინაჲთგან მტერნი ვიყვენით და შეცოდებულნი და
დაკლებულნი მადლისაგან ღმრთისა და ღმრთისა
შემაწუხებელ, ხოლო მადლი იგი დაგებისა სასწაული
იყო, ხოლო ნიჭი არა მტერთა მიცემისა,
არცა მოძულებულთა, არამედ მეგობართა და სათნოთა,

1v / … … …[712] რაჲთამცა პირველ შეწ[ირა[713]] ჩუენთჳს
შეწიროთ იგი მსხუჱრპლი და მტერობაჲ იგი … … …[714]
დაჴსნა ჴორცითა მისითა, რაჲთამცა ვიქმნ[ე]თ

[711] ზემოდან, ი-ს ადგილზე მიწერილია ჲ.
[712] გადარეცხილია.
[713] გადარეცხილია.
[714] გადარეცხილია.

მეგობარ ღმრთისა და მერმეცა მოგუცა ნიჭი იგი
დიდი, რამეთუ უკეთუ აღთქმასა მას ზედა
აბრამისთაჲ ესე იქმნა, არამცა უფრო[ჲ]სად
[მ][715]ადლსა ამას ზედა იქმნა, რამეთუ აღუთქუა
ღმერთმან აბრამს[716] მიცემად ნათესავისა
მისისა ქუეყანა იგი და არა ღირს იქმნეს
მიღებად[717] აღთქუმისა მის უკუანასკნელნი იგი ნათესავნი მისნი და თჳსთა შრომათაგან სათნოყოფად ვერ ძალ-ედვა.

ამისთჳს შემოვიდა სარწმუნოებაჲ საქმე ადვილი,
რაჲთა მიიყუანოს მადლი იგი და არა
დავარდენ[718] აღთქუმანი იგი. და წერილ არს,
ვითარმედ: ამისთჳს სარწმუნოებისაგან რაჲთა მადლითა[719]
მტკიცე იყუნენ აღთქუმანი, ამისთჳს მადლითა[720]
ვერ შეუძლეს, რამეთუ რაჲსათჳს[721] თქუა:
რაჲ თუ მსგავსად წერილისაცა იგი წერილისა ამისთჳს,
რამეთუ განხრწნილ იყო ოცნებაჲ მათი.

სახარებაჲ
რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: ესე არს ჭეშმარიტად
წინსწარმეტყუელი. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტე.
სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აცთუნებს ერსა, ნუუკუჱ
გალილეად[722] მოსლვად არს ქრისტე. არა წიგნი იტყის (!),
ვითარმედ ნათესავისაგან დავითისა და ბეთლემით [დაბასა].
და კუალად სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: ქრისტე
რაჟამს მოვიდეს, არავინ უწყოდის[723], თუ ვინ არს.

თარგმანი[724].
იხილეთ, ვითარ ს … … … თო სხედ, განყოფილ
იყუნეს გონებანი მათნი, ვითარცა სიმრავლისა
მის უწესოსა, რამეთუ არათუ ისმენდეს კეთილად
თქუმულთა მათ, რაჲთამცა ცნეს, რამეთუ კეთილი;
ამისთჳს უკუჱ უფალმანცა ამათ
არარაჲ მიუგო, დაღათუ იტყოდეს თუ: ნუუკუჱ
ქრისტე გალილიეა (!) მოვიდესა?

[715] სულ არ ჩანს.
[716] ჰბრამს.
[717] მიღებჲდ.
[718] დაჲ ვარდენ.
[719] მადლითჲ.
[720] მადლჲჲ.
[721] რ~ს თ~ს.
[722] გადარეცხილია.
[723] გადარეცხილია.
[724] სინგურით ნაწერი გადარეცხილია.

ხოლო ნათელნი უფიცხლესად თქუა და[725]
უშემაწუხებლესად, ვითარმედ ნაზარეთიღ შესაძლებელ
არს კეთილისა რაჲსმე ყოფად და უფროსად (!)
აქო მაცხივარმან, ვითარცა ჭეშმარიტი ისრაიტელი,
რამეთუ ამათ, რომელთა ნიკოდიმოსსცა ჰრქუეს, ვითარმედ:
გამოიძიე და იხილე, რამეთუ გალილიაჲთ წინაწარმეტყუელი
არა აღდგომილ არს, არათუ სწავლად
და ცნობად ჭეშმარიტისა თქუეს, არამედ რაჲთამცა
ოდენ განამტყუენეს ქრისტესი იგი საქმე.

ხოლო ნათანაელ ჭეშმარიტისა მოყუარე იყო
და წერილნი ყოველნივე კეთილად ესწავლნეს
და ამისთჳს იტყოდეს სიტყუასა ამას, არამედ
ესენი ამისთჳს ოდენ იყუნეს, რაჲთამცა არავინ
ჰქონებდა მისთჳს, თუ ქრისტე არს;
არა რაჲთა გამოუცხადა მათ, რამეთუ იგინი
თავისა თჳსსაცა წინა აღდგომასა იტყოდეს: და
ოდესმე თქუენ ვითარმედ ვიცით, ვინ არს და
კუალად ოდესმე ბეთლემით მოვალს.

ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ განსცა
და წინა-აღუდგეს და, აჰა, ვთქუათ თუ: ად
გილსა უმეცარ იყუნეს ნაზარეთს შინა აღზრდისა
მისთჳს, დაღაცათუ ესეცა შესაძლებელ არს,
რამეთუ საცნაურ იყო, ვითარმედ არა მუნ შობილ
იყო, პირველად ვთქუათ, თუ არა იცოდეს, ნუუკუჱ
ნათ

2r / ებაჲ თითოეულსა სახედ თჳსა, მაშინ მისცემს
საგზალსა ცხორებისასა და იტყჳს: ღაღადებთ
ერთად და რაჲთა კადნიერებაჲ თჳსი უჩუჱნოს,
რაჲთა აქუნდა ჭეშმარიტებისა თანა და უშიშობაჲ
და მეორედ სიმრავლისა მისთჳს ერისა შეკრებულისა
და რაჲთა გულისჴმაჲ უყოს, ვითარმედ
სულიერისა სასუმლისათჳს ეტყჳს, ამისთჳს თქუა

სახარებაჲ:
რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა
თქუა წიგნმან, მდინარენი მუცლისა მისისაგან
დიოდიან წყლისა ცხელისანი.

თარგმანი.
ხოლო მუცლად ამას ადგილსა გულსა იტყჳს,
ვითარცა სხუასა ადგილსაჲ წერილი იტყჳს, ვითარმედ:

[725] დაჲ.

შური შენი შორის მუცელსა ჩემსა, არამედ
სადა თქუა წერილმან, თუ მუცლისა მისისაგან
მდინარენი დიოდიან წყლისა ცხელისანი. არასადა
უთქუამს წერილსა ესე სიტყუაჲ, არამედ გულისჴმაჲ
იყვით, თუ ვითარ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ ესრეთ
ჯერ-არს წერა და კითხვა ამის სიტყჳსა, არა
თქუას რაჲ, ვითარმედ: რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა
თქუა წიგნმან და ამას ადგილსა ჯერ-არს განკუჱთა
სიტყჳსა და სუჱნებაჲ, რაჲთა სიტყუაჲ ესე:
თუ მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდიან,
არღარა მისვე განჩინებასა იყოს, რამეთუ ვინაჲთგან
მრავალნი იტყოდეს თუ: ესე არს, ქრისტე
ოდეს მოვიდეს, ნუუკუჱ უმრავლესნი სასწაულნი ქმნეს.

ამისთჳს ენება, რაჲთამცა აჩუჱნაჲ, ვითარმედ
სიმართლე ჯერ-არს გონებისა, რაჲთა არა სასწაულთათჳს
ოდენ, არამედ წერილთამიერცა აქუნდეს
სარწმუნოებაჲ ჩემდა მომართ. ხოლო მრავალთა
სასწაულნიცა მისნი იხილნეს და არა ჰრწმენა
და იტყოდეს, ვითარმედ: არა იტყის (!) წერილი, ვითარმედ:
ქრისტე თესლისაგან დავითისა მოვალს; ამისთჳს
წერილთა იტყოდა:

რაჲთა უჩუჱნოს, ვითარმედ არა ელტვის იგი
მათსა წამებასა და მიავლენს მათ წერილთა მიმართ, რამეთუ
პირველცა იტყოდა, ვითარმედ: გამოეძიებდით წერილთა. და
კუალად იტყის (!), ვითარმედ: წერილ არს წინაჲსწარმეტყუელთა
შორის და კუალად, ვითარმედ: იყუნენ ყოველნი
ღმრთივსწავლულ და კუალად მოსე შეგასმენსო და
აქაცა უკჱ იტყის (!), ვითარმედ: რომელსა ჰრწმენეს
ჩემდა მომართ, ვითარცა თქუა წიგნმან - ესევითარისა მისგან
გამოდიოდიან მუცლისა მისსაგან, რომელ არს გული
მდინარენი წყლისაჲ ცხელისანი, რამეთუ სიმდიდრესა
მას და უშურველობასა მის მადლისასა

2v / მოასწავებდა ვითარცა სხუასა ადგილსა[726]
იტყის (!), ვითარმედ: წყარო წყლისა მდინარისა
ცხორებად საუკუნოდ ესე იგი არს, ვითარმედ მრავალი
აქუნდეს მადლი. ხოლო სხუასა ადგილსა
ცხორებასა საუკუნესა იტყის მოქმედსა მას:
მადლი იგი სულისა წმიდისა რაჟამს გონებასა შინა
კაცისასა დაემტკიცოს, უმეტესი ყოვლისა წყაროსა
აღმოაცენებს და არა მოაკლდების, არცა დაცარიელდების
და არცა დადგების, რაჲთამცა მოუკლებელობაცა

[726] სადგილისა.

იგი მისისა მადლისა მოასწავა და მიუწთომელობაცა;
ამისთჳს წყაროდ და მდინარედ სახელ-სდვა არა
ერთად მდინარედ, არამედ მრავლად ურიცხუად და
კუალად მუნ დინებისა მყის სიმდიდრე იგი და
სივრცე მისი აჩუⷪნა. და უკეთუ გნებავს,
იხილე სიბრძნე იგი სტეფანესი, ანუ თუ
ვინა იგი პეტესი, გინათუ წინადაუდგრომე
ლობაჲ სიბრძნესა პავლესსა, ანუთუ თჳთმეტყუელისა
ამის, რომელმან თქუა ესე სახარებაჲ იოანესი. იხილე
უკეთუ გნებავს, სივრცე იგი და სიღრმე მისისაჲ მის
სიბრძნისა, ვითარ ვერძისა შემართებულ იყო
წინადადგომად მდინარეთა მათ, რომელნი მათგან
აღმოდიოდეს, რამეთუ ვერა (!) აღვსებდა ზღუასა
ბრძოლსაჲ (!) არა გულისწყრომა ერთა, არცა
ზედა აღდგომა მრავალფერთა, არცა მოსწრაფებანი
ეშმაკთანი, არცა სიკუდილნი მარადღეთანი, არამედ
ვითარცა მდინარეთაჲ ძლითა (!) დიდითა მავალთა ესრეთ წარიტაციან ყოველივე სასწაულისა
მიმართ და წარვიდიან.

სახარებაჲ
ხოლო ესე თქუა სულისა მისთჳს, რომელი მოცემად
იყო მორწმუნეთა მისთა, რამეთუ არღა იყო
სული წმიდაჲ მოცემულ.

თარგმანი
და ვითარ წინაჲსწარმეტყუელთაჲ ქადაგეს
მოსლვა, უკეთუ სული წმიდაჲ არა იყო მოცემულ,
რამეთუ მოციქულნი ეშმაკთა მათ, რომელთა მაშინ განასხმიდეს,
არღა სულისა მიერ განასხმიდეს, არამედ ჴელმწიფებითა
მით მის მიერ მიცემულითა, ვითარცა თავადი
იტყოდა, ვითარმედ: მე ბელზებელითა განვასხამ, ძენი თქუენნი
რაჲთა განასხმენ ეშმაკთა. ხოლო ესე თქუა, რაჲთა
მცა მოასწავა, ვითარმედ არა სულისა მიერ განასხმიდეს
ყოველნი უწინარეს ჯუარცუმისა, არამედ
მისმიერითა მით ჴელმწიფებითა. და რაჟამს-იგი
ეგულვებოდა წარვლინებად მათდა ქადაგებად, მაშინ ეტ … … …

3r /[727]

შეუძლოთ მუნ მისლვად იხილენით ქალწულნი
იგი ვითარ არაჲ ჴელ-ეწიფა შესლვად, სადაჲ-იგი
იყო, მართლუკუნ-იქცეს და დაშრტეს რაჲ სანთელნი
მათნი, ესე იგი არს, ვითარმედ დაუტევნა

[727] შუა ნაწილი ეტყობა, ამოვარდნილია და დაკარგული; ტექსტი არ გადადის.

იგინი მადლმან მან, რამეთუ ალი იგი, რომელი
მოგუცა ჩუენ მადლისა მიერ სულისა წმიდისა უკეთუ
გუჱნებოს, აღორძინდების და უკეთუ არა ვინებოთ,
სრულიად დაშრტების იგი. ხოლო იგი რაჲ დაშრტეს,
მერმე არა იყოს სხუაჲ ჩუენ ზედა, გარნა არმური
და ნისლი. ამისთჳსცა თქუმულ არს, ვითარმედ:
სულიმცა ნუ დაივსების.

ხოლო დაივსების, რაჟამს ზეთი არა აქუნდეს და
რაჟამს ქარისა[728] სასტიკისა ბერვა იქმნას და რაჟამს
კუალად იწროებით იყოს და ჭირით, რამეთუ
ესრეთ დაშრტების ესე ცეცხლი ზრუნვათაგან სოფლისათა
დაჲ (!) დაშრტების გულისთქუმისაგან ბოროტისა.

ხოლო არარაჲ ესრეთ დაშრტეს, ვითარ უწყალოებაჲ
და მძჳნვარებაჲ და ტაცებაჲ, რამეთუ
რომელი ზეთისა არაქონებასა თანა წყალთაცა
გრილსა და დაასხმიდეს, ვითარ შეუძლოს მან
აღნთებად სანთლისა მის? ხოლო წყალი იგი
ანგარებაჲ არს, რომელი განაგრილებს სულსა ბოროტად.
ნუუკუჱ (ასეა!) წარვიდეთ რაჲ ჩუენცა,
ამიერ, არარაჲ გუაქუნდეს სხუაჲ ჩუენთა
გარნა ნაცარი მტჳ~რი (!) და კუამლი ფრიადი,
რომელი შეგუასმენდეს[729] ჩუენ, ვითარმედ: ლამპრები
გუაქუნდა და დავშრიტეთ, რამეთუ სადა კუამლი
იყოს, საცნაურ არს, ვითარმედ ცეცხლი იყო მუნ და
დაშრტა და ნუ იყოფინ ჩუენდა სმენად ჴმისა მის
მწარისა სასმენელად, ვითარმედ ვერ გიცნა თქუენ.

ხოლო სადათ იქმნების სმენა ჴმისა მის, თუ
არა გიცნ … თქუენ, გინა ამისგან, რომელ
ვიხილოთ რაჲ გლახაკი, ესრეთ ვართ, ვითარ-მ …
არა გჳხილა და რაჟამს ჩუენ არა გჳწყალოდის
გლახაკი და მშიერი, რომელ არს ქრისტე, ქრისტემან
ვითარ შეგჳწყ[ა]ლნეს ჩუენ, რაჟამს წყალობაჲ გჳჴმდეს,
რამეთუ რომელმან შეურაცხ-ყოს ჭირვეული და არა მისცეს
თჳსისაგან, ვითარ ითხოოს მან მოღებად არათჳსი თჳსი იგი?

ამისთჳს გევედრები, ყოვლით -კერძო
ვისწრაფოთ, რაჲთა არა მოგუაკლდეს ჩუენ ზეთი,
არამედ რაჲთა შევამკუნეთ ლამპარნი ჩუენნი
და შევიდეთ მისთა უკუდავისა სასძლოსა მას
უხრწნელსა რომელსა ღირსმც[ა] ქმნილ ვართ
ყოველნივე მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა

[728] ქარისჲ.

[729] მარჯჳენა კიდე დაზიანებულია.

3v / რაჟამს ქრისტესითა, ჩუენისა[ჲთა] რომლისა მიერ და
თანა მამასა შუეჱნის დიდებაჲ სულით წმიდითურთ
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

… ვი[730], ნა[731] სიტყუაჲ ესე უკუანასკნელსა მას დღესა
დიდისა მის დღესასწაულისასა დადგა იესუ, ღაღად-ყო,
უკეთუ ვინმე მოვიდენ ჩემდა და სუმიდენ დაჲ
რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ვითარცა თქუა წიგნმან,
მდინარენი მუცლისა მისისაგან დიოდან (!)
წყლისა ცხელისანი.

… ნ მოუჴდებიან ქადაგებასა მას საღმრთოსა და
ისმენდენ სარწმუნოებასა, უჴმს მათ, რაჲთა სურვილსა
მას, რომელი აქუს წყურიელთა წყლისა მიმართ
აჩუჱნებდენ, რამეთუ ესრეთ თუ იქმოდინ, მაშინ შეუძლონ
სიტყუათა მათ საღმრთოთა დამტკიცებად
გულთა შინა მათთა, რამეთუ წყურიელთა რაჟამს
წყალი მიიღონ, ფრიადითა გულისთქუმითა სუმენ
მას, ვის მათ შორის მყოფი იგი წყურიელისა
სიმჴურვალ[ე] დააცხრ[უ]ნ, ეგრეთვე რომელნი ისმენდენ,
უკეთუ წყურიელითა ფრიადით მიიღებდენ
მას, არა დაშურენ სასუმელისა ამისგან ესევითა
რისა სუმად.

რამეთუ ჯერ-არს ესე ამის ესევითარისა საქმისა
მიმართ შიმშილი და წყურვილი, ვითარცა
იტ~ყის უფალი: ნეტარ, რომლისათჳს! და
კუალად: აჰა ესერა, ამისად გულისა ღაღადებს და
იტ~ყის
სახარებაჲ: რომელსა სწყუროდის,
მოვედინ ჩემდა, სუმიდენ!

თარგმანი[732]
სიტყუაჲ ესე ვითარ არს, ვითარმედ არავის
მოვიყუანებ იძულებით და უნებლობით, არამედ
რომელსა აქუს გულსმოდგინებაჲ და შეიწვის
სურვილითა, იგი მოვედინ და ამას მოუწოდ მე;
ხოლო რაჲსათჳს თქუა მახარებელმან, თუ
უკუანაჲსკნელსა მას დღესა დიდსა, ამისთჳს, რამეთუ
იგი იყო დიდი დღესასწაული და შორის
პასექისა და მისა სხუათა მათ დღეთა შუჱ
ბასა შინა წარვლიდეს, ხოლო მაშინ ყოველნივე
შეკრბებოდეს.

[730] მარცხენა მხარეს ნაწილი ჩამოჭრილია.
[731] ნა - შავი მელნით.
[732] სინგურით.

ხოლო რომლისათჳს[733] იტყის თუ: უკანასკნელისაჲ[734]
რაჲთა სცნა, ვითარმედ ყოველსავე სიმრავლესა
ზედა ისწავებდა კადნიერებით, რამეთუ
პირველსა მას დღესასწაულსა არა მივიდა და
მიზეზი ჰრქუა ძმათა თჳსთა, თუ რაჲსათჳს
არა მოვიდა და მეორესა არავე მივიდა და მესამესა
არცა რაჲ ჰრქუა ესევითარი, რაჲთა არა
დაიჴსნას სიტყუა მისი შურებისა მის მიერ
მათისა და უსარგებლო იქმნას[735] უკანასკნელსა
მას დღესა, რაჟამს
წარსლვა ენ /[736]

4r / [737] … ი … … … გინა დვ … … …
თუ მბრძოდეთ მწარედსა ამას
ჟამსა თქუენ თანა ვართ და
არა დავცხრები[738]
განგებულებათა მათ ჩემთა თქუენდა
ქმნად და ცხორებისათჳს სულთასა სწავლას
და მერმე წარვალ მომავლინებელს ჩემისა.
ესე კმა იყო შეშინებად და შეურვებ[ა]დ მათდა
და ვითარ საჴმარ-ეყო მათ, მოასწავებს,
რამეთუ იტ~ყის

<u>სახარებაჲ</u>.
მეძიებეთ (!) მე არაჲ ოდენ არა დამივიწყოთ,
არამედ მეძიებდეთცა და ვერ მპოოთ.

<u>თარგმანი.</u>
და სადაჲთ[739] უკუჱ მოიძიეს
იგი ჰურიათა, ვითარცა იგი ლუკა იტ~ყის,
ვითარმედ გოდებდეს მისთჳს დედანი და[740] სხუანიცა
მრავალნი და მერმე რაჟამს ქალაქი მათი
ტყუჱ იქმნებოდა, არამცა აჴსენებდეს ქალაქსა
და საკჳრველებათა მათ მისთაჲ და ეძიებდესმცა
მოსლვასა მისსა.
და ესე ყოველი თქუა, რამეთუ
ენება მოზიდვად მათდა კეთილისა მიმართ, რამეთუ
სიტყუაჲ ესე თუ მცირედითა ჟამი არს და შემდგომად

[733] რ~სთ.
[734] ასე გავხსენით, რადგან ტექსტში გახსნილიც შეგვხვდა ამ ფორმით.
[735] იქმნაჲს, სადაც ჲ ზემოდან არის ჩამატებული.
[736] ტექსტი არ გადადის.
[737] I სამი სტრიქონი დალაქავებულია და ძნელად იკითხება.
[738] დავსხრები.
[739] სადთ (უქარაგმო).
[740] და+და.

წარსლვისა ძიებაჲ მისი და ვერ პოვნა,
ესე ყოველი კმა იყო დარწმუნებად და
მოქცევად მათდა, რამეთუ უკეთუმცა არაჲ
ე[გ]ულვებოდა სასურველყოფად, არამცა ირწმუნეს და

ნუუკუ ̃ და ეგრეცამცა … იქმნეს, არამედ აწ
ყოვლით-კერძო შეაშინებს მათ და შეაშფოთ[თებს],
ხოლო კუალად სიტყუაჲ ესე თუ წარმომავლინებელისა
ჩ[ებისა] [გამ]ომაჩინებელი არს, ვითარმედ
რაჲ ვნებაჲ მოიწევის … მათისა მის
მტერობისაგან, ჯერმცა მისი ნეფსით არს … ა
უკუ ̃ წინასწარ თხრობანი [მი]თხრნა ერთად,
ვითარმედ შემდგომად […]ისა[741] ყოვლისა წარსლვად
არს კუალად, ვითარმედ ვერ მოვიდენ მის მ …,
რომელი-იგი არა კაცობრივისა [ბიწ]ისა იყო
თჳსისა[742] აღსასრულისა წინასწარ ცნობაჲ, რამეთუ
იხილე[ს] დავით, რომელსა იტყის (!), ვითარმედ:
მაუწყე [მე] აღსასრული ჩემი და რიცხჳ დღეთა
ჩემთა, რაჲთა უწყოდი თუ რაჲ … მაკლს მე და
არავინ იცის [სა]ქმე ესე. ხოლო მე ვგონებ თუ
… სხურთა მათ მიმართ იყო სიტ[ყუაჲ]
[ე]სე, რომლითა ლმობიერ-ყუნა [იგინი], რაჟამს უჩუ ̃ ნა,
ვითარმედ უწყის მან [წარ]სლვასა მისსა ჟამი, ვითარმცა

4v /[743]… … … თუ მლდთ მცირედთ … … …[744] რვიდეთ.

სახარებაჲ იტყო [745]… … …
… … … ან იგი ურთიერთას ვიდრემე[746] … … … ვების
ამას წარსლვად

<u>თარგმანი.</u>
და რად-მე ეძიებენ ამას, რომელთა სუროდა
ყოვლითურთ, რაჲთა … … … განერნეს[747] მისგან და
ყოველსავე [ღო]ნესა მოიპოებდეს, რაჲთამცაჲ
[არ]ა ხედვიდეს მას, არა უჴმდა[748] … ძიებად, არამედ
რაჲთამცა თქუას თუ: გჳხარის ოდესმე ყოფად
ა … … … ეგე, არამედ მოიწყნეს (!) სიტყუათაგან
და ეძიებენ თავთა შორის თჳს[თა]
უგუნურებით.

[741] ჩამოჭრილია.
[742] თჳსისჲ.
[743] თჳსისჲ.
[744] თჳსისჲ.
[745] თჳსისჲ.
[746] მოხეულია.
[747] განაერნეს.
[748] უჴმდაჲ.

სახარებაჲ.
სადა [ნარვა]ლს ნუუკუჳ განთესილთაჲ
[წარმართთა] [არა] ეგულების [წა] რსლვად.

თარგმანი.
ხოლო რომელნი ა[რი]ან განთესილნი წარმართნი
[ეს]რეთ სახელ-სდებდეს წარმართთა
ჰურიანი, რამეთუ ყოველსა ადგილსა განთესილ
იყუნეს იგინი.

ხოლო აწ ესე [ყუ]ჳდრებაჲ მათ ზედაცა მოიწია,
რამეთუ და … … … ა ადგილსა არასადა იპოებოდა[749]
ჰურია, არამედ პალესტ[ინე]ს ოდენ. ხოლო რაჲ
არს სიტყუაჲ ესე … … … სადამე ვიყო, არა ჴელ-გეწ[იფე]ბის
თქუენ მოსლვად, რამეთუ უკეთუ … … … წარმართთა
მივიდოდა, რად [არ]ა ეთქუა თუ, ვერ ჴელ-გეწი[ფებ]ის
მოსლვად.
ხოლო მათ თქუეს: არათუ განთესილთა
მათ წარმართთა თანა ეგულების მისლვად, არა
თქუჳს თუ ცთუნებად მათდა, არამედ სწავლად მათდა.
ესრეთ ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე, დამშჯდა გულისწყრომა
მათი, ჰრწმენა, ხოლო თუმცა არა ერწმუნა,
არამცა ეძიებდეს, თუ რაჲ არს სიტყუაჲ ესე.

სწავლან[ი] სიმრთლისათჳს
ხოლო ესე ყოველი მათდა მიმართ ითქუა,
არამედ მეშინის, ნუუკუჳ ჩუენდამიმართცა ეთქუას
ესე ცხორებისა ამის ჩუენისათჳს, სავსისა ცოდვითა,
რამეთუ ვერ მოვიდეთ, სადა-იგი არს ბოროტთა
მათ ჩუენთათჳს, რამეთუ მოწაფეთათჳს იტყჳს,
ვითარმედ: მნებავს, სადაცა მე ვიყო, ესენიცა
იყუნენ ჩემ თანა, ხოლო ჩემთჳს მეშინის, თუ
წინააღმდგომი ითქუას.

ესე იგი არს, ვითარმედ სადა მე ვიყო,
ვერ ძალ-გიც მოსლვად, რამეთუ რაჟამს მცნებათა
მისთა წინააღმდგომსა ვიქმოდით, ვერ შეუძლოთ
მუნ წარსლვად, რამეთუ ამასცა სოფელსა მჴედარი,
რომელი განარისხებდეს მეფესა, არა ჴელ-ეწიფების
ხილვად მეუფისა, არამედ საპყრობილესა შინა არნ
და ტანჯვასა.
რაჟამს ვიტაცებდეთ და ანგარ-ვიყუნეთ და
ვავნებდეთ სხუათაჲ და უწყლო ვიყუნეთ, ვითარ
შეუ /

[749] იპოებოოდა.

Fr 284

რაობა:	სახარების საკითხავების საძიებელი
თარიღი:	XII საუკუნე
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფურცელი
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	11,5x9

Content:	Gospels Lectionary
Date:	XII c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	11,5x9

ტექსტი

1r/ დიდსა ორშაბათსა ცისკრად, სახარებაჲ მათესი

სიდ: მას ჟამსა შინა მო-რაჲ-ვიდოდა იესუ, იხილა ლელჳ, ვიდრე ნაყოფსა მისსა.

დიდსა ორშაბათსა მწუხრი, სახარებაჲ მათესი სმგ: მის ჟამსა შინა, ვითარცა დაჯდა თავადი მთასა ზეთისხი. ვიდრე არა წარმოჴდეს.

დიდსა სამშაბათსა ცისკრად, სახარებაჲ მათესი სკგ: მას ჟამსა შინა ზრახვა-ყვეს მღდელთ-მოძღუარ. ვიდრე მოძღურებაჲ იგი მისი.

მწუხრი, სახარებაჲ მათესი სჲ

თქუა უფალმან დღისა მისთჳს და ჟამისა, ვიდრე მიეცეს ჯუარცუმად.

დიდსა ოთხშაბათსა ცისკრად, სახარებაჲ მარკოზისი, რნვ. მას ჟამსა შინა იყო პასექი იგი, რომელ არს, ვიდრე მისცა იგი მათ.

მწუხრი, სახარებაჲ მათესი სთვ

ხოლო იყო რაჲ იესუ ბეთანიას სახლსა, ვიდრე მისცა იგი მათ.

დიდსა ხუთშაბათსა ცისკრად, სახარებაჲ მარკოზისი რ. …შინა მას ჟამსა შინა პირველსა მას დღესა უცომოებისა, ვიდრე ენებჲ იგი.

მწუხრი ჟამისწირვისა შეკრებული ყოველთა თავითგან მათესი, სოდ. ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა: უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა. ვიდრე დაჯდა ათორმეტთა თანა.

სახარებაჲ იოანესი, რიდ. იცოდა იესჳ, რამეთუ ყოველივე მოსცა მას მამამან.

ვიდრე უკუეთუ ჰყოფდეთ ამას.

(მეორე სვეტი) სახარებაჲ მათესი სოთ. დ… ჭამდეს იგინი, ჰრქუა მათ იესუ: ამენ, ამენ - გეტყვი ვიდრე არამედ ვითარცა შ…

სახარება… ლუკა…სი სპგ და ე… მას ანგელოზი ზეცით განაძლიერებდა.

ვიდრე აღდგა მიერ ლოცვისაგან.

სახარებაჲ მათესი სჟვ. და მოვიდა იგი მოწაფეთა თანა და პოვნა. ვიდრე პილატეს მთვარსა.

ფერჴთბანასა. სახარებაჲ იოანესი რიბ. უწინარეს დღესასწაულისა მის პასექისა, ვიდრე არა ყოველნი წხრთ

შემდგომად ფერჴთბანისა. ოდეს დაჰბანნა ფერჴნი მათნი.

ვიდრე უკუეთუ ჰყოფდეთ ამას ღმერთსა.

ღამისთევასა. სახარებაჲ იოანესი რკე. ანდერძი ჰრქუა უფალმან თჳსთა მოწაფეთა აწ… დიდა ვიდრე თავადი და მოწაფენი.

ბ. სახარებაჲ იოანესი, რნე. მას ჟამსა შინა განვიდა იესუ მოწაფითურთ თჳსით. ვიდრე ტიროდა მწარედ.

გ. სახარებჲ მათესი ცვ. მას ჟმსა შინა მჳედართა მათ შეიპყრეს იესუ. ვიდრე ტიროდა მწარედ.

დ. სახარებჲ იოანესი როვ. მას ჟამსა შინა მოჲყვანეს იესუ კააფაჲსით(!) ტაძრად. ვიდრე რაჲთა ჯუარს-აცუან.

ე. მას ჟამსა შინა იხილა იუდა, რომელნიცა მისცა, ვიდრე აღიღოს ჯუარი …

ვ. სახარებაჲ მარკოზისი სლ. მას ჟამსა შინა სტრატიოტთა მათ შეიპყრეს, ვიდრე და გრწმენეს.

1v / … მას ჟმსა შინა მივიდეს მჳედარნი იგი ადგილსა. ვიდრე ძე ღმრთისჲ იყო ესე.

ზ. სახარებჲ ლუკაჲსი ტიზ. მას ჟამსა შინა მოჰყვანდეს იესუს თანა სხუანი ორნი ძჯრის. ვიდრე ხედვიდეს მას.

თ. სახარებჲ იოანესი სგ. მას ჟამსა შინა დგეს ჯუარსა მას თანა იესუჲსსა დედაჲ მისი. ვიდრე რომელსა-იგი უგმირეს.

ი. სახარებჲ მარკოზისი ლიზ. მას ჟამსა შინა მოვიდა იოსებ არიმათიელ შუენიერი ვიდრე დასდებდეს მას.

ია. სახარებაჲ იოანესი სვ. მას ჟამსა შინა ჰკითხა პილატეს იოსებ, რომელ იყო არიმათი. ვიდრე საფლავი იგი.

სახარებჲ მათესი ტნა. ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევსა.

ვიდრე ლოდსა მას დასისა თანა.

დიდსა პარასკევსა მზისასა და სახარებაჲ გ

სამ ჟამისა სახარებჲ ღამისთ…

შუადღისასა სახარებჲ ღამის…

ცხრა ჟამისასა სახარებჲ ღამ…

მ… სახარებჲ შემოკრები… … მათესი ტილ

მას ჟამსა შინა ზრახვა-ყვეს ყოველთა … მოძღუართა, ვიდრე ერთი

მარჯუენით და ერთიმარცხენით.

… ხოლო ერთი …მოკიდებული. … ვიდრე … …ხესა მათეს…

და რაჲთა წარმავალნი იგი … … ვიდრე ძე ღმრთისჲ იყო ესე … ხოლო … რამეთუ … (მეორე სვეტი) პარასკევი იყო, რაჲთა.

ვიდრე იხილონ, რომელსა.

მათესი ცმზი … ყვნეს …ნიცა მრავალნი, რომელნი შორი…

ვიდრე სხდეს წინაშე საფლავსა მას.

დიდსა შაბათსა ცისკრად, სახარებჲ მათესი ტნა. ხვალისაგან რომელ არს შემდგომად პარასკევისა. ვიდრე დასისა თანა მეცხრე ჟამი წირვასა. სახარებაჲ მათესი ტნბ, მწუხრი შაბათისა, რომელი განთენდებოდა.

ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ამინ!

სახარებანი საცისკრონი აღდგომისანი ათერთმეტნი.

ა. სახარებჲ მათესი … მას ჟამსა შინა ხოლო ათერთმეტ …

ბ. სახარებჲ მარკოზისი ნ… და ვითარცა გარდაჴდა შაბათი იგი, ვიდრე ებრ

გ. სახარებჲ მათესი … ლდ. ხოლო აღდგა რაჲ, იყო განთიად, ვიდრე დასასრულამდე


დ. სახარებჲ ლუკაჲსი ცევ. ხოლო ერთსა მას შაბათსა ვიდრე … ქრისტე …

ე. სახარებჲ ლუკაჲსი … მას ჟამსა შინა … აღდგა. ვიდრე გ…

ვ. სახარებაჲ ლუკა…სი პტმ. მას ჟმსა შინა … დგა. ვიდრე დასასრულამდე ქუეყნისა.
ზ. სახარებაჲ იოანესი სია. მას ჟამსა შინა მარიამ …. ვიდრე ესრეთ ჰრქუა.
ჱ. სახარებაჲ იოანესი სთ. ერთისა … შაბათსა მ … . ვიდრე მოწაფენი იგი.
თ. სახარებაჲ იოანესი სიგ. და ვითარცა შემწუხრდა. ვიდრე სახელითა მისითა
ი. სახარებაჲ იოანესი სით. მას ჟამსა შინა გამოუცხადა. ვიდრე … მკუდრეთით.

Fr 285

რაობა:	ოქტოიხოსის ფრაგმენტი
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	19,5x15,5
Content:	Fragments of Octoechos
Date:	XV c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	19,5x15,5



ტექსტი

1r */ ნებელსა ვდღესასწაულობთ
და მათ მიერ გევედრებით:
აცხოვნენ სულნი ჩუენნი!

ბოროტთა ვნებათა სიმძაფრითა
და უძღებებითა გონებაჲ ჩემი აღვავსე
და ჴორცთა ნაგუჱმითა მარადის ვიწერტები
და კეთილთა საქმეთაგან შიშუჱლ ვარ,
ნაყოფიერ-მყავ ოხითა შენითა, სძალო
და დედაო ღმრთისა მაღლისაო,
და მერმეთა ტანჯვათაგან მიჴსენ,
რამეთუ შემწედ უბრძოლელად მოგიგებ შენ.

პარასკევსა მომიჴსენენი
ძლ. შენ, ყოვლად ქალწულო
ჯუარს-ეცუ თხემისა ადგილსა, ქრისტე,
და აცხოვნენ კაცნი, უცოდველო,
ხრწნილებისაგან და სიკუდილისა,

ხოლო თავი მტერისაჲ სრულიად შეჰმუსრე.
აღმოჰფხუარ ძირითურთ, მეუფეო,
სიბოროტისა ეკალი და კუროჲსთავი,

* შენიშვნა: ამოღებულია H 943 ხელნაწერიდან.

რაჟამს ეკლისა გჳრგჳნი
ნებსით სახიერებით დაიდგ, სულგრძელო.

შემუსრვითა თქუენითა, მოწამენო,
ყოველივე ძლიერებაჲ მტერთაჲ
შეჰმუსრეთ და უჩინო-ჰყავთ
და გჳრგჳნი ძლევისაჲ შეიმოსეთ.

ვითარცა კრავსა უმანკოსა,
ძელსა ზედა დამოკიდებულსა,
ჰხედევდ, უბიწოო, ქრისტესა
და გოდებით მჴურვალედ ადიდებდი.

დღე შაბათი წმიდათაჲ და სულთაჲ

უფალო ღაღატყავსა, ჴმაჲ[750] ბ
რომელთა ქუეყანისა საშუჱბელი არა ინებეს,
ღუაწლისა მძლენი ზეცისა კეთილთა ღირს იქმნეს
და ანგელოზთა თანა მოქალაქე იქმნეს,
ოხითა მათითა
შეგჳწყალენ და გუაცხოვნენ ჩუენ.

წმიდათა მოწამეთა მეოხებითა ჩუენთჳს
და ქრისტეს გალობითა
ყოველი საცთური კერპთაჲ დადუმნა
და კაცთა ნათესავი
სარწმუნოებით ცხოვნდების.

დიდ არს დიდებაჲ, რომელი მოიგეთ,
წმიდანო მოწამენო, სარწმუნოებითა,
რამეთუ არაჲ ტანჯვითა ხოლო ერეოდეთ
1v / მტერსა,
არამედ შემდგომად სიკუდილისაცა
სულთა ბოროტთა განდევნით
და სნეულთა განჰკურნებთ,
მკურნალნო სულთა და ჴორცთანო,
მეოხ-გუეყვენით უფლისა მიმართ
შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს.

დიდებაჲ.
აწ

ვითარცა ოქროჲსა სასაკუმევლემან,
ცეცხლი ღმრთეებისაჲ შეიწყნარე, მიმადლებულო,

[750] ჴ - სინგურითაა, ჲ - ზემოთ არის ჩასმული.

რომელსა მარწუხითა სერაბინი შიშით
და ძნიად მიეახლა,
შენ იგი მუცლად-იღე
და უშევ სოფელსა სულნელებაჲ,
ქალწულო, ყოვლადსაგალობელო,
შეიწირე ლოცვაჲ მადიდებელთაჲ,
მორწმუნეთა მონათა შენთაჲ.

სტიქარონნი სულისანი
მიწისაგან დამბადე მე, უფალო,
და კუალად მიწადვე მიქცევაჲ გარდასლვისათჳს დამასაჯე,
დააწესე დღე განკითხვისაჲ,
რომელსა შინა დაფარულნი
თჳთოეულისა საქმეთანი
ცხადად წარმოიდგინენ წინაშე შენსა;
მაშინ შემიწყალე მე,
უცოდველო ქრისტე ღმერთო,
და ცთომათა ჩემთა შენდობაჲ მომეც
და სასუფევლისა შენისაგან ნუ განმაგდებ მე.

ვითარცა ყუავილი დაჭნების
და ვითარცა სიზმარი წარჴდების
და განიბნევის ყოველი კაცი
და კუალად ჴმა-ყოს რაჲ საყჳრმან,
ვითარცა ძრვისაგან აღდგენ მკუდარნი ყოველნი
შემთხუვად (!) შენდა, ქრისტე ღმერთო,
მაშინ, მეუფეო,
რომელნი მისცვალენ ჩუენგან,
წმიდათა შენთა საყოფელსა
დააწესენ სულნი მონათა
შენთანი, ქრისტე, სახიერო.

ჵ, ვითარი-მე ღუაწლი აქუს სულსა,
გან-რაჲ-ვიდოდის ჴორცთაგან,
ჵ მე, მაშინ ვითარ-იგი ცრემლოჲნ
და არაჲ ვინ არს მწყალობელ მისსა,
ანგელოზთა მიმართ მიხედავენ
და ურგებად ევედრებინ,
კაცთა მიმართ ჴელთა განჰმარტებენ
და არაჲ ვინ არს შემწე მისსა,
ვინაჲცა, საყუარელნო ძმანო ჩემნო,
გულისჴმა-ყავთ წუთი ესე

Fr 294

რაობა:	ფსალმუნი
თარიღი:	XV ს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	9,4x14,2

Content:	Psalms
Date:	XV c.
Number of folia:	1 folio
Script:	Nuskhuri
Size:	9,4x14,2

ტექსტი

მეთოთხმეტე კანონი, ალილუიაი, 104

1r / 39. განჰმარტა ღრუბელი საგრილა[დ მათდა და ცეცხლი მნათო]ბჲდ მათდა ღამე. 40. [ითხო]ვეს, და მოჴდა მწყერ-მარ[ხილი, და პ]ურითა ზეცისაჲთა განაძღნაჲ იგ[ინი; 41. სცა] კლდესა, და გამოეცნეს წყალნი, [და] ვიდოდეს ურწყულსა მდი-ნარე[ნი.42. რამეთუ მო]იჴსენა სიტყჳსა წმიდისა თჳსისა, [რომელ] ჰყო აბრაჰამის მიმართ მონისა თჳსისა.43. [და გა]მოიყვანა ერი თვისი სიხარულით [და] რჩეულნი მისნი შუჱბით.44. [და] მისცა მათ სოფლები წარმართთაჲ, და ნაშრომი ერთა და-იმკჳდრეს, 45.[რაითა და]იცვნენ სამართალნი მისნი [და] შჯული მისი მოიძიონ. დიდებაი


[კა]ნონი მეთხუთმეტე[იე]
ალილუია, 105

[1. აუ]ვარებდით უფალსა, რამეთუ ტკბილ არ[ს, რამეთუ] უკუნისამდე [არს წყალო]ბაჲ მისი. [2. ვინ-მე იტყოდეს ძლიერებათა უფლისათა, სასმენელ-ჰყვნეს ყოველნი ქებულებანი მისნი? 3. ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ჰყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა. 4.]

1v

[მ]ომიჴსენენ ჩუენ, უფალო, სათნოებ[ითა] ერ[ისა შენისაითა და მ]ომჴედენ ჩუენ მაცხოვარებითა [შენითა. 5. რაით]ა ვიხილოთ ჩუენ სიტკბოებაჲ რჩე[ულთა შენთაი დ]ა ვიხარებდეთ ჩუენ სიხარულითა [ნათე]სავისა შენისაითაჲ, [რაით]ა ვი-ქებოდით ჩუენ სამკჳდრებელთა [შენთა თანა.] 6. ვცოდეთ მამათა ჩუენთა თანა, უშჯულ[ო] ვიქმნენით და გეცრუვენით [შენ]. 7. მამათა ჩუენთა ეგჳპტეს შინა არა [გული]ს ჴმაჲ-ყვნეს საკჳრველებანი შენნი, არცა მოიჴსენნეს მრავალნი წყალობანი შ[ენნი დ]ა განგამწარეს წიაღსლვასა [ზღჳსა] მის მეწამულისასა. 8. და იჴსნა იგინი სახელისა მისისათ[ჳს, რაითამცა] გულისჴმა-ყვეს ძლიერებაჲ [მისი; 9. და შეჰ]რისჴნა [ზღუასა] მეწამულსა

Svan 4



რაობა:	სახარების საკითხავი
თარიღი:	XV-XVII სს.
ფურცელთა რაოდენობა:	1 ფ.
დამწერლობა:	ნუსხური
ზომა:	17,5x13

Content:	Readings from Gospel
Date:	XV-XVII cc.
Number of folia:	1 folios
Script:	Nuskhuri
Size:	17,5x13

ტექსტი

1r / ცსა თუ ვისმე ედგას. ვიდრე რომელმან შეინანოს მის.... [მო]ციქულისა და ალფესი. სახარებაჲ მ..... პბ ..... ქრისტესა თჳსთა მწ...

არა არს დაფარული , რომელი .

ვ˜ე მრავალთა უმჯობეს ხართ..... ისა მოწ[ა]მისა ეულამპიოჲსი. სახარებაჲ ლკ.... რაჲმე თქ[უა], უფალმან... რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაც.

ვ˜ე რაჲ-იგი სთქუათ. [წმიდ]ისა პატრიაქთა ნეკტარისი, არაკისი და სისინისი.

სახარებაჲ ..... ლბ ..... ნათელნი სოფლისანი.

ვ˜ე ერქუას სასუფეველსა ცათასა.

[წმიდ]ისა მო[წამისა ....[ანდ] რონიკესი.

